

მ ა ს ე ლ ე ბ ი

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

МАТЕРИАЛЫ

ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ и КAVKAZA

ნაკვ. 30 ВЫП.



ს ა რ ჩ ე მ ი

✓ 1. შ. დუმბაძე. გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიური ვითარება XIX საუკუნის პირველ მესამედში	5
М. Думбадзе. Социально-экономическое положение гуринского княжества в первой трети XIX века	56
2. З. В. Анчабадзе. К вопросу о роли торгово-ростовщического капитала в дореформенной Грузии	59
3. შ. მესხია. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის	71
4. ვ. გაბაშვილი. დასტურლამალის 1729 წ. ხელნაწერი	83
5. ბ. ლომინაძე. ფეოდალური მეურნეობის ორგანიზაციის ისტორიიდან გვიანფეოდალურ საქართველოში	101
В. Р. Ломинадзе. Из истории организации феодального хозяйства в позднефеодальной Грузии	114
6. ო. სოსელია. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან	115
О. Соселия. Из истории политического распада феодальной Грузии	141
7. მ. ლორთქიფანიძე. ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში	143
М. Д. Лордкипанидзе. К вопросу городских чиновных людей в феодальной Грузии	157
8. მ. ლორთქიფანიძე. ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან	159
М. Д. Лордкипанидзе. Из исторической географии города Тбилиси	164
9. ვ. ცისკარიშვილი. წარწერები ასპინძის რაიონიდან	167
10. ალ. გამყრელიძე. თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილის გარკვევისათვის	181
А. Г. Гамкрелидзе. К толкованию одного места „Истории царицы Тамары“	183
11. ტ. გუდავა. ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დალისტნიდან	185
Т. Е. Гудава. Две надписи (грузинская и грузинско-аварская) из Дагестана	195
12. ქ. შარაშიძე. საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.)	197
13. შ. მესხია. ძველი ერისთავთა	305
14. ვ. ფუთურიძე. მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ	375

მამია ლუგაძე

გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიური ვითარება XIX საუკუნის პირველ მესამედში*

შესავალი

გურიის სამთავრო, როგორც პოლიტიკური ერთეული, ძველი მთლიანი საქართველოს დაშლის ეპოქაში წარმოიშვა. საქართველოს მეფის ცენტრალური ხელისუფლების მიერ ერისთავად, პროვინციის გამგებლად, დაყენებული გურიელი თანდათანობით აფართოვდა თავის უფლებებს. რუსუდანის მეფობის დროს (1222—1245) პირველად მოხსენებული „გურიელის“ შორეული მემკვიდრე (კახაბერი) XIV საუკუნის შუაში უკვე გურიის „ერისთავთ-ერისთავად“ და „პატრონად“ იხსენიებოდა¹. მაშინ გურიის „პატრონის“ სამფლობელოში შედიოდა მთელი აჭარა ბათუმითურთ.

XV საუკუნეში, როდესაც საქართველოს მომთაბარე ოსმალების გაძლიერებული და აგრესიული სახელმწიფო დაუმეზობლდა, საქართველოს პოლიტიკური დაშლის პროცესი უფრო სწრაფად ღრმავდებოდა. 1459 წ. ქართველმა მეფე-მთავრებმა სცადეს ოსმალური სახელმწიფოს მოსპობისათვის გაერთიანებული გამოსვლა. ისინი დაუკავშირდნენ მეზობლებს და ევროპის სახელმწიფოებსაც. ამ ანტიოსმალურ კოალიციაში გურიელი უკვე დამოუკიდებლად გამოდიოდა.

XV ს-ის მიწურულიდან გურიის სამთავროს ფარგლებში ქანეთიც ჩანს. მისი სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი აღწევდა რკინისპალაომდე (ძველი ქართული პროვინციის — გიუმისხანეს მიდამოებში; მიტაცებული აქვთ თურქ დამპყრობლებს), მაგრამ 1512 წ. ახლოს ქანეთი და აჭარა გაძლიერებულმა მესხეთის ათაბაგმა მიითვისა.

XVI საუკუნეში კიდევ მეტად ვითარდება საქართველოში დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროთა გაფორმების პროცესი. დაშლა შემდეგშიაც ღრმავდება. ამის მიზეზია არა მარტო ქვეყნის შიგნით განვითარებული ღრმა სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, რაც ბატონყმობის საბოლოო გამარჯვებითა და მის ნიადაგზე წარმოშობილი სათავადოების სისტემით (XV ს.) აღინიშნა, არამედ საგარეო მტრების — ოსმალეთისა და ირანის დამპყრობლური

* მოხსენდა ისტორიის განყოფილების სხდომას 1950 წ. 4 იანვარს. შესრულებულია 1949 წ. სამუშაო გეგმით.

¹ ეამთაღმწერელი. ქართლის ცხოვრება. ხ. ჭიჭინაძის გამოც., 1897 წ., გვ. 531. მ. ნა-ქრალიძე. არქ. მუტ. გვ. 109, 142. ბოლოში ერთვის შენიშვნებში მიღებული ზოგიერთი შემოკლების განმარტება.

პოლიტიკაც. საქართველოს გამაერთიანებელი ძალების თავგამოდებულმა ბრძოლამ ამ ორ ფრონტზე საბოლოო მარცხი განიცადა.

XVI საუკუნის 30 — 40-ან წლებში იმერეთის მეფე ბაგრატ I (1510 — 1565) ენერგიულად იბრძოდა დასავლეთ საქართველოს სეპარატისტ მთავრების დამორჩილებისათვის. იგი არ ცნობდა აგრეთვე მესხეთის მთავრის დამოუკიდებლობასაც და, ისე როგორც ლუარსაბ ქართლის მეფე, საქართველოს პოლიტიკური მთლიანობისათვის იბრძოდა. იმ დროს, როდესაც ოსმალეთი მწვავე საფრთხეს უქმნიდა საქართველოს სამხრეთ პროვინციებს, ბაგრატის ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან გურიის მთავარიც მოიმხრო, მესხეთის შემოერთებაც მოახერხა და გურიელთან კავშირის განმტკიცების მიზნით მას ქანეთი და აქარა დაუბრუნა.

ფეოდალური საქართველოს ცხოვრება მთელი XVI საუკუნის განმავლობაში შეუჩერებელი დაცემის გზით მიექანებოდა. თურქეთ-ირანის ხანგრძლივი ბრძოლა ამიერკავკასიის დაუფლებისათვის საქართველოსთვის მძიმე შედეგებით დასრულდა. დამპყრობლებმა 1555 წ. ზავით შუა გაიყვეს საქართველო. დასავლეთ საქართველო და მესხეთის დიდი ნაწილი ოსმალეთს ერგო. ამის შემდეგ ოსმალეთი თანდათანობით იპყრობდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებს. მალე მან ქანეთი დაიპყრო, შეიჭრა აქარაში და ბათუმიც დაიკავა. ოსმალთა მიერ მესხეთის სრული დაპყრობის შემდეგ მათ აგრესიას ახალი წარმატება ელოდა.

გურიის მთავარი გააფთრებით ებრძოდა ოსმალთა დამპყრობლებს. მარტო მას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ძლიერი მტრის განდევნა. პოლიტიკურად დაშლილი საქართველო კი საგარეო საფრთხის წინააღმდეგ უკვე ვეღარ ერთიანდებოდა... მიუხედავად ამისა გურიელმა 1609 წ. მაინც შეძლო ოსმალთა განდევნა ბათუმიდან, მაგრამ დამპყრობლები მდ. კოროხის შესართავთან გამაგრდნენ. ამიერიდან გონიოს ციხე თურქების ხელში გადაიქცა ერთ ბაზად გურია-აქარის დასაპყრობად.

გურიის მთავარმა ვერ შეძლო კოროხთან გზის ჩაკეტვა ოსმალეთისათვის. ოსმალებმა თანდათანობით დაიპყრეს აქარის-წყლის სამხრეთ რაიონები, ბათუმი (XVIII ს-ის 20-ანი წლები), ციხისძირი, ქობულეთი და ხინო (XVIII ს. 80-ანი წლები). საქართველოს ამ რაიონებში „ოსმალთა“ დამყარდა. ამიერიდან გურიის სამთავროს საზღვარმა თურქეთთან მდ. ჩოლოქზე გადმოინაცვლა...

აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს: „... დასავლეთი საქართველო ენერგიულად იცავდა თავს ოსმალთა იმპერიისაგან. რა თქმა უნდა, ასეთი უთანასწორო ბრძოლა პატარა ქვეყნისათვის მთლიანად წარმატებითი არ შეიძლებოდა ყოფილიყო; მაგრამ მას ერთი უდაოდ დადებითი შედეგი ჰქონდა: დასავლეთ საქართველომ, რომელიც ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა ეცნო უცხო დამპყრობლის უმადლესი ხელისუფლებას, მაინც იძულებული გახდა სულტნის თურქეთი, რომ მისი საშინაო დამოუკიდებლობის მოსპობისაგან თავი შეეკავებინა, რითაც ეროვნული გადაგვარებისაგან თავი იხსნა...“¹.

¹ Н. Бердзенишвили. Очерк, გვ. 25 — 26.

აღნიშნულ ბრძოლაში გურია დასავლეთ საქართველოს საფარი იყო. იგი პირველი იგერიებდა სამხრეთ დასავლეთიდან მომდგარ მტერს და ამით ნაწილობრივ იცავდა იმერეთ-სამეგრელოსაც.

XVI — XVIII საუკუნეების განმავლობაში გურიის სამთავროს საშინაო ცხოვრება მიმდინარეობდა არა მარტო სულტნის თურქეთის წინა, ღმრღე გამუდმებული ბრძოლების ვითარებაში, არამედ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის გაჩაღებული საშინაო ბრძოლის პირობებშიც. გურიის მთავარს ბრძოლა ჰქონდა მეზობელ სამეგრელოს მთავართან, იმერეთის მეფესთან, რომელიც იბრძოდა გურია-სამეგრელოს მთავართა დამორჩილებისათვის, ცენტრალური ხელისუფლების აღდგენისათვის. ამავე დროს ძალზე ფართო ხასიათს ღებულობდა ოსმალთა ბარბაროსების მიერ აქ გაჩაღებული ტყვე ადამიანებით ვაჭრობა. ბატონყმური წყობილების პირობებში ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი მწარმოებელი კლასის ცხოვრება სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. ქვეყნის მოსახლეობა პროგრესულად მცირდებოდა.

დასავლეთ საქართველოში გაჩაღებული საშინაო ბრძოლა ხელს უწყობდა ოსმალთა დამპყრობლებს ამ ქვეყანაზე პოლიტიკური ბატონობის განმტკიცებაში. მეფე-მთავრები ცალ-ცალკე ეპატიჟებოდნენ ოსმალებს ერთიმეორის წინააღმდეგ; ასევე იქცეოდნენ თვითნება თავადებიც, ოსმალები კი თანდათანობით იკავებდნენ სტრატეგიულ პუნქტებს. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დამპყრობლების ხელში მოექცა არა მარტო ბათუმი, ციხისძირი, ფოთი, ანაკლია და სოხუმი, ანუ შ.ვი ზღვის საქართველოს სანაპირო მთლიანად, არამედ ქუთაისის, ბაღდაღის, შორაპნისა და სხვა ციხეებიც.

გურიელი, ისე როგორც დადიანი, შარვაშიძე, რაჭის ერისთავი და სეპარატისტი სხვა თავადები ერთად კმნიდნენ ფეოდალურ რეაქციას, რომელიც შიგნიდან ანგრევდა ქვეყანას, კიდევ მეტად აღრმავებდა დაშლის პროცესს და ლახვარს სცემდა გამაერთიანებელი ძალების ყოველგვარ ცდას ცენტრალური ხელისუფლების აღდგენისათვის. საგარეო ძალაც ობიექტურად ამ რეაქციის მხარეზე იყო. ქვეყნის მტკიცე გაერთიანება, სეპარატისტების ალაგმვა იმერეთის მეფის ძალას აღემატებოდა და მისი სამართლიანი ბრძოლაც მარცხს განიცდიდა.

იმერეთის მეფე სოლომონ პირველის დიდად ნაყოფიერი მოღვაწეობის დროს დასავლეთ საქართველოში მდგომარეობა რამდენადღე გაუმჯობესდა. შეიქმნა მშვიდობიანი სამეურნეო ცხოვრების განვითარებისათვის ერთგვარი პირობები. ქვეყანამ ცოტა ხნით მაინც შეისვენა თურქთა გამუდმებული თარეშისაგან, ადამიანებზე მონადირე ავაზაკებისაგან, მაგრამ დაცემის პროცესი მაინც გრძელდებოდა. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ (1784 წ.) დასავლეთ საქართველო კვლავ ძველებურად აირია. ატყდა ბრძოლა სამეფო ტახტისათვის, თვითნება მთავრები და თავადები ამ მომენტში კიდევ მეტად აღრმავებდნენ საშინაო განხეთქილებას.

XVIII საუკუნის მიწურულს გურიის სამთავროში ძალზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ძლიერი სოლომონ პირველს გარდაცვალების შემდეგ ოსმალთა ყაჩაღებმა თავი წააოპყვეს. ვახშირდა მტაცებლური თავდასხმები. ახალ-

ციხის ფაშა მარბიელ ავაზაკებსა და ტყვეების მტაცებლებს უსევდა გურიას. ისტორიკოს ნ. დადიანის გადმოცემით, XVIII საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული „დიდათ ეკირთებოდნენ თათარნი გურიასა და აწუხებდნენ მიხდომითა, კაცის კვლითა, და წარყვანითა ტყვეთა. კინილა და ყოველი გურია აღიხოცა, რომელნიმე თათართა მიყავდა და რომელნიმე განიბნენ იმერეთად თუ ოდიშად“¹.

1792 წ. გარდაცვლილი სიმონ გურიელის შემდეგ მთავრის მემკვიდრის სრულწლოვანებამდის სამთავროს მართვა-გამგეობა სიმონის ძმა ვახტანგს ჩაბარდა. ამ უკანასკნელმა ტახტის დამკვიდრება მოიწადინა. მაგრამ მემკვიდრის დედა — მარინე — თავის უმცროს მაზლს, ნიჭიერ ქაიხოსროს, მიენდო. ქაიხოსრომ მალე განდევნა უზურპატორი ვახტანგი. „მან ურყევი ნებისყოფით შეძლო თანდათანობით დაენერგა სიმშვიდე და წესრიგი ქვეყანაში, სადაც ბანგრძლივი დროის განმავლობაში ძლიერის უფლება ბატონობდა“².

თავისი დროისათვის შეტად განათლებულმა და ენერგიულმა ქაიხოსრომ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ტყვე ადამიანებით ვაჭრობას. ტყვეების მტაცებლებს კოცონზე წვავენენ. ამავე დროს ქაიხოსრომ გაამაგრა გურიის ციხეები, ალაგმა ოსმალეთის აჯენტი თავადაზნაურები და სამთავრო ხელისუფლება განამტკიცა³.

თავის შოღვაწეობისას ქაიხოსრო გურიელი მინცლამინც არ გამოდიოდა ვიწრო ფეოდალური ინტერესებიდან. ჩანს, რომ მას კარგად ჰქონდა წარმოდგენილი იმ დროის საქართველოს საერთო მდგომარეობა და პერსპექტივები. აღმოსავლეთ საქართველოში მეფის რუსეთის გაბატონებით (1801 წ.) ქაიხოსრომ, როგორც ჩანს, დაინახა არა მარტო ის ძალა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებელი თვითმმართველობა წაართვა, არამედ ის მოწინავე ძალაც, რომელსაც მახვილი უნდა ჩაეცა საქართველოს ისტორიული მტრებისათვის — თურქეთისა და ირანისათვის. კერძოდ, იგი რუსეთის დახმარებით ფიქრობდა ოსმალთა ძალადობის მოსპობას დასავლეთ საქართველოში, ოსმალების განდევნას შავი ზღვის საქართველოს ნაპირებიდან.

მაგრამ ამავე დროს ქაიხოსროს, რომელიც სოლომონ პირველისა და ერეკლე მეორის აზროვნების კაცი იყო, ღრმად სწამდა საშინაო დამოუკიდებლობის დაცვის აუცილებლობა, საქართველოს პოლიტიკური გამთლიანება; მასვე სწამდა, რომ საქართველოს საშინაო დამოუკიდებლობის შენარჩუნება შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ერთმორწმუნე ძლიერი რუსეთის მფარველობით და დახმარებით. ამ პოზიციებს ქაიხოსრო არ თმობდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგაც და სოლომონ მეორის მხარეზე იდგა.

აღნიშნულის დამადასტურებელი ისაა, რომ ქაიხოსრო გურიელი არ თანაუგრძნობდა სამეგრელოს მთავრის დადიანის ბრძოლას იმერეთის მეფისაგან დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ამ დროს ქაიხოსრო ხელს უშლიდა დადიანის განკერძოებულ კავშირს რუსეთის მთავრობასთან. ქაიხოსრო საქი-

¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება (საქ. სახ. მუხ. ფ. S, 9, გვ. 218 — 219).

² Мгор Мелешко. Спсны из мшнувшего в Гурии („Кавказ“ 1848 г., 1—2).

³ Бакрадзе. Арх. Пут., გვ. 348 — 349.

როდ თვლიდა მხარი დაეჭირა სოლომონ მეფის ბრძოლისათვის, რომელიც შიზნად ისახავდა საქართველოს გაერთიანებას რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოს მეფის საშინაო სუვერენიტეტის შენარჩუნებით. ჩანს, ქაიხოსროს აზრით, იმერეთის მეფის ბრძოლა სამართლიანი და პროგრესული იყო, ხოლო სამეგრელოს მთავრის მოქმედება მიუღებელი. ქაიხოსრო იჭერდა დადიანის კაცებს, რომლებიც კავშირს ამყარებდნენ ციციანოვთან...

მიუხედავად აღნიშნულისა, მეფის რუსეთმა დადიანი მაინც ცალკე მიიღო მფარველობაში, მისი ხელისუფლება გაქრობისაგან დაიცვა და იგი იმერეთის მეფეს დაუპირისპირა. მეფის რუსეთმა არ სცნო იმერეთის მეფის კანონიერი უფლებები სამეგრელოს სამთავროზე. მან უმჯობესად ჩათვალა პოლიტიკურად დაქსაქსულ დასავლეთ საქართველოში გაბატონება მეფე-მთავრებს შორის განხეთქილების გაღრმავების გზით.

სამეგრელოს მთავრის მიერ რუსეთის მფარველობის მიღების (1803) შემდეგ სოლომონ მეფე იძულებული ხდება მიიღოს რუსეთის მფარველობა (1804), რითაც დიდად იზღუდება მისი საშინაო დამოუკიდებლობა. იმერეთის მეფესთან სამფარველო ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთის მფარველობაში მიღებულად ცხადდება გურიაც. ეს გარემოება გურიის სამთავროს ფაქტიურ არსებობაში ცვლილებას არ აუღენს. ქაიხოსრო გურიელი მეფესთან კავშირს ინარჩუნებს, მაგრამ ეს კავშირი მანამდის არსებობს, სანამ გურიის სამთავროს ქაიხოსრო განაგებს.

1804 წ. ოქტომბერში რუსთა რაზმების გადმოსხმა მდ. ხობის შესართავთან, შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოსა და რუსეთის ისტორიაში. გაიხსნა საზღვაო გზა საქართველოსა და რუსეთს შორის. ამავე დროს იწყებოდა შავი ზღვის საქართველოს ნაპირებიდან ოსმალთა განდევნის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი.

1806 წლიდან მოყოლებული გურიის სამთავროს პოლიტიკური ცხოვრება რუსეთ-ოსმალეთის ომის ვითარებაში მიმდინარეობდა. ქართველობა ამ ომში რუსეთის მხარეზე იდგა და ოსმალეთის მიერ მინატაციები ტერიტორიების დაბრუნებისათვის იბრძოდა.

გურიის სამთავრო კარზე ამავე დროს განხეთქილებას ჰქონდა ადგილი. სამთავრო ტახტის მამიებელი ვახტანგი ბრძოლას განაგრძობდა. ტახტის კანონიერი მემკვიდრე მამიაც სრულწლოვანი ხდებოდა. ისახებოდა კონფლიქტი მამიასა და ქაიხოსროს შორის. ახალგაზრდა მამია თავს შეუტრაცხოფილად უგრძობდა, რომ რუსეთის მთავრობამ მას დადიანისაგან არ გაუფორმა სამფარველო ხელშეკრულება. ეს გარემოება ნოციერ ნიადაგს უქმნიდა მეფის რუსეთს, დაეთესა განხეთქილება გურიელსა და იმერეთის მეფეს შორის და თავიდან მოეცილებინა იმერეთის მეფე სოლომონი, რომელიც საშინაო სუვერენიტეტს არ თმობდა. მეფის რუსეთის მთავრობა კი იმერეთის მეფეს უკვე აღარ ითმენდა და ხმებს ჰყრიდა თითქოს სოლომონი ოსმალეთის მომხრე და რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი იყო.

კერძო ფეოდალურ-მთავრული ინტერესებით აღქურვილი მამია გურიელის მომხრობა რუსეთის მთავრობისათვის ადვილი იყო. იმ მომენტში, როდესაც რუსთა და ქართველთა რაზმების ბრძოლა ფოთის ციხეში მოკალათებული ოსმალების წინააღმდეგ გაჭიანურდა და შევიწროებული თურქული გარნიზონის საშველად ახალციხის ფაშა დიდი ლაშქრით მოდიოდა ზღვის სანაპიროს გასწვრივ, გურიელმა თავისი რაზმით მოულოდნელად დაარტყა ოსმალებს და ფოთის აღების საკითხი ამით გადაწყვიტა (1809 წ.).

გურიელის წარმატებითი მოქმედების მთავარი პირობა იყო ქართველი ხალხის შეურიგებელი სიძულვილი ოსმალთა დამპყრობლებისადმი.

ფოთის ციხის აღების შემდეგ რუსეთის მთავრობა იმერეთში მეფის ხელისუფლების გაუქმებისათვის იბრძვის. მან იცის, რომ ეს საქმე უომრად არ გადაწყდება. ამავე დროს გრძელდება ომი ოსმალეთთან და სპარსეთთან. რუსეთის სარდლობას საკმაო ჯარი არ ჰყავს. ეს მთავრობა მიმართავს მეფეთმთავართა ერთმეორეზე მისისიანების ნაცად ხერხს. სამეგრელოს მთავარი აცხადებს მზადყოფნას იმერეთის მეფის წინააღმდეგ. ეს ძალა საკმაო არ ჩანს. საჭირო ხდება გურიელის დაიმედება, რომ მას დადიანის მსგავსად მიიღებენ მფარველობაში, თუ იგი იმერეთის მეფის წინააღმდეგ იბრძოლებს და ეს ბრძოლა რუსეთის სარდლობას იხსნის იმერეთში დამატებითი რაზმების გადმოსროლისაგან. იმავე დროს ფიქრობენ რაჭის საერისთაოს აღდგენაზეც...

პოლიტიკური კონზინაცია დასრულდა: გურიელმა და დადიანმა რუსთა რაზმებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს იმერეთის სამეფოს გაუქმებაში (1811 წ.). რუსთა სარდლობა მაინც იძულებული გახდა დამატებითი რაზმები გადაესროლა იმერეთში და გურიელთან დადებული პირობაც შეესრულებინა. იმერეთის სამეფო გაუქმდა. სოლომონ მეორის ენერგიულმა ბრძოლამ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის საბოლოო მარცხი განიცადა.

მეფის მთავრობა დარწმუნდა, რომ მთავართა ხელისუფლების შენარჩუნება აღნიშნულ ეტაპზე საჭირო იყო საქართველოში რუსული რეჟიმის გავრცელებისათვის და აქ ბატონობის შენარჩუნებისათვის.

იმერეთში მეფის ხელისუფლების გაუქმებასთან დაკავშირებით გურიელის მფარველობაში მიღება საქართველოს მთავარმმართველმა ტორმასოვმა რუსეთის მეფის დაუკითხავად მოახდინა. ტორმასოვის მიერ ამ აქტის დასაბუთება აშკარად ახასიათებდა იმ დროს მეფის რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში.

ტორმასოვის აზრით, გურიელის მიღება მფარველობაში და მისი „დამოუკიდებლად დატოვება“ შეამსუბუქებდა რუსეთის მდგომარეობას იმით, რომ გურიელი „თვითონ იქნებოდა ვალდებული დაეცვა თავისი საზღვრები“ თურქთა შემოტევებისაგან და რუსეთს იქ მხოლოდ მცირე რაზმის ჩაყენება მოუხდებოდა, ისიც არა ყოველთვის. გარდა ამისა, რაც მთავარი იყო: „ამ საკმაოდ ვრცელი ქვეყნის (დას. საქართველოს, მ. დ.) გაყოფით ოთხ სამფლობელოდ, როგორც მაგალითად, იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი, რომელთაგან 3 უკანასკნელს მართავენ განსაკუთრებული მფლობელები თავიანთი უფლებებით, კანონებითა და ქვეყნის ჩვეულებებით, ადვილი იქნება მისი

შენარჩუნება საჭირო მორჩილებაში იმ რაზმების რიცხვით, რომლებიც ახლა იქ იმყოფებიან, მით უფრო რომ აუცილებელ შემთხვევებში შესაძლებელი იქნება ერთი მთავრის ძალა მეორეს დაუპირისპიროთ¹. იქვე ტორმასოვი დასძენდა, რომ აღნიშნული მიზეზების გამო „მან გაბედა“ გურიელთან სამთავრო ხელშეკრულების გაფორმება².

გურიელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გურიაში მუდმივ სამყოფელად რუსთა რაზმის გარკვეული რაოდენობა ჩააყენეს. მთავარს ევალებოდა „ზომიერ თასებში“ მოემარაგებინა რაზმები სურსათით, გამოეყო ბინა, მიეწოდებინა სათბობი და სხვ. ეს გარემოება გურიის გლეხთა ექსპლოატაციას კიდევ უფრო ამწვავებდა.

1810 წლიდან, იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, დასავლეთ საქართველოში განუზრვლად მტკიცდება მეფის რუსეთის ბატონობა. ამიერიდან ცალკეული ავტონომიური ერთეულების არსებობა დროებითი იყო, იგი რუსეთის პოლიტიკურ მიზნებს არ ეწინააღმდეგებოდა, პირიქით, გარკვეულ მომენტებში ხელს უწყობდა კიდევ. გურიელის სამთავრო, ისე როგორც დადიანის სამთავრო, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენდა ისეთ პოლიტიკურ ერთეულს როგორსაც იმერეთის სამეფო. ეს სამთავრო „იმდენად არსებობდა, რამდენადაც ის საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენას მიზნად არ ისახავდა და რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკის განხორციელებას ხელს არ უშლიდა“².

გურიის სამთავრომ 1828 წლამდე იარსება. ამ წელს კი რეგენტი სოფიოს „ლალატის“ საბაბითა და ოსმალეთთან მიმდინარე ომში გამარჯვების ვითარებაში მეფის რუსეთმა სამთავრო გააუქმა.

მეფის რუსეთის ბატონობის განმტკიცებას საქართველო-ამიერკავკასიაში მრავალი საგარეო და საშინაო წინააღმდეგობა აბრკოლებდა. XIX ს. ნის პირველი ნახევარი გამუდმებული ბრძოლებით ხასიათდება. მაგრამ ამ ბრძოლას მკვიდრთათვის, მიუხედავად მათი მეტად მძიმე მდგომარეობისა, საბოლოო ანგარიშში, საგარეო სიმშვიდის დამყარება და სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის წინანდელთან შედარებით უკეთესი პირობა მოჰქონდა.

1. სამეურნეო მდგომარეობის ზოგადი დახასიათება

რუსეთის მთავრელობაში შესვლისას გურიის სამთავრო ტერიტორიულად შევიწროებული იყო, ოსმალეთის მიერ მიტაცებული ქობულეთ-აჭარიდან გურიას ჰყოფდა მდ. ჩოლოქი, რომლის გასწვრივ სამხრეთი საზღვარი მიმართებოდა გურია-აჭარის მთების გაყოლებით და უერთდებოდა მესხეთის

¹ Акты. т. IV, 83. 437.

² მ. დუმბაძე. სამეგრელოს სამთავრო 1803—1857 წწ. თეზისები, თბილისი, 1945 წ.

შთებს; აქედან, მეფისწყაროს მწვერვალთან, საზღვარი უხვევდა ჩრდილოეთით თათლოვანის მთისაკენ, თათლოვანიდან კი ჩრდილო-დასავლეთით — საყვავის-ტყის მთაგრეხილისაკენ.

აღმოსავლეთიდან გურიის ემიჯნებოდა იმერეთი. სამთავროს ფარგლები შევიწროებული იყო ჩრდილოეთიდანაც, სამეგრელოს მხრიდან. წინათ საზღვარი გადიოდა მდ. რიონზე, ახლა იგი მდ. ფიჩორაზე იყო გადმონაცვლებული. ფოთის მიდამოებიდან სამთავროს ჰყოფდა მდ. მალთაყვა (იგივე კაპარკინე). დასავლეთიდან გურია ეკვროდა შავ ზღვას ჩოლოქის შესართავიდან მოყოლებული ვიდრე პალიასტომის ტბამდე¹.

1810 წლიდან გურიის სამთავროს სამხრეთი საზღვარი, ჩოლოქიდან გურია-აჭარისა და მესხეთის (ჩილდირის) მთების გაყოლებით, წარმოადგენდა აგრეთვე რუსეთსა და ოსმალეთს შორის სახელმწიფო საზღვრის ნაწილს. ამ ხაზზე რჩებოდა მიჯნა ამ ორ სახელმწიფოს შორის ვიდრე 1878 წლამდე; თუმცა 1829 წ., როდესაც რუსეთმა მესხეთის ერთი ნაწილი შემოიერთა, გურიის სასაზღვრო ხაზის ბოლო კიდურმა სამხრეთით გადაინაცვლა, მაგრამ გურიის სანაპირო მდგომარეობა ამით არ გაუმჯობესებულა. იგი რჩებოდა მტრული ოსმალეთის მეზობლობაში როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდანაც.

XIX ს-ნის დამდეგს გურიის სამთავროს მოსახლეობა დაახლოებით 30—35 ათას სულამდე აღწევდა². ცალკეული სოფლებისა და უბნების მცხოვრებთა რაოდენობა და მათი ზრდის გათვალისწინება ცნობების უქონლობის გამო შეუძლებელი ხდება. სამთავროს მოსახლეობისათვის ნიშანდობლივი იყო მამაკაცებთან შედარებით ქალთა რაოდენობის სიმცირე (4:3). ამ გარემოებას ხსნიდნენ იმით, რომ აღწერალობათა დროს გურულები ქალებს მალავდნენ³.

აღნიშნული შეფარდების მთავარი მიზეზი უნდა ყოფილიყო გურიიდან ქალების ხშირი ტაცება ოსმალთა ყაჩაღების მიერ.

¹ სამთავროს საზღვრების შესახებ ცნობები სხვადასხვა: ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართვ., 174; Бакрадзе. Арх. пут., 98; Чудиннов. Вост. Гүрийцев, 218; Энциклоп., т. 13; Гильденштедт. Геогр. Опис., 368; „Тифл. Ведомости“, № 2, стр. 42. დ. ბაქრაძე მიუთითებდა, რომ ფოთი და პალიასტომი გურიელისა იყო (დასახ. ნაშრ., 96).

² მოსახლეობის რიცხვის შესახებ ცნობები მეტისმეტად ჭრულია. ამის მიზეზი ისაა, რომ XIX ს. I ნახევრის მთელ მანძილზე რუსულ მმართველობას საერთოდ არ გააჩნდა ზუსტი ცნობები მოსახლეობის შესახებ.

გილდენშტედტის ცნობით (1772 წ.), გურიაში 5.000 ოჯახი იყო (დასახ. ნაშრ., 372). „თბილისის უწყებანი“ 1832 წ. — 36. 720 სულს მიუთითებს („Тиф. Вед.“, № 2, გვ. 42). 1837 წ. ცნობით, გურიაში 31 ათასი სულია (Вронченко, т. 193). არის სხვა ცნობებიც: თ. სახოკია. გურია-აჭარა, „შოამბე“, 1897 წ., XI, გვ. 39; Бакрадзе. Арх. пут., 98—99; Сборник стат. свед. о Кавк., т. 1, 1869 г., 20; Швецкий. Стат. оп. Зак. Кр., стр. 161—165. პროფ. ფირცხალიაშვილი იზიარებს ცნობას იმის შესახებ, რომ XVIII ს. ბოლოს გურიაში 25—30 ათასამდე მცხოვრ. იყო, ხოლო XIX ს. 30-ანი წლებისათვის 36700 (Пирикалаишви-ли, Имерет. Гур., 21).

³ Вронченко, т. 193. XIX ს. 60-ანი წლებისთვისაც გურიაში მამაკაცთა რაოდენობა უპარბობდა (51719: 46.590). Бакрадзе. Арх. пут. 98. გურიის საზღვრებისა და მოსახლეობის შესახებ საგულისხმო ცნობები მოჰყავს ს. მეგრელიძეს (Лавский и мер. саои в гურიском, 36—40).

* *

გურიის რელიეფი უმეტესად მთიანია. მხოლოდ ზღვის პირის დაბლობში, მდინარეების გასწვრივ მდებარე მიწები გამოირჩეოდნენ თავისი ნაყოფიერებით. ასეთი მიწების რაოდენობა შედარებით ცოტა იყო. ეს გარემოება თავისებურ გავლენას ახდენდა მშრომელთა მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაზე.

გურიაში, ისე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში, მიწათმოქმედების პრიმიტიულ-ფეოდალური ფორმები ბატონობდა. XIX ს-ის დასაწყისშიაც მიწის დამუშავების ხასიათი თითქმის არაფრით არ გასცილებია უფრო ადრინდელ საუკუნეებში არსებულ მდგომარეობას.

„განუვითარებელი საშუალოსაუკუნოებრივი ტექნიკის დროს, — წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის ბუნებრივი პირობები გაცილებით უფრო მძიმეა და არახელსაყრელი, ვიდრე იგივე პირობები აღმოსავლეთ საქართველოში. საშუალო საუკუნის მწარმოებელი სავსებით უძლურია ებრძოლოს ჰავის მოქარბებულ ნესტიანობასა და ქაობებს. აქ იგი ან პასიურად ეგუებოდა პირობებს, ან, სადაც ეს შეუძლებელი ხდებოდა, გარბოდა... ამიტომ მდინარისპირა მალაღნაყოფიერი ველების ვეებერთელა სივრცე სავსებით გამოუყენებელი რჩებოდა, და საშუალო საუკუნის მწარმოებელი ეწყობოდა ნაკლებმოსავლიან ქანობებსა და ბორცვებზე, გაურბოდა რა მეტად მზარდ ქაობებსა და მალარიას (არახელსაყრელ კლიმატურ პირობებს, მალარიას, დასავლეთ საქართველოში უჩივის საშუალო საუკუნის არაერთი წყარო). მაგრამ ჰავის უზომო ნესტიანობა აქაც, ქანობებსა და ბორცვებზე, ფრიად ზღუდავდა სოფლის მეურნეობის დარგებსა და მასშტაბებს“¹.

მწარმოების ფეოდალური წესი და სოფლის მეურნეობის პატრიარქალური ტექნიკა იყო იმის მიზეზი, რომ მიწის ნაკვეთთა სიმცირის მიუხედავად მათი დიდი უმეტესობა აუთვისებელი რჩებოდა.

მშრომელთა უმრავლესობა, მთიან ადგილებში რომ ცხოვრობდა, მიწას თოხით ამუშავებდა. აქ მას იმ ხის გუთნის გამოყენებაც არ შეეძლო, რომელიც ბარში იყო ხმარებაში. თუმცა ბარის მიდამოებშიაც ხის გუთანის რკინის სახნისით ყველასთვის მისაწვდომი როდი იყო. ყველას არ გააჩნდა გამწევი ძალა. მავალითად, აკეთისა და ნაგომრის სამოურავოში, სადაც 100-ზე მეტი კომლი იყო, მხოლოდ 29 ხარსა და 19 ცხენს ითვლიდნენ².

¹ Н. Бердзенишвили. Очерк, 23.

² აკად. ნ. ბერძენიშვილია გაგვაცნო გურიის სამთავროს შესახებ 1828 წლის მეტად მნიშვნელოვანი საბუთები. ეს საბუთები წარმოადგენს სამთავროს გაუქმების მომენტში მოხარავთა მიერ შედგენილ ანგარიშებს სამთავრო ყმა-გლეხებზე გაწერილი გადასახადებისა და საერთოდ მთავრის სახლის შემოსავლის შესახებ. ასეთივე საბუთების ერთი ნაწილი, რომელიც აკად. ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების აუწერელ ფონდში ინახება, გაგვაცნო დოც. კ. გრიგოლიამ.

აღნიშნულ საბუთებს დიდი მნიშვნელობა აქვთ სამთავროს სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის დახასიათებისათვის.

მეურნეობის ჩამორჩენილობის ერთი სერიოზული ნიშანი იყო ის, რომ მიწა, თუ მხედველობაში არ მივიღებდით ბარის შლამიან ზონას, სამი წლის თესვის შემდეგ ჩვეულებრივ იფიტებოდა. გლეხი ვერ ახერხებდა მიწის განაყოფიერებას. მას საამისო ცოდნაც არ ჰქონდა. ამიტომ იგი იძულებული ხდებოდა მიეტოვებინა გამოფიტული მიწა და ახალი მოეძებნა¹. ეს გარემოება მას კიდევ უფრო მძიმე კაბალაში აგდებდა და შრომის ხალისს უკარგავდა. კიდევ ბევრი რამ უწყობდა ხელს მეურნეობის დაცემას.

ჯერ კიდევ 1772 წ. გილენშტედტი წერდა, რომ გურია მარცვლეული კულტურებისა და მესაქონლეობის განვითარებისათვის ნაყოფიერ ნიადაგიანი ქვეყანა იყო, მაგრამ თურქების შემოსევებისა და მთავართა ხშირი ცვლის გამო ეს მხარე „უალრესად გაჩანაგდა, უნაყოფო და დაუშუშავებელი გახდა ისე, რომ მდგომარეობის დიდი გამოსწორების იმედიც კი არაა“-ო². ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა 1772 წ. შეჭდევაც დიდი ხნის განმავლობაში.

საქართველოს სხვა პროვინციებთან შედარებით გურიაში უფრო მწვავედ იგრძნობოდა მიწის ნაკლებობა. ეს ახასიათებდა არა მარტო მწარმოებელი კლასის, არამედ გაბატონებული კლასის მდგომარეობასაც. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ასკანელი გლეხის მოსწრებული თქმა: „დასაძინებლად რომ ვწვები, თავი ერთის მამულში მიძევს, ფეხები მეორისაშიო“³.

მიწის ნაკვეთების სიმცირე და მუშა საქონლის დიდი ნაკლებობა მეტად ამძიმებდა გურული გლეხის მეურნეობის პირობებს. იგი ზოგჯერ ტყეს კაფავდა — „ახოს“ ჭრიდა, ან ცეცხლს უკიდებდა ტყეს სათესი ფართობის მისაღებად, მაგრამ ესეც უდიდეს სიძნელებთან იყო დაკავშირებული. ბატონყმური ურთიერთობით შეზღუდულ მწარმოებელს ნაკლებად შეეძლო ბუნებრივ უპირატესობათა გამოყენება თავისი ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები გურიაში, ისე როგორც დასავლეთ საქართველოში საერთოდ, იყო ღომი და სიმინდი.

საშინაო მოხმარების გარდა, როგორც 1832 წ. ცნობიდან ჩანს, სიმინდი და ღომი გაჰქონდათ გურიიდან მეზობელ ახალციხის საჟუაშოში⁴. თავისი ხარისხით აქაური ღომი და სიმინდი შავი ზღვის პირის სხვა რაიონების მოსავალთან შედარებით უმჯობესი იყო. კარგი იყო სიმინდის მოსავალი დაბლობებში, რომლებსაც მკვიდრნი მერეებს (მერიებს) ეძახდნენ; ასე მაგ, შეკვეთილში, ჩოჩხათში, ბაილეთში, სპოტიეთში ანუ ვაშნარში, ლენაურში, შემოქმედში და სხვ.⁵

¹ ასეთ მდგომარეობაზე მიუთითებდა გურიაში ჩამოსახლებული მარი 1822 წ. (გ. ხაქაპურიძე, გურიის აჯანყება 1841 წ., გვ. 8). „სოფლის მეურნეობა სრულიად ვერ აკმაყოფილებდა გლეხთა არსებით მოთხოვნებს“ (იქვე).

² Гильденштедт. Географ. и статист. опис., გვ. 368. ფრანგი მოგზაური გამბა (1825 წ.) აღნიშნავდა, რომ გურია დაფარული იყო ტყეებით, რომელთა შორის კარგი საძოვრები და „ალაგალაგ“ დამუშავებული ნაკვეთებიც იყო (Gamba. Voyage dans la Russie, 120).
³ ფ. Махарадзе. Очерки рев. движ. в Закавказ. გვ. 153; ციტირებულია გ. ხაქაპურიძის წიგნიდან — გლეხთა მოძრაობანი საქ. მე-19 ს., გვ. 92.

⁴ „Тиф. ведом.“ 1832 წ. № 42, გვ. 45 — 46. XIX ს. 70-ან წლებში გურიაში ღომის აშლტურა მეტად დაცემულია (Бакрадзе. Кр. оч. Гурии. 224).

⁵ Д. Бакрадзе. Крат. оч. Гурии, 224.

ლომი ხარობდა უფრო მაღლობ ადგილებში. ცნობილი იყო 6 სხვადასხვა ჯიშის ღომი: თეთრი, ბარამელა, ძირდაბალი და სხვ., რომელთაგან ყველას სჯობდა თეთრი. სიმინდის კულტურის შემოსვლიდან (XVII ს.) ღომი, როგორც ნაკლებად რენტაბელური კულტურა, რომლის მოყვანა დიდ სიძნელებებთან იყო დაკავშირებული, თანდათანობით იდევნებოდა¹. ღომის განდევნის ეს პროცესი ჩანს ჩვენთვის საინტერესო პერიოდშიაც.

მარცვლეულის გამზიდველი, ისიც კარგი მოსავლის შემთხვევაში, იყო მაღალი წოდება, დიდი მამულის მქონე თავადაზნაურობა, გლეხობა კი საზრდოს მინიმუმსაც მოკლებული იყო.

გურიელის სახლთუხუცესად ნამყოფი დავით მაქუტაძე 1844 წ. სწერდა მთავარმმართველ ნეიდგარტს: „...ნაწარმოებნი ჩვენის ქვეყნისანი, ესე იგი სიმინდი და ღომი, ესოდენ დიდსა მოითხოვენ ნუშაკობასა, რომელ მუშაკობის ოცის თავი სარგებლობა მათგან არ გამოდის... მარტოხელა მცხოვრებთა არა თუ ოდენ ხშირად ექმნებათ თვით უკიდურესი ნაკლულოვანება ტანისა და ფეხის სამოსში, არამედ არსებითსა საზრდოსა შინაცა“...².

მეურნეობის ერთი მნიშვნელოვანი დარგი მევენახეობა იყო. ინტენსიური მევენახეობა საქართველოში დაშლილობის ხანაში თანდათანობით ეცემოდა. „დაბლარი“ ვენახი გზას უთმობდა მაღლარს — მეურნეობის ამ ჩამორჩენილ საფეხურს, რომელიც პრიმიტიულ სამეურნეო საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. აღებული პერიოდის გურიის სამთავროში „მაღლარი“ ბატონობდა. მხოლოდ შედარებით გვიან, 40-ანი წლების შემდეგ, იწყება ძველი ინტენსიური მეურნეობისაკენ შემობრუნების ცდები. 60-ანი წლების ცნობებში ვკითხულობთ:

„იმერეთსა და გურიაში ვენახის ბაღები ორგვარია:

1. სარებზე მიკრული ვაზები, ე. წ. დაბლარი და 2. ხეებზე ასული ვენახი, „მაღლარი“³.

გურიაში გამოირჩეოდნენ ვაზის ადგილობრივი საუკეთესო ჯიშები — ჩხავერი, ბადაგი, ჯანი, მტევეანდიდი და სხვ.,⁴ რომლებიც სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოჭრამ გაანადგურა⁵. ჩანს, რომ წინათ, ვიდრე აქ ყირიმული⁶ ვაზის ჯიშს — იზაბელას — გამანადგურებელი. სენი არ ჰქონდა

¹ თ. სახოკიას გადმოცემით, XIX ს. მიწურულისათვის „მთელს გურიაში ღომი სიმინდზე 16-ჯერ ნაკლები“ მოდიოდა. 1896 წ. მოსულა 2 832 900 ქილა სიმინდი, ღომი კი — 176, 557 ქილა (გურია-აჭარა, „მოამბე“, 1898 წ., № 1).

² გ. ხაჭაპურიძე. გურიის აჯანყ., 1841 წ., 81.

³ *Сельское хозяйство и аграрные отношения*, т. II. Под. ред. проф. Гугушвили, 1950 г. გვ. 31.

⁴ მ. რამიშვილი. გურიის, სამეგრელოს, აჭარის ვაზის ჯიშები, გვ. 68 — 71, 73 — 76, 82 — 85; *Накашидзе. Очерк виногр.*, 68; *Эристов А., Сельско-хоз. писма*, გვ. 378 — 379.

⁵ ბაქრაძის ცნობით, ფილოქსერა პირველად გამოჩნდა 1853 წ. (Кр. соч. Гური, 224), ნაკაშიძის ცნობით — 1851 წ., იგი აღნიშნავს: „ფიქრობენ“, რომ ფილოქსერა შემოყვა იზაბელას, რომელიც პირველად გამოიწერა დავით დადიანმა (*Очерк винограл.*, 56).

⁶ ბაქრაძე იზაბელას (ადესას) „ყირიმულს“ უწოდებს (დასახ. ნაშრ., 224), ხოლო მ. რამიშვილი „ამერიკულს“ (დასახ. ნაშრ. გვ. 2).

შემოტანილი, გურიიდან ღვინოც გაჰქონდათ¹. ამ სენის გავრცელებას შემდგომში ღვინის დაწურვის ტექნიკაც დაუქვეითებია; განიღვენა ღვინის დასაწური ქახრაკები².

გურიის მთავარი რამდენადმე ზრუნავდა სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებაზე. მან დახმარება გაუწია ინგლისელ ვაჭარს — იაკობ მარს, რომელსაც მიწის ნაკვეთი მისცა ჩოხატაურის ახლოს, ბუკისციხეში. გამბას ცნობით, მარმა გურიელისაგან მიიღო მიწის ნაკვეთი და 7 გლენი. სამაგიეროდ იგი უნდა ცდილობდა, რომ გურიაში ანდიგო გავრცელებინა³. ინდიგოს გავრცელებას საქართველო-ამიერკავკასიაში მთავრობაც ცდილობდა, მაგრამ ცდამ შედეგი ვერ გამოიღო.

დასაწყისში მარის საქმიანობას წარმატება არ უჩანდა⁴. ბოლოს მან გააშენა ადგილობრივი ჯიშის ვენახები და მალე ხელი მიჰყო ღვინით ვაჭრობას. ღვინოს იგი ჰყიდდა ქუთაისში. ამ ვაჭრობის ყოველთვიური ბრუნვა უდრიდა 2—2 ¹/₂ ათას ფრანკს⁵.

მარს უცდია ლანჩხუთში ბამბის პლანტაციის მოწყობა, ინდიგოს თესვაც, მაგრამ უშედეგოდ⁶. მხოლოდ გვიან, როგორც ჩანს 50-იანი წლების შემდეგ, ინგრეთ-გურიის დაბლობში ბამბის პლანტაციებიც გაუშენებიათ⁷.

სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგებიდან აღსანიშნავია მებაღეობა⁸, მეფუტკრეობა, მეთამბაქობა და სხვ.⁹ შედარებით უფრო განვითარებული იყო მეფუტკრეობა. გამბას თქმით (1826 წ.), გურიაში ცვილისა და თაფლის „ბევრი რაოდენობა“ იყო. თაფლის ერთ სახეს გამბა „იტალიის უკეთეს თაფლს“ ადარებდა, მეორეს (რადოდენდრონის), რომელიც მთიან ადგილებში იყო, მათრობელას უწოდებდა¹⁰. ძველთაგანვე ცნობილი იყო გურიაში საუკეთესო ხარისხის „სანთლის არაყი“, რომელსაც ხდიდნენ უმთავრესად მთიან სოფლებში — ერკეთში, სურებში, ქანიეთში, აჭიში, განსაკუთრებით კოსოფ. გომში¹¹.

¹ ბ ა ქ რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., 223.

² ნ ა კ ა შ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., 107.

³ Gamba. Voyage, т. I, 121.

⁴ მარმა მოაწყო დაბლარი, მაგრამ 3 წლის ხრდის შემდეგ ვენახმა ნაყოფი არ გამოიღო (Dubois. Voyage, т. III, 114).

⁵ Dubois. Voyage, т. III, 111, 115.

⁶ იქვე. 114.

⁷ Сельское хов. и аграрн. озн. т. II, გვ. 412.

⁸ გამბას თქმით, „ცოტა აბრეშუმი“ და ბამბა ადგილობრივი მოხმარების საგნები იყო (Gamba. Voyage. т. I, 122).

⁹ XIX ს. 70-იან წლებისთვის ოზურგეთის მაზრაში ბაქრაძეს უნახავს ბამბისა და თამბაქოს დიდი პლანტაციები. თამბაქო, მისივე თქმით, არაფრით არ ჩამოუვარდებოდა „ოსმალურს“ (Краткий оц. Гурин, 224).

¹⁰ Gamba. Voyage. 122 — 123.

¹¹ სოფ. გომში თ. სახოკიას უნახავს 40 მეფუტკრე ოჯახი, რომელთაც 400-დე ბუკი ჰქონდათ. 1897 წ. ფუთი თაფლი ფასობდა 2,5 მანეთიდან 3 მანეთამდე, სანთელი — 18 მან., სანთლის არაყი (ერთი „ვერშუტის“ ბოთლი) — 1 მან., ქაქის არაყი — 9 — 10 შაური“.

აღებული პერიოდის სამთავროში მეცხოველეობა ძალზე ნაკლებად განვითარებული იყო. შედარებით ჭარბობდა წვრილფეხა საქონელი. ამის ერთი მიზეზი საძოვარი ადგილების ნაკლებობა იყო.

როგორც ვხედავთ, სამთავროში სოფლის მეურნეობა ადგილობრივ მოთხოვნილებათა მიწინააღმდეგე დაკმაყოფილებით იყო შეზღუდული. მოტანილი მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ ეს მეურნეობა მეტად ჩამორჩენილ საფეხურზე იდგა. ამის მიზეზი არა მარტო ის იყო, რომ მწარმოებელი კლასის სამეურნეო მოღვაწეობა მძიმე ბატონყმური უღლით იყო შეზღუდული, არამედ ისიც, რომ ადრე დაწყებულმა დაცემის პროცესმა საწარმოო ძალები მეტად დააზიანა. განვითარება დიდი ხნით შეჩერდა. ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო საჭირო სამეურნეო ცხოვრების შედარებითი გაუმჯობესებისათვის.

სამთავროში არსებული ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის უკეთესი გაცნობისათვის საჭიროა ამ დროისათვის ძირითადად სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ვაჭრობა-ხელოსნების ზოგადად მაინც დახასიათება, ეს შესაძლებელი ხდება ადგილობრივი ბაზრების შესწავლის საფუძველზე.

ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალა ძალზე ნაკლებად იძლევა საშუალებას XIX ს-ის I მესამედის სამთავროში ბაზრების შესწავლისათვის.

მოვიყვანოთ არსებულ მეტად ძუნწ ცნობებს.

1808 წ. გურიის დროებითა მმართველმა ქაიხოსრო გურიელმა სოლომონ მეფის მითითებით და ადგილობრივი სამღვდლოებისა და თავადების მონაწილეობით საბაზრო საქონელზე ნიხრი დააწესა. გურიელი ამ ღონისძიებას „მოსახლეობის კეთილდღეობისა და ვაჭართა ბოროტმოქმედების ასალაგამავ“ საშუალებად აცხადებდა. ნათქვამი იყო, რომ „მუდმივი ფასები“ უნდა დაწესდეს¹. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ფიქრობდნენ ფასების შემცირებას. ასეთი მოტივების ქვეშ იმალებოდა გურიის მთავრის ნამდვილი სურვილები. სინამდვილეში გურიელი, როგორც სავაჭრო მოგების მონაწილე, ნიხრითა და ბაჟებით საკუთარი შემოსავლის გაზრდისათვის იბრძოდა. ნიხრის ბოლოში ნათქვამი იყო:

„ვინც აღნიშნული ნიხრით დაწესებულ ფასებზე უფრო ძვირად გაჰყიდის, მას გადაეხდებიან როგორც გურიელისა და ხალხის მოლაღატეს; ამასთანავე გადაეხდებიან მას გურიელის სასარგებლოდ ჯარიმა 100 მარჩილი. ამის გარდა, ვინც აღნიშნულ საგნებს გურიიდან გაზიდავს გასაყიდად, გასაყიდი საქონელი იმის იქნება, ვინც მას დაიჭერს, ხოლო ჯარიმა 100 მარჩილს გურელს გადაუხდის“².

გურიელის ნიხრი უშუალოდ გამომდინარეობდა სოლომონ მეფის მიერ თავის სამეფოში იმავე 1808 წ. დადგენილი ნიხრიდან. ნიხრის დაწესების მიზეზები აქ უფრო ნათლად ახსნილი. აღნიშნულია, რომ ხალხის მდგომარეობა მეტად მძიმეა, რადგან მას ხელმისაწვდომ ფასებში არ შეუძლია საჭირო საგნების შექენა, განსაკუთრებით „შეჭირვებულებსა და გლახაკებს“.

¹ Б а к р а д з е . А р х . п у т . , 329 — 330.

² იქვე.

ასეთი მდგომარეობა გამოცხადებულია „აღშლილ წესად“, რომელიც „უკანონო ვაჭრობის მოაზრებმა“ საკუთარი გამდიდრების მიზნით შექმნეს¹. ამიტომ მეფე, რომელიც აგრეთვე საეაქრო მოგების მონაწილეა და ფულადი შემოსავლის გაზრდისათვის იბრძვის, აწესებს შემზღუდველ ნიხრს.

ჯარიმა 100 მორჩილი, რომელსაც მეფისა და გურიელის ნიხრები აწესებდნენ, ძალზე დიდი იყო. ეს მაშინ, როცა ერთი ძროხა 12 მარჩილი ღირდა. ნათლად ჩანს, თუ როგორ დიდად იზღუდებოდა ბაზრის განვითარება.

სამთავროს ბაზრის დახასიათებისათვის აღნიშნულ ნიხრებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ. ისინი მეტად საინტერესო არიან როგორც ბაზარზე გამოსული საქონლის საერთო ხასიათის, ისე ფასებისა და ფულის ნიშნების სხვადასხვაგვარობის თვალსაზრისით. ბაზარზე გამოდიოდა როგორც ადგილობრივი მეურნეობის პროდუქტები (ღომი, ღვინო, ქერი, პური, ღობიო, თაფლი, სანთელი, ყველი, კარაქი, შინაური ფრინველები, ოთხფეხი საქონელი, კერამიკული ნაწარმი, შინამრეწველურ-ხელოსნური ნაწარმი: წალდი, ცული, თოხი, ბაწარი, ხის ქურჭელი...), ისე შემოზიდული საქონელიც (ქსოვილები, მატყლი, ტყავი, რკინა, თევზი, „აბხაზური ბაწარი“, „კარაქი მოტანილი“, შაქარი, ხიზილალა...).

მოტანილი ფასებიდან საინტერესოა როგორც ფულის ნიშნების დასახელება, ისე ამა თუ იმ საქონლის ფასი. მაგ., „საწყავი, 5 დოქი, კარგი ღვინო — 1 რუბი“, „ბათმანი პური — 1 რუბი“, „ბათმანი ღობიო — 15 ფარა“, „2 ცალი მარილიანი ყველი — 1 ფარა“, „ცხვარი, ჩასუქებული, 2 წლიანი — 1 ფლური“, „ოყა კარაქი სოფლის — 1 ყურუში“, „წალდი — 1 რუბი“, „ოყა ხორცი — 1 შაური“ და სხვ.².

ნიხრს გვერდზე მიწერილი ჰქონდა უაღრესად საინტერესო ცნობა: „თუ ვაჭარი სოფლის მცხოვრებს მიჰყიდის ოყა მატყლს ერთ ყურუშად და ოყა მარილს 3 ფარად, მაშინ სოფელიც ვალდებული იქნება მიყიდოს მას ოყა ცვილი 60 ფარად და ბათმანი თაფლი 20 ფარად, ამის დარღვევის შემთხვევაში ორივეს უნდა გადახდეს ჯარიმა... თუ ვაჭარი აღნიშნული ფასით არ მიჰყიდის სოფლის მცხოვრებს მატყლსა და მარილს, მაშინ ეს უკანასკნელიც ნუ მიჰყიდის მას იაფად და, როგორც ზევითაა განსაზღვრული, ისე მიჰყიდოს მას ცვილი და თაფლი“³. ვაჭარ-შემსყიდველთა როლის შესახებ აღნიშნული ცნობის გარდა სხვა არაფერი გაგვაჩნია.

¹ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი I. გამოსცა ნ. ბერძენი-შვილმა, 1938 წ., გვ. 261 — 262.

² ბ ა ქ რ ა ძ ე. გვ. 329 — 330.

³ იქვე, გვ. 330 — 331.

არსებულ მასალათა შეჯგერების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ნიხრ-ში მოცემული ფულის ნიშნების მეტ-ნაკლებობის მიახლოებითი განსაზღვრა¹. ეს გამოგვადგება, ქვემოთ, გლახთა მდგომარეობის დახასიათებისას.

გურიის ბაზრებზე ბრუნვაში მყოფი ოსმალური ვერცხლის ფული 1808 წლისთვის შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: ფარა, უკნინესი ერთეული = 1 — 1 $\frac{1}{2}$ კაპიკს².

შაური = 4—5 ფარას (8 — 10 ფულს),

რუბი = 13 ფარას,

აბაზი = 15 ფარას,

ყურუში = 40 ფარას,

მარჩილი = 52 ფარას³,

ფლური = 100 — 105 ფარას.

ბაზრობა გურიაში იმართებოდა საეკლესიო ცენტრებთან და მთავარ საეკვანძო ადგილებში. ამ ბაზრების შესახებ საქართველოს მთავარმმართველი როზენი 1837 წ. წერდა:

„გურიაში, დაბა დეაბჯუს, არის ბაზარი და წარმოებს ყოველკვირეული ვაჭრობა... რომელზედაც მიდიან იმერლები, გურულები, თურქები ქობულეთიდან და მოსაზღვრე სხვა ადგილებიდან. დაბა ნაგომარსა და ლანჩხუთში იმართება ყოველწლიური ბაზრობა, რომელიც 8 დღე გრძელდება: პირველში — 17 ივლისიდან, მეორეში კი — 8 სექტემბრიდან. არის აგრეთვე ბაზრობა სოფ. ვანის ქედში — აღდგომის პირველ კვირას და ჯუმათის მონასტერთან — 13 სექტემბერს“.

ეს დახასიათება მოცემულია საერთოდ დასავლეთ საქართველოს ბაზრების ზოგად დახასიათებასთან კავშირში. აქ არაა ცალკეული ბაზრების შესახებ საჭირო არსებითი მასალა. როზენი საერთოდ გვაუწყებს, რომ იმერეთ-გურია-სამეგრელოს ბაზრებზე „ვაჭრობდნენ უმეტესად სომხები და ებრაელები“; ისინი ჰყილდნენ: „შაქარს, ჩაის, ყავას, რომსა და სხვა სასმელებს, სხვადასხვაგვარ აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებს, მაუდს, ადგილობრივ დამთიდან მოტანილ ნაწარმს და სხვას საკმაო რაოდენობით, ქვეყნის მცირედი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად“. იქვე ნათქვამია, რომ მეზობელ ბაზრებზე ურთიერთ მიმოსვლა იყო. კერძოდ, გურიიდან ხშირად მიდიოდნენ იმერეთ-სამეგრელოს ბაზრებზე — ხონის, მურის, სენაკის ბაზრებზე, სადაც

¹ მოცემული ნიხრის გარდა ფანების მიახლოებითი განმარტებისას გამოვიყენეთ: მასალები საქ. ეკონ. ისტორიისათვის. ნ. ბერძენიშვილის გამ., წ. I, 263, 383, ს. კაკაბაძის. საფასის ისტორიისათვის საქართველოში (ე. „საისტ. მოამბე“, წ. I, 1925 წ., გვ. 24, 29); პ. გუგუშვილი. ფულის ნიშნები და ტრიალი საქ. და ამიერკ. XIX ს. (უნივ. შრომები, VI, 1938 წ., გვ. 35); Агтя, т. II, გვ. 428, т. V, გვ. 475. Н. Махарадзе. Восстание в Имеретии, გვ. 40, შენ. 5.

² „ფარა“ 1815 წ. კურსით უდრიდა 1 $\frac{1}{2}$ კაპიკს.

³ საბას ლექსიკონის მიხედვით მარჩილი უდრიდა 3 აბაზს (1938 წ. გამ., გვ. 197).

იყიდებოდა მსხვილფეხა საქონელი, „მთის მაუდი“, აბრეშუმის, „ბამბისა და მატყლის ადგილობრივი ნაწარმი...“ და სხვ.¹

ბაზრობის წახალისებისა და სამთავრო საბაჟო შემოსავლის გაზრდის მიზნით გურიელს ორიგინალური ღონისძიებისათვის მიუძღრთავს. მას მოლდავეთიდან და ვალახეთიდან გამოუწერია მასხარები და თვალმაქცები იმ მიზნით, რომ საბაზრო ადგილებში წარმოდგენები მოეწყო და ამით ხალხი და ვაჭრები მოეზიდა². შესაკრებ პუნქტად არჩეული ყოფილა ნაგომარო. 1828 წ. საბუთებში ნათქვამია: „იმავე ნაგომარს აქნობამდის მთავრისაგან წელიწადში გაწესება იყო, რომ თვესა ივლის ჩვიდმეტს ქალაქობა იქნებოდა და მთავრის სახლს რამდენიმე ბაჟი მიეცემოდა“.

სამთავროს ადმინისტრაციული ცენტრი ოზურგეთი ერთგვარ სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა. ოზურგეთის შესახებ 1837 წ. ცნობაში ნათქვამია: „სოფელი იქ არაა, მოედნის ირგვლივ. მთავრის ქვის სასახლის ახლოს, განლაგებულია რამდენიმე, დაახლოებით ათამდე, ქვის პატარა სახლი და ერთი დიდი შენობა, რომელიც... წარმოადგენს ყაზარმას. აქვეა მმართველობა... მცირე და ძველი ხის ეკლესია. ცოტა ახლოს ათამდე დუქანია, თუ ფარდული, რომელიც, როგორც გარეგნობით, ისე მასში არსებული საქონლის მიხედვით, ნაყარ-ნუყარს ჰგავს“³.

XIX ს-ის 30-იან წლებში ოზურგეთში 300-დე მცხოვრებს ითვლიდნენ⁴. ამ დროს აქაური ვაჭრობა ჯერ კიდევ თურქების ხელში ყოფილა⁵, მაგრამ მკვიდრებიც, როგორც ჩანს, თანდათანობით იწყებდნენ ამ საქმეში ჩაბმას; ეს იგრძნობა 40-ანი წლებიდან⁶.

ზღვის სანაპიროზე, გურიაში, სავაჭრო ცხოვრების შესახებ ცნობები ნაკლებადაა. კერძოდ, შეკვეთილი უმთავრესად სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. 1820 წ. აქედან რუსთა რაზმი გაუყვანიათ (ალბათ ცნობილი აჯანყების გამო)⁷. 1833 წ. ფრანგმა მოგზაურმა დუბუამ შეკვეთილში ნახა 5—6 ზარბაზანი და ხის კოშკი (ჯიხური). მისი თქმით, აქედან რაზმის გაყვანა გამოიწვია რაზმის დიდი ნაწილის დაღუპვამ, რის მიზეზსაც იგი არ ასახელებს. შეკვეთილი ამავე დროს სავაჭრო-სატრანსპორტო პუნქტიც იყო იგივე დუბუას გადმოცემით, 1833 წ., შეკვეთილში მოდიოდნენ გემები ბათომ-ტრაპეზუნტიდან ბზის ხეების წასაღებად. მას აქ უნახავს 10 თურქული ნავი⁸.

¹ Акты. т. VIII, гл. 183.

² საქ. ცენტრ. არქ. ესაძის სავაჭრული ფონდი, საქმე № 850, ფ. 2.

³ ვრონჩენკო. ფურც 201.

⁴ Пирхалайшвили. Имер. и Гурия, 22.

⁵ ვრონჩენკო. ფ. 181.

⁶ 1842 წ. ცნობით, ოზურგეთელი ვაჭრებიდან 32 გურულია, 30 — ოსმალი, 12 სომეხა ბერძენი. ამ დროისთვის ოზურგეთში 156 სახლია. (И. Г. И. А. Ленинград, ф. 1268, оп. № 1, 1842 г., д. № 242). იქვეა შენიშვნა, რომ ოზურგეთში „მკვიდრი მცხოვრებნი“ არ არიანო. ამ დროს ქალაქის შემოსავალი უდრიდა 866 მან. 25 კ. ოზურგეთში იყო 844 სული; მათგან 20 მოხელე, ვაჭარ-ხელისნები (промышленники) — 70, ჯარისკაცი — 750 (იქვე, ფ. 25) — 1854 წ. სავაჭრო ცნობით, ოზურგეთში 1250 სულია (Маисуров. Путев. заметки).

⁷ Gamba. Voyage. T. I, 121.

⁸ Dubois. Voyage. T. III, 83 — 84, 94.

ჯარდა ამისა, გურიის მთავარს შეკვეთილიდან საბაჟო შემოსავალიც ჰქონდა. სამთავროს მნიშვნელოვანი საეკპრო პუნქტებიდან, ნაგომარ-ოზურგეთ-დვებზუს გარდა, ცნობილი იყო საეკლესიო ცენტრებთან მყოფი საბაზროები — ჯუმათი, შემოქმედი და სხვ. შემოქმედში ახლაცაა შემონახული XIX ს-ის შუა წლების ხის დუქნის ნაშთი. ეს დუქანი იდგა შემოქმედის ცენტრში¹.

1837 წ. ცნობაში ნათქვამია: „ახლა, მიწათმოქმედების გარდა, ხალხი... ჰყიდის თავის ღვინოს ახალციხეში და ფრიად მცირე რაოდენობის სიმინდს საზღვარგარეთ. დანარჩენი ვაჭრობა ოსმალებისა და ზოგიერთი ქუთაისელი ჭომების ხელშია“-ო².

1832 წ. ცნობით, გურიაში ხელოსნობას იმერეთის მსგავსად ახასიათებდნენ, იქ უმთავრესად აკეთებდნენ „თიხის ჭურჭლებსა და ბამბის ქსოვილებს“³. ხელოსნობა, რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურებოდა. ხელოსნობის სხვა დარგებიც იყო, მაგრამ ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმი მოსახლეობის მოთხოვნილებათა მინიმუმსაც კი ვერ აკმაყოფილებდა. გურიელის სახლთუხუცესად ნამყოფი მაჭუტაძე 1844 წ. რუსეთის მთავრობას სწერდა:

„გურიაში არ მოდის ბამბა, არ არის მატყლი, არ შეჩვევიან ჯერეთ კეთებასა აბრეშუმისა და ტილოსასა. ამის გამო მცხოვრებნი გურიისანი იძულებული იქმნებიან მოპოებად ყოველთა ხელსაწყოთა სხვათა ადგილთაგან ფრიად დიდ ფასად, რომელთაც გარდახთა მათ არ შეუძლიათ და ესრედ უდიდესი ნაწილი მათგანი ითმენენ თვით უკიდურესსა ნაკლოვანებასა ტანისა შისსა შინა იქადმდე, რომელ, როგორც მე პირდაპირ ვიცი, მრავალნი არიან ესრეთნი სახლობანი, რომელთა შინა დიდითგან ვიდრე მცირედმდე ყველანი შიშველნი არიან, ხოლო განსაკუთრებით გლეხის კაცის შვილები ვიდრე მეთათე წლამდე უკანასკნელი პერანგიც არ ეღირსებათ“⁴.

შეიძლება ითქვას, რომ მაჭუტაძე ყველაზე უკეთესად იცნობდა მაშინდელი გურიის ყოფ-ცხოვრებას. ზემოთ ჩვენ მიერ ციტირებული როზენის ცნობა, ბაზარზე არსებული „ადგილობრივი შალის“ შესახებ, ხელით ნაქსოვი ნაწარმის ბაზარზე გამოტანის გამონაკლის შემთხვევებს გულისხმობდა.

მიწაზე მიმაგრებული ყმა-გლეხების რიგებში მოიძებნებოდნენ ხელოსან-მიწისმოქმედები: თიხის ჭურჭლის მკეთებლები, მეკეცეები, მკედლები, მედამ-ბაჩეები, მხატვრები და სხვანი, რომელთაც თავიანთი ნაწარმი უშუალოდ ბაზარზე გაჰქონდათ.

მევახშეობის შესახებ მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები არსებობს. 1820 წ. ერთ საბუთში ნათქვამია, რომ გოგიტაძემ ისესხა ნაკაშიძისაგან 37 ყურუში და 17 ფარა, ვალის ამღები იძლეოდა პირობას, რომ ვიდრე მას ეს „თეთრი“ ექნებოდა, ყოველ თვეში გადაუხდიდა ნაკაშიძეს 100 ფარას⁵.

¹ ამ დუქანში ვაჭრობდა შემოქმედელი იორაშვილი.

² Вронченко. т. 204.

³ „Гифлис. Ведомост“, 1832 г. № 2, 47.

⁴ გ. ხ ა ქ ა პ უ რ ი ძ ე. გურიის აჯანყ., გვ. 80 — 81.

⁵ Бакрадзе. Арх. пур., გვ. 333.

საფიქრებელია, რომ აღებულ პერიოდში გურიაში შინამრეწველური წესით აწარმოებდნენ კუპრის მოპოვებას. გვიანდელი ცნობით, კუპრი იყო ზღვისპირის ახლოს „მიქელ-გაბრიელის“ სასოფლო საზოგადოების ტერიტორიაზე. ასეთი ადგილები, რომლებსაც „საკუპრებს“ ეძახდნენ, იყო სოფ. გულიანში, ომარეთში, ჩოჩხათში და სხვაგანაც. კუპრი გამოყენებული იყო ურმის ბორბლების საცხებლად, გუდების საკეთებლად და სხვ. საფიქრებელია, რომ აქედან იგი მეზობელ რაიონებშიაც გაჰქონდათ.

ასეთია ის მეტად მკლე ცნობები, რომლებიც ჩვენ გავვაჩნია XIX ს-ის I მესამედის გურიის საშთავროს ვაჭრობა-ხელოსნობის დახასიათებისათვის. ამიტომ ჩვენ მიერ ქვემოთ მოცემული ზოგადი შეფასება სრული ვერ იქნება.

ერთი შეხედვითაც ნათელი ხდება, რომ XIX ს-ის I მესამედის ბაზარი დამისი მასაზრდოვებელი წყარო თითქმის არაფრით არ წასულა შორს გვიანდელი საშუალო საუკუნეების საქართველოს ბაზრისაგან. ძველთაგანვე (XII ს.) საქართველოს საშინაო ვაჭრობის საგნებად იყო „სხვადასხვაგვარი საქონელი, დაწყებული ქალამნებიდან და თიხის დოქებიდან და გათავებული ქალაქებითა და სოფლებით“¹. რაც შეეხებოდა კერძოდ XVI ს-ის კახეთს, მისი საგარეო ვაჭრობის საგნებში იყო: ღვინო, აბრეშუმი, ნოხები, ოქროქსოვილები, ცხენები, ცხვრები და სხვ.² ეს გარემოება იმის დამადასტურებელია, რომ ნატურალური მეურნეობის რღვევის ელემენტები საქართველოში ადრიდანვე არსებობდნენ, მაგრამ მათი განვითარება შეფერხებული იყო. კიდევ მეტი, საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარება არა მარტო შეფერხდა, არამედ დაცემის გზითაც წავიდა.

მოტანილი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ გურიის ბაზრები ნამდვილი ნატურალური მეურნეობის ბაზრებს წარმოადგენდნენ. უშუალო მწარმოებლებს აქ გამოჰქონდათ თავიანთი ნაწარმის ნაწილი. აქვე, სყიდვის ან გაცვლის გზით იძენდნენ ისინი პირველი მოთხოვნილების საგნებს. ფულის ტრიფალი ძალზე სუსტი იყო.

ბრუნვაში ძირითადად ოსმალური ფულის არსებობა იმას ნიშნავდა, რომ გურია, ისე როგორც დასავლეთ საქართველო, პირველი მოთხოვნილების საგნებით ჯერ კიდევ ოსმალეთის გზით შემოსული უცხოური საქონლით მარაგდებოდა. დასავლეთ საქართველოს მომარაგება ისეთი მნიშვნელოვანი საქონლით, როგორიც მარილია, ჯერ კიდევ ოსმალთა ვაჭრების ხელში იყო. ბაზარზე გამოსული ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმი წვრილი მწარმოებელიდან უშუალოდ გადადიოდა მომხმარებლის ხელში. გარდა ამისა, ბატონობდნენ გარედან მოსული (არა ადგილობრივი) ვაჭარ-შემსყიდველები. არსებული ცნობები ადგილობრივი ვაჭრების არსებობის შესახებ თითქმის არაფერს გვაწვდიან. ერთი გადმოცემა გვეუბნება, რომ მკვიდრები მხოლოდ XIX ს-ის 30—40-ან წლებიდან აქტიურებიან ვაჭრობაში. მანამდის მკვიდრ ვაჭართა რაოდენობა ძალზე მცირე იყო. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას,

¹ Н. Бердзенишвили. Очерк из истор., 83. 6.

² იქვე, 83. 27.

რომ ოსმალეთის გაბატონებამ დასავლეთ საქართველო XVI საუკუნიდან მოყოლებული მთლიანად მოწყვიტა საგარეო ვაჭრობას, რომელიც ამიერიდან თურქი ვაჭრების მონოპოლიად იქცა¹. დამპყრობლებმა ძირშივე ჩაკლეს მკვიდრთა სავაჭრო-ეკონომიური თაოსნობა. ასე გრძელდებოდა საუკუნეთა განმავლობაში... 1837 წ. ცნობით, გურიაში „ვაჭართა განსაკუთრებული წოდება არ ყოფილა“². ეს ცნობა გულისხმობს ყმობისგან განთავისუფლებულ, თავდახსნილ პროფესიონალ ვაჭრებს. ასეთები, მართალია, არ ყოფილან, მაგრამ იყვნენ ყმა-ვაჭარნი, რომელთა როლი სავაჭრო-ეკონომიურ ცხოვრებაში უმნიშვნელო იყო³. მათი რაოდენობაც ძალზე მცირე ჩანს. ისინი დაჯაბნული იყვნენ არა მარტო მებატონეთა მიერ, არამედ ოსმალო და ებრაელი ვაჭრების მიერაც.

გურიის კონკრეტულ მაგალითზე ვაჭარ-შემსყიდველი მეტად სპეციფიური ჩანს. იგი არაა ადგილობრივ წვრილ საქონელმწარმოებელთაგან აღმოცენებული პირი, რომელმაც ამ მწარმოებელთა პროდუქტების მასობრივი და ფართო გასაღება უნდა მოაწყოს. „წვრილი საქონელმწარმოებლები“ აღებული პერიოდის გურიაში ჯერ კიდევ არ ჩანდნენ⁴. ის გარემოება, რომ ვაჭარი წვრილ მწარმოებელს (ან ხელოსან-მიწათმოქმედს, სოფლის მცხოვრებს, გლეხს) აძლევს მატყლს, მაროლს, ხოლო ეს უკანასკნელი სამაგიეროდ მიუთვლის ცვილსა და თაფლს, იმის მაჩვენებელია, რომ გლეხი იძულებული ხდება გაცვალოს სოფლის მეურნეობის პროდუქტები მისთვის აუცილებელ საგნებზე. ამ შემთხვევაში გლეხის მიერ მატყლის ყიდვას, შესაძლებელია, მარტო პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ ჰქონდა მიზნად. იგი უმთავრესად თავისთვის იქსოვდა სამოსელს, მაგრამ ამავე დროს ნაწარმის ნაწილი, ქსოვილი, მას შეეძლო ბაზარზე გაეტანა. ვაჭარი ამ შემთხვევაში მას შუამავლად აღარ უჩანდა. ხელოსან-მიწათმოქმედი უშუალოდ ჰყიდდა თავის შინამრეწველურ, ხელოსნურ ნაწარმსაც — გობს, ბაწარს, წალდს, ქვევრს, დოქს, სოფლის მეურნეობის პროდუქტებს და სხვ. ეს მოვლენა, ლენინის თქმით, სასაქონლო წარმოების „დაბალ სტადიას“ ახასიათებდა: „სასაქონლო წარმოების უმნიშვნელო განვითარების დროს წვრილი მწარმოებელი იმას სჯერდება, რომ თავის ნაწარმს ასაღებს პატარა ადგილობრივ ბაზარზე, ზოგჯერ — უშუალოდ მომხმარებლებზეც კი. ეს არის სასაქონლო წარმოების განვითარების დაბალი სტადია, რომელიც მხოლოდ იწყებს ხელოსნობიდან გამოყოფას“⁵. მიუხედავად სასაქონლო წარმოების განუვითარებლობისა, გურიის ვაჭარ-შემსყიდველები გამოდიოდნენ შუამავლად სოფლის მეურნეობის ცალკეულ რაიონებს შორის.

¹ Н. Бердзенишвили. Очерк из ист., გვ. 23.

² Вронченко. л. 194.

³ 1828 წ. საბუთებში, სხვათა შორის, მოხსენებულია ვაჭარი „ჩვენი ქვეყნიასაცა“.

⁴ ლენინი ასხვავებს „ხელოსანს“ წვრილი საქონელმწარმოებლისაგან: „წვრილ საქონელმწარმოებელთან შედარებით ხელოსნები უფრო მტკიცედ არიან დაკავშირებულნი მიწასთან...“ ლენინი ხმარობს აგრეთვე ტერმინებს: „ხელოსან-მიწათმოქმედი“, „არამიწათმოქმედი“ ხელოსანი (თხზულებანი, ტ. 3, მე-4 პართული გამოცემა, გვ. 385).

⁵ ლენინი. თხზულებანი, ტ. 3, მე-4 პართ. გამოცემა, გვ. 419.

ეს გარემოება შეიძლება მიგვეჩნია შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ისეთ ფაქტად, როდესაც თავს იჩენდა ცალკეულ რაიონებს შორის დარგობრივი სპეციალიზაციის ელემენტები. საერთოდ უცხოური საქონლისა და სავაჭრო კაპიტალის ბატონობა ბაზარზე აფერხებდა ადგილობრივი საქონელწარმოების განვითარებას.

გურულ გლეხთა ერთი ნაწილი, ალბათ დიდი უმცირესობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტებს — ლენისა და „სიმინდს მცირე რაოდენობით“ — ზიდავდა გასაყიდად ახალციხეში. ლენისა და მარცვლეულის გაზიდვას, როგორც ითქვა, საქართველოში: წინათაც (XIX ს-ზე გაცილებით ადრე) ჰქონდა ადგილი. ლენისა და სიმინდის გამზიდველი უმთავრესად მაღალი წოდება იყო. ეს გაზიდვა, ანუ ნატურით მიღებული გადასახადის ბაზარზე გატანა, და გლეხთა მიერ „ზედმეტი პროდუქტით“ (შეიძლება არა ზედმეტით) ვაჭრობა ნატურალური მეურნეობის რღვევის ძველი ნიშანი იყო. გლეხს გასაყიდი პროდუქტის მოპოვება მხოლოდ ცალკეულ ბედნიერ შემთხვევებში თუ შეეძლო, მაგრამ აღნიშნული ფაქტი მაინც ბიძგს აძლევდა საქონლადი მეურნეობის განვითარებას.

გურიის ყმა-გლეხობას არსებული ურთიერთობისა და მეურნეობის სპეციფიურობის გამო ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა ზედმეტი პროდუქტის შექმნისათვის. „ზედმეტი“ აქ იგულისხმება იმის გარდა, რაც მებატონეს მიჰქონდა; რენტის სიდიდე ამათ გამოორიცხავდა. აქაურ გლეხთა დიდი უმრავლესობა საარსებო მინიმუმსაც მოკლებული იყო.

გურიაში რამდენადმე ვითარდებოდა ხელოსნობა, მაგრამ იგი ადგილობრივ მოთხოვნებს ოღნავადაც ვერ აკმაყოფილებდა. გლეხი იძულებული იყო შეეძინა „ყოველნი ხელსაწყონი“ სხვაგან, ძვირად, მაგრამ გლეხს ფული არ ჰქონდა. გაძვალტყავებულ გლეხთა სყიდვითი უნარიანობა უალრესად დაბალი იყო.

სამთავრო ცენტრში, ოზურგეთში არსებული ხის ათამდე დუქანი ხელზე სავაჭრო პუნქტებს წარმოადგენდა (1837 წ.). აქ გარედან მოსული ვაჭრები ბატონობდნენ, რომლებიც პირველი მოთხოვნილების საგნებით (შემოაზიღულით) ვაჭრობდნენ. აქ ჯერ კიდევ არ ჩანდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ერთი სერიოზული ნიშანი, როდესაც საბაზროდ განვითარებული ხელოსნური წარმოება გამოეყოფა მიწათმოქმედებას, „დამმუშავებელი მრეწველობა ცალკეედება მოპოვებითი მრეწველობისაგან...“¹.

ლენინი გვაძლევს სასაქონლო მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო პირობების დახასიათებას. იგი აღნიშნავს, რომ „...ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობის ბატონობის დროს, დამოკიდებული გლეხების დამოუკიდებლობის პირველივე გაფართოებისას, უკვე ჩნდება მათი დაშლის ჩანასახები მაგრამ ამ ჩანასახთა განვითარება შესაძლებელია მხოლოდ რენტის შემდეგი ფორჩხისას, ფულადი რენტის დროს, რომელიც ნატურალური რენ-

¹ ლენინი. ტ. 3, გვ. 21.

ტის ფორმის უბრალო შეცვლას წარმოადგენს... ფულადი რენტა „უკვე გულისხმობს ვაჭრობის, ქალაქის მრეწველობის, საზოგადოდ სასაქონლო წარმოების და მასთან ერთად ფულის ბრუნვის უფრო მნიშვნელოვნად განვითარებას“¹. დამოკიდებული გლეხის ტრადიციული, ადათზე დამყარებული ურთიერთობა მიწათმფლობელთან აქ იქცევა წმინდა ფულად ურთიერთობად, რომელიც დამყარებულია ხელშეკრულებაზე. ეს იწვევს, ერთი მხრით, ძველი გლეხობის ექსპროპრიაციას, მეორე მხრით — გლეხის მიერ თავისი მიწის და თავისი თავისუფლების გამოყიდვას“².

გურიის სამთავროში სწორედ სასაქონლო ურთიერთობის, საშინაო ბაზრის განუვითარებლობის ნიადაგზე ნატურალური რენტა ბატონობდა.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმის მაჩვენებელი იყო, რომ გურიის სამთავროში არსებობას განაგრძობდა ნატურალური მეურნეობა მთელი თავისი ჩამორჩენილობით. მისი რღვევის პროცესის განვითარებას, როგორც უკვე შევნიშნეთ, ბევრი რამ უშლიდა ხელს.

მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი არსებული სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობა იყო. გურული გლეხის სპეციფიური მეურნეობა მცირემიწიანობის პირობებში, ზედმეტი პროდუქტების წარმოების უმდაბლესი დონე, საარსებო მინიმუმსა და სყიდვით უნარიანობას მოკლებულ გლეხთა დიდი უმრავლესობისა და სამთავრო ხელისუფლების არსებობა, რაც განსაკუთრებით ზღუდავდა ბაზარს, განუვითარებელი სამიმოსელო საშუალებანი, უცხოური სავაჭრო კაპიტალის უარყოფითი გავლენა ადგილობრივ საქონელწარმოებაზე, ფულის ნიშნების სიჭრელე და ბევრი სხვა ამუხრუჭებდა ფულად-სასაქონლო მეურნეობის განვითარებას. საქონლადი მეურნეობის სათანადო განვითარებისათვის შინაგანი ფაქტორები ჯერ კიდევ თავს ვერ იჩენდა.

ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი სათანადო პირობები ახალი საზოგადოებრივი წყობილების განვითარებისათვის. აქ მოქმედი ვაჭრული და სავაზშო კაპიტალი, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს „ტყუპი ძმები“³, ვერ არღვევდნენ არსებულ წყობილებას. სავაზშო კაპიტალი აქ არსებული ფორმით ითვისებდა უშუალო მწარმოებლის ზედმეტ შრომას წარმოების წესის შეუცვლელად; იგი არ იქვემდებარებდა შრომას უშუალოდ და პირისპირ არ ეღვა მას როგორც სამრეწველო კაპიტალი; „ასეთი სავაზშო კაპიტალი იწვევს ამ წარმოების წესის დაგლახვებას, ასუსტებს საწარმოო ძალებს ნაცვლად იმისა, რომ განავითარონ ისინი, და იმავე დროს ამუღმევეებს ამ ვაგლახ მდგომარეობას, როდესაც შრომის საზოგადოებრივი ნაყოფიერება არ ვითარდება, როგორც კაპიტალისტურ წარმოებაში, თვით შრომის ხარჯზე“⁴.

¹ ლენინი აქ იმოწმებს კ. მარქსის „კაპიტალს“ (იქვე, გვ. 765, შენიშვნა 60. „კაპიტალი“, ტ. III, 1936, გვ. 695).

² ლენინი. თხზულებანი, ტ. 3, ქართ. გამოც., გვ. 189.

³ კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, ქართული გამოცემა, 1934 წ. გვ. 124.

⁴ იქვე, გვ. 127.

აღებული პერიოდის გურიის სამთავროში, ისე როგორც საქართველოს სხვა პროვინციებში, ვაჭრული და სავაზმო კაპიტალი არ სპობდა საკუთრების არსებულ ფორმებს. ამ დროს მევახშეს ან ვაჭარს თვითონ, წარმოების წესის შეუცვლელად, შეეძლო დაეჭირა ფეოდალის — მემამულის ადგილი.

„ყოველი წინაკაპიტალისტური წარმოების წესის არსებობის დროს ნევახშე რევოლუციურ როლს ასრულებს მხოლოდ იმდენად, რამდენადც იგი არღვევს და სპობს საკუთრების ფორმებს, რომელთა მტკიცე საფუძველზე და ერთსა და იმავე ფორმაში რეპროდუქციაცზე დამყარებულია ქვეყნის პოლიტიკური წყობილება. აზიური ფორმების არსებობისას მევახშეობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ძალიან დიდხანს ისე, რომ მან სხვა არა გამოიწვიოს რა, გარდა ეკონომიური დაცემის და პოლიტიკური გათახსირებისა. მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც კაპიტალისტური წარმოების წესის დანარჩენი პირობები მოიპოვება, მევახშე წარმოადგენს ახალი წარმოების წესის შექმნის ერთ-ერთ საშუალებას მით, რომ იგი, ერთის მხრივ, ანადგურებს ფეოდალებს და წვრილ მწარმოებლებს და, მეორეს მხრივ, ცენტრალიზაციას აძლევს შრომის პირობებს და აქცევს მათ კაპიტალად“¹.

მაგრამ მთლად სწორი არ იქნებოდა, რომ ზემოთ აღნიშნული ჩამორჩენილობის მიზეზი ჩვენში მარტო არსებულ სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობაში დაგვენახა. გასათვალისწინებელია ის არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტიც, რომ საქართველოში ადრე დაწყებული დაცემის პროცესი (არა მარტო შინაფეოდალური რეაქციის შედეგად) მთელი გვიანფეოდალური ხანის მანძილზე შეუჩერებლად გრძელდებოდა. მომდინარეობდა იგი ჩვენთვის საინტერესო პერიოდშიც (XIX ს-ის 1 მესამედი). ეს დაცემა-დაქვეითება აქ ახალ ეკონომიურ წყობილებას ვერ აღმოაცენებდა. ამასთან იგი ყოველთვის ბრძოლისა და თარეშის პირობებში მიმდინარეობდა. ეს გარემოება „კიდევ უფრო აგვიანებდა ახალი ეკონომიური ეპოქის დადგომას“².

ფულადი-სასაქონლო მეურნეობის განვითარებას და მისთვის ბაზრის შექმნას თავიდანვე აბრკოლებდა ფეოდალების მიერ შემოღებული საბაჟოები, საყარაულოები, ჯარიმები. ამავე დროს ეს ფეოდალები დაინტერესებული იყვნენ ვაჭრობის განვითარებით იმ მიზნით, რომ მეტი შემოსავალი მიეღოთ. ასე იქცეოდა მთავარი გურიელიც. 1808 წლის ნიხრში მითითება იმის შესახებ, რომ გურიიდან საქონლის გაზიდვა ისჯება, იმას გულისხმობდა, რომ ეს გაზიდვა გურიელის დაუკითხავად არ უნდა მომხდარიყო. ამავე ბრძანების მოთხოვნა ნიხრის დაცვისათვის, რაც მაღალი ჯარიმის მუქარით იყო გამაგრებული, გამოხატავდა გურიელის ინტერესს, რომ ვაჭრობა მისი ნება-სურვილის მიხედვით უნდა წარმართულიყო. ამით მთავარი აღწევდა სავაჭრო მონოპოლიას და სამთავრო შემოსავალს ზრდიდა.

იმ გეოგრაფიული უპირატესობით, რომელიც სხვა რაიონებთან შედარებით გურიას ჰქონდა, ეს რაიონი ნაკლებად სარგებლობდა. ზღვისპირი მის-

¹ კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. III. ნაწ. II, ქართული გამოცემა, 1934 წ., გვ. 128.

² აკად. ს. ჯანაშია. საქ. ადრ. ფეოდ. გზაზე, გვ. 64.

თვის ამ დროს ვერ იყო ის დიდი არტერია, რომელსაც ხელი უნდა შეეწყობა ამ პროვინციის ნოქცივისათვის ფართო სავაჭრო ურთიერთობის სფეროში.

ხელსაყრელი გზების უქონლობაც დიდად აბრკოლებდა ბაზრის განვითარებას. ახალციხესთან დამაკავშირებელი ორი გზა (მდ. ქვაბლიანის ხეობით) ზამთრისათვის თითქმის გაუვალი იყო. მდ. სუფსისა და გუბაზოულის გასწვრივ ახალციხისაკენ მიმავალ საცალღებო გზაზე დატვირთული ცხენების გაყვანა სახიფათო იყო. ამიტომ საქონელი (კერძოდ ღვინო) ახალციხეში სურამის საუღელტეხილო გზაზე გადასვლით და მტკვრის მიმართულებით მიჰქონდათ¹. ახალციხესთან გურიის ვაჭრობა წარმოებდა 1828 წლამდეც. ამ წლის შემდეგ, ანუ რუსეთის მიერ ახალციხის საფაშოს დიდი ნაწილის შემოერთების შემდეგ, ეს ვაჭრობა უფრო გაცხოველდა.

ქობულეთ-აჭარასთან, ანუ იმდროინდელი ოსმალეთის სამფლობელოებთან დამაკავშირებელი გზა მიდიოდა ოზურგეთიდან ქობულეთში. იყო აგრეთვე რამდენიმე ბილიკიც, რომელსაც რუსთა სანაპირო რაზმი ვერ ჰკეტავდა.

სამეგრელო-იმერეთთან გურიას ბევრი გზა აკავშირებდა, მაგრამ ეს გზები წვიმიან დღეებში თითქმის გაუვალი იყო. შედარებით უფრო ხელსაყრელი ჩანდა გზა მარანიდან საჯავახო-ჩოხატაურ-ნაგომრის გავლით შეკვეთილისაკენ². კიდევ ერთი გზა მიდიოდა შეკვეთილიდან ზღვის სანაპიროს გავლით, ფოთისაკენ და სხვ. წარმოებდა ნაოსნობა სუფსაზე, მისი შესართავიდან ვიდრე გურიაშთის ციხემდე — 16 კილომეტრზე³.

როგორც ითქვა, სამთავროში, ისე როგორც დასავლეთ საქართველოში, XIX ს-ის I მესამედში ფულადი-სასაქონლო მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო შინაგანი პირობები ვერ შეიქმნა. მაგრამ ასე არ ითქმის გარეგან ფაქტორებზე. მეფის რუსეთის პოლიტიკური ბატონობით საქართველო-ამიერკავკასიაში, მთავრობის სურვილისაგან დამოუკიდებლად, რამდენადმე ხელი ეწყობა გარეგანი ფაქტორების შექმნას ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის, თვით მთავრობა კი ასეთი განვითარების ხელშემწყობი არაა; იგი, პირიქით, ბორკავს მას.

მეფის რუსეთის საბაჟო პოლიტიკა მოწოდებული იყო რუსეთის სავაჭრო კაპიტალის ინტერესების დასაცავად, მაგრამ ეს სავაჭრო კაპიტალი სუსტი იყო. მას არ შეეძლო რუსეთის ცენტრებიდან მეტად დამორებული ამიერკავკასიის საქონლით მომარაგება. რუსეთის მრეწველობაც ამის საშუალებას ვერ იძლეოდა. რუსული საქონელი ვერ უწევდა კონკურენციას გვროპიდან და ირან-თურქეთიდან შემოტანილ საქონელს.

¹ გურიის თავადაზნაურობებს განზრახვა ჰქონდათ, რომ გაეყვანათ გზა მდ. გუბაზოულის გაყოლებით, თავიანთ ხარჯზე. მაგრამ ამის განხორციელება ვერ მოხერხდა, რადგან მოსახლეობის დიდი რაოდენობა—400 გურული და 600 მეგრელი—მუშაობდა რიონის გასწვრივ ფოთთან დამაკავშირებელი გზის გაყვანაზე (ვრონჩენკო. ფ. 191).

² Энгельм. Кр. об., т. 18; Чудинов. Восст. гуринцев, гв. 219 — 220.

³ „Гифлис. Велом“. 1832, № 2, 44.

უცხოური საქონლის აქეთ დენას აბრკოლებდა შემზღუდველი ბაჟები. ოსმალეთის გზით კონტრაბანდულად მოჰქონდათ ზოგიერთი საქონელი. კერძოდ, დასავლეთ საქართველოს საქონლით მომარაგება ალაღბებდნენ იყო.

1821 წ. ეროლოვის შუამდგომლობის საფუძველზე ამიერკავკასიას 10 წლის ვადით მიენიჭა სავაჭრო პრივილეგიები. დაწესდა შეღავათიანი ბაჟები (5%-ანი) უცხოურ საქონელზე. ბრძანების თანახმად „ამიერკავკასიაში ყველა ბითუმად მოვაჭრე უცხოელი სარგებლობდა პირველი გილდიის ვაჭრის უფლებებით; მათვე შეეძლოთ ყოველგვარ დაბრკოლებათა და გამოსაღებთა გარეშე საქონლის აქედან გატანა ირანსა და ინდოეთში; სავაჭრო ტრანსპორტს იცავდა სამხედრო რაზმები; ამიერკავკასიის ბაზარზე უცხოეთის საქონლით საცალო ვაჭრობა მხოლოდ ადგილობრივ ვაჭრებს შეეძლოთ და სხვ.“¹

საქართველოს შიგნითაც შეამცირეს საბაჟო პუნქტები. მთავარ პუნქტად გამოცხადდა ყულევი (რედუტ-კალე). გურიაში ბაჟების აკრეფაზე „ერთგვარი მეთვალყურეობის“ დაწესებას აპირებდნენ ჩოხატაურში მყოფი საყარაულოს უფროსის მეშვეობით.

უცხოელებისათვის მხოლოდ „ბითუმად ვაჭრობის“ ნებართვა სიძნელეებს ქმნიდა. ადგილობრივი ვაჭრები ან თითქმის არ ჩანდნენ, ან ძალზე მცირე რაოდენობით იყვნენ. ასე მაგ., ქუთაისში 1823 წ. 150 დუქნიდან მხოლოდ 4 ეჭირათ იმერლებს, დანარჩენებში, იმერეთის მმართველი გორჩაკოვის ცნობით, „საწვრილმანო ვაჭრობას ეწეოდნენ ახალციხელი კათოლიკეები“. გორჩაკოვი მოითხოვდა, რომ უცხოელთათვისაც მიეცათ ქუთაისში საწვრილმანო ვაჭრობის ნებართვა, თორემ „ქალაქის ვაჭრობა გაფუჭდებოდა“². წესი მიიწი ირღვეოდა და უცხოელები ყულევს გარდა სხვაგანაც ეწეოდნენ საწვრილმანო ვაჭრობას. მით უფრო უნდა განთავისუფლებულიყო ეს ვაჭრობა აღნიშნული წესისაგან გურიაში, სადაც საბაჟო არ იყო და ოსმალეთის საზღვრებიდან მრავალი დაუცველი გზა შემოდინოდა.

საერთოდ, ევროპული საქონლის აქეთკენ თავისუფალმა დენამ კვლავ გაზარდა საქართველო-ამიერკავკასიის როლი როგორც ხიდისა ევროპასა და აღმოსავლეთს შორის. ყულევ-თბილისზე გაიღო ევროპიდან სპარსეთისაკენ მიმავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზა.

აღნიშნულ სავაჭრო გამოცოცხლებას თან არ სდევდა ადგილობრივი საქონლო წარმოების განვითარება და ბატონყმური ჩაგვრით გაძვალტყავებული გლეხობის სყიდვითი უნარიანობის ზრდა.

რუსი მრეწველები თავიდანვე ვერ ურიგდებოდნენ ევროპული საქონლის თავისუფალ დენას საქართველო-ამიერკავკასიაში, მათი დაჟინებითი მოთხოვნით მთავრობა დაადგა რუსული მრეწველობის მფარველობით პოლიტიკას. 1831 წ. დაიკეტა შეღავათიანი ტრანზიტო. ამასთან დაკავშირებით დამტკიცებული დებულებით (1831 წ. 3 ივნისის) ამიერკავკასია მხოლოდ

¹ გ. უ. უ. შ. ვ. ი. კაბიტ. განვით., 10.

² გორჩაკოვის მოხსენება მთავარმმართველ ეროლოვს 1823 წ. 15 სექტ. (Акты. т. VI. ч. I. 609 — 610).

რუსული მრეწველობის გასაღების ბაზრად უნდა გადაქცეულიყო¹. ამის შემდეგ საქართველოში ძლიერდება კონტრაბანდული ვაჭრობა. ინგლისელი კაპიტალისტები აწყობენ სავაჭრო კამპანიას ტრაპიზონში... რუსეთის საქონელი მაინც ვერ დენის უცხოურს.

საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ევროპული საქონლის შეღავათიან ტრანზიტს თითქმის არაფერი არ მოუტანია. როგორც სამართლიანად შენიშნავს როჟკოვა, „ამიერკავკასიაში არც ერთი ფაბრიკა არ წარმოშობილა“ მაგრამ ამავე დროს მეფის მთავრობა 1831 წლიდან მაინც შეუდგა ამიერკავკასიაში ვაჭრობის განვითარებისათვის სათანადო ღონისძიებების გატარებას, რაც ობიექტურად ქმნიდა წინაპირობას მრეწველობის განვითარებისათვის. აღნიშნული წლიდან მთავრობა იწყებს საშინაო ფეოდალური სავაჭრო ბაჟების გაუქმებას. დებულება ითვალისწინებდა საზღაურების მიცემას მათთვის, ვისაც ასეთი ბაჟების აკრეფის უფლება ჰქონდა. მართალია, ამ ღონისძიების წარმატებითი გატარება კერძოდ დასავლეთ საქართველოში ძნელი იყო, ვიდრე იქ ავტონომიური სამთავროები არსებობდნენ, მაგრამ ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები მაინც გადაიდგა. აღნიშნული გარეგანი ფაქტორები თავისი ობიექტური შედეგებით ხელს უწყობდა ეკონომიური ცხოვრების შედარებით განვითარებას.

გურიის სამთავროს და საერთოდ საქართველოს სამეურნეო ეკონომიური ჩამორჩენილობის მთავარი მიზეზი არსებულ ბატონყმურ წყობილებაში იყო. ამ მთავარ მიზეზს საქართველოში მიემატა მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა.

2. ბაბატონგაზული კლასი

გურიის მთავარი გურიელი გაბატონებული კლასის უპირველესი წარმომადგენელი იყო. როგორც ფეოდალი და ამავე დროს ქვეყნის გამგებელი, იგი იცავდა მებატონეთა კლასის ინტერესებს.

მეფის რუსეთის მფარველობაში შესვლამდის გურიელი ხელმწიფური უფლებებით სარგებლობდა. მას მითვისებული ჰქონდა თავის ქვეშევრდომთა სიკვდილით დასჯის უფლება. ქაიხოსრო გურიელის მმართველობის დროს დადასტურებულია ტყვეებით მოვაჭრის სიკვდილით დასჯის ფაქტი — კოცონზე დაწვა. სხვა მხრივაც, უფლებრივად, მთავარი თავის ქვეყანაში შეუზღუდველი ხელისუფალი იყო. მაგრამ მეფის რუსეთის მფარველობაში შესვლით გურიელმა, ისე როგორც დადიანმა, დაჰკარგა ხელმწიფური უფლებები. იგი იძულებული გახდა უარი ეთქვა არა მარტო დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე, არამედ საშინაო ხელისუფლების ისეთ ნიშნებზეც, როგორც სასისხლის სამართლის დამნაშავეთა გასამართლება. იგი ამიერიდან ყველაფერში უნდა დამორჩილებოდა საქართველოს მთავარმმართველს, ან ამ უკანასკნელის მიერ გურიაში მივლენილ სამხედრო პირს.

¹ Рожкова М. К. Экономическая политика царского правительства... 1949 г. 83. 93.

² იქვე, 83. 52.

მიუხედავად გურიელის ასეთი შეზღუდული უფლებრივი მდგომარეობისა, მეფის მთავრობა მაინც მხარს უჭერდა მისი ხელისუფლების განმტკიცებას სამთავროში. ეს გასაგებია იყო, რადგან აღნიშნულ ეტაპზე მთავრობისათვის მეტად ხელსაყრელი ჩანდა აქ გურიელისავე საშუალებით უზრუნველყო თავისი ბატონობა. ეს მით უფრო მომგებიანი იყო, რომ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გურიელი თავიდანვე მეფის რუსეთის ხელისუფლების გავრცელების საქმეში ერთგული თანაშემწე აღმოჩნდა და საკუთარი რაზმითაც ენერგიულად იგერიებდა ოსმალთა ქურდულ თავდასხმებს. ამავე დროს ისიც აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის საზღვარზე მყოფი გურიისადმი მთავრობას ფხიზელი თვალი ეჭირა და გურიელის მიერ ხელისუფლების მომეტებული გაფართოების ცდები ამ მთავრობისათვის მიუღებელი იყო.

გურიელის სამთავრო კარი იმერეთის სამეფო კარის მიბაძვით იყო მოწყობილი. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში სამთავროს პოლიტიკური წყობილება გვიანფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ქართული სახელმწიფო წყობილების წესზე იყო აგებული. ამ მხრივ XIX საუკუნეში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ისე როგორც ძველად, ამ დროსაც მთავრის უმაღლეს მოხელეებად იყვნენ სახლთუხუცესი, მდივანბეგთუხუცესი და ბოქაულთუხუცესი. ამ მოხელეებს მოსდევდა წვრილ მოხელეთა საკმაოდ ვრცელი შტატი. ცალკეულ უბნებში, ადგილებზე, ხელისუფლება ხორციელდებოდა მოურავებისა და მათი ხელქვეითი ხელოსნების საშუალებით. ხელისუფალთა უფლება-მოვალეობანი ძირითადად ისეთივე ხასიათისა იყო, როგორც სამეგრელოს სამთავროში¹. ამავე დროს გურიის სამთავროს პოლიტიკურ წყობილებას ახასიათებდა სპეციფიური ნიშნებიც, რომლებზედაც ამჯერად არ შევჩერდებით.

სამთავროს სოციალურ-ეკონომიური წყობილების დახასიათებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მთავრის მოხელეები, როგორც მაღალი, ისე წვრილი მოხელეობა, ხელფასს ნატურით ღებულობდნენ და ყველა თანამდებობა გაბატონებული კლასის ხელში იყო. ეს გარემოება ამ ექსპლოატატორებს განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებდა და ნიადაგს უჭმნიდა მათ ბოროტმოქმედებას, ძალადობას გლეხობის მიმართ. გარდა ამისა, ესა თუ ის „წელი“ ამა თუ იმ ფეოდალური „სახლის“ მემკვიდრეობაში რჩებოდა; ესეც ამ მოხელეთა თვითნებობას უფრო მეტ გასაქანს აძლევდა.

ამ დროის ახალი მოვლენა არ ყოფილა ის გარემოება, რომ სამთავროს მმართველობა მთავრის კერძო ფეოდალურ ინტერესებსაც უპასუხებდა. ეს მეტად საგრძნობი ჩანდა იმ ფაქტით, რომ მაღალ მოხელეებს შორის პირველობა ჰქონდა სახლთუხუცესს, რომელიც მთავრის უშუალო საკუთრებაში მყო-

¹ მ. დ უ მ ბ ა ძ ე. სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია XIX საუკუნეში („მიმოხილველი“, ტ. 1, 1949 წ.).

ფი მამულების გამგებელი იყო და რომელსაც, ამასთანავე, ხელი მიუწვდებოდა სხვა მოხელეებზედაც.

გაბატონებული კლასის შიგნით წარმოებდა ბრძოლა ამა თუ იმ თანამდებობის დაუფლებისათვის. ეს სოციალური ბრძოლისათვის დამახასიათებელი ერთი ნიშანი იყო.

გურიის მთავარი, როგორც ფეოდალი, ყმა-მამულის რაოდენობის მხრივაც სხვა ფეოდალებს სჯობნიდა. მისი ფეოდალური მეურნეობა იმ დროის საქართველოში საერთოდ ფეოდალურ მეურნეობათა დამახასიათებელი ნიშნების შემცველი იყო. მთავარი თვისება ამ მეურნეობისა ის იყო, რომ ფეოდალი, მებატონე, რომელიც საკმაოდ მრავალ ყმა-მამულს ფლობდა, კერძო ხვნა-თესვას ნაკლებად მისდევდა. მხოლოდ ზოგიერთებს, და ისიც მცირე რაოდენობით, გააჩნდათ კერძო ხვნა-თესვისათვის განკუთვნილი ნაკვეთები. უმეტესობა მებატონეებისა ყმა-გლეხთაგან შემოსული ნატურალური ზეგარით კმაყოფილდებოდა. საქართველოში მხოლოდ გვიან (40 — 50-ან წლებიდან) დაიწყო მემამულეებმა. ისეთი „საბატონო მეურნეობის“ მოწყობა, როგორც რუსეთის მებატონეებს ჰქონდათ.

1828 წ. გურიის სამთავროს ავტონომიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მთავრის შემოსავლის აღწერამ ცხადჰყო, რომ გურიელს საკუთარი წარმოება, სოფლის მეურნეობის კულტურების მოყვანისა თუ სხვა თვალსაზრისით, არ ჰქონია, ან თუ ჰქონდა ძალზე უმნიშვნელო რაოდენობით. არსებობს ერთი ცნობა, რომელშიც მოხსენებულია „მთავრის სახლის ყანის მუშა“¹. ეს „მუშა“, როგორც 1828 წ. აღწერილობიდან ჩანს, არაფრით არ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი მებეგრე გლეხისაგან. ამ უკანასკნელსავე მას მძიმე ნატურალური ბეგარა ეკისრა. მიუხედავად ამისა, „მთავრის სახლის ყანის მუშა“ გულისხმობს, რომ მთავარს ჰქონდა საკუთარი ყანაც, რომელსაც მისი ყმები ამუშავებდნენ. მაგრამ ასეთი საბატონო ყანები ძალზე მცირე რაოდენობით იყო.

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის 1865 წ. ანგარიშში ნათქვამია:

„გურიისა და იმერეთის სოფლის მეურნეობის განმასხვავებელი თვისებაა მემამულის კერძო სახნავ-სათესის უქონლობა. მთავარი მწარმოებლები არიან გლეხები, მემამულეები კი შემოსავალს მეტწილად ღებულობენ მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით (земными произведениями) და თვითვე მოიხმარენ ამ პროდუქტებს. ამიტომ რაციონალური სოფლის მეურნეობა ქვეყანაში არაა. ამის ერთი მიზეზთაგანია სიმრავლე სათავადო სახლებისა, რომლებიც შრომას შეუფერებლად თვლიან, და მამულების უკიდურესი დაქსაქსულობა...“².

ეს სიტყვები მაშინ იყო ნათქვამი, როცა დასავლეთ საქართველოში საგლეხო რეფორმა ტარდებოდა. ჩვენთვის ამჟამად საინტერესო პერიოდში, XIX ს-ნის I მესამედში, არსებული მდგომარეობა, რა თქმა უნდა, საგრძნობ-

¹ გურიის სამთავროს შესახებ 1828 წ. საბუთები.

² Сельское хов. я аграрные отнош., т. II, გვ. 412.

ლად განსხვავდებოდა ნც-ანი წლების მდგომარეობისაგან. ადრე, ცხადია, „საბატონო მეურნეობა“ გაცილებით უფრო უმწეოდ გამოიყურებოდა.

1866 წ. კავკასიის მეფისნაცვალმა აღნიშნავდა, რომ „სამეგრელოში უფრო მეტად ვიდრე იმერეთსა და გურიაში, მიწისმფლობელთა უმეტესობა, რომელსაც არავითარი საკუთარი მეურნეობა არ აქვს, არსებობს თითქმის მხოლოდ თავისი ყმებისაგან მიღებული ბეგარებით“...¹.

სამთავროს მოურავების მიერ 1828 წ. შედგენილი მოხსენებები ადასტურებს, რომ მთავრის საარსებო წყაროს შეადგენდა მხოლოდ ის ბეგარაგადასახადები, რომლებსაც იგი თავისი საკუთარი ყმებისაგან და თავადაზნაურთა ყმების ერთი ნაწილისაგან ღებულობდა. ამ წყაროს ემატებოდა აგრეთვე ბაჟები და სპეციალური სამთავრო-ფულადი გადასახადები შედარებით მცირე რაოდენობით.

ჩოჩხათის „მოურავი და ქეშიკთუხუცესი“ გუგუხავა, ოზურგეთისა და შემოქმედის მოურავი ნაკაშიძე და სხვა მოურავები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მათს სამოურავოებში „მთავრის სახლისა... ცხენები, ბედაურები, ლაფშები, ჭაკები, კვიცები და საქონელი კამბეჩი, ხარები, ფურები, ხბოები, კრავები და ღორები... არცა ერთი არ ყოფილა“. მხოლოდ „ჩიბათისა და ჯურუყვეთის მოურავი და მეღვინეთუხუცესი“ ნაკაშიძე დასძენდა: „გარნა მხოლოდ ბაილეთის ციხისათვის სასამსახუროდ არს ორი უღელი ხარი მთავრის სახლისა, და სხვა ცხენი ანუ ზროხა მოკითხვისამებრ ჩემისა მეცადინეობითურთ არავითარი აღმოჩნდა“.

გურიის მთავრის შემოსავლის ერთი წყარო იყო საშინაო ბაჟები—შემოსავალი ვაჭრებისაგან. კერძოდ ღვაბჭუს ყოველთვიურ ბაზრობაზე მთავრის მიერ „განწესებული მებაჟე“ 52 „ფარის“ ღირებულების საქონელზე „ერთ ფარას“ იღებდა. „და ეგრეთვე, — ნათქვამია ოზურგეთისა და შემოქმედის მოურავის ანგარიშში, — როდესაც სიძინდს კარგად ფასი, დაედებოდა და ჩვენს საზღვარს გარეთ უცხო მხრის ვაჭარნი და აგრეთვე ჩვენი ქვეყნისაცა გაიტანდნენ, ქობულეთისა და შეკვეთილის გზაზედ მებაჟენი იყვნენ ჩვენი განწესებულნი და სიძინდით დატვირთულ ცხენზედ ბაჟს ოცდაათ ფარას აიღებდნენ მთავრის სახლისათვის“. ჩოჩხათის მოურავი წერს: „ამავ სამოურავოსა შინა არის წყლისთვალნი, რომელსაც სახელდობ უწოდებენ გრიგოლეთს და იქიდგან, როდესაც სხვა მხარის თათრები სავაჭროდ შემოვიდოდნენ, მთავრის სახლისთვის შემოვიდოდა ბაჟი ხან ხუთი ქესა თეთრი და ხან ექვსი. და რჩებოდა იმისთანა დრო, რომ რვა ქესა თეთრიც შემოვიდოდა“². იქვე მთავარს ჰქონია 4 — 5 დუქანი, სადაც მოსული „თათრები“ პერიოდულად ვაჭრობდნენ და მათგან ყოველ მესამე წელს მთავრის მოხელეები „თითო თათრულ საბანს ბაჟად“ აიღებდნენ.

¹ Сельское хоз. и аграрные отнош., т. II, გვ. 505.

² XIX ს. დამდგეს იმერეთში ქისა უდრიდა 500 პიასტრს, პიასტრი კი — 40 ფარას (მათლები საქ. ვ.კ. ისტორიისათვის. წ. I, 1938 წ. ნ. ბერძენიშვილის რედ. გვ. 263).

აღნიშნული და მსგავსი „წვრილმანი“ სხვა შემოსავალი ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილებდა სამთავრო სახლის მოთხოვნებს. შემოსავლის მთავარი წყარო, როგორც ვთქვით, ყმა-გლეხთაგან მიღებული გადასახადები იყო.

მთავარი გურიელი მებატონე იყო არა მარტო საკუთარი ყმა-გლეხებისა, არამედ სამთავროს თავადაზნაურობისაც. თავადაზნაურობისადმი მთავრის დამოკიდებულება ამ გაბატონებული კლასის სიჭრელის გამო სხვადასხვა ფორმებში ვლინდებოდა.

ძლიერ თავადებთან მთავრის დამოკიდებულება სტაბილური არ ყოფილა. ძლიერ თავადებს, რომელთაც მრავალი ყმა-მამული გააჩნდათ, ჰქონდათ საკუთარი ციხე-სიმაგრეები და საძვალეები (ერისთავებს, ნაკაშიძეებს...), დამოუკიდებელი ცხოვრება სურდათ. მათ ემძიმებოდათ მთავრის ყმობა. ერისთავები მთავრის მიერ რუსეთის მფარველობის მიღების შემდეგ მეფის რუსეთის აგენტები გახდნენ და კიდევ მეტად იწყეს თვითნებობა. ასევე იქცეოდნენ ნაკაშიძეები, რომლებიც აგრეთვე იბრძოდნენ შეუვალლობისათვის. მათთან მთავარს ხშირი კონფლიქტი ჰქონდა.

მამია გურიელი ძლიერი თავადების წინააღმდეგ თავისებური ხერხებით იბრძოდა. იგი, მაგალითად, ნაკაშიძეებს მხოლოდ მაშინ ბეგრადა, როცა მათზე განრისხებული იყო: თუ „თავად ნაკაშიძეებზედ მრისხანედ იქნებოდა“, მაშინ გადაახდევინებდა მათ ყმებს 125 ყურუშს, 38 ქილა ღომს, 50 საწყავ ღვინოს, 11 ქათამს; „როდესაც მშვიდობიანობა და სიყვარული ექნებოდნენ... არც იმას გამოართმევდა“. სამთავროს ძლიერი სხვა თავადები მთავრის სასარგებლოდ მეტნაკლებად იბეგრებოდნენ. ასევე აზნაურებიც. ამ შემთხვევაში ცალკეული თავადის თუ აზნაურის სიძლიერის გარდა მხედველობაში იყო მიღებული მთავრის წინაშე მათი დამსახურება და ქონებრივი მდგომარეობა — ყმა-მამულის რაოდენობა. მაგალითად, თავადი ამბაკო შალიკაშვილის შესახებ ოზურგეთისა და შემოქმედის მოურავი წერდა:

„თავადის ანბაკო შალიკაშვილის ყმებს მთავრის სახლისა გარდასახად არაფერი მართებს ამისთვის, რომელ მათ ძველთა წინაპართა ყმათა მთავრის სახლისა შესავალი გარდასახადი არაფერი მართებიათ, რადგანაც ჟამთა ვითარებისა გამო თავის ყმა და მამულს მოაკლდა და მემკვიდრე მისი არავინ იყო, მათ ყმებს მთავრის სახლი იმსახურებდა და, რადგანაც ისევ მოვიდა თავის მშობელს მამულზედ, ამისათვის მთავარმა დავით და მთავრინა სოფიომ სრულებით თავის ყმები ჩემის ხელით მოუბრუნა, როგორც წინაპართა მისთა ჰყავდა თავისუფლად ყმანი მათნი“¹.

საფიქრებელია, რომ საბუთში მოხსენებული თავადი სწორედ ის ამბაკო შალიკაშვილია, რომელიც გურიაში 1841 წ. აჯანყებას მეთაურობდა.

გურიის სამთავროს თავადაზნაურობა იბრძოდა შეუვალლობისათვის. ზოგიერთი ამას აღწევდა კიდევ. მაგალითად, აკეთისა და ნაგომრის სამოურავოებში აზნაურთა ყმების გარდა დაბეგრული არიან სხვადასხვა რიგის თავადთა ყმები; მათ შორის ძლიერთა ყმები თავისუფალნი ჩანან: „საპატიო კაცის“ (თა-

¹ გურიის სამთავროს შესახები 1828 წ. საბუთები.

ვადის) — როსტომ შალიკაშვილის ყმები დაბეგრილი იყვნენ ნაწილი მსახურთა მსგავსად, ნაწილი კი დევ მებეგრეთა მსგავსად, თავადი თავდგირიძეები, თავიანთი აზნაურებით, ხელოსნებით, ძეღვინეებით, ყმა-გლეხებით (52 კომლი) მთავარს არაფერს უბდიდნენ; ასევე დაუბეგრავე იყვნენ თავადი მაჭუტაძის ყმებიც.

1828 წ. გურიის მოურავთა მოხსენებაში მთელი სისრულითა აღწერილი იმ თავადაზნაურთა ყმები, რომლებიც სამთავრო გადასახადს იხდიდნენ, ასევე ისინიც, რომელნიც თავისუფალი იყვნენ. დაბეგრილთა რიცხვი საკმაოდ დიდია, დაუბეგრავთა რაოდენობა კი შედარებით ნაკლები.

საშინაო პოლიტიკაში მთავარი ცდილობდა დაყრდნობოდა წვრილ მემამულეებსა და გლეხთა ზედაფენებს. ეს ცდა რამდენადმე ჩანს იმაში, რომ გურიის მთავარი ძალზე ხშირად ათავისუფლებდა საკუთარ ყმებს სამთავრო გადასახადებისაგან; ასევე წყალობდა იგი „ლაზიბსა“ და შცირეშიწიან აზნაურებს.

1847 წ. 27 სექტემბერს მეფისნაცვლისადმი მოხსენებაში დიმიტრი ყიფიანი, საქართველოს ბატონყმური ურთიერთობის ვრცელი დახასიათებისას, განსაკუთრებით ხაზს უსვამდა გურიის სახაზინო გლეხთა მდგომარეობას:

„გადასახადებით დაბეგრილი სახელმწიფო გლეხები გურიაში არ არიან; წინათ, მთავართა დროს, ზოგიერთი სამთავრო გლეხი, ახლა სახაზინო, განსხვავდებოდა დაბალი კლასის ხალხისაგან ქონებრივად, დამსახურებით ან მთავართან ახლო მყოფ პირთა შუამდგომლობითა და მთავრის სიგლით თავისუფლდებოდა ფულადი და ნატურალური ბეგარისაგან“¹.

რამდენადაც გადაჭარბებული არ უნდა იყოს დ. ყიფიანის ეს მითითება, ერთი რამ თითქოს ცხადია, რომ გურიაში გადასახადებისაგან „განთავისუფლებულ“ ყმათა რიცხვი (აქ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება ყმური მდგომარეობისაგან განთავისუფლება) შედარებით დიდი იყო.

აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრებთან შედარებით გურიელი ეკონომიურად სუსტი იყო. გურიელის კერძო მფლობელობაში მყოფ ყმათა რაოდენობა 5 — 6 ათას სულამდე აღწევდა მაშინ, როდესაც დადიანს თითქმის სამჯერ მეტი ჰყავდა. გურიის მოსახლეობის რაოდენობაც პროპორციულად ნაკლები იყო. ეს აიხსნებოდა გურიის სამთავროს ტერიტორიის დიდი ნაწილის დაკარგვით, რაც ოსმალეთის აგრესიას მოჰყვა.

მთავრის შემდეგ ექსპლოატატორთა კლასის მსხვილი წარმომადგენლები იყვნენ თავადები, რომელთა შორის განსხვავდებოდნენ „მცირენი“, „საპატიო კაცები“ და „დიდნი“. განმსაზღვრელი ნიშანი იყო ქონებრივი უპირატესობა და ადგილი სამთავრო მართვა-გამგეობაში. დიდი თავადების რიცხვში იყვნენ გურიელთა საგვარეულოს წარმომადგენლები — ბატონიშვილები, რომელთაგან განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობდა სამთავრო ტახტის უმცროსი შტოს წარმომადგენლის ვახტანგ გურიელის ჩამომავლობა, რომ წრის ტიპური წარმომადგენელი იყო პოეტი მამია გურიელის მამა დავით

¹ აღნიშნული მოხსენება გამოქვეყნებულია პროფ. შ. ჩეტყიას წიგნში — საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, 1950 წ., გვ. 94.

გურიელი, რომელიც თუმცა სამთავროს გაუქმების შემდეგ ცხოვრობდა, მაგრამ მისი თავადური ყოფ-ცხოვრება წინა ხანასაც კარგად ახასიათებდა.

დავით გურიელს 5 ათასამდე ყმა ჰყავდა. მას ემორჩილებოდა 80 აზნაური თავისი ყმებით. გურიელის დომენი შავი ზღვის ნაპირზე იყო. რამდენადმე გადაჭარბებული ცნობით, იგი „ბაჟს ართმევდა ყოველგვარ გემს, რომელიც გრიგოლეთს ან მალთაყვას მიადგებოდა“¹. მისი სასახლე სოფ. ლესაში იდგა. დიდ ეზოში ცალკე იყო სახლი სტუმართათვის, კარის ეკლესია, მრავალი დამხმარე ნაგებობა. სასახლეში შინა-ყმათა დიდი შტატი იყო: „ხელზე მოსამსახურეები, ძიძები, მსახური ქალები, ბაზიერები, მეჯინიბეები, დალაქები, მცველები“². თავადის შვილს ემსახურებოდნენ კარზე მყოფი მსახური აზნაურები. სასახლეში თავს იყრიდნენ აურაცხელი სტუმრები: რუსი ოფიცრები, სამეგრელო-იმერეთის თავადები და სხვანი, რომლებიც ღრეობდნენ, ერთობოდნენ ნარდისა და ჭადრაკის თამაშში, ჯირითობდნენ, ბურთაობდნენ, ნადირობდნენ და სხვ.³ ასეთი ყოფა ახასიათებდა სამთავროს დიდკაცობას. დათა გურიელი სამთავრო სახლის გარეგნულ ეტიკეტს ჰბაძავდა. ასე იქცეოდნენ სხვა ძლიერი თავადებიც — ერისთავები, გუგუნავეები, მაჭუტაძეები, ნაკაშიძეები⁴, თავდგირიძეები და სხვანი⁵.

აზნაურობა თავისი შემადგენლობით მეტად ქრელი იყო. წარსულთან შედარებით ჩვენთვის საინტერესო პერიოდში აზნაურობას არსებითი ცვლილებები არ განუცდია. შეიძინევა მხოლოდ, რომ მათი მდგომარეობა კიდევ მეტად დამცრობილი იყო.

ჯერ კიდევ XV — XVI საუკუნეებში, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, აღარ იყვნენ დამოუკიდებელი, საკუთარ სამემკვიდრო მამულებში მსხდომი აზნაურები. „აზნაურები იყვნენ ან სამეფო, ან საეკლესიო, ან სათავადო“⁶.

სამთავრო და საეკლესიო აზნაურის მდგომარეობა, შედარებით სათავადო აზნაურთან, გაცილებით უკეთესი იყო. ამ აზნაურებს საერთოდ მცირე-მიწიანობა და სიღარიბე ახასიათებდა; მათი ყმების დიდ ნაწილს ეკისრა აგრეთვე მთავრისა თუ ეკლესიისადმი სამსახურიც, მაგრამ ისინი თავადთა ბატონობისაგან თავისუფალი იყვნენ და ამით მათ ქონებრივ მდგომარეობას

¹ გ. ხაჭაპურიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 26.

² დავით გურიელის სასახლეში ამავე დროს მეტად კულტურული ცხოვრება იყო განადგობული. დავითის შვილი იყო ცნობილი პოეტი მამია (თხზულებანი მამია გურიელისა, 1897 წ., ი. მფუნარგის წინასიტყვაობა).

³ ნაკაშიძეების იყო გურიამთის ციხე.

⁴ თავდგირიძეთა შესახებ ნახე: სახოკია, გურია-აჭარა („მოამბე“. 1898 წ., IV, 27, 32 — 33 და ბაქრაძის „არქ. მოგზაურობა“. გვ. 245).

მდიდრულად შემკული სასახლე ჰქონდა ნაგომარში თავად გუგუნავს. მისი დარბაზის ირგვლივ 50 ქცევაზე არაფერ არ ცხოვრობდა. მხოლოდ შორიდან ეკრა მას ყმა-გლეხთა სახლები. „ვერობულ ყაიდაზე“ იყო მოწყობილი თავადის სასახლე ჩოხატაურ-ნაგომარის გზაზე (Врон-чуйко, а. 201). ეს უნდა ყოფილიყო ერისთავის სასახლე ბერეჟოულში.

⁵ Н. Бердвешвили. Очерк, გვ. 38.

გაუარესების საფრთხე ნაკლებად ჰქონდა. ასე არ ითქმის სათავადო აზნაურებზე.

მეტად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ გურიისა და იმერეთის სათავადო აზნაურებს XIX ს-ნის 50-ან წლებში, როდესაც ხდებოდა მათი ქონებრივი გამიჯვნა თავადთაგან და ყმობისაგან განთავისუფლება, კარგად ჰქონდათ წარმოდგენილი აზნაურთა დაკნინება-გადაგვარების ისტორიული პროცესი. თავიანთ თხოვნებში მთავრობისადმი ეს აზნაურები ახასიათებდნენ ამ პროცესს. მათი დახასიათების მოკლე შინაარსი ასეთია:

„თავადობა გვიან გაჩნდა. მეფეები ცდილობდნენ ხალხზე მათი გავლენის განმტკიცებას და დაიწყეს მათთვის აზნაურთა ბოძება. მაგრამ ამ გაჩუქებისას თავადს არ ჰქონდა აზნაურზე ბატონყმური უფლება. მისი გავლენა მხოლოდ „უბრალო ვასალობის“ ფორმებში ვრცელდებოდა. თავადი კმაყოფილდებოდა აზნაურის მხოლოდ „პირადი სამსახური“ და ლაშქრობაში ხლებით. აზნაურები ჰართავდნენ თავადის მამულს და ამისთვის გასამრჯელოს ღებულობდნენ. აზნაური თავისი მამულის სრულუფლებიანი ბატონი იყო. მას შეეძლო ქონების გასხვისება თავადის დაუკითხავად. „მდგომარეობისადა მიხედვით“ აზნაურს შეეძლო მიკედლებოდა სხვა თავადს. მაგრამ საშინაო განხეთქილებათა და ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის დროს თავადებმა ისარგებლეს ამით და „ძალადობის გზით“ დაიმორჩილეს აზნაურთა ბევრი საგვარეულო, დაიწყეს მათი შემოსავლის ნაწილის მოთხოვნა. აზნაურებს, რომლებიც სუსტნი იყვნენ, არ შეეძლოთ მათთვის ძალის დაპირისპილება. ისინი იძულებული გახდნენ მორჩილება გამოეცხადებინათ. ასეთ მდგომარეობაში საქართველო რუსეთს შეუერთდა. რუსთა გაბატონებისას თავადები პატივისცემით სარგებლობდნენ. მათ განამტკიცეს თავიანთ ყმობაში აზნაურები. აზნაურებს რომ ისინი თვითნებურად ფლობენ, ამის ერთი მაჩვენებელი ისაა, რომ ბევრ მათგანს არაფითარი საბუთი არ გააჩნია აზნაურთა კუთვნილების დასამტკიცებლად. თავადები ახლაც სარგებლობენ თავიანთი მდგომარეობით რუსულ მმართველობაში. მათ შეძლეს გამოეთხოვათ ისეთი წესები (აზნაურთა და თავადთა ქონებრივი გამიჯვნის წესები), რომლებიც მათ მოქმედების ყოველგვარ თავისუფლებას ანიჭებენ. აზნაურები კი შებოჭილნი არიან“...¹.

ამ მტკიცებას მოსდევს აღნიშნული წესების საფუძვლიანი კრიტიკა.

მოტანილი საინტერესო ილუსტრაციიდან ნათლად ჩანს, რომ აზნაურები მწარედ იგონებდნენ მათი წინაპრების ძველ უფლებებს და ყმური მდგომარეობისაგან თავის დაღწევისათვის იბრძოდნენ. ამ ბრძოლაში მათ აქეზებდა რუსეთის მთავრობა, მაგრამ ეს მთავრობა მაინც თავადთა ინტერესებს უფრო მეტად უჭერდა მხარს. ამას შედეგად მოსდევდა სათავადო აზნაურის უფლების უარყოფა უძრავ ქონებაზე, მათი გარკვეული ნაწილის უმიწოდ განთავისუფლება და სახაზინო გლეხის მდგომარეობაში გადაყვანა, ან განთავისუფლება დიდძალი გამოსასყიდი თანხის ვალდებით.

¹ Сельское хозяйство и аграрные отношения, т. 1, გვ. 332 — 353. ბრჭყალებში გადა-
მოცემულია მოკლე შინაარსი.

თვით აზნაურთა ახსნა-განმარტებით სათავადო აზნაურებში შემდეგი ჯგუფები გამოირჩეოდნენ:

1. აზნაური, რომელიც ვალდებულია მხოლოდ პირადი სამსახურით; 2. რომელიც მოვალეა, რომ შემოსავლის ნაწილი თავადს მისცეს; 3. რომელთა გლეხები თავადებს „მცირე რაოდენობის“ ბეგარას უხდიან; 4. ისეთი აზნაურები, რომლებიც იმერეთის მეფის ან გურიელის სიგლებით თავისუფალნი არიან ყოველგვარი გადასახადებისაგან¹.

მოტანილ დაჯგუფებაში დადასტურებულია აზნაურთა ყმური მდგომარეობა, მისი მეტეგრეობა. ამავე დროს აქ შეიმჩნევა ამ მეტეგრეობის შერბილება და უფრო უფლებრივი მდგომარეობის დაცვა, ვიდრე ფაქტიურის დახასიათება. სინამდვილეში სათავადო აზნაურის მდგომარეობა უფრო მძიმე იყო. თავისთავად ის ფაქტი, რომ ამ დროისთვის თავადები უკვე აშკარად აღარ სცნობდნენ მათ ყმობაში მყოფი აზნაურების უფლებას მიწებზე, მათი მძიმე მდგომარეობის დამადასტურებელია.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში იყვნენ ე. წ. „აზნაურთა აზნაურებიც“. თავის ერთ ანგარიშში, რომელიც 1857 — 1859 წლებს ეხება, მეფის ნაცვალის ბარიატანსკი ხაზს უსვამდა, რომ აზნაურთა წოდებაში დამტკიცება დასრულდა 1858 წ., მაგრამ დაუმტკიცებელი რჩებოდნენ ჯერ კიდევ გურიისა და იმერეთის სათავადო აზნაურთა დიდი მასა და აზნაურთა აზნაურები, „ანუ კლასი აზნაურებისა, რომლებიც თავადებისა ან აზნაურებისადმი ფეოდალურ დამოკიდებულებაში არიან“². 1850 წ. კავკასიის კომიტეტის დადგენილებით გადაწყდა, რომ აღნიშნულთაგან აზნაურებად ეცნოთ მხოლოდ ისინი, რომლებიც ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნენ მათი მებატონე თავადების ნებით და არა ისინი, რომელნიც მეფის ბრძანებით მოხვდნენ აზნაურთა ყმობაში. იმერეთ-გურიის აზნაურთა აზნაურების საკითხის გადაწყვეტა, ქუთაისის სააზნაურო კომისიის დახურვის გამო, დაევალა ქუთაისის აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს³.

ლიმიტრა ყიფიანის 1847 წ. მოხსენებაზე დართული ცნობები თავისებურად ხსნიან აზნაურთა აზნაურების წარმოშობას: ამ აზნაურებს უბოძებდა თავადს ან აზნაურს მეფე პირადი სამსახურისათვის. მათ ყავთ ყმები და ასეთების შეძენაც შეუძლიათ. მათ უფლება აქვთ ყოველთვის დატოვონ თავადი ან აზნაური, ოღონდ უნდა დატოვონ ის მამული, რომელიც საკუთრივ მათ არ შეუძენიათ. ასეთი აზნაურები ახლა მხოლოდ იმერეთსა და გურიაში არიან, აღმოსავლეთ საქართველოში კი ისინი „განთავისუფლებულ იქნენ თავდათაგან“⁴ 1833 წ. მთავრობის განკარგულებით⁵.

¹ იქვე, გვ. 354. აზნაურები დასძენდნენ, რომ მთავრობამ ეს არ გაითვალისწინა და განთავისუფლებისათვის მათ მეტად დიდი თანხა დააკისრა.

² „აქტები“, ტ. XII, გვ. 1326.

³ იქვე, გვ. 1327.

⁴ ფეიქრობთ, რომ ეს მითითება ვერ ადასტურებს აზნაურთა აზნაურის არსებობას აღმოსავლეთ საქართველოშიაც.

⁵ საბუღი გამოქვეყნებულია პროფ. შ. ჩხეტიას წიგნში — საგლეხო რეფორმის ისტ. ჭაქ-ში, 1930 წ., გვ. 100.

დასავლეთ საქართველოში სათავადო აზნაურებისა და აზნაურთა აზნაურების განთავისუფლების შესახებ ღონისძიებები ტარდება 1840 წლიდან¹.

აზნაურთა აზნაურების არსებობა დასავლეთ საქართველოს წოდებრივი რერარქიისათვის დამახასიათებელი სპეციფიური მოვლენა შეიძლება იყოს. რა თქმა უნდა, აზნაურთა აზნაურების მდგომარეობა სათავადო აზნაურის მდგომარეობაზე უარესი იყო. ისინი მხოლოდ ფორმით ებლაუჭებოდნენ მაღალი წოდების კალთებს. მათი რაოდენობაც ძალზე მცირე იყო.

გურიაში საკმაოდ მრავლად იყვნენ როგორც მცირემიწიანი, ისე უმიწო და უყმო აზნაურებიც. მაგალითად, ოზურგეთისა და შემოქმედის მოურავის 1828 წ. მოხსენებაში დასახელებული არიან: აზნაური კვაშალი — ყავს 4 ყმა; მთავრის აზნაური ზავარ კვაშალი — „ერთი ყმა ყავს“; აზნაური გოგია კვაშალი — ყავს 2 ყმა; აზნაური მაქსიმე კვაშალი — „სულ არ ყავს ყმა“; მთავრის აზნაური სვიმონ გოგიტიძე — „ყმა არ ყავს“ და სხვ.

აზნაურთა ვალდებულება მეზატონეთადმი არა მარტო იმაში გამოიხატებოდა, რომ მათ ეკისრათ სამსახური და მათი ყმების ნაწილს მთავრისათვის ან თავადისათვის ბეგარა უნდა ეხადა, არამედ აზნაურთა გარკვეულ ნაწილს (მათ შორის თითო ყმიანსა და უყმოსაც) მთავრისათვის ყოველ მესამე წელს სამსპინძლო უნდა მიერთმია. სამსპინძლოში შედიოდა თითო ძროხა, 3 — 4 ქილა ლომი, 3 — 6 საწყავი ღვინო და 2 — 3 ქათამი. ზემოაღნიშნულ სამოურავოში ასეთი ვალდებულება ეკისრა 15 კომლ აზნაურს.

გლეხთაგან მიღებულ ბეგარა-გადასახადებში აზნაურთა დაბალი ჯგუფების მიერ მიღებული წვლილი საერთოდ ძალზე ნაკლები იყო.

ქონებრივად და უფლებრივად განსხვავებულ აზნაურთა ჯგუფების არსებობა ამ სოციალურ ფენს საერთო პოლიტიკურ ფიზიონომიას უკარგავდა. თავისი მდგომარეობით აზნაურობა ორბუნება იყო. მათი დიდი ნაწილის გალატაკების პროცესის გვერდით შეიმჩნეოდა გარკვეული გამონაკლისი ნაწილის აღზევებაც. გაბატონებული კლასის შიგნით ბრძოლაში დამცრობილ აზნაურთა დიდი ნაწილი მთავრის მხარეზე იდგა.

აზნაურობა, მიუხედავად მისი ყმური მდგომარეობისა, სოციალური იერარქიის უკანასკნელ საფეხურზე არ იდგა. მცირე გამონაკლისის გარდა, ყველა აზნაურს ყმა-გლეხები ჰყავდა, რომელთაც იგი ბატონყმური ურთიერთობის საფუძველზე ექსპლოატაციას უწევდა. აზნაური პირადი თავისუფლებით ხარგებლობდა.

გაბატონებული კლასის რიგში იყვნენ სამღვდელოების მაღალი წარმომადგენლები. სამღვდელოება ცალკე სოციალურ ფენს არ წარმოადგენდა. სასულიერო თანამდებობაზე მყოფი ინარჩუნებდა თავის წოდებას².

1837 წ. ცნობით, სამღვდელოება გურიაში შეადგენდა 1500 სულს. როგორც ჩანს, ამ რიცხვში შევიდნენ გლეხთაგან გამოსული ის სასულიერო პი-

¹ იქვე, გვ. 93, 353.

² Вронченко. თ. 194.

რები, რომლებმაც სამთავროს გაუქმების შემდეგ მოიპოვეს პრივილეგიებუ-
ლი მდგომარეობა. აღნიშნული რიცხვი მაინც გადაჭარბებულია. 1842 წ. ცნო-
ბით, გურიის სამღვდელთა 673-ს უდრიდა¹.

მაღალი სამღვდლო პირები მრავალ ყმა-მამულს ფლობდნენ და ისეთივე
ექსპლოატატორები იყვნენ როგორც საერთოდ თავადაზნაურთა წარმომად-
გენლები. სამთავროს გაუქმების შემდეგ სამღვდელთა რიცხვიც პრივილე-
გიებულნი ცალკე ფენის გაჩენა გლახთა წრიდან და ამით გაბატონებული
კლასის რიცხვობრივი ზრდა, რა თქმა უნდა, მწარმოებელი კლასის მდგომარე-
ობას გააუარესებდა.

3. გლეხობა

მწარმოებელი კლასი — გლეხობა მძიმე სოციალურ ჩაგვრას განიცდიდა.
იმერეთსა და გურიაში ყოველ 7 გლეხზე ერთი მებატონე მოდიოდა².

„გლეხი კაცი“ „კაცი“, ისე როგორც „კოჩი“ სამეგრელოში, ყმა-გლე-
ხის სინონიმი იყო. ყმის ფლობა შეეძლო ყველას, როგორც დაბალი, ისე მა-
ღალი წოდების წარმომადგენელს. ყმა-გლეხი საზოგადოების უუფლებო წევრი
იყო. მებატონე მხოლოდ მის სიცოცხლეს ვერ შეეხებოდა; მას უფლება არ
ჰქონდა ყმის დასახიჩრების, მისი კარმიდამოდან თვითნებური აყრისა და გა-
დასახლების. მებატონეს არ შეეძლო აგრეთვე თავისი ყმის გაყიდვა ოჯახისა-
გან მოწყვეტით. მას ეკრძალებოდა ყმების ტყვედ გაყიდვა, რასაც მკაცრი
სასჯელი მოსდევდა. სხვა მხრივ მებატონეს გლეხისათვის ყოველგვარი შეუ-
რაცხყოფის მიყენება შეეძლო და კანონი მას არ სჯიდა.

ბატონყმური ურთიერთობა გურიის სამთავროში, ისე როგორც საქარ-
თველოს სხვა პროვინციებში, ძირითადად ვახტანგ VI-ის სამართლის საფუძ-
ველზე წესრიგდებოდა. კერძოდ, გურიაში ეს კარგად ჩანს სამთავროს მდი-
ვანბეგთა ოქმების მაგალითზე³.

მებატონეები ცდილობდნენ, რომ ყმათა მთელი ავლა-დიდება თავის სა-
კუთრებად გამოეცხადებინათ, მაგრამ გლეხი ბრძოლით იცავდა თავის უმნიშ-
ვნელო პირად საკუთრებას.

გლეხს ჰქონდა თავის საკუთრებაში უძრავ-მოძრავი ქონება, რომელსაც
მებატონე ვერ შეეხებოდა:

„გლეხებს აქვთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი უფლება: მათ, მაგალითად,
შეუძლიათ ჰქონდეთ საკუთარი მიწები, რომლებიც მემკვიდრეობით საკუთ-
რებაში გადადიან. სათავადო აზნაურს არ შეუძლია გაყიდოს გლეხი თავადის
ნებართვის გარეშე; გარდაცვლილი გლეხის ქვრივი თავისუფალია, ასევე ქა-
ლიშვილებიც, ვაჟიშვილები კი რჩებიან მებატონესთან...“⁴.

მებატონის მიერ გლეხის შევიწროების შემთხვევაში გლეხს შეეძლო
ეჩივლა მთავართან.

¹ Ц. Г. И. А. Ленинград. ф. 1268, оп. 1, 1842 г. 9. № 308, ფ. 25.

² Сельское хозяйство и аграрные отношения. т. II, გვ. 404.

³ Д. Б а к р а д з е. Арх. пут. гв. 342 — 345.

⁴ Вронченко. ფურც. 194 — 195.

მებატონეს შეედლო გლეხის გაყიდვა ოჯახით, გამზითვება, დაგირავება, გაჩუქება. მასვე უფლება ჰქონდა 30 წლის განმავლობაში ეძებნა გაქცეული ყმა. მიუხედავად გლეხთა ენერგიული ბრძოლისა მებატონის ძალადობის წინააღმდეგ, მებატონეები ახერხებდნენ ყმების გაყიდვას არა მარტო ოჯახებით, არამედ ცალ-ცალკევ. ამას ადგილი ჰქონდა სამთავროს გაუქმების შემდეგაც¹.

ჯერ კიდევ XV — XVI ს-ის მძიმე ვითარებაში ფეოდალებმა მიითვი-სეს ყმა-გლეხებზე თვითნებური უფლებები — მიწისმოქმედის გაყიდვა ოჯახი-საგან მოწყვეტით, მიწიდან აყრა და განდევნა, „ფეოდალების მიერ უზურ-პირებული ეს უფლებები არღვევდნენ ფეოდალური საზოგადოების საფუძ-ვლებს და, ართმევდნენ რა მას ძირითად უპირატესობას წარმოების მონათ-მფლობელურ წესთან შედარებით, ამით აზნობდნენ ამ საზოგადოების შემ-დგომი განვითარების გზებს“². ვერ ვიტყვით, რომ XIX ს-ის I მესამედშიაც ზუსტად ასევე გრძელდებოდა. კერძოდ, გურიაში ფეოდალთა თვითნებობა შე-დარებით შეზღუდული იყო; მაგრამ აქ არსებულ ვითარებაშიაც, თუმცა ძვე-ლი მასშტაბით არა მაგრამ მაინც, არსებობას განაგრძობდა ყმა-გლეხთა ცალ-კეული გაყიდვის ხშირი შემთხვევები, რაც საზოგადოების წინსვლისათვის ისეთივე დამლუპველი იყო, როგორც წარსულში.

იმ ვალდებულებათა გარდა, რომელიც გლეხს ეკისრა მისი უშუალო მე-ბატონის მიმართ, გლეხობა დაბეგრილი იყო საქვეყნო-სამთავრო გადასახა-დით. ასეთი იყო, მაგ., საუდიერო და საური — „ქვეყნის მოსაკრეფელობა თე-თრი“³. სამთავროს ადმინისტრაციის შესანახი ხარჯებისათვის იყო აგრეთვე გადასახადი „სალიანი“ („სანიანი“) — „სახვანთქრო და საქართველო სალი-ანი“⁴. ეს იყო, ოსმალეთის წარსული პოლიტიკური ბატონობის გადმონაშთი. უკანასკნელ ხანებში ეს გადასახადი გურიელმა მიითვისა.

უძეოდ გადასულ გლეხთა მამული, საეკლესიო მამულების გამოკლებით, მთავრისა იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ უფლებით ბატონიშვილებიც სარ-გებლობდნენ, ან ძალით ითვისებდნენ მას⁵.

გლეხთა უფლებრივი მდგომარეობის ასეთი ზოგადი აღნიშვნისას საჭი-როა ითქვას უკიდურესად მწვავე კლასობრივი ბრძოლისათვის დამახასიათე-ბელი ტყვეებით ვაჭრობის შესახებ. ამ მოვლენის არსებობა მწარმოებელი კლასის უფლებობასაც ახასიათებს.

ტყვეებით ვაჭრობის საგანს ყმა-გლეხები შეადგენდნენ. ადამიანზე მონა-დირეები იყვნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის მეზობლად, ოსმალთა ყა-ჩალებისა და მათი აგენტების სახით.

¹ 1837 წლისთვის გურიაში „დროებითი მმართველობის“ უფროსს მიუღია ბრძანება, რომ ცალ-ცალკე გაყიდული ყმები ოჯახებში დაებრუნებინათ. ან გამყიდველს ფული უნდა გა-დაეხადა და ყმა ოჯახში დაებრუნებინა, ან მყიდველს ოჯახიანად ეყიდნა იგი. გაუგებრობა შეიქმნა იმის გამო, რომ გარკვეული არ იყო. თუ რომელი წლიდან ჩაეთვალათ უკანონოდ ასეთი გაყიდვა. ეს საკითხი ამ მომენტში გადაწყვეტილი არ ყოფილა (ვრონიჩენკო. ფ. 195)..

² Н. Бердзенишвили. Очерк, გვ. 25.

³ Д. Бакрадзе. Арх. пут. გვ. 308, 313.

⁴ Д. Бакрадзе. Арх. пут. გვ. 310, 315, 316.

⁵ იქვე, გვ. 327.

ჯერ კიდევ 1804 წ. მთავარმმართველი ციციანოვი მოითხოვდა ახალციხის ფაშისაგან, რომ მას აეკრძალა ახალციხეში ტყვეებით ვაჭრობა და შეწვევით იმერეთ-გურიაზე თავდასხმები¹. ტყვეების ტაცება არა მარტო ქურდულად, არამედ აშკარა თავდასხმების გზითაც ხორციელდებოდა. ხშირი იყო შემთხვევა, როცა გურიის მთავრის რაზმი გზას მოუჭრიდა ოსმალთა ავაზაკებს და ტყვეებს წაართმევდა. მოსახლეობა კერძო ინიციატივითაც ებრძოდა ქურდავაზაკებს. მაგ., გურიის უკანასკნელი მთავრის დროს სოფ. ხევში (მდ. გუბაზოულის ნაპირზე) ცნობილი იყო სახალხო გმირი ბულარა მამალაძე, რომელმაც თავისი რაზმი ბევრჯერ გაჟლიტა ქურდ-ოსმალები². ხევში დღესაც მიუთითებენ „თათრის შარაზე“, საიდანაც მოდიოდნენ ოსმალთა მტაცებლები³.

გაბატონებული კლასის შიგნითაც ტყვეებით მოვაჭრეებს ბევრი მონაწილე ჰყავდათ. ეს სენი გრძელდებოდა სამთავროს გაუქმების შემდეგაც. საზღვარზე გამავალი ე. წ. „საკონდონო ხაზი“, რომელსაც რუსთა და ქართველთა რაზმები იცავდნენ, ვერ იფარავდა გურიას... მაინც მოდიოდნენ ოსმალთა მტაცებლები, რომლებიც „მებატონეებისაგან ყიდულობდნენ გლეხთა შვილებს“⁴.

მაშინდელ მწვავე კლასობრივ ბრძოლასაც ახასიათებდა ყმა-გლეხთა გაქცევა მებატონეებისაგან. ყმები გაუბრუნდნენ უმეტესად მცირემიწიან აზნაურებს. გაქცევა ეს კლასობრივი ბრძოლის უკანასკნელი საშუალება იყო. ამის შედეგი იყვნენ „ბოგანოები“ და „ხიზნები“⁵. მრავლად ჩანდნენ აგრეთვე გურიიდან, ისე როგორც სხვა რაიონებიდან, გამოსული მოხეტიალე გლეხები, რომლებიც საშოვარზე დადიოდნენ. ასევე ბლომად იყვნენ კარდაკარ მოსიარულე მათხოვრებიც.

მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ გურიის მთავარი მფარველობაში მიიღო, გურიაში რუსთა რაზმები ჩააყენეს. თანახმად ხელშეკრულებისა, გურიელს რუსთა რაზმებისათვის სურსათი „ზომიერ ფასებში“ უნდა მიეწოდებინა. ამ მიზნით გურიელი მოითხოვდა, რომ მოსახლეობას ჩაებარებინა პურის მაქსიმალური რაოდენობა⁶. „ზომიერი ფასები“ კი ბაზარზე არსებულ ფასებთან შედარებით სამჯერ ნაკლები იყო⁷. აქედან გასაგებია, თუ რამდენად სამძიმო იქნებოდა გლეხებისათვის ეს ახალი მოვალეობა.

¹ Акты, т. II, 896.

² ბულარა ცხოვრობდა „უკანასკნელი გურიელების დროს“ (Д. Бакрадзе. Арх. пут. зб., 224).

³ ბულარას შესახებ გადმოცემა გაგვაცნო 82 წ. მოხუცმა რაჟდენ მამალაძემ. ბულარას იხსენიებს ტ. მამალაძეც: „საბრძოლო სურათები“, ნაწ. I, გვ. 28.

⁴ გრონჩენკო. 186, 192 — 193. ხშირი იყო, როცა იტაცებდნენ მდიდარი თავადაზნაურების შვილებსაც იმ მიზნით, რომ უკან დაბრუნებისათვის დიდი თანხა მიეღოთ (თ. სახოკია, გურია-აჭარა, „მოამბე“, 1898 წ., № X, გვ. 28 — 29). ტყვეებით ვაჭრობა 70-ან წლებშიაც კი გრძელდებოდა. აჭარა-გურიის მთავარეხილის ახლო მცხოვრებთა მდგომარეობა უმწეო იყო.

⁵ Н. Бердзенишвили. Очерк, გვ. 9.

⁶ ნახე გურიელის 1817 წ. ბრძანება („მოამბე“, 1899 წ. № XI).

⁷ Акты, т. V, გვ. 509.

ძალზე ხშირი მოვლენა იყო გურიაში ყაჩაღობა (ფირალობა). თავგაბეზრებული გლეხი სტოვებდა ოჯახს, გარბოდა და ხელსჰკიდებდა ძარცვა-გლეჯას. იგი თავს ესხმოდა განსაკუთრებით გულქვა მებატონეებს, რომლებსაც სიცოცხლეს ასალმებდა, ხოლო მათ სახლ-კარს ცეცხლს უკიდებდა. ყაჩაღობა კიდევ უფრო გაფართოვდა მეფის რუსეთის რეჟიმის დამყარების შემდეგ, როდესაც მებატონეთა თვითნებობას პოლიციური რეჟიმის თარეში მიემატა; ხშირი გახდა ეგზეკუციები, გაიზარდა გადასახადები, დაიწყო ეროვნული ჩაგვრა¹.

გლეხთა სადგომები უმეტესად უფანჯრო იყო. ქოხებში სინათლე მხოლოდ სახურავიდან შედიოდა. სახურავშივე გადიოდა კვამლი სახლის შუა მიწაზე გაჩაღებული ცეცხლიდან. 1837 წ. ერთი დამკვირვებელი წერდა: «ყველაფერში, რასაც კი გურულებს შორის შევხვდებით... ჩანს მეტ-ნაკლები სიღარიბე. მათი ნივთებისა და ავეჯეულობის მნახველისათვის გაუგებარია, თუ როგორ უნდა იარსებოს ასე მეურნეობამ; მაღალ წოდებას უხეში და გახუნებული ქსოვილების ტანსაცმელი აქვს, გარდა გამონაკლისისა. უბრალო ხალხი პერანგებში დადის, ბავშვები კი ნახევრად შიშველნი, ზოგჯერ შიშველნი მთლიანად, მიუხედავად სისველისა და სიცივისა»².

მშრომელთა აუტანელი მდგომარეობა ერთგვარ თანაგრძნობას პოულობდა საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებშიაც. ამ თანაგრძნობის ანარეკლი უნდა იყოს ეკატერინე გურიელის ცხოვრების დამახასიათებელი ზოგიერთი ფაქტი.

იმ დროის სწავლა-აღზრდის ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, უცხო ენების მცოდნე და საკმაოდ განათლებული ეკატერინე გურიელი, როგორც ჩანს, სულიერ მარტოობას გრძნობდა ფეოდალური არისტოკრატის ბანაკში. ადრე მომწიფებული ახალგაზრდა ქალი მეტად დახელოვნებულია ძერწვაშიაც.

თავის დროზე (XIX ს. 20-ანი წლების ბოლო) დიდი ყურადღება მიუპყრია ეკატერინეს მიერ განსაკუთრებული თიხისაგან გამოძერწილი ანგელოსის ქანდაკებას. მხილველის გადმოცემით, ეს ქანდაკება მომაჯადოებელ შთაბეჭდილებას სტოვებდა მნახველებზე. ქანდაკების ბაგეები თითქოს მოძრაობდნენ, მის სახეზე აღბეჭდილი იყო რაღაც გამოუთქმელი, უსაზღვრო მწუხარება... გადმოცემის ავტორს უკვირდა, თუ რატომ მოხდა, რომ ახალგაზრდა ქალმა, გურიის მთავრის ასულმა, რომელიც ყველაფრამდე კმაყოფილი იყო და რომელსაც დუხჭირი ცხოვრება არ განუცდია, თავისი ხელოვნებისათვის ასეთი თემა აირჩია. ამაზე პასუხის გაცემა ძნელი როდია. — სალი აზროვნების მქონე ქალის ყურადღება უნდა მიეპყრო არსებულ სოციალურ უთანასწორობას. საფიქრებელია, რომ ბატონყმური ჩაგვრით გაძვალტყავებული მშრომელი მოსახლეობისადმი თანაგრძნობა მან ქანდაკებაში გამოხატა.

¹ XIX საუკუნის II ნახევრის გურიაში ყაჩაღობის სოციალური საფუძვლები გამოაშკარავა ეგნატე ნინოშვილმა თავის პუბლიცისტურ წერილებში (ეგნატე ნინოშვილი, თხუღღპანის II, 1950 წ. გვ. 258 — 261).

² Вронченко. т. 201 — 202.

გურიის მთავრის სახლთუხუცესად ნამყოფი მაჭუტაძე ახასიათებდა ყმა-გლეხთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელ მეტად საინტერესო მომენტს. მისი აზრით, გურიაში „უკანასკნელ ხარისხად“ გავრცელებული სიღარიბის მთავარი მიზეზი იყო მავნე გავლენების შედეგად დანერგილი ჩვეულება — ოჯახების დაქსაქსვა, რის შედეგადაც ხშირად ერთი მუშაკაცის სარჩენი ხდებოდა „რაუდენიმე ესრეთნი სულნი, რომელთაც არავეითარის შემწეობის მიცემა სახლმმართველობისა შინა მისდამი არ შეუძლიანთა“... ამიტომ გლეხებისათვის დაყოფა უნდა აეკრძალათ, მაშინ ოჯახში ბევრი ზღუახელი იქნებოდა, შრომას გაინაწილებდნენ და გლეხთა მდგომარეობაც წინ წავიდოდა. ასეთი იყო გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების თავადური ღონისძიებები XIX ს. 40-ან წლებში (1844 წ.), ანუ სამთავროს გაუქმებიდან 16 წლის შემდეგ, როდესაც ძველი უკიდურესი სიღატაკე უცვლელი რჩებოდა.

საყურადღებოა, რომ, მაჭუტაძის დაკვირვებით, გურიაში გლეხთა ოჯახების დანაწევრებას მასიური ხასიათი ჰქონდა და ეს ჩვეულება აქ „შფოთიანთა დროთაგან ზედანმისაგან მტერთასა მიუღიესთ“. რა თქმა უნდა, ოჯახების დანაწევრება ყმა-გლეხთა ცხოვრების პირობებს ახასიათებდა და მათი უბედურების მიზეზი სოციალური უკუღმართობა იყო.

გურიის ყმა-გლეხთა მდგომარეობას უაღრესად ამძიმებდა მიწის ნაკლებობა. გლეხი იძულებული ხდებოდა მებატონესთან შეთანხმებით ტყე გაეკაფა. იგი ცეცხლს უკიდობდა ტყეს და ზოგჯერ ეს ცეცხლი ვრცელ ტყეს მთლიანად ანადგურებდა. უფრო მწვავედ იგრძნობოდა მცირემიწიანობა მთიან ადგილებში, სადაც მიწა ძალზე ძვირი იყო, ბარში კი მიწა შედარებით ნაკლებად ფასობდა¹.

მეურნეობის პრიმიტიული იარაღებითა და ტექნიკით გლეხი ვერ ებრძოდა ნესტიანობასა და ქაობებს. ქაობები (ნოყო) ზაფხულობით ხაშმავდა და ბლობის სოფლებს; მასიური მოვლენა იყო ციებ-ციხელება, რაც ხშირ სიკვდილიანობას იწვევდა². ასეთ მდგომარეობას სტიქიური უბედურებაც სდევდა: 1812 წ. დიდი სიმშოილობა და შავი ჭირი მძვინვარებდა, 1826 წ. აგვისტოს 2-ს „დიდი წყალობა იყო და იმავე თვეშიდ მკალი მოვიდა, ნამუშეგარი შემქამა“³.

კუთვნილებისდა მიხედვით იყვნენ სამთავრო, ხათავადო, სააზნაურო, საეკლესიო და გლეხთა გლეხები⁴. ეს უკანასკნელი გარემოებაც გლეხთა მდგომარეობის ერთი განმსაზღვრელი ნიშანი იყო. მაგალითად, მებეგრე გლეხის მდგომარეობა, თუ იგი უშუალოდ მთავრის ყმობაში იმყოფებოდა, რამდენადმე უფრო მსუბუქი ჩანდა, ვიდრე იმ მებეგრისა, რომელიც თავადის ყმა იყო. ამ უკანასკნელის მდგომარეობა ასევე რამდენადმე შეიძლებოდა უკეთესი ყოფილიყო აზნაურის მებეგრის მდგომარეობასთან შე-

¹ Вронченко. 189, 196.

² კ. გვარამაძე. გურია, თბილ. „მოგზაური“, № 1, 1901 წ. გვ. 84.

³ Д. Бакрадзе. Арх. Пут. გვ. 155.

⁴ „Крестьяне помещики по сие время существуют в Гурии“ (Гржасквский. О словнях в Гурии. „Кавказ“, 1847 г. № 40).

დარებით. მცირემიწიანი და ღარიბი აზნაური, რომელიც თავადის მიმართაც იყო ვალდებული, ცდილობდა უფრო მეტი გადასახადი დაედო მისი ყმა-გლეხისათვის. ასევე შეიძლება გვეთქვა ყმათა ყმების ანუ გლეხთა გლეხების შესახებ. მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ მრავალსაფეხურიან სოციალურ იერარქიაში ყმისაგან მიღებული რენტა კორპორაციულად ნაწილდებოდა მებატონეებს შორის.

არაა მთლად სწორი ზოგიერთი ავტორის მითითებები იმის შესახებ, რომ თითქოს სათავადო აზნაურის ყმები და ყმათა-ყმები ორი ან სამი ბატონის მსახურები იყვნენ და ყველა მათგანისაგან თანაბარ ძალადობას განიცდიდნენ. გლეხთა საგადასახადო სიების ანალიზს საწინააღმდეგო დასკვნამდე მივყავართ. მტკიცდება, რომ ყმა-გლეხთა ექსპლოატაციის ნორმა და ზარისხი კორპორაციულად განაწილებული იყო მთავარსა, თავადსა თუ აზნაურს შორის. გლეხის ვალდებულება განსაზღვრული და გარკვეული იყო; მებატონის რიცხვის მიხედვით გლეხის გადასახადის რაოდენობა არ იცვლებოდა. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ გლეხთა მდგომარეობა რამდენადმე სხვადასხვაგვარი ჩანდა. სხვადასხვაობა აღინიშნებოდა დამცრობილი უფლებრივი მდგომარეობით. ეს მოსაზრება თავადაზნაურთა ყმების მთავრისადმი ვალდებულების შესახებ ცნობებით დასტურდება.

მთავრის სასარგებლოდ აზნაურთა გლეხები იბეგრებოდნენ ზოგჯერ ისეთივე წესით, როგორც მთავრის კუთვნილი მებეგრეები, ზოგჯერ კი ისინი მარტო ფულად გადასახადს უხდიდნენ მთავარს 6 — 10 ყურუშამდე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს გლეხები თავიანთი უშუალო მებატონე აზნაურებისადმი მებეგრეობის წესით (ფულადი გადასახადის გამოკლებით) უნდა ყოფილიყვნენ ვალდებულნი. აქ ჩანდა გლეხთა ორმხრივი ვალდებულება — უშუალო მებატონისადმი და მთავრისადმი, მაგრამ იგი განაწილებული იყო.

აზნაურთა ყმების ვალდებულება მთავრისადმი ზოგჯერ სრული მებეგრეობის წესით ვლინდებოდა, ზოგჯერ მხოლოდ ფულადი გადასახადით, ხშირად კი ასეთ ყმებზე სამთავრო გადასახადი არ ჩანდა. მაგალითად, საჯავახოს აზნაურთა და ხელოსანთა ყმები „მთავრის სახლის მებეგრეთა“ მსგავსად იყვნენ დაბეგრილი (50 კომლი), მათ გვერდით 28 კომლი „გადაუხდელი“ იყო. აქედანაც ჩანს, რომ საქმე გვაქვს ყმა გლეხის ვალდებულებათა განაწილებასთან, რომელიც შეზღუდული იყო გარკვეული წესით.

გურიამთის სამოურავოში აზნაურთა ყმების გარდა „თავადთა“ ყმებიც (8 კომლი) მებეგრეობის წესით უხდიდნენ მთავარს. ამავე დროს, გურიამთაში თავადაზნაურთა ყმების უმრავლესობა დაუბეგრავი იყო. სამწუხაროდ, სიებში არ ჩანს მუშაობითი ბეგარის, საბატონო სამუშაოს ამ უაღრესად მძიმე ვალდებულების, განსაზღვრა. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ გურიელი, რომლისადმი ვალდებულებას 1828 წ. საბუთები განსაზღვრავს, სათავადო და სააზნაურო, ან საეკლესიო გლეხისაგან შორს იდგა და გლეხი უშუალო მებატონეს ემსახურებოდა განსაზღვრულ დღეებში. ამ მებატონეთა მეშვეობით მთავარი გლეხებს პერიოდულ სამთავრო სამუშაოებზედაც იწვევდა.

ჩიბათ-ჯურუყყეთის სამოურავოში ყურადღებას იპყრობს საზნაურო ყმების შედარებით მსუბუქი დაბეგვრა გურიელის სასარგებლოდ. აქ 47 კომლი გლეხი დაბეგრილია მებეგრეთა მსგავსად, მაგრამ მათი ფულადი გადასახადი უდრის თითო მარჩილს (თითქმის ათჯერ ნაკლებს, ვიდრე საკათალიკოსოს სამოურავოში). 47 კომლის გარდა 11 კომლს თითო მარჩილი ეკისრება. აქაც ყმების ორნხრივი ვალდებულების განაწილებასთან უნდა გვექონდეს საქმე.

ამავე დროს ყმათა ოჯახური მდგომარეობაცაა გასათვალისწინებელი. „გადაუხდელი“ 5 კომლისაგან ერთზე ნათქვამია, რომ „ობოლია და არაფერს იხდისო“. ამავე სამოურავოში არიან გადამხდელი კომლობრივი ჯგუფებიც: 4 კომლი, რომელიც ყოველ 2 წელიწადში იხდიდა თითო ცხვარს, 4 კომლი — წლისთავზე ერთ ცხვარს და სხვ. აქაც ივარაუდება, „საზიარო“ ექსპლოატაციის გვერდით, ქონებრივი და სამეურნეო სპეციფიურობა. ზოგიერთი გლეხის სამძაგი ვალდებულებაც იჩენდა თავს. ასეთი ვალდებულებაც გაძიჯნული, განსაზღვრული იყო. „ზედმეტ პროდუქტს“ და სამსახურს მებატონეთა ჯგუფი ინაწილებდა: გლეხის ყმა მუშახელს აძლევდა გლეხს, გადასახადის ნაწილს — აზნაურს, ნაწილს — თავადს. ასეთი იყო გამონაკლისი შემთხვევები.

გლეხთა ორმაგი ვალდებულების შესახებ 1848 წ. მეფისნაცვალის ვორონცოვი წერდა: „იმერეთსა და გურიაში ბატონყმობა მთლიანად განსაკუთრებულ საფუძველზე არსებობს. თავიანთი საკუთარი გლეხების ვარდა თავადებს ყავთ კიდევ ყმებად აზნაურები. აზნაურები თავიანთი მებატონეების მიმართ მოვალენი არიან სამსახურით, ხოლო მათი გლეხები, იმ ბეგარა-გამოსაღებთა გარდა, რასაც თავიანთ უშუალო მებატონეებს უხდიან, მოვალენი არიან თითქმის ასეთივე ბეგარა გადაუხადონ თავადებსაც“. ეს გარემოება, ვორონცოვის თქმით, გამოხატავდა გლეხთა „ორმაგ დამოკიდებულებას“ და ხელს უშლიდა სოფლის მეურნეობის განვითარებას¹. მაგრამ ვორონცოვი სწორი არ იყო, როცა თვლიდა, რომ სათავადო აზნაურის ყმა იმდენივეს უხდიდა აზნაურს, რამდენსაც თავადს და მისი მდგომარეობა სხვა გლეხებთან შედარებით ორჯერ მძიმე იყო.

ის ფაქტი, რომ ერთი გლეხის ბეგარა-გამოსაღებს (განსაზღვრულს) რამდენიმე მებატონე ინაწილებდა, გლეხთა უმძიმესი მდგომარეობის ნიშანი იყო. არსებული ბატონყმური დამოკიდებულება დიდად უშლიდა ხელს მეურნეობის განვითარებას. მწარმოებელს თითქმის არ ჰქონდა „ზედმეტი“ (საბაზრო) პროდუქტის შექმნის საშუალება: ყოველი მებატონე ცალ-ცალკე ცდილობდა, რომ თავისი ყმისაგან რაც შეიძლება მეტი გადასახადი მიეღო.

შედარებით რამდენადმე უკეთეს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ საეკლესიო გლეხები. ისინი თითქმის ისეთსავე გადასახადებს იხდიდნენ როგორც თავადაზნაურთა გლეხები². მაგრამ მათი ყმური მდგომარეობა ნაწილობრივ მსუბუქი უნდა ყოფილიყო იმითაც, რომ აქ „საბატონო სამუშაოები“ ისეთი მძიმე და დამამცირებელი არ იყო.

¹ Ц. Г. И. А. Ленинград. ф. 1268, оп. № 2, 1848 г. д. № 859. „О разгравнч. илгущ. права...“, ч. 1-я, д. 3. ვორონცოვის წერილი ჩერნიშევს 1848 წ. 20 თებ.

² საქ. ცენტრ. არქ. კიბიონის ფონდი. საქმე № 69, ფ. 2, 11.

კატეგორიებისდა მიხედვით „გლეხი კაცები“ განიყოფებოდნენ აზატე-
ზად, მსახურებად ანუ „მეხადილეებად“, მებეგრებად და მოჯალბეებად.

აზატეები გლეხთა ზედაფენის წარმომადგენლები იყვნენ. აზატებს უახ-
ლოვდებოდნენ გურიის მსახურები — მეხადილეები. „აზატობა“ და „მსახუ-
რობა“ შეეძლოთ მოეპოვებინათ გლეხებს ბატონის წინაშე განსაკუთრებული
დამსახურების გზით. უმეტეს შემთხვევაში გლეხი ასეთ წოდებას მიიღებდა
საკმაოდ დიდი ძღვენის გაღებით. ამის შედეგად მებატონე ყმას „მიანიჭებდა
თავისუფლებას“. ეს „თავისუფლება“ იგივე იყო, რაც შემსუბუქებული ყმუ-
რი მდგომარეობა, ხელსაყრელ კატეგორიაში გადაყვანა—გააზატება. 1828 წ.
საბუთების მიხედვით საკათალიკოსოს სამოურავოში იყვნენ „აზატნი მეწიგ-
ნენი“, რომელთაც მართებდათ „წაღება წიგნებისა“. მთავარი გურიელი მის-
თვის მლოცველ მღვდლებს ათავისუფლებდა ყოველგვარი ვალდებულებისა-
გან „გარდა ლოცვისა“¹. გლეხმა სიმონიშვილმა მებატონე ბერიძეს თავის
გამოსყიდვის მიზნით ორი მოახლე (საკუთარი შვილები) მისცა. ბერიძე „ათა-
ვისუფლებდა“ მას, მაგრამ არა მთლიანად: „მხოლოდ გმართებს ჩემი მსახუ-
რება და სამსახური“-ო². ერთი სიტყვით, ყმა-გლეხი არსებული ურთიერთო-
ბისას პირად თავისუფლებას ვერ აღწევდა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მსახურთა — მეხადილეთა კატეგორია
გურიაში.

მსახურთა, როგორც აზნაურებზე დაბლა მდგომთა ფენი, ძველთაგანავე
განიცდიდა გადაგვარებას. მსახურები, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს,
მიწისმოქმედნი იყვნენ და ამით ენათესავებოდნენ გლეხებს, მსახურთა წოდე-
ბრივი ფუნქციები კი გლეხური არ იყო: ლაშქრობა, პატრონის სამსახური
და გამასპინძლება. ფეოდალურ საზოგადოებაში ბატონყპური ურთიერთობის
ზრდისდა მიხედვით მსახურთა ფენი სულ უფრო და უფრო განიცდის ეკო-
ნომიურ სიციფროვეს და სოციალურ დაკნინებას. ლაშქრობა, პატრონის სამ-
სახური და „მისი მდგომარეობისათვის შესაფერისი“ გამასპინძლება, რომე-
ლიც მწარმოებელი კლასის ამ ფენისათვის მეტად მძიმე ჩანს, სულ უფრო
და უფრო ანადგურებს მას და გლეხთა ბანაკში ერეკება“³.

ლ. მუსხელიშვილის მიერ ილუსტრირებულ საბუთებში XVII საუკუნის
ბაგალითებზე ჩანან „დაუბეგრავეი“ და „მსუბუქად დაბეგრილი“ მსახურებიც.
არიან ისეთებიც, რომელთაც „ნიადაგი მუშაობაც“ ევალებოდათ⁴.

XIX საუკუნისათვის საქართველოში მსახურთა „გაგლეხების“ პროცესი.
დიდი ხნის დასრულებული იყო. მაგრამ გურიაში მსახურთა დიდ ჯგუფს ძვე-
ლი უფლებრივი მდგომარეობის მნიშვნელოვანი ელემენტები შერჩა.

¹ Д. Бакрадзе. Арх. Пут. 307, 313.

² მახარაძის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი. ხელნაწერთა ფონდი, საბ. № 4 (1834 წ. 2
ფენისის სივლი).

³ Н. Бердзенишвили. Очерк из истории разв. феод. стн. გვ. 2—3.

⁴ ლ. მუსხელიშვილი. დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური
კატეგორიები (ენის, ისტ. და მატ. კულტ. ინსტიტუტის მოამბე, ტ. V—VI. 1940 წ. გვ.
298.—299).

ახალი დროისათვის საქმე გვაქვს არა მარტო წარმოშობით დამცრობილ მსახურებთან, არამედ ისეთებთანაც, რომლებიც თავიანთი მებატონეებისაგან „მსახურობას“ ლებულობდნენ დამსახურებისათვის, როგორც წყალობას, ეს „პრივილეგია“ ამ დროისთვის გულისხმობდა მებეგრე გლეხის მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესებას. საერთოდ, იმერეთ-გურიის მსახურების მიხედვით, მსახური ვალდებული ხდებოდა გამოეყო ბატონისათვის მოსამსახურე და ყოველ მეორე ან მესამე წელს გადაეხადა ბატონისათვის გარკვეული რაოდენობის გადასახადი, გამასპინძლებოდა მას¹.

ოცხანის (მდ. გუბაზოულის ნაპირზე, ახლანდელი ხიდისთავი) ჯერ კიდევ XVI საუკუნის ნუსხაში იხსენებიან მეხადილენი, რომელთაც სასტუმროც მართებთ. მათ გვერდით არიან მესტუმრენიც, რომელთაც ხადილი არ მართებთ. „ოცხანის 1622 წ. ნუსხა (საკათალიკოსო დავთ.; 41 — 42) გვიდასტურებს, რომ მეხადილენი დაბეგრილი მსახურნი არიან, ხოლო მესტუმრენი — გლეხნი... მაგრამ მეხადილე, ანუ: ექვს გარეშე, დაბეგრილი მსახური (შდრ. ქვემ. გურიის საქუთათლო მეხადილენი) ოცხანას მდაბიო გლეხზე უფრო მძიმედ ყოფილა დაბეგრილი“...²

ლ. მუსხელიშვილი გურიის საქუთათლო ყმათა ნუსხის მერმინდელ მიხაწერზე (მე-16 ს. ბოლო ან მე-17 ს. დამდეგი) შენიშნავს, რომ დაბეგრილ მსახურს საგლეხო (სამოინალო) სამსახური დაევალა: „იგივე ავტორი განასხვავებს მეხადილეებს ანუ „მსუბუქად დაბეგრილ მსახურებს“ (მართებდათ ცხენით სამსახური) და „დაბეგრილ მსახურებს“³.

მიუხედავად ზოგიერთი გაურკვეველობისა, ჩანს, რომ მსახურთა მდგომარეობა საერთოდ სხვადასხვაგვარია, რომ ზოგიერთ მათგანს ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს ძველი უპირატესობა. გარდა ამისა, ძველ მასალებშიაც დადასტურებულია, რომ მეხადილე იგივე დაბეგრილი მსახურია.

XIX ს-ნის 20-ანი წლების (1828) მასალები ახასიათებენ მსახურ-მეხადილეთა („ყმა-მსახურთა“) ვალდებულებას. სიაში წარმოდგენილი არიან მთავრის „ყმა-მსახურები“, რომლებიც მას „ხადილს“ უხდიან. ხადილი ამ შემთხვევაში სამასპინძლოს ნიშნავს. მას იხდიან ყოველი სამი წლის თავზე. „საკათალიკოზოს სამოურავოში (რომელშიც ძველი ოცხანაც, ზემოთ უკვე ნახსენები, შედიოდა) მეხადილეთა 29 კომლიდან თითოეული „ჩვეულებრივისა“ და „საციხოს“ სახით საშუალოდ იხდიდა ერთ ძროხას, 8 საწყავ ღვინოს, 6 გოდორ ღომს და 9 ქათამს. მსახურთა ყველა კომლს გადასახადი ერთნაირად არ ედო. ზოგს მეტი ეკისრა, ზოგს ნაკლები; ამ შემთხვევაში ერთი განმსაზღვრელი მომენტი იყო გლეხის ქონებრივი მდგომარეობაც.

ჩოჩხათის სამურავოში, ამავე 1828 წ. ცნობით, „მეხადილენი სამკვიდრო მთავრის სახლისა“ ანალოგიურად არიან დაბეგრილი. იქვეა შემდეგი შენი-

¹ დ. ყიფიანის 1847 წ. მოხსენებიდან ბატონყმობის შესახებ (პროფ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 105)

² ლ. მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 284 — 285.

³ იქვე, გვ. 304 — 305.

შენა: „მეხადილე კაცთ უნდა მიუბრუნდესთ მათის მოყვანილის ზროხისაგან ტყავი, თავფეხი, გულ-ღვიძლი“.

ოზურგეთისა და შემოქმედის სამოურავოს ცნობების მიხედვით, ხადილის გადახდა ეკისრებათ აზნაურებსაც. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ შემთხვევაში, თუმცა გადასახადზე პასუხს აგებს აზნაური, ხადილის გადახდა აზნაურის ყმას ეკისრება. მაგ., სიაში მითითებულია: „აზნაური იესე დუმბაძე; მისი კაცნი: ივანე რეხვია, გოგია რეხვია, ნიკოლოზა გორგაძე“. აზნაურის პირდაპირ ჩამოთვლილია ხადილის რაოდენობა: ერთი ძროხა, 2 ქილა ლომი, 4 საწყავი ღვინო, 4 ქათამი. მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, ხადილის გადახდა ზოგიერთ უყმო აზნაურსაც ეკისრა.

მოტანილი მასალა სიციხადით გვიდასტურებს, რომ სამთავრო „ყმა-მსახურებს“ ყოველ მესამე წელს ეკისრებოდათ ხადილის გადახდა. ჩვენს განკარგულებაში მყოფ სიებში არაა მითითებული ამ „ყმა-მსახურთა“ სხვა ვალდებულებები. ეს, ვფიქრობთ, ვერ იქნება იმის საბუთი, რომ მათ სხვა მოვალეობა არ ეკისრათ. უნდა ვიფიქროთ, რომ სიები სრული ვერაა და აღნიშნულ ყმებს ალბათ, გარკვეულ მომენტებში, შინაყმობითი და მუშაობითი ბეგარაც ეკისრათ. ან კიდევ, საფიქრებელია, რომ მოცემულ შემთხვევებში საქმე გვაქვს „ყმა-მსახურთა“ პრივილეგირებულ ჯგუფთან. უფრო მეტად დაბეგრილ მსახურთა ჯგუფის შესახებ მასალა ჩვენ ჯერ არ გვაქვს¹.

მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, მაინც არ უნდა იყოს ნაადრევი იმის აღნიშვნა, რომ გურიაში „ყმა-მსახურების“ გარკვეულმა დიდმა ჯგუფმა ძველი პრივილეგიების მნიშვნელოვანი ელემენტები შეინარჩუნა. ამ შემთხვევაში ხადილის — „სამასპინძლოს“ (ძროხა, ლომი, ქათამი, ღვინო) ბეგარის სახით გადახდა უნდა ყოფილიყო მსახურთა ძველი ვალდებულებების — „გამასპინძლების“ სახეშეცვლილი მოვალეობა, ამიერიდან განსაზღვრული როგორც პერიოდული გადასახადი.

მეხეგრე გლეხთა კატეგორიის მდგომარეობა გაცილებით უფრო მძიმე იყო. კერძოდ, სამთავრო სახლის ყმები „გარდამხდელნი ბეგარისანი“ გადასახადს იხდიდნენ ყოველწლიურად. თითოეული საშუალოდ იხდიდა 8 სარწყავ ღვინოს, 5 გოდორ ლომს, 10 ქათამს და 15 ყურუმს. ამ კატეგორიის გლეხთაგან ზოგიერთი თავისუფალი იყო გადასახადისაგან. მაგ., „საკათალიკოზოს“ სამოურავოს მეხეგრეთა სიაში ერთ კომლზე ნათქვამია, რომ იგი გურიელის ძიძა იყო და „არას იხდისო“.

გარდა აღნიშნულისა, მეხეგრე გლეხებს ეკისრათ მუშაობითი ბეგარაც და სხვა მრავალი ვალდებულება, რომელიც საგადასახადო სიებში შეტანილი არაა. სხვა წყაროებიდან ვიცით, რომ მათ ეკისრათ: „მიწის თოხნა, ხენა,

¹ კოლუბაკინი ეხება მსახურთა კატეგორიას საერთოდ დასავლეთ საქართველოში და აღნიშნავს, რომ მათი მოვალეობა სხვადასხვაგვარია: 1 კომლი აძლევს ბატონს შინამოსამსახურეს, 2 წელიწადში ერთხელ ძროხას და ძღვენს; მეორე კომლი ვალდებულება მისცეს შინამოსამსახურე, გადაიხადოს სამასპინძლო ერთი ცხვარი, კოკა ღვინო, ქილა ლომი და ორი ქათამი; ვალდებულია აგრეთვე ბატონის დავალებით წავიდეს თუნაც 100 ვერსზე (По случаю крестьянского вопроса в Имеретии, Гурии и Мингрелии, გვ. 299).

სხვადასხვა გადასახადის გადახდა ფულით ან ნატურით, საბატონო სამუშაოზე გამოსვლა, შინაყმის მიცემა შავი სამუშაოებისათვის, როგორც, მაგ., მეჯინიბედ, მზარეულად და სხვ.“¹ საბატონო ვალდებულებათა რიგს გამოხატავდა გლეხთა შემდეგი დასახელებანი: „მეოთხე“, „შინაყმა“, „მეტეირთე“ და სხვ.²

თანამედროვის დანგარიშებით, დას. საქართველოს გლეხთა ცალკეული კატეგორიების გადასახადები XIX ს-ნის 50-ან წლებში ფულზე გადაყვანით შემდეგ სურათს გვაჩვენებს:

მსახურებისათვის გადასახადის მაქსიმუმი—30 მან., მინიმუმი— 6 მ.
 „გლეხებისათვის“ (მებეგრეები) —მაქსიმუმი—53 მან., „ —12 მ.
 აზატებისათვის „ „ —16 მან., „ — 5 მ³.

გურიის გლეხთა კატეგორიებს ეს ცხრილი მხოლოდ ნაწილობრივ თუ მიუღებდა.

გლეხთა მიერ გლეხთა ექსპლოატაციის — „გლეხთა გლეხების“ არსებობა (ჯერ კიდევ XIV საუკუნიდან დადასტურებული)⁴ შეიძლებოდა მიგვეჩინა გლეხთა დაშლის ისეთ თავისებურ ფაქტად, რომელსაც არ მოსდევდა „ექსპლოატატორი გლეხის“ გადაქცევა ახალ სოციალურ ელემენტად. ამდენადვე ეს იმის ნიშანი იყო, რომ არსებული ბატონყმური ურთიერთობის ნორმები ზღუდავდა გლეხთა დაშლის პროცესის შემდგომ ვალრმაყვებას.

გლეხთაგან ყველაზე უფრო უუფლებო იყვნენ მოჯალაბეები. მოჯალაბეზე, რომელიც მთელი თავისი ოჯახით ბატონის კარში დამოში სახლობდა, მებატონეს თითქმის განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა იმის გამოკლებით, რომ იგი მის სიცოცხლეს ვერ შეეხებოდა. მოჯალაბეები ასრულებდნენ ყველაფერს, რასაც კი მათგან მებატონე მოითხოვდა⁵. 1828 წ. საბუთებში მოხსენებულ მოჯალაბეებს ევალებოდათ აგრეთვე ჯლომის გაცეხვა და ზროხების მწყემსვა⁶, ანუ ისეთივე დამამცირებელი სამუშაო, რომელიც ამავე კატეგორიის გლეხებს ეკისრათ სამეგრელოში.

გლეხთა აღნიშნული კატეგორიები გვიანფეოდალური ხანიდან მომდინარეობდა. განსახილველად აღებულ პერიოდში არსებული მდგომარეობა არ იყო ახალ დროში განვითარებული დიფერენციაციის შედეგი. დიფერენციაციის პროცესი ძალზე ნელი და თითქმის შეუმჩნეველი იყო. სტატისტიკური ცნობების უქონლობა საშუალებას არ გვაძლევს წარმოვაჩინოთ გლეხთა ცალკეული კატეგორიების ზრდა-ცვალებადობა. მიუხედავად ამისა, ზემოთ მოტანილი მასალიდან ჩანს, რომ ამ კატეგორიებმა გარკვეული რაოდენობა

¹ კოლუბაკინის დასახ. ნაშრომი, გვ. 300. გურია-იმერეთის გლეხთა საგადასახადო ვალდებულებანი დაწვრილებით განსაზღვრულია დ. ყიფიანის 1847 წ. მოხსენებასთან დართულ ცნობებში (პროფ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტ. საქ. გვ. 105 — 107).

² კოლუბაკინის დასახ. ნაშრ., გვ. 302.

³ კოლუბაკინის დასახ. ნაშრ., გვ. 301.

⁴ „Законодательство XIV века предусматривает крестьян, владеющих крестьянами же...“ (Н. Бердзепитвиш. Очерк, გვ. 3).

⁵ დ. ყიფიანის 1847 წ. მოხსენებასთან დართული ცნობები (პროფ. ჩხეტია. საგლ. რეფ. ისტ., 106).

რიგ-თვისობრივი ცვლილებები განიცადეს, თუმცა მათი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი — ყმური დამოკიდებულება მთელი თავისი შინაარსით — უცვლელი დარჩა.

აღებული პერიოდის სამთავროში, ისე როგორც საერთოდ ბატონყმობის დროს, საწივე სახის რენტა არსებობდა: პროდუქტებით, მუშაობითა და ფულით. XIX საუკუნის პირველ მესამედში გლეხთა მდგომარეობის დახასიათებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფულადი რენტის ხვედრითი წონის განსაზღვრას.

გვიანდელი ცნობით (1847 წ.) გურია-იმერეთში ფულადი გადასახადი იყო მხოლოდ საური — გადასახადი სამთავრო-საქვეყნო მართვა-გამგეობისათვის. რაც შეეხებოდა სამთავრო სხვა გადასახადებს, როგორც იყო ბეგარა, საუდიერო და საციხო, მათ ნატურით იხდიდნენ — პურით, ღვინით, საქონლითა და სხვ.¹ 1828 წ. ცნობებში ასეთი დანაწილება არაა, იქ პირდაპირ მითითებულია პირველ რიგში „ფული ყურუშობით“, შემდეგ კი ნატურალური ბეგარა — ღვინო, ღომი, ქათამი.

გურიელის სასარგებლოდ დაბეგრული სათავად-აზნაურო ყმების მაგალითზე ფულადი გადასახადი ნატურალურთან შედარებით 5-6-ჯერ ნაკლებია; არის შემთხვევები, როცა ფულადი გადასახადი 20-ჯერ ნაკლებია (ჩიბათ-ჯურუყვეთის საპოურავოში). გარდა ამისა, ფულადი გადასახადი ვლინდება მხოლოდ მთავრის სასარგებლოდ გაწერილ გადასახადებში და ისიც არა, როგორც წესი, ყველასთვის, არამედ ცალკეული კატეგორიების მაგალითზე. მთლიანი ფულადი დაბეგრა, როგორც ჩანს, ხორციელდებოდა საურის სახით, რომელიც სხვა ფულად გადასახადთან ერთად, შეიძლება, იგივე იყო, რაც ზემოთ მითითებული „ფული ყურუშობით“.

საერთოდ, სტატისტიკური ცნობების ნაკლებობა საშუალებას არ გვაძლევს სათანადოდ დავახასიათოთ ფულადი რენტის დინამიკა. მიუხედავად ამისა მაინც ცხადი ხდება, რომ აღებულ პერიოდშიაც ფულადი გადასახადის ხვედრითი წონა ძალზე ნაკლებია. ასევე საფიქრებელია, რომ XIX ს-ნის 20-ან წლებში სავაჭრო ცხოვრების გამოცოცხლებას, რამაც ფულზე მოთხოვნილება გაზარდა, უნდა მოჰყოლოდა წინანდელთან შედარებით ფულადი რენტის გადიდებაც. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო ზევიდან, მიუხედავად სამეურნეო ცხოვრების ჩამორჩენილობისა. მაგრამ მთავრისა და საერთოდ გაბატონებული კლასის სურვილი მიზანს ვერ აღწევდა. ყმა-გლეხობას ჯერ კიდევ არ შეეძლო ფულადი გადასახადის მეტი რაოდენობით გადახდა. გლეხი უმეტეს შემთხვევაში ფულის მაგიერ მებატონეს აძლევდა სათანადო ექვივალენტს პროდუქტით, თუცა ამ შემთხვევაშიაც გლეხი ზარალობდა.

მხოლოდ პირად გადასახადებსა და ვალდებულებებში არ ვლინდებოდა ბატონყმური ექსპლოატაცია. გაბატონებული კლასის მხარეზე იყო სამართალი, ფეოდალური საზოგადოების მთელი ზედნაშენი... მებატონეები სარგებლობდნენ მწარმოებელი კლასის ჩამორჩენილობით, ქრისტიანული დოგმები-

¹ საგლეხო რეფორმის ისტ., გვ. 361.

სადმი გლახთა ბრმა რწმენით და მათი უკეთესი დამონებისათვის მიმართავდნენ სხვადასხვა შთაგონებითს ხერხებს, ცრუ ქადაგებას იმის შესახებ, რომ „ბატონყმობა ღმერთმა გააჩინა“ და სხვ. კერძოდ, გურიაში ამ თვალსაზრისით დამახასიათებელი იყო ერთი ლეგენდა იმის შესახებ, რომ თითქოს თავადმა თავდგირიძემ სურების მთაზე ეშმაკი შეიპყრო. ეშმაკი მან ქვევრში დაამწყვდია, მაგრამ მისივე თხოვნით გაუშვა. სამაგიეროდ ეშმაკმა თავადი დალოცა: შენ და შენს ჩამომავლობას და მას, ვისაც თქვენი ოჯახის წევრთა ნაოფლარს მისცემთ, ავი სული არ შეგხვდებათ და, სადაც ეს ნაოფლარი იქნება, იქ ორსული ქალიც ადვილად მორჩებაო. თავადის სოფელში ამ ლეგენდას გავლენა ჰქონდა XIX ს-ნის მაწურულშიაც (1898 წ.)¹.

ეკლესია, მასების დამონებისათვის ეს ნაცადი იარაღი გაბატონებული კლასის ხელში, უკანასკნელ დრომდისაც კი ეწეოდა ცრუ პროპაგანდას „მეორედ მოსვლის“ შესახებ და სამყაროს ნაცარ-ტუტად გადაქცევის მუქარით მოითხოვდა შესაწირავენს, ნიადაგ ღოცვას, ბრმა მორჩილებას. ამისათვის ეკლესია მარჯვედ იყენებდა სტიქიურ შემთხვევებს -- ნიწისძვრებს, წყალდიდობას და სხვ.² ყოველივე ამის შედეგად გლეხი მატერიალურად იძარცვებოდა, უკანასკნელ ლუკმა-პურს ჰკარგავდა.

მიუხედავად გაბატონებული კლასის მიერ გლახთა დამონებისათვის გამოყენებული უამრავი საშუალებისა, გურიის გლახობა ენერგიულად და, შეიძლება ითქვას, უფრო მტკიცედ, ვიდრე საქართველოს სხვა პროვინციებში, იცავდა თავს მებატონეთა ძალადობისაგან.

გლახთა ვალდებულებანი მებატონეებისადმი განსაზღვრული იყო წერილობითი ან ზეპირი „დებულებით“ -- ხელშეკრულებით, რომელიც განმტკიცებული იყო თაობიდან თაობაში. გლეხები „დებულებას“ იცავდნენ მებატონეთა საოცარი თვითნებობის პირობებშიაც კი, არ აძლევდნენ მათ საშუალებას, რომ დადგენილი სავალდებულო ნორმები გაეზარდათ. XIX საუკუნის I ნახევრის ოფიციალური დოკუმენტები აღნიშნავენ, რომ იმერეთსა და გურიაში „დებულებას“ მტკიცედ იცავდნენ, აღმოსავლეთ საქართველოში კი ამ „დებულებას“ ძალა არ ჰქონდა, ბატონის უფლება გლეხზე განუსაზღვრელი იყო იმის გამოკლებით, რომ მას ყმის მოკვლა არ შეეძლო³. ქართლის მიმართ აქ რამდენადმე გადაჭარბება ჩანს.

გლახთა მიერ „დებულების“ ენერგიული დაცვის შესახებ ვრცლად აღნიშნავდა მეფისნაცვალ ვორონცოვი 1849 წელს. დამახასიათებელია, რომ მისი ახსნა-განმარტება გურიის მაგალითებით საბუთდება. ვორონცოვის წერილის მოკლე შინაარსი ასეთია: გლეხი არავითარ შემთხვევაში არ თანხმდება დებულების შეცვლაზე, თუნდაც ეს მის სასარგებლოდ იყოს. „ასე მაგალითად: გლეხი მოვალეა თავისი ზურგით მიუტანოს ბატონს სათბობის გარკვეული რაოდენობა (თავადი დიმიტრი გურიელის მაგალითი)“; მებატონე

¹ თ. სახოკია. გურია-აჭარა. „მოამბე“, 1898 წ. № IV, 40 — 41.

² ამის შესახებ მრავალი ფაქტი მოჰყავს ეგნატე ნინოშვილს თავის პუბლიცისტურ წერილებში (თხზულებანი, 1950 წ. ტ. II, გვ. 245 — 261).

³ შ. ჩხეტიანი. საგლეხო რეფორმის ისტ. საქ., გვ. XXIX, შენიშვნა I.

ას თავის ხარებს სთავაზობს, გლეხი კი, „იმოწმებს რა დებულებას, არ თანხმდება“. „გლეხი, რომელიც მოვალეა თავისი ბატონის წერილი წაილოს სადაც არ უნდა იყოს (თავადი ელისაბედ გურიელის მაგალითი), ამ ვალდებულების მაგიერ სხვას არაფერს ღებულობს, თუნდაც ბატონს არაფითარი მიმოწერა არ ჰქონდეს“... და სხვა.

ვორონცოვის ვრცელ მსჯელობაში ჩანდა იმის ანარეკლი, რომ ქართველ-მებატონეები ჩიოდნენ გლეხთა „უჩოჩობაზე“ და მოელოდნენ მეფის მთავრობის დახმარებას ძველი საგადასახადო ნორმების დარღვევაში. მეფის ნაპირალი ვორონცოვიც, რომელიც ენერგიულად იცავდა საქართველოში თავად-აზნაურთა პრივილეგიებს, გულთბილად ეხმაურებოდა ამ გარემოებას. იგი „დებულების“ დარღვევას გლეხთა „სარგებლიანობის“ თვალსაზრისითაც ასაბუთებდა¹. რა თქმა უნდა, აქ ვორონცოვი გულწრფელი არ იყო. გლეხობამ ძალზე კარგად იცოდა, თუ რის მოტანა შეეძლო „დებულების“ რომელიმე მუხლის შეცვლას. ამას მოჰყვებოდა მებატონის ნება-სურვილის უსასრულო კარნახი და ბატონყმური უფლის შემდგომი დამძიმება.

საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით აღებული პერიოდის გურიის სამთავროში „დებულების“ დარღვევის ფაქტები არ აღინიშნება. ფეოდალური რენტის შემდგომი ზრდა აქ შედარებით შეფერხებულია. ეს განსაკუთრებული ბრძოლის გზით მოპოვებული იყო. მაგრამ აღნიშნული შეფერხების მიზეზი მართო ის კი არ ყოფილა, რომ გლეხობა შეუპოვრად იბრძოდა ძველი ნორმების გადიდების წინააღმდეგ, არამედ ისიც, რომ რენტის სიდიდემ ისეთ მოცულობას მიაღწია, „რომელიც შრომის პირობების, თვით საწარმოო საშუალებების რეპროდუქციას სერიოზულად აფერხებს, წარმოების გაფართოებას ბევრად თუ ცოტად შეუძლებელს ხდის და უშუალო მწარმოებელი საარსებო საშუალებათა ფიზიკურ მინიმუმამდე დაჰყავს“².

XIX ს-ნის I ნახევრის წყაროები ხაზს უსვამენ გურიის გლეხთა ფართო უფლებებს მებატონისაგან დამოუკიდებლად ხელშეკრულებების გაფორმებაში, ვალების აღებაში³.

ვახტანგ VI-ის კანონებში შესულ „მსჯულთა“ მე-16 მუხლის საფუძველზე ყმა-გლეხს შეეძლო ვალის აღებაც, ოღონდ იგი არ უნდა შეხებოდა იმ უძრავ ქონებას, რომელიც მებატონისა იყო⁴. მაგრამ გურიაში, როგორც ჩანს, გლეხებმა გადააკარბეს კანონით შეზღუდულ ფარგლებს.

ზემოთ მოტანილი ფაქტები ადასტურებენ, რომ ქართულ სხვა პროვინციებთან შედარებით გურიაში მებატონეთა ძალადობას ნაკლები გასაქანი ჰქონდა და გლეხობამ რამდენადმე მაინც შეძლო ასევე შედარებით უპირატესი უფლებების შენარჩუნება. ეს შეიძლებოდა ჩაგვეთვალა გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიური ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ერთ სპეციფიკურ ხიშნად.

¹ Сельское хоз. и аграрн. отнош. т. I, გვ. 518 — 519.

² კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, ქართ. გამ. 1934 წ., გვ. 315.

³ Г р ж а с к о в с к и й. დასახ. საგაზეთო წერილი.

⁴ Сборник законов Бахтанга VI, გვ. 370.

მცირემიწიანობა და უკიდურესი სიღარიბე გურულ გლეხს მეურნეობასთან მტკიცედ ვერ აკავშირებდა. 3 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში გურიის მოსახლეობა, ოსმალეთთან უშუალო მეზობლობაში მყოფი, გამუდმებული თავდასხმებისა და განგაშის ქვეშ იყო. უიარაღოდ გარეთ გამოსვლა მას არ შეეძლო. ეს გარემოება ხელს უწყობდა მოსახლეობაში განსაკუთრებული ბუნებრივი სიმკვირცხლის, მოქმედების სისწრაფისა და შეუპოვრობის განმტკიცებას. ასეთი განწყობილებით აღჭურვილ გლეხებზე მებატონეთა ძალადობა ისე შორს ვერ მიდიოდა. მებატონეებს მოსალოდნელი შედეგებისა ეშინოდათ და ძალზე მეტის მოთხოვნას ვერ ბედავდნენ.

აღნიშნულ დახასიათებას მხარს უჭერს XIX ს-ნის პირველ ნახევარში და მის შემდეგაც გურიაში მომხდარ პოლიტიკურ მოძრაობათა მაგალითები: 1819—1820 წლების აჯანყების დროს გლეხთა გამოსვლებმა გურიაში გაცილებით უფრო მწვავე და სისხლიანი ხასიათი მიიღო, ვიდრე იმერეთში, სადაც ეს აჯანყება დაიწყო. გურულმა გლეხებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს მეფის დამსჯელ რაზმებთან ბრძოლაში. კიდევ მეტი ითქმის გურიის გლეხთა გრანდიოზულ გამოსვლებზე 1841 წელს, როდესაც ძლიერმა და სისხლისმღვრელმა შეტაკებებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვეს შავი ზღვის ჩრდილო აღმოსავლეთ სანაპიროზე და ამიერკავკასიაში მეფის მოხელეობა, ამ მოვლენით შემოფოთებული, არასდროს არ ივიწყებდა მას, როგორც უმწვავეს გაკვეთილს.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ XX საუკუნის დამდეგის რევოლუციური მოძრაობა, რომელმაც გურიაში ძალზე ფართო ხასიათი მიიღო და უაღრესად დიდი გამოხმაურება ჰპოვა რუსეთსა და ევროპაში.

დ ა ს კ ა ნ ა

XIX საუკუნის პირველ მესამედში გურიის სამთავროში არსებული სოციალურ-ეკონომიური ვითარება განიხილება საქართველოს ამ განცალკავებული პოლიტიკური ერთეულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნების გამოვლინების თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, მოცემულია საქართველოში ბატონყმური წყობილებისათვის საერთოდ დამახასიათებელ უმთავრეს თვისებათა კონკრეტიზაციის ცდა კერძოდ გურიის სამთავროს მაგალითზე. გარდა ამისა, ზოგიერთ დეტალში ყურადღება ექცევა საკითხს იმის შესახებ, თუ რა იყო ახალი XIX საუკუნის პირველი მესამედის გურიის სოციალურ-ეკონომიურ წყობილებაში შედარებით XV—XVIII საუკუნეების ვითარებასთან. ამ შემთხვევაში ეს ნარკვევი ამოდის ძირითადად აკად. ნ. ბერძენიშვილის ნაშრომებიდან.

აღებული პერიოდის სამთავროში საქმე გვაქვს ისეთ ფეოდალურ-ბატონყმურ საზოგადოებრივ წყობილებასთან, რომელიც ნატურალურ მეურნეობას და მისთვის დამახასიათებელ ჩამორჩენილ, განუვითარებელ საწარმოო ძალებს ემყარება. ამდენად ამ დროის სოციალურ-ეკონომიური წყობილება თითქმის არაფრით არ წასულა შორს XV—XVIII საუკუნეებში არსებული მდგომარეობისაგან.

გურიის, ისე როგორც საერთოდ დასავლეთ საქართველოს, საზოგადოებრივ წყობილებას ახასიათებდა მეტად მრავალსაფეხურიანი სოციალური იერარქია: მთავარი, თავადი, სამთავრო ან საეკლესიო აზნაური, სათავადო აზნაური, აზნაურის აზნაური, გლეხი, გლეხის გლეხი. აზნაურთა ცალკეული ჯგუფების მდგომარეობა განსხვავდებოდა მათი კუთვნილებისა და მიხედვით. გლეხობა — თავისი შედგენილობით მეტად მრავალფეროვანი კლასი — იყოფოდა არა მარტო ცალკეულ კატეგორიებად, არამედ კუთვნილებისა და მიხედვითაც. აზნაურთა აზნაურების არსებობის გამონაკლისი შემთხვევები გურია-იმერეთისათვის სპეციფიური ჩანს. ეს გარემოება იმის ერთი მაჩვენებელია, რომ დასავლეთ საქართველოში ბატონყმობამ, აღმოსავლეთთან შედარებით, გაცილებით უფრო მახინჯი ფორმები მიიღო. აღნიშნული სოციალური დანაწილება არ ყოფილა ახალ დროში განვითარებული დიფერენციაციის შედეგი. იგი ძველთაგანვე მომდინარეობდა.

XIX საუკუნის I მესამედში გურიაში მკვიდრ ვაჭართა კლასი თითქმის არ ჩანდა საზოგადოებრივ სპარეზზე. ამის მიზეზი ის იყო, რომ XVI საუკუნიდან მოყოლებული ოსმალეთის გაბატონებამ დასავლეთ საქართველო მთლიანად მოწყვიტა საგარეო ვაჭრობას, რომელიც ამიერიდან თურქი ვაჭრების მონოპოლიად იქცა. ასე გრძელდებოდა XIX ს-ის 30 — 40-ან წლებამდე, როდესაც მკვიდრები თანდათანობით იწყებდნენ სავაჭრო კონკურენციას ოსმალებთან.

გლეხთა კატეგორიები გურიაში ისეთივე რიგით იყო წარმოდგენილი, როგორც იმერეთსა და სამეგრელოში. მაგრამ ყველგან ამ კატეგორიებს თავისებური ელფერი ეკრა. განსაკუთრებით სპეციფიური ჩანს მსახურთა მდგომარეობა გურიაში. აქ ტერმინი „ყმა-მსახურის“ გვერდით მსახურის აღსანიშნავად „მეხადილეც“ იხმარებოდა. გარდა ამისა, დასტურდება, რომ გურიაში „ყმა-მსახურების“ დიდმა ჯგუფმა ძველი პრივილეგიების მნიშვნელოვანი ელემენტები შეინარჩუნა. მსახურზე დაკისრებული ხადილი — ყოველი სამი წლის თავზე ძროხის, ღომის, ქათმისა და ღვინის მირთმევა — უნდა ყოფილიყო მსახურთა ძველი (XIII — XIV სს.) ვალდებულების — „გამასპინძლების“ სახეშეცვლილი მოვალეობა, ამიერიდან პროდუქტებით განსაზღვრული პერიოდული გადასახადი.

ლიტერატურაში გამოთქმული ზოგიერთი მცდარი შეხედულების საწინააღმდეგარდ, გურიის კონკრეტულ მაგალითებზე ხერხდება იმის დადგენა, რომ ყმა-გლეხის ბეგარა-გამოსაღები გარკვეული, განსაზღვრული იყო „დებულების“ საფუძველზე და ყმა-გლეხის (სათავადო აზნაურის ყმა, ყმათა ყმები) ექსპლოატაციაში მონაწილე მებატონეთა რიცხვის მიხედვით იგი არ იცვლებოდა. ყმა-გლეხზე დაკისრებულ ვალდებულებას მებატონეები კოლექტიურად ინაწილებდნენ.

„გლეხთა გლეხობის“ ძველთაგანვე არსებობა მათი „დაშლის“ ისეთი თავისებური ფაქტი იყო, რომელიც „ექსპლოატატორი გლეხის“ თავისუფლებას არ გულისხმობდა. პირადი თავისუფლების მიუღწევლობა ზღუდავდა გლეხთა დაშლის შემდგომ განვითარებას.

საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით გურიაში მებატონეთა თვითნებობას რამდენადმე ნაკლები გასაქანი ჰქონდა. ფეოდალური რენტის შემდგომი ზრდა აქ შეფერხებული იყო. ამის მიზეზი არა მარტო ის იყო, რომ გლეხი მცირემიწიანობისა და უკიდურესი სიღარიბის გამო მეურნეობასთან მტკიცედ დაკავშირებული ვერ იყო, არამედ ისიც, რომ მტრული ოსმალეთის 3 საუკუნოვან მეზობლობას აქ გამუდმებული საგანგაშო მდგომარეობა სდევდა. საბრძოლოდ განწყობილ ყმა-გლეხზე მებატონე იმდენ ძალადობას ვერ იჩენდა. ამავე დროს რენტის ზრდის შემდგომი შეფერხება არა მარტო იმის შედეგი იყო, რომ გლეხობა შეუპოვრად იბრძოდა ძველი ნორმების გადიდების წინააღმდეგ, არამედ იმისაც, რომ რენტა თავისთავად ძალზე დიდი იყო და მისი შემდგომი ზრდა შეუძლებელი ხდებოდა.

ნატურალური რენტის ბატონობა, ფულადი რენტის შედარებითი დიდი სიმცირე, ახასიათებდა ბატონყმური მეურნეობის მთელს ჩამორჩენილობას. გლეხს ძალზე გამონაკლის შემთხვევაში თუ შეეძლო „ზედმეტი“, საბაზრო პროდუქტის შექმნა. მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ხელოსნობა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. ბაზარი ეპყრა ოსმალეთის გზით შემოსულ უცხოურ საქონელს. ფულის ტრიალი ძალზე სუსტი იყო, ფულის ნიშნები კი (ძირითადად ოსმალური) – ჭრელი. სამთავრო ხელისუფლება (საბაჟოები...) მეტად ზღუდავდა ბაზრის განვითარებას. სასაქონლო მეურნეობის განვითარებისათვის სათანადო შინაგანი ფაქტორები ჯერ კიდევ ვერ იქმნებოდა. ფეოდალური რენტის ზრდის შეფერხება გლეხთა მეურნეობის გაფართოებისა და ეკონომიური წინსვლის პირობა ვერ იყო. საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების დაცემის პროცესი ძველიდანვე რომ მიმდინარეობდა, გრძელდებოდა. ეს დაცემა-დაქვეითება აქ ახალი ეკონომიური წყობილების აღმოცენებისათვის წყარო ჯერ არ ყოფილა.

მეფის რუსეთის პოლიტიკური გაბატონებით საქართველო-ამიერკავკასიაში, მთავრობის სურვილისაგან დამოუკიდებლად, ხელი ეწყობა ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის გარეგანი ფაქტორების შექმნას. შედარებითი საგარეო სიმშვიდის დამყარებამ, აქეთკენ რუსული და ევროპული საქონლის დენამ ხელი შეუწყო ფართო სავაჭრო ურთიერთობათა გაცხოველებას. ეს გარეგანი ფაქტორი თავისი ობიექტური შედეგებით ხელს უწყობდა ქვეყნის საწარმოო ძალთა გამოცოცხლებას. საქართველო თანდათანობით ებმებოდა რუსეთის კაპიტალიზმის გავლენის სფეროში. ამ გავლენის ნაყოფი კი უფრო შესამჩნევი გახდა XIX საუკუნის 40-ან წლებიდან.

М. ДУМБАДЗЕ

СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОЕ ПОЛОЖЕНИЕ ГУРИЙСКОГО
КНЯЖЕСТВА В ПЕРВОЙ ТРЕТИ XIX ВЕКА.

Резюме

Социально-экономическое положение Гурийского княжества в первой трети XIX века рассматривается с точки зрения выявления специфических признаков этой обособленной политической единицы Грузии. В связи с этим сделана, естественно, попытка конкретизации важнейших качеств, характерных в общем для крепостного строя в Грузии на примере гурийского княжества в частности. Кроме того, в некоторых деталях внимание уделяется вопросу о том, что было нового в первой трети XIX в. в социально-экономическом строе Гурии по сравнению с положением в XV—XVIII веках. В последнем случае данное исследование в основном исходит из работ акад. Н. Бердзенишвили.

В княжестве рассматриваемого периода мы имеем дело с таким феодально-помещичьим социальным строем, который опирается на натуральное хозяйство и характерные для него отсталые, неразвитые производительные силы. Устанавливается, что социально-экономический строй этого времени почти ни в каком отношении не ушел далеко от положения, имевшегося в XV—XVIII веках.

Общественный строй Гурии, как и всей Западной Грузии, характеризовался социальной иерархией со значительным числом ступеней: владетельный князь (мтавари), князь, княжеский или же церковный дворянин (азнаури), княжеский дворянин, дворянин дворянина, крестьянин, крестьянин крестьянина. Положение отдельных групп дворян различалось в зависимости от их принадлежности. Крестьянство — по своему составу очень неоднородный класс — делилось не только на отдельные категории, но и по принадлежности. Исключительные случаи наличия дворянских дворян кажется специфическим для Гурии и Имеретии. Это обстоятельство является одним показателем того, что в Западной Грузии помещичий строй по сравнению с Восточной принял значительно более уродливые формы. Указанное социальное деление не является результатом дифференциации развившегося в новое время; оно наблюдается с давних времен.

В первой трети XIX века класс местных купцов почти еще не был виден на общественном поприще. Причиной этого было то, что начиная с XVI века турецкое господство в Западной Грузии оторвало последнюю совершенно от внешней торговли, которая с этих пор сделалась монополией турецких купцов. Так продолжалось до 30—40 годов XIX ве-

ка, когда местные жители постепенно вступают в торговую конкуренцию с купцами — турками и евреями.

Категории крестьян в Гурии были представлены тем же рядам, как в Имеретии и Мегрелии. Но везде эти категории имели своеобразный оттенок. Особенно специфичным выглядит положение «мсахуров» («служителей») в Гурии. Тут наряду с термином «кма-мсахури» («крепостной служитель») для обозначения служителя употреблялось «мехадиле» (крестьянин, обязанный платить натурой для кормления господина). Кроме того, устанавливается, что в Гурии большая группа «крепостных служителей» сохранила значительные элементы старых привилегий. Обязанность служителя, по прошествии каждых трех лет поставить господину корову, гоми, кур, вино, повидимому является старой (XIII—XIV в.), видоизменившейся обязанностью «угощения» («გამახობდობა»), с этих пор уже определенным налогом, связанным со временем.

В противоположность высказанным в литературе ошибочным взглядам на конкретных примерах для Гурии делается возможным установление того, что налоги и сборы крепостных крестьян были определены и ограничены на основании «дебулеба» («положения») и не менялись в зависимости от количества участников в эксплуатации крепостного (князь, дворянин, «крестьянин-помещик»). Повинности крепостного делались между названными участниками.

Существование с давних пор «крестьянских крестьян» был тем своеобразным показателем их «разложения», при котором не подразумевалась личная свобода «крестьянина эксплуататора». Недостижимость личной свободы ограничивала дальнейшее развитие разложения крестьянства.

По сравнению с другими районами Грузии в Гурии самоуправство помещиков имело несколько меньший простор. Дальнейшее развитие феодальной ренты тут было затруднено. Причиной последнего было не только то, что гурийский крестьянин из-за малоземелья и крайней бедности не был тесно связан с хозяйством, но и то, что в связи с трехвековым соседством враждебной Турции, тут постоянно господствовало тревожное положение. Помещик не мог проявить такую силу над подготовленным к сопротивлению крепостным крестьянином. В то же самое время дальнейшие затруднения роста ренты были результатом не только того, что крестьянство упорно сопротивлялось увеличению старых норм, а также и того, что рента сама по себе была высока и ее дальнейший рост был невозможен.

Господство натуральной ренты и сравнительно ограниченная денежная рента характеризовали всю остальность помещичьего хозяйства. Крестьянин в очень редких только случаях мог создать «излишнюю» рыночную продукцию. Связанное с сельским хозяйством ремесло не удовлетворяло спросу. Рынок находился во власти поступающих через Турцию иностранных това-

ров. Денежное обращение было весьма слабое, денежные же знаки (в основном турецкие) характеризовались пестротой. Еще не имелось соответствующих внутренних факторов для развития товарного хозяйства. Задержка роста феодальной ренты не являлась условием для расширения и экономического развития крестьянского хозяйства. Процесс упадка социально-экономической жизни, который протекал с давних пор, продолжался. Этот упадок еще не был источником для зарождения нового экономического строя.

С началом русского политического господства в Грузии и Закавказьи, независимо от воли правительства, появляются условия для создания внешних факторов экономического развития страны. Установление относительного внешнего спокойствия, приток сюда русских и европейских товаров создали условия для оживления производительных сил. Грузия постепенно втягивается в сферу влияния русского капитализма. Плоды этого влияния сделались более заметными с 40-х годов XIX века.

შპნის მუზეუმის მიღებული ზოგადი მემორიუმის განმარტება

Акты.—Акты собранные Кавказской Археографической Комиссией.

Бакрадзе. Арх. пут.—Бакрадзе Д. З., Археологическое путешествие по Гурнии и Адчаре, СПб, 1878 г.

Бакрадзе. Кр. оч. Гурнии—Бакрадзе, Краткий очерк Гурнии, Чурук-су и Адчары. Известия К. О. И. Р. Г. О., II, 1873—1874 г.

Бердзенишвили. Очерк—Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии. 1938 г.

გუგუშვილი. კაბიტ. განვით.—პ. გუგუშვილი, კაბიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქ. და ამიერკავკასიაში. 1941 წ.

Gamba. Voyage—Gamba, Voyage dans la Russie meridionale, Paris, 1826.

Dubois. Voyage—Dubois de montpéeux, Voyage autour du Caucase, Paris, 1839.

Вронченко—Обозрение Гурнии (ЦГИА Ленинграда, ф. 1268, 1837 г., № 45).

Энсгольм—Краткое обозрение Имеретии, Гурнии, Мингрелии и Абхазии, 1817 г. (საქ. ცსა, ფ. 1025, აღწ. 3, საქმე № 74).

К ВОПРОСУ О РОЛИ ТОРГОВО-РОСТОВЩИЧЕСКОГО КАПИТАЛА В ДОРЕФОРМЕННОЙ ГРУЗИИ *

Приступая к характеристике торгово-ростовщического капитала дореформенной Грузии, мы ставим своей целью выяснить следующий вопрос: играл ли этот капитал прогрессивную роль в экономике страны, способствуя возникновению и развитию промышленного капитализма, или, наоборот, он играл реакционную роль, тормозя возникновение и развитие капиталистического производства¹.

Прогрессивность торгово-ростовщического капитала выражается в следующих моментах: 1) купец вкладывает свои капиталы в промышленность, приобретая сырье и рабочую силу, и, таким образом, сам становится промышленным капиталистом; 2) купец приобретает оптом товары у местного капиталиста, реализует их на рынке и тем самым способствует росту капиталистического воспроизводства в своей стране; 3) купец или ростовщик ссужает деньгами капиталиста-предпринимателя, который пускает эти деньги в капиталистический оборот.

Если с этой точки зрения подойти к характеристике торгового капитала дореформенной Грузии, то приходится констатировать, что ни одним из этих положительных качеств он не обладал.

Покажем это на конкретных материалах.

В 1864 году барон Николай в одной из своих «записок» писал: «Не говоря уже о недостаточности местных капиталов и об отсутствии предприимчивости в тех, которые таковыми располагают, легкость прибылей от казенных подрядов и поставок и от высокого процента за капитал, поступающего в частные руки, надолго еще представлял более приманки, нежели сопряженные с неко-

* Печатается в порядке обсуждения.

¹ Статья представляет собой извлечение из обзорной работы автора «Социально-экономическое развитие Грузии в дореформенный период XIX века (к вопросу о складывании грузинской буржуазной нации)». Выполнена в 1952 г. в соответствии с планом научно-исследовательских работ Института истории им. И. А. Джавахишвили АН Грузинской ССР.

торым риском промышленные предприятия». Поэтому барон Николаи. ввиду нежелания местных владельцев капиталов вложить его в промышленность, высказывает убеждение, что «создание мануфактурной промышленности в местном крае будет возможно только при участии иностранных деятелей и иностранных капиталов»¹.

Даже сами представители армянской буржуазии, которая, как известно, господствовала в Грузии, признавали чисто купеческий характер этой буржуазии. Так, в 1866 году в № 11 журнала «Айкакан ашхар» Гр. Арцруни писал: «О нас говорят, что мы торговая (читай: промышленная — З. А.) нация, но это неправильно». «Разве такую нацию, которая только покупает и продает, можно назвать торговой нацией?». «Из всех богатств Кавказа мы извлекаем очень мало пользы», — добавляет Арцруни и призывает армянских купцов к организации промышленности².

Таким образом, приведенные материалы, которые легко могут быть умножены, свидетельствуют, что местная буржуазия лишь собирала и накапливала средства, но не вкладывала их в промышленность. Характерный тип такого «капиталиста» выведен в романе Лавр. Ардазиани «Соломон Исакич Меджгануашвили», написанном в 1860 году, т. е. накануне крестьянской реформы. Соломон Исакич накопил путем различных спекулятивных махинаций около миллиона рублей, но затем стал непроизводительно транжирить эти деньги. Проф. Ш. Д. Радиани правильно отмечает, что «Меджгануашвили были лишь своего рода кустари в делах денежного накопления, подобные люди являлись всего лишь собирателями денег, и решающее значение для них имело именно накопление золота; использование же этого золота для общественно-полезных целей их ничуть не интересовало»³.

Следует подчеркнуть, что местная торговая буржуазия была связана преимущественно с иностранным, т. е. европейским и русским промышленными капиталами и носила, таким образом, чисто компраторский характер. Вот как описывает результаты закавказской торговли в период действия льготного тарифа 1821—30 гг. один из авторов 40-х годов: «Выгодами льготной торговли воспользовались одни только армяне и некоторые из них разбогатели в короткое время, но торговля их не могла приносить существенных выгод производительности края. Иностранные товары не приобре-

¹ Акты, т. XII, стр. 30 (разрядка моя—З. А.).

² Цит. по книге В. Рштуни, «Крестьянская реформа в Армении», Ереван, 1947 г., стр. 7 (разрядка моя—З. А.).

³ А. Барамидзе, Ш. Радиани, В. Жгенти. «История Грузинской литературы», Москва, 1952, стр. 107.

тались на местные продукты, а были покупаемы на чистые деньги. На покупку этих товаров армяне частью брали деньги в долг, частью употребляли собственные капиталы, нажитые от мелочного торгу, от порядков и от барышничества от продажи местных продуктов в России и русских товаров в Закавказье»¹.

Далее, тот же автор пишет: «Закавказье, получая этим способом европейские изделия, не приобретала никакой пользы для своей промышленности от усиленного их привоза: продукты ее не требовались в Европе... Таким образом, в торговле между этим краем и Европой не было обоюдно выгодной взаимности, точно так же как она не существовала в торговле между этим краем и Россией; с одной стороны, выигрывали армяне, торговавшие на лейпцигских ярмарках, равно как иностранные купцы и фабриканты, пользовавшиеся этим новым источником для распродажи своих товаров, а с другой стороны, упало потребление русских изделий в Закавказье, и развитию внутренних промыслов этого края препятствовал невыгодный сбыт тамошних продуктов в России, где они продавались армянами по низким ценам, за наличные деньги, для того, чтобы на эту выручку приобрести иностранные товары»².

В этой транзитной торговле, которая развивалась через Закавказье, фигурировали главным образом товары иностранного происхождения. Ввозились европейские и русские товары, которые затем в большей части отправлялись в Турцию и Персию. В Европу не вывозились никакие местные товары, а шли чистые деньги. В Россию же тифлиские купцы главным образом везли персидско-турецкие товары и лишь в малом количестве местные сельско-хозяйственные продукты. Цитированный выше автор пишет: «В числе отпускных товаров, кроме небольшого количества шелку, почти вовсе не было местных продуктов... отпуск через Тифлисскую таможню направлявшихся преимущественно в Персию, состоял из русских и иностранных товаров... Приращение отпуска в рассматриваемый нами период произошло собственно от умножения сбыта в Персию европейских товаров, которые доставлялись из Тифлиса...»³.

Орест Евецкий отмечал то же самое; говоря, например, о значении внешней торговли в период действия льготного тарифа, он писал: «Тиф-

¹ „Закавказская торговля“. См. „Библиотека для чтения“, кн. 86, 1848 г., стр. 6 (разрядка моя—З. А.).

² Там же, стр. 8—9 (разрядка моя—З. А.).

³ Там же, стр. 7 (разрядка моя—З. А.).

флис, главное место стечения русских, наибольших потребителей товаров, привозившихся с лейпцигской ярмарки... Но целый край мало выиграл, потому что на лейпцигскую ярмарку вывозились только деньги, а не туземные произведения»¹.

Чистая монета шла, в основном, и на нижегородскую ярмарку. «Армяне, ездившие в Москву или на нижегородскую ярмарку за русскими товарами, покупали их там большей частью в кредит, частью наличными деньгами, занятыми в Тифлисе за высокие проценты, даже от 15 до 20 на сто. Русские купцы, нуждаясь в сбыте, отпускали свои товары армякам в долг, но значительно возвышали цены, в вознаграждение на случай потери. Оттого, при посредничестве армян сбывали в Закавказье только низкого сорта товары и те продавались в Тифлисе на 50 и даже 80% выше цен нижегородской ярмарки»². Причиной такой дороговизны были также большие расходы на привоз товаров. Так, доставка товаров из Москвы в Тбилиси обходилась в 8,5 ассигн. за пуд, а из Нижнего Новгорода — 9 рус. ассиг. Доставка товаров, скажем, из Парижа до Редут-Кале стоила дешевле, чем перевозка их из Редут-Кале в Тбилиси.

После упразднения льготного тарифа, как известно, внешняя торговля временно сократилась, вызвав банкротство многих тифлиских купцов.

Торговля с Западной Европой уменьшилась, но зато усилилась торговые связи местных компрадоров с русским промышленным капиталом.

Однако, спустя некоторое время грузинским купцам снова удалось наладить торговлю европейскими товарами. «Армяне стали доставлять свои товары частью из Лейпцига через Триест, частью прямо из этого портофранко, покупая здесь английские и др. товары; сверх того начался привоз их в Редут-Кале также из Константинополя, Марселя, Гамбурга и др. мест»³.

В результате того обстоятельства, что армянские купцы вывозили на европейские рынки не товары местного происхождения, а чистые деньги, количество этих последних в Закавказье катастрофически уменьшилось, вызывая в стране финансовый кризис и хозяйственные неурядицы. В одном из архивных документов начала 40-х годов читаем: «Увеличивающийся беспрестанно вывоз серебряной русской монеты доходит до того, что само правительство все служащие и живущие за Кавказом чувствуют большую нужду в ходячей звонкой монете, особенно при большой

¹ О. Е в е ц к и й. «Статистическое описание Закавказского края», СПб, 1835 г., стр. 71 (разрядка моя—З. А.).

² «Закавказская торговля»..., стр. 4.

³ Там же, стр. 4.

⁴ ЦГИАЛ, Ф. 1268, оп. 1, д. 199, л. 39 об.

неохоте здешних жителей принимать ассигнации и депозитные билеты»¹. О значительности вывоза звонкой монеты свидетельствуют следующие данные: за три года (1839—1841) из Закавказья было вывезено на 4.589,043 руб. монеты, а привезено всего лишь на 63,266 руб., т. е. вывоз монеты превышал ввоз более, чем в 70 раз². Стоит ли подчеркивать, что это обстоятельство наносило большой вред экономике дореформенной Грузии.

Какие же товары привозили армянские купцы из Западной Европы и России? Большинство привозимых товаров составляли предметы роскоши, приобретаемые некоторыми местными помещиками, военно-бюрократической верхушкой, чиновниками, и лишь сравнительно небольшое количество товаров, покупаемых местным трудовым населением.

Так, по сообщению одного современного источника, «в Лейпциге они (т. е. армянские купцы — З. А.) покупали обыкновенно сукна в большом количестве, английские и саксонские бумажные изделия, голландские и силезские полотна, шелковые лионские материи, платки, галантерейные вещи, часы, чай, получаемый из Гамбурга... Кроме покупок на лейпцигских ярмарках, армяне стали делать заказы на прусских и саксонских фабриках»³.

Товары, получаемые с нижегородской ярмарки, «заключались в сукнах, шелковых материях, фарфоровой и хрустальной посуде, сундуках и различных мелких вещах»⁴. Одним из основных импортных товаров являлся сахар. «Из Персии вывозилось значительное количество шелка, шелковых материй и ковров и взамен продают там русские изделия — ситцы, нанки и т. п.»⁵. Барон Николаи следующим образом охарактеризовал эту торговлю: «Приобретаемая иностранными и туземными купцами прибыль от развития торговли предметами роскоши не может вознаградить расстройство, внесенное в состояние земледельцев»⁶.

Таким образом, грузинская компрадорская буржуазия играла реакционную роль в социально-экономической жизни страны. Представители этой буржуазии не только не вкладывали накапливаемых ими средств в местную промышленность, но всячески препятствовали возникновению промышленного капитализма в Грузии и тормозили его развитие. Будучи тесно связанными с иноземным промышленным капиталом — западноевропейским и русским, — реализуя в Грузии промышленные изделия европейских и русских фабрик, они тем самым немало способствовали консервации отрицательных условий, препятствовавших возникновению

¹ ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 199, л. 39 об.

² Там же, л. 29.

³ „Закавказская торговля“..., стр. 3.

⁴ А. Лаврентьев, „Кутаисское генерал-губернаторство“. СПб, 1858 г., стр. 109.

⁵ ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 194, л. 103.

⁶ Акты, XII, стр. 128.

местного капитализма и этим на деле объективно помогали колониально-экономическому закабалению страны. Интересы компрадоров в этом отношении объективно смыкались с интересами экономической политики царизма в Грузии: Для иллюстрации этого положения достаточно привести печальную историю созданного в Тбилиси в 30-х годах прошлого столетия сахарного завода Якова Зубалашвили и К^о.

В 1834 году Яков Зубалашвили, Тер-Гукасов и др. решили построить в Тбилиси сахарный завод. Организацию этого мероприятия они мотивировали следующим образом: «Идея восстановить российскую торговлю через Закавказский край, увеличением сбыта в Персии и Турции мануфактурных товаров российского изделия, мы составили товарищество в Тифлисе для устройства сахарного завода и разведения сахарного тростника».

В августе 1834 г. они обратились в министерство финансов с просьбой разрешить им приобрести за границей определенное количество сахарного песка, необходимого для производства сахара-рафинада. Получив разрешение, они закупили за границей 120 тыс. пудов сахара без пошлины и 120 тыс. пудов с половинной пошлиной. Этот сахар был доставлен в Редут-Кале, но тут-то и начались неудачи предпринимателей. Местные купцы, которые вели торговлю в Грузии заграничными товарами и, в частности, сахаром, не без основания усмотрели в Зубалашвили и К^о своих будущих соперников. Поэтому они не представляли товариществу складских помещений, и компаньоны были вынуждены держать свой сахар под открытым небом, подвергая его опасности порчи.

После того, как Зубалашвили удалось все-таки наладить производство сахара, то местная компрадорская буржуазия принимает всевозможные меры, чтобы вызвать у населения бойкот зубаловского сахара. Поэтому победу Зубалашвили и его компаньоны в 1842 г. доносили статс-секретарю Позену: «Завистники, как водится в торговом сословии, успели вселить мысль в здешних необразованных жителях, будто один только здешний сахар очищается кровью и костями, и через это самое мы принуждены иногда сахар одинаковой доброты с заграничным продавать двумя или тремя рублями дешевле противу привозного из-за границы»². И далее, они продолжают: «Туземные же промышленники (имеются в виду купцы — З. А.), в продолжении этого времени, покупая в Европе готовый в головах сахар, почти по той же самой цене, во что обходится нам пуд сахарного песка, вместе с тем и мануфактурные европейские товары, успевают привозить оные более двух раз и сбывать с гораздо боль-

¹ ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 280, л. 1.

² Там же, л. 4 об.

шей для себя выгодой, причиняя тем сбыту в Закавказском крае и в Персии, российскому сахару и мануфактурных товаров немалый подрыв»¹.

Не выдержав конкуренции с ввозимым представителями местной компрадорской буржуазии сахаром, Зубалашвили и компания разорились. В своей жалобе Позену они отмечают: «Общепольное предприятие наше, оставаясь безуспешным вовлекло нас в непомерные и разорительные лишь убытки» и поэтому они не видят никаких надежд на спасения своего предприятия, «если начальство не окажет нам должного содействия, а само правительство вспомоществования»². Кроме того, они просили «для прекращения зла, причиняемого торговцами, воспретить им привоз в Грузию из-за границы сахару в головах, по крайней мере возвысить пошлины на оные, ибо здешние купцы завозят ежегодно огромные капиталы для закупки в Европе сахару, а вместе с тем и мануфактурных товаров, и дополняя главный груз корабля последнего рода товарами, завозят их через Трапезунт в Персию и тем делают подрыв сбыту русских изделий; мало того, вывозят из-за границы в большом количестве контрабандные товары, влекут и многих здешних состоятельных торговцев российскими изделиями в банкротство»³. Свою просьбу о поддержке Зубалашвили и компания подкрепляли тем, что, мол, правительственная помощь «поощрит и других на подобное предприятие»⁴.

Однако царское правительство не было заинтересовано в том, чтобы насаждать в Грузии, как в колониальной стране, производство промышленных товаров, изготовлявшихся на фабриках метрополии. Поэтому оно с самого же начала препятствовало промышленной деятельности Зубалашвили и его компаньонов. Так, главно-управляющий на Кавказе долгое время отказывал им выделить в районе Тифлиса землю для строительства завода⁵. И теперь, когда они обратились к правительству за материальной поддержкой и с просьбой оградить их от конкуренции со стороны компрадорской буржуазии, им было категорически отказано. Причем, свой отказ министр финансов Канкрин, которому было передано это дело из Кавказского Комитета, мотивировал тем, что «не следует создавать монополии в пользу товарищества»⁶.

Приведенные материалы красноречиво свидетельствуют, что попытка Якова Зубалашвили, являвшегося одним из пионеров капиталистического предпринимательства в Грузии, потерпела крах вследствие того, что, с

¹ Там же, 5

² Там же.

³ Там же, л. 5 об.

⁴ Там же, л. 5.

⁵ Там же, л. 2.

⁶ Там же, л. 9.

одной стороны, натолкнулась на противодействие царской колониально-экономической политики, а, с другой стороны, не сумела преодолеть подрывную деятельность местных купцов-компрадоров.

Перейдем теперь к характеристике роли торгово-ростовщического капитала в грузинской дореформенной деревне. Некоторые наши историки считают, что если купец или скупщик появился в феодальной деревне, то это будто бы представляет собой «новое хозяйственное явление». На самом деле купец на мелком местном рынке — типичное явление в феодальной стране. В. И. Ленин по этому поводу пишет: «Подобно тому, как нельзя себе представить развитого капитализма без крупного товарно-торгового и денежно-торгового капитала, точно так же нелепима и докапиталистическая деревня без мелких торговцев и скупщиков, являющихся «хозяевами» мелких местных рынков»¹. Причем, В. И. Ленин подчеркивает, что «чем захолустнее деревня, чем дальше она стоит от влияния новых капиталистических порядков, железных дорог, крупных фабрик, крупного капиталистического земледелия, — тем сильнее подчинение им окрестных крестьян и тем более грубые формы принимает это подчинение. Число этих мелких пьавок громадно... Преобладание натурального хозяйства, обуславливая редкость и дороговизну денег в деревне, ведет к тому, что значение всех этих «жулаков» оказывается непомерно громадным, по сравнению с размерами их капитала. Зависимость крестьян от владельцев денег приобретает форму кабалы»².

Именно такие «примитивные формы торгового и ростовщического капитала» были характерны для грузинской дореформенной деревни.

Обращаясь к фактам, начнем с хлебной торговли. В одной из корреспонденций из «ЗКОСХ» от 1862 года читаем: «Хлебная торговля вне Тифлиса имеет громадное количество представителей, которых можно подвести под две главные категории: торговцы *ex professione*, казенные поставщики с большим капиталом, специально занимающиеся покупкой хлеба, и мелкие торговцы, высасывающие кровь из жил несчастного крестьянина, пользующиеся его трудом и достоянием, как своей собственностью... Большая часть этих спекулянтов обитает в самых хлебородных районах и, пользуясь невежеством и стесненным положением крестьян, не упускают случая закупить как можно дешевле хлеба, руководствуясь известным афоризмом — для достижения цели все средства позволительны и разумны. Всякий легко может себе представить, каким тяжелым условиям подвергается несчастный земледелец, чья судьба бросит в пасть этих львов: не ожидать ему никакого добра от хищничества их. Для них не создано никаких законов,

¹ В. И. Ленин. «Развитие капитализма в России», 1951 г., стр. 327.

² Там же.

никаких цен, они полные властелины околотка в отношении своих клиентов и эксплуатируют их, как найдут выгодным для себя»¹.

Совершенно аналогичное положение мы наблюдаем и в винноторговле. Этим делом, как известно, промышляли скупщики, именуемые «сираджи». По сообщению Ахвердова, «полковые маркитанты... закупали в Кахетии огромное количество вина для продовольствия ими полков, расположенных в Закавказье»². Причем, добавляет Ахвердов, как правило, сираджи являлись владельцами мелких капиталов, а, следовательно, стремились как можно больше средств выкачать из непосредственных производителей — крестьян.

По сообщению корреспондента «Гутнис деда» от 1863 года, кахетинские крестьяне систематически жаловались на засилие сираджей: პირველი მისი პასუხი, — пишет он о кахетинских крестьянах, — ყოველთვის ჩივილია, რომ ღვინოს ჯეროვანი ფასი არა აქვსო. ქალაქელი სირაჯების ხელში ვართ და იმათ ქეიფზე ჰკიდიაო ჩვენი სართა და სარგებლობა. ამ საზოგადო საჩივარს მოუცილებლად უნდა ჰქონდეს ნამდვილი და უტყუარი მიზეზი; უეჭველია, რომ კახელებს არ აქვს ის შემატება ვენახებისაგან, რომელიც უნდა ჰქონოდათ თუ ღვინის ვაჭრობა ყოფილიყო მიმართული ბუნებითს და ჯეროვან წესზედ... კახელების საჩივარს აქვს მართალი და შეურყეველი საფუძველი... როგორ არ იჩივლოს კახელმა უფასობაზედ მაშინ, როდესაც ხედავს, რომ იმის ღვინო თუნგი ათშაურობაზედ გასყიდული იყიდება ქალაქში მანეთად და როდესაც ვერაფერი საშუალება ვერ უპოვია, რომ გამოვიდეს ამ მდგომარეობისაგან. ჩვენი თვალით ვვინახავს, რა წინააღმდეგობა შეუძლიან ღვინის პატრონს სირაჯთან და რა ხანს უმაგრდება გადაკვეთილს ფასსა. სირაჯმა სრულიად იცის მდგომარეობა ღვინის გამსყიდვისა, იცის რა დროს ვისთან მივიდეს ჰაშნიკის სანახავად, მად რა წუნი დასდოს ღვინოსა, რა ფასი შეაძღროს ანუ ხმა ამოუღებლივ დაიწყოს უკან დაბრუნება. სრულად დარწმუნებულია, რომ ღვინის გამსყიდავი მოუთმენლად ათვალეირებს იმის მოძრაობასა და შიშით ელოდება იმის გადაწყვეტილებასა; დარწმუნებულია, რომ რაც უნდა იყოს ვაჭარს არ გაუშვებს ხელიდან»³.

Из своих рассуждений цитируемый автор делает пессимистический вывод о безвыходности положения кахетинского крестьянина: «ან უნდა ვენახები სხვას ჩააბაროს და თითონ ვაჭრობას შეუდგეს, ან ისევე დარჩეს სოფელში მამულის მოსაველელად და ღვინოები აძლიოს სირაჯსა ახლანდელრიგზე. ორივე საქმის კისერა არავის შეუძლიან, და რადგანაც მამულის კეთება უფრო ეთვისება, ისევე სჯობს ვაჭრობას თავი დაანებოს»⁴.

¹ П. В. Гугушвили. „Сельское хозяйство и аграрные отношения“. т. 1, Тбилиси, 1938 г., стр. 25—26 (разрядка моя—З. А.).

² Ю. Ахвердов. „Тифлиские амкары“. Тифлис, 1833 г. стр. 44.

³ П. В. Гугушвили. Указ. соч., стр. 93—94 (разрядка моя—З. А.).

⁴ Там же, стр. 94.

Приведенные факты свидетельствуют, что в грузинской предреформенной деревне имело место широкое распространение «первой и наиболее простой», по словам В. И. Ленина, формы торгового капитала, которую он характеризует как «покупку изделий торговцем... у мелких товаропроизводителей. При слабом развитии скупки или при обилии конкурирующих скупщиков продажа товара торговцу может не отличаться от всякой другой продажи; но в массе случаев местный скупщик является единственным лицом, которому крестьянин может постоянно сбывать изделия, и тогда скупщик пользуется своим монопольным положением для безмерного понижения той цены, которую он платил производителю»¹.

Наряду с этой первой формой, в Грузии того периода получила значительное развитие и вторая форма торгового капитала, которая состоит в соединении ее с ростовщичеством.

Эту форму В. И. Ленин характеризует так: «Постоянно нуждающийся в деньгах крестьянин занимает деньги у скупщика и потом отдает за долг свой товар. Сбыт товара в этом случае (имеющем очень широкое распространение) всегда происходит по искусственно пониженным ценам, не оставляющим в руках кустаря того, что мог бы получить наемный рабочий. К тому же отношения кредитора к должнику неизбежно будут к личной зависимости последнего, к кабале, к тому, что кредитор пользуется особыми случаями нужды должника и т. п.»².

О широком развитии ростовщического капитала в дореформенной Грузии имеется масса сведений. Мы же ограничимся приведением лишь некоторых документов. Так, в одном из них сообщается, что «дешевые капиталисты обратили свое купеческое звание в звание более ростовщиков, чем торговцев»³.

Причем, все авторы обращают внимание на весьма высокие проценты, взимаемые местными ростовщиками, от 25 до 30% на сто⁴.

В «Кавказском календаре» на 1853 год о синахских купцах, например, сообщается, что «кроме торговли (они) раздают заимообразно, в разные руки, жителям уезда наличные деньги на проценты, каковая раздача, при приблизительно собранных сведениях, заключается в общем капитале 150 тыс. руб.» (цифра, несомненно преуменьшенная — З. А.)⁵.

Особенно оживился ростовщический капитал после того, как с государственных и церковных крестьян стали взыскивать казенную подать деньгами. Характерен в этом отношении факт, описанный в донесении

¹ В. И. Ленин, цит. соч., стр. 313.

² Там же.

³ ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1. д. 199, л. 40 и об.

⁴ «Обозрение российских владений за-Кавказом», ч. 1, 1836 г., СПб; стр. 213.

⁵ «Кавказский календарь на 1853 г.» 1852 г., стр. 382.

грузино-имеретинской синодальной конторы грузинскому гражданскому губернатору в 1845 году. В нем сообщается, что церковные крестьяне селений Бодбе, Бодбис-Хеви, Кедели, Асанаури (Кахетия) при уплате податей «за неимением денег» занимали их у торговцев и ростовщиков, причем за каждые 10 рублей серебром платили или 20 коди пшеницы или 2 сапалне вина, от чего, говорится в документе, «многие из крестьян впали в такие долги, что недостаточно и годового их урожая, на уплату одних процентов», причем, при взыскании денег одни из крестьян продали «урожай» не только прошлого 1844 года, но и текущего 1845 г., а другие заложили заимодавцам «своих детей и братьев»¹.

Таким образом, местные ростовщики и скупщики грабили трудовое население, на которое их гнет ложился тяжелым бременем, наряду с гнетом местных помещиков и царизма. Вместе с тем ростовщики ссужали деньгами и разорявшихся грузинских помещиков².

Какую же оценку заслуживает деятельность торгово-ростовщического капитала в грузинской деревне того времени?

Местные ростовщики и купцы, как было показано выше, ограничились лишь обращением денежных капиталов и почти совершенно не пускали их в производительный оборот. Поэтому к грузинскому дореформенному ростовщическому капиталу полностью применимы слова К. Маркса: «Ростовщичество не изменяет способа производства, но присасывается к нему как паразит, и источает его до полного упадка»³.

Описанные выше две первые, наиболее простые формы торгово-ростовщического капитала не были новым явлением в грузинской действительности. Они существовали в феодальной Грузии еще задолго до присоединения ее к России. Правда, после включения Грузии в состав царской России деятельность торгово-ростовщического капитала значительно расширилась, но качественно в дореформенный период XIX века она по сути дела не изменилась, приняв лишь ярко выраженный compradorский характер. Это был такой торгово-ростовщический капитал, который мирно уживается с феодальным способом производства. По словам И. В. Сталина, «этот торговый капитал типа первоначального накопления своеобразно сочетается в ... деревне с господством феодала, с господством помещика, заимствуя у этого последнего средневековые методы эксплуатации и угнетения крестьян». Причем, отмечает И. В. Сталин, этот торговый капитал «сосет из крестьянина соки не хуже всякого феодала»⁴.

¹ ЦГИА ГССР, ф. 16, № 8763, л. 5—6.

² Вопросу об отношении ростовщического капитала к местным помещикам будет посвящена отдельная статья.

³ К. Маркс. «Капитал», т. III, 1932 г., стр. 428.

⁴ И. В. Сталин. Соч. т. 9, стр. 240.

Таким образом, и в городе, и в деревне дореформенной Грузии торгово-ростовщический капитал не только не способствовал зарождению и развитию промышленного капитализма, но, наоборот, играл реакционную роль, консервируя старые формы эксплуатации трудящихся.

Для дополнения характеристики торгово-ростовщического капитала дореформенной Грузии отметим крайнюю ограниченность коммерческих способностей его представителей, бедность денежными капиталами и в силу этого неустойчивость их экономического положения. В одном из официальных документов 40-х годов по этому поводу отмечалось: «Купцы здешние, или так называемые мокалаки, до сих пор не несут гильдейских повинностей, имея все права на неограниченную торговлю, как внутреннюю, так и заграничную. Почти вся торговля в руках не грузин, а армян, которые не имеют способности к огромным оборотам и довольствуются малым по сделанной уже привычке к роду товаров, приносящих им значительные выгоды. Вообще в торговом классе не заметно предприимчивости, нет торгового риска, нет должной деятельности, оживляющей коммерцию. Чем торговал отец, тем, конечно, торгует и сын, вполне уверенный, что это и не должно быть иначе... В торговле здешней нет ни контор, ни шнуровых книг, ровно здесь нет ни одного торговца, который мог бы похвастаться положительным знанием и коммерцией; нет также значительных капиталистов. Капиталы немногих можно полагать в 50 тыс. руб.»¹ «При обзоре торговли в последние годы, — читаем в том же документе, — нет для нее утешительного результата, ибо беспрестанные банкротства здешних торговцев и неустойка их в платеже долгов, уронили общественный кредит в Москве и на нижегородской ярмарке до того, что многие должны были прекратить торговлю. Причиной же банкротства можно полагать ничто иное, как неимение собственных капиталов и обороты на заемные деньги под высокие проценты»².

Совершенно очевидно, что такой примитивный, малосостоятельный торгово-компрадорский капитал не мог революционизировать производство в дореформенной Грузии. Отрицательная роль этого капитала имела, разумеется, свои причины. Она была обусловлена отсутствием в дореформенной Грузии объективных условий для возникновения и развития капитализма — недостаточность капиталов, ограниченное число свободных рабочих рук, узость внутреннего рынка. Это обстоятельство, в свою очередь, обуславливалось господством феодально-капиталистических отношений в стране и реакционной колониальной политикой царизма.

¹ ЦГИАЛ, ф. 1768, оп. 1, д. 104. л. 103 об. 104.

² Там же, 104.

მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის¹

(სამეცნიერო მივლინების ანგარიშიდან)

1949 წ. 20 მარტიდან 23 მაისამდე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიერ, მივლინილი ვიყავი მოსკოვსა და ლენინგრადში ჩემი სამუშაო თემისათვის საჭირო მასალების შესაგროვებლად.

აღნიშნული ვადის ერთი ნაწილი მოსკოვში დავყავი, სადაც ძირითადად ვმუშაობდი ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო-ისტორიულ არქივში და ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში.

მეორე თვეს მუშაობა განვაგრძე ლენინგრადში—ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო-ისტორიულ არქივში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში და სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში.

ბუნებრივია, ჩემი თემისათვის საჭირო მასალათა გარდა, ყურადღებას ვაქცევდი საქართველოს ისტორიის სხვა სახის წყაროებსა და მასალებსაც. ამის შედეგად ჩემს ხელთ აღმოჩნდა სხვადასხვა სახისა და შინაარსის მასალა.

რაკი განზრახული მქონდა მივლინების ანგარიშში არ დავკმაყოფილებულიყავ გასინჯულ და მოპოვებულ მასალათა მარტოდენ ჩამოთვლით, არამედ მომეცა მათი მეცნიერული ღირებულების შეფასება, საჭიროდ დავიწახე მოპოვებული მასალა სამ ჯგუფად დამეყო: ა) ხელნაწერი წიგნები, ბ) საარქივო მასალები და გ) ახალი მასალები გვიანვეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების ისტორიისათვის.

ქვემოთ ვაქვეყნებთ პირველი ჯგუფის მასალების—ხელნაწერი წიგნები—მხოლოდ ერთი ნაწილის მოკლე მიმოხილვას².

* * *

ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ქართულ კოლექციაში (იხ. („Каталог груз. рукописей царевича Ивана“) დაცულია ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ ორი ნუსხა.

¹ ნაწილი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების 1949 წ. 4 ოქტომბრის სხდომაზე წაკითხული მოხსენებისა.

² ამავე ჯგუფის მასალების მეორე ნაწილის მიმოხილვაც, რომელიც „ძველი ერისთავთას“ ლენინგრადში დაცულ დედანს შეეხება, „ძველი ერისთავთას“ ტექსტიტურთ იბეჭდება აქვე.

პირველი მოთავსებულია Грүз. колл. № 170-ით აღრიცხულ კრებულში. კრებულში თავმოყრილია სხვადასხვაგვარი მასალა, როგორც ჩანს, თავის ჯიშზე იოანე ბატონიშვილის მიერ შეკრებილი და ცალკე წიგნად აკინძული. აქ მოთავსებულია სხვადასხვა ისტორიულ პირთა წერილების პირები. ასე მაგ., „ანახანუმ დედოფალთან რუსეთით მიწერილი სამძიმარი ანტონისაგან“ (ფ. 2), „იოანე მდივანბეგთან მიწერილი ვლადიმერისაგან ანტონისაგან“ (ფ. 3) და სხვა.

კრებულის მე-8 ფურცლიდან იწყება ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“, ჭუფთად და ლამაზად გადაწერილი XIX ს. დამდეგს. გადამწერს ტექსტის მშლიანად გადაწერა ვერ დაუსრულებია. დატოვებულია ცარიელი ფურცლები, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ „დასტურლამალის“ გადამწერის დამთავრება ნაგარაუდგევი იყო.

ხელნაწერი იწყება შესავლით: „ეჰა, შენ ყოველთა მბაღო, დიდება შენდა, რომელმან ყოველნი არა არსნი არსებად მოიყუანენ“ და ა. შ., რაც ჩვეულებრივ ერთვის ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ ცნობილ ნუსხას.

ხელნაწერი შეიცავს სულ 61 (61) მუხლს, პარაგრაფს. უკანასკნელი პარაგრაფია: „ზარაფხანის რიგი არის ქალაქის გარიგება“, რომელიც წყდება სიტყვებით: „ეხლა ეს ერთი მისხალი რომ ნამეტნავია, ამისი ანგარი წაიღებს ერთს შაურსა, თარაზდარი...“ (ფურც. 24).

„დასტურლამალის“ ეს ნუსხა, მუხლებად დაყოფის თვალსაზრისით, სავსებით იგივეა, რაც პ. უმიკაშვილის მიერ გამოცემული. არის ტექსტუალური სხვაობა... მაგრამ მათი აღრიცხვა ამჟამად ჩვენი ამოცანის ფარგლებს ცილდება.

მრავალმხრივ საინტერესოა იქვე დაცული „დასტურლამალის“ მეორე ნუსხა, რომელიც ცალკე წიგნად № 153-ის ქვეშ ინახება და რომელიც კატალოგში გატარებულია, როგორც „Инструкция царя Вахтанга“. ხელნაწერი ტყავის მაგარ ყდაშია ჩასმული; თავფურცლის verso გვერდზე მიწერილია: „მდივნის ქობულოვის წიგნებიდან“.

მდივანი ქობულაშვილი, რომელსაც „დასტურლამალის“ ეს ნუსხა ეკუთვნოდა, მისი გადამწერიც იყო. ხელნაწერის ბოლო ფურცლის (77) recto გვერდზე ტექსტის ხელით მიწერილია: „ქ. აღიწერა ჭელითა თავადის ქობულოვის თამაზის მიერ და თუ რამ შეცთომილი და ან უკანონოთ ნაწერი ნახოთ, ვინცა იკითხოთ მოტევეებას ვითხოვთ მისთვის, რომ ამის მეტი წიგნი არ გადაამეწერა ჯერეთ“; ხელრთვა: „თამაზ“.

ამ მინაწერს და არც სხვაგან ხელნაწერს, სამწუხაროდ, გადამწერის თარიღი არ ახლავს, მაგრამ ხელის მიხედვით „დასტურლამალის“ ეს ნუსხაც, უდავოდ, XIX ს. დამდეგს ეკუთვნის.

ხელნაწერი მზ (47) გვერდამდე თეთრ, ხოლო შემდეგ მოლურჯო ქალღმრთელ ლამაზი ხელითაა ნაწერი.

იწყება ჩვეულებრივი შესავლით: „ეჰა შენ ყოველთა...და სხვ. „სამეფო დასტურლამალი“ სრულდება სკზ (222) პარაგრაფით — „ქელმწიფის“

ტყვის ხარჯისათვის“, რომელიც იგივეა, რაც „ყუენის ტყვის ხარჯი“, რითაც სრულდება, პ. უმიკაშვილის გამოცემის მიხედვით, „სამეფო დასტურლამალი“.

„სადედოფლო დასტურლამალიც“ მსგავსად ნაბეჭდისა მბ (42) პარაგრაფისაგან შედგება და თავდება მუხლით: „რომელთაც მარხვაში სამარხო უნდა მოიტანონ მათოს“, როგორც ეს პ. უმიკაშვილის გამოცემაშია.

თ. ქობულაშვილის ნუსხას დართული აქვს აგრეთვე სათანადო მუხლთა (პარაგრაფთა) სამიბელიც. უფრო დეტალური შედარება ჩვენ მაშინ არ გვიწარმოებია—იგი „დასტურლამალის“ მომავალი გამომცემლის საქმედ მივიჩინეთ.

„დასტურლამალის“ ეს ნუსხა ჩვენთვის უფრო სხვა მხრივაც საინტერესოა, იმ დამატებების მიხედვით, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა უნიჭება საქართველოს ეკონომიური ისტორიის ზოგი საკითხის გასათვალისწინებლად.

ხელნაწერს 74—75-ე გვერდებზე დართული აქვს სია ფშავის ხევის სოფელთა: „ქ. ფშავის ჯევის სოფელნი ესენი არიან, მაგრამ კახეთისა არის და არა ქართლისა“:

„ქ. უკანა ფშავი,	ქ. წოჩო,	ქ. ცაბაურთა,
ქ. ახადი,	ქ. მუქუ,	ქ. უძილაურთა,
ქ. წითელაურთა,	ქ. მათურა	ქ. შუა ფხო“.
	ქ. გოგოლაურთი,	

„აგრეთვე ფშავსა და ხევსურს შუა არის სოფელი, ფშავნი და ხევსურნი ორნი ცილობენ—არა ჩვენია, არა ჩვენიო, სახელად ეწოდების ქ. აკუშო“.

ამათ მოსდევს ხევსურთა სოფლების სია, რომელიც სიის შემდგენელის განმარტებით აგრეთვე კახეთისაა. ამ უკანასკნელთაგან, სიის შემდგენელს ცალკე გამოუყვია სადედოფლო სოფლები.

„ქ. სადედოფლო სოფლები:

ქ. კისტანი სადედოფლო	ქ. არდოტი სადედოფლო,
ქ. შატილი სადედოფლო,	ქ. გურო სადედოფლო,
ქ. ხახაბო სადედოფლო,	ქ. მიცუ სადედოფლო“.

მსგავსი სია არა აქვს დართული პ. უმიკაშვილის მიერ დაბეჭდილ „დასტურლამალის“ ნუსხას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „დასტურლამალის“ ქობულაშვილისეული ნუსხისადმი დართული „ქალაქის ბაჟისა, ყაფნისა და ციხის კარის შართლამა“, რომელიც, თამაზ ქობულაშვილის მინაწერის მიხედვით, 1736 წ. ყოფილა შედგენილი.

„შართლამის“ ცალკეულ მუხლთა ჩამოთვლის შემდეგ, ბოლოს, 76-ე ფურცლის recto გვერდზე მიწერილია: „ქ. ქალაქის ბაჟისა, ქ. ყაფნისა და ქ. ციხის კარის შართლამა ქკს უკდ (424) გამართულია“.

თამაზ“. ეს მინაწერი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ზემოხსენებული „შართლამა“ 1736 წ. შეუდგენიათ, „გაუმართავთ“. აღსანიშნავია, რომ ქალაქის ბაჟის 1736 წ. ნუსხა, ე. ი. ზემოხსენებული „შართლამის“ სხვა პირი, როგორც ს. კაკაბაძის შენიშვნიდან ჩანს, დართული ჰქონდა დავით რექტორის მიერ 1789 წ. გადაწერილ „დასტურლამალის“ ხელნაწერსაც, რომელიც 1924 წ. (და ალბათ შემდეგაც) ს. კაკაბაძის პირად კუთვნილებას შეადგენდა¹.

როგორც ჩანს, 1736 წ. შედგენილი „ქალაქის ბაჟისა, ყაფნისა და ციხის კარის შართლამა“ „დასტურლამალის“ ნუსხებს ხშირ შემთხვევაში დაერთვოდა.

ორიოდე სიტყვა ტერმინ „შართლამას“ მნიშვნელობის შესახებ. ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართულ დიპლომატიკაში“ წერდა: „ჩვეულებრივი ტერმინის „პირობის წიგნის“ მაგიერ დარეჯან დედოფლისაგან 1796 წ. სამღებროს მოიჯარადრე იასე იასეშვილისათვის მიცემულ ერთ საბუთში ნათქვამია: ესე შართლამის წიგნი გიბოძეთო...თუ აქ კორექტურული, ან დამწერელის შეცდომა არ არის და დედანში „შარტნამის წიგნი“ არ ეწერა, ზეპირი გამოთქმით დამახინჯებული სპარსული „შარტნამაჰ“-თან გვაქვს საქმე, რაც სპარსულად შართლაც პირობის წიგნსა ნიშნავს“².

ცხადია, დარეჯან დედოფლის ზემოხსენებულ საბუთში რაიმე შეცდომასთან არ გვაქვს საქმე. „შართლამა“ გვიანფეოდალური ხანის ქართულ დიპლომატიკაში ხშირად ხმარებულ ტერმინად ჩანს.

სარდალ-სახლთუხუცესი იოანე ორბელიანი, მის მიერვე შედგენილ სახლთუხუცესის სარგოს გარიგების წიგნში, მიუთითებდა: „იჯარებს რომ აიღებდნენ და შართლამა დაიწერებოდა და მეფე დაბეჭდამდა, იმ იჯარადარიდამ იჯარის შესაფერს ფეშქაშს მიაართმევდნენ, ამაში სარგებლობა ჰქონდა“³. ამ შემთხვევაშიაც, ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი განმარტებით, „შართლამა“ მეფესა და მოიჯარადრეს შორის დადებულ „პირობის წიგნს“ ნიშნავს. „შართლამა“ ნიშნავდა აგრეთვე მეფეთა მიერ ბოძებულ და დამტკიცებულ გარიგების წიგნებსაც: ქალაქის ბაჟის, ყაფნისა და ციხის კარის ბაჟის გარიგებას წიგნს, როგორც ვნახეთ, „შართლამა“ ეწოდება.

აღსანიშნავია, რომ როსტომ მეფის 1639 წ. მსგავს ქართული „გარიგების წიგნს“ სპარსულ თარგმანში „დასტურლამალი“ შეესატყვისება. როსტომი განსაზღვრავდა რა ციხის კარით შემოსულ თუ გასულ საქონელზე ასაღებ ბაჟის რაოდენობას, შენიშნავდა: „გველის წელიწადის დასაწყისიდან დამტკიცებულია ხსენებული ფულის დასტურლამალი, ქვემოთ მოყვანილის საფუძველზე...ასე რომ, ამიერიდან არც ერთი დინარიც და არც ერთი მანიტვირთი ზედმეტად არ იქნეს გამორთმეული“⁴.

¹ ს. კაკაბაძე. საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში, ჟურ. „მნათობი“ 1924 წ. № 2, გვ. 228, შენ. 4; 229, შენ. 2.

² ივ. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთა მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, 1926-გვ. 54-55.

³ შ. მესხია. მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, 1948, გვ. 3.

⁴ საქ. მუხეუმის Hd: 1559; ეს საბუთი, მისი სპარსული პირის თარგმანითურთ, გადმოგვაწერინა პატ. ვლ. ფუთურაძემ.

როგორც ვხედავთ, „ციხის კარის შართლამას“ ამ შემთხვევაში ციხის „ფულის (=ბაჟის) დასტურლამალი“ შეესატყვისება. სწორეთ ამით აიხსნება, რომ ქობულაშვილისეულ და სხვა „დასტურლამალს“ 1736 წ. შედგენილი ქალაქის ბაჟის, ყაფნის და ციხის კარის „დასტურლამალიც“ ანუ „შართლამაც“ ერთვოდა.

1736 წ. შედგენილ შართლამას საქართველოს ეკონომიურ ისტორიისათვის მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც საჭიროდ მივიჩნევთ მის აქ მთლიანად მოტანას.

ქალაქის ბაჟის შართლამა:

„ქ. ფარჩის ჩელიეჟი, სახელი ჩელიეჟია მაგრამ თუმანზედ ერთი აბაზია-ბაჟი.

ქ. ბაგრასტზედ აღლზედ მ: (ორი ბისტი)¹.

ქ. ლანდარა ფისტაზედ უ: (ორი აბაზი).

ქ. მაულზედ ფასტი ფ: (ათი შაური).

ქ. შალი და ფარფათიანი ფისტაზედ ს: (ერთი აბაზი).

ქ. ბეწვეულის საპალნეზედ ც: (ორი მინალთუნი).

ქ. აბრეშუმის მიზანი, გამსყიდველები მისცემს (sic) სნ: (ხუთი შაური) და ვინც იყიდის მისცემს რნ: (სამი შაური).

ქ. ბანბა ცხენის საპალნე; აქლემის, ჯორისა და წარისა ფ: (ათი შაური), ვირისაზედ სნ: (ხუთი შაური).

ქ. წმლის თევზისა, ურემზედ შ: (თვრამეტი შაური), საპალნეზედ ტ: (ექვსი შაური).

ქ. გელაქნური, საპალნეზედ იზ: (12).

ქ. ორაგული და ზუთხი, საპალნეზედ ა0 (1 1/2).

ქ. ბრინჯის წარის საპალნეზედ რნ: (სამი შაური), ვირისაზედ ნკე: (შაური, ერთი ბისტი და ერთი ფული).

ქ. ხამ[ხა]ლათი ცხენისა და ჯორისაზედ ცს: (თვრამეტი აბაზი), აქლემის საპალნეზედ ცყ: (თოთხმეტი აბაზი), ვირისა ჩრ: (მინალთუნი და ორი შაური).

ქ. ერბო, თაჟლი, ქონი, შაბი, რკინა—ცხენისა, ჯორისა, წარისა საპალნეზედ რნ: (სამი შაური).

ქ. ნალი, ცხენისა და ჯორის საპალნეზედ სნ: (ხუთი შაური), ვირისაზედ რკე (ორი შაური, ერთი ბისტი და ერთი ფული).

ქ. რაც მოქალაქემ განჯიდამ აბრეშუმი მოიტანო[ს] და აზრუმისაკენ წაიღოს, აქლემისა თუ ცხენისა თუ ჯორისა საპალნეზედ ც: (ორი მინალთუნი).

ქ. საყათი წვრილმანი თუ სახტიანი, ცხენის, ჯორისა და წარის საპალნეზედ ჩტნ: (ოცდაშვიდი შაური), აქლემზედ ცკე: (ორი მინალთუნი, ერთი ბისტი და ერთი ფული).

¹ მრგვალ ფრჩხილებში მოთავსებულია ფულის ერთეულის ან რიცხვის აღმნიშვნელი ასოთა ჩვენ მიერ ახსნილი მნიშვნელობა. სასენი ნიშნებიც ჩვენ მიერაა დასმული.

ქ. ხუმკაბარი და ზეითუნის საპალნე ცხენისა, ჯორისა და ჯარისა, საპალნეზედ ა: (1) ლიტრა, ვირისაზედ 0: ($1/2$) ლიტრა.

ქ. ალენან (sic) აბრეშუმზედ დასტაზედ ლე0 (შვიდფულნახევიარი).

ქ. ლილა თავრეზის ლიტრაზედ ნ: (ერთი შაური).

ქ. გუნდა და სპილენძი, ცხენისა, ჯორისა, ჯარისა საპალნეზედ ფ: (ათი შაური), ვირისაზედ სნ: (ხუთი შაური).

ქ. ენდრო და მატყლი, ცხენისა, ჯორისა, ჯარისა საპალნეზედ სნ: (ხუთი შაური), ვირისაზედ რკე: (ორი შაური, ერთი ბისტი და ერთი ფული).

ქ. მარილი საპალნეზედ ნ: (ერთი შაური), გორისა ნ: (ერთი შაური).

ქ. ზეთი ცხენისა, ჯარისა საპალნეზედ ტ: (ექვსი შაური).

ქ. ნესვი და საზამთრო საპალნეზედ გ (3).

ქ. კიტრი ცხენისა, ჯორისა, ჯარისა საპალნეზედ იბ: (12), ვირისაზედ ფ: (6).

ქ. ბაზირგინის აბრეშუმი აქლემისაზედ უ: (ორი აბაზი), ცხენისაზედ ზ: (ერთი აბაზი).

ქ. თამბაქო აქლემისა, თუ ცხენისა საპალნეზედ ა (1) ლიტრა.

ქ. არყის (sic) საპონი ცხენის საპალნეზედ ფ: (ათი შაური).

ქ. წმელი ტყავი ცხენისა, ჯორისა, ჯარისა საპალნეზედ სნ: (ხუთი შაური), ვირისაზედ რკე: (ორი შაური, ერთი ბისტი და ერთი ფული).

ქ. ყაფანდარმა უნდა აილოს:

ქ. ხორბალი თუ ფქვილი, თუ ქერი, თუ ფეტვი, მძიმე თავზედ კ: (ერთი ბისტი), მსუბუქ თავზედ ი: (ორი ფული).

ქ. ბანბა საპალნეზედ რ: (ორი შაური); ბრინჯზედ და შაბზედ, საპალნეზედ კ: (ერთი ბისტი); მატყლის საპალნეზედ ნ: (ერთი შაური).

ქ. ცხენი და ჯორი რომ გაისყიდოს ს: (ერთი აბაზი), აქლემზედ ლ (ლოთხნეტი შაური), ვირზე და ძროხაზე ნ: (ერთი შაური).

ქ. რკინა და სპილენძი კ: (ერთი ბისტი).

ქ. ენდროს საპალნეზედ კე: (ბისტი და ერთი ფული).

ქ. ზეითუნზედ ნ: (ერთი შაური).

ქ. წმლის ტყავის საპალნეზედ კე: (ბისტი და ერთი ფული).

ქ. ერბო, თაფლი, ქონი ას ლიტრაზედ რ: (ორი შაური).

ქ. ხუმკაბარზედ ცხენის, ჯორისა საპალნე ნ: (ერთი შაური).

ქ. ციხის კარზედ:

ქ. თუ შემოსულისა, თუ გასულისა ბაზირგინის საქონელი თუ თამბალი, თუ საპალნე კე: (ბისტი და ერთი ფული).

ქ. აბრეშუმზედ ნ: (ერთი შაური).

ქ. მარილი და ბრინჯი, საპალნეზედ ი: (ორი ფული).

ქ. ნესვი და საზამთრო, საპალნეზედ ი: (ორი ფული).

ქ. ერბო, თაფლი, ქონი, ტყავი, ხუშკაბარი, საპალნეზედ კე: (ბისტი და ერთი ფული).

ქ. შაბი საპალნეზედ ი: (ორი ფული).

ქ. ჯმელი თევზი, ურემზედ ნ: (ერთი შაური), საპალნეზედ კ: (ერთი ბისტი).

ქ. გელაქური საპალნეზედ დ: (4).

ქ. ორაგული და ზუთხი საპალნეზედ კ: (ერთი ბისტი).

ქ. კიტრი საპალნეზედ დ: (4).

ქ. ხილი ურემზედ ნ: (ერთი შაური), საპალნეზედ კ: (ერთი ბისტი).

ქ. ქალაქის ბაჟისა, ქ. ყაფნისა და ქ. ციხის კარის შართლამა ქკს უკდ (=1736) გამართულია, თამაზ¹. (ფ. 75 verso—77 recto).

ჩვენ ამჟამად არ ვაპირებთ სიტყვის გაგრძელებას მოტანილ „შართლამას“ მნიშვნელობის შესახებ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მსგავს ძეგლს, რომელიც დეტალურად მოგვითხრობდეს როგორც ქალაქის (=თბილისის) ბაჟზე, ყაფანდარის სარგოზე და ასევე ციხის კარის ბაჟზე, გვიანფოთალური ხანის ქართულ დოკუმენტებში იშვიათად შევხვდებით. ამავე დოკუმენტიდან ვგებულობთ თუ რა და რა სახის საქონელი და სურსათი შემოჰქონდათ, ან კიდევ, გაჰქონდათ XVIII ს. პირველი ნახევრის თბილისიდან.

ჩვენ მიერ ზემომოტანილი „შართლამა“ ოფიციალური, სახელმწიფოებრივი დოკუმენტია და ამით აიხსნება, რომ იგი ერთვის „დასტურლამას“² ეს კი კარგად გვიჩვენებს თუ როგორ მტკიცედ იყო განსაზღვრული სამეფო ხელისუფლების მიერ ქალაქში ასაღები ბაჟი, ყაფანდარის სარგო და ციხისკარით შემოსულ საქონელზე ასაღები ბაჟიც.

დავით ბატონიშვილის ცნობას თუ დავუჯერებთ, შემოსულ თუ გასულ საქონელზე ასაღები ბაჟის რაოდენობა მეფის ხელისუფლების მიერ ყოველწლიურად წესდებოდა. ბაჟებზე და საბაჟო გამოსაღებებზე დავით ბატონიშვილს სხვა საინტერესო ცნობებიც აქვს დაცული. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ზემოდაბეჭდილ მასალის მნიშვნელობის ნათელსაყოფად მისი აქ მოტანაც: „Таможени учреждены были по городам. Их обязанностью было осматривать привозимые из заграницы товары, равно поверять отечественные произведения при отправлении в иностранныя государства. В таможенных пошлинах взымались против установленного тарифа, каковой и выдавался ежегодно от высшего правительства. Сверх того, городах учреждены были заставы на которых собиралась известная по положению пошлина с возимого в город продовольствия—вина, хлеба, рогатого скота и пр., также с табачных и красильных заведений.

Таможенные и пошлинные сборы разделены на несколько статей и отдавались на откуп частным людям. . . Все те товары и вещи на привоз и

¹ „ციხის კარის“ ქვეშ აქ ცხადია თბილისის მთავარი კარი, ე. წ. „განჯის კარი“ იგულისხმება, რომლითაც თბილისი უმთავრესად უკავშირდებოდა სამხრეთის მეზობელ ქალაქებს.

вывоз койх нет разрешения, конфискуются в казну... Ввоз всякого ору-
жия разрешается без пошлино¹.

ეს ამონაწერი განმარტავს, ავსებს და ადასტურებს „ქალაქის ბაჟის, ყაფნისა და ციხის კარის შართლამას“. ასე მაგალითად, „შართლამაში“ არ-
სად აღნიშნული არ არის ბაჟი შემოტანილ იარაღებზე, რაც საფუძვლით ადას-
ტურებს დავით ბატონიშვილის მითითებას, რომ თბილისში ყოველგვარი ია-
რალის შემოტანა ხდებოდა უბაჟოდ.

რაც შეეხება დავით ბატონიშვილის მითითებას, რომ ბაჟი უმაღლესი ხე-
ლისუფლების მიერ ყოველწლიურად წესდებოდა, იქნებ გადაჭარბებული იყოს.
მაგრამ, ცხადია, რომ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის შეცვლა (თუ ყო-
ველწლიურად არა) ხშირად იწვევდა საბაჟო ნორმების შეცვლასაც. მსგავსი მა-
გალითი არა ერთი იცის საქართველოს ისტორიაში.

სხვა მასალებს რომ თავი დაეანებოთ, თვით ის ფაქტიც, რომ ვახტანგ
VI-ის „დასტურლამალით“ დადგენილი „ბაჟისა და ყაფნის რიგი“ 1736 წ.
შეუცვლიათ და ვახტანგის „დასტურლამალისათვის“ ახალი, „ბაჟის, ყაფნისა
და ციხის კარის შართლამა“ დაურთავთ, კარგად გვიჩვენებს თუ როგორ,
რამდენიმე წლის შემდეგ, საჭირო გამხდარა საბაჟო ტარიფი და საყაფანდრო
გამოსაღები შეეცვალათ. 1736 წელს შეიცვალა აგრეთვე, ჯერ კიდევ როს-
ტომ მეფის მიერ 1639 წ. დადგენილი, „ფულის (=ციხის კარის ბაჟის)
დასტურლამალიც“, რომელიც თითქმის უცვლელად შეტანილი იყო ვახ-
ტანგ VI-ის „დასტურლამალში“².

ამ დოკუმენტთა ურთიერთ შედარება კი აგვისახავდა იმ ცვლილებებსაც,
რაც საბაჟო ტარიფებში ხდებოდა. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი:

**ქალაქის ბაჟი ვახტანგის
დასტურლამალით**

„თავრიზის ფარჩაზედ თუმანზედ
ათი შაური არის აქლემით მოვა თუ
ცხენით“.

„ენდროს საპალნეზედ ორი აბასი
არის აქლემისაზედ, და ცხენისაზედ ერ-
თი აბასი“.

„ერბო ან თაფლი ეკიდოს აქლემ-
ზედ ორი აბასი და ცხენზედ ერთი აბა-
სი ბაჟი“.

„ბანბის საპალნე, აქლემს ჰკიდია
თუ ულაყსა, საპალნეზედ ორი აბასი
არის“.

1736 წ. „შართლამით“

„ფარჩის ჩელიეჟი...თუმანზედ ერ-
თი აბაზია ბაჟი“.

„ენდრო და მატყლი ცხენისა, ჯო-
რისა და წარისა საპალნეზედ სნ (ხუთი
შაური), ვირისაზედ რკე (ორი შაუ-
რი, ერთი ბისტი და ერთი ფული)“.

„ერბო, თაფლი, ქონი, შაბი, რკი-
ნა ცხენისა, ჯორისა, წარისა საპალ-
ნეზედ რნ (სამი შაური)“.

„ბანბა ცხენის საპალნე, აქლემი-
სა ჯორისა და წარისა ფ (ათი შაუ-
რი), ვირისაზედ სნ (ხუთი შაური)“.

¹ ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილება
Н: 11. „Обозрение Грузии по части прав и законовования“, творение царевича Да ви-
ла, СПб, 1813, § 843—855.

² დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის გამოც., გვ. 104

„თამბაქოს საპალნეზედ აქლემზედ ლიტრა ნახევარი, ცხენზედ ერთი ლიტრა“.

„თამბაქო აქლემისა თუ ცხენისა საპალნეზედ ა (1) ლიტრა“.

„ზეთის საპალნეზედ ერთი აბასი და მუშობანა ნახევარ-შაური“.

„ზეთი ცხენისა, ჯარისა საპალნეზედ ტ (ექვსი შაური)“.

„ორაგულის საპალნეზედ ორს შთელს აიღებენ“.

„ორაგული და ზუთხი, საპალნეზედ აი (1 1/2)“.

„საყათის აქლემის საპალნეზედ ოცდაშვიდი შაური; ცხენის საპალნეზედ თურამეტი შაური“¹.

„საყათი წვრილმანი თუ სახტიანი ცხენის, ჯორისა და ჯარისა საპალნეზედ ჩტნ (ოცდაშვიდი შაური), აქლემზედ ცკე (ორმოცი შაური ერთი ბისტე და ერთი ფული)“.

შედარებიდან ჩანს, თუ რა მნიშვნელოვანი ცვლილებები მომხდარა ქალაქის (თბილისის) ბაჟის ტარიფში ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ შედგენიდან 1736 წლამდე.

ზოგი საქონლის ბაჟი კი 1736 წლისათვისაც იგივე დარჩა, როგორც იყო „დასტურლამალის“ „ქალაქის ბაჟის გარიგების“ მიხედვით:

„დასტურლამალით“:

1736 წ. „შართლამით“

„ბრინჯი, რკინა ან შაბი რომ ეკიდოს აქლემზედ სამი შაურია“.

„ბრინჯის ჯარის საპალნეზედ რნ (სამი შაური)... შაბი, რკინა ცხენისა, ჯორისა, ჯარისა საპალნეზედ რნ (სამი შაური)“.

„მარილის საპალნეზედ ერთი შაური“.

„მარილი საპალნეზედ ნ (ერთი შაური)“.

„გელაქნურის საპალნეზედ თორმეტი აიღების“².

„გელაქნური საპალნეზედ იბ (12)“.

„დასტურლამალის“ ქალაქის „ბაჟის რიგის“ სხვა მუხლები არ ემთხვევა 1736 წ. „შართლამის“ სათანადო მუხლებს.

საინტერესოა, თუ როგორი იყო „ყაფნის რიგში“ მომხდარი ცვლილებანი. ამასაც ზემოდახებელმულ დოკუმენტთა შედარება წარმოგვიდგენს.

„დასტურლამალით“

1736 წ. „საყაფანდრო შართლამით“

„ფქვილზედ, ქერზედ, ბრინჯზედ, შაბზედ, წაბლზედ, ფეტვზედ...საპალნეზედ ბისტს გამოართმევენ“.

„ხორბალი, თუ ფქვილი, თუ ქერი, თუ ფეტვი მძიმე თავზედ კ (ბისტე), „ბრინჯზედ, შაბზედ საპალნეზედ კ (ერთი ბისტე)“.

¹ დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის გამოც., გვ. 100—101.

² დასტურლამალი, იქვე.

„ენდროს ცალზედ ნახევარს შაურს“.

„აგრეთვე მატყლზედ, თაფლზედ, ერბოზედ ნახევარ-შაური“.

„რკინის საპალნეზედ ბისტი“.

„ძროხაზედ შაური, ცხენზედ აბაზი, სახეღარზედ ორი შაური“¹.

„ენდროს საპალნეზედ კე (ნახევარი შაური)“.

„მატყლის საპალნეზედ ნ (ერთი შაური), ერბო, თაფლი, ქონი ასლიტრაზედ რ (ორი შაური)“.

„რკინა და სპილენძი კ (ბისტი)“.

„ცხენი და ჯორი რომ გაისყიდოს ხ (აბაზი). აქლემზედ ღ (თოთხმეტე შაური), ვირზე და ძროხაზე ნ (შაური)“.

როგორც ვხედავთ, 1736 წ. „შართლამით“ შედარებით მცირეა „დასტურლამალის“ „ყაფნის რიგში“ შეტანილი ცვლილებანი. ყველა ზემოაღნიშნული ცვლილებით არის გამოწვეული, რომ ვახტანგ VI-ის „დასტურლამალს“ ჩვეულებრივ ურთავდნენ 1736 წ. შედგენილ „ქალაქის ბაჟის, ყაფნისა და ციხის კარის შართლამას“. აღსანიშნავია ისიც, რომ 1736 წ. „შართლამა“ უფრო ვრცელი და სრულია, ვიდრე ვახტანგ VI-ის „ბაჟისა და ყაფნის რიგი“.

თბილისის „ციხის კარის გარიგება“ ანუ „სამინბაშო ბაჟი“ ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“ როსტომის 1639 წ. გარიგების მიხედვით არის წარმოდგენილი. ამ მხრივაც განუზრახავთ „დასტურლამალის“ შევსება და მისთვის 1736 წ. შედგენილი „ციხის კარის შართლამაც“ დაურთავთ.

„დასტურლამალის“ შედგენამდე და მის შემდეგაც, როგორც ჩანს, ამ მხრივ მოქმედებდა როსტომის მიერ 1639 წ. ქართულ და სპარსულენებზე შედგენილი „სამინბაშო ბაჟის დასტურლამალი“. სხვა მსგავსი გარიგება ჩვენთვის ჯერ-ჯერობით უცნობია.

ცხადია, საუკუნის მანძილზე მომხდარი ცვლილებები ციხის კარზე ასაღებ ბაჟსაც შეეხო და ალბათ ამით აიხსნება, რომ 1736 წ. ის ხელახლა შეუდგენიათ.

როსტომის 1639 წ. „სამინბაშო ბაჟის დასტურლამალის“ ცალკეულო აღვიღის შედარება 1736 წ. „შართლამასთან“ ნაწილობრივ მაინც აგვისახავს ამ ხნის განმავლობაში მომხდარ ცვლილებებსაც.

როსტომის 1639 წ. „დასტურლამალით“: 1736 წ. „ციხის კარის“ შართლამით:

„აბრეშუმის საპალნეზედ შაური ერთი“.

„მარილის საპალნეზედ ფული ერთი“. „ბრინჯის საპალნეზედ ფული ერთი“.

„ერბოსა და თაფლის საპალნეზედ ოროლი ფული“.

„აბრეშუმზედ ნ (ერთი შაური)“.

„მარილი და ბრინჯი, საპალნეზედ ი (ფული ორი)“.

„ერბო, თაფლი, ქონი, ტყავი, ხუშკაბარი, საპალნეზედ კე (ორფულ ნახევარი)“.

¹ „დასტურლამალი“, გვ. 91.

„თევზის საპალნეზედ ერთი ბისტი“.

„ფარაღის საპალნეზედ ნახევარ შაური“¹.

„ქმელი თევზი ... საპალნეზედ კ (ბისტი)“.

„თუ შემოსულსა თუ გასულისა ბაზირგნის საქონელი თუ თამბა-ლითი, თუ საპალნე კე (ნახევარი შაური)“.

მოტანილი შედარებიდან ჩანს, რომ ციხის კარზე ასაღებ ბაჟს დიდი ცვლილება არ განუცდია 1639 წლიდან, ვიდრე 1736 წლამდე.

როგორც ვხედავთ, „დასტურლამალის“ ქობულაშვილისეული ნუსხა მნიშვნელოვანია არა მარტო „დასტურლამალის“ კრიტიკული გამოცემის მოსამზადებლად, არამედ აგრეთვე საქართველოს ეკონომიური ისტორიის არა ერთი საინტერესო საკითხის გასარკვევად.

¹ საქ. მუზეუმის Hd: 1559. საბუთი, მისი სპარსული პირითურთ, სხვა ქართულ-სპარსულ საბუთებთან ერთად, დასაბეჭდად გამზადებული აქვს ვლ. ფუთურიძეს; შდრ. „დასტურლამალი“, გვ. 104.

დასტურლამალის 1729 წ. ხელნაწერი

XVIII ს-ის დამდეგს შედგენილი „დასტურლამალის“, როგორც წყაროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული მკვლევართა მიერ.

სამწუხაროდ, ქართული სამეურნეო, ადმინისტრაციული და სახელმწიფო სამართლის ეს შესანიშნავი ძეგლი დასტამბულია ყველაზე ნაგვიანევი და თანაც უფარგისი ხელნაწერის მიხედვით. აღნიშნული გარემოება, ცხადია, მოითხოვს „დასტურლამალის“ არსებული ხელნაწერების სათანადოდ შესწავლას, რადგან, როგორც ცნობილია, ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია.

პ. უმიკაშვილი თავის დროზე სარგებლობდა დასტურლამალის სამი ხელნაწერით. მისი გამოცემის ძირითად ტექსტს კი საფუძვლად დაედო 1821 წელს გადაწერილი ხელნაწერი¹.

პ. უმიკაშვილის მიერ გამოყენებული დასტურლამალის 3 ხელნაწერი ერთლად აღწერილი და შესწავლილი აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს². იგივე ხელნაწერები, მეოთხე S. 4738 ხელნაწერის შედგენილობა-განსხვავებათა გათვალისწინებით. განიხილა იას. ლორთქიფანიძემ³, ოღონდ გადამწერის დაუსახელებლად⁴. ამრიგად იას. ლორთქიფანიძემ წინათ ცნობილ „დასტურლამალის“ ხელნაწერებს მიუმატა ახალი, რიგით მეოთხე და მანამდე სრულიად გამოუყენებელ-გაუთვალისწინებელი ხელნაწერი.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში H 2190 №-ის ქვეშ დაცულია XIX ს-ის პირველ ნახევარში გადაწერილი დასტურლამალის უცნობი ხელნაწერი. მაგრამ ეს ხელნაწერი სათვალავში მისაღები არ არის, რადგან მთლიანად ასლია იოველ ალექსიძის 1821 წლის ხელნაწერისა არა მარტო სიტყვა-სიტყვით, არამედ თავფურცელზე გაკეთებული სამკაულითაც (ოთხკუთხედადი¹ჩახაზული ჯვრიანი სვეტები). აქ საინტერესოა მხო-

¹ დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა. პ. უმიკაშვილის რედაქტორობით, თბ., 1886.

² ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. I, გვ. 73—81 და მისივე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 51—52.

³ იას. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი, წ. I და II, თბლისი, 1935, გვ. 8—10.

⁴ აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში „ხილის ბაჟის“ დებულების ბოლოში დამსგავსებული ხელითა და მელნით ჩამატებულია: „დაკათალიკოზსაც წილი აქვს“. ამის გამო იქვე შემდეგი შენიშვნა მიწერილი: „ოსეს იესე ვწერ, ეს რომ მოუწერიათ ჩემი ჯელი არ არის. იცანით როგორც ჩანს, „დასტურლამალის“ ეს ხელნაწერი გადაწერილი ყოფილა XVIII ს-ის ცნობილი მდივნის იესე ოსესვილის მიერ.

ლოდ ხელნაწერის აშიაზე გაკეთებული მ. ბროსეს ერთი შენიშვნა: „ეს სახელი (შაჰყულიხან, ვ. გ.) მეფე ვახტანგ მე-6 ერქვა, ოდეს იყო თათრად: ეს იგი არს ლევან ვახტანგის მამას ერქვა ესრეთ. უ. ბროსე“. საფიქრებელია, რომ ეს ხელნაწერი ბროსეს დავალებით ყოფილიყო გადაწერილი.

№ 2190 ხელნაწერი, როგორც აღვნიშნეთ, ვარიანტულ სხვაობათა დასადგენად არ გამოდგება. სამაგიეროდ, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია „დასტურლამალის“ უძველესი ხელნაწერი¹, რომელიც, სხვა საყურადღებო ხელნაწერებსა და საბუთებთან ერთად, გორის მუზეუმმა შეიძინა გორელი მწიგნობრისა და მოღვაწის ალ. გარსევანიშვილის მემკვიდრეებისაგან 1938 წელს. რიგით ეს უკვე დასტურლამალის მეხუთე ხელნაწერია და თანაც, უპირველეს ყოვლისა, იმით საყურადღებო, რომ იგი გადაწერილია 1729 წელს, ე. ი. ვახტანგ VI-ის სიცოცხლეში.

კიდევ მეტი: ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკის აღმოსავლურ ხელნაწერთა განყოფილების *Собрание царевича Иоанна*-ს ფონდში დაცულია დასტურლამალის ორი ხელნაწერი. ერთი (№ 153) სრულია, ხოლო მეორე (№ 170) მხოლოდ ნაწილობრივ გადაწერილი (სულ 33 გვერდს შეიცავს). პირველი ხელნაწერი „მდივნის ქობულოვის წიგნებიდან“ ყოფილა. გადაწერია თვითონ მდივანი თამაზ ქობულოვი. ხელნაწერის დასასრულის უკანასკნელ ფურცელზე ნათქვამია: „ქ. აღიწერა ჯელითა თავადის ქობულოვის თამაზის მიერ და თუ რამ შეცთომილი და უკანონო ნაწერი ნახოთ ვინცა იკითხოთ მოტევათ ვითხოვ რომ ამის მეტი წიგნი არ გარდამეწერა ჯერეთ“². თამაზ ქობულოვის ხელნაწერი XIX ს-ის დამდეგს არის გადაწერილი.

ამრიგად, დასტურლამალის დღემდე ცნობილ ხელნაწერებს ემატება სამი ახალი ხელნაწერი (აქედან მხოლოდ ერთია, № 170, ნაკლული). ამჟამად (№ 2190 ჩათვლით) დასტურლამალის 8 ხელნაწერი მოიპოვება³. ამათგან ყველაზე უძველესია, ჯერჯერობით მაინც, 1729 წელს გადაწერილი დასტურლამალის ხელნაწერი. ამიტომ მისი, როგორც ქრონოლოგიურად ვახტანგ VI-ის დედანთან უფრო ახლო მდგარის, რაობა-მნიშვნელობის გამორკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დასტურლამალის ხელნაწერი № 138 გადაწერილია 1729 წელს, მკათათვის ათს, მირველ თუმანიშვილის მიერ.

¹ გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწ., № 138.

² ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის აღმოსავლურ ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული „დასტურლამალის“ ორთავე ხელნაწერის ზოგადი აღწერილობა მოგვაწოდა გ. იმედაშვილმა.

³ დასტურლამალის ახლად მოპოვებული ხელნაწერების შემდეგ კიდევ უფრო ცხადი ხდება, თუ რამდენად გადაჭარბებული იყო იესე მელიქიშვილის, დასტურლამალის ერთ-ერთი გადაწერის, ცნობა: „გადავაწერე, არ დიკარგოსო, ერთის მეტი არ იყო საქართველოში“. შტრ. ივ. ჯავახიშვილი. ქართ. სამართლ. ისტ. წ. I, გვ. 75.

გადამწერს თავისი ნამღვაკევი შეუქცია ორივე თარიღით: ქორონიკონით და ქრისტესით. ხელნაწერის დასასრულს, უკანასკნელ თავისუფალ ფურცელზე სინგურით დაწერილია: „განსრულდა წიგნი ესე თვესა მკათათვის ი (10) გასულს ქკს უიზ ქრისტეს აქათ ჩღკთ (1729) ჭელითა თუმანიშვილის მირველ“ (გვ. 216).

მირველ თუმანიშვილის ვინაობის სისრულით გამორკვევა არ გვიცდია. ამხელად ეს არც არის ჩვენი მიზნისათვის საინტერესო. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ XVII—XVIII სს. თუმანიანთა გვარის მოღვაწეთა შორის მირველ თუმანიშვილი ყველაზე ნაკლებ არის ცნობილი. იწოდება თუ არა იგი სადმე მდივანად ან მდივან-მწიგნობრად, საამისო ცნობა პირადად არ მოგვეპოვება. არსებობს 1718—1724 წ. დის მიცემულობის წიგნი, მიცემული ვიღაც პაპუნასა და სხვების მიერ დათუნა ხოჯაბეგიშვილისადმი, რომლის დამწერად და მოწმედ არის თუმანიშვილი მირველ¹. ესა იგი, სულხან მდივან თუმანიშვილთან ერთად, გვევლინება როგორც დასტურდამალის ერთ-ერთი გადამწერი თუმანიანთა გვარიდან.

№ 138 ხელნაწერი წიგნის ზომა უდრის $31\frac{1}{2} \times 20\frac{1}{2}$ სმ. ტექსტის ზომა 31×20 სმ. ხელნაწერის პირველი და უკანასკნელი ფურცელი თავწაჭრილია: ზომა 29×20 სმ. ხელნაწერი ჩასმულია ხის, ყვესფერ ტყავგადაკრულ, მაგარ ყდაში. ყდას გამაგრება ჭირდება, თვითონ ტექსტი კი დაუზიანებლად შენახულა. ოღონდ ერთ ადგილას ფურცელი სანახევროდ მოხეულია (გვ. 39—40), სამს შემთხვევაში კი ფურცლები წაჭრილია რაღაც ბასრი იარაღით, მაგრამ ტექსტის დაუზიანებლად (გვ. 77—78, 157—158, 193—194).

ხელნაწერის ქალაქი, თავიდან ბოლომდე, ერთნაირია (მოთეთრო-მოყვითალა ფერის). ჭვირნიშანი: სვეტზე ამართული ორბუდიანი გვირგვინი თავზე გაკეთებული ჯვრით. სვეტს აქეთ-იქით უდგანან ამართული ლომები, სვეტში გამრავლების ნიშნის მსგავსი ხაზებია გავლებული, ხოლო მის ქვეშ გამოყვანილია ლათინური ინიციალები: I (?) A. ზოგი ფურცლის ჭვირნიშანზე ლათინური ასოებით აღნიშნულია: I (?) rdel თუ Mardel, რადგან ამ სიტყვის პირველი ასო კარგად არ იკითხება.

ტექსტი დაწერილია მკაფიო, მსხვილი და საკმაოდ ლამაზი XVIII ს-ის ნუსხა-მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი, თითოეული დებულების დასასრულს სამ-სამი წერტილი. მელანი შავია. სათაურები და გამოსაყოფი ადგილები კი შესრულებულია სინგურით, მაგრამ 121 გვერდიდან მოყოლებული ბოლომდე, წიგნის ანდერძის გამოკლებით, სინგური აღარ იხმარება და არც სათაურებია ცალკე გამოტანილი. ასეთს შემთხვევაში სათაური ტექსტის მარცხენა აშის გასწვრივ არის მოთავსებული.

ხელნაწერში 216 გვერდია. გვერდში 19 სტრიქონია (დასამთავრებელი დებულებებისათვის თავისუფალი სტრიქონებია დატოვებული). პაგინაცია ჩვენი დროისაა—ფანქრით გაკეთებული. გვერდობლივი აღრიცხვის მაგიერ ხელნა-

¹ ნ. ბერძენიშვილი. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, გვ. 180.

წერი დაყოფილია ფარდებად და რვეულებად. ხელნაწერში სულ 14 ფარდი და რვეულია. თითოეულ ფარდსა და რვეულში მოთავსებულია რვა-რვა ფურცელი. უკანასკნელი მეთოთხმეტე „ფარდი: იღ: რვეულ: იღ“: შედგება რვეულისაგან.

გარდა ამისა, ხელნაწერი დაყოფილია „კარებ“-ად. ხელნაწერში 62 კარია.

საკუთრივ ტექსტის ფურცლებზე თითქმის სრულიად არ მოიპოვება მინაწერები. მხოლოდ ტექსტის მე-2 გვ. ზემო აშიაზე XIX ს-ის გაკრული ხელით დაწერილია: „წიგნთანგან აზნაურის ალექსანდრე გარსევანიშვილისა ჩყმე (1845) წელსა. აპრილის ოთხსა დღესა“, ხოლო შესავლის „ეპა დიდება შენდა მბადოს“ დასაწყისში იმავე საუკუნის უშნო და გაუმართავი ხელით ჩაწერილია: „წესი და განგება სამეფო დარბაზისა — კარისა. მეფის ვახტანგ მეტექვისისა“ (გვ. 5).

შედარებით უფრო საინტერესოა ხელნაწერის ყდის შიგნით გაკრულ ფურცელზე გაკეთებული XVIII ს-ის მეორე ნახევრის მინაწერები, ტექსტისაგან განსხვავებული ხელით და მელნით, სახელდობრ: „ქ. იოვანე კლიმიაშვილის ძე გიორგი დაიბადა გიორგობისთვის ექვსსა დღესა: ქკს უპმ (1800)“. ამას მოსდევს, პირველზე უფრო ძველი მინაწერი: „ქ. იოვანე კლიმიაშვილმა ჯვარი დაიწერა ჯავახიშვილის იოსების ასულს ელისაბედზე: ქრისტიშობის: იღ: ქკს უპვ (1798) პროტოპოპი გიორგი მალრაძე“. უფრო ვრცელია ქვედა ყდის შიგნით გაკეთებული მინაწერი:

„მალრაძე ქუმისი ძე გიორგი დაიბადა აპრილის: ი: ქკს: ულბ (1744):

მალრაძე გიორგი მთავარდიაკვანდ ჯელდასხმულ იქმნა აპრილის: იბ: ქკს: უჟე (1777):

გიორგი მალრაძე მღვდლათ ჯელდასხმულ იქმნა იანვრის: კვ: ქკს: უოა (1783):

გიორგი მალრაძის ასული ბარბარე დაიბადა იანვრის: დ: ქკს: უჟმ (1774):

გიორგი მალრაძის ძე იოვანე რომელსა ქვიან ქუმისი დაიბადა სექტემბრის: კვ: ქკს: უჟე (1777):

გიორგი მალრაძის ძე პეტრე დაიბადა თიბათვის: კთ: ქკს: უჟვ (1780):

გიორგი მალრაძის ასული მარიაჲ რომელსა ქვიან კეკელა დაიბადა იანვრის: კვ: ქკს: უობ (1784):

გიორგი მალრაძის ასული ანნა დაიბადა იანვრის: კვ: ქკს: უოგ (1785):

გიორგი მალრაძე ყიზილბაშში შირაზს წავიდა დეკემბრის: გ: ქკს: უჟა (1773):

გიორგი მალრაძე ყიზილბაშიდამ მოვიდა დეკემბრის: იე: ქკს: უჟდ (1776).

პროტოპოპი გიორგი მალრაძე რუსეთს წავიდა თავისი დისწული [იოანე კლიმიაშვილი თანახლდა] რაჭაზე წავიდნენ თებერვლის: იე: ქკს: უოა (1783): მოვლეთ ყირიმი, პოლშა, ნოვა[როსია?], ელისაბედის ქალაქი, ეკატერინესლავი, კლემენჟუკი, კიავი, ალექსანდრია, ნიჟნა დუბნა, ხარკოვი, ბელაგოროთი, ცარიცინი, [.], ვორონიში, ნახჩივანი, ჩერქეზ ქირმანი, სტაეროპოლი, ასტრახანი, ყიზლარი, მოსდოგი და ხევზე მოვედით ქართლში მშვიდობით და უვნებლად დეკემბრის: იე: ქკს: უოდ (1786)“.

ყველა ეს მინაწერი ეკუთვნის პროტოპოპ გიორგი მადრაძეს, რომელიც ეტყობა რაღაც დავალებით გამგზავრებულია ერანს, ალბათ ქერიმ-ხან ზენდის კარზე, ქ. შირაზში, და დისწულის თანხლებით მოუვლია ყირიმი, პოლონეთი და სამხრეთ რუსეთის მთავარი ქალაქები. ჩვენი ხელნაწერი ციტირებული მინაწერების ავტორის საკუთრება ყოფილა. ამას მოწმობს ტექსტის თავფურცლის ბოლოში ხელრთვით მიწერილი: „გიორგი“.

ტექსტის არსებითი ხასიათის მინაწერებიდან აღსანიშნავია შემდეგი: მოხელეთა სიებს ზოგან სხვა მეღნით და, ეტყობა, სხვა ხელით მიწერილი აქვს: „იქნა ჯამი“ (გვ. 8, 9, 11, 13, 14, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25) და, ბოლოს, სასახლის მოხელეების საერთო რიცხვის აღსანიშნავად: „იქნა მოხელეთა ჯამი უპბ“, (გვ. 28). ელის კაცთა სიის „ჯამი“ კი გადამწერის ხელით, მაგრამ განსხვავებული მეღნითაა გამოყვანილი (გვ. 143).

ტექსტი იწყება სიტყვებით: „პირველი: ფარდი: ა: რვეული: ა“. ამას მოსდევს სინგური მსხვილი ასოებით დაწერილი: „მღთით“. ამის შემდეგ აღწერულია ანბანზე გაწყობილი სათვალავით თითოეული კარის სახელწოდება და შინაარსი.

სარჩევს უჭირავს პირველი ოთხი გვერდი. 4 გვერდის ნახევარი ფურცელი ცარიელია.

შესავალი იწყება 5 გვერდზე და სრულდება 6 გვ. ბოლო სტრიქონზე. შესავალი იწყება სიტყვებით: „ეპა დიდება შენდა მბადო ყოველთაო, რომელმან ყოველნი არსნი და არა არსნი არსებად მოიყვანენ, იყავ, ხარ და ეგები უკუნისამდე, ჟამთა და წელთა“. ყველაფერი ეს სინგურით არის დაწერილი, მაგრამ შესავლის ტექსტისგან გამოუყოფლადა.

ძირითადი ტექსტი იწყება 7 გვერდზე. ტექსტის დასაწყისის ზემოთ აღნიშნულია ყველა კარისათვის ჩვეულებრივი სათვალავი, ამ შემთხვევაში: „ქარი: ა:“, რომლის ქვემოთ ცალკე სტრიქონად და სინგურით დაწერილია თვითონ მოსათხრობი საგნის სათაური: „ქ. კარი პირველი ყოველის ველჯობიანისა და მათი სარგოსი“ (გვ. 7). უკანასკნელი 62 კარი: „თრიალეთის სამძღვრებისა“, იწყება 206 გვერდზე და სრულდება 215 გვ-ზე. ამ გვერდებზე ალაგ-ალაგ ცარიელია სულ 36 სტრიქონის ადგილი.

216 გვ. ტექსტისავე ხელით სინგურით დაწერილია წიგნის ანდერძი, სადაც აღნიშნულია წიგნის გადაწერის თარიღი და გადამწერის ვინაობა.

ამრიგადაა განაწილებული დასტურლამალით ცნობილი მასალა მირველ თუმანიშვილის ხელნაწერში¹.

№ 138 ხელნაწერს აკლია თავი: ოგ. იარალის კეთება („დასტურლამალი“, პ. უმიკაშვილის გამოც., გვ. 43), უთ. მეჯლისის პური (იქვე, გვ. 56), რკდ. თევზის ჩაჩხისა (გვ. 66)*, რღვ. სარქარბაშისა და თავილდრის სარგო (ძვ. 69)*, რპჰ. მეფის დამარცხებისა და მცხეთას წასვენებისა (გვ. 88)*, კთ. ბატონის ბალის წყლის გარიგებისა (გვ. 14), ნპ. ვარაიანს ხველიანელისა

¹ დასტურლამალის ამ ხელნაწერის ყველა კარის სახელწოდება და შინაარსი მოყვანილია 1949 წელს გამოქვეყნებულ წერილში: ვ. გაბაშვილი. სპარსული დასტურლამალი, სტალინის სახელობის თბ. სახ. უნივერსიტეტის „შრომები“, № XXXV ბ. გვ. 198—203.

(გვ. 32), **ჟ.** დანისტრად სამსახურისა (გვ. 32), **რ.** მდივანბეგის ასალები (გვ. 38), **რ.ფ.** სამეფოს კაცის სადედოფლოდ არ მუშაობისა (გვ. 80)*, **პე.** მეთოფეთ უზბაშებისა და მეთოფეთ რიგი (გვ. 48), **სიგ.** ციხის ბალისა (გვ. 102), **მგ.** გუთნის ხენისა; მკისა და ლეწვის ხარჯისა (გვ. 23) და მთლიანად სადედოფლო დასტურლამალი¹.

მირველ თუმანი შვილის ხელნაწერში მოიპოვება სულხან მდივნის ერთ-ერთ უძველეს და საუკეთესო ხელნაწერში გამოტოვებული: თავი ოპ. კახეთისა და ქართლის სამძღვარი (იქვე, გვ. 44), **პწ.** მურდრისა (გვ. 50), **რ.** სომხათის ტარულისა (გვ. 77), **რჟა.** ყორჩიბაშისა (გვ. 89), **ხვ.** შვეტის გარეგებისა (გვ. 96) და **რიე.** სალაროს თავილდრის სარგო (გვ. 80).

მხოლოდ მირველ თუმანიშვილის ხელნაწერშია შენახული: ატენის მოურავის სახევისთაო სამართლის წიგნი, ყულეების სია, თრიალეთის ბაჟის რიგი და სომხითის მოურავის სარგო.

აღნიშნული გარიგებანი მოტანილია ქვემოთ უცვლელად. სასვენი ნიშნები ჩვენ მიერაა დასმული.

1. „ატენის ქვეზედ არაოდეს სხვა ქვეისთავი არ შესულა და მოურავს უსამართლებია, ახლაც ასრე იქნებოდეს. ატენის მოურავი ამირეჯიბი ქაიხოსრო მის დროს ჩვენს მუშრობს ვისმე წაიყვანდეს, და ატენის ქვეზედ სამართალს იქმოდეს; რომელიც სახასო კაცში ერთმანეთში სასამართლო მოხდებოდეს, იმისი საზღაური რაც გამოვიდოდეს, სულ მოურავისა ყოფილა და ახლაც გვიბოძებია. ამასდა გარდაის, რაც გაცემულს კაცს დაედებოდეს და საზღაური გამოვიდოდეს, იმის საიასაულოს, ქვეისთავის სარგოს და სამართალსაც ეს აიღებდეს და სხვას ჩვენს სარგოს ჩვენთვის მოაბარებდეს. ამ ატენის ქვეზედ რაც ან ციციშვილისა, ან საკაძე გლურჯიძის ყმა სახლობს, ყველას ქვეისთავი ეს არის და როგორც დაგვიწერია იმ რიგად იწვევისთაოს“.

2. „ქ. თრიალური ბაჟი ასრე აიღება: აბრეშუმისა და ლანდრის საპალნეზე—თვითო აბაზი; სხვა რაც საპალნე იქნების, ოროლი შაური. ამის აღებაზედ თვითო წალკელის კაცი გაუყრელად იქნებოდეს. რაც ბაჟი დაგროვდებოდეს, ორს წილს საბატონოდ წამოიღებდნენ და მესამედსა წალკელი წაიღებდეს“.

3. ყულეები:

მზექაბუჯ (პირველი სვეტი, ვ. გ.)

ერისთვიშვილი რევაზ

გორგასალ

ღიასამიძე ვარამ

ზალ ციციშვილის ყმაწვილი პაპუნა

პატარკაცი (მეორე სვეტი, ვ. გ.)

ეშიკაღაბაშის შვილი

გივი მდივნის შვილი

ციციშვილი იასე

იქნა თ“.

¹ ვარსკვლავით აღნიშნული თავები აკლია სულხან მდივნის ხელნაწერსაც.

4. „სომხითის მოურავისა: ქალაქის ბაჟილამ თუმანი ორი. ზარაფხანილამ თუმანი ორი“.

გარდა ამისა № 138 ხელნაწერში ზოგი დებულების შინაარსი უფრო ვრცელია, ვიდრე დასტურლამალის ყველა სხვა ხელნაწერში. მაგ., „ქახეთისა და ქართლის სამძღვარი“-ს შესახებ დებულება, სადაც კახეთისა და ქართლის საზღვარი დაწვრილებით არის აღნიშნული: „ქ. ჩვენდა [ვარიანტ. ქართლისა და...] კახეთის სამძღვარი ვევემარის ყვითელი ფლატე, ქვიტვირის გაღმა სერის გზა რომ შესდევს, ავა მაღალს ლილოზედ, დიდი მუხა[ა]; აშქავეთის თავი, ქვაბთკლდისთავი, იმის დელე რომ ჩაიტანს, ლოჭინს გაღმა, სამანაო გზა. ვაზიანის თავის გორაები სულყელიანის თავს ამართული, იმას გაღმა მაყვალთ წყარო; ფანქლუს თავს დიდი წვერი, დემურლუს დალი, მეფუნუნ ყალა, იერ კორფი ყელღდალი. ახარ ბახარი, ყატყადალი, ფხარულდალი; მაიდის გორის ავარ ბახარი, ჩათმა, თიქმატაში, ემინალა, ადამურან იერი“ (ხაზგასმულია გავრცობილი ტექსტი).

№ 138 ხელნაწერში, ორიოდგე გამონაკლისის გარდა, სამეფო სახასო სოფლების გამოსაღებთა და მოხელეთა გარიგება-სარგოს წიგნებს ბოლოში ჩვეულებრივ მისდევს „სამუშაო ულუფა“, რაც მეტად იშვიათად გვხვდება დასტურლამალის დანარჩენ ხელნაწერებში. მაგ., „ბოლნური ზვრის სამუშაოდ პური კოდი ვე, ღვინო კოკალ, მუშას კოდი კა; მეზვერს კოდი მე, მეხრეს კოდი ბ“. ამ მხრით მირველ თუმანიშვილის ხელნაწერს სულხან მდივნის ხელნაწერი თუ გაუტოლდება, სადაც, საბედნიეროდ, მოიპოება ის „სამუშაო ულუფა“, რაც მირველ თუმანიშვილის ხელნაწერს აკლია და სადაც, სამაგიეროდ, გამოტოვებული თუ გამოჩენილია ის, რაც უკლებლივ დაცულია მირველ თუმანიშვილის ხელნაწერში. ამრიგად, ჩვენ ეხლა სრული საშუალება გვაქვს აღვადგინოთ სახასო სოფლების გამოსაღებებისა და მოხელეების გარიგებათა წიგნებში დასტურლამალის სხვა ხელნაწერებით ნაკლული „სამუშაო ულუფა“ — უკლებლივ ყველა დებულებისათვის. ჩვენთვის ეხლა ისიც ცხადი ხდება, რომ „სამუშაო ულუფა“ ხსენებული გარიგებისა და სარგოს წიგნების ორგანული ნაწილი ყოფილა.

1729 წელს გადაწერილი დასტურლამალის ხელნაწერის შესწავლით საბოლოოდ და ექვემდებარებულად ირკვევა ამ ძეგლის მერმინდელი ჩანამატები, რომელთა გვიანდელი წარმოშობა XVIII ს-ის შედარებით ნაგვიანვე ხელნაწერებითაც დასტურდებოდა. მხედველობაში გვაქვს ზოგიერთი ისეთი ადგილი, რომელთა ავტორი უეჭველად ძეგლის გადამწერი იოველ აღექსიძეა და არა დასტურლამალის შემდგენელი ვახტანგ VI. ასეთია, მაგალითად, „ყარაის კონის საქმის“ ერთი ადგილი, სადაც ჩვენი ხელნაწერის მიხედვით შემდეგია ნათქვამი: „რაც ჩვენთვის თევზი ავიდოდეს, იმისგან მესამედს ჩვენს სასაფლაოს და ბატონს კათალიკოზს გარდაუდებდნენ. ამ წესსა და ყარარს ნურა კაცი ნუ გარდავლენ. ეს კონი გაბაშვილებს უნდა ებაროს; ერთი კათალიკოზის აზნაურიშვილი თაზიშვილი უნდა იდგეს“. ასევეა XVIII ს-ის ყველა სხვა ხელნაწერში. 1821 წელს გადაწერილ დასტურლამალში კი ეს ადგილი შემდეგნაირად არის გავრცობილი: „...ეს კონი გაბაშვილებს უნდა ებაროს, ერთი აზნაურიშვილი თაზიშვილი, ან ანჩისხატის დეკანოზის შვილი“.

მესხიშვილი, ამ ორში ერთ-ერთი უნდა იდგეს¹. ასეთსავე ჩანამატს ვხვდებით „ბატონის ბალის გარიგებაში“, რომელიც № 138 ხელნაწერში არ მოიპოვება, მაგრამ არსებობს დასტურლამალის დანარჩენ ხელნაწერებში. ქვემოთ სანიმუშოდ მოტანილია მხოლოდ ჩამატებული ადგილი: „ანჩისხატის დეკანოზი, მხატვარი გრიგოლ და მისი მამა იოსებ შემოგვეხვეწა, გარეთუბანს თავის პატარა ბალისათვის წყლის ბოძებას, და მასაც წყალს მისცემდეთ. როდესაც გარეთუბნის ბალები მოირწყოდეს, ჩუშნი მომხსენებელი და აზნაურშვილია, ამისთვისაც პატივ-გვცია წყლის ბოძებით“², ამ ჩანამატის დრო, ავტორის ვინაობა და განზრახვა აშკარა უნდა იყოს.

მაგრამ ძნელად გასარკვევი და დასადგენია ზოგიერთი ისეთი საექვო გარიგება ან ჩანამატი, რომელიც დაცულია დასტურლამალის XVIII ს-ის ყველა გვიანდელ ხელნაწერში, მაგრამ აკლია მირველ თუმანიშვილის და სულხან მდივნის უძველეს ხელნაწერებს. მარტო იმის საბუთად გამოყენება, რომ მათ არ ვხვდებით აღრიცხულ ხელნაწერებში, არ გამოდგება, რადგან ყველაზე უძველეს № 138 ხელნაწერს აკლია ზოგიერთი ისეთი გარიგება თუ დებულება, რომელიც ყველა ნიშნის მიხედვით ვახტანგ VI-ის დროს განეკუთვნება. მაგ., „მეთოფეთ გარიგება“, „ციხის ბალისა“ და სხვ. ამის მტკიცების ნებას გვაძლევენ იქ მოხსენებულნი ვახტანგ VI-ის თანამედროვე პირები და სხვა რეალიები.

გარდა ამისა, მხედველობაში მისაღებია ის აუცილებელივე გასათვალისწინებელი გარემოებაც, რომ მირველ თუმანიშვილის და სულხან მდივნის ხელნაწერებში ზოგი დებულება რამდენჯერმე მეორდება, მაგალითად, დასტურლამალის 1729 წლის ხელნაწერის მიხედვით, „ქართლის აწერის“, „კოდის პურების“, „ფუტკრის რიგი“, „ქოდავის რიგი“, „ხასათვალის ბზის რიგი“, „კოდის საქმე“ და „წვეისთავების რიგი“ (სამჯერაა გამეორებული). ასეთი გამეორება მექანიკურად უნდა მომხდარიყო დასტურლამალის იმ ხელნაწერებში, რომელნიც მოხელეთა სახმარებლად ანბანურ რიგზე არიან გაწყობილი და არა საგნობრივად დალაგებულს, მირველ თუმანიშვილის და სულხან მდივნის ხელნაწერებში. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე ძეგლში ერთი და იგივე დებულება სხვადასხვა გვერდზე გავრცობილი ან შემოკლებული სახითაა წარმოდგენილი, ანდა სრულიად განსხვავებული სიტყვებისა და ფრაზებისაგან შედგება. ფაქტიურად ისინი ერთი და იმავე დებულებების სხვადასხვა ვარიანტებს წარმოადგენენ.

ამიტომ უნებლიეთ იზადება კითხვა: ხომ არ ჰქონდათ დასტურლამალის გადამწერთ, მირველ და სულხან თუმანიშვილებს, ამ ძეგლის სხვადასხვა ნუსხები? კერძოდ, სულხან მდივნის ხელნაწერი თანდათან დგებოდა ორი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ნუსხის მიხედვით. ეს ჩვენ დანამდილებით ვიცით. ამას მოწმობს მინაწერები: „აქაც დედანი და ხეულია“, რომლის გასწვრივ, ნაკლული ადგილის შევსების შემდეგ, განსხვავებული ხელით მიწერილია: „დედანი ვპოვნეთ“-ო. ამგვარად შედგენილ ხელნაწერებში

¹ დასტ. op. cit., გვ. 44.

² იქვე, გვ. 15.

რომელიმე (ნაკლული თუ სრული) დებულების განმეორება მოულოდნელი არ უნდა იყოს.

ამასვე ვერ ვიტყვით მირველ თუმანიშვილის ხელნაწერის მიმართ. მის ტექსტს მეორე პირის ხელი არ ეტყობა. მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ მის ხელნაწერში გამეორებულ დებულებათა შორის არსებული განსხვავებანი გადამწერის თავისუფალი შემოქმედების, ე. ი. შეგნებული ინტერპოლაციის შედეგი იყოს, რადგან ეს განსხვავებანი, ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით, დასტურლამალის გვიანდელ ხელნაწერებშიც გვხვდება. ეს კი გამოდგება იმის ერთ-ერთ დამამტკიცებელ საბუთად, რომ მირველ თუმანიშვილი თავისი ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული ნუსხითაც ან, შესაძლებელია, ნუსხებითაც სარგებლობდა. ყველაფერი ეს მოითხოვს, ცხადია, ტექტის საფუძვლიან კრიტიკულ შესწავლას და დასტურლამალის ამჟამად არსებული ხელნაწერების თანაბრად გათვალისწინებას.

ცნობილია, რომ დასტურლამალის სხვადასხვა ხელნაწერში გამოსაღებთა და გამომღებთა რაოდენობის გამომხატველი ციფრები არეულ-დარეულია. ამიტომ № 138 ხელნაწერს, როგორც ვახტანგ VI-ის, ხელიდან გამოსული დასტურლამალის დედანთან დროით ყველაზე ახლო მდგომს და მერმინდელ ჩამატება-შესწორებებისაგან შედარებით თავისუფალს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მისი წყალობით ადვილად ხერხდება გადამწერთა მიერ უნებლიეთ შერყენილი თუ შეგნებულად გადასწორებული ციფრების აღდგენა-გასწორება. სანიმუშოდ ქვემოთ მთლიანად მოგვაქვს „საციციანოს კოდის პურის“ შესახები დებულება, რომელიც, სხვათა შორის, იმის მკაფიო მაგალითადაც გამოდგება, თუ როგორ არის დებულების აზრი დამახინჯებული იოველ ალექსიძის ხელნაწერის მიხედვით დასტამბულ დასტურლამალში.

მირველ თუმანიშვილის ხელნაწერშია: **იოველ ალექსიძის ხელნაწერშია:**

ქ. საციციანოს გამომღები კომლი ღკზ. ამისი თარხანი გ. ბატონიშვილისა რკვ. დარჩა ქათმითა ქა. ამისგან გორს უნდა ჩამოიტანონ საკომლო ტნია (sic). სხვა გამოსაღები როგორც ზემო სწერია, ისრე აძესთ (გვ. 81).

საციციანოს გამომღები ქია; ამისი თარხანი ვ; დარჩა ქათმით ღკზ; თარხანი რკვ; ბატონიშვილის ყმითა (?). ამისგან გორს უნდა მოიტანონ საკომლო ტნი; სხუა გამოსაღები როგორც ზეთ სწერია, ასრე აძესთ (გვ. 74).

ამრიგად, მხოლოდ დასტურლამალის ხელნაწერთა კრიტიკული, მათ შორის აგრეთვე მირველ თუმანიშვილის ხელნაწერის, შესწავლით შეიძლება მოვიპოვოთ სანდო ციფრები და სტატისტიკური ხასიათის მასალა XVII—XVIII სს. საქართველოს ეკონომიურა ისტორიისათვის.

დასტამბული დასტურლამალის კითხვისას კაცს ფიქრადაც არ მოუვა, თუ როგორ უწყსრიგოდ არიან იქ ერთიმეორეში არეული სრულიად სხვადასხვა უწყების მოხელენი. მაგ., № 138 და დასტურლამალის სხვა ხელნაწერებში „მეჯინ ბეთა“ სიაში შეტანილი: „მახარაშვილი, გოგოლაშვილი ადია, ავლადელი ბერია“ იოველ ალექსიძის ხელნაწერში „მემანდრების“ სიაში არიან

შოთავსებული¹; მეჭმანდართა შორის აღმოჩნდნენ აგრეთვე მერიქიფენი: „თუმა-ნიშვილი თამაზა, დოხოლია, საიმარდაშვილი ოტია“, ხოლო თავის მხრია მე-ჭმანდარები: „არეშისშვილი როინა, ხოჯის ძმისწული აეთანდილა, პარუნ სარქისაშვილი უთრუთა“ მესაკლავეთა შორის²; მერიქიფენი „შანშია-შვილი ქაიხოსრო, ჯაჯანა სეხნიაშვილი, ადამ ნაბიჭვარი, მუსხელაშვილი ზა-ალის შვილი, მგალობელი“ მკერვალთა შორის³; მკერვალეებშივე მოხვდნენ აგრეთვე მეჯინიბენი: „ეძნელი გოჩოლაშვილი, შოშიტა როსტიაშვილი ასლუა, იქივ ყალანდარი, მენაზდისშვილი ქიტია“; მეჯინიბეთა ერთი რიგი: „ცრიცელი ივანა, არწენელი პაატა, ხატუაშვილი კავთისწვეელი, თევდორე კავთისხვეელი მესაკლავეებში⁴; საფარეშოს მოხელენი: „გოგიტა-შვილი ბეჟან, შოშიტას ბერუა, ხიზანასშვილი ბერუა, გილაური ასლამაზა, ბოლნელი ყანდინაშვილი, მამასახლისის შვილი ფასუა, მაჩუთას ღვინია, სა-ხუნდრელი თამაზა, კირაკოზის სოფლის შანაზარა“ კისაზანდრეებში⁵.

გარდა ამისა, ბევრგან სიებში მოხსენებული მოხელეთა გვარი და სახელი დამახინჯებულია. მაგ., „შანშიაშვილის“ მაგიერ წერია „ჯანშიაშვილი“, „ჯა-ჯანა სეხნიაშვილის“ მაგიერ „ჯაევანა სეხნიაშვილი“, „ხოჯის ძმისწული“ — ოჯის ძმისწული“ და სხვ. ზოგან დამახინჯებულია აგრეთვე სოფლის სახელები: ემანი უნდა „ეძანი“, „ოლფსი“ — „ოლთისი“, „ლოშხო“ — „ლომისი“, „ყიზილ ყია-ოათი“ უნდა „ყიზილ ზიარათი“ და სხვ.

დასტამბულ დასტურლამალში მრავალგან გვხვდება ისეთი რიგის შეც-დომა, რომლის მიხედვით სრულიად იცვლება ამა თუ იმ დებულების ან ფრა-ზის აზრი, მნიშვნელობა და შინაარსიც კი. ქვემოთ სანიშნულად მოგვაქვს მხო-ლოდ ზოგიერთი მათგანი:

მირველ თუმანიშვილის ხელნაწერშია:	იოველ ალექსიძის ხელნაწერშია:
იბრეიმ ხალილ ოღლი ძმეებითა.	იბრეიმ ხალილ ოღლის ბამბინად (გვ. 42).
ეს ოთხი (შავარდნის ბუდე, ვ. გ.) ბაა-დურის შვილის ოსებმა შეინახონ.	ეს ოთხი ბადურიშვილმა იოსებმა შეინახოს (გვ. 97).
ჯაევანშირს ხიღირას.	ჯაევანშირს ჯიდა არს (გვ. 12).
დიღმის საბატონო სხვა ჯერ არ და-დებულა.	დიღმის საბატონო სხვა ჯერ არ და-კლებულა (გვ. 16).
ამ წესსა და ყარარს (დადგინებულ-გან-წესებულს, ვ. გ.) ნურა კაცი ნუ გარ-დავლენ.	ამ წესსა და ყარაიას ნურა კაცი ნუ გარდავლენ (გვ. 27).
სხუა გამოსაღები როგორც ზეით სწერია.	სხუა გამომღები როგორც ზეით სწერია (გვ. 44).

¹ დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის გამოც., გვ. 52.

² იქვე, გვ. 51.

³ იქვე, გვ. 51.

⁴ იქვე, გვ. 52.

⁵ იქვე, გვ. 68.

შაურ ნაწევარი ეშიკალსბაშებსა და ნაწევარი რაც ბოქაულთ ხუცესი იყოს ყველამ გაიყოს.

ქორსა სარასა (ე. ი. სასახლეში, ვ. გ.) შინა დაგება ტაბლისა.

ან სამართალი რამ ჩამოვარდების

შაურ ნახევარი ეშიკალსბაშსა და ნახევარი საცა ბოქაულთ ხუცესი იყოს ყველამ გაიყოს (გვ. 60).

ქორსა და სერსა ზედა დაგება ტაბლისა (გვ. 16).

ან სამართალი რომ ჩამოვარდების (გვ. 54).

მოყვანილი მაგალითებით მკაფიოდ მტკიცდება, თუ რამდენად სანდოა დასტამბული დასტურლამალი.

შენიშნული ჰქონდა თუ არა ეს შეცდომები ამ ძეგლის პირველ გამომცემელს? პ. უმიკაშვილმა უცვლელად დაბეჭდა დასტურლამალის ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელი და აუარებელი შეცდომების გამო ყოვლად უვარგისი ხელნაწერი. 1821 წ. ხელნაწერის აშიებზე ასოთამწყობის საყურადღებოდ ღვაკთებული შენიშვნებიდან ჩანს, რომ წიგნი სტამბაში პირდაპირ ხელნაწერის ტექსტიდან იწყობოდა. რედაქტორის ხელი მხოლოდ ვარიანტების ნუსხებს, სულხან მდიენის ხელნაწერის საძიებელს, რიცხვის და ფულის ანგარიშის განმარტების და ლექსიკონს ეტყობა¹. ამიტომ გაუთსწორებელი დარჩა ისეთი არსებითი ხასიათის შეცდომები, რომელთა გამო ამა თუ იმ დებულების აზრი იმდენად დამახინჯებული გამოდის (აზრს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის აქა-იქ უმართებლოდ დასმული სასვენი ნიშნები), რომ დასტამბული დასტურლამალის გამოყენება ან მისი დამოწმება, სათანადო საკითხავის წინასწარი აღდგენის გარეშე, მკვლევარის დასკვნას ან მოსაზრებას მუდამ ექვს ქვეშ დააყენებდა. ასეთ შეცდომათა გასწორების შემდეგ დასტურლამალის ტექსტი არც თუ ისე ძნელი გასაგები იქნება, როგორც ამას აქამდე ფიქრობდნენ.

უეჭველია, პ. უმიკაშვილი, რომელიც კარგად გრძნობდა თავისი გამოცემის ნაკლს, ვარაუდობდა, რომ მკითხველს ადვილად შეეძლო შეცდომათა გასწორება დასტურლამალის დამატებაში გატანილი ვარიანტების განსხვავებათა საშუალებით. სხვათა შორის, თავის გამოცემის პატარა წინასიტყვაობაში რედაქტორი ამბობდა: „ჩვენი გამოცემა, როგორც ამგვარის თვისების პირველად გამოცემული წიგნი, უნაკლოდ არ იქნება. ჩვენი სურვილი დაკმაყოფილებული იქნება, თუ დასტურლამალის მომავალი შემმუშავებელი და გამომკვლეველი ამ გამოცემაში მოიპოვებს ნამდვილ ტექსტს, სხვადასხვა ხელნაწერებში დაცულსა“².

ასეთ „ნამდვილ ტექსტად“ თვითონ პ. უმიკაშვილს სულხან მდიენის ხელნაწერი მიაჩნდა, რომლის გამო იგი იმავე წინასიტყვაობაში, მის ნაკლოვანებათა აღნიშვნასთან ერთად, ამბობდა: „ეს ნაკლულევანებანი რომ არ ჰქონოდა ამ დედანსა, უცილობლად მის დაბეჭდვას ვამჯობინებდით“³ (ხაზი ჩვენია). პ. უმიკაშვილი სულხან მდიენის ხელნაწერს მისი სიმოკლის

¹ დასტ. ოპ. cit., გვ. 131—162, 163—192, 193—194, 195—202.

² იქვე, გვ. VII.

³ იქვე, გვ. VI.

გამო იწუნებდა. როგორც ჩანს, მის დროს უცნობი იყო ვახტანგ VI-ის თანამედროვე დასტურლამალის 1729 წელს გადაწერილი ხელნაწერი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობის უპირატესობანი მოეპოვება სულხან მდიენის ხელნაწერთან შედარებით. ამასთან ეს უკანასკნელი თავისუფალია პ. უმიკაშვილის მიერ სულხან მდიენის ხელნაწერში აღნიშნული ნაკლოვანებისაგან, ე. ი. უფრო ვრცელია და შედარებით უფრო სრული.

1729 წელს გადაწერილი დასტურლამალის მთავარ ღირსებას ის შეადგენს, რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართლის ამ შესანიშნავი ძეგლის თავდაპირველი შედგენილობის აღდგენის საქმეში.

ასეთ შესაძლებლობას ამ ხელნაწერამდე ნაწილობრივ სულხან მდიენის ხელნაწერი იძლეოდა, მაგრამ მასთან შედარებით № 138 ხელნაწერის უპირატესობა აშკარაა.

როგორც ცნობილია, სულხან მდიენის ხელნაწერი გადმოწერილია დაზიანებული დედნიდან, რომელსაც ბევრგან ფურცლები ჰკლებია ან დახეული ყოფილა. ბევრგან ესა თუ ის დებულება გადახაზულ-გაუქმებულია, რაც, ცხადია, სათანადო ახსნასა და განმარტებას საჭიროებს. დასტურდება, რომ ამ ხელნაწერის შევსება თანდათან ხდებოდა, როგორც ჩანს, უკვე სულხან მდიენის მონაწილეობის გარეშე, რის გამოც ეს ხელნაწერი, უეჭველია, სიძველის ელფერს ჰკარგავს.

სულხან მდიენის ხელნაწერში, სხვადასხვა დროს, განსხვავებული მეღნიით და, ეტყობა, განსხვავებული ხელითაც, ჩამატებულია ნაკლები ადგილები ან მთლიანად ესა თუ ის დებულება. ჭეშმით მოტანილი მაგალითებით ვფიქრობთ დამაჯერებლად უნდა მტკიცდებოდეს, რომ სულხან მდიენის ხელნაწერის ცარიელი ფურცლების თანდათანობითი შევსება ხდება არა ადრინდელი, არამედ XVIII ს-ის მეორე ნახევრის, ე. ი. გვიანდელი ხელნაწერების მიხედვით. ამის თქმის საბაზს იძლევა ის გარემოება, რომ სულხან მდიენის ხელნაწერის ბოლოში დართული სარჩევი და ბევრგან ტექსტში ჩამატებული ადგილი, ვგონებ, დაწერილი უნდა იყოს ერთი და იმავე, ოღონდ გადამწერისაგან განსხვავებული, ხელით. საყურადღებოა, რომ „ზანდუკის“ შინაარსის დასაწყისი და საერთოდ მთელი სარჩევი სულხან მდიენისა და XVIII ს-ის 80-იან წლებში გადაწერილ № 4738 S ხელნაწერის ერთი და იგივეა.

სულხან მდიენის ხელნაწერშია:

ქ. ზანდუკი წიგნისა ამის, რომელსა უნდოდეს ძიება რიგისა და პოვნა ვითისამე საქმისა.
პირველი თავი და შესავალი მეფის ვახტანგისა...¹

№ 4738 S ხელნაწერშია:

ქ. ზანდუკი წიგნისა ამის, რომელს უნდეს ძიება რიგისა და პოვნა ვითისამე საქმისა.
პირველი თავი და შესავალი მეფის ვახტანგისა...²

¹ საქ. სახ. მუხ. ხელნაწ. № 4532 S.

² საქ. სახ. მუხ. ხელნაწ. № 4798 S.

სულხან მდივნის „ზანდუკი“ ამკარად გვიანდელი წარმოშობისაა. ჯერ ერთი, თვითონ ტექსტში თავები დალაგებულია საგანთა შინაარსის კვალობაზე და არა ანბანურ რიგზე; სარჩევი კი ტექსტისაგან განსხვავებით სწორედ ანბანურ რიგზეა გაწყობილი, უქვევლია, XVIII ს-ის მეორე ნახევრის დასტურლამალის ხელნაწერების მიხედვით, რამდენადაც დასტურლამალის ანბანურ რიგზე გადაკეთების ყველაზე ადრინდელ ნიმუშს 1771 წ. გადაწერილი ხელნაწერი წარმოადგენს. მეორე: სარჩევის სათვალავში შეტანილი ზოგიერთი თავი ტექსტში არ არსებობს. მაგ., § 5 ოზ. იარალის საქმე; ოთ. კახეთისა და ქართლის სამძღვარი; პზ. მურღრისა; რე. მუშის რუსუმი; რვ. მოლარეებისა; რჟა. ყორჩიბაშისა; სვ. შპეტის გარიგება და სხვ. რატომ უნდა შეეტანა გადაწერს სარჩევში ის, რაც მის დედანში არ მოიპოვებოდა? ან რატომ უნდა გაეწყო მას სარჩევი ანბანურ რიგზე, როცა ტექსტში მოთავსებულ თავებს, ხშირად ერთი მეორისაგან გამოიყოფოდნენ გადაბმულს, ანბანური სათვალავი არ უნით და შინაარსიც საგანთა რიგის კვალობაზე იმნაირადაა დალაგებული, რომ ყოვლად შეუძლებელია ზანდუკის მიხედვით „ძიება რიგისა და პოვნა ვიეთისამე საქმისა? ცხადია, ანბანურ რიგზე გაწყობილი სარჩევი სულხან მდივნის ხელნაწერის ორგანულ ნაწილად ვერ ჩაითვლება. ის შეუდგენიათ გვიანდელი, ჩვენი აზრით, № 4738 ხელნაწერის „ზანდუკის“ მიხედვით.

საკუთრივ „სულხან მდივნის დედნისებრ“ გამართული „საძიებელი შინაარსის რიგით“ დასტურლამალის რედაქტორ-გამომცემლის მიერაა შედგენილი¹. თქმა არ უნდა, XIX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში შედგენილ ამ სარჩევს არაფერი აქვს საერთო დასტურლამალის თავდაპირველ დედნის სარჩევთან².

ამრიგად დასტურლამალის ამჟამად არსებულ ხელნაწერთა შორის მირველ თუმანიშვილის ხელნაწერი ერთადერთია, სადაც ამ ძეგლის სარჩევის თავდაპირველი შედგენილობაა დაცული. სარჩევი აქ საგანთა შინაარსის კვალობაზე დალაგებული ტექსტის შესაბამისია. სარჩევშიაც და ტექსტშიაც საგანგებოდ აღნიშნულია სათანადო კარი. ამ მხრივაც ის სრულიად განსხვავებულია დანარჩენი ხელნაწერებისაგან, რადგან იქ სარჩევში ცალკეული თავია აღნუსხული, აქ კი ეს თავები, რა თქმა უნდა მათი შინაარსის მიხედვით, განსაკუთრებულ კარში არიან მოთავსებული, სარჩევში კი მხოლოდ ამა თუ იმ კარის სათვალავი და შესატყვისი სათაურია აღნიშნული.

¹ დასტურლამალი, op. cit., გვ. 195—202.

² ეს საძიებელი, რომელიც ერთგვარ წარმოდგენას იძლევა სულხან მდივნის ხელნაწერის შინაარსსა და შედგენილობაზე, არც სრულია და არც უნაკლო. გარდა იმისა, რომ იქ ტექსტის ზოგიერთი თავი გამოტოვებულია, უნებლიეთ რედაქტორს მხედველობიდან გამორჩენია ხელნაწერის მდგომარეობით გამოწვეული ერთი გარეგნობა: ხელნაწერის წიგნის ერთი ფურცელი თავდაპირველ ადგილიდან ამოვარდნილა (საქ. სახ. მუხ. ხელნაწ. განყ. 4532, S გვ. 11) და შემთხვევით ის ხელნაწერის ბოლო ფურცლებში მოხვედრილა, რის გამოც, გასაგებია, შინაარსის თანამიმდევრობა დარღვეული აღმოჩნდა. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ამ შესანიშნავ და მრავალმხრივ საყურადღებო ხელნაწერში „ნაკლებობა და არევა თავებისა მეტად შესამჩნევად ჩანს“ (დასტ. გვ. VI). ამრიგად, თუ S 4532 ხელნაწერის 74—74 a გვ. თავის ადგილას, ე. ი. მე-11 გვერდზე, მოვითავსებთ, მაშინ სათანადო თავების სწორი განაწილება მექანიკურად გაიმართება. შდრ. დასტ. პ. უმიკააშვილის გამოც., გვ. 202, 6—9.

„კარებად“ დაყოფა მხოლოდ მირველ თუმანიშვილის ხელნაწერისათვისაა დამახასიათებელი, რაც მისი სიძველის ერთი უტყუარი მოწმობათაგანია.

დასტურლამალის სხვადასხვა ვარიანტის შესწავლის შედეგად განს. აკად. ივ. ჯავახიშვილი ამბობდა: „წინათ-კი უეჭველია მთელი „დასტურლამალი“ შინაარსის და მიხედვით „კარებად“ ყოფილა დაყოფილი (ხაზი ავტორისაა). ამისი დამამტკიცებელი კვალი აქა-იქ ეხლაცაა შენახული. ვახტანგ მეფის შესავლის შემდგომ, რომელიც იწყება სიტყვებით „ეჰა შენ ყოველთა მბაღო“, ამ ხელნაწერში (სულხან მდიენის, ვ. გ.), მაგ., შემდეგი სათაური მისდევს: „კარი პირველი“. ყოვლისა ჯელჯონიანისა და მათის სარგოსი (იხ. გვ. 195). ცხადია, მაშასადამე, რომ „დასტურლამალის“ დედანი, თავდაპირველად, „კარებად“ ყოფილა დაყოფილი და რაკი ნათქვამია „კარი პირველი“-ო, უეჭველია მეორე, მესამე და შემდეგი კარებიც იქნებოდა. „დასტურლამალი“-ს ტექსტი რომ მართლაც კარებად იყო დაყოფილი, ამის დამამტკიცებელი მეორე კვალიც არის შენახული. იქ ერთგან, მაგ., აგრეთვე სწერია: „კარი სასახლეების რიგისა“-ო (გვ. 196), ცხადია მხოლოდ თავდაპირველ დედანში ისიც იქნებოდა ნათქვამი, თუ რომელი კარი იყო, მაგრამ ვადამწერთაგან გამოტოვებული უნდა იყოს“¹. თუმცა, მირველ თუმანიშვილის ხელნაწერი თავდაპირველი დედანი არ არის, მაგრამ „კარი სასახლეების რიგისა“ იქ, სარჩევისა და ტექსტის მიხედვითაც, მე-9 კარად ითვლება. ეს გარემოება მთლიანად ადასტურებს განსვ. მეცნიერის დაკვირვებას.

1729 წელს გადაწერილი დასტურლამალის შინაარსი დაყოფილია არა მუხლობრივად და თავებად, როგორც ეს დანარჩენ ხელნაწერებშია, არამედ საგნობრივად. ამა თუ იმ საგანთან დაკავშირებული ყველა გარიგება თუ სარგო, ან გარკვეული საგნის მუხლებად დანაწევრებული დებულებები, როგორც წესი, შეტანილია ერთს განსაკუთრებულ კარში. ის, რაც აკად. ივ. ჯავახიშვილმა სულხან მდიენის ვარიანტის მიხედვით გამოარკვია, მირველ თუმანიშვილის ხელნაწერში მთლიანად და თანამიმდევრულადაა წარმოდგენილი.

თავის დროზე აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ამრიგად გამოირკვა, რომ ვახტანგ მეფეს თავის „დასტურლამალი“ შინაარსის და მიხედვით „კარებად“ გაუყვია და თითოეული კარისათვის საგანგებო საგანი და განსაკუთრებული სათაურიც აურჩევია (ხაზი ავტორისაა). კარების სათაურები და მათი სათვალავები სულხან მდიენის დედანშია-კი ორ ზემოაღნიშნულ შემთხვევას გარდა შენახული აღარ არის, მაგრამ შინაარსის წინანდელი დალაგების წესრიგის ნაშთად ბევრგან შერჩენილია, რომ „დასტურლამალი“-ს მუხლები მომეტებულ ნაწილად შინაარსის და ვერად მისდევს ერთი მეორეს, თუმცა აქა-იქ სულხან მდიენის ხელნაწერშიაც შინაარსი არეულია. ეს გარემოება უეჭველია იმის შედეგი უნდა იყოს, რომ სულხან მდიენის ხელნაწერის დედანი, რომლითგანაც გადმოწერილია, დაზიანებული ყოფილა“².

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. I, გვ. 77—78

² იქვე, გვ. 79.

გამართლდა აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებაც, რომ „პირველად დასტურლამალში“ კანონმდებელს კვლავობიანებზე ჰქონია ლაპარაკი“¹. მართლაც, ისევე როგორც სულხან მდიენის ხელნაწერში, მირველ თუმანიშვილის ხელნაწერის პირველ კარშიაც: „ყოველის კვლავობიანისა და მათის სარგოს“ გამო დაწვრილებითაა საუბარი.

საგანთა შინაარსის კვლობაზე დალაგებული დასტურლამალის ანბანურ რიგზე გადაკეთებამ², სხვათა შორის, ისიც გამოიწვია, რომ ამ რიგის ხელნაწერთა ტექსტებში ზოგიერთი სახელო და სამოხელეო ტერმინი ცალი სიტყვითაა წარმოდგენილი — უსაგნოდ და უშინაარსოდ. ამიტომ მეტიმეტად ძნელდება მოხელეთა მნიშვნელოვანი ნაწილის უფლება-მოვალეობის და სახელოთა ნამდვილი აგებულების გამორკვევა, ანდა იმის დადგენა, თუ რომელი მოხელე რომელ ხელისუფალს ემორჩილება.

„კარებად“ დაყოფილი მირველ თუმანიშვილის ხელნაწერის მიხედვით კი ცხადი და ნათელია, თუ ესა თუ ის მოხელე რომელ ხელისუფალს ემორჩილება, რომელ დაწესებულებას ეკუთვნის ან რა მოვალეობის ასრულება ევალება. საჭირო შემთხვევაში კი განმარტებულია: „შათირები ქარხნის ნაზირის თაბუნი არ არის“-ო. ცხადია, როცა ამა თუ იმ სახელის შემადგენლობა ამნაირად არის წარმოდგენილი, შედარებით ადვილია წყაროებში იშვიათად მოხსენებული სამოხელეო ტერმინის მნიშვნელობის ან ნაკლებ ცნობილი „ჟელი“-ს თვისება-შინაარსის დადგენა.

დასტურლამალის შინაარსის ანბანურ რიგზე დალაგებითვე აიხსნება, რომ სათანადო საგნის ესა თუ ის დებულება, მისი სათაურის დასაწყისის პირველი ასოს გამო, მისგან შინაარსობრივად სრულიად განსხვავებული დებულების გვერდით არის ამოყენებული ან, შედარებით იშვიათად, პირდაპირ მისთვის უცხო დებულებაშია ჩართული. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, დებულების შინაარსი ბუნდოვანი და ზოგჯერ გაუგებარი ხდება. მაგ., სწორედ ამის გამო „ეკლესიის და მისის მოკვლეების“ დებულების შემადგენელ ნაწილად გამოდის „ელის ეთაზი“ და „ერთი რიგი ელი არის...“³. ცხადია, „ელის ეთაზი“ არაფრით არ უკავშირდება ეკლესიის (სოფლის სახელია, ვ. გ.) საბატონო და სამოხელეო გამოსაღებთა გარიგებას, გარდა იმისა, რომ მათი სათაურები ერთი და იმავე ასოთი „ე“-ნით იწყება.

სულ სხვა ვითარებაა მირველ თუმანიშვილის ხელნაწერში: აქ ერთს განსაკუთრებულ კარში გაერთიანებულია ერთი რიგის დებულებები, რომლებიც დასტურლამალის დანარჩენ ხელნაწერებში, სულხან მდიენის ხელნაწერის გამოკლებით, უწესრიგოდ გაბნეული და საგნობრივად ერთიმეორისაგან დაშორებული არიან.

მირველ თუმანიშვილის ხელნაწერის შედგენილობა ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“-ს სრულიად ახლებურად შესწავლისა და გამოყენების შესაძლებ-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ირ. cit., გვ. 79.

² დასტურლამალის ანბანურ რიგზე გადაკეთების მიზეზების შესახებ იხ. დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის გამოც., გვ. V; ივ. ჯავახიშვილი. ქართ. სამართლის ისტორია, წ. I, გვ. 75.

³ დასტ., გვ. 31.

ლობას აძლევს ქართული სახელმწიფო სამართლის და საქართველოს ეკონომიური ისტორიის მკვლევართ.

დასასრულ, გამოსარკვევია ერთი საკითხი: რამდენად უახლოვდება მირველ თუმანიშვილის ხელნაწერი ვახტანგ VI-ის დედანს? თავის დროზე, სულხან მდიენის ხელნაწერის გამო, პ. უმიკაშვილი წერდა: „დედანი სულხან მდიენის უფრო ძველი ნაწერია და შესანიშნავია თავების დალაგებით საგანთა შინაარსის კვალობაზე. ეს წყობა თავებისა გვიჩვენებს, რომ ხელნაწერი უფრო უნდა ეთანხმებოდეს ვახტანგის რედაქციასა“¹. აკად. ივ. ჯავახიშვილი შემცდარად არ სთვლიდა პ. უმიკაშვილის ამ მოსაზრებას, მაგრამ სულხან მდიენის ხელნაწერის შინაარსის წესრიგის გულდასმითი შესწავლის შედეგად ასკვნიდა: „არა, არც სულხან მდიენის ხელნაწერშია „დასტურლამალი“ შენახული იმ სახით, როგორადაც ვახტანგ VI ჰქონია დაწერილი“². ამ კატეგორიული მტკიცების მთავარ საბუთად მას, სხვათა შორის, ის მოჰყავდა, რომ სულხან მდიენის ხელნაწერში შინაარსის არავითარი დანაწილება არ არსებობდა მუხლობრივი დაყოფის გარდა, მაშინ როდესაც წინათ „მთელი „დასტურლამალი“ შინაარსისდა მიხედვით კარებად ყოფილა დაყოფილი“³. ის არსებითი ხასიათის მთავარი ნაკლი, რაც სულხან მდიენის ხელნაწერს, აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ვახტანგ VI დასტურლამალის დედანს აშორებდა, მირველ თუმანიშვილის ხელნაწერს არა აქვს. იგი, როგორც ვნახეთ, „კარებად“ არის დაყოფილი, თითოეულ კარში კი საგანგებო საგანია მოთავსებული შესაფერისი სათაურითურთ.

ამრიგად, მირველ თუმანიშვილის ხელნაწერი გაცილებით ახლო დგას ვახტანგ VI დასტურლამალის დედანთან, ვიდრე სულხან მდიენის ერთ-ერთი უძველესი და საუკეთესო ხელნაწერი. № 138 ხელნაწერში „დასტურლამალი“ ძირითადად შენახულია იმ სახით, რა სახითაც იგი ვახტანგ VI-ს ხელიდან უნდა გამოსულიყო.

ამგვარი დასკვნის შესაძლებლობას იძლევა მირველ თუმანიშვილის ხელნაწერის შესწავლა, მისი დასტურლამალის სხვა ხელნაწერებთან შედარება. რა თქმა უნდა, ნათქვამი იმას არ ნიშნავს, თითქოს ეს ხელნაწერი „დასტურლამალის“ თავდაპირველი დედნის ზუსტ გამეორებას წარმოადგენდეს. ამ ხელნაწერშიაც „დასტურლამალი“-ს შინაარსი აქა-იქ არეულია, ზოგანაც კარების თანამიმდევრობა დარღვეული ჩანს. გარდა ამისა, რაკი მას ზოგიერთი თავი აკლია, უნდა ვიფიქროთ, რომ ის გადაწერილი ყოფილა, თუმცა საუკეთესო, მაინც ნაკლები დედნიდან თუ დედნებიდან.

ამასთანავე გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ზოგჯერ ესა თუ ის დებულება დასრულებული არაა. ამას გადამწერი ორი წერტილის დასმით აღნიშნავს. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამის საბაზს მას თვითონ ვახტანგ VI დასტურლამალის თავდაპირველი დედნის მდგომარეობა აძლევდა? № 138 ხელნაწერის დაუწერელი სტრიქონები და ცარიელი ფურცლები თითქოს იმას უნდა მოწმობდენ, რომ ზოგიერთი მოხელის გარიგება თუ სარგო,

¹ დასტ. გვ. V.

² ივ. ჯავახიშვილი. *op. cit.*, გვ. 77.

³ იქვე, გვ. 77.

ან იურიდიულ-საფინანსო დებულება თვით ვახტანგ VI შემუშავებული არ ჰქონდა იმდენად, რომ ის თავის დასტურლამალში შეეტანა, და ალბათ მომავალში ფიქრობდა დაუწერელი ადგილების გამართვა-შევსებას. ასეთი მუშაობის კვალი ვახტანგ VI სამართლის წიგნსაც ეტყობა.

მირველ თემანიშვილის ტექსტობრივი ხასიათის შეცდომები ადვილად გასასწორებელია. თვითონ ხელნაწერის ტექსტის ხელსაყრელი მდგომარეობის გამო ძნელი არ არის აქა-იქ არეული შინაარსის გამართვა, კარების დარღვეული თანამიმდევრობის აღდგენა და ნაკლული ადგილების შევსება. ის, ასე უტყვათ, ნამდვილი ჩარჩოა, რომელშიაც მომავალში თამამად შეიძლება მოთავსდეს XVIII ს-ის ქართული სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართლის ძეგლის კრიტიკულად აღდგენილი ტექსტი.

ფეოდალური მეურნეობის ორგანიზაციის ისტორიიდან
ბვიანფეოდალურ საქართველოში

ფეოდალური მეურნეობის ორგანიზაციის პრობლემიდან წარმოდგენილ შრომაში განვიხილავთ მხოლოდ ერთ საკითხს: სასახლეს, როგორც ფეოდალის სამფლობელოში გარკვეული სისტემით განლაგებულ სამეურნეო ბაზას, და მას, როგორც ყმა-გლეხობის ექსპლოატაციისა და შრომის ერთ-ერთ ტექნიკურ საშუალებას.

* *

სასახლე ფეოდალის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა, ხოლო ეკონომიური შეძლებულობის მიხედვით ზოგს დიდი და ბევრი და ზოგს ცოტა და ნაკლებად კეთილმოწყობილი სასახლე ჰქონდა¹. მაგ., X ს.-ში გიორგი ჩორჩანელს, რომელიც თავისი დროისათვის დიდი მემამულე იყო, უამრავი სასახლეები ჰქონია². სამეგრელოს მთავარი XVII ს.-ში 50-ზე მეტ სასახლეს ფლობდა. არქ. ლამბერტი მოგვითხრობს: სამეგრელოში „ყველა დიდებულთ მეტნაკლებ რამდენიმე სასახლე აქვთ და ერთიდან მეორეში გადადიან“³.

წარმოშობისა და დანიშნულების მიხედვით ფეოდალის სასახლეთა შორის შეიძლება გამოვყოთ: მთავარი სასახლე ანუ „სამკვიდრო სასახლე“, ეს იყო ფეოდალის მთავარი საგვარეულო საჯდომი ადგილი⁴, „საზამთრო სასახლე“⁵, „საზაფხულო სასახლე“⁶, „სანადირო სასახლე“⁷ და სხვ. უკანასკნელთა დანიშნულებაზე თვით სახელწოდებანი მიგვითითებენ.

¹ სასახლე ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში ძველი მოვლენაა. წერილობითი წყაროები ასახელებენ: მირიან მეფის (IV ს.), ვარსკენ პიტიახშის (V ს.), სამცხელ აზნაურის მირიანის (VII ს.) და სხვ. სასახლეებს. ძველ ძეგლებში „სასახლე“ როგორც ტერმინი არ გვხვდება, ამ ცნების გამოსახატავად გვაქვს „ტაძარი“, „პალატი“, „დარბაზი“ (ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურისათვის, I, 13, 15, 1946). სასახლე ვიწრო გაგებით საცხოვრებელ ნაგებობას ეწოდება, ფართო მნიშვნელობით კი მთელ „სამოსახლო ადგილს ეწოდებოდა თავისი მიწა-მამულით საცხოვრებელი და სამეურნეო შენობებით“ (ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI—XVII სს. ვენიკი-ს მოამბე V—VI, 1940, 277; მალაქია კათალიკოსის საბ. XVII ს. გამოც. ს. კაკაბაძის, საისტ. მოამბე, II, 1925, 190—191; ს. კაკაბაძე, დას. საქ. საეკლ. საბ. I, 18, 56; II, 43; საქ. სიძვ. I, პირველი გამოც. 362, 391—392, 397; საქ. სიძვ. II, 480; საქ. მუზეუმი, ფონდი Ad, № 1672; Hd, № 13788; ვახტანგის სამართალი § 103 და სხვ.).

² სერაპ. ზარზმელის ცხოვრება, გამოც. კ. კეკელიძის, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 154, 1935.

³ არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგ. ალ. ჭყონიასი, 82, 1938.

⁴ ქრონიკები, II, 497.

⁵ იქვე, 182.

⁶ ს. კაკაბაძე. ისტ. საბუთები, I, 66; მისივე, დას. საქ. საეკლ. საბ. I, 23.

⁷ ივ. ჯავახიშვილი. ორ. ს. 120; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გამოც. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის, 89.

მრავალსახლიანობა ფეოდალური მეურნეობის ხასიათით და ცხოვრების პირობებით იყო გამოწვეული. ეს გარემოება კარგად შეუნიშნავს XVII ს-ში თანამედროვე უცხოელ დამკვირვებელს, არქანჯელო ლამბერტის: „ვინც კი უფრო შეძლებულია, ყოველგან თითო სახლი აქვს, რათა დროს შესაფერისად შეეძლოს ხან ერთ ადგილზე და ხან მეორეზე იცხოვროს. ზამთარში თავს იფარებს ტყეში, სადაც შეშას ბლომად შოულობს და ცეცხლს განუწყვეტლად ანთებს სახლში, თან ხშირი ხეები ქარებისაგან იფარავს და თან გარეული ღორისა და ირმის სიმრავლისა გამო ნადირობასაც მუდამ შეექცევა. აქ გადმოყავთ თავიანთი წვრილფეხი და მსხვილფეხი საქონელი, რომელიც აქ სიცოვისაგან თავს იფარავს და მშვენიერ საბალახოსაც ჰპოულობს. ზაფხულობით კი მეგრელები მიდიან სადგომად მთა ადგილებზე, სადაც მრავალნაირი ხილია და მახლობლად ანკარა წყაროები ჩამოიჩხუხებენ; მერე რამდენი საჩრდილობელი ხეებია იქ, რომელთა ქვეშაც შეუძლიანთ განცხროპას მიეცნენ და დასტებენ გრილის ნიავეთ. გაზაფხულსაცა და შემოდგომასაც შესაფერადგილებს არჩევენ... ყველა დიდებულთ მეტ-ნაკლებად რამდენიმე სასახლე აქვთ და ერთიდან მეორეში გადადიან როგორც ზემოთ ვთქვით“¹.

ფეოდალის მეურნეობის მოწესრიგებაში მრავალსახლიანობა გარკვეულ როლს ასრულებდა. ჩვენს ამოცანას ამ როლის გამორკვევა შეადგენს. მასობლად აღებული გვაქვს XVII საუკუნის პირველი ნახევრის ბიჭვინტის საკათალიკოსო სენიორია, სადაც საბუთების სისტულის გამო სურათი გამოკვეთილად იხატება. სხვა საფეოდალოების საბუთები ამ მხრივ ძლიერ ნაკლებია და, როგორც ირკვევა, სასახლეთა განვითარება ყველგან ერთნაირი მასშტაბით არც მომხდარა.

ვიდრე უშუალოდ საკითხზე გადავიდოდეთ, საჭიროა რამდენიმე ფაქტის გახსენება ბიჭვინტის საკათალიკოსო მეურნეობის ისტორიიდან.

XVII ს-ის პირველ ნახევარში ბიჭვინტის მეურნეობამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. კათალიკოსის განკარგულებაში 24—25 მსხვილი მამული ითვლებოდა, მებეგრე ყმა-გლეხთა რიცხვი 547 კომლზე მეტი იყო, ამას რამდენიმე ათეული კომლი ყმა-აზნაურიც ემატებოდა. გეოგრაფიული განლაგების მიხედვით უმეტესი ნაწილი მამულებისა ოდიშში მდებარეობდა, ნაწილი იმერეთში და ნაწილიც გურიაში. სენიორიის სათავეში კათალიკოსი მალაქია გიორგის (გურიელის) ძე (1605—1639 წ.) იდგა. საპატრიარქო კათედრა ამ დროისათვის უკვე ბიჭვინტიდან გელათში იყო გადმოტანილი².

ბიჭვინტის მეურნეობაში სასახლეები მმართველობის ერთგვარ სახეობას ქმნიდნენ. კათალიკოსს თითქმის ყოველ ცალკეულ მამულში ჰქონდა სასახლე. ასე მაგ., 1622 წელს 24 საკათალიკოსო მამულიდან (მთლიანად სოფელი ან რამდენიმე კომლი) სასახლე 18-ში იყო³. ხოლო მომდევნო წლებში კათალი-

¹ არქ. ლამბერტი. ოპ. ც. 32.

² ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი, 1914, 1—44.

³ ს. კაკაბაძე. ოპ. ც. 1—44; დავთარი ბარისა და ჯიმიშტაროს სასახლეებს არ ასახელებს, მაგრამ, როგორც სხვა საბუთებიდან ჩანს, ამ სოფლებში სასახლეები მაღე გაჩენილა.

კოსის განკარგულებაში უკვე 23-ზე მეტი სასახლე ითვლებოდა (სახელდობრ: ბარს, ჩხარს, ნავენახევს, ჯიმიშტაროს, ბაკისუბანს, მანთხოჯს, ჯიქთუბანს, ნაგვაზაუს, საქუჩულორიოს, ხიბულას, ნაქანევს, ხიორს, მუხურს, თილითს, ხაუყელს, ოცხანას, ჯგალს, ქალას, წყალიძგას, ლალიძგას, გეგუთს, ჭომტიბელას და სუბიეშ¹).

საკათალიკოსო ყმები გაერთიანებული იყვნენ სასახლეებში, ანუ ესა თუ ის ყმა, რომელიმე სასახლის „მიმდგამი“, სასახლეში „შემავალი“ იყო: „მართებს ჯგალის სასახლისა მიმდგამსა კაცებსა“...და ჩამოთვლილია პერსონალურად ყმები ბეგრითურთ; „მართებს წყარიგზური სასახლის მიმდგამსა კაცებსა“²; „ხომტიბელის სასახლე და ამ სასახლის შემავალი მოსახლე ერთი“³; „ნავენახევის სასახლე ოცდაათი კუამლით კაცითა“⁴ და ა. შ.

მამულების ერთიან დავთრებში ყმა-მამული ყოველთვის სასახლის აღნიშვნით არის დასახელებული⁵. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა 1622 წლის დავთარი, სადაც ეს სისტემა მეტად თვალსაჩინოდ არის გადმოცემული: თითოეულ სოფელს წინ, სათაურად წამძღვარებული აქვს: „არის ხიბულას სასახლე და გამოსავალი მართებული მოსაკრებლობა“⁶; „არს ნაქანეულს სასახლე“ და ა. შ. თვრამეტი სოფლის მიმართ, რასაც მოჰყვება ყმა-მამულის ჩამოთვლა.

ყოველგვარი საბატონყმო ურთიერთობა გლეხობასთან სასახლეების საშუალებით ხორციელდებოდა. სასახლეში შემავალ გლეხს საკათალიკოსო ბეგარა სასახლეში უნდა მიეტანა (ან თვით უშუალოდ ან მოხელის მეშვეობით) და ასე მთელი საკათალიკოსო შემოსავალი სასახლეებში გროვდებოდა⁶. „აწამა ცამეტმა კაცმა ექვსმა მოსახლემან, ამათი ბეგარა როგორც დაგვიწერია... ლალიძგის სასახლეში მოიტანდენ“⁷. ან, შეიღმა მოსახლემ „თითო საკლავი იმისი ღომი და ღვინო ბეგრად მიართვას ბატონს კათალიკოზს“ სასახლეში⁸. სააღაპო გამოსაღები სასახლეში შედიოდა და ალაპიც სასახლეში იმართებოდა. „ლალიძგას სასახლეში მოიტანდენ სააღაპოსა, გლახაკსა, მშიერსა, ვინც მოვიდენ, აქმევდენ, ორმან მღვდელმან...სასახლის ლალიძგის“

იქვე, 57; არქ. ფ. 226, № 1523. ორი პუნქტი: ჭანგა (3 კომლი) და ქოცნათი (1 პარტახტი-განხილული გვაქვს, როგორც ჯიქთუბანში შემავალნი.

¹ დიდი დავთარი (აფხ. საკათ. გლ. დიდი დავთ.), 1—44, 57; დას. საქ. საეკლ. საბ. I, 39—47; საისტ. მოამბე, II, 1925, 190—191; არქ. ფ. 226, № 1528; ფ. 230, დავთარი XVI საბ. № 121.

² ს. კაკაბაძე. საცაიშლოს გამოსავლის დავთარი. 1912, 42, 44.

³ დას. საქ. საეკლ. საბ. I, 13.

⁴ იქვე, 182.

⁵ იხ. I შენიშვნა.

⁶ საყმო შემოსავლის ადგილობრივ ბაზაში დაგროვების წესი ძველდაც ცნობილი ყოფილა: რკონის სიგელში (1259 წ.) ნათქვამია, რომ ს. ხოვლეს შემოსავალი რკონის მონასტერმა იქვე ერთ სახლში უნდა შეინახოს და იქიდან ხარჯოს, ქრ., II, 137.

⁷ დას. საქ. საეკლ. საბ. I, 42.

⁸ დიდი დავთარი, 49.

გას ეკლესიაში ქამი სწიროს“¹. „ათმან მოსახლემან...თევზი...ღვინო...მოიტანოს და წყალიძგურმა მოხელეებმა ამა თევზითა...ა დაპსა გარდა გვიხდიდენ წყალიძგას კათალიკოსის სასახლეში“².

განსაკუთრებით აღსანიშნავია სასახლეთა როლი ისეთი სახის საყმა ვალდებულებების დროს, როგორც იყო ძღვენი, „გოჭკუმური“ (პურის ქამა), და სხვა მსგავსი (ე. წ. „საპურობო“, „საქმელი“, „ხადილი“ და „სასტუმრო“ არსებითად იგივე პურის ქამას, წვეულებას ნიშნავდა)³. ამ სახის ბეგრები ბიჭვინტის ყმათა შორის არაჩვეულებრივ ფართოდ გვხვდება. მაგ., 1622 წლის საკათალიკოსო დავთარში მოასენებულ 547 მებეგრე გლეხთაგან აღნიშნული სახის ვალდებულებანი 278 კომლს ედვა (დავთარში აღირიცხება 387 ასეთი ერთეული გადასახადი). ისეთ არაკომპაქტურ სამფლობელოში, როგორც ბიჭვინტის სენიორია იყო, სასახლეები ქმნიდენ აღნიშნული გადასახადების ფართოდ გავრცელების ხელსაყრელ ტექნიკურ პირობებს: სასახლე ხომ ყოველ ცალკეულ მამულში იდგა და კათალიკოსი თავისი ამალით ხან ერთ სასახლეში და ხან მეორეში ჩადებოდა: „რამდეჯერ კათალიკოსი სასახლეში მოვიდეს და დადგეს“. ყმა-გლეხს ასეთ ვითარებაში უშუალოდ შეეძლო კათალიკოსის გამასპინძლება თავის სახლში ან კარზე, ანდა შეეძლო ბეგრის სახითაც მიეტანა სამასპინძლო სასახლეში. ლალიძგის სასახლის ექვს გლეხზე ნათქვამია: „რამდეჯერ კათალიკოსი სასახლეში მოვიდეს და დადგეს ძღუენსა მიართმევდენ“⁴. ხოირის სასახლის ერთ-ერთ გლეხზე კათალიკოსი მიუთითებს: „ხოირს, მართებს გავაშელს დამაკოჩიას საპურობო და გარდაღმა არ გარდიტანებენ შინა გუაქმევენ“⁵. ხოირის დანარჩენ გლეხებს, როგორც აქედან ჩანს, ჩვეულებრივად საპურობო სასახლეში მიჰქონდათ, ამ შემთხვევაში კი მართო გავაშელს ევალებოდა შინ გამასპინძლება კათალიკოსისა. სასახლის საბეგრო სიებში ხშირად წაფიკითხავთ: „მართებს შამიბია ბუმბუფასა...რაფიგადცა თავი ესახელეზოდეს მისთანა გოჭკუმური“⁶; „მართებს მიჭავჭვიას ქორიას გოჭკუმური კარგი საქმელი მისითა ლომითა, ღვინითა...რაფცა იმ დღესა მოუნდებოდეს“; „ქირია წიწია კოჩი და მისი ძმანები საქმელსა გვაქმევდენ, რაფიგადცა თავი ესახელეზოდეს, როდისცა გვინდოდეს“; „ქირია ქაშაბი საქმელსა გვაქმევდეს რაფიგადცა თავი ესახელეზოდეს, როდისცა მოუნდებოდეს“⁷. ამას გარდა სასახლეში დაგროვილი შემოსავლის „რეალიზაცია“ უპირატესად სწორედ მაშინ ხდებოდა, როცა კათალიკოსი სასახლეში ჩამოდებოდა ხოლმე.

არქ. ლამბერტის, როგორც იმდროინდელ დამკვირვებელს (XVII ს-ის პირველი ნახევარი), შესანიშნავად აქვს დასურათებული ბიჭვინტის კათალი-

¹ დიდი დავთარი, 48.

² დას. საქ. საეკლესიო საბ. I. 44.

³ ლ. მუსხელიშვილი. ოპ. ც. 276.

⁴ დიდი დავთარი, 49.

⁵ იქვე, 30.

⁶ დიდი დავთარი, 40.

⁷ საციოშლოს დავთარი, 33, 34 და სხვა.

კოსის ამგვარი „მოღვაწეობა“. აი რას ამბობს იგი: „ოდიშის პატრიარქს თავის საბრძანებელში ისეთი ძალა აქვს, ისეთი სიმდიდრე და სასახლეები, იმდენი ყმები ჰყავს, რომ არამცთუ ეთანასწორება მთავარს, რომელიც მას ირჩევს, არამედ აღემატება კიდევ. პატრიარქი თავის საპატრიარქოს დასახედავად მუდამ დადის, მაგრამ მას საგნად თავისი სამწყსოს ზნის გასწორება როდი აქვს, არამედ მათი ქისების დაცარიელება. თავის სამწყსოს მხოლოდ იმისათვის ჩამოივლის, რომ ტყავი გააძროს და სისხლი გამოსწოვოს. და ამიტომაც მას მტაცებელი მგლის სახელი უფრო შეჰფერის, ვიდრე კეთილის მწყემსისა. იგი თან წაიყვანს ხოლმე ამაღას, რომელიც შესდგება სამასი კაცისაგან და მეტისაგანაც. საწყალი მისი ქვეშევრდომი ხალხი იღუპება ამით. ვითარცა ჭალაში გაშვებული პირუტყვი შესჰამს მთელ ბალახს, რაც იქ არის და მერე სხვაგან გადავა საძოვრად, ისე ეს მხლებლებიც, რაკი შესჰამენ რაც მოიძებნება ერთ ადგილას, გადავლენ მეორე ადგილას“¹.

ყმა-მამულის ექსპლოატაციისა და მართვის ტექნიკურ საშუალებად სადგომ-სასახლეების გამოყენების წესი მეტ-ნაკლები მასშტაბით ცნობილი იყო სხვა ფეოდალურ ერთეულებშიც. იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერს სწორედ ამ მიზნით ჰქონდა მოწყობილი საქართველოში ე. წ. მეტოქეები და სახლ-სადგომები. უკანასკნელთა როლისა და დანიშნულების შესახებ ვ. დონდუა სპეციალურ გამოკვლევაში წერს: „მეტოქი, რომელიც მომცრო მონასტერია სხვა მონასტერზე მიწერილი, არსებითად ბინა და ბაზაა, სხვაგან (ქალაქგარეთ, საზღვარგარეთ) დადებული მონასტრის მიერ, რომელიც ამ ბაზაზე დამყარებით, თავის წარმომადგენლების მეშვეობით, ეწევა გარეთ შეძენილი „აგარაკებისა“ თუ სოფლების ექსპლოატაციას, აწყობს, რა თქმა უნდა, „კალმასობასაც“; „სენაკები, სახლ-სადგომი თუ ეკლესია, ზემოთ აღნიშნულის თანახმად, ბერებს სჭირდებოდათ საქართველოში ფეხის მოსაკიდებლად, სასულიეროსი რა უნდა ითქვას და,—სამნეო მოღვაწეობის გასაშლელად კერძოდ ტრადიციული კალმასობის გასახურებლად კურთხეულ მხარეში, რათა სარჩო დაეგროვებინათ, ამ სარჩოს ნაწილი ვაჭრობის რიგით ფულად ექციათ და ასე დაეკმაყოფილებინათ იერუსალიმის საჭიროებანი და ა. შ.“².

ბიჭვინტის საკათალიკოსო სასახლეები ფართო სამეურნეო ცენტრებს წარმოადგენდნენ. სასახლის კარმიდამოზე გაშენებული იყო ბალ-ბოსტნები, ზერები. ამასთანავე სასახლეს საკმაო რაოდენობით სახნავ-სათესი მიწებიც (ხოდბუნები) ეკრა ირგვლივ. მალაქია კათალიკოსი ერთ საბუთში, სადაც თავის ნამოღვაწარს აგვიწერს, მიუთითებს: სასახლისათვის „საყანეები, საკრეფი მაქულები და ქურები მიყიდია და შემიმატებია“³ და ა. შ. მესაქონლეობასაც ფართო ადგილი ჰქონდა დათმობილი. სასახლეებში წვრილ და მსხვილ-

¹ არქ. ლამბერტი. ორ. ც. 119.

² ვ. დონდუა. კალმასობა როგორც ყოფაცხოვრებითი მოვლენა ძველ საქართველოში, 1949. 52, 57, ხაზი ყველგან ავტორისაა.

³ საისტ. მოამბე, II, 1925, 190—191; სასახლეთა მეურნეობის შესახებ ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს მალაქია კათალიკოსის ხსენებული საბუთი წარმოადგენს.

ფეხა საქონლის ჯოგი იდგა. მაგ., სუბეიშის სასახლეში „ხარის, ზროხის და ცხენის ჯოგი დამიყენებია“-ო ამბობს მალაქია. თილითის და ლალიძგის სასახლეებში—ლორის ჯოგი. ხოირს და ნაქანეულს—ძროხის, ხიბულას—ლორის, თხის, ძროხის და კამეჩის. ლალიძგის მანთხოჯისა და ოცხანას სასახლეებში თევზის ქერაც იყო გაჩაღებული. ლალიძგის, სასახლეში „ქვაბები დამიდგამს და მეთევზენი დამიყენებია“ მიუთითებს კათალიკოსი და ა. შ. სასახლის მთელი შინამეურნეობა (იგულისხმება მიმდგამ ყმა-გლეხთა გარდა) კარგად არის გამოხატული ამ გამოთქმაში: „სასახლე საყდრითა, სახლებითა, მოსასახლითა და თივითა, საყანითა, საკრების მამულითა და სათევზოთა მისის ყოვლის ფერითა“¹.

ზერებისა და სახნავი მიწების დამუშავება სასახლის მიმდგამ გლეხებს ევალებოდა. ეს ვალდებულება საბევრო ნუსხებში წარმოდგენილია შემდეგი სახით: საკათალიკოსო ყმას ჩვეულებრივ გამოსაღებებს გარდა სხვადასხვა სახის მუშაობა-სამსახურიც უწერია: „ყანის შველა“, „მუშაობა“, „თოხნა“, „მარგვლა“, „ნადობა“, „ყურძნის კრეთა“, „ხარის შველა“, „ჭურის რეცხვა“, „ისლის აღება“, „თივის თიბვა“, „იფქლის მკა“, „პურის მკა“ და სხვ.² ამგვარ მომუშავე ყმათა რაოდენობა დამოკიდებული იყო თვით სახნავ-სათესი მიწების სიდიდეზე. ამის გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია ეს უკანასკნელი განვსაზღვროთ, თუ გვეცოდინება მომუშავე ყმათა რაოდენობა. ის ფაქტი, რომ ზოგი სასახლის გლეხებში არ გვხვდება მუშაობის ვალდებულება ყმა, უდაოდ იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ კათალიკოსს ასეთ პუნქტებში არ გააჩნდა მიწები. მაგალითად, იმერეთში: ჯიქთუბნის (7 კომლი), ბაკისუბნის (4 კ.) და ბარის (რაჭა, 27 კ. დაახლ.) სასახლის გლეხთაგან არც ერთი არ ასრულებდა რაიმე სამუშაოს; ჩხარს 9 კომლიდან ყველა მომუშავეა, ნავენახეც 15 კომლიდან—14, ჯიმიშტაროს 7 კომლიდან—6, მანთხოჯს 31 კ.—². ამ საერთო სურათის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ დროისათვის (1622 წ.) იმერეთში კათალიკოსს შედარებით მცირე რაოდენობის მიწები ჰქონია³. სულ სხვა მდგომარეობაა ოდიშში. ნაქანეულს 58 კომლიდან მუშაობდა 29, ხოირს 39 კომლიდან 31 მუშაობდა, ხიბულას 55 კ.—24, მუხურს 41 კ.—19, თილითს 38 კ.—11, ხაუჟელს 43 კ.—36, საქუჩულოროის 5 კ.—5, ნაგვაზაუს 7 კ.—6⁴, მომუშავე ყმათა ამგვარი შეფარდება, როგორც ლ. მუსხელიშვილსაც აქვს აღნიშნული, საკათალიკოსო მიწების დიდი რაოდენობის მაჩვენებელია ოდიშში⁵.

ბიჭვინტის ყმათა ვალდებულებებში საგანგებო ყურადღებას იქცევს ე. წ. „სასახლის სამსახური“ (ან: „ყოვლის დღის სასახლის სამსახური“. „ერთი კვირის სასახლის სამსახური“, „სასახლის სამსახური როდესაც მოვი-

¹ საისტორიო მოამბე, II, 190—191, 1925.

² დიდი დავთარი, 5, 12, 19, 25, 32, 34, 37 და ა. შ.

³ დიდი დავთარი, 1—6; 9—16.

⁴ შდრ. ლ. მუსხელიშვილი. ოპ. ც. 306—307.

⁵ იქვე, 17—39.

⁶ ლ. მუსხელიშვილი. ოპ. ც. 306.

კითხავთ¹), როგელიც სულ 17 გლესს ადევს (ხიბულიდან 8 და თილითიდან 9)². „სასახლის სამსახური“, თუ „სამსახურის“ ჩვეულებრივი მნიშვნელობიდან გამოვალთ, კარზე სამსახურს უნდა ნიშნავდეს და, როგორც ლ. მუსხელიშვილი ფიქრობდა, მასში უეჭველად „თვით სასახლის მოვლაც“ იგულისხმება³, ან კიდევ სასახლის კარმიდამოზე რაიმე მსუბუქი სამეურნეო სამუშაოს შესრულება. „სასახლის სამსახური“ ზოგადი „სამსახურის“, —სადაც სამსახური ყოველგვარი შეიძლება ყოფილიყო ბატონის მიმდინარე მოახზონილებიდან და მიხედვით, —ერთ-ერთ კერძო ფორმად უნდა წარმოვიდგინოთ, რამდენადაც აქ სამსახური მაინცდამაინც სასახლით არის განსახლვრული.

სასახლესთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ ე. წ. „სასახლის მუშაობაც“ (ბიჭვინტის საბუთებში ასეთი არ შეგვხვდებოდა). აღნიშნული ვალდებულება ლ. მუსხელიშვილს „სასახლის სამსახურის“ შესატყვისად მიაჩნია, რომელიც „სასახლის მოვლასთან“ ერთად სამინდვრე-მიწის მუშაობასაც შეიცავს⁴. რომ „სასახლის მუშაობა“ სულ სხვა კატეგორიის ვალდებულება იყო, ვიდრე მიწისა და მინდვრის მუშაობა, ამაზე ის ფაქტი მიუთითებს, რომ ერთ და იმავე დროის ერთი და იგივე გლესის საბატონო ვალდებულებებში ჩვენ გვხვდება, „სასახლის მუშაობასთან“ ერთად, „ყანის მუშაობაც“, „ხერის მუშაობა“, „ხენა“, „მომკა“, „გალეწვა“ და სხვ.⁵ დასასრულს, თვით სახელწოდებათა განსხვავებულობა (სამსახური-მუშაობა) უეჭველად მათ შინაარსობლივ სხვაობასაც გვიჩვენებს, სხვანაირად ვერც წარმოვიდგენთ, რაკი ვიცით, რომ ფეოდალურ ურთიერთობაში ყოველი სოციალური ტერმინი საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა და გარკვეული დამოკიდებულების ამსახველი იყო. ლ. მუსხელიშვილის საბუთიანობა ამ ორი ვალდებულების იგივეობის დასამტკიცებლად საკმარისად არ მიგვაჩინა. მისი აზრით, საბუთებში და 1578 წლის საქუთათლოს დავთარშიც ზოგჯერ „სამსახური“ „მუშაობის“ მნიშვნელობითაც იხმარება, რომ აქ „ოჩის სამსახური“ (ყანის სამსახური) „ყანის მუშაობას“ უდრის და ეს იქიდან გამოდის, რომ ძველის მერმინდელ მინაწერში „ოჩის მუშაობაა“ ნახმარი „ოჩის სამსახურის“ მაგიერ⁶. ამის ანალოგიით მას შესაძლებლად მიაჩნია ბიჭვინტის დავთარში მოხსენებული „სასახლის სამსახურიც“ „სასახლის მუშაობად“ იგულისხმოს⁶. ჩვენის აზრით, საქუთათლოს დავთარი სრულებით არ იძლევა რაიმე კონკრეტულ საბუთს, რომ „ოჩის სამსახური“ „ყანის მუშაობად“ გავიგოთ⁷. და მეორეც, თუ ეს ორი ტერმინი თანაბარი მნიშვნელობისაა, მაშინ

¹ დიდი დავთარი. 23—24, 34—35.

² ლ. მუსხელიშვილი. ირ. ს. 277.

³ იქვე, 277, 279—280.

⁴ აველი საქ. IV, განყ. III, 5—7 და ა. შ. დასტურლამალი, გამოც., პ. უმიკაშვილისა, 26, 74, 1886.

⁵ ლ. მუსხელიშვილი. ირ. ს. 279.

⁶ იქვე, 280.

⁷ ლ. მუსხელიშვილს ვეთანხმებით იმაში, რომ „სამსახური“ იშვიათად ფართო მნიშვნელობითაც იხმარება, ყოველგვარი პირადი ვალდებულებების აღსანიშნავად. იქვე, 277; საბუთებში შეგვხვდებით ერთი და იგივე მოვლენის სხვადასხვანაირ დალაქტურ სახელწოდებებსაც, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ასეთი ახსნა ყოველად ძიულებელია.

გამოდის, რომ ამ ძეგლში ცნებები უსისტემოდ ყოფილა ნახმარი და მაშინ სხვა იგივეობებიც უნდა დავუშვათ, მაგ., „საყდრის სამსახური“ „საყდრის მუშაობად“ უნდა მივიჩნიოთ და ა. შ. ამის უფლებას, რა თქმა უნდა, ძეგლი სრულებით არ გვაძლევს¹.

ცხადია, აქ საქუთათლო დავთრის ტექსტის სხვადასხვა დროინდელი (თუ ეს ასეა) ტერმინთა განსხვავებულობას ვერ ახსნიდა. მესამე. თუნდაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქუთათლოს დავთარში ნამდვილად „ოჩის სამსახური“ „ოჩის მუშაობას“ უღრიდეს, მაინც ამ ფაქტის ლ. მუსხელიშვილისეული განზოგადება—ე. ი. ამის გამო საკათალიკოსო დავთრის „სასახლის სამსახურის“ საქუთათლო დავთრის“, სასახლის მუშაობის“ შესატყვისად გამოცხადება და აქედან დასაბუთება იმისა, რომ საერთოდ ზოგჯერ „მუშაობა“ „სამსახურის“ სინონიმად იხმარება ანუ პირიქით—სწორად არ გვეჩვენება. არსებული საბუთები მხოლოდ და მხოლოდ იმას გვიდასტურებენ, რომ საზოგადოდ „სამსახური“ და „მუშაობა“ სოციალური შინაარსითაც განსხვავდებიან. ამასთან ყოველი სოციალური ტერმინი კონსერვატულობით ხასიათდება. გამორიცხულია, რომ საბუთის ამა თუ იმ შემდგენელს ნებისმიერად ეხმარა ხან ერთი და ხან მეორე სახელწოდება. საინტერესო ისაა, რომ აღნიშნული ვითარება (განსხვავებულობა) კარგადაა ასახული გარეგნული ფორმითაც კი თვით საქუთათლოს დავთარში, ამდენად იგი ანალოგიისათვის არ გამოდგება: 1. დავთარში ყმა დემეტრადეს და სირბილაძეს საყმო ვალდებულებათა შორის ერთდროულად უწერიათ „სამსახურიც“ და „მუშაობაც“²; 2. ს. ბუბანში ყმა ლომიძეს მართებს „საყდრის მუშაობა“, იქვე მომდევნო მეორე გლესს კი „საყდრის სამსახური“³. საერთოდ ამ სოფელში 33 ყმას „საყდრის მუშაობა“ ადევს, 6 ყმას კი „საყდრის სამსახური“; 3. საქუთათლო დავთარი „სასახლის მუშაობის“ გარდა იცნობს სასახლის სამსახურსაც „კარის მსახურობის“ სახელწოდებით⁴. ამდენად სრულიად გამორიცხულია, რომ ამ ძეგლში „სასახლის მუშაობა“ სასახლის სამსახურის მნიშვნელობით იყოს ნახმარი; 4. საკათალიკოსო დავთარი, სადაც „სასახლის სამსახურია“ მოხსენიებული, 1622 წლის ძეგლია, ხოლო საქუთათლო დავთრისაგან (1578 წ.) იგი დიდად არაა დაშორებული. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით გამორიცხულია საკათალიკოსოს „სასახლის სამსახური“ ცალკე განსხვავებული მნიშვნელობისა არ იყოს და „მუშაობას“ უღრიდეს.

„სასახლის მუშაობა“⁵ ისეთივე კატეგორიის ვალდებულება იყო როგორც „საყდრის მუშაობა“⁶ „ეკლესიის მუშაობა“⁶, „ციხის მუშაობა“⁷, „ქალა-

¹ ძვ. საქ. IV, განყ. III, 43.

² ძვ. საქ. IV, განყ. III, 45, 52.

³ იქვე, 43.

⁴ იქვე, 42.

⁵ იქვე, 4, 5, 23 და ა. შ.

⁶ ბერძენიშვილი. დოკუმენტები...172; ძვ. საქ. IV, განყ. III, 24, 35 და ა. შ.

⁷ ბერძენიშვილი. op. c. 24; საქ. სიძვ. II 19, 21; დასტურლამაძე, 126; საქ. სიძვ. III, 299; საქ. სიძვ. I, 12; ქრ. II, 392.

ქის მუშაობა“¹, „გალაენის მუშაობა“², „წისკეილის მუშაობა“³, „რუს მუშაობა“⁴ და სხვ. ყველა ამ შემთხვევაში მუშაობა ნაგებობასთან არის დაკავშირებული, ამდენად, ცხადია, მასში მშენებლობითი ხასიათის სამუშაო იგულისხმება და არა სამეურნეო—მიწის მუშაობა. სქოლიოში მითითებული მასალებიდან ეს თვალსაჩინოდ ჩანს. აქ მოვიყვანთ ერთ პირდაპირ ცნობას, სადაც გამოთქმა „სასახლის მუშაობა“ უშუალოდ სასახლის შენებას უდრის. „ბატონიშვილის დაეთის სასახლის მუშაობას ხელი მივყავით, იმის ხარჯი ამას ქვევით სწერია“ და ჩამოთვლილია სასახლის აშენებაზე და ხარჯული მასალა (ქვა და სხვ.), კალატოზებისა და ხუროების ხელფასი⁵. ან ავიღოთ „დასტურლამალიდან“ ერთი ადგილი, სადაც სასახლეზე მუშაობა, როგორც მშენებლობა, მკვეთრადაა გამიჯნული სამინდვრე მუშაობასთან. „სამეფოს კაცს სადედოფლოდ ვერ ამუშაებენ და მეფეს თუ ეპრიანება, სადედოფლოს კაცს რუზედ, სასახლეზედ და გაჭირებულს მუშაობაზედ ამუშაებენ. მაგრამ სამკალად და სალენწავად კი არა აქუს ჯელი სადედოფლოს კაცთან“⁶.

ცნობილია, რომ ძველ საქართველოში შრომითი ვალდებულების ერთ-ერთ სახეს მშენებლობებზე მუშაობაც შეადგენდა. საბეგრო ნუსხებში ეს ჩვეულებრივად „მუშაობით“⁷ აღინიშნებოდა. ხოლო ზოგჯერ კონკრეტული ფორმითაც იყო დასახელებული ისე, როგორც ეს ზემოთ არის მოყვანილი, „ციხის მუშაობა“, „გალაენის მუშაობა“ და ა. შ. „სასახლის მუშაობაც“ ასეთივე კონკრეტულ ფორმად უნდა მივიღოთ. ჩვენ აქ ფართოდ არ ვეხებით ამ საკითხს, რადგან იგი ჯერ ერთი სპეციალური კვლევის საგანია, მეორეც, მოტიანილი საბუთები საესებით საკმარისად გვეჩვენება გამოთქმული დებულებების ნათელსაყოფად⁸.

აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენი განმარტება „სასახლის მუშაობის“ შესახებ XVI ს. ადრე პერიოდს არ გულისხმობს.

¹ ნ. ბერძენიშვილი. ოპ. ც. 24; დასტ. 124.

² ნ. ბერძენიშვილი. მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის, 266, 1938.

³ იქვე, 40.

⁴ იქვე, 298, დასტ., 80.

⁵ ნ. ბერძენიშვილი. ოპ. ც. 174.

⁶ დასტ. 80.

⁷ „მუშაობა“ ყმას ავალდებულებდა საერთოდ საქირებისდა მიხედვით ყოველგვარი ფიზიკური სამუშაო შეესრულებია მათ შორის საამშენებლოც, სამინდვრეც და სხვ.

⁸ მაგ., ერთ საბუთში, სადაც ციხის შენებაზეა ლაპარაკი, პირდაპირ მითითებულია: „თუმცა მუშით შემეწიენენ მაგრამ მე რაც დამიხარჯავს, იმას ვაფასებ, ამიტომ რომ ბეგრის მუშით ის ციხე და გალავანი არ აშენდებოდა“ (ე. ი. მარტო ბეგრით გამოყვანილი მუშა საკმარისი არ იყო, დავიკირავე სხვებით), საქ. სიძვ. III, 299; საამშენებლო ხასიათის სამყო ვალდებულებათა შორის გვხვდება შედარებით კონკრეტული ვალდებულებანიც: „საყდრის კედლა“, „ყავრის მიტანა“ (ძვ. საქ. სიძვ. IV, განყ. III, 43 და სხვ.), „ქვის ზიდვა“, „ეკლესიის გალავნის შემოვლება“, „სახლების შეკეთება და კედლების გალესვა“ (დასტ. 26, 124, 126), „სილის მიტანა“ (დას. საქ. საეკლესიო საბ. II, 155). არსებობდა საამშენებლო მასალებზე გადასახადებიც: ყავარი, ფინი, ლარძაყინი, ლურსმანი (ძვ. საქ., IV, განყ. III, 13, 24, 60 და სხვ.).

სასახლის სამეურნეო მომსახურეობასთან არის დაკავშირებული საკათალიკოსო ყმათა ერთი გარკვეული ჯგუფი ე. წ. „მოსასახლე“. მოსასახლე ისეთი გლეხი იყო, რომელიც სასახლის კარმიდამოზე ცხოვრობდა და სასახლეს ემსახურებოდა, მისი ვალდებულება მხოლოდ სხვადასხვა სახის საკარმიდამო-სამეურნეო მუშაობაში გამოიხატებოდა. მოვიყვანოთ საბუთები: ბიჰვინტის კათალიკოსი ამბობს: „მე გავაწყობინე სასახლე მისის სათიბთა... და ერთის შინ მოსასახლის კვამლის კაციოთა; ხიბულას...სასახლე გამიკეთებია ერთი კვამლი კაცი ჩემის თეთრითა მიყიდია და შინ მოსასახლეთ დამისახლებია...ხოირს სასახლე არ იყო, სასახლე ადგილი...ჩემის ალალის თეთრით მიყიდია და სამი (მოსასახლ)ეთ ჩამისახლებია“¹; ნაგვანაურს ცარიელი უსახლკარო სასახლე ადგილი მომაქრთამა ორის მოსასახლითა... სასახლე გავაკეთებინე“ და სხვ. მაგ., თილითის სასახლეში მოსასახლე ჯიქია მებოსტნე იყო, ხიბულის სასახლეში იხსენიებიან „მეხარდნე“ და „მესალობე“ მოსასახლენი, წყალიძგას მეთევზენი². ასე ამრიგად, სასახლეში შრომა განაწილებული იყო და ყველა გარკვეულ სამუშაოს ასრულებდა. მალაქიას განცხადება სასახლეში „სამუშაო საქმე ყველა გამიჩენია და გამირიგებია“-ო სწორედ ამაზე მიუთითებს³.

ისმის კითხვა: გლეხთა კატეგორიის რომელ სოციალურ ფენს ეკუთვნოდნენ მოსასახლენი? ლ. მუსხელიშვილისა და ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით მოსასახლე იგივე მოჯალაბეა⁴. საბუთების სიმცირე საშუალებას არ იძლევა გავარკვიოთ მოსასახლის თავისებურებანი, რაც მას, როგორც საეკლესიო სენიორის მოჯალაბეს, უეჭველად გააჩნდა. არსებული საბუთები აშკარად იმაზე მიგვითითებენ, რომ მოსასახლე, როგორც წესი, მოსახლე გლეხია, ეს გარემოება კი იმას გვაფიქრებინებს, რომ მას სარჩო მამულიც უნდა ჰქონოდა. მომდევნო დროის საბუთში ეს პირდაპირაც არის მითითებული⁵. რაც შეეხება მოსასახლის მებეგრეობას, ამის მხოლოდ ერთი მაგალითი შეგვხვდა (საქუთათლო დაეთარში დასახელებულია ერთი მოსასახლე, რომელსაც ბეგარა-გამოსალები ადევს, მაგრამ დაკლებული რაოდენობით, ვიდრე სხვა გლეხებს⁶). აღნიშნული მოვლენა საერთო დამახასიათებელი არ იყო მოჯალაბე-მოსასახლისათვის. მოჯალაბეთა დაბეგვრა კი ჩვეულებრივადაც შეინიშნება. XVII ს-ის საერო საბუთებში, და შემდეგაც, ტერმ. მოსასახლე ჩვენ არ შეგვხვედრია. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ საერო პირნი შეწირულობის საბუთებში შეწირულ სასახლეს „მოჯალაბით“ ასახელებენ, ხოლო კათალიკოსები სასახლეს „მოსასახლით“ იხსენიებენ⁷. იქნებ ასეთი გა-

¹ საქ. სიძე. I, 34.

² საისტ. მოამბე, II, 190—191, 1925.

³ იქვე.

⁴ ლ. მუსხელიშვილი. ოპ. ც. 317; საქ. მეცნ. აკადემიის ნ/წ. ნ. ბერძენიშვილის სიტყვიერი შენიშვნა.

⁵ საისტ. მოამბე, II, 1925, 190—192; დას. საქ. საეკლ. საბ. I, 140—143; 154; II, 80, 117.

⁶ ძვ. საქ. IV, განყ. III, 22.

⁷ ქრ. II, 451—452; 477; საისტ. მოამბე II, 190—192, 1925; საქ. სიძე. I, 34.

მიჯენა, თუ მას ნამდვილად ადგილი ჰქონდა, ერთი მოვლენის სხვადასხვა წრეში (საეკლესიო-საერო) გაცნობიერების შედეგად იყო გამოწვეული, რომ კათალიკოსი „მოჯალაბეს“ ვერ იხმარდა, რადგან მას როგორც ბერს ჯალაბი (დედაწული, ოჯახი) არ ჰყავდა. და ეტყობა, ამ დროისათვის საკათალიკოსო საბუთებში ჯერ კიდევ იცავდნენ ამ წესს. დამოუკიდებლად ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოსასახლე ძველი ქართული ადგილობრივი ტერმინია, რომელსაც შემდეგში სცვლის უცხოური წარმოშობის სიტყვა მოჯალაბე¹. ეს უკანასკნელი პირველად დადასტურებული გვაქვს მხოლოდ 1637 წელს², ხოლო ყოველად შეუძლებელია ამაზე ადრე ფეოდალურ ურთიერთობაში მოჯალაბეობის მოვლენას ადგილი არ ჰქონოდა. საყურადღებოა, რომ მოსასახლე უფრო ადრე გვხვდება, 1578 წელს³. თუ აქ წყაროების სიმცირე ხელს არ შეგვიშლის, მაშინ ეს ფაქტი შეიძლება გამოთქმული დებულების დამამტკიცებლად ჩავთვალოთ.

აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნისათვის ბიჭვინტის სენიორიაში ტერმინი მოსასახლე ქრება და შესაბამის ადგილზე მოჯალაბე ჩნდება. მაგ., 1733 წ. გრიგოლ კათალიკოსი წერს: „შემოგწირე⁴ ბარისთავს სასახლე ვარდისგორა კბოში გაწყობილი ერთის მოჯალაბით“; 1776 წ. მაქსიმე კათალიკოსს ანგარიშის წიგნში ჩაუწერია: „ქუთაისის სოფია წმ. ეკლესია და სასახლე ერთის მოჯალაბით“⁴.

საკათალიკოსო ყმა-მამულის მართვა-გამგეობა სასახლეების მეშვეობით წარმოებდა. სასახლეში მოხელეთა გარკვეული შტატი არსებობდა, რომელთა შორის იხსენიებიან: „სასახლის მოხელე“, „ზედამდეგი“, „გამრიგე კაცები“, „კათალიკოსის მაგიერი კაცი“. ამ მოხელებს შეწერილი ბეგრის პატრონობა და მისი დანიშნულებებისამებრ მოხმარა ევალებოდა, სააღაპო შესავალ-გასავლის გარიგება და სხვ. „საწირავი და ანუ აღაპში გასაცემელი მარილი და ანუ სააღაპოჲ ვის მართებს, ყველა სიგელშიდან დამიწერია, ისრე იქმოდენ. ბატონისა კათალიკოსისა სასახლისა მოხელე და ზედა მდეგი და გამრიგე კაცები ასრე გაარიგებდეს, როგორც გამიჩენია“; ან „კათალიკოზისა სასახლეში აღაპსა იქმოდენ ბატონისათვის, კათალიკოსის მაგიერი კაცი გაარიგებდეს როგორადაც გავგეჩინოს, ისრე“⁵. — სასახლის მოხელეთა მოვალეობაში, ბუნებრივია, კათალიკოსის დახვედრა-გამასპინძლებაც შედიოდა. მოხელეთაგან მოურავიცაა მოხსენიებული, მისი მოვალეობა ჩვეულებრივი ჩანს: იგი ყმა-მამულში მოქმედობს და სამოურაოც ეძლევა“. საბუთების სიმცირე საშუალებას არ იძლევა სასახლის მოხელეთა უფლება-

¹ მოჯალაბის სინონიმია მეგრ. „დეღმანორე“ და „მეაზორე“ (ს. კაკაბაძე, საისტ. კრებული, I, 1928, I, III, 20; დას. საქ. საეკლ. საბ. I, 141; კ. ბოროდინი, რაფ. ერისთავი და მურიე, ბატონყმობა სამეგრელოში, თარგ. თ. სახოკიასი, 86). „სახლეულიც“ უნდა მივიჩნიოთ მოჯალაბის სინონიმად „მოსასახლის“ პარალელურად. იხ. Н. Бердзениш-ვილი, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии. 3, 1938.

² ლ. მუსხელიშვილი. ორ. ს. 31c.

³ ძვ. საქ. IV. განყ. III, 22.

⁴ დას. საქ. საეკლ. საბ. I, 140—142, 152, 160; II, 56.

⁵ დიდი დავთარი, 49.

⁶ დას. საქ. საეკლ. საბ. I, 22.

მოვალეობანი და იერარქიული დამოკიდებულება ამომწურავად გავაშუქოთ. ქვემომოტანილ ტექსტიდან კარგად მოჩანს ის ფაქტი, რომ სასახლეს ერთი გამგე—უფროსი ჰყავდა, რომელსაც იმავე დროს მოურაობაც შეიძლება ჰქონოდა. „ბიკვინტის ღთის მშობლისათვის შემიწირავს გუშტიბის სასახლე გლეხებით, მიწა-მამულითა, ტყითა, ველითა, წყლითა, სანადიროთა, რაც გუშტიბის შემავალია... ჩემის მოძღვრის ზებედეს ხელთ შემიგდია, ვერცა მოურაობას შეეცილება კაცი, ისრე ხელთ მიმიცემია“¹.

სასახლეები ბიკვინტის საკათალიკოსოში ყოველთვის არსებობდა, მაგრამ XVII საუკუნეში მათი სიმრავლე განსაკუთრებით შეინიშნება. XVII ს-დე კათალიკოსის განკარგულებაში მრავალი უსასახლო მამულიც ითვლებოდა. ასე მაგ., მალაქია კათალიკოსამდე სასახლე არ ყოფილა: ნავენახევს, მანთხოჯს, ჯიქთუბანს, ნაგვაზაუს, ხიბულას, ხოირს, თილითს, ხაუჟელს, ოცხანას, სუბეისს. მეტად დამახასიათებელია, რომ ამ ფაქტს იმდროინდელი წყარო საგანგებო აღნიშვნის საგნად ხდის. „ხოირს სოფელი იყო და სასახლე არ იყო“; „ჯიქთუბანს სასახლე არ იყო და მე ამიშენებია“². XVII საუკუნის დასასრულიდან სასახლეთა რიცხვი საგრძნობლად კლებულობს, კათალიკოსები უკვე ძველებურად აღარ აშენებენ სასახლეებს, რაც აქვთ ან ძველთაგან შემორჩენილია, ან შეწირულების სახით შემდეგ შეძენილი. საყურადღებოა ისიც, რომ იგივე მამული, რომელშიც ძველად სასახლე იყო, ახლა უსასახლოა (ჯიქთუბანი, წყალიძგა, გეგუთი³).

სასახლეთა მეტ-ნაკლებობა საუკუნეთა სიგრძეზე ერთგვარად იყო დაკავშირებული მეურნეობის საერთო აღმავლობასთან. მაგ., სასახლეთა ზრდას XVII ს-ის პირველ ნახევარში, უეჭველია, ხელს უწყობდა ამ დროისათვის მეურნეობის საერთო აღმავლობა. მეურნეობის მოწესრიგება დიდად იყო დამოკიდებული აგრეთვე თვით მეურნეობის ხელმძღვანელზეც. სწორედ მალაქია გურიელის ძე, რომელიც სათავეში ედგა ამ დროისათვის ბიკვინტას, სასახლეთა აქტიურ მაშენებლად და, საერთოდ სხვა კათალიკოსთა შორის, ყველაზე ენერგიულ ორგანიზატორად გვევლინება. სასახლეთა გამრავლებაზე გავლენა ჰქონდა მეურნეობის ხასიათს და მასთან დაკავშირებით ბეგრის სახეობასაც. 1622 წლისათვის (წინა პერიოდისათვის მასალა არა გვაქვს) მეურნეობის მთავარ დარგს მიწათმოქმედება და მეცხოველეობა შეადგენდა. ბეგარა ძირითადად ნატურალური იყო, ფულადი კი უმნიშვნელო, ამასთანავე კათალიკოსს ძალზე დიდი შემოსავალი ჰქონდა (ღვინო 2365 კოკაზე მეტი, ღომი 400 კოდაზე მეტი, ქერი 67 კოდი, საკლავი და ქათამი 1200-ზე მეტი, პური შედარებით ნაკლები იყო; პური დამცხვარი 1050 ცალი, რამდენიმე ასეული კვერციხი და სხვ.). ასეთი ვითარების დროს შორი-შორ განლაგებულ მამულებში უფრო მეტად იქნებოდა საპირო სასახლეების როგორც სამეურნეო ბაზების გამრავლება, ვიდრე ფულადი ან მცირე შემოსავლიანობის პირობებში. ბეგრის რაოდენობა XVIII ს-ში საგრძნობლად მცირე უნდა ყოფილიყო რამდენა-

¹ op. c. 82—83.

² საისტ. მოამბე. II, 190—192, 1925.

³ დას. საქ. საეკლ. საბ. II, 54—57; ს, 131—147.

დაც, როგორც გამორკვეული გვაქვს, მეურნეობის დონე ამ დროისათვის შედარებით დაბალია. ბეგრის სახეობის შესახებ ის ვიცით, რომ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში გრიგოლ კათალიკოსმა ერთგვარი „რეფორმა“ ჩაატარა: ძველი სულადი გადასახადის ნაწილი და იმ დროისათვის უკვე დაკარგული ფულადი ბეგარა შესცვალა სასაქონლო მნიშვნელობის სანთლის ბეგრით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკათალიკოსო მამულთა უმეტესი ნაწილი XVIII ს-ში იმერეთში ექცევა, კათალიკოსის რეზიდენციის ახლოს (გელათი-ქუთაისი) და სახასო ხოდაბუნები საგრძნობლად იკლებს. ამასთან ერთად მსხვილი მამულები შედარებით ცოტა გვხვდება, უმეტესობა წვრილ ერთეულებს წარმოადგენენ. ყოველათვე ეს უარყოფით გავლენას ახდენდა სასახლეთა განვითარებაზე XVIII ს-ში¹.

ბიჭვინტის სენიორიაში მრავალსახლიანობას ამართლებდა კათალიკოსის განსაკუთრებული პოლიტიკური მდგომარეობაც. XVII საუკუნეში მამულების უმეტესი ნაწილი რეზიდენციიდან საკმაოდ დაშორებულ პუნქტებში იმყოფებოდა, ხოლო რაც მთავარია ერთმანეთთან ხშირად მტრულად განწყობილ პოლიტიკურ ერთეულებში (გურიისა და სამეგრელოს სამთავროებში, იმერეთის სამეფოში). გასაგები ხდება, თუ ასეთ პირობებში განსაკუთრებულად და მრავალმხრივ იქნებოდა საკირო მტკიცე საურთიერთო ბაზების შექმნა მარტო იმისათვისაც კი, რომ ქვეყნის პოლიტიკურ გათიშულობას არ ემოქმედა სენიორიის მთლიანობაზე, არის სხვა გარემოებაც: ვინც ბიჭვინტის საბუთებს თვალს გადაავლებს, ის ადვილად შეამჩნევს, რომ ბიჭვინტის კათალიკოსი შედარებით სხვა მღვდელმთავრებთან არაჩვეულებრივად ბევრს დადიოდა ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში, განსაკუთრებით ხშირად ის ოდიშის სამთავროში იმყოფებოდა. ეს გარემოებანი კი მხოლოდ სამწყსო-სამამულო მიზეზებით არ აიხსნებოდა. აქ გარკვეული როლი მის პოლიტიკურ ორიენტაციასაც ჰქონდა. ცნობილია ბიჭვინტის კათალიკოსზე ფეოდალთა ძლიერი გავლენიანობის ფაქტი, კათალიკოსი ამა თუ იმ პოლიტიკურ დავას ხშირად გვერდში ედგა. ეს მომენტიც ერთგვარ გამართლებას იძლეოდა, რათა კათალიკოსს არა ერთი საჯდომი—სასახლე ჰქონოდა სხვადასხვა ადგილას და განსაკუთრებით, ამ დროისათვის, ოდიშში².

დასკვნა

ბიჭვინტის ფეოდალურ მეურნეობაში სასახლეები სამეურნეო-საგამგეო ცენტრებს წარმოადგენდნენ: მთელი საკათალიკოსო ყმა-მამული სასახლეებზე იყო განაწილებული, ყოველ ცალკეულ მამულში ცალკე სასახლე იყო; საგლეხო

¹ ბიჭვინტის საკათალიკოსოს მეურნეობის ისტორია განხილული გვაქვს ცალკე თავად ჩვენს დასახელებულ შრომაში, სადაც ყოველ აქ მოტანილ დებულებას სათანადო საბუთები ერთვის (მამულებისა, ყმათა, ბეგარათა. შემოსავლის ცხრილები და სხვ.). მკითხველს რომ შემოწმების საშუალება აქვე მიეცეს, მიუთითებთ ზოგ მთავარ წყაროს: დიდი დავთარი; დას. საქ. საეკლ. საბ. I, 88, 89—96, 101—109, 131—147, 128, 151—156; II, 54—57.

² ჩვენი დასახ. შრომა.

მეგარა—გამოსაღები სასახლეებში გროვდებოდა; სასახლეებს გარს ერტყა ზვრები, ბოსტნები, ბაღები, ყანები, საძოვრები. სასახლეები გლეხთა ექსპლოატაციის ერთ-ერთი ტექნიკური საშუალება იყო: ყოველგვარი ბატონყმური ურთიერთობა კათალიკოსსა და საყმოს შორის სასახლეების მეშვეობით ხორციელდებოდა.

Б. Р. ЛОМИНАДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ ОРГАНИЗАЦИИ ФЕОДАЛЬНОГО ХОЗЯЙСТВА В ПОЗДНЕФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ

Резюме

В Бичвинтском феодальном хозяйстве „дворцы“ являлись центрами хозяйственного управления: все принадлежавшие католикосу земли и крестьяне были распределены по этим „дворцам“, в каждом отдельном имении был отдельный „дворец“; и повинности и подати с крестьян собирались в том же „дворце“, окруженном виноградниками, огородами, садами, пашнями и пастбищами. „Дворцы“ являлись одним из технических средств эксплуатации крестьян: крепостнические отношения между католикосом и его крестьянами осуществлялись посредством этих „дворцов“.

უმოდალური საქართველოს პოლიტიკური დაზღვის ისტორიიდან

(XIII ს-ის შუა წლებიდან XIX ს-ის დამდეგამდე)

I. გურიის სამთავროს წარმოშობისა და გურიელების ვინაობის საკითხისათვის

გურია ძველი დროიდანვე პოლიტიკურად მთლიანი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ცენტრალური ხელისუფლება ამ კუთხეს ერისთავის ან ერისთავთ-ერისთავის მეშვეობით განაგებდა. ერისთავთა ხელისუფლების ნიადაგზე აღმოცენდა აქ მერმინდელი მთავრის ხელისუფლება.

გურიის ერისთავის შესახებ ცნობა დაცულია შემოქმედის მაცხოვრის ზურგის სამოსელზე გაკეთებულ ასომთავრულ წარწერაში¹. ეს წარწერა გამოცემული აქვს დიმ. ბაქრაძეს. იგი ასე იკითხება: „ქ. ქ[ა]ტო ღმრთებისა... მეოჯ და მფ[არ]ველ ექმენ ერისთავთ ერისთა[ვ]თ და ს[ვ]ანთ ე[რ]ითავ[თ]თა გორიელ[ს]ა კაჯ[ა]ბერს...“².

წარწერა უთარილოა, მაგრამ მასში დასახელებულ კახაბერს დიმ. ბაქრაძე თვლის იმ კახაბერად, რომელიც ლიხაურის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში იხსენიება³. დიმ. ბაქრაძის მოსაზრება ჩვენ სწორად მიგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში არა გვაქვს რამე საფუძველი მის მოსაზრებაში ექვი შევიტანოთ. მაგრამ იგი საეჭვოც რომ იყოს, ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ჩვენთვის ლიხაურისა და შემოქმედის წარწერების კახაბერთა იგივეობა კი არაა საინტერესო, არამედ ის, რომ შემოქმედის მაცხოვრის ხატის წარწერაში იხსენიება ერისთავთ-ერისთავი გურიელი კახაბერი⁴. აქედან

¹ გურიის ერისთავი სხვა წარწერებშიც იხსენიება, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

² Дм. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Аджаре. СПб, 1878, გვ. 142 (შემდეგში ვასახელებთ მოკლედ: АПГА).

³ ამ წარწერაში ვკითხულობთ: „ქ. მ. ყოვლად წმინდა]ო მეოხ და მფ[არ]ველ ექმენ] ქ[ა]ტონსა კ[ა]ხ[ა]ბ[ე]რს...“ АПГА, გვ. 109. „ქ. მ.“-ს დიმ. ბაქრაძე კითხულობს „ქორონიკონს 40-ს...“ და ამის მიხედვით წარწერას 1352 წლით ათარიღებს (იქვე). ექვთ. თაყაიშვილსაც ამ წარწერის „ქ. მ.“ ქორონიკონ 40-ად მიაჩნია. იხ. მისი „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“, „მოამბე“, № II, 1901, გვ. 23. თ. ჟორდანიას აზრით, ასო „ქ“ ქორონიკონს კი არ აღნიშნავს, არამედ „ჩვეულებით სათაურში დაისმის და ნიშნავს ქ (ქრისტიანე); ხოლო შემდეგი ასო უნდა იყოს არა შ, არამედ ს და ამგვარად ზემომოყვანილი წარწერა ასე უნდა წაიკითხოს: „ქ. გ ყდ წო...“ და სხ. (ქორნიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წ. II, ტფ., 1897, გვ. 183), ჩვენი აზრით თ. ჟორდანიას შესწორება მართებულია.

⁴ ასომთავრული დამწერლობისათვის „უ“-ს „ო“-თი აღნიშვნა ჩვეულებრივია. ამიტომ შემომოტანილი წარწერის „გორიელს“ ვკითხულობთ „გურიელ“-ად.

ცხადია, რომ გურიელი თავდაპირველად ერისთავთ-ერისთავი იყო, გურია კი საერისთავთ-ერისთავო. ასეთი დასკვნის უფლებას გვაძლევს ჯუშმათის მთავარ-ანგლოზის ხატის წარწერაც, სადაც მოხსენებულია ერისთავთ-ერისთავი გიორგი გურიელი¹.

ძნელია ზუსტად იმის განსაზღვრა, თუ როდის ჩამოყალიბდა გურიის საერისთავო, მაგრამ ქაიხაბაძის წყაროების თხზულებიდან ნათლად ჩანს, რომ ეს ტაქტი რუსუდანის მეფობის დროს მოხდა, სახელდობრ, ხორეზმშიაჰ ჯალალედინისაგან ლტოლვილი რუსუდანის დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ და დავით ნარინის მონღოლთა ყაენის ურდოში გამგზავრებაზე წინ, ე. ი. 1226—1242 წლებს შუა².

თამარ მეფის დროინდელ ერისთავთა სიაში იქ, სადაც ჩამოთვლილია ოდიშისა და სხვა კუთხის ერისთავები და სადაც მოსალოდნელი იყო გურიის ერისთავის დასახელება, გურიის ერისთავი ან გურიელი არა ჩანს. თამარის ისტორიკოსები არც სხვაგან იხსენიებენ გურიელს. ქართულ საისტორიო მწერლობაში გურიელის ხსენება პირველად ქაიხაბაძის წყაროების თხზულებაში გვხვდება. დასახელებული ავტორი, მოგვითხრობს რა რუსუდანის მონღოლებთან დაზავების შემდეგ დავით ნარინის მეფედ დასამტკიცებლად დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთში გადმოსვლისა და ბარდაეს ნოინთა ბანაკში გამგზავრების ამბებს, წერს: „...ხოლო რუსუდან თანა წარატანა ყოველი მთავარნი ლიხთ-იმერნი, დადიანი ცოტნე, კაცი პატიოსანი და სათნოებიანი და ბრძოლათა შინა-სახელოვანი, ბედიანი, რაჟის ერისთავი, გურიელი და ყოველნი წარჩინებულნი“...“

XIII ს-ის 40-იან წლებამდე საქართველოს დიდ ხელისუფალთა შორის გურიელის მოუხსენებლობა მემკვიდრეთა უბრალო გულმაკვიწყობით კი არ უნდა იყოს გამოწვეული, არამედ იმით, რომ ამ დრომდე გურიელის ხელისუფ-

¹ АИП.А, гв. 262. ერისთავთ-ერისთავის თანამდებობით გურაელი გვხვდება ახალციხის ხარზმის წარწერაშიც (იხ. Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. I, Тиф., 1905, гв. 44).

„ერისთავთ-ერისთავ...გურიელ“-ში არ უნდა ავურიოთ მერმინდელი ხანის გურიის ერისთავი ან „გურიელის ერისთავი“, რომლის ხელისუფლება გურიის სამთავროს ჩამოყალიბების შემდეგ გურიელის მიერ იქნა დაწესებული.

² ვახუშტის გადმოცემით, 786 წელს ლეონ აფხაზთა მეფემ დასავლეთ საქართველო 8 საერისთავოდ გაჰყო. ამათგან მეოთხე საერისთავოს გურია წარმოადგენდა (იხ. მისი საქართველოს ცხოვრება, ხ. ჭიჭინაძის გამ. მეორე, თბ., 1913, გვ. 271).

ვახუშტის ამ მონაცემის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გურიის საერისთავოს ჩამოყალიბება VIII-ს მეორე ნახევარში მომხდარა. მაგრამ ვახუშტის ეს ცნობა, ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში (ლეონტი მროველის, ჯუანშერის, მათიანე ქართლისაჲს, დავითის და თამარის ისტორიკოსებისა და ქაიხაბაძის წყაროების თხზულებებში) დადასტურებას ვერ პოულობს. მიუხედავად ამისა, ვახუშტის ეს ცნობა მეტად საყურადღებოა. ვახუშტის ცნობას იმეორებს ნიკოლოზ დადიანი თავის „ქართველთა ცხოვრება“-ში (იხ. აკად. ს. ჯაფარიძის სახელობის საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ფონდი S № 9, გვ. 150—160. შემდეგში ნახევრები იქნება საბუთის მხოლოდ ფონდი და ნომერი).

³ ქაიხაბაძის წყაროები, ქართლის ცხოვრება. ხ. ჭიჭინაძის გამოც. მეორე, ტფ., 1897, გვ. 531.

ლება არ არსებობდა. ხოლო როცა ის გაჩნდა, ჟამთაღმწერელს მისი დასახელება არ დაეიწყებია. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ დიდ მოხელეთა ჩამოთვლისას გურიელს იგი ყველაზე ბოლოს ასახელებს: გურიელი, როგორც ახლად წარმოქმნილი ხელისუფლების მეთაური, პატივით დადიანზე, რაჭის ერისთავზე თუ სხვა დიდ მოხელეებზე დაბლა იდგა. მათი დასახელება ამ პრინციპის მიხედვით ხდებოდა. შემდეგაც ყოველთვის, როცა მეფე-მთავრებსა თუ სხვა პირთა შორის დადიანისა და გურიელის მონაწილეობით გაბჭობის, ერთობის თუ ფიცისა და პირობის წიგნი იღებოდა, მათში გურიელი ყოველთვის დადიანის შემდეგ მოიხსენიებოდა.

ესხა იბადება კითხვა: თუ გურიელის, როგორც ერისთავთ-ერისთავის, ხელისუფლება XIII ს. 40-იან წლებში აღმოცენდა, ვინ განაგებდა მანამდე გურიას? მართალია, საქართველოს ერთიანობის ხანაში ის ფეოდალური მონარქიის ფარგლებში შედიოდა, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლება ხომ სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეებს ერისთავების საშუალებით მართავდა. მაგალითად, თამარის დროს ოდიშსა და სხვა ქვეყნებში ერისთავები სხედან, გურიის მმართველად კი XIII ს. 40-იან წლებამდე არც ერისთავი ჩანს და არც გურიელი¹. საინტერესოა: როგორ ახორციელებდა ცენტრალური ხელისუფლება ამ ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეს. ამ საკითხის გასაშუქებლად საინტორიო წყაროებში პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება (ეს საკითხი არც შედის უშუალოდ ჩვენი თემის ფარგლებში), მაგრამ ზოგი არაპირდაპირი მონაცემების მიხედვით საფიქრებელია, რომ გურია XIII ს-ის 30-იან წლებამდე ოდიშის ერისთავის საგამგეოში შედიოდა². ხოლო ოდიშის ერისთავის სამფლობელოდან გურიის პოლიტიკური გამოყოფა აღნიშნული საუკუნის 30—40 წლებში მოხდა.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ჟამთაღმწერლის თხზულებაში გურიელი მხოლოდ ერთ შემთხვევასთან დაკავშირებით იხსენიება. იგი მონღოლთა ნოინების ბანაკში 'მიმავალ ნარინ დაეითის' ამაღლაში არის წარმოდგენილი. მომდევნო ამბების აღწერილობაში გურიელი არ ჩანს. როგორც თვით ჟამთაღმწერლის თხზულებიდან არის საგულისხმებელი, ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ დაეით ნარინის მონღოლთა ნოინების ბანაკში გამგზავრების შემდეგ ჩქარა საქართველოში მონღოლთა ხელისუფლებამ მმართველობის

¹ გურიის სამთავროს ჩამოყალიბებამდე გურიელი გურიის ერისთავთ-ერისთავის ან ერისთავის სინონიმად ჩანს.

² აღსანიშნავია, რომ თამარ მეფის ისტორიკოსის თქმით, თამარის წინააღმდეგ ამხედრებულმა ვარდან დადიანმა „შეყარა... ყოველი სუანეთი, აფხაზეთი, საეგროა გურიითა, სამოქალაქოა, რაჭა-თაკურთი და არგუეთი...“ (იხ. ისტორიანი და აზმანი შარავანდელთან, აკად. ძ. კეკელიძის რედ., თბ., 1941, გვ. 91). აქ გურია, ისე როგორც სხვა დასახლებული ქვეყნები, ვარდან დადიანის სამფლობელო ჩანს. იმავე ისტორიკოსის გადმოცემით ვარდან დადიანი „ლიხთ-აქაეთ პატრონი ორბეთისა და კაენისაჲ, ლიხთ-იქით-ნიკოფსამდი უცილობლად მქონებელი...“ იყო (იქვე). ამ „ნიკოფსამდი“-ში, ვფიქრობთ, იკულისხმება გურიაც.

ვახუშტის თქმით, გურია ძველად „ოძრავოს“ ერისთავს ემორჩილებოდა, მაგრამ, როცა ლეონ აფხაზთა მეფე გაბატონდა, მაშინ გურია განუდგა „ოძრავოს“ ერისთავს და ლეონს „მიერთო“ (იხ. მისი აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 174).

რეორგანიზაცია მოახდინა და „ყოველი იმერი სამეფო“ ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავს „ხელთუდვა“¹. ამის შემდეგ ბუნებრივია, რომ მემკვიდრე გურიელს დასავლეთ საქართველოს დიდ მოხელეთა შორის არ ასახელებს².

უმათაღმწერლის თხზულებაში მოხსენებული გურიელი გურიელების ყველაზე ადრინდელი წარმომადგენელია. მაგრამ მემკვიდრე მისი სახელი აღნიშნული არა აქვს. პირველი სახელებით ცნობილი გურიელი არის სვიმონი. იგი XIV ს-ის მოღვაწე ჩანს³. სვიმონის შემდეგ, XV ს-ის მეორე ნახევარში, ისტორიის ასპარეზზე კახაბერი გვევლინება⁴. ამ დროიდან მოყოლე-

¹ უმათაღმწერელი. გვ. 541.

² ვახუშტი თავის „საქართველოს ცხოვრება“-ში გურიელს XIV-ის 20-იან წლებიდან იხსენიებს, მაგრამ გურიელების რომელიმე კონკრეტულ წარმომადგენელს გიორგი VIII-ის დრომდე (1446—1466) არ იცნობს (იხ. გვ. 235).

„მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორს ბაგრატ IV-ის (1027—1072) დროინდელი ამბების მოთხრობისას ნახსენები აქვს „გურიელნი აზნაურნი“ (ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. თბ., 1941, გვ. 186). ამ „გურიელნი აზნაურნი“-ს წრიდან უნდა იყოს გამოსული გურიის მერმინდელი ხელისუფალი გურიელი. მაგრამ ავტორს „გურიელნი აზნაურნი“ გურიის ქვეყნის მკვიდრ აზნაურთა ვაგებით აქვს ნაზმარი და არა ხელისუფლების მფლობელის, გვარის ან ტიტულის მნიშვნელობით. უმათაღმწერელის გურიელი კი გურიის გამგებელი ჩანს. ამ თვალსაზრისით ვთლით ჩვენ მას პირველ გურიელად.

აღსანიშნავია, რომ ბერძნულ წყაროებში გურიელს პირველად იხსენიებს XV საუკუნის ქრონოგრაფოსი მიქაელ პანარეტი. მისი ცნობით 1372—1373 წლებში გურიელს ძოლაპარაკება ჰქონდა ტრაპიზონის მეფესთან. მაგრამ პანარეტს გურიელის სახელი აღნიშნული არა აქვს. (იხ. Трапизундская хроника Михаила Панарета, Труды по востоковедению, вып. XXIII, изд. А. Хаханов, М. 1905, 38—39).

³ ახალციხის ხარხმის ტაძრის მხატვრობაში ბერის სამოსელში წარმოდგენილი არის „ერისთავთ-ერისთავი, მსახურთუხუცესი, სუანთა ერისთავი სვიმონ გურიელი“ (იხ. Э. Гакайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. I, Тиф., 1905, გვ. 44) ეს მხატვრობა უთარიღია. ს. კაკაბაძე მას XIV ს-ის შუა წლებით ათარიღებს (იხ. მისი „ხარხმის მხატვრობის ისტორიული პირების ვინაობის შესახებ“, საისტორიო მოამბე, წიგნი I, ტფ., 1925, გვ. 242). დ. გორდევი—ამ საუკუნის პირველ ნახევრით (იხ. მისი Очерк о посзакс в Ахалцихский уезд в 1917 году... Известия Кавказского Историко-Археологического института Росс. Ак. Наук. Петроград, т. I, 1923 გვ. 68.). ექვთ. თაყაიშვილსაც ხარხმის მხატვრობის სვიმონ გურიელი XVII საუკუნეზე უფრო ძველი დროის გურიელად მიაჩნია (იხ. მისი ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 46).

ხარხმის მხატვრობის სვიმონ გურიელის მოღვაწეობის ხანის XIV საუკუნით დათარიღებას სარწმუნოდ ხდის ვახუშტის ერთი ცნობა. ვახუშტის თქმით მეფე ბაგრატ V-მ (1360—1393 წწ.) თანამდებობიდან გადააყენა სუანთა ერისთავი ვარდანიძე და სვანეთის ერისთავად სხვა დასვა. ვარდანიძე კი გურიის ერისთავად დანიშნა (იხ. მისი საქართველოს ისტორია გამოც., გ. ქართველიშვილის, განმარტებული და შეეცებული დ. ბაქრაძის მიერ, ნაწ. I, ტფ., 1985, გვ. 281). ამის შემდეგ, ცხადია, გურიელები სუანთა ერისთავად არ იწოდებოდნენ. მართლაც, XIV ს-ის შემდეგდროინდელი გურიელების ვინაობა და მოღვაწეობის წლები მეტ-ნაკლებად ცნობილია, მაგრამ არც ერთი მათგანი სუანთა ერისთავის წოდებას არ ატარებს. ასე რომ ხარხმის მხატვრობაში წარმოდგენილი „...სუანთა ერისთავი სვიმონ გურიელი“ XIV საუკუნეზე გვიანდელი პიროვნება არ უნდა იყოს.

⁴ ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება. გვ. 283. შემოქმედის მაცხოვრის წარწერაში მოხსენიებულ კახაბერ გურიელს დიმი. ბაქრაძე 1352 წლს პირად თვლის (იხ. АПГА, გვ. 109, 143), ხოლო ლიხაურის საყდრის ჯვრის წარწერაში დასახელებულ გიორგი გურიელს 1422 წლის მოღვაწედ (იხ. АПГА, გვ. 108). როგორც თ. ჟორდანია შენიშნავს, ორივე შემთხვევაში

ბული გურიელების ხსენება უფრო და უფრო ხშირდება და ბევრჯელ მთელ ლიხთ-იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრებას ისინი თავიანთი ნებისამებრ წარმართავენ.

გურიელს, ისევე როგორც სხვა კუთხის ერისთავებს, მთავრის ხელისუფლება ერთბაშად არ მოუპოვებია. დამოუკიდებელი სამთავროების ჩამოყალიბება დასავლეთსა და სამხრეთ საქართველოში იყო ერთი მთლიანი პროცესი, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარეობდა¹. ეს პროცესი XIII ს. 30-იან წლებში დაიწყო და დამთავრდა XVI ს. შუა წლებში. ამ ხნის განმავლობაში გურიელი ისე, როგორც დადიანი და სხვა მსგავსი მფლობელი, თანდათან იძენს მთავრის ატრიბუტებს და თავისუფლდება იმერეთის მეფის ეკონომიური, სამხედრო და პირადი დამოკიდებულებისაგან. აღნიშნული საუკუნის შუა წლებიდან გურიელი უკვე მთავარია და გურია სამთავრო².

პოლიტიკურად მთლიანი საქართველოს დაშლა და მთავართა მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება უაღრესად რეაქციული მოკლენა იყო. ამიერიდან მთავრები ხელს უშლიდნენ საქართველოს გაერთიანებისათვის შებრძოლ ძალებს. ისინი ერთმანეთისა და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მუდმივი ბრძოლით, ზოგჯერ გარეშე მტრების დახმარებით და წაქეზებით, ობიექტურად ხელს უწყობდნენ მტრებს საქართველოს დამორჩილების საქმეში. მთავრები კერძო-ფეოდალური ინტერესებისათვის იბრძოდნენ, საერთო სახელმწიფოებრივი მიზნები მათთვის უცხო იყო.

რაც შეეხება გურიელების ვინაობის საკითხს, ამის შესახებ საისტორიო ლიტერატურაში ასეთი მოსაზრებაა გამოთქმული: დიმ. ბაქრაძის აზრით, გურიელები და ძველი დროის დადიანები ვარდანიძეთა საგვარეულოს შთამომავალი იყვნენ³. ამ აზრს იზიარებს თ. ყორღანიძე.

გურიელების ვინაობას გაკვირით ეხება ექვთ. თაყაიშვილიც. იგი წმინდა იაკობის ოქროს ხატის ასომთავრული წარწერის საფუძველზე ასკვნის, რომ გურიელების წინაპარნი ვარდანიძეები იყვნენ⁴. დადიანების ამ საგვარეულოდან წარმოშობაზე კი არაფერს ამბობს.

გურიელები რომ ვარდანიძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ, ეს ნათლად ჩანს ლიხაურისა და ჯუმათის ხატების წარწერებიდან⁵. ვარდანიძეთა საგვარეუ-

„შეცდომა მოსდის პატივცემულს არქეოლოგს...“ (ქრონიკები, II, გვ. 183). ამიტომ არ ვასახელებთ კახაბერს პირველ სახელდებით ცნობილ გურიელად. თუმცა რამდენადაც იგი სვანთა ერისთავის თანამდებობას ატარებს, მისი მოღვაწეობის პერიოდი XIV საუკუნეს არ უნდა ცილდებოდეს.

¹ იხ. ამის შესახებ ნ. ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, ტფ., 1937, გვ. 29.

² „სამეგრელოს და გურიის სამთავროების ჩამოყალიბების თარიღის შესახებ იხ. ჩვენო ნარკვევი: სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის თარიღისათვის, „მიმომხილველი“, ტ. II, თბ., 1925, გვ. 78—81.

³ ვახუშტი. საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 282, АИГА, გვ. 111—112, 266—269.

⁴ ექვთ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, „მოამბე“, II, 1901, გვ. 21.

⁵ АИГА, გვ. 109, 261.

ლოდან გურიელების წარმომავლობას, როგორც ვნახეთ, მკვლევარნიც ერთხმად აღიარებენ. გურიელები რომ ვარდანიძეებიდან მომდინარეობდნენ, ეს კარგად სცოდნია ვახუშტი ბაგრატიონს, რომელსაც ამ ორი საგვარეულოს ნათესაობა ისტორიული გადმოცემის სახით ჰქონია გაგონილი და რომელიც, ზანს, ზემოთ დასახელებულ წარწერებს არ იცნობდა¹.

რაც შეეხება გურიელებისა და დადიანების ნათესაობის საკითხს, ამაზე დიმი. ბაქრაძის მოსაზრება სადაოდ არ მიგვაჩნია. ამ ნათესაობას დოკუმენტურად ადასტურებს ჯუმათის მთავარანგელოზ გაბრიელის ხატის წარწერა: „რომელმან ახარე ქალწულსა მარიამს განხორციელება წმინდისა ღვთისა ზეცისა ძალთა მთავარანგელოზო გაბრიელ მეოხ და ნთარველ ექმენ ამა სოფელსა და მერმესა მას საუკუნესა პატრონთ ერისთავთ-ერისთავს და დიანს გიორგის და მეუღლესა მათსა რუსუდანს და ძეთა მათთა მანდატურთ უხუცესსა ვამეყს და გურიელსა კახაბერსა, რომლისა ბრძანებითა მოიქვედა უსხეულოსა ხატისა თქვენისა სახე წმინდა ესე ხატი გაბრიელისა“². მოტანილი წარწერიდან ირკვევა, რომ ერისთავთ-ერისთავს გიორგა და დიანს ორი ძე ჰყოლია: ერთ მათგანს—ვამეყს მანდატურთუხუცესის სახელს სქერია, მეორე—კახაბერი გურიელად მჯდარა. დიმი. ბაქრაძის აზრით, დასახელებული პირები, თუმც უცნობნი, მაინც ისტორიულად ცნობილ ყველა გურიელზე აღრინდელნი არიან³. დიმი. ბაქრაძე იქვე დასძენს, რომ ჯუმათის წარწერის გიორგი და დიანი და მისი შვილები მანდატურთუხუცესი ვამეყი და გურიელი კახაბერი ძალიან აგონებენ მას ხობის მონასტრის წარწერის გიორგი II და დიანს და მის შვილს ვამეყს, რომელნიც XIV ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწეობდნენ⁴.

ჯუმათის წარწერაში დასახელებული პირები რა გინდ უცნობნი იყვნენ, მაინც ცხადია: გურიელების ერთი ძველი წარმომადგენელი, კახაბერ გურიელი, გიორგი და დიანის ძე ყოფილა⁵.

აღსანიშნავია, რომ გურიელთა პირველი წარმომადგენლები სვანთა ერისთავად იწოდებოდნენ. ვახუშტის გადმოცემით, ვარდანიძეები თავდაპირველად სვანეთის საერისთავოს განაგებდნენ. მეფე ბაგრატ V-მ რალაც მიზეზის გამო „შეიპყრა“ და „პატიმარყო“ სვანთა ერისთავი ვარდანიძე. „შემდგომად რამდენსამე ჟამთა შეიწყალა და მისცა გურია საერისთავოდ“, ხოლო სვანთა ერისთავობა უბოძა სხვას⁶.

¹ ვახუშტი ი. საქართველოს ისტორია, ნ. I, გვ. 281.

² АПГА, გვ. 264. ხახი ჩვენია, ო. ს.

³ იქვე, გვ. 268.

⁴ იქვე, დიმი. ბაქრაძის მიერ მიითითებულ ხობის მონასტრის წარწერაში ნათქვამია: „ქ. სახელითა ღმრთისათა ერისთავთ-ერისთავმან და მანდატურთ უხუცესმან და დიანმა ვამეყ მამისა მათისა [პატ]რონისა ერისთავთ-ერისთავისა და დიანისა გიორგის შგდევად მიუჭდა ჯიქეთ(ს) ურწმუნოებისა და ორგულობისათვის, რათამცა მოემსახურა და სძლო და შეურაცხ და უხმარ იქმნა მათი სიმაგრენი... ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართველო, ტ. III, ტფ., 1913—1914, გვ. 133.

⁵ გურიელების და დადიანების ნათესაობის შესახებ ა. ხახანაშვილი ამბობს: „Выяснено нынчеродство Гურიелей с первой династией дадианов Мингрелии. „Трапезундская хроника“..., გვ. 39.

⁶ ვახუშტი ი. საქართველოს ისტორია. ნ. I, გვ. 281.

ამ ამბის შესახებ, ვახუშტის თხზულების გარდა, სხვა წყაროებში არაფერია ნათქვამი. მაგრამ გურიელები რომ სევანთა ერისთავებად იყვნენ, ეს ნათლად ჩანს არა ერთხელ დასახელებულ ჯუმათის მთავარანგელოზ გაბრიელის ხატის წარწერიდან, სადაც ხატის „მაჰკობი“ გიორგი გურიელი „ერისთავთ-ერისთავად“ და „სევანთა ერისთავად“ არის მოხსენებული¹.

სევანთა ერისთავი პირველად „მატიანე ქართლისაჲ“-ში გვხვდება XI ს-ის 70-იან წლების ამბებთან დაკავშირებით. გიორგი II-ის (1072—1089) ტახტზე ასვლის პირველ წლებში ვარდან სევანთა ერისთავი მეფის წინააღმდეგ ამხედრებულ დიდებულებთან ერთად აქტიურად მოქმედებს².

როგორც თვით სახელი გვიჩვენებს, ამ ვარდანის ძენი უნდა იყვნენ მერმინდელი ვარდანძე-გურიელები. ვარდანძეებს გურიელი იმ ქვეყნის სახელის გამო ეწოდათ, რომელსაც ისინი განაგებდნენ. გურიის მმართველებს თანდათანობით გურიელი შეერქვათ. მათი აღრინდელი საგვარეულო სახელი, თუ პირველ ხანებში მაინც იხსენიებოდა, შემდეგ მთლად დავიწყებას მიეცა და გეოგრაფიული ტერმინი გურია-დან ნაწარმოები გურიელი გურიის მთავართა გვარისა და წოდების აღმნიშვნელად იქცა³.

საგულისხმოა, რომ თამარის დროის მდღეაწე, პირველი ისტორიულად ცნობილი დადიანი, ისევე როგორც პირველი სევანთა ერისთავი, ვარდანის სახელს ატარებს. საგვარეულო სახელების ასეთი იგივეობა ამ ორი ვარდანის შრთი საგვარეულოსადმი კუთვნილებაზე უნდა მიგვითითებდეს.

აქვე უნდა შევნიშნოთ: ვარდანძეთა სევანთა ერისთავობა მაინც და მაინც მათი სევანეთიდან წარმომავლობას, სევანეთის მკვიდრობას არ გულისხმობს. პირიქით, ვარდანძეთა ერისთავობის ხანაში (XI—XIV სს.) სევანეთში გვაროვნული წყობილება ჯერ კიდევ ძალაში იყო. ფეოდალური ურთიერთობის განვითარებაზე აქ ბარის საქართველო დიდ გავლენას ახდენდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული სევანეთის ერისთავი ბარის საქართველოს რომელიმე კუთხის მკვიდრ დიდგვარაინთა წრიდან ყოფილიყო.

II. გურიის სამთავროს საზღვრები

გურიის სამთავროს საზღვრები დროთა ვითარებაში დიდ ცვლილებას განიცდიდა. თავდაპირველად სამთავროს ტერიტორია ვრცელ მიწა-წყალს შეიცავდა. „ახალი ქართლის ცხოვრებ“-ის ავტორთა ცნობით, სწორედ იმ დროს, როცა გურიის სამთავრო იმერეთის სამეფოსაგან დამოუკიდებელი სამფლობელოს სახით ჩამოყალიბდა, „...გურიელს ეპყრა რიონს გაღმართი საჯავახო, იმას აქათი გამოსწორივ ლომის ციხეს გარდმოღმართი,

¹ АПГА, გვ. 262. გურიელი „სევანთა-ერისთავ“-ად იხსენიება ჩვენ ნიერ ზემომოტანილ სხვა წარწერებშიც.

² ქართლის ცხოვრება, ხ. ჭიქინაძის გამ., გვ. 341.

³ იმ ამბის შესახებ Е. М е л е ш к о. Очерки из путевых заметок о Гурии. гав. „Кавказ“, № 8, 1849.

აგრე აჭარა და ჭანეთი, რკინის პალოს აქათი¹. აქედან ნათლად ჩანს, რომ გურიის სამთავროს სამხრეთი საზღვარი XVI ს. შუა წლებში შავი ზღვის გასწვრივ შორს რკინის პალომდე ყოფილა გადაჭიმული, ისე რომ აჭარა და ჭანეთიც ამ საზღვრის შიგნით რჩებოდა². აღმოსავლეთის საზღვარი რიონს გაღმა საჯავახოს მისდევდა, ისე რომ საჯავახო ამ საზღვრის შიგნით იყო მოქცეული. სამთავროს დასავლეთის საზღვრად შავი ზღვა ითვლებოდა, ჩრდილოეთის საზღვრად კი ოდიში.

დიდი შევიწროება განიცადა გურიის სამთავროს სამხრეთის საზღვარმა: XV-ს-ის დამლევებიდან საქართველოს დაუმეზობლდა ოსმალთა სახელმწიფო. თუ სამცხე-საათაბაგოს მხედველობაში არ მივიღებთ, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით ოსმალთა მეზობლობა ყველაზე მძიმე გურიის სამთავროსათვის შეიქმნა. გურიის წინააღმდეგ ოსმალებმა აღრიდანვე დაიწყო შეტევა. 1547 წლისათვის დიდი ბრძოლის შემდეგ ოსმალებმა შესძლო „ბათუმის პირისპირ, კოროხის სამხრეთის კიდეზე“ ციხე-სიმაგრე გონიოს აშენება და ამით ზტყივე სიმაგრე გაიჩინა გურიის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად. 1609 წელს მამია გურიელი აჭარისათვის ებრძვის ოსმალებს და ახერხებს ამ ქვეყნის ოსმალთაგან განთავისუფლებას³, მაგრამ ეს გამარჯვება ხანგრძლივი არ ყოფილა. XVIII ს. პირველი ოცეულის ბოლოსათვის ოსმალებმა თანდათან ჩამოგლიჯა გურიის სამთავროს ჭანეთი და მთელი აჭარა⁴. უფრო გვიან, ამ საუკუნის 70-იან წლებში, ოსმალებმა ხინო-ქობულეთიც ჩაიგდო ხელთ და ამგვარად გურიის სამთავროს სამხრეთი საზღვარი დიდად შევიწროვდა⁵.

XVIII ს. მეორე ნახევარში შეიკვეცა აგრეთვე გურიის აღმოსავლეთი საზღვარიც. აღმოსავლეთით გურიას იმერეთის სამეფო ეკრა. გაძლიერებულმა სოლომონ I-მა თავის ყოფილ ყმას—გურიელს საჯავახო წაართვა⁶.

ყოველივე ამის გამო გურიის საზღვრები თანდათან შეიკვეცა. XVIII ს. 70-იან წლებიდან აღმოსავლეთით გურიის სამთავროს საზღვრად ფერსათის

¹ ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1940, გვ. 49 („მთა რკინის პალო“ არის ჭანეთ-ისპირის მთების სამხრეთით. იხ. საქართველოს ისტორიული რუკა, გამოცემული 1923 წ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით).

² აჭარა ჯერ კიდევ XIV ს. 60-იან წლებში „გურიელის საგამგეოში შედიოდა“ (იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, თბ., 1941, გვ. 179. შემდეგ, როგორც ჩანს, ამ ქვეყანას სამცხის ათაბაგი დაეუფლა. გიორგი VIII-ის დროს (1446—1466) აჭარა და მასთან ერთად ჭანეთიც ისევ გურიელმა მიიღო (ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 235). მანამდე როგორც პირველი, ისე მეორეც სამცხის ათაბაგის ხელთ იყო (ვახუშტი. აღწერა... გვ. 176. შდრ. ლეონტი მროველი. ცხოვრება მამათა... გვ. 17).

³ ვახუშტი. აღწერა... გვ. 176; მისივე ცხოვრება... გვ. 190, 191, 196.

⁴ Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. II, стр. 544.

⁵ იქვე.

⁶ Акты, IV, გვ. 441. იხ. აგრეთვე Sd—1565.

მთა ითვლებოდა. ისე რომ საჯავახო გურიის საზღვარს გარეთ რჩებოდა, დასავლეთით—შავი ზღვა, სამხრეთით—აჭარა-ახალციხის ანუ აჭარა-გურიის ქედი და ჩრდილოეთით—მდინარე რიონი, რომელიც გურიას ოდიშის სამთავროსაგან ჰყოფდა.

III. გურიის სამთავროს დამოკიდებულება ოსმალეთთან

გურიის სამთავრო დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად ირან-ოსმალეთის 1555 წლის ზავის მიხედვით ოსმალეთს ერგო. ამიერიდან დასავლეთ საქართველოს უშაღლეს მფლობელად, თუ ფაქტიურად ყოველთვის არა, ფორმალურად მაინც ოსმალეთი ითვლებოდა.

გურიის მთავრის ოსმალეთთან დამოკიდებულება შესანიშნავად არის გამოხატული გურიელების სამთავრო ბექდის წარწერაში: „მონა ვარ ღ[ვ]თისა ყმა ხონთქრისა ხანი გურიისა მამია“¹. ან კიდევ „მონა მღ[რ]თის ყმა ხვანთქრისა გურიელი გიორგი“². ეს ნიშნავდა ოსმალეთთან გურიელის ვასალური დამოკიდებულების აღიარებას. გარეგნულად ეს დამოკიდებულება გამოიხატებოდა ოსმალთა სულთნის მიერ გურიელის მთავრად დამტკიცებაში, მისდამი „ხატი-შერიფის“—სულთნის ფირმანის და სამთავრო ნიშნების: ხმლისა და ხალათის ბოძებაში³. მაგრამ, როგორც ჩანს, სიუზერენ-ვასალური დამოკიდებულების ეს გარეგნული მხარე ყოველთვის არ იყო დაცული.

შეკმნილი დამოკიდებულების გამო გურიელი ვალდებული იყო ოსმალთა სულთნის უზენაესობას დაქვემდებარებოდა და „სახვანთქრო“ გადასახადი გაეღო. ეს „სახვანთქრო“ გადასახადი კომლის⁴ თავზე თითო აბაზის ტილოთი და „სახვანთქრო“ სალიანით განისაზღვრებოდა⁵. მაგრამ გურიელის ეს ვალდებულება, როგორც ჩანს, მთლად რეალური არ იყო. აი რას ამბობს ამის შესახებ მამია V გურიელი: „...როდესაც იმერეთი ოსმალის ხელთ იყო, იმ ჭამზე⁶ აიღებდენ სახვანთქროდ გურიიდან კომლის თავზე თვითო აბაზის ტილოს, სხვა მოსავალი გურიელებისა იყო, რომ ხონთქრისაგან თავისი ხელმოწერილი თავისუფლების წერილიც გვაქვს. როდესაც ქუთაისი აიღეს, მეზობელთ ოსმალთაც მტრობა და ტაცება დაიწყეს. ჩვენც მსგავსად პასუხს ვაძლევდით. ღღესაც შფოთი და ურთიერთი მტერობა არის, თორემ მას

¹ АПГА, Атлас, СПб, 1878, ტაბულა III.

² იქვე.

³ Акты, III, გვ. 188.

⁴ Акты, II, გვ. 539; АПГА, გვ. 315—317. სალიანი ფულადი გადასახადი იყო (იხ. АПГА, გვ. 300). დიმიტრი ბაქრაძის თქმით, ეს სავადასახადო ტერმინი გურიის სამთავროში ოსმალთაგან ჰქონიათ შეთვისებული. ოსმალეთში კი მისივე განმარტებით სალიანი ეწოდებოდა ამა თუ იმ ოლქის, მაზრის ან რაიონის ადმინისტრაციის შესახად გაწერილ გადასახადს. АПГА, გვ. 309—310.

⁵ იგულისხმება სოლომონ I-ის მეფობის პირველი ხანები და მისი წინაპრების დღეის „შამი“.

მერეთ ხონთქარს გურიიდან არაფერი მისცემია“-ო¹. ასე რომ ოსმალეთი გურიის მთავრისადმი დაკისრებული ვასალური ვალდებულების განაღდებას ყოველთვის ვერ ახერხებდა. რაც შეეხება გურიის სამთავროში ოსმალთა შემოსევებს და მათ მტრობა-ტაცებას, ეს მეტად ხშირი მოვლენა იყო და, როგორც მამია V ამბობს, გურიელებიც „მსგავსად პასუხს“ აძლევდნენ ოსმალებს.

ჩვენ ზემოთ ნაწილობრივ აღვნიშნეთ, თუ რა შეტუპოვარი ბრძოლა წარმოებდა ოსმალებთან გურიის საზღვრების დასაცავად ჯერ კიდევ 1547-სა და 1609 წლებში. ეს ბრძოლა მეტ-ნაკლები სიმწვავეით შემდეგაც გრძელდებოდა. მაგალითად: 1704 წელს „მოვიდა გურიას ხალი ფაშა და ააოხრა ქვეყანა“². ან კიდევ: 1774 წელს „გურიას სერასკერის ლაშქარი მოვიდა, ასკანა, ლეხაური და ბუკის ციხე ეიღეს“³. მამია გურიელმა იმერთა მეფის სოლომონ I-ის დახმარებით იმავე წელს გაათავისუფლა ბუკისა და ასკანის ციხეები და განდევნა ოსმალები გურიიდან⁴.

გურიელის ხელისუფლების შესარყევად ოსმალეთი აქტიურად ერეოდა იმ ბრძოლაში, რომელიც სხვადასხვა დროს სამთავრო სახლის წევრთა შორის ხდებოდა. ის განგებ უპირისპირებდა გურიელს სამთავრო სახლის ამა თუ იმ წევრს: ხან ერთს უჭერდა მხარს, ხან მეორეს და ამით ყველას ასუსტებდა⁵.

განსაკუთრებით განზირდა ოსმალთა თარეშები გურიაში 1792 წლიდან. „ჟამსა ამას (იგულისხმება სიმონ III გურიელის გარდაცვალების შემდგომი პერიოდი) დიდათ ეკირთებოდნენ თათარნი გურიასა და აწუხებდნენ მიხლომითა, კაცის კვლითა და წარყვანითა ტყვეთათა კნინლა და ყოველი გურია აღიბოცა, რომელნიმე თათართა მიყავდა და რომელნიმე განიბნინენ იმერთაღ თუ ოდიშაღ“⁶. მხნედ იცავდა თავს გურიის მოსახლეობა, „მამაცად და მხნედ ბრძოდნენ“ ოსმალებს, „მრავალსა ხოცდნენ და შეიპყრობდნენ და ამარცხებდნენ“⁷. მაგრამ ოსმალთა „სიმრავლისა გამო“ მათი თარეშების აღკვეთა ძნელი ხდებოდა⁷.

¹ Акты, II, გვ. 539. ხაზი ჩვენია. როგორც მამია გურიელის სიტყვიდან ათის საველისხმებელი, სოლომონ I-ის მიერ იმერეთიდან ოსმალთა განდევნის შემდეგ (XVIII ს. 60—70-იანი წლები) გურიის მთავარი ოსმალთა სულთანს „სახონტრო“ გამოსალებს არ აძლევდა.

აღსანიშნავია, რომ ფრანგი მოგზაურის შარდენის სიტყვით XVII ს-ის 70-იან წლებში გურია ყოველწლიურად ოსმალთა სულთნის სასარგებლოდ ხარკად იხდიდა 46 ქალ-ვაჟს (Путешествие кавалера Шардена по Закавказью в 1672—1677 гг. рус. перевод Е. В. Бахутовой и Д. П. Носовича, Тиф., 1902, გვ. 101).

² АИГА, I, 52.

³ იქვე, 153.

⁴ იქვე.

⁵ ამის დამადასტურებელი ფაქტები მრავლად მოიპოვება ვახუშტის „საქართველოს ცხოვრება“-ში (გვ. 307, 319—320, 346, 347).

⁶ ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, S—9. გვ. 218—219.

⁷ იქვე.

IV. გურიელების დამოკიდებულება იმერეთის მეფე-თავადებთან და დადიანთან

მთავრის ხელისუფლება გურიაში აღმოცენდა ერისთავის ან ერისთავთ-ერისთავის სახელოს ნიადაგზე, გურიის ერისთავი თავდაპირველად იმერეთის მეფის მოხელე იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ის მეფის განკარგულების შემსრულებელი იყო, მეფის მიერ ინიშნებოდა და მასვე შეეძლო მისი გადაყენება. მაგრამ ეს თავდაპირველი ურთიერთდამოკიდებულება იმერეთის მეფის და გურიის ერისთავისა თანდათან შეიცვალა მეფისაგან ერისთავის განთავისუფლების მიმართულებით.

ჯერ კიდევ XV ს. მოღვაწე კახაბერ გურიელი¹ იმერეთის მეფის ეკონომიური დამოკიდებულებისაგან თავისუფალია და მეფეს მისი „წართმევითა და ცვალებათა“ დამორჩილება არ ძალუძს². მისი (კახაბერის) შვილი გიორგი I კი, ისევე როგორც დადიანი და სხვა მფლობელები, მეფეს ემორჩილება მხოლოდ „ლაშქრობათა, ნადირობათა და მეფედ მათთა ხმობითა წსახურებათათა“³.

იმერეთის მეფესა და გურიელს შორის ასეთი დამოკიდებულება გრძელდება XVI ს-ის შუა წლებამდე. ამ ხნის განმავლობაში გურიელი, ისე როგორც დადიანი, შარვაშიძე და გელოვანი, ამ ვალდებულებისაგან განთავისუფლებისათვის იბრძვის. ამ ბრძოლის დროს გურიელი, დადიანი და სხვა მფლობელები მეტ-ნაკლებად შეთანხმებულად მოქმედებენ. ამ შეთანხმებული მოქმედებიდან გურიელის გამოთიშვას და მისი სამცხის ათაბაგისადმი დაპირისპირებას ისახავდა მიზნად ბაგრატ იმერთა მეფის მიერ ჩატარებული ღონისძიება: 1535 წელს მურჯახეთის ომში ბაგრატმა დაამარცხა ყვარყვარე ათაბაგი და ტყვედ ჩაიგდო იგი. სამცხე თვითონ დაიპყრო, ხოლო მისი ნაწილი — აჭარა და ჭანეთი გურიელს უბოძა⁴.

ამ ქვეყნებს გურიელი უფრო ადრეც ფლობდა. მაგრამ მხეჭაბუკ ათაბაგმა (1502—1516)⁵ წაართვა გურიელს აჭარა და ჭანეთი და სამცხეს შეუერთა⁶. ახლა მურჯახეთის ომის შედეგად, ბაგრატ მეფის წყალობით, ეს ქვეყნები გურიელს დაუბრუნდა. გურიელისათვის ეს კარგი შენაძენი იყო. იმერთა მეფის ვარაუდით ამას გურიელის ერთგულება უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ შენაძენი შენაძენად დარჩა, ხოლო სამთავროების ჩამოყალიბების პროცესი ქვეყნის შიგნით არსებულმა სოციალ-ეკონომიურმა პირობებმა მიიწვი თავის გზით წარმართეს.

¹ კახაბერ გურიელი გარდაიცვალა 1483 წელს (ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 283).

² იქვე, გვ. 276—284.

³ იქვე, გვ. 284.

⁴ იქვე, გვ. 286—287.

⁵ მხეჭაბუკ ათაბაგის ზეობის შესახებ იხ. ვახუშტის „ქორონიკონები“, საქართველოს ცხოვრება, გვ. 367.

⁶ იქვე, გვ. 241.

სოხოისტს, ოსმალებთან ომში, 1545 წელს ბაგრატ III-ის დამარცხების შემდეგ გურიელი, ათაბაგი და დადიანი ისევ გაერთიანდნენ¹ და იმერეთის მეფის სამხედრო ვალდებულებისაგანაც—„ლაშქრობითა, ნადირობითა და მეფედ მათთა ხმობათა მსახურებათა“-გან განითავისუფლეს თავი.

ამგვარად, გურიის და ერთობ დასავლეთ საქართველოს სხვა ერისთავებსა და იმერეთის მეფის დამოკიდებულებაში მომხდარი ცვლილება, რომელიც თავს იჩენს XIII ს-ის შუა წლებიდან, თანდათან იზრდება რაოდენობრივად და XVI ს-ის შუა წლებში თვისობრივ ცვლილებაში გადადის: აღნიშნული დროიდან გურიის ერისთავი მთავრის ხელისუფლებით გვევლინება². ამიერიდან გურიელი იმერეთის მეფის ყმობისაგან თავისუფალია და მისგან დამოუკიდებელი პოლიტიკური მფლობელი³.

ამის შემდეგ გურიელი იმერეთის მეფის ხან მოკავშირედ გამოდის და ხან მეტოქედ. მეფის მოკავშირედ გურიელი ჩანს მაშინ, როცა მას დადიანთან განწყობილება უფუჭდება, ხოლო მეტოქედ, როცა მეფის ხელისუფლება სუსტდება და ტახტის მიტაცება შესაძლებელი ხდება. ასეთი დრო უდგებათ გურიელებს ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ, XVII ს-ის 60-იანი წლებიდან. მართლაც, აღნიშნული ხანიდან მოყოლებული XVIII ს-ის პირველ ათეულის დამლევამდე იმერეთის სამეფო ტახტზე დროგამოშვებით გურიელები სხედან.

1668 წელს იმერეთის მეფობა დემეტრე გურიელმა ჩაიგდო ხელში. მან მცირე ხანს იმეფა. მალე მისი მეფობით უკმაყოფილო იმერეთის თავადებმა თვალუბდათხრილი დემეტრე იმერეთიდან გააძევეს⁴. მას შემდეგ გიორგი გურიელმა დაიწყო იმერეთის ტახტისათვის ბრძოლა და 1681 წელს შესძლო კიდევ გამეფება⁵. გიორგი გურიელი დემეტრეზე უფრო ენერგიული გამოდგა, მაგრამ იმერეთის ტახტზე მტკიცედ მომაგრება ვერც მან მოახერხა. ორი წლის მეფობის შემდეგ გიორგი გურიელი განდევნეს იმერეთიდან, ხოლო აქ ოსმალთა დახმარებით ტახტის კანონიერი მემკვიდრე ალექსანდრე IV გაამეფეს⁶.

გიორგი გურიელი იმერეთის დასაპყრობად შემდეგაც განაგრძობდა ბრძოლას და ამ ბრძოლაში დაიღუპა 1684 წელს როკითთან⁷.

¹ იქვე, გვ. 288.

² როგორც შერგილადქვია სასისხლო სიგლიდან ჩანს, გურიელი ჯერ კიდევ 1554 წელსაც ატარებდა იმერეთის სამეფო კარის სამონღღო წოდებას. ამ სიგელში გურიელი იმერეთის მეფის ამირსპარსალარად არის დასახელებული (თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 398). მაგრამ სასისხლო სიგლის ცნობა სანდოც რომ იყოს, ის მაინც არ გამოხატავს რეალურ სინამდვილეს.

³ მთავრის დამახასიათებელ ატრიბუტების შესახებ იხ. ჩვენი ნარკვევი: „სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის თარიღისათვის“. „მომომზიველი“, ტ. II, გვ. 173—174.

⁴ ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 311.

⁵ იქვე, გვ. 317.

⁶ იქვე, გვ. 317—318.

⁷ იქვე, გვ. 319.

გიორგის შემდეგ მამია გურიელი გამოდის იმერეთის ტახტის პრეტენდენტად. უკანასკნელი სამჯერ ავიდა იმერეთის ტახტზე: ჯერ 1701 წელს, შემდეგ 1711-ს. აღნიშნულ წელს ლიპარტიანმა, რაჭის ერისთავმა და სხვა თავადებმა მამია გურიელი ხელმეორედ გაამეფეს იმერეთში¹. მაგრამ როგორც პირველად, ისე ამ შექთხევეაშიც მისმა მეფობამ მხოლოდ ერთს წელს გასტანა. 1712 წელს ჩხართან ბრძოლაში დაამარცხა იგი იმერეთის კანონიერმა მეფემ გიორგიმ და სამეფო თვითონ დაიჭირა².

1713 წელს მამია გურიელმა ისევ შეძლო ოკრიბასთან გიორგი მეფის დამარცხება და მესამედ კიდევ ავიდა იმერეთის ტახტზე³. მაგრამ ახლა მისი მეფობა უფრო ხანმოკლე გამოდგა. ის მხოლოდ ორი თვე გაგრძელდა⁴. 1714 წელს მამია გურიელი გარდაიცვალა. ამის შემდეგ მის მიერ იმერეთიდან გაძევებულ მეფეს გიორგის საშუალება მიეცა თავის ტახტს დაუფლებოდა⁵. მეფე ურჩი თავადების დამორჩილებას და თავის ხელისუფლების განმტკიცებას ცდილობდა, მაგრამ მას ეს არ დასცალდა. მის წინააღმდეგ ისევ გაერთიანდნენ გურიელი, დადიანი და იმერეთის ძლიერი თავადი ზურაბ აბაშიძე. 1716 წელს გიორგი მეფე დამარცხდა სიმონეთს მათთან ბრძოლაში. გამარჯვებულმა მოწინააღმდეგეებმა იმერეთის მეფედ ეხლა გიორგი მამიას ძე გურიელი დასვეს⁶.

გიორგიმ მხოლოდ სამი თვე იმეფა. შემდეგ მოწინააღმდეგეებისაგან ეკონომიურად დიდად დაზარალებული „ივლტოდა გურიასავე“. მაგრამ გურიაშიც მისი საქმე ცუდად წავიდა. აქ მას მისივე ძმა „მონაზონ ყოფილი“ ქაიხოსრო დაუპირისპირდა. ქაიხოსროს მხარს უჭერდა სამეგრელოს მთავარი ბეჟან დადიანი. ქაიხოსროსაგან ძლეული გიორგი გურიელი რამდენიმე ხანს სტამბოლს აფარებდა თავს⁷.

ამგვარად, მთელი 50 წლის მანძილზე გურიელებმა სიცოცხლე გაუმწარეს იმერეთის მეფეს. იმერეთის სამეფოს მიმართ გურიელების მძლავრობა გიორგი გურიელის მეფობით დამთავრდა. XVIII ს. 20-იანი წლებიდან იმერეთის მეფეები ახერხებენ მეტ-ნაკლებად ტახტზე მომავრებას, ხოლო ამ საუკუნის 60-იანი წლებიდან სოლომონ I შესძლებს თავისი ხელისუფლების განმტკიცებასაც. ამიერიდან გურიელების იმერეთის მეფესთან დამოკიდებულება იცვლება. იმ ბრძოლაში, რომელსაც აღნიშნული საუკუნის 20-იან წლებიდან სოლომონ I-ის გაჰყვებამდე დადიანი, რაჭის ერისთავი თუ სხვა თავადები იმერეთის მეფის წინააღმდეგ აწარმოებენ, გურიელები ან ნეიტრალურ ხაზს იცავენ ან მეფის მოკავშირეებად გამოდიან⁸. სოლომონ I-ის დროიდან კი

¹ ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 340.

² იქვე, გვ. 340, 341.

³ იქვე, გვ. 343.

⁴ იქვე, გვ. 343.

⁵ იქვე, გვ. 343—344.

⁶ იქვე, გვ. 345—346.

⁷ იქვე, გვ. 346.

⁸ იქვე, გვ. 348—359.

იმერეთის მეფისა და გურიელის დამოკიდებულება შემქმნელების გზით ვითარდება.

XVIII ს. 60—70 წლებში მამია IV გურიელს მისი უმცროსი ძმა გიორგი ხელისუფლებას ეცილებოდა. მამია IV-ეს სოლომონ I-თან ნათესაური კავშირი ჰქონდა: მეფის და როდამი მისი თანამეცხედრე იყო¹. მამია IV სოლომონის დახმარებით ფიქრობდა გურიელობის შენარჩუნებას. მართლაც, XVIII ს. 70-იან წლებში სოლომონ I-მა მეტოქე ძმისაგან დამარცხებული მამია IV-ის ხელისუფლება ისევ აღადგინა გურიის სამთავროში². მაგრამ ამავე დროს გურიელის შევიწროებული მდგომარეობა სოლომონმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა. მეფემ გურიელი ფიცით შემოიმტკიცა³. ეს ნიშნავდა იპერთა მეფესთან გურიელის მხოლოდ სამხედრო მოკავშირეობას, მაგრამ არსებულ ვითარებაში სოლომონისათვის ესეც დიდი მიღწევა იყო.

გურიელსა და იმერეთის მეფეს შორის სოლომონ I-ის დროს დამყარებული დამოკიდებულება გრძელდება სოლომონ II-ის დროსაც. 1806 წელს მამია გურიელმა და მისმა ბიძამ ქაიხოსრომ სოლომონ II-ს შემდეგი შინაარსის „აღთქმის წერილი“ მიართვეს: „...ვინაიდან ძველი მამა-პაპანი ჩვენი მონებასა ქვეშე მამა-პაპათა თქვენთასა იმყოფებოდნენ, ჩვენცა ამისთვის ვინებეთ და განგიახლეთ, რათამცა ვიყვნეთ საუკუნოდ ყმა მონებასა შინა უმაღლესისა მეფობისა თქვენისასა და მორჩილებითა ვიდრე უკანასკნელად სისხლთა დაათხევამდე“⁴. მიუხედავად იმისა, რომ აქ ძველ „მამა-პაპათა“ მსგავს „ყმობა“ და „მონება“-ზეა ლაპარაკი, ეს სოლომონ I-ის დროს შექმნილი მდგომარეობის მხოლოდ ფორმალური აღიარება იყო.

1792 წელს გარდაიცვალა სვიმონ გურიელი. ამის შემდეგ გურიის სამთავრო სახლის წევრთა შორის უკმაყოფილება გაჩნდა. ეს უკმაყოფილება მალე აშკარა მტრობაში გადავიდა. სვიმონს მცირეწლოვანი მემკვიდრე დარჩა. ამით ისარგებლა სვიმონის ძმამ ვახტანგმა და სამთავრო თვითონ მიიტაცა. მცირეწლოვან მამიაზე და სვიმონის ქვრივ მარინეზე მზრუნველობა ვახტანგის უმცროსმა ძმამ—ქაიხოსრომ იკისრა. ძმებს შორის ბრძოლა დაიწყო. გურიის თავადები ორ ბანაკად გაიყვნენ და ამ ორი მებრძოლი ძმის ირგვლივ დაჯგუფდნენ.

სამთავრო სახლს შიგნით უკმაყოფილების განწვევებაში დიდად იყო დაინტერესებული სოლომონ II⁵: მთავარსა და ბატონიშვილებს შორის შუღლი და ბრძოლა გურიელის ხელისუფლების დასუსტებას გამოიწვევდა. ასეთ პირობებში სოლომონი ფიქრობდა დაეუფლებოდა, თუ მთლად არა, გურიის სამთავროს იმ ნაწილს მაინც, რომელიც ოსმალეთის საზღვრისკენ მდებარეობდა. ეს მას საშუალებას მისცემდა ადვილად დაკავშირებოდა ოსმალეთს⁶.

¹ იქვე, გვ. 353.

² А. Цагарели. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, т. I, СПб, 1891, гв. 354—535.

³ А. Цагарели. Грамоты... II, вып. I, СПб, 1889, гв. 69—70.

⁴ Hd—13914.

⁵ Акты, II, гв. 545.

⁶ Акты, III, гв. 187, 188.

თვით გურიელები მიხედნენ შემდეგ იმერთა მეფის ზრახვებს და თავიანთი სახლის არე-დარევის მიზეზად სოლომონ II-ს თვლიდნენ¹.

ზურაბ წერეთლის გავლენით ახალგაზრდა მემკვიდრე და გურიის მმართველი ქაიხოსრო, მიუხედავად 1806 წელს სოლომონთან დადებული „საუკუნოდ ყოპობის“ „აღთქმის წერილის“-ა, სოლომონის წინააღმდეგ მებრძოლ მეფის რუსეთის მოხელეებს თხოვდნენ დახმარებას. ასეთ გარემოებაში ვახტანგი ერთ ხანს სოლომონ II ს დაუკავშირდა². მაგრამ ქაიხოსრო მოწინააღმდეგეზე უფრო წინდახედული და ენერგიული გამოდგა. მან ჯერ მტკიცე სიმაგრეები გაიჩინა. შემდეგ დააპარცხა ვახტანგი და განდევნა იგი გურიიდან³.

ვახტანგის დამარცხების შემდეგ (1797 წ.) მამია V-ის გურიელად დამტკიცებამდე (1809 წ.) გურიის სამთავროს ფაქტიურად ქაიხოსრო განაგებდა. სამთავრო სახლის წევრებს შორის ბრძოლა ისევ გრძელდებოდა⁴. ასეთ ვითარებაში დაიწყო გურიის სამთავროს მეფის რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ მოლაპარაკება...

* * *

იმერეთის თავადებთან გურიელის დამოკიდებულება უფრო ნათესაურ კავშირში გამოიხატებოდა. ამ კავშირის დროს გურიელი, რა თქმა უნდა, თავის პოლიტიკურ ინტერესებს ითვალისწინებდა. გურიელთან დამოყვრებული იმერეთის თავადი თავისი მომხრეებით გურიელის „მოკიდულთა“ რიცხვში უნდა ყოფილიყო⁵. ნათესაური კავშირი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფდა ამას, მაგრამ ის მაინც ერთგულების ერთგვარი საწინდარი იყო.

გურიის სამთავრო სახლთან ნათესაურ კავშირში ჩანან აბაშიძეები⁶, აგიაშვილები⁷, წერეთლები⁸, მიქელაძეები⁹, წულუკიძეები¹⁰ და სხვანი.

ამ ფეოდალური საგვარეულოებიდან გურიელებთან ნათესაობით სხვეზზე მეტად წერეთლიანთ სახლმა ისარგებლა, კერძოდ, ამ სახლის ცნობილმა

¹ Акты, II, გვ. 545; III, გვ. 186.

² Акты, II, გვ. 541—542; 546—547.

³ Акты, II, გვ. 541—542, 543.

⁴ Акты, II, გვ. 541—542; 543.

⁵ იხ. ნ. ბერძენიშვილი. „მოკიდული“-სათვის, „მომომხილველი“, I, თბ., 1948, გვ. 39—56.

⁶ მამია III გურიელს ცოლად ჰყავდა გიორგი აბაშიძის ასული ელენე. АПГА, გვ. 294—295; Ф. Жордания, Описание рукописей тифлисского церковного музея, кв. 1, Тиф. 1903, გვ. 200.

⁷ გურიელის ასული დარეჯან სვიმონ აგიაშვილის რძალი იყო. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის საბუთების ფონდი, საბ. № 1709.

⁸ „იმერეთის მდივანბეგი თავადი მიქელაძე დავით“ ვახტანგ გურიელის სიძე იყო. Ad—1333.

⁹ ზურაბ წერეთლის და მარინე სვიმონ III გურიელთან იყო დაქორწინებული. Ad—1678. იხ. აგრეთვე საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდი 1449 (227), საბ. № 9 (შემდეგში დასახელებული იქნება შემოკლებით).

¹⁰ გიორგი წულუკიძის ასული სოფიო მამია V გურიელის თანამეცხედრე იყო. S—9, გვ. 224, იხ. აგრეთვე ცენტრ. არქივის ფონდი 1448 (226), საბ. № 3981.

წარმომადგენელმა სახლთხუცესმა ზურაბმა. მას თავის ძმა ბერისთან და ძმისწულ ქაიხოსროსთან „ქართლში ზიარი სოფელი“ ჰქონდა. უკანასკნელნი თავიანთ წილს ჰყიდდნენ „ორმოცდაათ ქესათ“. ზურაბს უნდოდა, რომ მათი წილი თვითონ დაეხსნა, რადგან თუ არ დაიხსნიდა, როგორც ის თავის სიძეს ლევან დადიანს სწერდა, პატივმოყვარე თავადს „ყოველ ქვეყანას თავი“ მოეჭრებოდა. საჭირო თანხა კი, როგორც ჩანს, წერეთელს არ ჰქონდა. ასეთ დროს გურიელმა ზურაბ წერეთელს, მისივე ენით რომ ვთქვათ, ათი ქისა თეთრი „შემოაწია“¹.

გურიელებთან ნათესაობა ზურაბ წერეთელმა სხვა მხრივაც გამოიყენა: ცნობილია, რომ მას იმერთა მეფე სოლომონ II-სთან განწყობილება განწვევებული ჰქონდა². იმ ბრძოლაში, რომელსაც მეფის რუსეთის მოხელეები და ზურაბ წერეთელი სოლომონ II-სთან აწარმოებდნენ, ზურაბის დისწული მამია გურიელი ერთხანს სოლომონს უჭერდა მხარს. „ამისთვის რ[ომელ] შარიაშ დედოფალმან, მეუღლემან მეფისამან (იგულისხმება სოლომონ II-ის, ო. ს.), დადიანის ასულმა მისცა დედით ბიძაშვილი თვისი გიორგი წულუკიძის ასული ცოლად“ მამია გურიელს. „და ესე ვითარითა მოკიდებულებითა ერთგულებდა მას ჟამსა მეფესა“ გურიელი³. ეს ის დრო იყო, როდესაც მეფის რუსეთის ადგილობრივი მოხელეები ოსმალთაგან ფოთის ციხის განთავისუფლებას ცდილობდნენ და გენერალი დიმიტრი ორბელიანი თავისი ჯარით ამ ციხეს იყო გარსშემომდგარი (1809 წ.). ხოლო ფოთის მეციხოვნე ოსმალთა საშველად მრავალრიცხოვანი ჯარით ტრაპიზონის სერასკერი შერიფ-ფაშა მოდიოდა. ამავე დროს მეორე მხრით რუსებთან შებმას სოლომონ II აპირებდა. ასეთ ვითარებაში მამია გურიელი სოლომონ II-ისა და ოსმალთა მხარეზე იმყოფებოდა. გურიელის პოზიციას ორივე მოწინააღმდეგესათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ზათუმს დაბანაკებულ შერიფ-ფაშისათვის მას შეეძლო გზა ჩაეკეტა⁴. აი, ამ მძიმე პირობებში „...უფროსლა“ ზურაბ წერეთლის „მეცადინეობითა მოდრეკილ იქმნა ნამდვილი მისი დისწული მფლობელი თავადი მამია გურიელი. უკუდგა თანხმობასა ტრაპიზონის სარასკერის შერიფ-ფაშასთან და შეერთებითა რუსეთის მხედრობასა თანა შეუდგა მოწვლასა სვეთ შერიფ-ფაშისასა...სძლია და განფანტა ჯარები მისი, რომელიცა მოქმედება თავადის მამია გურიელისა იყო უმთავრეს მიზეზად სრულებით დამორჩილებისა ფოთის ციხისა“⁵.

ამგვარად, მჭფეზე მეტი გავლენა გურიელების სახლზე ზურაბ წერეთელმა იქონია თავის „მოკიდებულებით“.

წერეთელი გურიელის გადმობირების გამო მეფის რუსეთისაგან დიდ ჯილდოს მოელოდა. მაგრამ ამ საქმეში მას მოცილედ ცაიშელი და ჯუმათე-

¹ Sd—2061.

² იხ. ამის შესახებ ჩვენი სტატია „წერეთლიანთ სათავადოს ისტორიიდან“, „ნაწილები“ II, თბ., 1947, გვ. 251—266.

³ S—9, გვ. 224.

⁴ S—9, გვ. 224; აგრეთვე, АКТЫ, IV, გვ. 436—437.

⁵ Sd—1682.

ლი ეპისკოპოსები აღმოუჩნდნენ, რომელთაც მამია გურიელის „მოდრეკა“ ში აგრეთვე დიდი შრომა გაწიეს და ამის გამო „ღირსი წყალობა“-ც მიიღეს¹.
 ზურაბ წერეთელმა მისი ანგარიშით ფოთთან ომის დროს გურიელის გადმობირებაში ათას სამასი ოქრო დახარჯა და ჯილდოს მოიმედეს შემდეგ ეს თავისი ფული რუსი მოხელეებისაგან სათხოვარი გაუხდა².

* *
 *

უფრო მრავალმხრივი იყო გურიელების დამოკიდებულება დადიანებთან. გურიელები და დადიანები ხან მოკავშირეები იყვნენ, ხან მეტოქეები, ხან კიდევ აშკარა მტრები.

სანამ გურიელები მთავრის ხელისუფლებას განიმტკიცებდნენ, დადიანებთან კარგი განწყობილება ჰქონდათ.

XV ს-ის 70-იან წლებში გურიელი ერთგულად უჭერს მხარს ვამეყ დადიანს ბაგრატ იმერთა მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში³.

ასევე 1479 წელს ბაგრატის ძის ალექსანდრეს მეფედ კურთხევის დროს, როცა დადიანმა პატრონყმობის წესი დაარღვია და „არღარა ინება მოსვლა“, გურიელმა ასეთივე მოქმედებით დადიანთან სოლიდარობა გამოამჟღავნა⁴.

1532 წელს მამია გურიელი და მამია დადიანი შეთანხმებული გეგმის მიხედვით შეერთებული ძალით აწყობენ ლაშქრობას ჯიქეთს, რადგან „ეკირთებოდნენ“ ჯიქნი „ოდისს და გურიას“. მართალია, ეს ლაშქრობა მარცხით დამთავრდა, მაგრამ გურიელისა და დადიანის მოკავშირეობა ფაქტად დარჩა⁵.

შემდეგ, როცა ბაგრატ იმერთა მეფის მიერ გელათის სამრეკლოში დაპატიმრებული ლევან დადიანი ქაიხოსრო ათაბაგის მოსყიდულმა ხოფილანდრე ჩხეიძემ გამოაპარა, გურიელმაც ხელი შეუწყო დადიანს სამეგრელოს გადასვლაში⁶.

გურიელისა და დადიანის მეგობრობა იმერეთის მეფეს არ მოსწონდა, რადგან „არა კეთილობდა მისთვის გაერთება მათი“⁷. ამიტომ იმერეთის მეფე ცდილობდა მათ შორის მტრობა დაეთესა. იმერთა მეფის ასეთი მოქმედების გამო გურიელსა და დადიანს შორის თანხმობა-ერთიანობა პირველად XVI ს-ის 40-იან წლებში ირღვევა. იმერთა მეფის „ზაკველობით“ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს გურიელის საშველად მიმავალი დადიანი ფოთიდან უკუიქცა⁸. თუ აქამდე, ე. ი. XVI ს-ის 40-იან წლებამდე, გურიელი

¹ Sd—1610; S—9, გვ. 224.

² Sd—1610.

³ ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ცხოვრება. გვ. 282.

⁴ იქვე, გვ. 283.

⁵ თ. ქო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები, II, გვ. 337—338; იხ. აგრეთვე ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 286.

⁶ ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 288.

⁷ იქვე, გვ. 289.

⁸ იქვე.

და დადიანი ყოველთვის მხარს უჭერდნენ ერთმანეთს, ამიერიდან მათი დამოკიდებულება ცვალებადი ხდება.

მაგრამ ეს მარტო იმერთა მეფის „ზაკველობით“ არ იყო გამოწვეული. XVI ს-ის შუა წლებამდე გურიელი და დადიანი ურთიერთდახმარებას საჭიროებდნენ. ამ დრომდე გურიელი და დადიანი მთავრული განკერძოებისათვის იბრძოდნენ. XVI ს-ის შუა წლებისათვის ეს ბრძოლა დადიან-გურიელისა და სხვა მათი მსგავსი მფლობელების გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ დადიანი და გურიელი, როგორც მთავრებს შორის ყველაზე ძლიერი, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ამის გამო მათ შორის დამოკიდებულებაც შეიცვალა. ამის პირველ ფაქტს წარმოადგენს გიორგი გურიელისა და ლევან დადიანს შორის ჩამოვარდნილი მტრობა. იმერთა მეფე გიორგი ცდილობს ამ მტრობის თავის სასარგებლოდ გამოყენებას. ის უკავშირდება გურიელს და ორივე ერთად თავს ესხმიან დადიანს. დადიანი ვერ უმკლავდება მტრებს და იძულებული ხდება სტამბოლს გადაიხვეწოს. იმერთა მეფე და გურიელი ოდიშს იპყრობენ. მაგრამ ლევან დადიანი ოსმალთა დახმარებით მალე ახერხებს თავის სამთავროს დაბრუნებას¹.

უნდა აღინიშნოს, რომ გურიელისა და დადიანის მტრობა XVI ს-ის შუა წლებიდანაც მუდმივი ხასიათისა არ იყო. ხსენებული დროიდან ამ ორი მთავრის დამოკიდებულებაში ერთი რამ შეიმჩნევა: როცა იმერეთის მეფე ძლიერდება, გურიელი და დადიანი ურიგდებიან ერთმანეთს და მეფის წინააღმდეგ შეთანხმებულად მოქმედებენ, ასუსტებენ მას, რომ იგი მათი დამოუკიდებელი არსებობისათვის საშიში არ გახდეს. ასე მაგალითად, XVI ს-ის 60—70-იან წლების მიჯნაზე გიორგი მეფის ბრძანებით მოკლულ იქნა საჭილაოს მფლობელი ჯავახ ჭილაძე და მის მამულს მეფე დაეპატრონა. „ესე აღუძნდათ დადიან-გურიელსა, შეითქვენ და მოვიდნენ სპითა და არა აუფლებდნენ გიორგი მეფესა მამულსა ზედა ჭილაძისასა. არამედ ნახევარი დაიპყრა დადიანმან და ნახევარი გურიელმან“².

ასევე, როცა 1683 წელს ალექსანდრე IV გამეფდა და „მოიმტკიცნა იმერნი“, მაშინ გურიელი და ოდიშის იმ დროინდელი ფაქტიური მმართველი გიორგი ლიპარტიანი³ შეთანხმდნენ და მეფის დასასუსტებლად მასთან შებმა გადასწყვიტეს. ამას მოჰყვა 1684 წელს როკითის ომი, რომელიც დადიანისა და გურიელის დამარცხებით დამთავრდა⁴.

1712 წელს, როცა ჩხართან გურიელის დამარცხების შემდეგ გიორგი იმერთა მეფემ თავისი საქმე თითქოს გამოსაწორა და, ვახუშტი ბაგრატიონის თქმით, „დაიპყრა იმერეთი“, გურიელს, სხვა მომხრეებთან ერთად, გვერდით ამოუდგა დადიანი და შეერთებული ძალით დაამარცხეს იმერთა მეფე⁵.

¹ იქვე, გვ. 291, 292.

² იქვე, გვ. 291.

³ XVI ს-ის 80-იანი წლებიდან მოყოლებული 1715 წლამდე სამეგრელოს სამთავროს ფაქტიურად გიორგი ლიპარტიანი განაგებდა (იხ. ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 321, 345).

⁴ იქვე, გვ. 319.

⁵ იქვე, გვ. 341—343.

როგორც ვხედავთ, გურიელი და დადიანი XVI ს-ის შუა წლების შემდეგაც გამოდიან ერთმანეთის მოკავშირეებად. მაგრამ ახლა ყოველთვის კი არაა, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იმერეთის მეფის გაძლიერებას შეიძლება მოჰყვეს მათი მთავრული ინტერესების თანაბარი შეზღუდვა. ხოლო როცა ცალკეული მთვანი ძლიერდება, მაშინ თავდაცვის თუ ერთიმეორის წევნიერების მიზნით ესა თუ ის მხარე იმერეთის მეფეს უკავშირდება. ასეთ შემთხვევაში, როგორც დადიანს, ისე გურიელს სხვადასხვა დროს იმერთა მეფის მხარეზე ვხედავთ.

იმერეთის მეფესთან და ერთმანეთთან ასეთი დამოკიდებულებით დადიანი და გურიელი დასავლეთ საქართველოში ერთგვარ წონასწორობას იცავდნენ.

გურიელები და დადიანები ერთმანეთის დასასუსტებლად იმ უკმაყოფილებასაც იყენებდნენ, რომელიც ხშირად მათ სამთავრო სახლთა წევრებს შორის არსებობდა.

გურიელისაგან დევნილი მთავრის მოწინააღმდეგე პირი დადიანისაგან დებულობდა დახმარებას და პირიქით.

როცა XVIII ს-ის პირველ ათეულის დამლევს „გიორგი გურიელს აუშურდა დედა თვისი ელენე“ და თავის მეორე ძის—ქაიხოსროს გურიელად დასმა მოინდომა, მან ამ განზრახვის განხორციელება შესძლო ბეჟან დადიანისა და მისი მომხრეთა შემწეობით¹.

უფრო გვიან, XVIII ს-ის დამლევსა და XIX ს-ის დამდეგს, გურიელებსა და დადიანებს შორის შედარებით მყარი და მშვიდობიანი კეთილმეზობლური განწყობილება ჩანს. კერძოდ, XIX ს-ის დამდეგს გურიელებს იმდენად სანდოდ მიაჩნდათ დადიანები, რომ ურთიერთ შორის მოქიშპე გურიის სამთავრო სახლის წევრებს უნდოდათ თავიანთი საქმის მოსაგვარებლად ბჭეები ოდიშიდან მოეწვიათ².

V. გურიის მთავართა ზეობის წლები

გურიის სამთავროს საბუთების დიდი ნაწილი უთარილოა. მათი დათარილება გურიელების ზეობის წლების განსაზღვრის გარეშე ვერ ხერხდება. გურიელების ზეობის წლების დადგენა კი გააადვილებს არა მარტო გურიის სამთავროს საბუთების დათარილებას, არამედ იმერეთის სამეფოსა და ოდიშის სამთავროს რიგი საბუთების დათარილებასაც. ამიტომ საჭიროდ მივიჩნით გურიის მთავართა ზეობის წლების განსაზღვრა³.

¹ იქვე, გვ. 346.

² Акты, II, გვ. 545—546.

³ დიმიტრი ბაქრაძის და მ. ბროსეს მიერ შედგენილ გურიელების გენეალოგიურ ტაბულეში (იხ. პირველის: АПГА, 1878, გვ. 336—337. და მეორის: Historie de la Géorgie., II-e partie, I-re iivr., st.-pg., 1856, p. 650—651) ბევრჯერ გურიელების გარდაცვალებისა და, რამდენიმე შემთხვევაში, მათი მმართველობის ესა თუ ის წელიც არის აღნიშნული, მაგრამ ეს გურიის მთავართა ზეობის წლების განსაზღვრის საჭიროებას ვერ ანელებს. იგივე ითქმის შ. ჯანაშვილის „Историко-археологический очерк Гурин, Чорохского бассейна и Ча-“

* * *

სვიმონ I გურიელი	XIV ს. ¹
კახაბერ გურიელი	1483 წ ²
გიორგი I კახაბერის ძე	1483—1512 წწ ³
მამია I	1512—1534 წწ ⁴
როსტომ I მამიას I-ის ძე	1534—1564 წწ ⁵

ნети (Лазистана)“-ს დარბაზულ გურიის მთავართა ქრონოლოგიურ სიაზე (იხ. „Батум и его окрестности“, Батум, 1906 გვ. 84—86) და პ. დოლოგორუკოვის მიერ გამოცემულ „Российская родословная книга“-ს III ნაწილში (СПб., 1856) მოთავსებულ გურიელების გენეალოგიურ ცხრილზე (იხ. გვ. 460—461).

¹ სვიმონ I-ის ზეობის წლების ზუსტად განსაზღვრის საშუალებას მასალები არ გვაძლევენ. სვიმონ I-ის მოღვაწეობის პერიოდის შესახებ იხ. Б. Такашвили, Археологические экскурсии, рывыскания и заметки, I, გვ. 44; ს. კაკაბაძე, ზარზმის მხატვრობის ისტორიული პირების ვინაობის შესახებ, საისტორიო მოამბე, I, ტფ., 1925, გვ. 242.

² კახაბერ გურიელის მიოლოდ გარდაცვალების წელია ცნობილი (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 283). არ ჩანს, როდის მიიღო მან გურიელობა. ვახუშტი მას გურიელად იხსენიებს გიორგი VIII-ის დროიდან (1446—1466, იხ. იქვე, გვ. 235). მ. ბროსე კახაბერის გარდაცვალების თარიღს 1480 წლის ქვეშ აღნიშნავს (იხ. მისი საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ტფ. 1895, გვ. 173. შეად. მისივე საქართველოს ისტორია ნაწ. II, თარგმანის იმ. ლოლობერიძის, ტფ., 1900, გურიის მთავართა შთამომავლობითი სია). ჩვენ ამ თარიღს ვახუშტის ცნობის მიხედვით ვუჩვენებთ.

შეიძლება ეს ის კახაბერი იყოს, რომელიც თავის თანამეცხედრე ანასთან ერთად შემოქმედის მაცხოვრის წარწერაში იხსენიება. შემოქმედის მაცხოვრისა და ლიხაურის ღვთისმშობლის ხატების წარწერაა ბაქრაძისეული თარიღი—1352 წელი, როგორც თ. ყორღანიძე ცხადყო, სწორი არ არის (იხ. შემოქმედის მაცხოვრისა და ლიხაურის ღვთისმშობლის წარწერათა თარიღის შესახებ АИГА გვ. 108, 143), ქრონიკები, II, გვ. 183.; ექვთ. თაყაიშვილი. არსებოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, მოამბე, II, 1901, გვ. 23.

გურიელებმა, ისე როგორც დადინებმა, მთავრის ყველა პერგოგატივი XVI ს. შუა წლებისთვის მოიპოვეს. ამდენად აქ დასახელებული პირველი ოთხი გურიელი (სვიმონი, კახაბერი, გიორგი, მამია) მთავრად არ ჩაითვლება ამ სიტყვის სრული გაგებით, მაგრამ ისინი, როგორც გურიის სახელდებით ცნობილი უძველესი გამგებელნი, მაინც მთავართა სიაში შევიტანეთ.

³ ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 283, 285. ერთი ქრონიკის ცნობაც გიორგი I-ის გარდაცვალების თარიღს 1512 წლით აღნიშნავს (ქრონიკები, II, გვ. 331).

⁴ იქვე, გვ. 285, 286 (მამია I-ის მამის სახელი წყაროებში აღნიშნული არ არის).

მამია I-ს თანამეცხედრედ ჰყავდა ქეთონი. მამია I-ის მეუღლე რომ ქეთონი იყო, ეს კარგად ჩანს როსტომ I გურიელის მიერ ბიჭვინტის ღვთისმშობლისადმი მირთმეული შეწირულების წიგნიდან. ამ წიგნში როსტომი იხსენიებს თავის დედას — დედოფალ ქეთონს“-ს (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, ტფ., 1921, გვ. 15). რადგან როსტომ I მამია I-ის შვილი იყო, ცხადია, ქეთონი მამია I-ის მეუღლე იქნებოდა.

⁵ ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 286, 290.

როსტომის გარდაცვალება და მისი ძის გიორგის გაგურიელება ერთი ქრონიკის ცნობით 1560 წელზე მოდის (Е. Такашвили. Материалы для истории Грузии, Тиф., 1895, გვ. 24). სხვა შემთხვევაშიც, როცა ამა თუ იმ გურიელის ზეობის წლების შესახებ წყაროებში სხვაგვარ ცნობებს გვაძლევენ. ჩვენ ამ ცნობებს ყოველთვის აღნიშნავთ.

როსტომ I-ის მეუღლე იყო ჯერ მეფის ასული თინათინ (АИГА, გვ. 283, 336), შემ-

გიორგი II როსტომ I-ის ძე	1564—1583 წწ ¹
ვახტანგ I გიორგი II-ის ძე ²	1583—1587 წწ ²
გიორგი II როსტომ I-ის ძე	1587—1600 წწ ⁴

დედ თამარი, თამარი როსტომმა თინათინის შემდეგ შეირთო, ამას ადასტურებს როსტომის მიერ იაშვილისადმი ბოძებული წყალობის წიგნი. ამ წიგნში იგი თავის მეუღლეს თინათინს და მხოლოდ ერთს ძეს გიორგის ასახელებს (АПГА, გვ. 283). ხოლო ბიკინტის ღვთისმშობლისადმი შეწირულების სიგელში თავის თანამეცხედრე თამართან ერთად გიორგის გარდა კიდევ თავის მეორე ძეს ქოსროთანგს იხსენიებს (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 15). ჩანს, ქოსროთანგი როსტომს თავისი პირველი მეუღლის თინათინის შემდეგ შეეძინა.

¹ ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 290, 294.

დადიანთან ბრძოლაში დამარცხებული გიორგი II გურიელი 1583 წელს სტამბოლს გაიქცა (იქვე).

გიორგი II-ის თანამედროვე იყო ლევან დადიანის ასული (სახელი წყაროებში არ იხსენიება). „შემდგომად განუტევა“ მან თავისი ცოლი და შეირთო იმერთა მეფის გიორგის „მესაღი კურივი“ (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 290—291).

² ვახტანგ I-ის მამის სახელი ვახუშტიმ არ იცის. მამია დადიანის მიერ გიორგი გურიელის დამარცხებისა და უკანასკნელის სტამბოლს გადახვეწის შემდეგ ვახუშტის თქმით, „დადიანმან მოიყვანა ტომი გურიელთა ვახტანგ და დასვა გურიელად“ 1563 წელს (საქართველოს ცხოვრება, გვ. 294). თვითონ ვახტანგი კი მის მიერ შემოქმედის ზარზმის საყდრის 1572 წლის შეწირულების წიგნში თავის მამად ასახელებს გიორგი გურიელს და ძმად—მამიას (АПГА, 130—131). დიმიტრი აძეც ამ საბუთის მიხედვით ვახტანგ I-ის მამად გიორგი II-ს თვლის (АПГА, გვ. 336).

³ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 294—295.

შემოქმედის ზარზმის საყდრის შეწირულების წიგნში ვახტანგი გურიელად იხსენიება 1572 წელს. ამდენად ამ საბუთის მონაცემი გწინააღმდეგება ვახუშტის თარიღს, მაგრამ შეიძლება დასახელებულ საბუთში „გურიელი“ მხოლოდ გვარის მნიშვნელობით იყოს ნახმარი და არა მთავრის ხელისუფლების მქონე პირადების გაგებით. ან იქნებ ამ დროს (1572 წ.) ვახტანგი განაგებდა გურიას ფაქტურად, მაშინ როდესაც ნომინალურად გურიის მთავრად გიორგი II ითვლებოდა (იხ. ამის შესახებ АПГА, გვ. 132; Е. Такайшвили. Материалы . . . ; გვ. 27).

ერთი ქრონიკის ცნობით 1640 წელს გარდაიცვალა ვახტანგ გურიელი და ქაიხოსრო დაჯდა გურიელად (Е. Такайшвили, Материалы . . . , გვ. 27; ამავე ქრონიკის ცნობა დაბეჭდილია თ. ყორღანიას მიერ იხ. ქრონიკები, II, გვ. 445). ვახუშტი ამ ფაქტების შესახებ სხვაგვარ ცნობებს იძლევა (საქართველოს ცხოვრება, 294, 295, 300, 301). იმ შემთხვევაში, როცა ვახუშტის ცნობის ან მისი მოპირდაპირე წყაროს საკონტრალო ცნობა არ მოგვეპოვება, გურიელების ზეობის დადგენისას უპირატესობას ვახუშტის ცნობას ვაძლევთ სხვა რომელიმე ნაოატულ წყაროსთან შედარებით.

შემოაღნიშნულ ქრონიკის ცნობაში მოხსენიებული ვახტანგი არ უნდა იყოს ვახუშტის მიერ 1583—1587 წლების თარიღით დასახელებული ვახტანგი. იგივე ითქმის რუსულ წყაროებში ნახსენები 1640 წლის ახლო ხანების მოღვაწე ვახტანგ გურიელზედაც (იხ. ამის შესახებ Е. Такайшвили, Материалы . . . ; გვ. 27).

ვახტანგ I-ის თანამეცხედრე იყო ათაბაგის ქალი თამარი (АПГА, გვ. 129).

⁴ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 295, 297.

სტამბოლიდან დაბრუნებული გიორგი II 1587 წელს ისევ გაგურიელდა. ამის შემდეგ იგი მთავრად იჯდა სიკვდილამდე (1600 წ.). გიორგი II-ის გარდაცვალების შესახებ ვახუშტის მიერ მოცემულ თარიღს ემთხვევა ერთ მინაწერში დატული თარიღიც (Е. Такайшвили, Материалы . . . , გვ. 26). შემოქმედის გულანის მინაწერი კი გიორგი II-ის გარდაცვალების თარიღს

მამია II გიორგი II-ის ძე 1600—1625 წწ.
 სვიმონ II მამია II-ის ძე 1625 წწ.
 ქაიხოსრო I ვახტანგ I-ის ძე 1626—1658 წწ.

ლად 1598 წელს დებს (AIIFA, გვ. 151). დიმ. ბაქრაძის მიერ შედგენილი გურიელების გენეალოგიურ ტაბულაში გიორგი გურიელის გარდაცვალების თარიღი ვახუშტის „ქორონიკონები“-ს მიხედვით არის ნაჩვენები (საქართველოს ცხოვრება, გვ. 374). იქვე აღნიშნულია შემოქმედის გულანის მინაწერში დაცული თარიღიც, მაგრამ 1598 წლის ნაცვლად შეცდომით 1592 წელია მოცემული (AIIFA, გვ. 336). შემოქმედის ქრონიკა, როგორც სამართლიანად შენიშნავს თ. ყორღანიძე, „ზიარად ცდება“ (ქრონიკები... II, გვ. 311), ამიტომ ვახუშტის „ქორონიკონები“-ს უფრო სანდოდ ვთვლით, მით უმეტეს, როცა მას მხარს უჭერს სხვა წყაროც. აღსანიშნავია, რომ ერთი ქრონიკის ცნობა გიორგი II-ის ხეობის დროში (1591 წელს) გურიელად იხსენიებს მამიას (1591 წელს „გურიელს მამიას აფხაზზე გაემარჯვა“. ქრონიკები, II, გვ. 427), მაგრამ ამ ცნობაში შეიძლება „გურიელი“ გვარის მნიშვნელობით იყოს ჩახმარებული.

¹ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 297, 300.

მამია II-ს თანამეცხედრედ ჰყავდა ათაბაგის ასული თინათინი (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 37; Ad—1913).

² როგორც ცნობილია, სვიმონ II-მ მოჰკლა თავისი მამა—მამია II და თვითონ დაჯდა მთავრად. ამ ფაქტს H—381 ხელნაწერის მინაწერი (გვ. 481 r) და ვახუშტის „ქორონიკონები“ (საქართველოს ცხოვრება, გვ. 376) ერთგვარად ათარიღებენ, მაგრამ შემოქმედის გულანის კვინკლოსი (AIIFA, გვ. 151) მამია გურიელის მოკვლის თარიღს 1627 წლის ქვეშ უჩვენებს. ჩვენ პირველი რიგის წყაროები უფრო სანდოდ მიგვაჩინა თუნდაც იმის გამო, რომ ორი სხვადასხვა ცნობა ერთმანეთს ეთანხმება ერთის წინააღმდეგ. „გურიელების გენეალოგიურ სქემა“-ში სვიმონ II-ის შემდეგ მთავრად დასახელებულია ქაიხოსრო ვახტანგის ძე (იხ. Sd—1788).

სვიმონ II-ის მიერ აქის მონასტრისადმი მირთმეულ 1614 წლის შეწირულების წიგნში სვიმონი თავის თავს გურიელად წარმოგვიდგენს, ხოლო თავის მამას—მამია II-ეს გარდაცვლილად (ს. კაკაბაძე, მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივ მდგომარეობის შესახებ მე-17 საუკუნეში, „საისტორიო მთაბმე“ წიგნი I, ტფ., 1925, გვ. 184—185). მაგრამ ამას ეწინააღმდეგება როგორც ზემოდასახელებული წყაროები, ისე ბიკენტიც გუჯართა კრებულის 1622 წლის მინაწერი, რომელიც აღნიშნული კრებულის „აღწერის“ თარიღს (1622 წ.) მამიას გურიელობის პერიოდად ასახელებს (ქრონიკები, II, გვ. 445). ყოველივე ამის გამო საბუთის ქრონოლოგიის სისწორეში ს. კაკაბაძის შეიქცევა მართებულად მიგვაჩინა (იხ. მისი დასახელებული მასალები..., გვ. 183).

სვიმონ II დაქორწინებული იყო ლევან II დადიანის და მარიამზე (ვახუშტი, ქორონიკონები, საქართველოს ცხოვრება, გვ. 376).

³ ვახუშტი კონკრეტულად არ უჩვენებს, რამდენ ხანს მთავრობდა სვიმონი ან როდის მიიღო მთავრის ხელისუფლება ქაიხოსრომ, მაგრამ მის მიერ მოთხრობილი ამბების მიხედინარეობიდან ჩანს, რომ ეს უკანასკნელი ფაქტი 1626 წელს მოხდა (საქართველოს ცხოვრება, გვ. 300—301). 1626-დან 1658 წლამდე ქაიხოსრო I გურიელად იჯდა. 1658 წელს იგი დადიანთან ერთად იბრძოდა ბანძის ომში იმერთა მეფის ალექსანდრე III-ის წინააღმდეგ. აქ დამარცხების შემდეგ იმავე 1658 წელს სტამბოლს გადაიხვეწა (იქვე, გვ. 306—307).

არქ. ლამბერტის ცნობით, ლევან დადიანმა სვიმონ გურიელის დამარცხებისა და დასჯის შემდეგ „სამთავრო გადასცა გურიელის ბიძას—მალაქიას“ (სამეგრელოს აღწერა, თარგმნილი იტალიურიდან ალექსანდრე ჰყონიას მიერ, მეორე გამოცემა, თბ., 1938 გვ. 21). მართალია, ლამბერტი სამეგრელოში რომ ჩავიდა, ეს ფაქტი არც ისე შორეული—ხოლოდ 7 წლის წინანდელი ამბავი იყო, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, სვიმონის მომდევნო გურიელის ვინაობის შესახებ ლამბერტის ცნობის სიზუსტე საჭკვევია. ყოველ შემთხვევაში ვახუშტის ცნობა უფრო სარწმუნოდ მიგვაჩინა. მალაქია რომ მთავრად მჯდარიყო, ეს მის რომელიმე სიგელში უთუოდ იქნებოდა აღნიშნული ისე, როგორც დიმიტრი გურიელის მიერ აფხაზეთის კათალიკოზ ზაქარიასადმი მირთმეულ შეწირულების წიგნში მისი ბერად „აღთქმისა“ და შემდეგ

დემეტრე I 1658 წ¹.
 ქაიხოსრო I ვახტანგ I-ის ძე 1558—1660 წწ.²
 დემეტრე I 1660—1664 წწ.³
 გიორგი III ქაიხოსრო I-ის ძე 1664—1684 წწ.⁴

მთავრად დასმის ფაქტებია მოთხრობილი (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 60).

მართალია, აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარის შინაწერში (იხ. ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, წ. II, ტფ., 1925, გვ. 189) და სხვა წყაროებში მალაქია „გურიელ-კათალიკოზ“-ად იხსენიება, მაგრამ ეს მალაქიას გურიელების საგვარეულოდან წარმოშობის მარკვენივლი უნდა იყოს და არა მისი მთავრობის.

ს. კაკაბაძე სვიმონის მომდევნო მთავრად კათალიკოზ მალაქიას თელის (საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფ., 1922, გვ. 90—91., მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივ მდგომარეობის შესახებ მე-17 საუკუნეში, საისტორიო მოამბე, წიგნი I, გვ. 186).

ქაიხოსრო I-ის თანამეცხედრე იყო ზვარანზე (ქრონიკები, II, გვ. 475). ეს ზვარანზე ზშირად იხსენიება მისი შვილის გიორგი III გურიელის სიგელებში (AIIFA, გვ. 292, 293; ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 70, 71). როგორც დ. ი. მ. ბაქრაძე ფიქრობს, ზვარანზე გოშაძის ასული უნდა იყოს (AIIFA, გვ. 231—233, 293, 336).

¹ ბანძის ომში გამარჯვებისა და ქაიხოსრო გურიელის სტამბოლს გაქცევის შემდეგ. ალექსანდრე III-ემ იმავე 1658 წელს გურიელად დემეტრე დასვა (ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 307, იქვე, ქორონიკონები, გვ. 378). დოკუმენტური მონაცემების მიხედვით 1658 წელს სვიმონი და დემეტრე ერთად ჩანან გურიელებად (იხ. 1658 წლის სვიმონისა და დემეტრეს შეწირულების წიგნი. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბ., I, გვ. 60; თ. ყორღანია, ქრონიკები..., II, გვ. 471—472). მაგრამ სვიმონ გურიელი ამ დროს თვალვდათრიალი იყო (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 301). მას დემეტრესთან ერთად მთავრის ხელისუფლებაც რომ ჰქონოდა, ფაქტურად მინც გურიელობა მხოლოდ დემეტრეს ხელში იქნებოდა. ალბათ ამიტომ, რომ ბანძის ომის შემდეგ (1658 წ.) ვახუშტი გურიელად დემეტრეს ასახელებს. ერთი ქრონიკის ცნობითაც, რომელსაც, შეიძლება, ვახუშტი ეყრდნობოდა, 1658 წელს გურიელად მხოლოდ დემეტრე იხსენიება: „ქკს ტმე [-1658]...მეფეს ალექსანდრეს გაემარჯვა, ვამიყ დადიანად დასვა, დემეტრე გურიელად, ლიპარიტ დადიანი და ქაიხოსრო გურიელი სტამბოლს წარვიდნენ“... (თ. ყორღანია, ქრონიკები, II, გვ. 470—471).

ვახუშტის ცნობით დემეტრე I-ის მამა იყო სვიმონი (საქართველოს ცხოვრება, გვ. 307). მაგრამ, როგორც აფხაზეთის კათალიკოზ ზაქარია ქვარიაანის გარიგების წიგნში ხმარებული გამოწვევებიდან („...სვიმონ გურიელი გააბატონა მეფეთ-მეფემან და გურიელის შვილი ბერი დიმიტრი აშვილა...“) ჩანს, ვახუშტის ეს ცნობა სწორი არ არის (იხ. AIIFA, გვ. 245—246).

² ვახუშტი კონკრეტულად არ ასახელებს ქაიხოსროს ხელმეოფედ გაგურიელების წელს, მაგრამ მის მიერ აღწერილ ამბების მიხედვით ეს იმავე 1658 წელს მომხდარა და ამ შემთხვევაში ქაიხოსროს გურიელობა 1660 წლამდე გაგრძელებულა (საქართველოს ცხოვრება, გვ. 307).

³ ქაიხოსროს დალუპვისა და დემეტრეს მეორედ გაგურიელების წელიც არა აქვს ვახუშტის კონკრეტულად ნაჩვენები, მაგრამ მოთხრობილი ფაქტების თანმიმდევრობიდან ჩანს, რომ ეს 1660 წელს მოხდა (საქართველოს ცხოვრება, გვ. 307). აღსანიშნავია, რომ შემოქმედის გულანის მინაწერი ამ ფაქტს 1661 წლით ათარილებს (AIIFA, გვ. 152).

⁴ ვახუშტის ქრონიკის მიხედვით გიორგი გურიელად დასვეს დემეტრეს იმერეთიდან გაქცევის შემდეგ 1668 წელს (იხ. მისი ქორონიკონები, საქართველოს ცხოვრება, გვ. 379—380). მაგრამ ვახუშტის ქრონიკის ცნობა მცდარია. გიორგი გურიელის მიერ ბიჭვინტის ღვთისმშობლისადმი ერთთეული შეწირულების წიგნიდან ჩანს, რომ იგი 1664 წელს მთავრად იჯდა (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 70—71).

მალაქია I ქაიხოსრო I-ის ძე	1684	წწ ¹
ქაიხოსრო II გიორგი III-ის ძე	1685—1689	წწ ²
მალაქია I ქაიხოსრო I-ის ძე	1689	წ ³
მამია III გიორგი III-ის ძე	1689—1711	წწ ⁴
გიორგი IV მამია III-ის ძე	1711—1713	წწ ⁵
მამია III გიორგი III-ის ძე	1713—1714	წწ ⁶

გიორგი III გურიელის დაღუპვისა და მისი შვილის ქაიხოსრო II-ის გაგურეილების წლებს სხვადასხვა ქრონიკის ცნობები სხვადასხვაგვარად უჩვენებენ. ვახუშტი პირველ ფაქტს 1684 წლით ათარიღებს, მეორეს—1685-ით (საქართველოს ცხოვრება, გვ. 381). წმინდა გიორგის გულანის ქრონიკა გიორგი გურიელის მოკვლის თარიღად 1685 წელს დებს (თ. ყორდანია, ქრონიკები..., II, გვ. 503). ხოლო ერთ მინაწერში გიორგი გურიელის დაღუპვა და ქაიხოსროს გაგურეილება 1687 წლით არის აღნიშნული (ქრონიკები..., II, გვ. 506). ჩვენ ვახუშტის ქრონიკონები უფრო სანდოდ მიგვაჩნია.

გიორგი III-ის თანამეცხედრე იყო იმერთა მეფის ბაგრატის ძული დარეჯანი. რამდენიმე ხნის შემდეგ გურიელმა „განუტევა ცოლი თავისი დარეჯან...და შეირთო სიდდერი თვისი დედოფალი თამარ“. თამარის სიკვდილის (1683 წ.) შემდეგ კი მან შოშიტა ერისთავის დისწულზე იქორწინა (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 317,318).

გიორგი გურიელის მიერ დარეჯანის მიტოვება და თავის სიდუერ თამართან შეუღლება, როგორც ვახუშტის მიერ მოთხრობილ ამბების მიმდინარეობიდან ჩანს, 1681 წელს ან მასზე ცოტა გვიან მომხდარა (საქართველოს ცხოვრება, გვ. 317). ერთი ქრონიკის ცნობით კი ამ თამარზე აჯრე 1667 წელს გიორგი III-ს შეურთავს აგრეთვე თამარი (Е. Такашвешв. и, Материна..., გვ. 28). ამ თამარს ექვთ. თაყაიშვილი ჩიჯავაძის ასულად თვლის (იქვე). დიმ. ბაქრაძეც გურიელების გენეალოგიურ ტაბულაში გიორგი III გურიელის ცოლს თამარს ჩიჯავაძის ასულად ასახელებს (АПГА, გვ. 336).

¹ ვახუშტი, ქრონიკონები, საქართველოს ცხოვრება, გვ. 381.

² იქვე, გვ. 281, 382 (შდრ. ქრონიკები..., II, გვ. 506).

³ ვახუშტი, ქრონიკონები, საქართველოს ცხოვრება, გვ. 382.

⁴ ერთი ქრონიკის ცნობით მამია III 1690 წელს დაჯდა მთავრად (თ. ყორდანია, ქრონიკები..., II, გვ. 510). ვახუშტი კი, რომელიც ჩანს სხვა წყაროს ეყარება; მამიას გაგურეილების თარიღად 1689 წელს თვლის (ქრონიკონები, საქართველოს ცხოვრება, გვ. 382).

მამია III-ს ცოლად ჰყავდა გიორგი აბაშიძის ასული ელენე (Ф. Жордания, Описание рукописей Тифлисского церковного музея, кн. I, Тиф., 1903. გვ. 200; АПГА, გვ. 294—295). ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 320—321). რამდენიმე ხნის შემდეგ მამია გასცილდა ელენეს და შეირთო „ერისთავის და თამარ“ (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 340).

⁵ 1689—1711 წლამდე მამია III იყო გურიელად. 1711 წელს ის იმერეთის მეფედ დასვეს. ამის გამო გურიელობა მან აღნიშნულ წელს თავის შვილს გიორგი IV-ს დაუთმო (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 340). 1711—1713 წლამდე გიორგი IV იჯდა მთავრად. ცნობილია მისი 1713 წლის ბიკენტის ღვთისმშობლისადმი შეწირულების წიგნი, სადაც იგი თავის თავს „გულმწიფ“-ად, „გურიელ“-ად, „პატრონ“-ად ასახელებს (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, გვ. 108).

გიორგი IV-ის თანამეცხედრე იყო შარვაშიძის ასული მარიამი (АПГА, გვ. 295). რამდენიმე ხნის შემდეგ გურიელმა „განუტევა ცოლი შარვაშიძის ასული“ და შეირთო ბეჟან დადიანის ქალი ზვარამზე (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 347; АПГА, გვ. 296,297).

⁶ 1712 წელს ხნარის ომში გიორგი იმერთა მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, როგორც ჩანს, 1713 წლის შუახანში თუ მიწურულს მამია III-მ გადააყენა თავისი შვილი გიორგი და თვითონ დაჯდა მთავრად (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 341). უთუოდ ამიტომ არის, რომ მამია III-ის გარდაცვალების ამბის მოთხრობის შემდეგ ვახუშტი

გიორგი IV მამია III-ის ძე	1714—1716	წწ.
ქაიხოსრო III მამია III-ის ძე		1717 წ.
გიორგი IV მამია III-ის ძე	1717—1726	წწ.
მამია IV გიორგი IV-ის ძე	1726—1784	წწ.

ხელმოწერა აღნიშნავს: 1714 წელს...დაჯდა ძე მისი (მამია III-ის, 'ო. ს.) გურიელად"-ო (საქართველოს ცხოვრება, გვ. 343). 1711 წელს გურიელად დასმული გიორგი IV რომ ამის შემდეგ მამის გარდაცვალებამდე (1714 წ.) განუწყვეტლივ მთავრად მჯდარა იყო, მაშინ ვახუშტი 1714 წელს მის გაგურიელებასე შეორეჯერ არ მიგვითითებდა.

დღემ. ბაკრაძე მ. ბროსეს საქართველოს ისტორიაზე მითითებით აღნიშნავს, რომ მამია III 1717 წელს გარდაიცვალა-ო (АПГА, გვ. 285). მ. ბროსეს საქართველოს ისტორიაში მითითებულ ადგილას მამია III-ის გარდაცვალების თარიღად 1714 წელი არის ნაჩვენები (M. Brosset, Histoire de la Géorgie..., II partie, I livr., p. 651). ამავე რიცხვით არის აღნიშნული მამია III-ის გარდაცვალების თარიღი მ. ბროსეს საქართველოს ისტორიის ქართულ თარგმანში (იხ. ნაწ. II თარგმნილი სიმ. ლოლობერიძის მიერ ტფ., 1900, გვ. 224). ოღონდ თან დართულ გურიის მთავართა შთამომავლობით სიაში კი მამია III-ის გარდაცვალების თარიღად 1717 წელია დასმული. ასეთი შეუსაბამობა ბაქრაძისა და ბროსეს ნაშრომებში კორექტურული შეცდომით უნდა იყოს გამოწვეული. ასეთი შეცდომა აღნიშნულ ავტორთა შრომებში სხვაგანაც გვხვდება.

ექვთ. თაყაიშვილი იცნობს მამია III-ის გარდაცვალების თარიღს შეცდომით 1717 წლის კვლევებში (იხ. Материалы для истории Грузии, გვ. 29).

ვახუშტი, ქორთონიკონები, საქართველოს ცხოვრება გვ. 385. 1716—1717 წლებში გიორგი IV-ს მთავრის ხელისუფლებას ეცილებოდა ძმა, „მონაზონ ყოფილი“ ქაიხოსრო. ვახუშტი კონკრეტულად არ აღნიშნავს, თუ როდის წაართვა გიორგის გურიელობა ქაიხოსრომ ან როდის დაიბრუნა იგი გიორგიმ. მაგრამ მის მიერ აღწერილი ფაქტების მიმდინარეობიდან ჩანს, რომ 1717 წელს გურიელობა ქაიხოსროს ჰქონდა. 1717 წლის მიწურულს თუ უფრო ადრე გიორგი IV-მ მოახერხა თავის ხელისუფლების აღდგენა (საქართველოს ცხოვრება, გვ. 346, 347). მოგვეპოვება მისი აღნიშნული წლის სიგელი, სადაც იგი თავის თავს „ხელმწიფე-გურიელად“ ასახელებს (Hd 11270). 1717 წლის შემდეგ ის განუწყვეტლივ იჯდა მთავრად 1720 წლამდე. აღნიშნულ წელს იგი გარდაიცვალა (იქვე, გვ. 351—352).

შემოქმედის გულანის კვინკლოსის ცნობით, მამია IV 1784 წელს გარდაიცვალა (АПГА, გვ. 153). ხოლო ნ. დადიანის ცნობით მამია IV აღნიშნულ წელს კი არ მომკვდარა, არამედ მან „ჟანსა აზას (იგულისხმება 1784—1788 წწ.) მოხუცებულობისა გამო დაუტევა გურიელობა და იქმნა მონაზონ და იქმნა ძმა მისი გიორგი გურიელად“ (S—9, გვ. 210). ნ. დადიანის როგორც აშ ამბის თანამედროვის, ცნობა უფრო საძლიეროა, მაგრამ იგი მამია IV-ის შემონახონების კონკრეტულ თარიღს არ იძლევა. ამ ფაქტს იგი სხვა ამბებთან ერთად 1784—1788 წლების ფარგლებში ათავსებს. შემოქმედის გულანის მინაწერის ცნობა შეიძლება მამია IV-ის გურიელობიდან გადადგომის თარიღის დასაზუსტებლად იქნას გამოყენებული.

როგორც ჩანს, მამია IV-ეს „მოხუცებულობა“-მდეც ერთ დროს (XVIII ს-ის 70-იან წლების დასაწყისში) გურიელობა წაართვა მისმა უმცროსმა ძმამ გიორგიმ. მაგრამ იმავე ხანში (მ. 1771 წელს) სოლომონ I-ის დახმარებით გურიელად ისევ მამია დაჯდა (А. Чагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, т. II, вып. I, СПб., 1889, გვ. 60—70; Грамоты..., т. I, СПб., 1891, გვ. 354—355). 1776, 1777, 1778-სა და 1780 წლებში გიორგი ისევ გურიელად ჩანს. აღნიშნულ წლებში შედგენილ საბუთებში იგი გურიელად იხსენიება (იხ. Hd 11477; საქ. სსრ ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდი 1449 (227), საბ. № 1169; ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 59—60, 62, 69). პაპუნა ორბელიანის ცნობით მამია IV უფრო ადრეც, 1756 წელს თუმცა მის ახლო ხანში, გადააყენეს და მისი „უმცირესი“ ძმა დასვეს გურიელად. მაგრამ, როგორც ჩანს, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დახმარებით მამიამ ისევ დაიბრუნა „ქვეყანა თვისი“.

გიორგი V გიორგი IV-ის ძე	1784—1788	წწ ¹ .
სვიმონ III გიორგი V-ის ძე	1789—1792	წწ ² .
ვახტანგ II გიორგი V-ის ძე	1792—1797	წწ ³ .
ქაიხოსრო IV გიორგი V-ის ძე (ფაქტიური მმართველი) ⁴	1797—1809	წწ.
მამია V სვიმონ III-ის ძე	1809—1826	წწ ⁵ .

გურია* (იხ. პაპუნა ორბელიანის ამბავი ქართლისა. ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, ჩუბინოვის გამ., სპბ., 1854 გვ. 458—469).

მამია IV-ის თანამეცხედრე იყო იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის ასული როდამი (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 353; ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, ტფ., 1921, გვ. 11; Sd—1788). ერთ რუსულ წყაროში მამია IV-ის მეუღლე სოლომონ I-ის ასულად არის დასახელებული (იხ. АКТЫ, II, გვ. 546), რაც, რათქმა უნდა, შეცდომაა. მამიას თანამეცხედრე როდამი სოლომონ I-ის და იყო და არა ასული. როდამის გარდაცვალების შემდეგ მამია IV-ს თავდგირიძის ასული შეურთავს (АКТЫ, II, გვ. 546—547).

¹ ნ. დადიანის ზემომოტანილი ცნობის მიხედვით გიორგი V გურიელის ზეობა 1784—1788 წლებზე მოდის. გიორგი V-ის გურიელობას ს. კაკაბაძე შეცდომით „მე-1760 და 1770 წლებში“ უჩვენებს (იხ. წვრილი შენიშვნები და მასალები, საისტორიო კრებული, წიგნი II, ტფ. 1928 გვ. 87).

გიორგი V-ს ცოლად ჰყავდა „ბაგრატიონთ“ ასული მარიამ (Qd—6713, Hd—11477).

² სვიმონი გურიელად პირველად 1789 წელს იხსენიება (АИГА, გვ. 314). ნ. დადიანის ცნობის მიხედვითაც სვიმონის გაგურიელება 1789 წელს არის საგულისხმებელი (S—9 გვ. 210). სვიმონის გარდაცვალების შესახებ პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება. ამის გამო დიშ. ბაქრაძე წერდა: სვიმონ გურიელის გარდაცვალების წელი ჩვენთვის უცნობიაო (АИГА, გვ. 314). მაგრამ არის ერთი არა პირდაპირი ცნობა, რომლის მიხედვით სვიმონის გარდაცვალების თარიღის ზუსტად დადგენა ხერხდება. სვიმონის თანამეცხედრე მარინე 1804 წელს ციციანოვისადმი გაგზავნილ წერილში ამბობს: ჩემი შვილი (იგულისხმება მამია V), რომელიც მამის გარდაცვალების უამს 3 წლისა იყო, ეხლა 15 წლის არისო (АКТЫ, II, გვ. 542). აქედან ცხადია, რომ სვიმონ გურიელი 1792 წელს გარდაიცვალა. ს. კაკაბაძეც, ალბათ დასახელებულ წერილზე დაყრდნობით, სვიმონის გარდაცვალების თარიღს ასევე უჩვენებს (საქართველოს მკვლევ. ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, გვ. 264, შეად. მისივე წვრილი შენიშვნები და მასალები, საისტორიო კრებული, II, გვ. 87).

აღსანიშნავია, რომ სვიმონის გურიელობის პერიოდში, 1790 წელს ვხვდებით გურიელ მამიას, რომელიც აღნიშნულ წელს, მის მიერ მჭედლიძეებისადმი ბოძებულ წყალობის წიგნში, თავის თავს „ხელმწიფე-გურიელს“ უწოდებს (იხ. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის საბუთების ფონდი, № 1294).

სვიმონის თანამეცხედრე იყო ზურაბ წერეთლის და მარინე (Sd—1678; იხ. აგრეთვე ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდი 1449 (227) საბ. № 9).

³ ვახტანგ II-ს მეუღლედ ჰყავდა ზაალ ორბელიანის ასული მარიამი (იხ. Hd—10280); ვახტანგ II-ის ზეობის შესახებ იხ. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატი ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გადმოცემა, თბ., 1941. გვ. 64,

⁴ ქაიხოსრო ფორმალურად გურიელად არ ითვლებოდა. იგი სვიმონ III-ის მემკვიდრის მამია V-ის მცირეწლოვნობის გამო დროებით ფაქტიური მმართველი იყო.

ქაიხოსრო IV-ს ცოლად ჰყავდა ერისთავის ასული ელისაბედი (АИГА, გვ. 118).

⁵ მამია V თანამეცხედრე იყო გიორგი წულუკიძის ასული სოფიო (ნ. დადიანი, ქართულთ ცხოვრება, S—9, გვ. 224; იხ. აგრეთვე ცენტრ. ისტ. არქივის ფონდი 1448 (226) საბ. № 3981). დიშ. ბაკრაძის მიერ შედგენილ გურიელების გენეალოგიურ ტაბულაში მამია V-ის მეუღლე სოფიო შეცდომით წერეთლის ასულად არის დასახელებული (АИГА, გვ. 337). სოფიო რომ წულუკიძის ასული იყო, ეს თვით დიშ. ბაკრაძის მიერ დაბეჭდილ დოკუმენტ-დანაც ჩანს (იხ. მისი АИГА, გვ. 334).

სოფიო მამია V-ის ქვრივი (წულუკიძის ასული) . . . • 1826—1828 წწ¹.

გურიის სხვა მთავართა თანამეცხედრების ვინაობა ჩვენთვის ცნობილ წყაროებში აღნიშნული არ არის.

ვახტანგ II-ისა და მამია V-ის გურიელობის წლები ს. კაკაბაძეს არა აქვს სწორად ნაჩვენები (იხ. წერილი შენიშვნები და მასალები, „საისტორიო კრებული“, II, გვ. 87).

¹ ვახტანგ II-ის, ქაიხოსრო IV-ის, მამია V-ის და სოფიოს გურიელობის წლების განსაზღვრისას ვისარგებლეთ უფრ. მეცნ. თანამშრ. მ. დუმბაძის ნაშრომით „გურიის სამთავრო მე-19 საუკუნეში“ (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების არქივი).

O. СОСЕЛИЯ

ИЗ ИСТОРИИ ПОЛИТИЧЕСКОГО РАСПАДА ФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ

(С середины XIII века до начала XIX в.)

Р е з ю м е

Гурия с древних времен являлась нераздельной частью политически единой Грузии. Центральная власть управляла ею через эристава (воеводы) или эриставт-эристави (воеводы-воевод).

Из власти эристави и эриставт-эристава возникает впоследствии власть мтавара (владельца князя).

Процесс становления Гურიинского самтавро связан с процессом образования других самтавро в Западной Грузии в 20-х годах XIII века. С этого времени правитель Гурии — „эриставт-эристави Гურიели“, постепенно расширяя свою власть, превращается в мтавара. К середине XVI в. Гურიели, одержавший победу в борьбе с центральной властью за независимость, располагает всеми атрибутами власти мтавара. Он свободен от зависимости от имеретинского царя. Отныне Гурия представляет самтавро, а Гურიели является мтаваром (независимым владельцем князем).

Распад политически единой Грузии на владетельные княжества был крайне реакционным явлением. Владетельные князья мешали прогрессивным объединяющим силам Грузии, борющимся за единство страны. Враждуя междусобой, ведя борьбу и против царя, часто по подстрекательству и с помощью внешних врагов, способствовали последним в деле покорения Грузии. В своей борьбе владетельные князья исходили из частных феодальных интересов, им были чужды общегосударственные цели.

Имеретинские цари и после превращения Гурии в самтавро продолжают борьбу с Гурийскими мтаварами (так же, как с другими им подобными владетелями) за сохранение определенного влияния, но Гуриели не только отстаивают свою независимость, им нередко удается захватить трон Имеретинского царя.

Гуриели и Дадiani прежних времен (до XVI в.) принадлежали одному роду — Варданидзе. Название „Гуриели“ Гурийский мтавар получил от Гурии — страны, которой он владел. Родовое имя Гурийских мтаваров — Варданидзе, хотя и упоминается в первое время, но постепенно передается забвению, и Гуриели (букв. — Гурийский) становится понятием, обозначающим род и звание Гурийских мтаваров.

Отношения между Гуриели и Дадiani — как в процессе образования Гурийского и Мегрельского самтавро, так и после — были различны: часто они являлись союзниками (против Имеретинских царей), часто же — соперниками или же явно враждующими сторонами.

К статье отдельной главой приложен хронологический список Гурийских владетельных князей.

ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფიოდალურ საქართველოში

(არაბული სახელწოდების მოხელენი)¹

VIII—XIV სს. ქართულ საისტორიო წყაროებში დამოწმებულია ქალაქის მოხელეთა არაბული სახელწოდებანი, ასეთებია: ამირა, შურტა, მუჰთასიბი, ამიდი, რეისი, მუშრიბი.

ყველა ესენი საქართველოს ქალაქის მოხელეები არიან.

საქართველოს საქალაქო წყობილების საკითხებთან დაკავშირებით ქალაქის მოხელეთა ეს ინსტიტუტები განხილულია აკად. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებში², დოც. შ. მესხიას ნაშრომში „ქალაქები და საქალაქო წესწყობილება VI—VIII სს. საქართველოში“ და სხვ.

ეს წერილი ქართულ საქალაქო წყობილებაში ამ ინსტიტუტების შემოსვლის გზებსა და მათი დამკვიდრების საკითხს ეხება; მისი მიზანია გაარკვიოს, თუ რა თავისებური (არაბულისაგან განსხვავებული) სახე მიიღეს მათ ქართულ სინამდვილეში.

საქართველოს საქალაქო წყობილებაში არაბული სახელწოდების ინსტიტუტების შემოსვლის სხვადასხვა გზები არსებობს; ერთი და უმთავრესი გზა ესაა არაბთა მფლობელობა საქართველოში და თბილისის საამიროს არსებობა, მეორე—საქართველოს ურთიერთობა აღმოსავლეთის მუსლიმანურ ქვეყნებთან-

განვიხილავთ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე.

ამირა. სახალიფოში ამირა ხალიფას სარდალია, სამხედრო ხელისუფალი და დაპყრობილი პროვინციის მმართველ-განმგებელი. სახალიფოში ამირებმა ასეთი მდგომარეობა იმ დრომდე შეინარჩუნეს, სანამ მათმა ღირსმა უმეტესობამ დამოუკიდებლობა არ მოიპოვა.

აღმოსავლეთ საქართველოში ამირა გვხვდება VIII საუკუნიდან. ამ დროს ამირებად მხოლოდ არაბი ხელისუფლები არიან. მათ ამირობით იხსენიებენ ქართული ნარატული საისტორიო წყაროები (აბო თბილელის მარტვილობა, კონსტანტინე-კახას მარტვილობა, გობრონის მარტვილობა და სხვ.). XI საუკუნიდან ქართულ წყაროებში ამირა უკვე ქართველ ხელისუფალსაც

¹ წაკითხულია მოხსენებად ისტორიის განყოფილების ღია სხდომაზე 1950 წლის დეკემბერში.

² საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907 წ.; ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. 1; ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს. „პრომეთე“, 1918 წ.

ეწოდება. მაგალითად: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამირობით იხსენიებს ლიპარიტ ბალვაშს¹. ეს მოვლენა, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, თბილისის საამიროს ნაწილის საქართველოს სამეფოსთან შემოერთებას უკავშირდება.

XI ს. თბილისის საამირო ტერიტორიულად უკვე დიდადაა დავიწროებული და ქართველი მეფე დაჟინებით ცდილობს მის საბოლოოდ დაპყრობა-შემოერთებას. საქართველოს მეფის ამ პოლიტიკასთან უნდა იყოს დაკავშირებული ქართველი ხელისუფლის გაამიროება, რა თქმა უნდა, იმ მომენტში, როდესაც თბილისის საამიროს ტერიტორიის ნაწილი ქართველთა მმართველობაში გადადის. ამიერიდან ამირობა გზას იკაფავს ქართულ სამოხელეო წყობილებაში.

XII — XIII სს. ქართულ სამოხელეო აპარატში, როგორც ცნობილია, არსებობს ქართლის და თბილისის ამირთ-ამირა. გვიანფეოდალურ ხანაში გვყავს ქუთაისის ამირა. გარკვეული დროიდან მოყოლებული გვხვდებიან შემოერთებული ქალაქების ამირანიც². საქართველოს მეფეები ამირთ-ამირობას აძლევენ შემოერთებული ქალაქების მმართველებად დანიშნულ პირებს.

ამგვარად, ქართულ სამოხელეო აპარატში არსებობს: ქართლის და თბილისის ამირა, შემოერთებული ქალაქების ამირა (მაგ., კარი, ანისი) და საკუთრივ ქართული ქალაქის ამირა (თბილისი, ქუთაისი)³.

როგორც ჩანს, არაბული სამხედრო-ადმინისტრაციული წოდება — ამირა — ქართულმა საზოგადოდ შეითვისა, როგორც დაპყრობილი, შემოერთებული ქალაქის განმგებლის (და არა ოლქის) და დედაქალაქის და მისი ოლქის განმგებლის წოდება. გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, შეითვისა თუ არა ქართულმა სამოხელო წყობილებამ ამირა, როგორც საერთოდ ქართული ქალაქის განმგებელი. თბილისის გარდა ჩვენ ვიცნობთ ქუთაისის ამირას. რადგან თბილისის და ქუთაისის გარდა სხვა ქართველი ამირა არ გვყავს, შეიძლება გვევარაუდნა, რომ ქუთაისში, როგორც დედაქალაქში, ამირას თანამდებობა თბილისის ანალოგიით შეიქმნა. მართალია, ჩვენ გვიანფეოდალური ხანის ქუთაისის ამირას ვიცნობთ, მაგრამ რადგან თბილისის შემოერთებამდე ქუთაისი იყო საქართველოს დედაქალაქი, შესაძლებელია ამირას ხელისუფლება იქ სწორედ მისი დედაქალაქობის ხანაში შექმნილიყო. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მსჯელობა ძალიან სათუთაა, რადგან ეყრდნობა წყაროებში სხვა ქალაქების ამირების მოუხსენებლობის ფაქტს. გამორიცხული არაა ის შესაძლებლობაც, რომ საქართველოს სხვა ქალაქებსაც ჰყოლოდათ ამირები.

ქართლისა და თბილისის ამირას ხელისუფლება თბილისის არაბი ამირას მაგალითითაა შექმნილი; ისიც ხომ ქართლის გარკვეული ნაწილის ხელისუფალიც იყო თბილისთან ერთად. ლიპარიტი იმდენადაა ამირა, რამდენადაც

¹ მატიანე ქართლისაჲ, ანასეული ქ'ცხა. თბილისი, გვ. 205, 1942.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნ. I, გვ. 112.

³ გასაგები მიზეზების გამო დმანისისა და მისი მსგავსი ქალაქების, მაგ., რუსთავის, ამირა აქ მოსატანი არაა (რუსთავშიც, დმანისის მსგავსად, სავარაუდებელია მუსლიმანი ამირას არსებობა).

ის თბილისის საამიროს ტერიტორიის ნაწილს ფლობს. თბილისის საამიროს ლიკვიდაციის შემდეგ თბილისის ამირას თანამდებობა ქართველ ხელისუფალს ეძლევა, როგორც თბილისის და მისი ოლქის განმგებელს (მაგ., თბილისის და ქართლის ამირა აბულასანი).

მას შემდეგ, რაც თბილისი ვანთავისუფლდა მუსლიმანთა ხელისუფლებიდან, თბილისის ამირებს საქართველოს მეფეები ნიშნავენ. როდესაც დავით აღმაშენებელმა გაანთავისუფლა თბილისი მუსლიმანთაგან, მან შეზღუდა ქალაქის თვითმმართველობის ხელისუფლება და ქალაქის სათავეში დააყენა თავისი მოხელე, რომელიც ძველებურად „ამირას“ წოდებულებას ატარებდა. ამის შემდეგ თბილისის ამირებად საქართველოს მეფეები დიდებულთა წარმომადგენლებს ნიშნავენ; ძველი ტრადიციით, ეს თბილისის ამირა იმავე დროს არის ქართლის ერისთავი და თბილისთან ერთად ის მის ოლქსაც მართავს. ამგვარად, საქართველოს მეფემ დაპყრობილ თბილისში დანიშნა ამირა, მაგრამ ამიერიდან ამირა საქართველოს მეფის ქართველი მოხელეა.

როგორც ზემოთაღვნიშნეთ, საქართველოში შემოერთებული ქალაქების ამირებიც არიან. ცნობილია, მაგ., კარის ამირა, ანისის ამირა. ამ შეძთხვევაში აღნიშნული ქალაქების ამირა უშუალოდ დაკავშირებულია არაბთა ბატონობასთან და არაბულ საქალაქო წყობილებასთან. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს მეფეები ამ შემოერთებული ქალაქების ამირებად ქართველ ხელისუფალთ ნიშნავდნენ.

მართალია, თბილისისა და ქართლის ამირას ხელისუფლება თბილისის მუსლიმანი ამირას მაგალითითაა გაპირობებული, მაგრამ ქართველი ამირას უფლება-მოვალეობა საგრძნობლად განსხვავდება მუსლიმანი ამირას უფლება-მოვალეობისაგან. როგორც ცნობილია, თბილისის ამირა არის „უხუნავისი არაბთა მოხელე ქართლში... ტფილისის ამირა ერთსადაიმავე დროს ქართლში და განსაკუთრებით, ტფილისში მდგომ ციხოვან ჯართა უფროსიცაა და ქვეყნის ადმინისტრაციული მმართველიც“¹. ქართული წყაროების ერთი რომ ვთქვათ, ამირა იყო „ველმწიფე ქუეყანისა“, „მსაჯული ამირაჲ“. ქართველი თბილისის ამირა კი შემდგომი ხანის მოურავის უფლებითაა აღჭურვილი², ასე რომ ქართულ სამოხელეო წყობილებაში შესული ქართლის და თბილისის ამირა სახელს ატარებს არაბულ თბილისის ამირისას, შინაარსით კი ის ქართული ინსტიტუტია.

ამგვარად, ამირა ქართულ სამოხელეო წყობილებაში დედაქალაქის—თბილისის და მისი ოლქის განმგებელია, ქუთაისის (საერთოდ საქართველოს ქალაქების?) განმგებელია და შემოერთებული ქალაქების მმართველია.

შურტა. როგორც სხვა არაბული ტერმინების უმეტესობა, შურტაც ქართულ წყაროებში XI საუკუნიდან გვხვდება.

ქართული შურტა არაბული საპიბ აშ-შურატიდანაა (შურტათა უფროსი) მიღებული. საპიბ აშ-შურატი არაბულ სახელმწიფოში წარმოადგენდა ადმინის-

¹ ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში. თბილისი, 1936, გვ. 49.

² ივ. ჯავახიშვილი, ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს. „პრომეთე“, I, 1918, გვ. 44.

ტრაციულ თანამდებობას, რომელიც თავისი სამოხელეო ფუნქციებით დაკავშირებული იყო როგორც ხალიფას ან სულთნის კართან, ისე ადგილობრივ მმართველობასთან. საპიბ აშ-შურატის გარეგნული ნიშანი შუბი იყო, რომელსაც ის მბრძანებლის წინ ატარებდა¹. საპიბ აშ-შურატის ხელქვეშეთი მოხელენი შურტები იყვნენ. საპიბ აშ-შურატის უფლება-მოვალეობას სასახლის გვარდიის სურსათ-სანოვაგით მომარაგება და მისი შენახვა შეადგენდა. ამრიგად, საპიბ აშ-შურატი მკიდროდა დაკავშირებული სასახლის გვარდიასთან და ამდენად მისი წონაც, ცხადია, მეტად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ხალიფას თუ სულთნის კარზე. მაგრამ შემდეგ საპიბ აშ-შურატის უფლება-მოვალეობა იზღუდება და საქალაქო წყობილებაში საპოლიციო ფუნქციებით იფარგლება.

იგივე საპიბ აშ-შურატი სახალიფოს ოლქებშიც გვხვდება, როგორც გარკვეული თანამდებობის ამსრულებელი პირი. ომაიანთა დროს საპიბ აშ-შურატი მთელი ოლქის ან ქალაქის შტატპალტერია², რომელსაც ექვემდებარება როგორც რელიგიური, ისე საერო საქმეებიც, მაგრამ აბასიანთა დროიდან საპიბ აშ-შურატის უფლებები შეიზღუდა და მას ქალაქში წესრავისა და საზოგადოებრივი უშიშროების პასუხისმგებლობა დაეკისრა (ალბათ პროვინციებში სამოხელეო აპარატის შტატის გაზრდისა და ფუნქციების განაწილებასთან დაკავშირებით). ასე რომ, საპიბ აშ-შურატის თანამდებობის დამცრობა ხდება როგორც კარზე, ისე პროვინციული მმართველობის სარბიელზე.

აღმოსავლეთის ქალაქებში საპიბ აშ-შურატს, როგორც საპოლიციო ფუნქციების მატარებელ მოხელეს, წესრიგის დარღვევისას ჯარიმის გადახდევინება და დამნაშავე პირების დასჯა ევალებოდა. მაგრამ ეს ძირითადად მოსახლეობის დაბალ ფენებს ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ მუსლიმანურ ესპანეთში ორი საპიბ აშ-შურატია: დიდი და მცირე. დიდი საპიბ აშ-შურატის ხელისუფლება უკვე მოსახლეობის მაღალ ფენებსაც სწვდება³.

ქართულ სინამდვილეში დამოწმებული „შურტა“ თავისი წარმოშობით აღმოსავლეთის ქალაქების სამოხელეო აპარატთან უნდა იყოს დაკავშირებული. მაგრამ ეს არაბული სახელწოდების თანამდებობა ჩვენში, უეჭველია, თბილისის საამიროს გზით შემოდის. ცხადი უნდა იყოს, რომ თბილისის საამიროს პოლიტიკური ძლიერების ხანაში საპიბ აშ-შურატის და მისდამი დაქვემდებარებული შურტების უფლება-მოვალეობა მეტად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო როგორც საამიროს ფარგლებში მთლიანად, ისე ქალაქ თბილისში⁴. ამ საკითხთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ „ქალაქის უმთავრესი ზედამხედველობა და უზრუნველყოფა ებარა ერთს ამირას ხელქვეით მოხელეს, რომელსაც „შურტას“-ს ეძახდნენ (შიომღვიმის საბ., გვ. 11, №2). ეს სიტყვა არაბული „შურტაჰ“-ა და იგი პოლიციის მკველების უფრო-

¹ Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия. ч. II, СПб, 1900, гл. 236—237.

² Enzyklopedie des Islam IV, გვ. 423.

³ იქვე.

⁴ აგრეთვე სავარაუდებელია დმანისშიც და რუსთავშიც.

სად ითვლებოდა და ქალაქში წესიერებას იცავდა ხოლმე (იხ. A. von Kremer, Kulturgeschichte, 190, 182)¹.

იმავე შურტასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „გიორგი II-ის სიგელიდან ჩანს, რომ შურტას ქალაქის ბაზრისა და ბაჟის ზედამხედველობა უნდა ჰქონებოდა“². მაგრამ აღნიშნული სიგელის შინაარსიდან თითქოს არ ჩანს, რომ „შურტას ქალაქის ბაზრისა და ბაჟის ზედამხედველობა უნდა ჰქონებოდა“. მართალია, შიომღვიმის მონასტერს ქალაქში (თბილისში) აქვს ქულბაქნი და იქვე, იმავე საბუთში, ქალაქის ბაჟზეც არის საუბარი, მაგრამ დამოწმებული საბუთი თითონ შურტას არც ქულბაქებს და არც ბაჟს არ უკავშირებს. საბუთში საუბარია მხოლოდ მონასტრის საერთო სამფლობელოებზე ქ. თბილისში „ყოველნი საქონელნი მათნი (შიომღვიმის მონასტრისა, მ. ლ.), რომელნი სამეფოსა ჩუენსა შინა არიან... გაგუთავისუფლებიან ესე ყოველნი საქონელნი მღუიმიანი ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან საწვლმწიფოისა, საერისთვოისა, საციხისთვოისა, საწვეისუფლოისა, შურტათა და ჩინებულთაგან და ყოველთა საქმის მოქმედთაგან“³. საბუთიდან ჩანს, რომ შურტა საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალთა გვერდითა დაყენებული (ეს იმის მოწმობათაც გამოგვაღებება, რომ შურტა ქართულ სინამდვილეში ადგილობრივ მმართველობასთანაა დაკავშირებული). ამ მხრივ კიდევ უფრო ზუსტი ცნობაა მეფე გიორგი III სიგელში. გიორგი III უთავისუფლებს შიომღვიმის მონასტერს საქონელს ყოველივე შესავლისაგან. „... ესე ყოველნი მათნი საქონებელნი შეუალ გუიქმნიან ყოვლისა შესავლისაგან, თუთ ჩუენისა სასეფოისა და ყოვლისა მათისა მოახლისაგან, ვითა ძუელთაგან, შეუვალნი საერისთვოისა (საეფოისა) საციხისთვოისა და საშურტაოისა და ყოვლისაგან; აგრეთვე ქალაქს რომელ ქულბაქნი აქუნ, ხუთნი სპარსობითაგან და ოთხნი რომელ (რლ) უკანის მოუყიდიან და შემოუწირავენ, თავისუფალნი და უხარჯონი საამიროისა, საამიდოისა, სარაისოისა, საგუსტასიბოისა და ყოვლისა სანუჯკრისაგან“⁴. როგორც ვხედავთ, საშურტაო გამოსაღებზე საერთოდაა საუბარი საერისთავო და საციხისთავო გამოსაღებთან ერთად, საკუთრივ ქალაქის მოხელეები ცალკე არიან მოხსენებულნი ქალაქის გამოსაღებთან დაკავშირებით, ე. ი. შურტა არ უკავშირდება ქალაქის ბაზრსა და ბაჟს, რაც, რასაკვირველია, არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ შურტა ქალაქის მოხელეა.

შურტა გვხვდება გიორგი II 1072 წ. სიგელში, რაც მიუთითებს შურტას არსებობაზე ქართულ სამოხელეო წყობილებაში ჯერ კიდევ თბილისის შემოერთებამდე.

საინტერესო მოვლენაა შურტას არსებობა ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. სადღეისოდ „შურტა“ (ამ სახითაა ის წარმოდგენილი) დადასტურებულია ხევსურეთში, თუშეთსა და გურიაში.

ხევსურეთში „შურტას“ სასოფლო ხატის მამულების დამუშავება და სახატო დღეობებზე მლოცველების გამასპინძლება ევალება:

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია. 1907, გვ. 23—24.

² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია. 1907, გვ. 23—24.

³ თ. ქორდანი, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა. 1896, გვ. 10—12.

⁴ საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, გვ. 4—5.

თუშეთში „შულტა“ ზამთრის პერიოდის სახატე დღესასწაულების ორგანიზაციას ახდენს, რაც გამოიხატება თემის წევრებისაგან პურის აკრეფაში სახატე დღესასწაულებზე მლოცველების ლუდითა და პურით უზრუნველყოფისათვის.

გურიაში „შულტა“ საქორწინო ცერემონიალთანაა დაკავშირებული. შულტა განაგებს ქორწილისათვის სამზადისის დროს ძღვენის მიღებას¹. როგორც ვხედავთ შურტა ფართოდ გავრცელებულა საქართველოში.

როგორც მოტანილი საბუთებიდან, ისე ეთნოგრაფიული მონაცემებიდან ჩანს, რომ არაბული სახელმწიფოს შურტას (უკეთ რომ ვთქვათ, საჰიბ აშ-შურატის) ფუნქციებიდან ქართულ სამოხელეო წყობილებაში დამკვიდრებულმა შურტამ მიიღო გადასახადის ამკრეფი მოხელის და, გარკვეულ რელიგიურ სფეროში, სურსათით მომმარაგებლის ფუნქცია.

მუჰთასიბი. ქართულ სინამდვილეში მუჰთასიბი პირველად XII ს. ვვხვდებით. მეფე გიორგი III ის მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი 1170 წ. მიცემულ სიგელში მოხსენებულია „საგუსტა(სიბო)“, რაც გუსტასიბის (მუჰთასიბის) არსებობაზე მიუთითებს².

მუჰთასიბის თანამდებობა არაბული წარმოშობისაა. ეს „გელი“ დამოწმებულია ჯერ კიდევ სახალიფოს ქალაქების მოხელეთა შორის. შემდეგ ეს თანამდებობა არსებობს, როგორც წესი, ყველა მუსლიმანური სახელმწიფოს ქალაქებში (სამანიდების, ლაზნევიდების, თურქ-სელჯუკების სახელმწიფოებში).

აღმოსავლეთის ქალაქებში მუჰთასიბი ქალაქის მოხელეა.

ყველა ქალაქში საჭიროა მუჰთასიბის დანიშვნა,—წერს ნიზამ ულ-მულქი,—რომ ის ამოწმებდეს სასწორების სიზუსტეს და დადებულ ფასებს, თვალყურს ადევნებდეს ვაჭრობას, რომ ყველაფერი რიგზე იყოს. მუჰთასიბმა თვალყური ადევნოს ყოველივეს, საიდანაც რა არ უნდა მოჰქონდეთ და რასაც არ უნდა ჰყიდდნენ ბაზარზე; რომ არ ჰქონდეს ადგილი მოტყუებას, რომ ზუსტი იყოს საწონები. მუჰთასიბმა უზრუნველყოს ნებართვის მიღება იმაზე, რაც კანონით დაშვებულია, და აკრძალოს ის, რაც კანონით აკრძალულია. ხელმწიფემ და სახელმწიფო მოხელეებმა უნდა უზრუნველყონ ანგარიშის გაწევა მუჰთასიბისათვის; ეს სახელმწიფოს ერთ ერთი კანონთაგანია“³.

ისლამის ენციკლოპედიაში მუჰთასიბი ინსპექტორად იწოდება, რომელსაც ხალიფა, ან მისი ვაზირი ნიშნავს. მას ევალება რელიგიური წესების დაცვისათვის თვალყურის დევნება, დანაშაულის აღმოჩენა, დამნაშავეს დასჯა. საპოლიციო ფუნქციებთან ერთად იგი სამართლის წარმოების უფლებითაც სარგებლობს. მაგრამ მის სასამართლო ფუნქციებში შედის: ვაჭრობა, ყალბი სას-

¹ შურტას შესახებ ზემომოტანილი ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობები მომავლადს დოკ. ვ. ბარდაველიძემ, ი. ჭყონიამ.

² საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, გვ. 4—5

³ *Сиясет-Намэ. Книга о правлении вазира XI столетия Низам аль-Мулька. Перевод, введение в изучение памятника, примечания проф. Б. И. Заходера. М.—Л. 1949, 47.*

წორები და საზომები, მოტყუება ყიდვა-გაყიდვაში და ვალების გადაუხდელობა¹. მუჰთასიბის საკითხავი იყო აგრეთვე რელიგიური წესების შესრულების კონტროლი და საყოფაცხოვრებო წესრიგის დაცვა².

როგორც აღვნიშნეთ, მისი სასამართლო ფუნქცია ძალიან შეზღუდულია. მისი კომპეტენცია თავდება იქ, სადაც ყადის საქმე იწყება, ე. ი. აუწყებს ის, ხოლო წყვეტს ყადი³.

მასვე ევალება თვალყურის დევნება სასმელის და მოსაწვევის აკრძალვაზე; საზოგადოებრივ ადგილებზე დაკვრის აკრძალვა; თვალყურის დევნება, რომ მებობლები არ აწუხებდნენ ერთმანეთს, რომ ებრაელებმა და ქრისტიანებმა სახლები მუსლიმანებზე ძალა არ აიშენონ, განმასხვავებელი ყვითელი ნიშანი ატარონ; რომ ქუჩებში ვაჭრობა არ წარმოებდეს, რათა გამვლელებს ხელი არ შეუშალოს; აივნები, არხები ისე აიგოს, რომ ქუჩის მოძრაობას არ შეუშალოს ხელი; დაიცვას ადამიანთა და ცხოველთა კასტრაციის აკრძალვა⁴.

ასევე ახასიათებს მუჰთასიბს ბარტოლდი⁵.

როგორც მოტანილიდან ჩანს, მუჰთასიბი ქალაქს მოხელეა, რომელსაც ქალაქის ცხოვრების მთელი რიგი მხარეების თვალყურის დევნება ევალება: ქალაქში შემოტანილი საქონელი, ბაზრის წესრიგი, ქუჩების კეთილმოწყობა, რელიგიური და საყოფაცხოვრებო წესების დაცვა, ვალების გადახდევინება და სხვ.

საყურადღებოა, რომ ჩვენს საბუთშიც მუჰთასიბი (გუსტასიბი) ქალაქთანაა დაკავშირებული. გიორგი III სიგელში მუჰთასიბი სწორედ საქალაქო გამოსაღებთან დაკავშირებითაა მოხსენებული. გიორგი III შიომღვიმის მონასტერს შეუვალობის სიგელს აძლევს და ათავისუფლებს მის მამულებს ყოველგვარი გამოსაღებისაგან. „... ესე ყოილნი მათნი საქონებელნი, შეუალ გუიქმნიან ყოვლისა შესავლისაგან, თუით ჩუენისა სასეფოისა და ყოვლისა მათისა მოახლისაგან, ვითა ძუელითგან შეუვალნი საერისთეოისა, საციხისთეოისა და საშურტაოისა ყოვლისაგან“⁶, ხოლო შემდეგ ჩერდება საკუთრივ საქალაქო გამოსაღებზე: „ეგრეთვე ქალაქს რომელ ქულბაგნი აქუან, ხუთნი სპარსობითგანვე და ოთხნი რომელ უკანის მოუყიდიან და შემოუწირავენ, თავისუფალნი და უხარაჯონი საამიროისა, საამილოისა, სარაისოისა, საგუსტასიბოისა და ყოვლისა სანუკერისაგან“⁶. ვფიქრობთ, რომ ქალაქის ბაზრის მეთვალყურეობა მუჰთასიბს ეკისრება და არა შურტას⁷.

ამ „წელის“ საერთო თავისებურება, ერთდროულად რელიგიური და საქალაქო-სამოხელეო ფუნქციათა შერწყმა, გვაფიქრებინებს, რომ ეს თანამდე-

¹ Enzyklopedie des Islam, III, 758 — 759.

² იქვე, 759.

³ K r e m e r, Kulturgeschichte des Orients. გვ. 423 — 6.

⁴ K r e m e r, Kulturgeschichte, 423 — 6

⁵ Б а р т о л ь д, Туркестан в эпоху монгольского нашествия. გვ. 240 — 241.

⁶ საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, გვ. 4 — 5

⁷ საინტერესო გარემოებაა, რომ კრემერი აფრთხილებს თავის მკითხველებს, რათა მათ არ აღერიდნენ ერთმანეთში მუჰთასიბის, ქალაქის ბაზრისა და პოლიციის უფროსის თანამდებობა საკიბ შურატის თანამდებობასთან. Kulturgeschichte, I, 190.

ბობა ჩვენში თბილისის საამიროს ვზით უნდა იყოს შემოსული. რადგან ეს საკუთრივ ქალაქის მოხელეა და ამავე დროს სპეციალური ნიშნების მატარებელი თავისი სამოხელეო მოღვაწეობის ასპარეზზე, ამიტომ საეჭვოა, რომ ეს თანამდებობა ჩვენში თბილისის შემოერთებამდე გაჩენილიყო. როგორც ვნახეთ, საბუთებშიც ის თბილისის შემოერთების შემდეგ ჩნდება.

მუჰთასიბი სომხეთის ქალაქებშიც გვხვდება და ის იქაც ქალაქის მოხელეა. „სომხეთის ქალაქების ერთ-ერთი თანამდებობის პირობაგანი, — აღნიშნავს მანანდიანი, — როგორც ქ. ანისის წარწერებიდან ჩანს, იყო მუჰთასიბი (არაბ. muhtasib), რომელიც ჰკრებდა საქალაქო გამოსაღებებს (К. Костаянц, Летопись на камнях. СПб, 1913, 24 и 221), ეწეოდა ბაზრის, სასწორების და საზომების მეთვალყურეობას და აგრეთვე ასრულებდა სხვა საპოლიციო ფუნქციებსაც. ბაგრატიდთა სომხეთის ქალაქებში მუჰთასიბის, არაბეთის ქალაქების ჩვეულებრივი თანამდებობითი პირის, მოხსენიება, მე ვფიქრობ, შეიძლება გამოდგეს პირდაპირ საბუთად იმისა, რომ თავისი ტიპით და შინაგანი წყობით სომხეთის ქალაქებს საგრძნობი მსგავსება ჰქონდათ სახალიფოს ქალაქებთან“¹.

დამახასიათებელია, რომ თბილისის გარდა საქართველოს სხვა ქალაქების მუჰთასიბს ჩვენ არ ვიცნობთ. ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამონაკლისის წარმოადგენდეს დმანისი, ან რომელიმე მისი მსგავსი (ე. ი. მუსლიმანთა მფლობელობაში მყოფი) ქართული ქალაქი. თუ ეს რეალური მდგომარეობის ანარეკლია და არა წყაროების სიმცირით და დუმილით გამოწვეული გარემოება, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მუჰთასიბის თანამდებობა თბილისიდან საქართველოს სხვა ქალაქებში არ გადასულა. რაც შეეხება მის არსებობას თბილისში, ეს შეიძლება აიხსნას ამ ქალაქში საკმაო რაოდენობის მუსლიმანური მოსახლეობის ყოფნით და თბილისის მუსლიმანური მოსახლეობისადმი საქართველოს მეფეების დამოკიდებულებით. ამით უნდა იყოს გაპირობებული ის გარემოება, რომ თბილისმა, გარკვეულ დრომდე, შემოინახა აღმოსავლური ქალაქებისათვის დამახასიათებელი თანამდებობანი.

აღსანიშნავია ისიც, რომ მუჰთასიბის თანამდებობა ვერ შერჩა ქართულ საქალაქო წყობილებას და მან, როგორც ჩანს, თბილისის შემოერთების შემდეგ დიდხანს ვეღარ იარსება.

ამიდი. თბილისის საამიროს საქალაქო წყობილებასთან დაკავშირებული ჩანს აგრეთვე ამიდის თანამდებობა. ქართულ წყაროებში ამიდიც XII ს. გვხვდება. დავით აღმაშენებლის ანდერძში და მეფე გიორგი III შიომღვიმის მონასტრისადმი მიცემულ სიგელში არის „საამილო“ გამოსაღები, რაც „ამიდის“ არსებობაზე მიუთითებს. გიორგი III სიგელში ვკითხულობთ: „ქალაქს, რომელ ქულბაქნი აქუან, ხუთნი სპარსობითგანვე, და ოთხნი რომელ უკანის მოუყრიდინ და შემოუწირავენ, თავისუფალნი და უხარჯონი საამიროისა, საამილოისა, საგუსტასიბოისა და ყოვლისა

¹ Я. А. Манандян, О торговле и городах Армении. Эрван. 1930, გვ. 164.

სანუკერისაგან“¹. დავით აღმაშენებლის ანდერძში, შიომღვიმის მონასტრისადმი, ნათქვამია: „ტფილისის საამილოდთ, ვითა სხვთაცა ნიშნითა თვთ ხელითა ჩემითა დამიწერია ასი დრაჰკანა მღვდელთა და მგალობელთათვის, ნუ-ვინ დააკლებს მათ“².

დავით აღმაშენებლის ანდერძის იმ ადგილიდან, სადაც საამილო გადასახადზეა საუბარი, კარგად ჩანს, რომ საბუთის გამცემს სხვა საბუთებშიც ჰქონია საუბარი შიომღვიმის მონასტრის მღვდელთა და მგალობელთათვის „საამილოდან“ გარკვეული წილის გადაკვეთის შესახებ.

საბუთიდან ჩანს, რომ საამილო მნიშვნელოვანი გადასახადი ყოფილა რაკი მისი გარკვეული წილი 100 დრაჰკანითაა განსაზღვრული.

საამილო გადასახადი, როგორც ვნახეთ, მოხსენებულია გიორგი III სიგელშიც. ასე რომ, XII ს. სიგრძეზე „საამილოს“, ეტყობა, გარკვეული ადგილი უჭირავს საგადასახადო სისტემაში. საყურადღებოა ისიც, რომ საამილო მოხსენებულია საგუსტასიბო, სარაისო და სხვა გადასახადთა გვერდით. აღნიშნული გადასახადები კი, ჩანს, მხოლოდ საქალაქო გადასახადებთან არიან დაკავშირებული.

მეფე გიორგი III საბუთში საამილო და სარაისო გამოსაღების მოხსენიება მიუთითებს ამ თანამდებობათა (ამილი, რეისი) არსებობაზე ჩვენში. რაკი საამილო გადასახადი არსებობს, უნდა ვიფიქროთ, რომ ამილის თანამდებობაც არსებობს. ამის მოწმობას წარმოადგენს ის, რომ მოტანილ საბუთში გადასახადები გარკვეულ მოხელეობასთან არიან დაკავშირებული. საამილო, ამ საბუთში, ისეთივე მნიშვნელობითაა ნახმარი, როგორც საამირო, საგუსტასიბო³ სარაისო.

ქართულ წყაროებში ხელშესახები ცნობები ამილის უფლება-მოვალეობის დასადგენად არ მოგვეპოვება, ამიტომ ისევ ანალოგიას უნდა მივმართოთ. ანალოგია კი ამ შემთხვევაში დასაშვებია, რამდენადაც ამილი, ისევე როგორც აპირა, მუჰთასიბი და რეისი, თბილისის საამიროს ქალაქების მოხელეთა წრეს უკავშირდება.

საკუთრივ აღმოსავლურ წყაროებში ამილის ფუნქციების განსასაზღვრავად ძუნწი ცნობები მოიპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ ამილის საკითხავი, მაგალითად სამანიდების, ლაზნევიდების და თურქ-სელჯუკების სახელმწიფოებში, უპირატესად სახელმწიფო საბუთების შედგენა და პოლიტიკური ხასიათის მიმოწერის წარმოება იყო. მის დაკავშირებას სახელმწიფო საბუთების შედგენასთან მოწმობს ნიჰამ ულ-მულქის „სიასეთ-ნამე“-ში ამილის მოხსენიება სამდივანმწიფნობროს და სამეურნეო-საფინანსო დაწესებულებების მოხელეთა გვერდით³.

თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამილის თანამდებობა აღმოსავლეთის სახელმწიფოებში, კარგად ჩანს იქიდან, რომ მის ტიტულაციას ჩვეულებრივ

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, გვ. 4 — 5.

² თ. ყო რ და ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა. გვ. 17.

³ Снасет-Наме, გვ. 160.

ტრთვოდა „მულქი“ („სამეფო“), „მულქობა“ კი, იმავე „სიასეთ-ნამე“-ს მიხედვით, შეიძლება დატვოდოდა მხოლოდ „ვაზირის, თულრაის, მუსტოფუის, სულთნის არიზის, ბაღდადის ამიდის და ხორასნის ამილის“¹ წოდებულებას.

აღმოსავლეთის სახელმწიფოების სამოხელეო სარბიელზე ამიდის მოღვაწეობის ხასიათისა და დანიშნულების გათვალისწინებით შეიძლება გვეუქრა, რომ ქართულ ვითარებაშიც ამიდს საბუთების შედგენასთან უნდა ჰქონოდა საქმე, თუმცა საამისო დამადასტურებელი ცნობები ქართულ წყაროებში არ მოიპოვება. მაგრამ ის კი საფიქრებელია, რომ თბილისის საამიროს მმართველობის სისტემაში არსებობდა ისეთი თანამდებობის პირი, რომლის უფლებამოვალეობას სათანადო საბუთების შედგენა შეადგენდა. მასვე უნდა ეწარმოებინა მიწერ-მოწერა ბაღდადის მთავრობასთან. ყოველ შემთხვევაში, გამოირიცხული არაა სამდივანმწიფნობროს არსებობა თბილისის საამიროში. ხოლო არაბული სახელწოდების მოხელეებიდან ერთადერთი მოხელე, რომლის დაკავშირება შეიძლება თბილისის საამიროს სამდივანმწიფნობრობასთან, ეს ამილია. მაგრამ ჩვენი ეს მსჯელობა ეხება ამიდის უფლებამოვალეობას იმ დროს, როდესაც თბილისის საამირო არსებობდა. თბილისის საქართველოსთან შემოერთების შემდეგ, ცხადია, მისი სამოხელეო ფუნქცია უნდა შეცვლილიყო. და რაკი ამილობა მაინცადამაინც სამწერლობო საქმესთანაა დაკავშირებული, შესაძლებელია, რომ მას ქალაქის მწერლის მოვალეობა დაკისრებოდა.

მაგრამ, რადგან მომდევნო ხანებში ის აღარ გვხვდება თბილისში, მისი არსებობაც (მუჰთასიბისა არ იყოს) იქნებ თბილისის მუსლიმანური მოსახლეობისათვის დაგვეკავშირებინა? ყოველ შემთხვევაში, კიდევ რომ დავუშვათ ამიდის, როგორც სამოხელეო ინსტიტუტის, შესვლასაქართველოს საქალაქო წყობილებაში, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მან, მისი მსგავსი სხვა ინსტიტუტებისა არ იყოს (მაგ., მუჰთასიბი), დიდხანს ვერ იარსება, რადგან მომდევნო ხანის საბუთებში ის აღარ გვხვდება და მისი ფუნქციის მატარებლადაც სხვა მოხელე გვევლინება.

რეისი. რეისიც მუჰთასიბის და ამიდის მსგავსად საკუთრივ ქალაქის მოხელეთა წრეში თავსდება.

აღმოსავლეთის ქალაქებში რეისი ქალაქის განმგებელს, ქალაქის უფროსს ეწოდებოდა. ეს სიტყვაც არაბულიდანაა ნაწარმოები.

რეისის შესახებ ბარტოლდი წერს: „რეისი იყო პირველი პირი ქალაქში და მისი ინტერესების დამცველი, მისი მეშვეობით ხელმწიფე მოახსენებდა მოსახლეობას თავის ნებას“². თითოეულ ქალაქს, როგორც წესი, ჰყავდა საკუთარი რეისი. და ამავე დროს რეისი მხოლოდ ქალაქის წარჩინებულთა წრიდან ინიშნებოდა³. რეისის თანამდებობა აღმოსავლეთის მთელ რიგ ქალაქებში სამეგვიდრო წელადაც კი იქცა⁴. რეისები იყვნენ პასუხისმგებელნი ქალაქის ცხოვრების სხვადასხვა დარგის გამო ხელმწიფის წინაშე.

¹ Сиасет-Намэ, 159—160.

² Бартольд, Туркестан. 244.

³ იქვე.

⁴ იქვე.

„სიასეთ-ნამე“-ში რეისის უფლება-მოვალეობის გამო აღნიშნულია: „მოძიონ ყოველ ქალაქში კეთილმორწმუნე, ღვთისმორწმუნე, არა პატივმოყვარე ადამიანი და უთხრან: „ამ ქალაქის და ოლქის კეთილდღეობა შენი პასუხის-შეგებლობისათვის მოგვინდვია. ის რასაც უზენაესი ჩვენგან მოითხოვს, ჩვენ შენგან მოვითხოვთ. გმართებს შენ, რომ იცოდე ამიღის საქმე, ყადის, მუჰთასიბის, მაღალი და მდაბალი ადამიანების მოქმედებანი. უნდა ეკითხებოდე მათ და გვატყობიანებდე ჩვენ, გვითითებდე ფარულად და ღიად, რათა ჩვენ ვბრძანოთ ის, რაც აუცილებელია. ასე ვბრძანებთ ჩვენ“¹.

რეისი იყო აგრეთვე პასუხისმგებელი, რომ მთლიანად აკრეფილიყო და სახელმწიფო ხაზინას ჩაბარებოდა ქალაქის მოსახლეობაზე დაეკისრებული გადასახადი².

ქართულ წყაროებში რეისი მხოლოდ თბილისის შემოერთების შემდეგ ჩნდება. გიორგი III შიომღვიმის მონასტრისადმი მიცემულ სიგელში „სარეისო“ გამოსაღებია მოხსენებული³.

რეისის თანამდებობა თბილისში სავარაუდებელია, როგორც არაბთა ბატონობის ქვეშ მყოფ ქალაქში. თუ ისევ ანალოგიის გზას დავადგებით, რეისი ადგილობრივი (ამ შემთხვევაში თბილისის) მოსახლეობის ზედაფენის წარმომადგენელი შეიძლება იყოს მუსლიმანური ხელისუფლების კარზე. საქიროების შემთხვევაში ის თანხას აგროვებდა მუსლიმანებისათვის; ქალაქის მოსახლეობის უკმაყოფილებისას აშოშმინებდა მათ... მაგრამ საძიებელია, რა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს მას თბილისის შემოერთების შემდეგ? ხომ არ შეიძლება რომ რეისი თბილისის არაქართული და არაქრისტიანული, ე. ი. მუსლიმანური მოსახლეობის, წარმომადგენელი იყოს, ეხლა უკვე საქართველოს მეფის კარზე? მაგრამ ამას თითქმის საბუთის შინაარსი არ უნდა უჭერდეს მხარს. საბუთში ვკითხულობთ: „... ეგრეთვე ქალაქს რომელ ქულბაგნი აქუან (შიომღვიმის მონასტერს, მ. ლ.), ხუთნი სპარსობითგანვე და ოთხნი რომელ (რ'ლ) უკანის მოუყიდიან და შემოუწირავენ, თავისუფალნი და უხარჯონი საამიროისა, საამიდოისა, სარაისოისა, საგუსტასიბოისა და ყოვლისა სანუკერისაგან“⁴. ე. ი. სარეისო გამოსაღებს შიომღვიმის მონასტერიც იხდის (ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ სარეისო გამოსაღები მთელ ქალაქს ადევს). რეისი რომ თბილისის მხოლოდ მუსლიმანური მოსახლეობის წარმომადგენელი იყოს, მაშინ შიომღვიმის მონასტრის საქალაქო საკუთრებასთან სარეისო გამოსაღებს, ვფიქრობთ, არ უნდა ჰქონდეს რამე საერთო; სარეისო გადასახადი მაშინ ალბათ თბილისის მართო მუსლიმანურ მოსახლეობას დაეკისრებოდა.

შესაძლებელია, რომ თბილისის შემოერთების შემდეგ რეისი თბილისის ქართული მოსახლეობის ზედაფენის წარმომადგენელია ქართული ხელისუფლების კარზე.

¹ Сиасет-Наме, გვ. 49.

² იქვე, გვ. 305.

³ საქართველოს სიძველენი; ტ. III, დამატება, გვ. 4 — 5.

⁴ იქვე.

ფეიქრობთ, რომ ის არც სხვა ქალაქებში გადასულა აქედან და აქაც (თბილისშიც) მეტად დღემოკლე აღმოჩნდა, რადგან მისი ხსენებაც კი აღარაა მომდევნო ხანის ჩვენს წყაროებში.

მუშრიბი. ქართულ სინამდვილეში დამოწმებულია მუშრიბის თანამდებობაც. მუშრიბიც, ისევე როგორც ამ რიგის სხვა მოხელეები, ჩვენში თბილისის საამიროს გზით უნდა იყოს შემოსული.

აღმოსავლეთის ქალაქებში მუშრიბს ორი მოვალეობა აკისრია: კარის შესანახად განკუთვნილი თანხის კონტროლი და მეთვალყურეობა-ჯაშუშობა.

მუშრიბის მოვალეობასთან დაკავშირებით ნიზამ ულ-მულქი წერს: „ყველას, ვისაც ეძლევა დიდი თანამდებობა, საჭიროა დაენიშნოს საიდუმლოდ მუშრიბი, მან ამის შესახებ არაფერი არ უნდა იცოდეს, ის (მუშრიბი) სისტემატურად შეატყობინებს ხოლმე მის საქმეებსა და მდგომარეობაზე“¹.

ეხება რა მუშრიბის მოვალეობის საკითხს, ბარტოლდი აღნიშნავს: „იმის გამო, რომ ბეიჰაკისთან მუშრიბები ყოველთვის მოხსენებულნი არიან ხაზინადრებთან ერთად და სასახლის ქონების აღწერას აწარმოებენ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მათი კონტროლი ძირითადად ეხებოდა იმ თანხას, რომელიც კარის შესანახად იყო განკუთვნილი“².

ქართულ წყაროებში მუშრიბი „ველმწიფის კარის გარიგება“-შია დამოწმებული. ამ ძეგლში ვკითხულობთ: „მუშრიბი რაც ქალაქთა საქურქლე(ნი) შევა და ნავაქრი რაც შევა, და სანელბელი, მასტიკი და სამარხო წამალი, საქმარი თუ თუთუბო, ესეც მუშრიბმან იცის“-ო³. ამ ცნობიდან გამომდინარე, აკად. ივ. ჯავახიშვილი ასკვნის: „ქალაქთა ბაჟი და სავაქრო გადასახადი ჰბარებია ქართველ მუშრიბს“⁴.

მუშრიბის უფლება-მოვალეობასთან დაკავშირებით ვ. გაბაშვილი წერს: „ქალაქში მოღვაწეობდა აგრეთვე „ქალაქის მწერალი“ (იხ. ისტ. საბ. ტ. III, გვ. 53). ქალაქის მწერლის მეორე სახელი „ქალაქის მუშრიბი“ უნდა ყოფილიყო. მაგ., ქ. გორში არსებობდა „გორის მუშრიბის“ (იხ. თ. ჟორდანიას ქართლ-ჯახეთის მონასტრების ისტ. საბ., გვ. 100 — 101) თანამდებობა. დასტურლამალის ჩელიექის ბაჟის სარგოს წიგნში ერთ-ერთ საბაჟო გამოსაღებს „მუშრიბანა“ ეწოდება: „ბამბის საპალნეზედ ორი აბასი არის. თუ ღარიბი კაცი მოიტანს, ერთი შაური მუშრიბანა არის“ (დასტ., გვ. 100); რაკი მუშრიბანა ბაჟთან იყო დაკავშირებული, უნდა ვიფიქროთ რომ ქალაქის მწერალი ანუ მუშრიბი ქალაქის საბაჟოში შემოსული საქონლის ამწერელი მოხელე უნდა ყოფილიყო“⁵.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბეიჰაკისთან მუშრიბი მოხსენებულა ხაზინადრებთან ერთად და სასახლის ქონების აღწერას აწარმოებს. აქედან

¹ Свасет-Нама, გვ. 33.

² Бартольд, Туркестан. 240.

³ ველმწიფის კარის გარიგება, ვ. თაყაიშვილის გამოცემა.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნ. I, გვ. 171.

⁵ ვ. გაბაშვილი, ქართლის სამეფოს სახელმწიფო წესწყობილება დასტურლამალის მიხედვით. გვ. 221.

გამომდინარე ბარტოლდი ასკენის, რომ მათი, ე. ი. მუშრიბების, კონტროლი ძირითადად ეხებოდა იმ თანხას, რომელიც სასახლის კარის შესანახად მიდიოდა. „ნელმწიფის კარის გარიგება“ და ვ. გაბაშვილის მიერ მოტანილი საბუთები უფლებას გვაძლევს ჩვენი მუშრიბის საკითხავი ქალაქთა ბაჟს და სავაჭრო გადასახადს დავეუკავშიროთ; ხოლო რადგან ამ გადასახადს მუშრიბი კი არ ინახავს, არამედ აღწერს და საქურქლეში აბარებს, ალბათ ამიტომაც ბეიპაკისთან ის ხაზინადრებთან ერთად მოხსენებულნი. ამავე დროს, რადგან მუშრიბი სასახლის ქონების აღწერას აწარმოებდა, მისი კონტროლი იმ ქონებასაც ეხებოდა, რომელიც კარის შესანახად მიდიოდა. აქედან გამომდინარე ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლეთის ქალაქებშიც მუშრიბების ძირითადი და თავდაპირველი მოვალეობა-დანიშნულება სწორედ ეს იყო (ქალაქის საბაჟოში შემოსული საქონლის აღწერა, სასახლის ქონების, კარის შესანახი ქონების აღწერა). ბეიპაკისაც მისი ეს მოვალეობა აქვს აღნიშნული¹, ხოლო მისთვის მეთვალყურის როლის დაკისრება კი მეორეხარისხოვანი მოვლენაა და უფრო გვიანდელიც: ნიზამ ულ-მულქი საერთოდ დიდ ყურადღებას აქცევს მოხელეებისათვის თვალყურის დევნების საკითხს, მსტოვართა ინსტიტუტს და მის მნიშვნელობას (ამ საკითხით ის მეტად დაინტერესებული ჩანს). იქნებ ამიტომაც, რომ მუშრიბის ძირითად მოვალეობადაც ნიზამ ულ-მულქი მეთვალყურეობას თვლის და ამას აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას.

მუშრიბი, ისევე როგორც სხვა მოხელეები, თბილისის შემოერთების შემდეგ უნდა იყოს შემოსული საქართველოს საქალაქო წყობილებაში. მაგრამ რით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართულ წყაროებში „ნელმწიფის კარის გარიგების“ უადრეს ის არაა დადასტურებული? ამ საკითხის ახსნაში იქნებ ნიზამ ულ-მულქის ერთი ცნობა დაგვეხმაროს: „არ არის საკირო—წერს ის—რომ მათი (მუშრიბების) შესანახი ყოველთვიური თანხა ხალხს აწვეს ვალად, რომ ეს ახალ სიმძიმედ იქცეს (ხალხისათვის). რაც მათ (მუშრიბებს) ერგებათ შრომისათვის, ბეით აღ-მალიდან მიეცეთ, რომ ისინი არ საკიროებდნენ მექრთამეობასა და მატყუარობას“². ე. ი. მოსახლეობას „სამუშრიბო გამოსაღები“ არ ადევს³. აღრიცხვით ხანის ჩვენს ხელთ მყოფ საბუთებში (გიორგი II, დავით აღმაშენებლის, გიორგი III) საუბარია სამოხელეო გამოსაღებთაგან განთავისუფლებაზე. ეს საბუთები იმ სამოხელეო ინსტიტუტების არსებობაზე მიგვითითებენ, რომელთა გამოსაღები მოსახლეობას აწვეს. მუშრიბი ისეთ ძეგლში შეიძლება იყოს მოხსენებული, სადაც საუბარია ამ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, ან მისი საქმიანობის შესახებ. ასეთი ძეგლი კი „ნელმწიფის კარის

¹ ბეიპაკი თავისი შრომის წერა 1018 წ. დაიწყო. ცნობილია, რომ ის მაჰმუდ ლახნეველის კარზე მოღვაწეობდა და მის ხელთ იყო სასახლის დოკუმენტები. მისი ცნობები სასახლის მოხელეთა და მათი უფლება-მოვალეობის შესახებ განსაკუთრებით საინტერესო და ნდობის ღირსია.

² Справед-Нама, გვ. 84.

³ შემდეგ, როგორც ჩანს, ჩვენი ეს წესი იცვლება, რასაც „დასტურლამალის“ „მუშრიბა-ნა“ უთითებს.

გარიგება“-ზე უადრესი ჩვენ ხელთ არა გვაქვს. „ქელმწიფის კარის გარიგება“-ში კი არის ასეთი ხასიათის ცნობები, იქ მუშრიბიცაა მოხსენებული და ჩვენც მას ვეყრდნობით¹.

* * *

ქალაქის მოხელეთა ჩვენ მიერ განხილული ინსტიტუტები ქართულ სინამდვილეში თბილისის საამიროს გზით შემოდინან; გამონაკლისს წარმოადგენს ამირა, რომლის ერთი მნიშვნელობა თბილისის საამიროს უკავშირდება, მეორე — შემოერთებული ქალაქების საქალაქო წყობილებას.

ჩვენს ხელთ მყოფი მასალებით თითქოს გარკვეული კანონზომიერებაც კი შეინიშნება: ამირა და შურტა, ქალაქისა და მისი ოლქის მოხელეები, ქართულ საბუთებში თბილისის შემოერთებამდე გვხვდებიან (თბილისის საამიროს ტერიტორიის შემოერთების შემდეგ), ხოლო საკუთრივ ქალაქის მოხელენი, მუჰთასიბი, ამიდი, რეისი, მუშრიბი, თბილისის შემოერთების შემდეგ ჩნდებიან ქართულ საბუთებში.

აღმოსავლეთის ქალაქების მოხელეთა თანამდებობანი საქართველოს იმ ქალაქებში უნდა წარმოშობილიყვნენ, რომელნიც უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი არაბთა ხელისუფლებასთან. თბილისის საამიროშიც, თავის დროზე, ცხადია, ქალაქების შინაგანი წყობილება აღმოსავლეთის ქალაქების მიხედვით უნდა მოწყობილიყო. ქართულ ქალაქებში (ძირითადად თბილისში) არაბული სახელწოდების სამოხელეო ინსტიტუტების არსებობა, ვფიქრობთ, რომ არ ნიშნავს საქართველოს ქალაქების შინაგანი წყობილების მსგავსებას აღმოსავლეთის საქალაქო წყობილებასთან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს სამოხელეო ინსტიტუტები თბილისიდან საქართველოს სხვა ქალაქებში არ გადასულან (გამონაკლისი უნდა დაეუშვათ ამირას მიმართ) და თბილისსაც დიდხანს ვერ შერჩენ. მათ ჯერ შინაარსი შეიცვალეს ქართულ სინამდვილესთან შეფარდებით, ხოლო შემდეგ სავსებით გაქრენ და სხვას დაუთმეს ადგილი. თვით თბილისშიც მათი არსებობა, გარკვეული დროის მანძილზე თბილისის შემოერთების შემდეგაც, თბილისში მრავალრიცხოვანი მუსლიმანური მოსახლეობის არსებობით შეიძლება აიხსნას.

¹ რომ „ქელმწიფის კარის გარიგება“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო ადრინდელი ხანის საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების აღსადგენად, ეს ძალიან კარგად ჩანს აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული მუშაობიდან (იხ. ქართული სამართლის ისტორია).

М. Д. ЛОРДКИПАНИДЗЕ

К ВОПРОСУ О ГОРОДСКИХ ЧИНОВНЫХ ЛЮДЯХ
В ФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ

(Должности с арабскими названиями)

Резюме

В грузинских исторических источниках встречаются наименования городских чиновничьих должностей с арабскими названиями — эмир, шурта, мухтасиб, амид, рейс, мушриб.

В настоящей статье затронуты вопросы о путях проникновения и формах утверждения этих институтов в городском строе феодальной Грузии; основная цель статьи — выявить те особенности, которые были присущи этим институтам в грузинской действительности.

Проникновение этих институтов в грузинский городской строй объясняется, главным образом, наличием тбилисского эмирата.

Чиновничьи институты восточного происхождения должны были появиться в тех грузинских городах, которые непосредственно находились под властью арабов; внутригородской строй тбилисского эмирата был обусловлен городским строем халифата.

Наличие чиновничьих должностей с арабскими названиями в грузинских городах, в основном в Тбилиси, не может указывать на сходство вообще грузинского внутригородского строя с городским строем ближневосточных стран (Халифата). Во-первых, по той причине, что в грузинской действительности эти институты значительно изменили свое содержание, а вскоре и вовсе исчезли, уступив место чисто грузинским чиновничьим институтам (напр., эмир был заменен моуравом); во-вторых, они не распространились в других городах Грузии (за исключением некоторых, напр., эмира).

ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან

(სოლდებილი)

IX—X სს. არაბულ საისტორიო მწერლობაში იხსენიება გეოგრაფიულ გუნქტი სოლდებილი.

სოლდებილი იხსენიება IX—X სს. არაბ ისტორიკოსთა ბალაზორის¹, ტაბარის² და იბნ-რუსთეს³ საისტორიო ნაწარმოებებში, აგრეთვე IX ს. არაბი გეოგრაფის იბნ-ხორდადბეს ნაშრომში⁴ და იაკუთის (1179—1229) გეოგრაფიულ ლექსიკონში⁵.

სოლდებილის აშენებას არაბი ავტორები ხოსრო ანუშირვანს მიაწერენ და მას თბილისის პირდაპირ, მის აღმოსავლეთით ათავსებენ. იმავე ცნობებით სოლდებილი სასახლვრო ციხეა. როგორც ჩანს, არაბი ავტორები ამ სახელწოდებას—სოლდებილი—უკავშირებენ ხოსრო ანუშირვანის მიერ აქ სოლდების ტომის დასახლებას⁶.

სოლდებილი მოქმედს ციხეა IX ს. შუა წლებში, სახელდობრ, ხალიფა მუთავეჯილის (847—861) სარდლის ბულა თურქის ლაშქრობის დროს თბილისის ამირა ისჰაკ იბნ-ისმაილის (830—853) წინააღმდეგ 853 წ.

არაბ ავტორებთან მოხსენებული სოლდებილის ადგილმდებარეობის შესახებ აზრი რამდენიმე მეცნიერს აქვს გამოთქმული. აკადემიკოსი მარი ბროსე

¹ كتاب فتوح البلدان للإمام أبي العباس أحمد بن يحيى بن جابر البلاذري — ed. M. J. de Goeje.

² تاريخ الرسل والملوك لأبي جعفر محمد بن جرير الطبري — ed. M. J. de Goeje.

³ كتاب الأعلام والتفسيه أبي علي أحمد بن محمد بن رسته — ed. M. J. de Goeje.

⁴ كتاب المسالك والممالك عن بن خردادبه — ed. M. J. de Goeje.

⁵ الشيخ الإمام شهاب الدين أبي عبد الله ياقوت بن عبد الله كتاب معجم البلدان — ed. Wüstenfeld.

⁶ صغدييل مدينة بارض ارمينية على نهر الكر من جانب الشرقي قبالت تقايس بناها كسر انوشروان العادل حيث بنى باب الابواب و انزلها قوما من اهل الصغد من ابناء فارس و جعلها مساحه ياقوت III 396

სოლდებილი, არმენიის (ე. ი. ამიერკავკასიის) ქალაქი, მდებარეობს მდინარე მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირზე, თბილისის პირდაპირ. ააშენა ხოსრო ანუშირვან ალ-ყადილმა მაშინ, როდესაც ააშენა ბაბულაბეზები და დაასახლა ის სოლდებით, სპარსული მოდგმის ხალხით. და შექმნა ის სასახლვრო სიმაგრედ.

ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან

(სოლდებილი)

IX—X სს. არაბულ საისტორიო მწერლობაში იხსენიება გეოგრაფიული კუნქტი სოლდებილი.

სოლდებილი იხსენიება IX — X სს. არაბ ისტორიკოსთა ბალაზორის¹, ტაბარის² და იბნ-რუსთეს³ საისტორიო ნაწარმოებებში, აგრეთვე IX ს. არაბი გეოგრაფის იბნ-ხორდადბეს ნაშრომში⁴ და იაკუთის (1179—1229) გეოგრაფიულ ლექსიკონში⁵.

სოლდებილის აშენებას არაბი ავტორები ხოსრო ანუშირვანს მიაწერენ და მას თბილისის პირდაპირ, მის აღმოსავლეთით ათავსებენ. იმავე ცნობებით სოლდებილი სასაზღვრო ციხეა. როგორც ჩანს, არაბი ავტორები ამ სახელწოდებას—სოლდებილი—უკავშირებენ ხოსრო ანუშირვანის მიერ აქ სოლდების ტომის დასახლებას⁶.

სოლდებილი მოქმედი ციხეა IX ს. შუა წლებში, სახელდობრ, ხალიფა მუთავაჯილის (847—861) სარდლის ბუღა თურქის ლაშქრობის დროს თბილისის ამირა ისჰაკ იბნ-ისმაილის (830—853) წინააღმდეგ 853 წ.

არაბ ავტორებთან მოხსენებული სოლდებილის ადგილმდებარეობის შესახებ აზრი რამდენიმე მეცნიერს აქვს გამოთქმული. აკადემიკოსი მარი ბროსე

¹ كتاب فتوح البلدان للإمام أبي العباس أحمد بن يحيى بن جابر البلاذري —ed. M. J. de Goeje.

² تاريخ للرسا و الماوك لأبي جعفر محمد بن جرير الطبري —ed. M. J. de Goeje.

³ كتاب الأعلاق النفسية أبي علي أحمد بن عماد بن رسته —ed. M. J. de Goeje.

⁴ كتاب المسالك و الممالك عن بن خردادبه —ed. M. J. de Goeje.

⁵ الشيخ الامام شهاب الدين أبي عبد الله ياقوت بن عبد الله كتاب معجم البلدان —ed. Wüstenfeld.

⁶ სოლდებილი, არმენიის (გ. ი. ამიერკავკასიის) ქალაქი, მდებარეობს მდინარე მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირზე, თბილისის პირდაპირ. ააშენა ხოსრო ანუშირვან აღ-ყადილმა მაშინ, როდესაც ააშენა ბაბულებები და დაასახლა ის სოლდებით, სპარსული მოღვმის ხალხით. და შექმნა ის სასაზღვრო სიმაგრედ.

სოლდებილს ცურტავთან აიგივებს, მაგრამ ლაზარიათი სამართლიანად უარყოფს ბროსეს აზრს¹.

მარკვარტის აზრით არაბ ავტორებთან მოხსენებული სიმაგრე სოლდებილი არის კალა². მარკვარტის ეს მოსაზრება არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, რადგან არაბი ავტორების სოლდებილი მტკვრის მარცხენა ნაპირზეა, კალა კი, როგორც ცნობილია, მარჯვენაზეა. მინორსკის აზრით სოლდებილი ისანია³. მისივე მოსაზრებით სოლდებილი იგივე საგოლდებელია მოხსენებული იოანე საბანის-ძის აბო თბილელის მარტივლობაში⁴.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენთვის ცნობილ ქართულ წყაროებში გეოგრაფიული პუნქტი სოლდებილი არსად არ გვხვდება, ხოლო არაბ ისტორიკოსთა შორის არ არის თანხმობა სოლდებილის გაგებაში. იბნ-ხორდადბე და იბნ-რუსთე სოლდებილს ოლქად თვლიან⁵, იაკუთი — ქალაქად თვლის⁶. ხოლო ტაბარის, როგორც ჩანს, სოლდებილი თბილისის ნაწილად მიაჩნია.

იბნ-ხორდადბეს გეოგრაფიულ თხზულებაში საქართველოს აღწერილობა მთლად ზუსტი ვერ არის. სხვას რომ თავი დავანებოთ, ფეიქრობთ, საკმარისია

¹ Ist der Name (صغديل) mit Tsurtav (Brosset, Hist I, 1 109) zu identifizieren. Letztere Stadt später Gadchenk genannt, lag ebenfalls in der Nähe von Tiflis, nicht ober am Kur, sondern an einem anderen Flusse, des Gadchinaget wurde, dies macht die Identifizierung mit Sughdabil unwahrscheinlich. Ghazarian, Armenien unter der Arabischen Herrschaft. Marburg, 1903, 83. 224. ჩვენი მხრით დავუმატებთ, რომ სოლდებილი სსახსდგროცხეა, ცურტავი კი ასეთი არ შეიძლებაოდა ყოფილიყო.

² Die Citadelle Kala (ar. قلعة) bei Tiflis ist wohl die von arabischen Geographen erwähnte Festung صغديل gegenüber Tiflis. Marquart, Osteuropäische und ostasiatische Streifzüge. Leipzig, 1903, 83. 394.

³ Isani-Sughdabil. Enzyklopedie des Islam—Tiflis. Leipzig, 1908—1913, 83. 818.

⁴ Isani entspricht des Stadt Sughdabil der Araber. Es ist der Friedhof Sagodebell, auf georgisch „Ort der Seuffer“, der in den Leben des Hl. Abo erwähnt wird. Enzyklopedie des Islam—Tiflis, 83. 825.

⁵ — ارمينية الاولى السيجان اوان و تقيس و بردعة و البيلقان و قبة و شروان ارمينية الثانية جرزان و صغديل و باب فيروذقباز واللكز

პირველი არმენია არის: სისაჯანი, არანი, თბილისი, ბარდა, ბაილაკანი, კაბალა და შარვანი. მეორე არმენიაა: ჯურზანი, სოლდებილი, ფირუზ კუბანის კარი და ლაქბი. (ابن خرداداه, VI, 122).

— كورة ارمينية اوان و جرزان و شروان و خلاط و ديبيل و سراج و صغديل و باجنيس و ارجيش و سيجان و مدينة الباب و الابواب

არმენიის ოლქებია: არანი, ჯურზანი, ნაშავა, ხილატი, დაბილი, სირაჯი, სოლდებილი, ბიჯნისი, არკეში, სისაჯანი და ქალაქი ბაბულ აბვაბი.

(ابن رسته, VII 106)

— صغديل مدينة بارض ارمينية على نهر الكر من جانب الشرقي قبالت تقيس

სოლდებილი, არმენიის ქალაქი, მდებარეობს მდინარე მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირზე, თბილისის პირდაპირ.

(ياقوت, III, 396)

იმის აღნიშვნა, რომ მის „გზებისა და პროვინციების წიგნში“ თბილისი ერთ აღმინისტაციულ ერთეულშია მოქცეული (პირველი არმენია), ხოლო ქართლი (ჯურხანი) — მეორეში (მეორე არმენია). იბნ-ხორდადბესათვის ქართლი, თბილისი, სოლდებილი, ბარდავი... ერთნაირი შინაარსის შემცველი ცნებებია. რაც შეეხება იბნ-რუსთეს, ის, როგორც ცნობილია, თავისი შრომის გეოგრაფიულ ნაწილში მთლიანად იბნ-ხორდადბეს ეყრდნობა და ამდენად მისი ცნობა მოკლებულია დამოუკიდებელი წყაროს მნიშვნელობას.

იაკუთის გეოგრაფიულ ლექსიკონში საინტერესო ცნობები მოიპოვება თბილისთან და სოლდებილთან დაკავშირებით. მართალია, XIII ს. ეს არაბი გეოგრაფი ძირითადად ტაბარის ქრონიკას ეყრდნობა, მაგრამ ტაბარისგან განსხვავებული ცნობებიც მოაქვს. როგორც აღვნიშნეთ იაკუთი სოლდებილს ცალკე ქალაქად თვლის. სოლდებილი, აღნიშნავს იაკუთი, ხოსრო ანუშირვანმა ააშენა, როგორც სასაზღვრო ციხე, და შიგ სოლდების ტომი ჩააყენა¹. შემდეგ, მისივე ცნობის მიხედვით, სოლდებილი გაამაგრა თბილისის ამირა ისჰაკ იბნ-ისმაილმა და ბულა თურქის ლაშქრობის დროს (853 წ.) იქ შეაფარა თავისი ოჯახი და ქონება². აშკარაა: იაკუთი სოლდებილს ქალაქს უწოდებს, მაგრამ აღნიშნავს რომ ხოსრო ანუშირვანმა ის სასაზღვრო ციხედ ააშენა და ისჰაკ ამირაც ციხედ (გამაგრებულ ადგილად) იყენებს.

ტაბარის ცნობით სოლდებილი თბილისის ეკუთვნის და თბილისს და სოლდებილს მდინარე მტკვარი ყოფს³. მისივე ცნობით თბილისის ხუთი კარიდან ერთი სოლდებილის კარია⁴.

— بناها كسر انوشروان العادل
حيث بنى باب الابواب و انزلها قوما من
اهل الصغد من ابنا فارس و جعلها مسكحة

(III, 396, ياقوت)

— فكان اسحاق بن اسماعيل قد حصن
صغدليل و جعلها معلقة و اودعها امواله و زوجته
ابنة صاحب السرير

— و هو نهر عظيم مثل الصراة ببغداد
و اكبر و هو ما بين المدينة و تقليس في
الجانب الغربي و صغدليل في الجانب الشرقي

(II, 1410, الطبري)

— لتفليس خمسة ابواب باب ميدان و باب
قريس و باب الصغير و باب الربض و باب
صغدليل

ააშენა (სოლდებილი) ხოსრო ანუშირვან ალ-ყადილმა მაშინ, როდესაც ააშენა ბაბულაბვაზი და დაასახლა ის სოლდებით, სპარსული მოდგმის ხალხით, და შექმნა ის სასაზღვრო სიმაგრედ.

ისჰაკ იბნ-ისმაილმა გაამაგრა სოლდებილი შექმნა თავშესაფარად და მიანდო მას თავისი ქონება და თავისი ცოლი სარირის ბატონის ასული. იქვე.

და ის (მტკვარი) დიდი მდინარეა მსგავსად სერათისა ბაღდადში და უფრო დიდიც. ჩამოუდის ის ქალაქს შუაში თბილისი მდებარეობს დასავლეთის მხრით და სოლდებილი აღმოსავლეთის მხრით.

თბილისის ხუთი კარი აქვს. მოედნის კარი, კარის კარი, მცირე კარი, რაბადის კარი და სოლდებილის კარი.

(იქვე, 1414)

ისპაკ იბნ-ისმაილი ამაგრებს სოლდებილს, თხრილს ავლებს მის გარშემო და მასში ზოელთა მეციხოვნე ჯარს აყენებს. ბულა თურქის ლაშქრობის დროს ამირა ისპაკ თავისი ოჯახი სოლდებილში შეჰყავს და ქონებასაც იქვე ათავსებს¹. საინტერესოა, რომ ბულა, ქალაქზე იერიშის დროს, ერთ-ერთ თავის სარდალს გზავნის ქალაქ თბილისის მოედნის მხრისაკენ, მეორეს რაბადის კარის მხრისაკენ, თითონ გადალახავს მტკვარს, დადგება იმ გორაკზე, რომელიც სოლდებილს ეკვრის (მახათას მთა), და იქიდან ადევნებს თვალყურს სამომარ ოპერაციებს². ამ ცნობით სოლდებილი აშკარად თბილისის ერთ-ერთი ციხე-სიმაგრეა, მისი გამაგრებული პუნქტი და არა ცალკე ქალაქი.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თბილისის პირდაპირ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, იქვე თბილისთან, მეორე ქალაქის არსებობა არაა სავარაუდებელი. ამ მხრივ კიდევ უფრო სარწმუნო ხდება ტაბარის ზემოთ დამოწმებული ცნობა.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენთვის ცნობილ ქართულ წყაროებში სოლდებილი არ არის მოხსენიებული. მაგრამ მოიპოვება მსგავსი სახელი. სოლდებილის მსგავსი სახელის ხმარებას ვხედგებით იოანე საბანისძის „აბო თბილელის მარტილობა“-ში საგოდებლის სახით, აგრეთვე თამარ მეფის ისტორიაში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) სალუდებლის (სალოდებლის) სახით და 1013 წ. ერთ ხელნაწერში³.

იოანე საბანისძის საგოდებელი მდებარეობს ქალაქს გარეთ „გარეშე ქალაქსა“ ადგილსა მას, „რომელსა საგოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათაჲ“⁴. აკად. კ. კეკელიძის აზრით „ეს ადგილი იმყოფებოდა ქალაქის ციხის ან სადილეგოს აღმოსავლეთით, მტკვრის ვაღმა, „პირსა ზედა კლდისასა“, ყოველივე ნიშნით — მეტეხის ყოფილი ციხის, თუ ადგილის არა მახლობლად“⁵. იოანე საბანისძის საგოდებელი არის ადგილი, „რომელ არს აღმოსავლით ციხესა მას ქალაქისასა, რომელსა ჰრქვან სადილეგო“⁶. მისთვის ციხე სადილეგოა, საგოდებელი კი ამ ციხის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია.

وكانت امرأة اسحق نازلة صغديل¹
و كان اسحاق قد حسنها و حفر خندقها
و جعل فيها مقاتلة من الخويثية و
غيرهم

ისპაკის მეუღლე იმყოფებოდა სოლდებილში... ისპაკმა ის (სოლდებილი) გაამაგრა, შემთავლო თხრილი და ჩააყენა შიგ ზოელთაგან და სხვათაგან შემდგარი მეციხოვნე ჯარი. (იქვე, 1417).

...وكان معسكر بغا في الشرقي... فاتاهم²
زيرك مما يلي الميدان و ابو العباس
مما يلي باب الربض... و وقف بغا على تل
مطلب على مدينة مما يلي صغديل ليظهر
ما يصنع زيرك و ابو العباس

დაბანაკდა ბულა აღმოსავლეთის მხრიდან.. მიადგა ისპაკს ზირაკი მოედნის მხრიდან და აბულაბას ალვასი რაბადის კარის მხრიდან... იდგა ბულა იმ გორაკზე, რომელიც დაჰყურებს ქალაქს და სოლდებილს ეკვრის. (იქვე 1410)

30. 29. ¹ კ. კეკელიძე. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. თბილისი, 1935,

² იოანე საბანისძე. აბო თბილელის მარტილობა. კ. კეკელიძე, იქვე, გვ. 74.
³ იქვე, 30. ⁴ იქვე, 75.

თამარ მეფის ისტორიკოსის სალუღებელიც აქვეა. რამეთუ „ყუთლუ არსლანმა ითხოვა კარავი დადგომად ველსა ისანისსა და სანახებსა სალოღებელისსა (სალუღებლისა)“¹. ისანი, როგორც მტკვრის მარცხენა ნაპირის თბილისის სახელწოდება, XI ს. უკვე არსებობს². მანამ კი თბილისის ამ ნაწილის სახელწოდება ცნობილი არაა. ამ დროს ისანში მეფეთა სასახლეა. ყუთლუ არსლანიც სალუღებლის სანახებში, ისნის ველზე მოითხოვს კარვის დადგმას. ექვეს გარეშეა, რომ ეს სალუღებელი იოანე საბანისძის საგოდებელია — ქალაქის ციხის და მეფეთა სასახლის აღმოსავლეთით.

ამგვარად, თამარის ისტორიკოსის სალუღებელი ისანშია, აქვე მიეყავართ იოანე საბანისძის საგოდებელსაც — გარეშე ქალაქსა, მტკვარს ვაღმა „პირსა ზედა კლდისასა“. მაგრამ რა ურთიერთობა აქვს საგოდებელს სალუღებელთან? თუ VIII ს. საგოდებელი არის ის, რადაც მას იოანე საბანისძე თვლის, ე. ი. სასაფლაო, მაშინ რატომ მივიღეთ საგოდებლიდან სალუღებელი? რატომ არ შემორჩა ქართულ სასაფლაოს საგოდებლის სახელი, თუ ის ქართული წარმოშობის იყო? გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ იოანე საბანისძეს ამ სახელის განმარტება ჭირდება თავისი თანამედროვეებისათვის — „რომელსა საგოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათად“. თუ ამ დროს სასაფლაოს ეწოდება საგოდებელი, ცხადია, ავტორს ასეთი განმარტება არ უნდა ჭირდებოდეს. იქნებ (და ალბათ) მან იცის ამ ადგილის არაბული სახელწოდება (უკეთ რომ ვთქვათ ადგილის მიერ ციხიდან მიღებული სახელწოდება) სოლდებილი, რომელიც დიდ მსგავსებას პოულობს ქართულ საგოდებელთან. და რადგან სწორედ აქ ქალაქის სასაფლაოა (ქალაქს გარეთ როგორც მოსალოდნელიცაა), ის ასკვნის, რომ ეს საგოდებელია³. თუ ასეთ დასკვნას დავადგებით, მაშინ გასაგებია თამარის ისტორიკოსთან სალუღებლის არსებობა. თამარის ისტორიკოსისათვის ეს არის არა საბანისძის საგოდებელი — სასაფლაო, არამედ — არაბი ავტორების სოლდებილი.

არაბულ და ქართულ წყაროებში შენახული ცნობების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ: არაბი ავტორების სოლდებილი ციხეა, ხოლო იოანე საბანისძის საგოდებელი და თამარის ისტორიკოსის სალუღებელი ამ ციხის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაა. საკუთრივ ციხე კი იოანე საბანისძისთვის არის ქალაქის ციხე ან სადილეგო.

ააშენა თუ არა ნამდვილად ხოსრო ანუ შირვანმა სოლდებილის ციხე, ამაზე ვერას ვიტყვით, მაგრამ იმაში კი უნდა დავეთანხმოთ არაბ ავტორებს, რომ

¹ ისტორიანი და ახმანი შარაყანდედთანი. კ. კეკელიძის გამოცემა, თბილისი, 1941, გვ. 77.

² ამის დასადასტურებლად გამოდგება ბაგრატ IV მიერ 1046 წ. თბილისის დაკავების დროს ისნის მოხსენიება (ქცხა, ანასეული, გვ. 186).

³ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ საქართველოს ზოგ კუთხეში (მაგ., თუშეთში) დღესაც არსებობს საგოდებელი. საგოდებელი ეწოდება სასაფლაოდან მოშორებულ ადგილს (დასაბლბულ პუნქტსა და სასაფლაოს შორის), სადაც დადგამენ მიცვალებულს და გოდებენ, შემდეგ მიასვენებენ სასაფლაოზე. იქნებ ეს საგოდებელიც დაუკავშირა იოანე საბანისძემ სოლდებილს.

თბილისის და მისი მტკვრის მარცხენა ნაპირის პირველი გამმაგრებლები სპარსელები იყვნენ. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ დროიდან ეწოდება მტკვრის მარცხენა ნაპირზე მყოფ ციხეს და მისგან მის მიდამოსაც სოლდებილი. ამ სახელწოდებით იცნობენ მას არაბებიც.

VIII ს. იოანე საბანიძე ამ ციხეს სადილეგოს ეძახის. მაგრამ როგორც აღნიშნულიც გვქონდა, IX ს-შიც სოლდებილი მოქმედი ციხეა. არაბთა მფლობელობის დროს ის სასახლგრო ციხის დანიშნულებას ასრულებს. თბილისის ამირები განსაკუთრებით ზრუნავენ მის გამაგრებაზე, რადგან ის ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მცველთაგანია.

როგორც ცნობილია, ნავიანეგ ხანაში მტკვრის მარცხენა ნაპირას, თბილისის პირდაპირ (იგულისხმება ძვ. თბილისი, დღევანდელი აბანოების უბანი) მეტეხის ციხეა. ვფიქრობთ, რომ ეს მეტეხის ციხე არის იგივე (ან შემდეგ მის ადგილზე აშენებულ-განახლებული) სოლდებილი და იოანე საბანიძის სადილეგო „პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოდც“¹. სწორედ ასეთ კლდეზეა ამართული მეტეხის ციხე თბილისის პირდაპირ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ზოლო 1800 წ. თბილისის გეგმაზე მეტეხის ციხის კედლებთან თხრილია აღნიშნული². ხომ არ არის ეს ძვ. სოლდებლის თხრილი?

ამგვარად: არაბი ავტორების ციხე სოლდებილს იოანე საბანიძე ქალაქის ციხეს ან სადილეგოს უწოდებს. საგოდებელი (სოლდებილიდან) მისთვის ციხის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაა. XI ს-ში მტკვრის ამ მარცხენა ნაპირის თბილისის ისანი ეწოდება, რომლის აღმოსავლეთ ნაწილს სალუდებელი შერჩენია სახელად. შემდეგ საუკუნეებში ამ ციხეს მეტეხის ციხე ეწოდება. მტკვრის მარცხენა ნაპირის თბილისი დიდხანს ინარჩუნებს ისნის სახელწოდებას, ზოლო სოლდებილი ქრება როგორც ციხის, ასევე მის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიის სახელწოდებიდან.

М. Д. ЛОРДКИПАНИДЗЕ

ИЗ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ ГОРОДА ТБИЛИСИ

(СОГДЕБИЛИ)

Резюме

В арабских исторических источниках IX—X вв. встречается географическое наименование Согдебили. По имеющимся материалам (арабским, грузинским) удается установить, что Согдебили арабских авторов есть крепость старого г. Тбилиси на левом берегу р. Куры, вероятно перво-

¹ იოანე საბანიძე, აბო თბილელის მაჩტილობა, გვ. 75.

² „Давный окоп, теперь немного только приметен“. მოსკოვის ც. ს. არქ. ВЦА. 22660. ცნობა მოგვაწოდა დოც. შ. მესხიამ.

начально построенная в V—VI вв. В VIII—IX вв. эта крепость укреплена арабами. Грузинский историк VIII в. (Иоане Сабанисдзе) эту крепость называет „Садилего“, а Согдебили (Сагодебели) он именует территорию восточнее крепости. В XI в. (по грузинским источникам) этот левобережный район старого города Тбилиси именуется „Исани“, восточная часть которого сохранила название Согдебили. В последующих же веках эта крепость именуется метехской крепостью.

Левобережная часть старого г. Тбилиси долго сохраняет за собой наименование Исани, а название Согдебили исчезает.

3. ცისპარიზვილი

წარწერები ასპინძის რაიონიდან

1. ფიის წარწერა 995 წლისა

ასპინძის რაიონში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ასპინძიდან 22-ოდე კილომეტრის მანძილზე, სამხრეთით, მდებარეობს ნასოფლარი ფია.

ნასოფლარში დღემდის მოიპოვება ორი პატარა ძველი ეკლესია, ზედა ეკლესიის ეზოში ძვეს ქვის ოთხწახნაგაიანი სვეტი; რომელიც თანდათანობით ვიწროვდება ზემოდან ქვემოთ. სვეტის სიმაღლე უდრის 1,15 მ-ს, სისქე და და სიგანე ზემო მხარეს — 0,50 მ-ს, ქვედა მხარეს — 0,40 მ-ს. ამას გარდა სვეტის ზედა მხარე 0,12 მ-ის სიმაღლეზე ოდნავ გაწეულია ოთხსავე მხარეს, ასე რომ სვეტს ერთგვარად „თავი“ აქვს გაკეთებული.

სვეტზე წინა მხარეს ამოკვეთილია ორი სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. პირველი სტრიქონი მოთავსებულია სვეტის; თავზე, ხოლო დანარჩენი — ტანზე: უკანასკნელი სტრიქონი შედგება სამი ასოსაგან. რომლებიც ქრონიკონს წარმოადგენს. წარწერა ძალიან კარგად არის შენახული და მისი ყოველი ასო გარკვევით იკითხება.

ძნელია გადაჭრით რისიმე თქმა სვეტის დანიშნულების შესახებ, აშკარაა მხოლოდ, რომ ის ამ ეკლესიის არქიტექტურულ ფრაგმენტს არ წარმოადგენს. თავისი ფორმის მიხედვით ის ტრაპეზის ქვასა ჰგავს, მაგრამ, რადგანაც ზედსაღმშენებლო წარწერაა ამოკვეთილი, ძნელია იმისი მტკიცება, რომ ის ტრაპეზად ყოფილიყო გამოყენებული.

რამდენადაც ვიცით, ფიის წარწერა ჯერჯერობით ცნობილი არაა ლიტერატურაში¹. რადგანაც ის უძველეს თარიღიან წარწერათა რიცხვს ეკუთვნის, საჭიროდ მიგვაჩნია მისი გამოქვეყნება.

წარწერაში რამდენიმე სიტყვა შემოკლებულად არის დაწერილი, მაგრამ ქარაგმები არა ჩანს, არც განკვეთილობის ნიშნებია დაწერილი, შეიძლება იმითომ, რომ თავიდანვე არა ჰქონდა, ან კიდევ იმიტომ, რომ ქვა რბილია, ფორებიანი და დაწერილი ნიშნები გადაილია.

წარწერის ასოები საერთოდ მრგვლოვანია, მაგრამ ერთგვარი მიდრეკილება კუთხოვანი მოყვანილობისაგან. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ასო ლ, რომელიც წარწერაში ორჯერ არის ნახმარი (1 და მე-4 სტრ.). პირველად იგი მრგვლოვანი სახისაა და დიდი, მეორედ კი ნუსხური და პატარა.

ცოტა უცნაურია ის გარემოება, რომ წარწერას თავში ჯვარი არ უხის.

¹ აღნიშნულ წარწერაზე ჩემი ყურადღება მიიქცია არქიტექტორმა გ. გაფრინდაშვილმა; მანვე მომაწოდა წარწერის ფოტო-სურათიც.

ქარაგმების გახსნით და დაკლებული ასოების აღდგენით წარწერა ასე უნდა წავიკითხოთ: „სახელითა ღმრთისადათა მე ჩქრმნ და ძმათა ჩემთა დაედგით ესე ეკლესიამ. ქრონიკონი იყო სიე“.

ს ხ უ მ ძ ი ძ რ კ უ ზ

ჩ ქ რ მ ნ ო ო ო ო ო

ღ ხ უ მ ძ რ ზ რ ზ

კ უ უ ო ო ო ო ო ო ო ო

ე ქ ქ ხ რ ო ო ო

ს ო ო

ფიგ.

წარწერის ასოთა მოყვანილობა საერთოდ ძველია და შეუძლებელია მისი ქრონიკონი (სიე = 215) XIV მოქცევას მივაკუთვნოთ, უთუოდ აქ XIII მოქცევა იგულისხმება. ამიტომ ცხადია, რომ ეკლესიის აშენების თარიღი 995 წელია ($780 + 215 = 995$).

ძნელია ამჟამად იმისი თქმა, თუ როგორ უნდა გაიხსნეს შემოკლებით დაწერილი სახელი ეკლესიის აღმშენებლისა ჩქრმნ, სადაც ორი უკანასკნელი ასო (მნ) უგუველად მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია (= მან). სახელის ფუძე ჩქრ შეიძლება ასე წავიკითხოთ: ჩქარ (ან ეგების ჩაქურ, ჩექურ?), მთლიანად, მაშასადამე, ჩქარმან (ან: ჩექურმან, ჩაქურმან?). ჩქარის სასარგებლოდ ის ლაპარაკობს, რომ ამ სახელისაგან ნაწარმოებია გვარი ჩქარეული.

სამწუხაროდ, სხვა ისტორიული წყაროებიდან არ ვიცით თუ ვინ იყო ეს ჩქარი.

2. ვანის ქვაბების მხედრული წარწერები*

ასპინძიდან 30-ოდე კილომეტრის მანძილზე, ვარძიის მონასტრის ცოტა ქვემოთ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს რამდენიმე სართულად განლაგებული ნანგრევები ვანის ქვაბებისა, რომელსაც XIV საუკუნის მეორე ნა-

* ეს წარწერები მოხსენებული აქვს ლ. მუსხელიშვილს „ვანის ქვაბთა განგების“ ტექსტის კრიტიკულ გამოცემაში; იგი აღნიშნავს, რომ „ვანის ნანგრევები 1933 წლ. ზაფხულში ინა-

ზევრამდე „ვაჰანის ქვაბებს“ უწოდებდნენ¹. ვანის ქვაბების მონასტრისაგან დღეს მხოლოდ ნანგრევები არის შემორჩენილი. „აქაც ქვაბებია მსგავსად ვარძისა, და აქაც ფართო სავანე უნდა ყოფილიყო“².

წერილობით წყაროებს ვანის ქვაბების შესახებ ბევრი არაფერი შემოუ-
ნახავს: არ არის ცნობილი ვის მიერ და როდის არის დაწყებული და დამ-
თავრებული მისი მშენებლობა-გამოკვეთა. ხალხური გადმოცემით XI ს. ბო-
ლოს, თმოგვთან ერთად, ვანის ქვაბებიც დანგრეულა³, მაგრამ ამ დანგრევას
მონასტერი არ მოუშლია, რასაც მომდევნო ხანის წერილობითი წყაროები ადას-
ტურებენ. როგორც ლ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, 1204 წ. მწიგნობართუხუ-
ცეს ანტონ ჭყონდიდელს, მეფის პირველ ვეზირს, ვაჰანის მონასტრისათვის
ზღუდე აუშენებია; ეს იმას ნიშნავს, რომ 1204 წლამდე მონასტერი „საბატო-
ნო მფლობელობაში არ იყო გადასული“⁴ — ჯერ კიდევ სამეფო ყოფილა-
ამის შემდეგ კი, როცა თმოგვი მჯარგრძელთა ხელში სამემკვიდრო სამფლო-
ბელოდ იქცა, ვანის ქვაბები მათ გადაეცა, როგორც სავარეულო მონასტე-
რი, რადგან „დიდი ფეოდალური სამფლობელოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვა-
ნესი ატრიბუტი საგვარეულო მონასტერი იყო“⁵. ამას ადასტურებს ერისთავთ-
ერისთავის თმოგველ მჯარგრძელის, სარგისის ძის მიერ, ვაჰანის ქვაბთათვის
დადებული განგება (1204—1234 წწ.), რომელიც მონასტრის რიგსა და განმგებ-
ლობის წესს შეიცავს (იხ. ლ. მუსხელიშვილის გამოცემა).

ვანის ქვაბებში სამი ეკლესია არსებობს. ერთი მათგანი მდებარეობს გა-
მოქვაბულთა ქვედა რიგში და წარმოადგენს ნახევრად ნაშენს და ნახევრად
კლდეში გამოკვეთილ დარბაზული ტიპის შენობას. მას ერთი კარი აქვს — სა-
მხრეთიდან. შესავლის ჩარჩოს ქვედა მარჯვენა ნაწილში ჩაშენებულია ქვა
ასომთავრული წარწერით. ეკლესია გადაკეთებულია, რასაც სხვა ნაშენებთან
ერთად ისიც მოწმობს, რომ ამჟამად წარწერიანი ქვა ვერტიკალურად არის
დაყენებული.

ბუღა და წარწერებიც გადმოიღო ნ. ბერძენიშვილმა“ (იხ. „ვაჰანის ქვაბთა განგება“, ლ. მუს-
ხელიშვილის გამოცემა, 1939 წ. გვ. 10—11). ამავე წარწერების შესახებ ცნობა მოუპოვება
კ. ესმაშვილს (იხ. ვახუთი „კომუნისტი“ 1936 წ., № 197; ვარძის მუზეუმის დაარსების შემ-
დეგ მუზეუმის თანამშრომელთა ძიერ გადმოღებულ იქნა წარწერათა პირები და წასაკითხად
გადაეცა პროფ. ილია აბულაძეს, რომელმაც ისინი კომენტარების გარეშე წაიკითხა (ხელნა-
წერი ინახება ვარძის მუზეუმში, № 259). ცილა გაბაშვილმა თავის „ვარძიაში“ (გზამკვლევი)
გამოაქვეყნა ერთი წარწერის ფოტოსურათი.

ჩვენს წერილში წარმოდგენილია 9 წარწერის სრული ტექსტი ფოტოებით და მათი
წაკითხვის ცდა. ფოტოსურათები გადაღებულია არაერთგზის ადგილზე შემოწმებული კალ-
კებიდან.

¹ იხ. „ვაჰანის ქვაბთა განგება“, ლ. მუსხელიშვილის გამოცემა. 1939, გვ. 9—10.

² იქვე, გვ. 10.

³ ც. გაბაშვილი. ვარძია (გზამკვლევი), 1945, გვ. 38.

⁴ „ვაჰანის ქვაბთა განგება“, ლ. მუსხელიშვილის გამოცემა, გვ. 12. 1939.

⁵ იქვე, გვ. 17.

მეორე ეკლესია მოთავსებულია გამოქვაბულთა ერთ-ერთ ზედა სართულში და ამჟამად თითქმის მთლიანად ჩაფლულია ჩამონგრეულ კლდეთა შორის. როგორც ნანგრევებიდან ჩანს, ეკლესია მთლიანად გამოკვეთილი ყოფილა კლდეში და წარმოადგენდა თავის დროზე საკმაოდ მოზრდილ, ჯვარის გეგმის გუმბათიან სივრცეს.

მესამე ეკლესია მდებარეობს გამოქვაბულთა სულ ზედა სართულზე. ის წარმოადგენს აღმოსავლეთის მხრით კლდეში ჩაშენებულ, მცირე ზომის, ჯვარის გეგმის გუმბათიან შენობას. გუმბათქვეშა ოთხკუთხედიდან გუმბათის ყელის წრეზე გადასვლა აფრების საშუალებით ხდება. ჯვარის სამი მკლავი ოთხკუთხედაა, მეოთხე — აღმოსავლეთისა კი დანარჩენებთან შედარებით ბევრად უფრო წაგრძელებულია და აფსიდით მთავრდება. ეკლესიას აქვს ორი კარი: სამხრეთით და ჩრდილოეთით. დასავლეთის კედელში ერთიმეორის თავზე გაჭრილია ორი ოთხკუთხა საკაქელი, გუმბათის ყელში კი ექვსი.

ეკლესიის სამხრეთით შერჩენილია პატარა უსწორო მოყვანილობის სამკოფლის ნაშთი, ხოლო ჩრდილოეთით — დანგრეული დიდი გამოქვაბული, რომელშიაც ჩაშენებულია ორი პატარა ოთხკუთხა ოთახი. ამ კომპლექსის კედლები მოპირკეთებულია ნაცრისფერი კრიალა შელესილობით.

ამ პატარა ეკლესიაში, კედლის სხვადასხვა ადგილას, შავი საღებავით გაკეთებულია წარწერები. ისინი შეიცავენ როგორც მრავალ სტრიქონიან, ისე ერთ ან ორ სტრიქონიან ტექსტებს და სხვადასხვა გარკვეულობით არიან შემონახულნი. სულ ოცდაათამდე წარწერა არის, რომელიც, სულ მცირე, სამ ხელს მაინც ეკუთვნის, და მეტნაწილად მკაფიო, მრგვალი და სწორედ დაყენებული ასოებით არის შესრულებული. დანარჩენი წარწერები ნაკლებად გაწაფულ ხელს ეკუთვნის და ტლანქი კალმით შესრულებული უსწოროდ განლაგებული, არათანასწორი სიდიდის ასოთაგან შედგება. მათ შორის ზოგიერთი განსაკუთრებით გამოირჩევა მეღნის სიმკრთალობით და დაბალი, წერილი და სწორხაზოვანა სტრიქონებით. წარწერების ნაწილი შემკულია ლამაზად გამოხატული მტრედებისა და ლომების სტილიზებული ნახატებით.

ჩრდილოეთის სამკოფლის ჩრდილო კედელზე ამოკაწრულია გამოქვაბულები, კიბეები და ნაღირობის სცენები.

ცხრა წარწერიდან, რომლებსაც ჩვენ ვაქვეყნებთ, ორის გარდა ტექსტი ყველგან იწყება ქანწილით. სიტყვების ერთიმეორისაგან განკვეთილობის ნიშნებად ნახმარია სამი წერტილი, გამონაკლის შეკთხვევაში კი ერთი, ორი და მრავალი წერტილი. ყველა წარწერაში მეტ-ნაკლები რაოდენობით არის ან მეტობა და ასოთა დაკლება. მხოლოდ ერთ წარწერაში (№ 7) არის დაქარაგმების სამი შემთხვევა.

წარწერების შინაარსიდან ჩანს, რომ ისინი ქალებს ეკუთვნიან, რომელნიც უკმაყოფილონი არიან თავიანთი ცხოვრებით: ვერ გავიხარე ჩაცმა-დახურვით, სმა-ჭამით და ნააესაფებითაო — შერს ერთი; ვერ გავიხარე და ასე გაუხარელად უნდა მოგვკდეო — ამბობს მეორე; ასეთივე ჩივილი მეორდება სხვა წარწერებშიაც.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვაჰანის ქვაბთა მონასტრისათვის დაწერილ განგებაში, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მონასტრის რიგსა და განმგებლობის წესს შეიცავს, არაფერია ნათქვამი ვანის ქვაბებში დედათა ყოფნის შესახებ. მხოლოდ ამ ძეგლის გვიანდელ მინაწერ ალაპთა შორის არის ერთი ალაპი, რომელიც მ. ლაბინასძეს ეკუთვნის და, თედო ყორდანას მოსაზრებით, XIV—XV სს. თარიღდება. ამ ალაპში ნათქვამია: „... და თუ ჩემისა. სახლისა: ქალმან ანუ. სძალმან. ჩოკათა. ჩაცმა: მოინდომოს: ამა. მესამედსა მას მიუძღვანებლით“: თ. ყორდანია იქვე აღნიშნავს: „ამ სიგლიდან ჩანს, რომ ვანის მონასტერში განყოფილება ყოფილა დედათა მოღვაწეობისათვის (დედათა მონასტერი¹); ამას თითქოს ჩვენი წარწერებიც ადასტურებენ“².

I წ ა რ წ ე რ ა

სამხრეთის კედელზე, ვარედან³, კარის ხელმარჯვნივ მოთავსებულია ყველაზე სრული, შინაარსისა და შესრულების მხრივ ყველაზე უფრო გარკვეული, და უხვად შემკული წარწერა. ტექსტს და მის ირგვლივ განლაგებულ ნახატებს უჭირავს 70×50 სმ ფართობი. წარწერა შედგება სხვადასხვა სიგრძის 13 სტრიქონისაგან და სხვა ხელით მიწერილი ორი სტრიქონისაგან. წარწერა შემკულია კობხად გამოხატული მტრედებისა და ლომების სტილიზებული ნახატებით, რომელნიც ხელსაქმეში გამოყენებულ მოტივებს მოგვაგონებს და შემსრულებლის გაწაფულობას მოწმობს. ზოგიერთ ნახატს წარწერა ფარავს, ის უშუალოდ მასთან არ არის დაკავშირებული; ზოგი ფიგურა კი სარტყელივით ევლება წარწერას.

ტექსტი იწყება ქანწილით და დაწერილია ალაგ-ალაგ გადამბული ასოებით; სტრიქონები არაა სწორხაზოვანი და ასოთა ნორმალური განლაგებაც არ არის დაცული; მიუხედავად ამისა, საკმაოდ გაწაფული ხელის გამო, წარწერა მაინც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. რამდენიმე შემთხვევის გარდა, ყოველი სტყევის შემდეგ ნანმარია სამი წერტილი.


წარწერა შესრულებულია ვინმე გულქანის მიერ. პირველი სამი სტრიქონი შეიცავს შიმართვას ღვთაებისადმი, ხოლო შემდეგ მოთხრობილია დამწერის თავგადასავალი. წარწერა ღირსშესანიშნავია იმით, რომ იხსენიებს ისტორიულ პირს — მანუჩარს, რასაც წარწერების დათარიღებისათვის მნიშვნელობა აქვს.

¹ თ. ყორდანია, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და ტეგლი ვაჰანის ქვაბთა. 1896, გვ. 46.

² დედათა და მამათა მონასტრების თანაარსებობის საკითხი შეუსწავლელობის გამო გარკვეული არ არის და იგი სპეციალური კვლევის საგანს შეადგენს; წინასწარ მხოლოდ იმისი თქმა შეიძლება, რომ საქართველოში ამგვარი თანაარსებობის შემთხვევა თითქოს არა ჩანს.

³ ყველა დანარჩენი წარწერა ეკლესიის შიგნით არის მოთავსებული.

— ქ ღმერთო და ყულა| წმიდაო დედოფალო, ღმრთის მშობელო, და რანიც წმინდანი და მთავარანგელოზნი ს[ხ]უანები¹ ხ[ა]რთ. თქუენს| ძალას და მოწყალეებას უშუელეთ, და ულხინეთ მას მო[მ]ს[ა]ხურეს მიწას თქუენს, თულაპატიოსანს|უებას გულქანს. ვიყავ დედეალი² რომ მო[მ]იყვანა მანუ|ჩარ|მა| ქალად და გას[ა]თხოვრად. ქმარი მე ჯერ არ მედგა|. ღმრთის მადლმა და მოწამილთა მადლმა, ჩემისა უღამაზესი სულიერი დედას მიწაზედ არა ია|რე-



ბოდს, და [ა]რც სხუა გამოსულა; არც თულად, არც ტანად, |არც. ზნითა, (ა)რც გონებითა, თორემ ჩემნი მნა|ხენი არ გამამტყუენებენ. ეს ხაზანანი³ არიან| ამისნი მოწაზენი და ეს ლოპი.

მინაწერი: ქ ქალო ნიამასი [?] შენმა მზემან|..... ეხატნეს ვისაც უქნია.

II წ ა რ წ ე რ ა

პირველას მსგავსი ხელით არის შესრულებული მეორე წარწერაც. ტექსტს უჭირავს 30x30 სმ ფართობი და შეიცავს 12 სტრიქონს. აქაც, როგორც პირველ წარწერაში, ტექსტი იწყება ქანწილით და დაწერილია ალაგ-ალაგ გადაბმული მსხვილი ასოებით. სტრიქონები არაა სწორხაზოვანი და ასოთა ნორმალური განლაგებაც არ არის დაცული. წარწერა იწყება ღვთისადმი მიმართვით და დამწერი სთხოვს მას ცოდვებისგან გამოსხნას.

¹ ამ სიტყვის წაკითხვა საეჭვოა.
² ამ სიტყვის პირველი ასო „გ“ საეჭვოა.
³ იქნება „ხაზნი“?

ქ ღმრთის მშობელო, შენ|ცოდვილთა მეოხი ხარ, უ|შუდრაველ (?) შენ ავოცე ცოდვა ჩემი, უმრავლესი, უთვალავი.|მაქ (?) სამოელ ტანჯვადა მოწ|უეეას უშიში და უგრწალველი.|მოწა[მ]ეო ჩემო, შენ მიშუელე, გამოჯსნა|სა შენგან ველი. მრავალ თუალნი|ანგელოზნი შენგან ძრწიან. ძ[ა]ლანი|და ცა-ნი¹ და ჯოჯობეთითა მოციქულნი|გამოვიდეს, ბევრასი დასნი|

Handwritten text in Georgian script, likely a continuation of the religious text above. The script is dense and somewhat difficult to decipher due to its cursive style and some abbreviations. It appears to be a collection of names or phrases related to the religious theme.

III წ ა რ წ ე რ ა

მესამე წარწერა მოთავსებულია სამხრეთის შესავლის თავზე, უჭირავს 60x18 სმ ფართობი და შეიცავს 8 სტრიქონს. ეს წარწერა წინა ორთან შედარებით მდარე ხელით არის შესრულებული; ასოები არ არის ისეთი მრგვალი და ლამაზად გადაბმულნი. წარწერა იწყება ქანწილით და გოდებას შეიცავს: ვერ გავიხარე ჩაცმა-დახურვით, სმა-ქამით და ნათესავეებითო. წარწერა ვინმე ანას მიერ არის შესრულებული. ანას მიერვე არის შესრულებული ოთხი სხვა წარწერაც (№№ 4, 6, 7, 8). აქედან ორ წარწერაში (VII და VIII) მხოლოდ სახელია მოხსენებული — ანა; IV წარწერაში ანა რჩეულიშვილი, ხოლო VI წარწერაში ანა რჩეულაძე იხსენიება. ძნელი სათქმელია ყველგან ერთი და იგივე პირია თუ არა. წარწერის ხელი თითქოს განსხვავდება ერთიმეორისაგან.

¹ იქნებ „დასნი“?

ქ. ვ[აი] გარჯ[ი]ლო ამა სოფელსა მოსაყდათ გადგას (?) აბაეჩია (?) არა|სა ასამა (?). საცა ლიბბანი საბო[ი]ლომ ანამ გარდავიც[ა]დე|ანა გარდა-საველით სამსა დღ[ე]სა დავაჯადე ვა[ე]ბა. ვერ|დავალ, ვერცა გავიხარე სმით, ვერცა ჭამითა, ვერცა ჩაც|მითა, ვერცა ძმითა, ვერც[ა] დითა, ვერცა რძლ[ითა]. გჯიუჟაოელს მოვ[ე]კუდღე გ[ა]უხხარელთა. მომაუქუთ მიტირეთ თ[ა]ვადა,

Handwritten text in Georgian script, likely a continuation of the letter or a separate note.

ვინ არსა ზემი დამტირე|ბელი. ვინ[ცა] წ[ა]იკითხოთ შე[ნ]დობა მიბძანეთა. თქვენ[ცა] შეგინდოს ღმერთმა|. საბრალოსა ანს შე[ნ]დობა უბძ[ა]ნეთ.

IV წა რ წ ე რ ა

მეთხვე წარწერა მოთავსებულია დასაყლეითის თაღში, მარცხნივ. უჭირავს 40x20 სმ ფართობი და შეიცავს 11 სტრიქონს. წარწერა ქანწილით იწყება

Handwritten text in Georgian script, starting with musical notation and a list of names or terms.

და გოდებას შეიცავს. ეს წარწერაც ანას ეკუთვნის, აქ მისი გვარიც არის მოხსენებული — რჩეულიშვილი.

ქ. შენ ცაზადი (?) და დაფარულია. | რა-
 ექნა მე შავსა არამაქვს საქმე კეთილად, და ქ. ლა შევზარებივარ სი-
 კუდილსა შემაწრ | წუნებელსა. გულა¹ ანასა უშუელე ცოდვილსა. | შენ ივსენ
 მისი სულნი ყ[ე]ელაწმიდაო დედოფალო, მიშუელე | შენი | სისა ძისა სიყ[უ]არ-
 ულსა. ღ[ა]რ[ი]ბსა. ოცი ოთხშაფ[ათი]მა (?) | შემოიწირავს ზაფხულ[ი]სა დღე-
 თა. ჩემადღ. ანა (?) რა ცა დღენი მესახნესა ეგათისა შენისა წყალო-
 ბითა. | თ[ა]ვი ველთა არა მქონდესა. როდეცა (?) მაქა (?) გა | გითეება (?)
 მიშუელე რასამე². დამიწერი[ი]ა ძე, რჩეულ[ა]შვილსა | ანასა ეკენისა³ თუე-
 სა დამალვასა.

V წ ა რ წ ე რ ა

მეხუთე წარწერა მოთავსებულია ჩრდილოეთის შესავლის თაღში, მარ-
 ცხნივ. უჭირავს 40 X 25 სმ ფართობი და წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნიდან“
 ამოღებულ ორ არასრულ ტაეხს, — ნესტანდარეჯანის მიერ ავთანდილისადმი
 მიწერილი წერილიდან, დაწერილს 10 სტრიქონად. ეს წარწერა საინტერესოა
 იმ მხრივ, რომ თუ „ვეფხისტყაოსნის“ დღემდის შემონახული უძველესი ხელ-
 ნაწერი ეკუთვნის XVII ს., ეს ორი ტაეხი XV ს. მეორე ნახევრისა უნდა იყოს.
 ეს წარწერაც სხვა წარწერების მსგავსად ქანწილით იწყება.

ქ. ციხეს ვზი ეზო მალალსა თუ[ა]ლნი ძლივ შემომცდება,
 გზა გურაბითა შემოვლენ, მცველნი მაზედა ღვებთან,
 მაშიგან ორნი გუშაგნი ნობადსა არა დაცდება,

1 ალბათ — „გული“.
 2 „რამე“?
 3 ენკენისა.

მათსა შემბელსა დაჯოცენ, ცეცხლურებ მოედებ[ი]ან.
 ჩემო, ნუ მოხუ[ა]ლ ჩემზედან სხუ[ა]თა მებრძოლთა წ[ე]სითა
 ნურცა მე მომკლ[ა]ვ ჭირითა ამისგან უარესითა,
 დამთმეთა, დაგთმობ ჭირ[ი]თა ამისგან უ[ა]რ[ე]სითა.

VI წ ა რ წ ე რ ა

მეექვსე წარწერა მოთავსებულია საკურთხევლის აფსიდაში, მარცხნივ. უჭირავს 30×18 სმ ფართობი და შეიცავს 10 სტრიქონს. დაწერილია ანა რჩეულადის მიერ და წინა წარწერების მსგავსად გოდებას შეიცავს. შეიძლება მეოთხე წარწერის დამწერი ანა და ეს ანა ერთი და იგივე პირი იყოს, ერთგან რჩეულიშვილად, ხოლო მეორეგან რჩეულადედ მოხსენებული.

ქუჩის ქვის ქოცხლურებ მოედებ[ი]ან.
 ჩემო, ნუ მოხუ[ა]ლ ჩემზედან სხუ[ა]თა მებრძოლთა წ[ე]სითა
 ნურცა მე მომკლ[ა]ვ ჭირითა ამისგან უარესითა,
 დამთმეთა, დაგთმობ ჭირ[ი]თა ამისგან უ[ა]რ[ე]სითა.

ქ უხრწელო ღმრთობისა ხატო შემობრ[ა]ლ[ე] . . . შულ საუკუნოსა დამ-
 დეგა ოცი ოთხ|შაფათი, პარასკევი მარხვა შემომწი[ო]რ[ა]ვ[ს]. სადამდი ცოც-
 ხალ[ი] ვარ, პურისა თავთავი|ველთ მაქუს[ი] შენ[ი]სა წყალობითა დამიწი[ე]რ-
 [ი]ა მე რჩე|ულ[ა]ძესა ანასა. სხუა არასა ღირს ვიყავ შემეწი[ო]რა მასა|ვე
 თვისავე მ[ი]ვაჭირვე მარხულმა. ორმოც-ორმოც|მუჯლსა მოგადებ. შე[ი]წ[ი]რე
 ღმრთობისა ხატო. თუ|რამე მეშუ[ე]ლ[ე]ებისა რაცა შემ[ი]წი[ო]რავს ისრე
 გ[ა]უთ[ა]ვე|ბა ამა მარხვას გარეთა.

VII წ ა რ წ ე რ ა

მეშვიდე წარწერა მოთავსებულია დასავლეთის თაღში, მარჯვნივ, უჭირავს 45×30 სმ ფართობი და შეიცავს 20 სტრიქონს. ეს წარწერა სხვა წარწერები-
 საგან იმით განსხვავდება, რომ მხოლოდ აქ არის დაქარაგმების შემთხვევა და,
 თუ სხვა წარწერები იწყება ქანწილით, აქ ტექსტის დასაწყისში დასმულია
 პატარა მკლავებიანი ჯვარი. ეს წარწერაც ანას მიერ არის შესრულებული,
 თუმცა აქ მისი გვარი არ იხსენიება.

ღმერთისა ხატო ფრიად... ცოდვილსა ანას | შეუ[ნ]დნესა ღმერთმა; იმჟ-
 სა ღმერთისა | შეუ[ნ]დნესა ღმერთმა. ვტ (?) წ[ა]იკითხოს შე[ნ]დობა უბძან[ეთა],
 | თქ[უ]ნისა შეგი[ნ]დოს ღმერთმა | კ ფრიად ცოდვილსა ომარ გელელსა | დე-
 კანოზისა შეილსა ლუკას შეუ[ნ]დოს [შენ] ღმერთმა [ღმნ]. | და ვინც [შენდობა]
 ბრძანოთ თქ[უ]ნის შეგი[ნ]დნეს ღმერთმა [ღმნ] | ამინ [ამნ]. | კ ღმერთო
 საბლ... შენახეწო წყ[ა]ლ[ო] | ჰლო თუ[ა]ლფრიათო ზადუმალი(?) გათქმუ-
 ლო | ნი¹ სახეი ზადმალი გათქმულო ღმერთისა ხატო [შე] | ნი პირიმე ბატონო
 ღმერთისა ხატო მე შენსა ს[ა]ხელ | ხსენებასა სადალარისავარ კურთ[ე]ულ ხარ
 დიდებულო | [ღმრ]თობ[ა] ხატო . . . მიდება (?) საბრალ... | საუკუნო...
 შეილე სააქოსა შემახ(?) საბრალ[ო] ვ[ა]რ, რას . . . | გებეწ . . . დიდისა არცა
 მე მოგიდება (?) რომე დალოდე (?) თუ . . . | მა . . . ევასო მერე გებუ-


აქედით ცხადვით შეიქმნა
 კურთხევა: კ (ღმრ): შეუწეწე
 კ (ღმრ): შეუწეწე

¹ იქნებ — „გათქმულნი“?
 12. მასალები, ნაკვ. 30

[ე]წ[ე]ბი ისი (?) და დავალა თქუმანა (?) | ქ ღმრთობისა ხატო შენისა მრავალ | მოწყალებისა მადლსა შემიხუ[ე]წე | მონა შენი ანა. უშ[ე]ვლ[ე] ანა[ს] რ...უბან.

VIII წ ა რ წ ე რ ა

მერვე წარწერა მოთავსებულია აფსიდაში, ჩრდილოეთით. უჭირავს 50x15 სმ ფართობი და შეიცავს 8 სტრიქონს. ეს წარწერაც ანას მიერ არის შესრულებული და, როგორც ჩანს, მას ლექსად უცდია დაეწერა თავისი გამიჯნურების ამბავი. ტექსტის დასაწყისში — ქანწილის ადგილას, დახატულია პატარა სტილიზებული ლომი და წარწერაც ამ ლომისადმი მიმართვით იწყება.



ლომო განაღამც მიყ[ე]არ[ხარ], შენებრ ვერვისა სადარო, და [უ]წყალოდა [—]ვა[—]არ უტადა (?). გეტყვიან გულადო, როსტომისა | სადარო, და ტანი აზატსა საროსა ნარნადა აყვ[ე]ვებულსა, ჩე | გული კელთა არა მყავს, თუ არა შენა გახლავსა | სადარადა, ვაიმე იმედო ნახვამდისა, თემო¹. [ა]ნასა და-მიწე | რია, აქ მაზეო გიშენის წალკოტი ხილითა და ხე | ვნარითა, უწყალოდა მოკვლა | მიჯნურსა და გულსა და ხე | ვნარითა.

IX წ ა რ წ ე რ ა

მეცხრე წარწერას უჭირავს 33x12 სმ ფართობი და შეიცავს 11 სტრიქონს. პალეოგრაფიულად ეს წარწერა ყველა დანარჩენისაგან განსხვავდება. აქ არ არის ისეთი მრგვალი, მსხვილი და გადაბმული ასოები, როგორც სხვა წარწერებში; ხელიც საკმაოდ მდარეა, ხოლო სტრიქონები უფრო სწორხაზოვანი. წარწერა იწყება ქანწილით და შესრულებულია ვინმე ხვარამზეს მიერ. შეგვიბრალეთ ჩე და გოზალა, ჩემი და იმისი გამყრელობაო, როგორც ჩანს, ის ძალითა ყოფილა შემონაზონებული.

¹ იქნებ — „ჩემო“?

ქრ.: ბი. რ. კ. ... გენ. ციხის უკანა ...
 ქრ.: ბი. რ. კ. ... გენ. ციხის უკანა ...
 ქრ.: ბი. რ. კ. ... გენ. ციხის უკანა ...
 ქრ.: ბი. რ. კ. ... გენ. ციხის უკანა ...



26: ხ ცხოვრების ...
 27: ხ ცხოვრების ...
 28: ხ ცხოვრების ...

ქ დამიწერია ივანობისა თვესა მე ბტულიშვილსა¹ ბესიკ (. . .) ა ქალი-
 შვილისა ხვარამზეს ესე წიგნი. ვინც შეგვიბრალებთ მე და ბატონს გოზა|ლას
 ჩემისა და იმის გამყრელობასა: ესეც უნდოდა, ვ[ა]იმე თუ ერთმანერთ |სა სიკვდი-
 ლის და სულთა მოს|ვლის დროს არ დაეხუდეთ² | შე|კვიბრალეთ, ღმერთმა
 გამიგონოს, რომე როდისცა³ | მე და გაცლალა ბევრი ვიტი-
 რეთ | ესრე ჩვენ. თქვენ ჩვენ შეგვიბრალეთ. | ეს ჩიტ ლომნი იყვნეს | პირველის
 გა (. . . .) ნაწერისა | ჩიტნი ოქრომტ|რეენი⁴ გულთა | გაჩ
 დამდნარსა.

ამ წარწერების ხნოვანების შესახებ ლიტერატურაში არსებობს ლ. მუსხე-
 ლიშვილის მითითება: „მოიპოება აქ (ვანის ქვაბებში, ვ. ც.) მოგვიანო ხანის
 (XV ს.) წარწერები“⁵.

თუ გავითვალისწინებთ სამცხე-საათაბაგოს მაშინდელ მდგომარეობას,
 წარწერები XVI ს. პირველ ნახევარზე გვიანდელი არ უნდა იყოს. როგორც
 ცნობილია, 1552 წ. შაჰ-თამაზმა დალაშქრა საათაბაგო; ჩვენ არ ვიცით ამ
 შემოსევისას რა ბედი ეწვია ვანის ქვაბების მონასტერს, მაგრამ მის მახლობ-
 ლად, ორიოდე კილომეტრის მანძილზე მდებარე ვარძიის მონასტერში ქვა
 ქვაზედ არ დაუტოვებიათ სპარსელებს: „ციხე აიღეს და კაცნი დახოცეს და
 ცოლშვილნი ტყვეთ წაუსხეს ციხეს საცა კაცთაგან აშენებულობა
 ქონდა, დაქცივეს“⁶. თუ ვარძია ასე გაანადგურეს, რა თქმა უნდა, ვანის ქვა-
 ბებსაც ასეთივე დღე დაადგებოდა. ამის შემდეგ კი, XVI ს. მეორე ნახევრი-
 დან, ვანის ქვაბებში მონასტრის აღდგენა-განახლების პირობები აღარ იყო.

¹ ამ სიტყვის წაკითხვა სავსეა. იქნებ — „შტელიშვილსა“?
² იქნებ — „შევხდეთ“?
³ „როდესაც“?
⁴ ამ სიტყვის წაკითხვა სავსეა.
⁵ „გ. ჰანის ქვაბთა განგება“, ლ. მუსხელიშვილის გამოცემა, 1939, გვ. 10,
⁶ „ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია“, ს. კაკაბაძის გამოც., „სასიტ. მოამბე“, II,
 1926, გვ. 6.

ეს ის დროა, როდესაც სამცხე-საათაბაგო ჯერ არნახულ ნგრევას განიცდიდა. ერთის მხრით, სპარსეთისა და ოსმალეთისაგან, ხოლო, მეორეს მხრით, შინაური არეულობის გამო — ექვსწლიანი შინაური ბრძოლები ყვარყვარეს წინააღმდეგ მესხი თავადებისა, შალიკაშვილის მეთაურობით¹. ამას დაემატა ლალაფაშას ლაშქრობა საათაბაგოში 1578 წ., ხოლო „1587—1597 წლებში სამცხე-საათაბაგოში „ოსმალობა“ დამყარდა“².

წარწერებში მოხსენებული რჩეულასძენი და რჩეულაშვილები ცნობილი არიან: „ვაჰანის ქვაბთა განგების“ ალაპებიდან (XV—XVI სს.) და „მესხური დავითნის ქრონიკიდან“ (XVI ს.), მაგრამ წარწერების დათარიღებისათვის ისინი არაფერს იძლევიან. წარწერებში მოხსენებული სხვა გვარები და სახელები ჩვენთვის ცნობილი არ არიან. მხოლოდ მოსაზრების სახით შეიძლება ითქვას, რომ პირველ წარწერაში მოხსენებული მანუჩარი შეიძლება მესხეთის ათაბაგი იყოს. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ სახელის მატარებელი სხვა სასულიერო და არც საერო პირი, რომელსაც შეეძლო მონაზონეყო პირველი წარწერის შემსრულებელი გულქანი, საათაბაგოში ცნობილი არ არის: თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, ე. ი. პირველ წარწერაში მოხსენებული მანუჩარი მესხეთის ათაბაგი არის, მაშინ საძიებელია, რომელი მანუჩარია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს მანუჩარ პირველი, რომელიც ათაბაგად იხსენიება 1475—1487 წლებში³.

ამას გვაფიქრებინებს ყველა ზემომოყვანილი მოსაზრება, რომელთა მიხედვით წარწერები XV და ყოველ შემთხვევაში XVI ს. პირველ ნახევარზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

¹ საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ს. ჯანაშიას რედაქციით, 1948, გვ. 319.

² იქვე, გვ. 324.

³ თ. უ ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები, II გვ. 297, 304.

თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილის
ბარკვევისათვის

თამარის მეორე ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოდუარი¹, თამარის გარდაცვალების ამბის გადმოცემის შემდეგ, თხზულების მთელ დანარჩენს, კარგა მოზრდილ, ნაწილს (გვ. 354—357) სულ თამარის მოღვაწეობის საერთო დახასიათებასა და მის ხოტბას უძღვნის. ავტორი ენაწყლიანად აღწერს როგორც იყო თამარის „სიმდაბლე უზომო, სიმაღლე შეუსწორებელი, სიმშვიდე საქებელი, სიმკისე ჯეროვანი, ლმობიერება მოწლე, შოწყალება თანა-ლმობილი, უმანკოება უზაკუელი, სიწრფოება უსიცრუო, სახიერება ზოგადი, სიუხვე აღუ-შუავებელი, და თავი ყოვლისა კეთილისა, შიში ღმრთისა და მსახურება მისი შეუორგულებელი, რომელი ესე ყოველი ამან ესრეთ მოიგო ვითარ ვერცა ერთი სხვამან ვერეინ“ (გვ. 354).

ბასილი თამარს სახავეს როგორც სათნო, ბრძენ, სამართლიან, მორქმულ გამგებელს და მისთვის ჩვეული მკვერმეტყველებით, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ღირსებათა უკეთ წარმოსაჩენად, მას მსოფლიო ისტორიაში ნამდვილად არსებულსა და აგრეთვე ლეგენდარულ პირებს ადარებს. და თხზულების სწორედ ამ ნაწილშია რომ გვხვდება შემდეგი ადგილი თამარის შესახებ:

„ბჰედ ჯდა (იგულისხმება თამარი) შორის თავისა თვისისა და მეზობელთა მეფეთა, არა შიშუებად ბრძოლისა, არცა გარდადებად უღელსა მძლავრობისასა ურთიერთას, და სახედ თავსა თვისსა მისცემდა და ამისთვის მათ ზედა მეორე სოლომონ იქმნა მეფეთა შორის; და არა ერთი სახელი აღძრა სურვილად, არამედ ყოველნი, რომელთა ესმა სახელი მისი, ვინა დიდთა მეფეთა, ცუდად შერაცხეს თვისი ბედკეთილობა ვერ-ხილვისათვის მისისა“ (გვ. 356).

ხაზგასმული სიტყვა („საბელი“) ივ. ჯავახიშვილს კითხვის ნიშნით უწერია. ჩანს, განსვენებული მეცნიერი ჩაუფიქრებია ამ სიტყვას. თხზულებების ეს სიტყვა და ადგილი მართლაც ჩასაფიქრებელი რომ უნდა იყოს, იქიდანაც ჩანს, რომ საკუთარ სახელთა საძიებელში, რომელიც გამოცემას ახლავს, „საბელი“ შეტანილი არ არის.

საქმე ის გახლავთ, რომ თხზულების ზემოთ მოყვანილ წინადადებაში ავტორი თამარს ბიბლიურ მეფე სოლომონს ადარებს. ებრაელთა მეფე სო-

¹ ბასილი ეზოსმოდუარი, ცხოვრობდა მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ივანე ჯავახიშვილისა (ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. XIV, თბილისი, 1944, გვ. 317—357).

ლომონი ძველ აღმოსავლეთში ცნობილი იყო როგორც ბრძენი, დიდებული და ბრწყინვალე მეფე, რომელმაც თითქოს უჩვეულოდ ააყვავა თავისი სახელმწიფო, დიდებული და მდიდრული შენობებით გააძაგნა სატახტო ქალაქი იერუსალიმი და თავისი გონიერებითა და გარეგნული ბრწყინვალეობით ყველა ქვეყნის ხელმწიფეები დაჩრდილა. ამიტომ სოლომონ მეფეს ვითომ მრავალი ხელმწიფე, მთავარი და გამოჩენილი პირი ეახლებოდა მისი მორკმულობის, დიდების სახილველად, მისი ბრძნული სიტყვა-პასუხის მოსასმენად და მასთან დასამეგობრებლად. მისულნი ნაირ-ნაირ საჩუქრებსაც მიაართმევდნენ და თვითონაც დასაჩუქრებულნი ბრუნდებოდნენ უკან.

ასეთ სტუმართა შორის ძველსა და ახალ აღთქმაში რამდენჯერმე არის მოხსენებული საბას დედოფალი და საყვრადღებოა ისიც, რომ სახელდებით მარტო ეს პიროვნებაა დასახელებული. სოლომონის სამეფო კარს მისი სტუმრად მობრძანება საგანგებოდ არის აღწერილი მეფეთა მესამე წიგნში (III მეფეთა, 10₁₋₁₃) და თითქმის უცვლელადაა განმეორებული იგივე ამბავი ნეშტთა მეორე წიგნში (II ნეშტთა, 9₁₋₁₂) და არსებითად ამ გადმოცემის გარდა არც მოიპოვება სხვა ძველი რამ წყარო მათი სტუმარ-მასპინძლობის ამბისათვის, რომელმაც შემდეგ მრავალ ლეგენდას მისცა დასაბამი¹.

საბას დედოფალი, „დედუფალი იგი სამხრისაჲ (C: ბლუარისაჲ): მოვიდა კიდით ქვეყანისაჲთ სმენად სიბრძნესა (C: სიბრძნისა) სოლომონისსა“ (მათ. 12₄);² „და მოვიდა იერუსალემს ძალითა დიდითა და აქლემებითა, რომელთა ეკიდა, აქლემებთა მათ, საკუმეველი და ოქროჲ დიდად ფრიად და თვალები პატოსანი“ (III მეფეთა 10₂)³ და ყოველივე ეს საჩუქრად მიაართვა სოლომონს, რომელმაც თითქოს განაცვიფრა იგი თავისი სიბრძნითა და ბრწყინვალეობით „და დაუკვირდა და ჰრქუა, მეფესა სოლომონს: ჭეშმარიტ იყო სიტყუაჲ იგი, რომელი მესმა მე ქუწყანასა მას ჩემსა სიტყუათა მათ შენთათჳს და სიბრძნისა შენისათჳს და არა მპრწყენა მთხრობელთაჲ მათ, ვიდრემდე თჳთ მოვედ და ვიხილე თვალითა ჩემითა და ჰა ზოგსცა არა იყო, რომელ მითხრობდეს მე სიბრძნისა მაგის შენისათჳს...“ (III მეფეთა, 10₆₋₇).

საბას ქვეყანა მდებარეობდა არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, დაახლოებით ახლანდელი იემენისა და ჰადრამაუტის ტერიტორიაზე. ამ სახელმწიფოს შესახებ ძალიან მცირე ცნობებია შემონახული. მისი ისტორიისათვის მთავარ წყაროდ წარწერები ითვლება, რომლებიც თვით იმ ქვეყანასა და მის ახლომახლო ადგილებშია ნაპოვნი. იქაურების, საბელეების, შესახებ ცნობები მოიპოვება აგრეთვე ბერძენ გეოგრაფოსთა თხზულებებში, ბაბილონურსა და ეთიოპურ წარწერებში და ბიბლიაში.

¹ ახალ აღთქმაში საბას დედოფალი მოხსენებულია შემდეგ ადგილებში: მათე. 1242₄ ლუკა 11₃₁.

² ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ. თბილისი, 1945 წ. ციტატი მოყვანილია ჯრუჭ-პარზლის ტექსტის (AE) მიხედვით; C—ადიშის ხელნაწერის წაკითხვებს აღნიშნავს.

³ ეს ადგილი მოგვყავს ოშკის ბიბლიის ხელნაწერი პირის მიხედვით, რომელიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში—A/471, გვ. 170 b.

თამარის ისტორიკოსი, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, სწორედ აქაურ დედოფალს უნდა გულისხმობდეს სიტყვაში—„საბელი“ და ძველი და ახალი აღთქმების ადგილებიც კარგად ემოწმება ამ ვარაუდს. ბასილი ხაზს უსვამს იმას, რომ იუდეველთა სახელგანთქმულმა მეფე სოლომონმა თუ მარტო ერთს, საბას დედოფალს (ანუ საბელ დედოფალს, საბას ქვეყნის დედოფალს), აღუძრა სურვილი საგანგებოდ მასთან სტუმრად მისვლისათვის შორეული საბას ქვეყნიდან¹, თამარ მეფემ მარტო ერთ ვინმეს კი არ აღუძრა სურვილი მისი ნახვისა, არამედ ყველამ, „რომელთა ესმა სახელი მისი, ვინა დიდთა მეფეთა, ცუდად შერაცხეს თჳსი ბედკეთილობა ვერ-ხილვისათჳს მისისა“ (გვ. 356).

რაც შეეხება ფორმას სიტყვისა—„საბელი“, წარმოების მხრით არ უნდა იყოს საეჭვო. ჩვენს ისტორიკოსს „საბა“ ქვეყნის სახელად, გეოგრაფიულ სახელწოდებად, მიუჩნევია და საკმაოდ ბუნებრივი ჩანს სიტყვიდან „საბა“—„საბელი“ ეწარმოებინა. მსგავსი წარმოების მაგალითები ჩვენს ძველ მწერლობასა და ისტორიაში ბევრი შეიძლება მოიძებნოს, მაგალითად:

მცხეთა—მცხეთელი (ესტატე),

ზარზმა—ზარზმელი (ბასილი, სერაპიონი),

ხანძთა—ხანძთელი (გრიგოლი),

ბანა—ბანელი (იოანე, კვირიკე ეპისკოპოსები),

უჯარმა—უჯარმელი (სალომე),

მთაწმიდა—მთაწმიდელი (იოანე, ექვთიმე, გიორგი) და სხვ.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოდგრის, თხზულებაში სიტყვა „საბელი“ ბიბლიის ლეგენდარულ საბას დედოფალს გულისხმობს.

А. Г. ГАМКРЕЛИДЗЕ

К ТОЛКОВАНИЮ ОДНОГО МЕСТА „ИСТОРИИ ЦАРИЦЫ ТАМАРЫ“

Резюме

В статье доказывается, что второй историк царицы Тамары, Василий Эвოსмодзгвари, сравнивая ее в величии с библейским царем Соломоном, шод словом „საბელი“ упоминает также известную царицу Савскую, которая, по библейскому преданию, „услышав о славе Соломона... пришла к Соломону, и беседовала с ним обо всем, что было у ней на сердце.“ (3 Цар. 10₁₋₂).

Но вышеупомянутое слово „საბელი“ поставлено под вопрос уже самим издателем грузинского текста, академиком И. А. Джавахишвили. Кроме того, оно не упоминается в указателе собственных имен. Как видно, толкование этого слова вызывало некоторые сомнения. Эти обстоятельства и побудили автора статьи сделать указанное место сочинения предметом обсуждения.

¹ ამით ჩვენი ისტორიკოსი ცოტა ამახინჯებს საქმის ვითარებას, რადგან თუმცა ჩამოთვლილნი არ არიან, მაგრამ ასეთი სტუმრები სხვებიცა ჰყოლია თითქოს სოლომონს, სახელი კი მარტო ამ დედოფლისაა მოხსენებული, რაც საბუთს აძლევს ჩვენს მწერალს მარტო ერთი მისული ჩაუთვალოს ებრაელთა მეფეს.

ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დალესტინიდან *

დალესტინის ისტორია ჯეროვნად არაა შესწავლილი. ის კანტიკონტი ცნობები, რასაც მეზობელ ერთა (არაბული, ქართული, სომხური...) წერილობითი წყაროები გვაწვდიან, საკმარისი არაა დალესტინის წარსულის რომელიმე მონაკვეთის ნათელი სურათის წარმოსადგენად, მით უმეტეს, რომ ამ ცნობათა მეტი წილი მხოლოდ კასპიისპირა ზოლს შეეხება. ამიტომ გასაგებია ის განსაკუთრებული ინტერესი, რაც ამ საკითხის შესახებ ყოველი ახალი ფაქტის გამოვლინებას ახლავს.

დალესტინის ხალხები მაჰმადიანები იყვნენ. რიგი ცნობები გვაუარაულებინებენ, რომ დალესტინის ზოგ ნაწილში მაინც მაჰმადიანობას წინ უსწრებდა ქრისტიანობა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ზოგი ხუნძური რაიონი (მაგ., ხუნძახისა, ყაპიბისა, ლუნიბისა), საიდანაც დროდადრო მუსლიმანობამდელი ქრისტიანობის ძეგლები ამოტივტივდებიან ხოლმე. საინტერესოა, რომ ეს ძეგლები ქართული კულტურის დაღს ატარებენ. ცნობილია, რომ მაჰმადიანობა მთიან დალესტანში შედარებით ახალი მოვლენაა. როცა დალესტინის მუსლიმანობის ისტორიას ეხებიან, მუდამ როდი ითვალისწინებენ, რომ ეს რელიგია ყველგან ერთნაირად არ ვრცელდებოდა და ვერც გავრცელდებოდა. შეუძლებელია ის ცნობები, რაც კასპიისპირა ზოლის (მაგ., დერბენტისა და მისი მიდამოების) შესახებ გვაქვს, მექანიკურად გადავიტანოთ მთიან რაიონებზე (მაგ., ხუნძურ და დიდოურ თემებზე). საკმაო საფუძველი არსებობს ვიფიქროთ, რომ გარკვეულს ეპოქაში (XIV საუკუნემდე) ამ მთიანი რაიონების გაქრისტიანების ცდები საქართველოდან მოდიოდა, მაგრამ საქართველოში თემურ-ლენგის შემოსევის შემდეგ ეს წამოწყება, ბუნებრივია, ჩაიფერფლა, ხოლო ახლად გაქრისტიანებული კუნძულები წალეკა მუსლიმანიზაციის ძლიერმა ტალღამ¹.

ამ კონტექსტში სრულებით მოულოდნელი არაა ქართული წარწერების გამოვლინება დალესტინიდან. ერთ-ერთი ასეთი წარწერა (ორენოვანი: ქართულ-ხუნძური) გამოაქვეყნა ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა მ [1], ქვემოთ მოგვყავს კიდევ ორი წარწერა.

* წაკითხულია ენათმეცნიერების ინსტიტუტის „საენათმეცნიერო საუბრებზე“ 12.11—1952 წ.

¹ აქ აღძრული საკითხების შესახებ რიგი საყურადღებო ცნობა მომაწოდა პროფ. ნ. ბერძენიშვილმა.

წარწერა (№ 1) ნაპოვნია 1949 წლის შემოდგომაზე სოფელ ჰალაში¹, ხუნძახის ჩრდილოეთით ხუთიოდე კილომეტრზე, სათიბი ადგილის მოწმენდის დროს. ჰალაში ამჟამად არაფერია ცხოვრობს, იგი დიდი ხანია მიტოვებულია და ნასახლარები-ლაა დარჩენილი. წარწერა ჩვენ გადმოგვცა ხუნძახის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ამხ. მანსურ გაიდარბეკოვმა 1950 წლის ივლისში. ამჟამად ჯვარი ინახება ქ. მახაჩკალაში, სახელმწიფო მუზეუმში.

წარწერა ამოკვეთილია ქვაზე, რომელსაც სწორკუთხედის ფორმა აქვს (24 სმ × 17 სმ, სისქე ≈ 4,5 სმ). ქვას ზედა ნაწილი სისქე-სიგანეში ოდნავ უფრო ვიწროა, ვიდრე ქვედა. ქვის წინა მხარის ზედაპირი (რომელზედაც წარწერაა გაკეთებული) საკმაოდ გლუვია, მას მარჯვენა ქვემო ნაწილი სიბრტყეზე ჩამოტვირთული აქვს. უკანა მხარე ქვისა დაუმუშავებელია და ამიტომ ოღრო-ჩოღრო. გვერდითს კიდეებს ატყვია თღის კვალი.

ქვის წინა მხარის შუაში ღრმა ჩაღარვით გამოყვანილია ჯვარი. ჯვრის სიმაღლე 14,5 სმ, გარდიგარდმო ფრთის სიგრძე 9,4 სმ, სიგანე საშუალოდ 1,4—1,3 სმ.

წარწერა შესრულებულია ნარევი მრგოლოვანი და ნუსხური დაწერილობით და იკითხება ასე:

ჯ | | რ ი ქ | | ს ი | | ო რ ო გ ს ნ ე ს ლ | | ს ა ჩ ა | | ხ უ ² | | ტ ი | | ს ს ა , რ ა ც ქ ა - რ ა გ მ ე მ ის გ ა ხ ს ნ ი თ მ ო გ ე ც ე მ ს :

ჯოჯარი ქრისტესი ოჯფალო განუსვენე სულსა ჩახუტისსა.

ქარაგმის ნიშანი წარწერაში მხოლოდ ერთხელაა გამოყენებული (ო³). ნიშნად ნახმარია მახვილი კუთხე. სხვაგან შემოკლებული სიტყვები უქარაგმოდაა დატოვებული (ჯრი, ქსი, გსნე, სლსა).

ენობრივი თვალსაზრისით წარწერა უჩვეულოს არაფერს შეიცავს, დაწერილია იგი გამართული ქართულით. წარწერაში მოხსენებულია საკუთარი სახელი ჩახუტი (თუ ჩახოტი?), რომლის სულის განსვენებასაც შესთხოვენ უფალს. დამატებითი კვლევა სჭირდება ამ საკუთარ სახელს. იგი შესაძლებელია ქართული წარმოშობისა იყოს (—უტ დაბოლოებიანი)⁴, მაგრამ სანამ ადგილობრივი (ხუნძური) ონომასტიკონი შესწავლილი არაა, გადაჭრით რისამე თქმა ძნელია.

წარწერის შინაარსი („განუსვენე სულსა“) გვაფიქრებინებს, რომ იგი საფლავის წარწერაა და შესაძლოა თავის დროზე ვინმე ჩახუტის სამარხზე ყოფილიყო დადგმული.

უფრო საყურადღებოა მეორე წარწერა, ქვის ჯვარი.

¹ სოფ. ჰალა და მისი ახლო-მახლო მიდამოები საინტერესო ჩანს არქეოლოგიური თვალსაზრისით. ჰალას აღმოსავლეთით ხრამის პირზე კარგად ჩანს გაშიშვლებული არამაჰმადიანური სამარხები.

² კარგად არა ჩანს უ არის თუ ო.

³ მეორეგან- Z ხომ არაა ნახმარი? ქ Z -სი-ქრისტესი.

⁴ ამხ. მ. კედელაძის ცნობით გუდამაყარში გვხვდება სახელი ჩახუტაური. ქ სახელი ფშავშიც რქმევია ერთ კაცს (სოფ. მიგრაიულნი).

წარწერა ნაპოვნია 1950 წელს ისტორიის მასწავლებელ ამხ. დიბირათაევის მიერ, რომელმაც თავაზიანად ნება მოგვცა გავცნობოდით მას. ნაპოვნია იგი ზედ ხუნძახთანვე (მის ჩრდილოეთით), სადაც, როგორც ჩანს, წინათ ქრისტიანული სასაფლაო ყოფილა. ეს ადგილი უადრესად საინტერესო ჩანს. სამარხები მიწის ზედაპირთან ახლოსაა, ზოგი მათგანი გაშიშვლებულია. აქ ხშირად პოულობენ ჯვრებს, მათ შორის წარწერიანსაც. ამ ადგილის მეცნიერული შესწავლა საჭირო საქმედ უნდა იქნეს მიჩნეული. ამხ. დ. ათაევი მა მიჩვენა რამდენიმე ქვის ჯვარი, რომელზედაც წარწერა გადარეცხილი იყო, მაგრამ რამდენიმე ქართული ასოს გარჩევა მაინც მოხერხდა¹. ერთ-ერთ ნატეხზე ლამაზი მრგლოვანით იკითხება ქოო... ვენაჯსა...აა (ნ), მეორეზე ჩანს ქოო. შედარებით კარგად აღმოჩნდა დაცული ის ჯვარი, რომელსაც ჩვენი მსჯელობა შეეხება.

ჯვარი გამოკვეთილია კირქვისაგან. სიმაღლე 14 სმ., გარდიგარდმო ფრთის სიგრძე 10 სმ (ეს ზომა ვარაუდითაა მოკეშული, რადგან მარცხენა ნაწილი ჩამოტეხილია), სისქე დაახლ. 4 სმ. ჯვრის ზემო ნაწილის მარჯვენა მხარე დაზიანებულია, ქვედა ნაწილი გადატეხილია, მაგრამ ნატეხი შენახულია (თუმცა საკმაოდ დეფექტურად). წარწერა შესრულებულია მრგლოვანისა და ნუსხურის ნარევით. წარწერა აქაც ჩალარვითაა გაკეთებული, მაგრამ უფრო ფაქიზად, ვიდრე ჰალაში ნაპოვნ ჯვარზე. ჯვარს კიდებზე უვლის არშია (ორი პარალელური ღარი). ცენტრში კი მრგვალი ორნამენტია გამოყვანილი. პატარა მრგვალი ორნამენტია აგრეთვე ზემო და მარჯვენა კიდებზე (ალბათ იყო მარცხენა კიდებზეც).

წარწერა ასე იკითხება (მოგვეყავს მხედრულით):

ჯ'რ [ი]
ქ'ესი:
[?]: წ' ო: ა
||| ეტ
ნო: მო
ციქო
ლნო: შ'
ე: ე (ვ?) (ი?)
||| ბ (ე?) (რ?) ი
(ტ?) (ა?): თიმა
ლატაწ
ობეგ: ა'ნ
ო'ო

ქარაგმების გახსნით: ჯოჯარი ქრისტესი: (?): წმიდაო: ა[თო... რმ]ეტნო: მოციქოლნო: შეიწყალე: ერისთავი [?] ? ბ (ე?) (რ?) ი (ტ ?) (ა?): თიმა ლატაწობეგ: ამინ უფალო.

¹ ზეპირი გადმოცემით ასეთი წარწერებიანი ქვები ხშირია ხუნძახის ახლო-მახლო სოფლებში (ხინიში, ჰოწათლში), აგრეთვე ღუნიბის რაიონშიც.

ამრიგად, ჯერ კიდევ არაა ამოკითხული ის ადგილი, რომელიც ჯგერის გადატეხის გამო დაზიანებულია. თუ ევი მართლაც ერისთავს ნიშნავს, მაშინ მოსალოდნელია მომდევნო სიტყვა ამ ერისთავის სახელი ყოფილიყო (ამ სიტყვის ბოლო ნაწილი ჩანს ბერიტა თუ ბირიტა. ისიც შესაძლოა, რომ -ტა ადგილობრითი ბრუნვის ნიშანი იყოს).

წარწერაში ნახმარია გაყოფის ნიშნები და ქარაგმა.

საინტერესოა სიტყვა თ ი მ ა ლ ა ტ ა წ ო ბ ე გ. ჩვენი აზრით ეს ხუნძური წინადადებაა და სამ სიტყვად იშლება: თიმალატა წობ ეგ. აქ გადმოცემული უნდა იყოს დღევანდელი ხუნძურის ლ' ი მ ა ლ ა ტ ა წ ო ბ ლ' ე გ ი, რაც ნიშნავს „ბავშვებზე წყალობა დაღვეი“ (ე. ი. ბავშვები შეიწყალე). პირველ სიტყვაში ხუნძური ყრუ ფშვინვიერი სპირანტი ლ' გადმოცემულია თ-თი. ქართულს ლ' ბგერა (და მისი შესატყვისი ნიშანი) არა აქვს, ამდენად მისი თ-თი გადმოცემა შეიძლება აიხსნას აკუსტიკური სიახლოვით (ლ' გამოთქმაში დაახლოებით თლ-ს უდრის). ხუნძურის ანწუხურ დიალექტში ლ' იძლევა კიდევ თ-ს, მაგრამ ძნელია დაუშვათ, რომ წინათ ასეთი მოვლენა გვექონდა ხუნძახშიც (სადაც წარწერაა ნაპოვნი). ყოველ შემთხვევაში, ლ' ამავე თ-თია გადმოცემული არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს მიერ გამოქვეყნებულ წარწერაშიც ([1], გვ. 323): თ ე გ ი — ლ' ე გ ი. ლ' ი მ ა ლ ა ტ ა მრავლობითი რიცხვის ლოკატიური ბრუნვის ფორმაა. ამ სიტყვის სახელობითია ლ' ი მ ე რ, მრავლობით რიცხვში — ლ' ი მ ა ლ. თანამედროვე ხუნძური ნორმის მიხედვით წარწერაში უნდა გვექონოდა ლ' ი მ ა ლ ა ზ და (ლ' ი მ ა ლ — მ რ. რიცხვის სახელობითი + ჩანართი ხმოვანი + ზ ერგატივის ნიშანი, რომელიც წირიბ ბრუნვებში გადაყვება, და I სერიის ლოკატიური ბრუნვის ნიშანი). მაგრამ წარწერაში დადასტურებული ფორმა (თ ი მ ა ლ ა ტ ა) საყურადღებო სწორედ იმითაა, რომ აქ ზ არა ჩანს, ხოლო ლოკატიური ბრუნვის ნიშნად და-ს ნაცვლად — ტა გამოდის. არც ერთი ეს მოვლენა შემთხვევითი არაა: წარწერის ამომქრელმა, თუ პირველ ასოს (თ-ს) არ მივიღებთ მხედველობაში, აქ ზ უსტად გადმოსცა ხუნძახური დიალექტური ფორმა ლ' ი მ ა ლ ა ტ ა. ერგატივისეული ზ-ს დაკარგვა (მ რ. რიცხვში) ხუნძახურისათვის ბუნებრივია ამჟამადაც საერთოდ და კერძოდ ამ სიტყვაში. ხუნძახური ნორმაა დაცული ლოკატიური ბრუნვის ნიშნის გადმოცემაშიც, სალიტერატურო ხუნძურისაგან განსხვავებით ხუნძურში ჩვეულებრივია — ტა სუფიქსიანი ფორმები (დი ტ ა 'ჩემზე', ნ უ ხ ტ ა 'გზაზე', გან ქ ი ტ ა 'ქვაზე'). იგი უცხო არაა რიგი სხვა (უპირატესად სამხრული) დიალექტებისათვისაც.

ეს ფაქტი საინტერესოა ხუნძური ენის ისტორიისათვისაც. ჩანს, ლოკატივის ნიშნად ტ-ს გამოყენება, ასევე ერგატივისეული ზ-ს უქონლობა საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის მქონე მოვლენებია, ტ შესაძლოა უფრო ძველიც იყოს ლ-ზე.

მეორე სიტყვა წ ო ბ წყალობას ნიშნავს. ხუნძურში წ გემინირებულია (წობ), ქართულში იგი გემინირებულ თანხმოვანთა უქონლობის გამო გადმოცემულია სათანადო მარტივი თანხმოვნით. ეს სიტყვა ასევეა წარმოდგენილი არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს მიერ გამოქვეყნებულ წარწერაში ([1], გვ. 322—323).

მესამე სიტყვა ლ'ეგი 'დადევ' (პრდ. 'დაგედოს') ნატვირთი კილოს ფორ-
მაა ზმნისა ლ'ეზე დადება. წარწერაში ეს სიტყვა ძლიერ დამახინჯებულია:
აკლია თავკიდური თანხმოვანი ლ' (რომელიც თ-ს სახით უნდა ყოფილიყო
წარმოდგენილი) და ბოლოკიდური ხმოვანი ი (—გი ფორმანტის ნაწილი). ზე-
მოხსენებულ წარწერაში [1] ეს სიტყვა უკეთაა დაცული, იქ თეგი იკითხება,
წინა ლ'ეგი ბუნებრივი ხუნძური გამოთქმაა¹, ობიექტი, ვის წყალობასაც
შესთხოვენ (უფალს), აქვამადაც—ტა [-და]-იან ლოკატიურ ბრუნვაში ისმის.

ხუნძურ ნაწილში არ გვხვდება ქარაგმა და გაყოფის ნიშნები ([1] წარწე-
რაში კი ორივე გვაქვს).

ამრიგად, ეს წარწერა ორენოვანია (ქართულ-ხუნძური), იგი ბევრი მხრივ
მიაგავს არნ. ჩიქობავას მიერ გამოქვეყნებულ წარწერას და, ალბათ,
ორივე ერთი და იმავე დროისაა. წარწერა, ცხადია, ხუნძახშივეა ამოჭრილი,
ხუნძური ტექსტის ენობრივი თავისებურებანიც ამას უჭერენ მხარს.

ამრიგად, ეს უკვე მეორე ქართულ-ხუნძური წარწერაა და ხუნძუ-
რი ენის ერთ ერთი უძველესი წერილობითი ძეგლი.

რა დროისაა წარწერა? წარწერის პალეოგრაფიული მხარე და რიგი ის-
ტორიული მონაცემი გვაძიკრებინებს, რომ ჩვენი წარწერა, ისევე, როგორც
არნ. ჩიქობავას მიერ გამოქვეყნებული ქართულ-ხუნძური წარწერა, XIV
საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

ის არგუმენტები, რომელსაც ავტორი ეყრდნობა ხსენებული წარწერის
დასათარიღებლად, შემდეგია ([1], გვ. 323—324):

1. წარწერის პალეოგრაფიული მხარე.

2. ისტორიული კონტექსტი: ქამათალმწერლის ცნობით დიმიტრი თავ-
დადებადების მეფობის დროს (XIV საუკუნის 60-იან წლებში) ორი ქართ-
ველი ბერი პიმენ სალოსი (დავით გარეჯის მონასტრიდან) და ანტონი
ნაოჭრებულიძე („დიდი მოღვაწე“, „ნათესავით მესხი“) მისიონერული
მიზნებით დალესტანში წასულან და ლეკები (შესაძლოა დიდოელი ტომები)
გაუქრისტიანებიათ, რომლებიც წარმართები ყოფილან ([3], გვ. 612).

3. ისტორიული კონტექსტი: შამილის მდივნის ჰაჯი-ალი ქუხელის
ცნობით ქართველებს 1363 წელს ყაპიზის რაიონში სოფ. დათუნთაში თლილი
ქვის ეკლესია აუშენებიათ. ეს ეკლესია დღემდე დაცულია (ზღრ. [12], გვ. 73).

4. XIV საუკუნის მომდევნო ხანებში თემურ-ლენგის შემოსევების შემ-
დეგ საქართველოს აქტიურობა დალესტანში მოსალოდნელი არაა.

ქრისტიანობა მთიან დალესტანში რომ მართლაც ყოფილა, ამას არაბუ-
ლი წყაროებიც ადასტურებენ. არაბი ისტორიკოსის იბნ-რუსტეს ცნობით
გიმრიში (ხუნძური თემია) X საუკუნეში ქრისტიანი მეფე მჯდარა (მოსახ-
ლეობა კი წარმართული ყოფილა), ხოლო ხუნძახში მეფე ადარნასე, რომე-
ლიც ერთდროულად თურმე სამ რელიგიას აღიარებდა—ქრისტიანულს, ებ-

¹ იქნებ სწორედ ამიტომაც გარკვეული წრის მეტყველებაში იგი გამოითქმოდა რო-
გორც წობეგ.

რაულს და მაჰმადიანურს, რადგან მის სამფლობელოში ყოფილან ქრისტიანებიც, ებრაელებიც და მაჰმადიანებიც ([4], გვ. 8, შდრ. [2], გვ. 170).

როგორადაც არ უნდა შევაფასოთ ეს ცნობები, ცხადია, ჭეშმარიტების რაღაც გამონაკრონი მათში მაინც გვაქვს¹.

უკვე ის გარემოება, რომ ცენტრალურ დაღესტანში XIV ს-ში ეკლესია აუგიათ, იმაზე მიუთითებს, რომ ამ ეკლესიას გარკვეული მიზანი ჰქონია და თავის დროზე განსაზღვრული „მომხმარებელთა წრეც“ (მრევლი, გაქრისტიანებული ხუნძები!) უნდა ჰყოლოდა. რომ ქრისტიანულ რელიგიას აქ ქართული კულტურის და ქართული პოლიტიკური ორიენტაციის გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა, ეს სადავო არაა. შეგნებით თუ შეუგნებლად სწორედ ეს ამოძრავებდათ ქართველ მისიონერებსაც.

ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც საქართველომ ქრისტიანობა მიიღო (IV ს), იგი თვითონ გახდა ქრისტიანობის გავრცელების კერად კავკასიაში. სიმ. ჯანაშიას ცხადყოფილი აქვს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა გაქრისტიანებაში საქართველოს აქტიური მონაწილეობა მიუღია ([5], გვ. 235—253). ქართულ წყაროებს გარდა ზევით ნახსენები ამბისა (ორი ბერის შესახებ), რომელიც XIV საუკუნეს მიეკუთვნება, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე შემოუნახავს ანალოგიური ხასიათის სხვა ცნობებიც, გაცილებით უფრო აღრინდელი. მაგ., VIII საუკუნის 80-იან წლებში აბობოს ნეკრესის ეპისკოპოსმა „მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნი არაგუსა აღმოსავლეთით“. საყურადღებოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნული ეპისკოპოსის სანწყისოში დიდოეთსაც ასახელებს ([5], იქვე). იმავე საუკუნეს მიეკუთვნება არჩილ მიფის ენერგიული ღონისძიება დაღესტნელ წარმართთა გასაქრისტიანებლად: [არჩილი] „დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ჭევესა ლაკუსტისასა აღაშენა ციხე და პოვა წუქეთს მთავარნი, რომელთა მიებოდა ვახტანგ მეფესა წუქეთი. და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა სახელით აბუ-ხუასრო და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი. აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატი-სი², ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მჭეცის ბუნებისანი არამედ ყრუსა მოესრა სიმძლავრე იგი მათი და იძულებით მონათლა არჩილ იგინი“ ([5], გვ. 249, შდრ. [6], გვ. 155, გვ. 140). სიმ. ჯანაშია შენიშნავს, რომ „ისეთი მაღალი მთის ქვეყანაში, როგორიცაა ხუნძეთი, ქრისტიანობის გავლენა VIII ს, არ უნდა ყოფილიყო ღრმა, რამდენადაც ფეოდალური ურთიერთობა მაშინ კავკასიის მთიანეთში ახლად ფეხადგმული იყო. ამიტომაცაა, რომ შემდეგშიც ჩანდება ცნობები ახალ ღონისძიებათა შესახებ ამ მხრივ დასახელებულ მხარეებში“ ([5], გვ. 250).

საყურადღებო ცნობას გვაწვდის ერთ-ერთი სახარების „ანდერძი“, საიდანაც ირკვევა, რომ 1310 წელს საქართველოს პატრიარქ ექვთიმეს მოუვლიათავისი სამწყსოს ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილი და სხვათა შორის „საყ-

¹ დაღესტანში ეს სამი სარწმუნოება გარკვეულ პერიოდში ერთმანეთს ეცილებოდა გაბატონებისათვის. ყოველ მათგანს ჯაჰანდა პოლიტიკური დასაყრდენი მებობელ ქვეყნებში.

² ხომ არა გვაქვს აქ ხუნძური ნუხ ბატონიშვილი 'შუაგზა' (პრდ. გზა შუა), თუმცა ამ სახელწოდების სხვანაირი ეტიმოლოგიაც გამოირიცხელი არაა.

დარნი ხუნძთა, ნახნთა, თოშეთისა, ნეკრესისა...¹ ჩანს, ამ დროისათვის ხუნძეთისა და მისი ახლო-მახლო თემების გაქრისტიანების საქმე საკმაოდ წინ წასულა. ამიტომ არაა შემთხვევითი, რომ ქართულ წყაროებს დაუცავთ ცნობა ხუნძეთის კათალიკოსის (?!) შესახებ, რომელსაც სახელად ოქროპირი რქმევია ([9], გვ. 319).

ყოველივე ეს საკმარისი უნდა იყოს, რათა ქართული ანბანით შესრულებული წარწერების გამოვლინება დალესტინში შემთხვევით მოვლენად არ გვეჩვენოს. ქართული და ხუნძური წარწერების გამოძეურება ხუნძეთში მხოლოდ იწყება. ამგვარი წარწერები სხვაც ბევრი უნდა იყოს.

რამდენადაც საკითხი ხუნძეთის ქრისტიანობის ისტორიას შეეხება, მნიშვნელობას არ უნდა იყოს მოკლებული, რომ ხუნძურად (აგრეთვე რიგ ანდიურ-დიდოურ ენებზე) ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთ ძირითად სიმბოლოს, ჯვარს, ჯანჩ ჰქვია, რაც წარმოშობით სომხური ჩანს (*խաչ*)². ეს გვაგვარაუდებინებს, რომ დალესტინში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში იქნებ სომხებსაც რაღაც წილი ედოთ, თუმცა შესაძლებელია ეს სიტყვა ალბანურშიც ყოფილიყო და იქნებ იქიდან იყოს მოხვედრილი დალესტინის ხსენებულ ენებში.


ზემოთ ვახსენეთ ქართველების მიერ XIV საუკუნეში (1363 წ.) აგებული ეკლესია. იგი მდებარეობს ყაპიბის რაიონში, სოფ. დათუნატას ახლოს. აშენებულია თეთრი მოვარდისფრო თლილი ქვით. წარწერები და კედლის მოხატულობა არა ჩანს. ეკლესია აშენებულია პატარა ხევში, მდ. ხუნძური ყოისუდან (Аварское Койсу) 400-ოდე მეტრზე. საინტერესოა თვით ამ ხევის სახელწოდებაც—პატან კვალ. კვალ ხუნძურად ხევეს, ხეობას ნიშნავს. რაღაა პატან—ი? ამ სიტყვის მნიშვნელობა დღეს ხუნძებისათვის მთლად ნათელი არაა, მაგრამ რომ იგი ძველად ეკლესიას უნდა რქმეოდა, ამაში ძნელია დაეჭვება (იხ. [7], გვ. 51)³. ამგვარად, პატან კვალ „ეკლესიის ხეობას“ ნიშნავს. ასეთი სახელი ამ ხევეს მას შემდეგ უნდა დარქმეოდა, რაც იქ ზემოხსენებული ქართული ეკლესია აშენდა.

სიტყვა პატან-ის ოდინდელი მნიშვნელობა შემონახული ჩანს ხუნძურ გამოცანაში—რაჰუ ჰეკებ პატან-რუყ 'კარის უქონელი პატან სახლი' (=კვერცხი). ცხადია, პატანი შენობის სახელია. კიდევ მეტი, იგი საკულტო შენობის, სახელდობრ ეკლესიის, სახელია, როგორც ერთ-ერთი ზეპირგადმოცემა

¹ კ. კეკელიძე, [9], გვ. 315. იქვე მოყვანილი ცნობები როგორც ამ დოკუმენტის რაობისა, ისე დალესტინში ქრისტიანობის ისტორიის შესახებ.

² თვითონ სომხურში ამ სიტყვას ნასესხებად თვლიან.

³ ზ. უსლარს მოყვანილი აქვს ამ სიტყვის უფრო ძველი სახე—ფატან ([10], ლექსიკონი). ფ→პ ხუნძურისათვის (ვანსაკუთრებით ხუნძახური დიალექტისათვის) ნიშნული მოვლენაა. მიზეზი ფ-ს პ-ში გადასვლისა იმაშია საძიებელი, რომ ხუნძური (მაგ., ხუნძახური) ფ სპირანტია, იგი ოდენ ფშვინვაა, რომელიც ბაგეთა შორის იწარმოება. შეინიშნება, რომ აქა-იქ ფ→ჰტ (მაგ., ახვახურში). სპირანტი ფ „დაიშალა“ სუფთა ფშვინვად (ჰ) და ლაბიალიზაციად (ჭ). პატანი ხუნძახური ფორმაა, მაგრამ იგი სწორედ ამ სახით გვხვდება სხვა ხუნძურ დიალექტებსა და ანდიურ ენებში, რაც, შესაძლოა, ქრისტიანობის გავრცელების საქმეში ხუნძახის ვანსაკუთრებულ როლზე მიუთითებდეს (სამხრულ ხუნძურში პატან—პალყან).



წარწერა № 1

მოწმობს: ახალქი-ში ერთი შეიხი ყოფილა, რომელსაც მეჩეთის ახლოს გაუგონია, რომ მამამ დაუძახა ურმით მომავალ შვილს: ეს ურემი ისე გამოატარე, რომ ბორბალი ჰატანს არ მოხვდესო („ცევე ვალაჰუნ ბაჩე, ჰებ ჰატანალ-და ჯეაზე გურინ“). ამის გამგონე შეიხი გაბრაზებულა, როგორ თუ მეჩეთს ჰატანი დაუძახაო და სხვა სოფელში წასულა. აშკარაა, ჰატანი მეჩეთის საპირისპირო ცნებაა, ამან გამოიწვია შეიხის გულისწყრომა.

ამრიგად, სიტყვა ჰატანი ქრისტიანობის დანალექია ხუნძურში¹. საყურადღებოა, რომ ეს სიტყვა შემონახულია კვირა დღის სახელწოდებაში (ჰატან ან ჰატან ყო—‘კვირა’ ყო—‘დღე’). თუ ჰატან სიტყვის პირვანდელ მნიშვნელობას მოვიგონებთ, კვირას ხუნძურად „ეკლესიის დღე“ რქმევია, რაც, რა თქმა უნდა, ისევ ქრისტიანობის გავლენაზე მიუთითებს. კვირა დღის სახელწოდება ერთადერთია, რომელიც სათანადო არაბული სახელით არაა შეცვლილი. სხვა დღეთა სახელები ხუნძურს არაბული აქვს (წინათ, არც ისე შორეულ წარსულში, რომ ეს ასე არ უნდა ყოფილიყო, ამას ბევრი რამ მოწმობს, მაგრამ ახლა ამაზე არ შევჩერდებით).

არ შეიძლება აქვე არ მოვიხსენიოთ მ. საიდოვის წერილი [8], რომელიც ხუნძური დამწერლობის ისტორიას შეეხება. ავტორი გაკვრით ეხება არნ. ჩიქობავას მიერ გამოქვეყნებულ ქართულ-ხუნძურ წარწერასაც [1], ორიოდ სიტყვით აღნიშნავს მის არსებობას და, მოჰყავს რა არნ. ჩიქობავას აზრი ამ წარწერის დათარიღების შესახებ (ასახელებს მხოლოდ პალეოგრაფიულ მხარეს!), მოკლედ დაასკვნის: „აკად. ჩიქობავას არგუმენტაცია დამარწმუნებელი არააო“ ([8], გვ. 137). სამწუხაროდ, მ. საიდოვს არცერთი არგუმენტი არ მოჰყავს, რომ თვითონ მისი აზრი დამარწმუნებლად გვეჩვენოს. კონტექსტის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავტორს ხსენებული წარწერა გაცილებით გვიანდლად მიაჩნია და უკავშირებს საქართველოდან დაღესტანში გატაცებულ ტყვეებს, რომლებიც XVIII საუკუნეში (მის მეორე ნახევარში განსაკუთრებით) ამ რაიონში მართლაც იყვნენ.



წარწერა № 2

¹ ამავე რიგის სიტყვა უნდა იყოს ყოუოხეთ 'ყალ-მაყალი, გაუგებარი ყვირილი, (შდრ. ქართ. ჯოჯოხეთი). სიტყვა დასტურდება ხუნძახელთა მეტყველებაში, ლექსიკონებში იგი არა ჩანს.

უკვე იმის შემდეგ, რაც ზემოთ ითქვა, ეს საკითხი ასე იოლი გზით ვერ გადაწყდება. რა უფლება გვაქვს ყურადღება არ მივაქციოთ არც წარწერათა პალეოგრაფიულ მხარეს, არც ისტორიულ ცნობებს. ამჟამად, რომ ცენტრალურ დაღესტანში გაკეთებული ქართულ-ხუნძური წარწერა მკითხველად გულისხმობს არა მარტო (და არა იმდენად) ქართველს, არამედ ხუნდს, რომელმაც იცის (ან — ივარაუდება — უნდა ისწავლოს) ქართული ანბანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ხუნძური სიტყვების ქართული ასოებით წერას ყოველგვარი აზრი ეკარგება. ასეთი კონტექსტი ძალაუფლებურად მისიონერთა (და არა „ტყვეთა“) მოღვაწეობას გვაპარაუდებინებს. ძნელია ვიფიქროთ, რომ ქართველ ტყვეებს (ე. წ. ჯაზაჯებს), რომელთა უფლებრივ მდგომარეობაზე ბევრი არაფერია სათქმელი, ნებას მისცემდნენ ქრისტიანული ჯვრები აღემაართათ საფლავზე, და ისიც მებრძოლი ისლამიზმის პირობებში. რაც შეეხება წარწერათა შინაარსს, არაფრიდან არა ჩანს, რომ წარწერასთან დამოკიდებული პირები თავს ტყვეებად გრძნობდნენ. ისინი ტყვეები არ იყვნენ და იმიტომ.

ქართული და ქართულ-ხუნძური წარწერები, რომლებიც დაღესტნის მთიანი რაიონებიდან ვლინდება, ბევრი მხრივია საინტერესო. იგი უმნიშვნელო არაა ამ ხალხთა ისტორიის ზოგი საკითხის გასარკვევად. იგი საყურადღებოა ხუნძური ენის ისტორიის თვალსაზრისით. რადგანაც საქმე ეხება ხუნძური ენის ფიქსირების უძველეს შემთხვევას. დასასრულ, იგი საინტერესოა როგორც საქართველო-დაღესტნის კულტურული ურთიერთობის მაუწყებელი.

მინაწერი. დაღესტნის სახ. მუზეუმის დირექტორმა ამხ. როსინმა, როცა სოფელ ჰალაში ნაპოვნი წარწერა გადავეცი, მაცნობა, რომ ჩვენთან ინახება მოზრდილი წარწერიანი ქვა (ხუნძახიდან ჩამოტანილი), რომელიც ჯერ შესწავლილი არ არისო. აღნიშნული ქვა ენახე. მისი სიგრძე-სიგანე დახლ. $1\frac{1}{2}$ მეტრს უდრის. ნაპირები ჩამომტვრეულია (განსაკუთრებით ბევრი უნდა აკლდეს მარჯვენა და ქვედა მხარეს). მარჯვენა კიდეზე გამოყვანილია მოზრდილი ჯვარი. ანბანი წარწერისა ქართული გამოდგა. შესრულებულია იგი საკმაოდ ლამაზი მრგლოვანით (რომელიც ძალიან ჰგავს ნ. მარის მიერ გამოქვეყნებული წარწერის [11] ასოებს)¹, ნახმარია ქარაგმები და გაყოფის ნიშნები. წარწერა ბევრგან გადარეცხილია და გადაფხაჭნილი. ირჩევა სიტყვები წა, დცაა და სხვ. ენა ქართული თითქოს არ უნდა იყოს.

¹ ნ. მარის ის მოხსენება, რომელიც ამ წარწერას შეეხება, გამოქვეყნებულია 1947 წელს ი. მეშჩანინოვის წინასიტყვაობით. წარწერის ანბანი ქართულია, ენა კი უცნობი. ნ. მარტი ცდილობს ამ წარწერის ენა ალბანურს დაუკავშიროს. სათანადო საბუთები არა ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ მოხსენება რიგ საინტერესო საკითხს აღძრავს, სიტყვათა შინაარსის დადგენის ის ვარაუდები, რაც ამ მოხსენებაში უხვადაა წარმოდგენილი, ელემენტოვან ანალიზს ემყარება და მოკლებულია დამარწმუნებლობას.

Т. Е. ГУДАВА

ДВЕ НАДПИСИ (ГРУЗИНСКАЯ И ГРУЗИНСКО-АВАРСКАЯ) ИЗ
ДАГЕСТАНА

Резюме

Публикуются две надписи, найденные в Дагестанской АССР. Первая из них найдена в местечке Галла (Halla, хунзахский р-н, близ сел. Гиничутль) т. Мансур Гайдарбековым. Надпись сделана на камне, на котором вырезан крест. Язык и алфавит (смешанный „мргловани“ и „нუსхური“) надписи — грузинский. Читается она так (приводим в транскрипции): ჳ || ri || kḡ || si || ო^o gsne sl || sa || ča || xu || ti || ssa, с раскрытием титулов: ოვარი კრისტიჴი ოვპალო განუსვენე სულსა ჳახუთისსა. Перевод: „Крест Христа. Господи, помилуй душу Чахути“.

Вторая надпись (крест высеченный из известняка) найдена в сел. Хунзах т. Дибир Атаевым. Алфавит текста грузинский (смешанный „мргловани“ и „нუსхური“). Надпись двуязычная — грузинско-аварская. Некоторая часть ее повреждена и не поддается чтению. Надпись читается так: ჳ^o r [i] || k^o esi: || [?]: ო^o: a || et || no: mo || ciko || lno: ჳ^o || e:e (v?) i (?) || b (e?) (r?) i || (t?) (a?); timala || latač || obeg: ა^o n || ო^o. С раскрытием титулов: ოვარი კრისტესი: [?]: ომიდაო: ათორმეტნო მოციკულნო: ჳეიჭყალე: ერისთავი (?) || b (e?) (r?) i (t?) (a?): timalatačobeg: amინ ოვპალო. Перевод: „Крест Христа... святые двенадцать апостолов, помилуй(те) эристава (?)... timalatačobeg аминь, господи“.

timalatačobeg аварское выражение: timalata (← l'imalata) ‘на детей’ čob (← čob) ‘милость’, eg (← tegi — l'egi) ‘да положится’ т. е. ‘помилуй детей’. В форме timalata засвидетельствована хунзахская диалектальная (и исторически, может быть, более древняя) форма местного падежа na-ča (срн. свр. литерат. — z-d-a: l'imalazda).

Эта надпись очень похожа на грузинско-аварскую надпись, опубликованную А. С. Чикобава [1] и по всей видимости датируется так же, как и она (не позднее XIV в.).

В статье отвергается мнение М. С. Саидова [8], считающего надпись [1] делом „вольноотпущенных грузин“ (надо полагать 17—18 в.). Такое мнение противоречит как палеографической стороне, так и ряду исторических сведений. Достаточно сказать, что историки соседних народов сохранили прямые сведения о христианстве в нагорном Дагестане (в грузинских источниках упоминается даже „хунзахский (|| аварский) католикос Окропири“, т. е. Златоуст). Следы христианства обнаруживаются в некоторых аварских выражениях (напр. hačač do. ‘воскресенье’ букв. ‘церковный день’). Нет сомнения, что дальнейшее изучение вопроса даст новые материалы.

Выявление грузинско-аварских надписей может дать ответ на некоторые вопросы как истории Дагестана, так и аварского языка (поскольку

речь идет о древнейшем случае фиксации аварской речи). Надписи заслуживают внимания и как документы свидетельствующие о культурных связях между Грузией и Дагестаном.

ლიტერატურა

1. არბ. ჩიქობავა. ქართულ-ხუნძური წარწერა XIV საუკუნისა დაღისტნიდან. სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე ტ. 1, № 4, 1940.
2. Гасан-Эфенди Акадари. „Асари-Дагестан“, მახაჩკალა, 1929.
3. „ქართლის ცხოვრება“ ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბილისი, 1897.
4. Р. Магомедов. Дагестан в эпоху татарско-монгольского ига. მახაჩკალა, 1940.
5. სიმ. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. „წიგნები“, ტ. 1, თბილისი, 1949.
6. „ნასესული ქართლის ცხოვრება“, თბილისი, 1942.
7. Л. Жирков. Аварско-русский словарь. მოსკოვი, 1936.
8. М. С. Саидов. Возникновение письменности у аварцев. „Языки Дагестана“ 1. მახაჩკალა, 1948.
9. კ. კეკელიძე. ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაწი. კრებ. „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ ტ. II, თბილისი, 1945.
10. П. К. Услар. Этнография Кавказа. III, Аварский язык. თბილისი, 1889.
11. Н. Я. Марр. Албанская надпись. Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях ИИМК, № 15, მოსკოვი-ლენინგრადი, 1947.
12. А. Берже. Горные племена Кавказа. сб. Живописная Россия, ტ. XI, ს.-პეტერბურგი—მოსკოვი, 1883.

საქართველოს ისტორიის მასალები (XV — XVIII სს.)

გამოკვეთვა და ტექსტები

I. ათაბაგთა ქრონიკის უცნობი ნუსხა 1474—1515

ეტრატის ხელნაწერი დაჭიფებული, რომელსაც ათაბაგთა სახლის წევრების დაბადება-გარდაცვალების ნუსხა აქვს დართული, ჩამოტანილია იმერეთიდან აკად. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1919 წლის არქეოლოგიური მოგზაურობის დროს მოპოვებულ სხვა მრავალ ხელნაწერთან ერთად. ამ ხელნაწერმა (№ 1717-H) ჯერ კიდევ 1943 წელს მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ჩვენ გადმოვიწერეთ ათაბაგთა ქრონიკა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტს გადავეცით¹.

ამ ძეგლს შემდეგში ყურადღება მიაქცია ელენე მეტრეველმა, რომელმაც გამოაქვეყნა იგი 1950 წელს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის IV ტომში².

დავითნი № 1717-H ჩინებულად ნაკეთები ეტრატის თავბოლონაკლული, 233 ფურცლიანი უყდო ხელნაწერია, ზომით 13,5×11. იგი დაწერილია შწორი ნუსხური ხელით (სათაურები და დასაწყისი ასოები—სინგურით). ფსალმუნის თავნაკლული ტექსტი შევსებულია სამფურცლიან ქალაღზე ნაწერი მე-17—18 ს. ნუსხურით. ეტრატზე დაწერილი ძირითადი ტექსტი იწყება ბკანონის იგ ფსალმუნის თ-თი და აქედან მოყოლებული ბოლომდის სრულია. ფსალმუნის ტექსტის ბოლოს მოთავსებულია „ანდერძი გიორგი მთაწმიდელისა, თარგმანებისაჲთჳს დავითისა“ (215 v—217 v). ანდერძის ტექსტს მისდევს ტექსტის ხელითვე ნაწერი „ღვთისმშობლის დაუჯდომელი“ (218 r—232 v), რომელიც თავდება „ღლითი-ღღე სათქმელი“ ლოცვით (232 v).

ამ ლოცვის ტექსტის ქვემოთ, ერთი სტრიქონის გამოტოვებით, ტექსტის ხელითა და მელნით დაწერილია ყვარყვარე ათაბაგის სახლის წევრთა დაბადება-გარდაცვალების ქრონიკები (232 v—233 v). ქრონიკა ყვარყვარე ათაბაგის სახლობის ხუთი წევრის გარდაცვალების თარიღების და ოთხი მათგანის წლოვანების ნუსხას წარმოადგენს.

ყოველი ცალკე ცნობა გარდაცვალების თარიღის აღნიშვნით იწყება. თარიღების აღნიშვნას განსაკუთრებული ზედმიწევნილობა ახასიათებს. აღნიშნულია გარდაცვალების წელი („დასაბამითგანი“), შემდეგ—თვე, რიცხვი და დღე. ამასთანავე ყოველი ცალკე ცნობა გარდაცვალების ფამსაც აღნიშნავს,

¹ დაკულია ისტორიის ინსტიტუტში, ანდერძ-მინაწერების სხვა პირებთან ერთად.

² იხ. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით. ტომი IV, შედგენილი და დასაბუჲად დამზადებული ელენე მეტრეველის მიერ“. № 1717, გვ. 149—150. ტექსტში შეპარული კორექტურული შეცდომები გასწორებულია (იხ. „შეცდომების გასწორება“).

გარკვეული დღის ფარგლებში. მაგ., „მწუხრი კვირიაკის]სა, რომელ ორშაბათად განთენდებოდა“ (I ქრონიკა), „მიმწუხრი“ (II), ჟამსა მზის „[ა]მოსლვისასა“ [V].

ყველაზე მეტი ზედმიწევნილობით ყვარყვარეს პირმო ძის, ქაიხოსროს გარდაცვალება არის აღნიშნული. ქრონიკის დამწერი აქ გარდაცვალების საათსაც გვამცნობს: „ჟამსა მეექუსესა დღისასა“ — გარდაცვალა ქაიხოსრო (IV).

თარიღების ასეთი ზედმიწევნილობით აღნიშვნა ახლად აღმოჩენილ წყაროს განსაკუთრებულ დამაჯერებლობას ანიჭებს. ამ ზედმიწევნილობის წყალობით ყოველი ცალკე ცნობის ნამდვილობის შემოწმებაც ადვილდება.

რაკი გარდაცვალების ყოველ თარიღში წელიწადის აღნიშვნასთან ერთად ნაჩვენებია თვე, თვის რიცხვი და კვირის დღეც, საკმარისია სათანადო წელიწადის კალენდრის მიხედვით ამ ოთხი ნიშნის შეხვედრის დადასტურება, რომ ცნობა უტყუარ და, მაშასადამე, ყოვლად სანდო წყაროდ ჩავთვალოთ. პროფესორმა ილია აბულაძემ ჩვენი თხოვნით შემოწმა ქრონიკაში მოცემული ზუთივე თარიღის (გარდაცვალების თარიღები) ნამდვილობა.

შემოწმებამ დაადასტურა, რომ:

1474 წლის ოქტომბრის 10 რიცხვი სწორედ ორშაბათ დღეს მოდიოდა (ბააღურის გარდაცვალების თარიღი).

1489 წელს დეკემბრის 18 პარასკევს ემთხვეოდა (დედისიმედის გარდაცვალების თარიღი).

1498 წელს ივლისის 1-ლი რიცხვი კვირას ხვდებოდა (ყვარყვარეს გარდაცვალების თარიღი).

1500 წლის მაისის 6 სწორედ ოთხშაბათი ყოფილა (ქაიხოსროს გარდაცვალების თარიღი).

1515 წლის ივნისის 5 სამშაბათ დღეს მოდიოდა (მზეჭაბუკის გარდაცვალების თარიღი).

ამგვარად, ჩვენს ხელთ არის ყვარყვარე ათაბაგის სახლობის ხუთი წევრის გარდაცვალების ექვემოთხატანელი თარიღები.

ნათელია, რომ ქრონიკაში დაცული ცნობებში გვიანდელ ზეპირჩანაწერებს არ წარმოადგენს, არამედ ფიქსირებულ უნდა იყვნენ შიგ მოხსენებულ პიროვნებათა გარდაცვალებისთანავე. ცნობების ზედმიწევნილობა მოწმობს აგრეთვე, რომ მათ ჩაწერას ათაბაგის სახლთან მჭიდროდ დაკავშირებული პირი, ამ სახლობის წევრი — აწარმოებდა.

რომ ეს ქრონიკა ათაბაგის სახლობის წევრის მიერ (ან ერთ-ერთი წევრის დავალებით) არის შედგენილი, ამას ტექსტიც მოწმობს. ხუთივე ქრონოლოგიური ცნობის დასაწყისში ნაგულისხმევია ყვარყვარეს სახლის რომელიღაც წევრი („ძმად მათი“, „დედად მათი“, „მამად მათი“).

ბააღური არის ამ პირის ძმა, დედისიმედი მისი დედა არის, ყვარყვარე — მამა, ქაიხოსრო არის „პირმოძმად მამათი“, ძმა არის აგრეთვე მზეჭაბუკიც.

რაკი ბააღური, ქაიხოსრო და მზეჭაბუკი ყოფილან ამ უცნობის ძმები, ზოლო დედისიმედი და ყვარყვარე — დედ-მამა, ცხადია ეს პირი უნდა იყოს დედისიმედისა და ყვარყვარეს ერთ-ერთი შვილთაგანი, რომელიც ქრონიკის შედგენის დროს (მზეჭაბუკის გარდაცვალების წელს, ე. ი. 1515) -ჯერ კიდევ

ცოცხალი ყოფილა. საფიქრებელია, რომ დავითნის გადაწერა და ხელნაწერის ტექსტის ბოლოში ათაბაგის სახლის გარდაცვალებულ წევრთა ნუსხის დართვა ამ პირის განკარგულებით იქნებოდა შესრულებული.

ქრონიკაში მოცემული ცნობების ეს ნუსხა პირველ ჩანაწერებს არ უნდა წარმოადგენდეს.

პირველი ამ ცნობათაგანი — ბადურის გარდაცვალების თარიღი უკანასკნელზე — მხეჭაბუკის გარდაცვალების თარიღზე — მთელი ორმოცდაერთი წლით არის დაშორებული (1474—1515). მიუხედავად ამისა, ხუთივე ცნობა (1474, 1489, 1498, 1500, 1515) დაწერილია ერთი და იმავე გამართული, სწორი ნუსხურით („ფსალმუნის“ ტექსტის ხელით), ზედმიყოლებით, აბზაცების დაუცველად, თარიღების აღმნიშვნელი სიტყვების პირველი ასოების ერთნაირად, სინგურით გამოყოფით, ერთი და იმავე მელნით.

რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ერთ პიროვნებას 41 წლის მანძილზე ეწარმოებინოს ამბების ჩაწერა. მაგრამ შეუძლებელია ასეთი ინტერვალებით დაშორებული ამბები ორმოცდაერთი წლის მანძილზე, სხვადასხვა დროს, ამდენად უცვლელი ხელით, კალმისა და ხელის ერთი და იმავე სიმტკიცით, ასოების ერთნაირი ზომის დაცვით ეწეროს მემატინეს.

ექვს გარეშეა ჩვენს ნუსხაში გვაქვს არა დედანი, არამედ დედნიდან უცდომელად გადმოტანილი ზედმიწევნილი ჩანაწერები.

ვფიქრობთ, რომ ყვარყვარეს სახლობის ხუთი წევრის გარდაცვალების შესახებ ცნობები დედანში სადად და მოკლედ იქნებოდა ჩაწერილი, მხოლოდ სახელებისა და გარდაცვალების თარიღების აღნიშვნით, როგორც ამას ცნობილი „მესხური ქრონიკის“ მინაწერებში ვხედავთ¹.

ამ მოკლე ცნობების დახასიათებათა დართვით გავრცობა მერმინდელი საქმე უნდა იყოს. თვით დახასიათებებს სტანდარტულობის ბეჭედი აზის. აქ მოხსენებულ პიროვნებებს მაღალი ღირსებები მიეწერება: ოცდაერთი წლის ბაადურ „მხნე, ახოვანი და ღვთის მოყუარე“ ყოფილა; დედისიმედი — „ღვთის მოყუარე, ობოლთა და გლახაკთა შემწყალე, მსგავსი წმიდათა დედათა“; ყვარყვარე ათაბაგი დახასიათებულია, როგორც „მხნე, ღვთის მოყუარე, სახელგანთქმული, საღთოთა და საკაცობოთა ყოვლითა ზნითა შემკული“.

დახასიათებებში გამოირჩევა ქაიხოსრო ათაბაგის შედარებით ვრცელი ატესტაცია. მემატინის სიტყვით ქაიხოსრო ყოფილა „ღვთის მოყუარე, მხნე, უძლეველი მხედარი განთქმული, ახოვანი, ბრძოლათა შინა ყოვლითურთ და ყოვლადვე უმჯობესი ყოველთა კაცთა ამ ქამისათა, სრული სამღთოთაცა შინა და საკაცობოთა [საქმეთა]“.

მიუხედავად შექების იმავე „გაზვიპირებული“, სტანდარტული ფორმისა, რომლის ხელოვნურობა ივ. ჯავახიშვილმა ამავე ქაიხოსროს აღზრდილი ამბროსის მიერ „ათონის აღაპებში“ შეტანილი ტექსტის შესახებ აღნიშნა², ხსენებული ვრცელი დახასიათება მაინც საყურადღებოდ უნდა მივიჩნიოთ: აქ ქაიხოსრო თვით სახელგანთქმულ ყვარყვარეზე მაღლა არის დაყენებული. მისი დახასიათება, თითქოს, ინდივიდუალური ნიშან-წყალის მატარებელია

¹ „... ია მთვარისასა დაიბადა თამარ აწყვერს, აპრილის იმ, დღესა პარასკევსა, დღისით, უამსა ვ ...“ და მისთანანი.

² ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, თბ., 1948, გვ. 162.

(„ბრძოლათა შინა ყოველითურთ და ყოვლადე უმჯობესი ყოველთა კაცთა ამ ჟამისათა“¹).

აქ მოსახსენებელია ერთი სხვა კვინკლოსის ცნობაც ქაიხოსროს გარდაცვალების შესახებ: „აქა მიიცვალა ქრისტიანობის ნათელი ქაიხოსრო ათაბაგი“¹.

იოკვევა, რომ სამი სხვადასხვა წყარო შეთანხმებულ ჩვენებას გვაძლევს ამ პიროვნების შესახებ. ამ ცნობების საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ ყვარყვარეს სახლობაში ქაიხოსრო მართლაც გამორჩეული უნდა ყოფილიყო.

ისტორიულ პიროვნებათა დახასიათების შედგენის ხსენებული წესი, საერთოდ, შესაძლებელია ჟამთა აღმწერელის შესანიშნავი თხზულების „დახასიათებათა“ ერთგვარი სტანდარტიზაციის შედეგად ყოფილიყოს დამკვიდრებული². თუმცა, უნდა ითქვას, რომ აქ მხოლოდ საუკუნოებრივი ტრადიციით ჩამოყალიბებულ სტილიზაციაზე შეიძლება ლაპარაკი — ჟამთა აღმწერლის მოკლე დახასიათებანი თითქმის ყველგან პიროვნების ინდივიდუალურ სახეს გვიჩვენებენ, იქ ისტორიკოსის ეპითეტების მიღმა ცოცხალი ადამიანის ხასიათი იგრძნობა — რის თქმაც არ შეგვიძლია „ათაბაგთა ქრონიკის“ დახასიათებათა უმეტესი ნაწილის შესახებ.

ათაბაგთა ქრონიკაში მოხსენებულ პირთა შესახებ ფაქტიური ცნობები ასეთია:

1. ბაადურ, ძე ყვარყვარე ათაბაგისა, გარდაცვლილა „წელთა დასაბამითგანთა ექუსიათას ცხრაას ოთხმოცდაორსა“ — ე. ი. [6982—5508=] 1474, ოქტომბრის 10-ს, ღამით, როცა კვირა დღე ორშაბათად უნდა გათენებულიყო. ამ დროს ბაადური ოცდაერთი წლისა ყოფილა.

2. დედისიმედი, ყვარყვარე ათაბაგის მეუღლე, ბაადურის დედა — გარდაცვლილა „წელთა დასაბამითგანთა ექუსიათას ცხრაას ოთხმოცდაჩვიდმეტსა“ — ე. ი. [6997—5508=] 1489 წლის დეკემბრის 18-ს, პარასკევს. ამ დროს დედისიმედი 54 წლისა ყოფილა.

3. ყვარყვარე ათაბაგი გარდაცვლილა „წელთა დასაბამითგანთა შვიდიათას და ექუსსა“, ე. ი. [7006—5508=] 1498 წლის ივლისის 1-ს, კვირა-დღეს, საღამოჟამს.

მისი წლოვანების შესახებ მატიანე გვამცნობს, რომ ფიე ყოფილა „წლისა ოთხმოცდაორისა“, მაგრამ არასრულად: „დღე აკლდა ორმოცდათხუთმეტი“.

4. ქაიხოსრო ათაბაგი, ყვარყვარეს პირმშო ძე, გარდაცვლილა „წელთა დასაბამითგანთა შვიდიათას და რვასა“, ე. ი. [7008—5508=] 1500 წელს, მაისის 6-ს, ოთხშაბათი დღის მეექვსე საათზე, „წლისა ორმოცდაცამეტისა“.

5. [მზექაბუკი], ძმა ქაიხოსროსი და ყვარყვარეს შვილი გარდაცვლილა „წელთა დასაბამითგანთა შვიდიათას ოცდასამსა“, ე. ი. [7023—5508=] 1515 წლის ივნისის 5-ს, სამშაბათ დღეს, მზის ამოსვლის ჟამს.

¹ თ. ყორღანიანი. ქრონიკები, II, გვ. 313.

² „ბედნიანი — კაცი კეთილი და სრული სამღრთოთა და საკაცობოთა“ (634 გვ.), „დადნიანი ცოტნე — კაცი პატიოსანი და სათნოებანი და ბრძოლათა შინა სახელოვანი“ (605) და სხვ., იხ. „მარიამ-დედოფლისეული ქართლის ცხოვრება“.

როდის უნდა იყოს დაწერილი ეს ქრონიკა?

1717—H ხელნაწერი ნაკლულოვანია. მას აკლია პირველი და უკანასკნელი ფურცლები და გადამწერის ანდერძი; ასე რომ მისი გადაწერის ზედმიწევნილი თარიღის დადგენა შეუძლებელი ხდება. მაგრამ, რაკი ზემოთ დავრწმუნდით, რომ ქრონიკის ცნობები ერთსა და იმავე დროს არის გადმოწერილი პირველი ჩანაწერებიდან, ქრონიკის გადაწერის დრო 1515 წელზე ადრე არ შეიძლება ვივარაუდოთ, ვინაიდან ქრონიკის უკანასკნელი ცნობა—მზეჭაბუკის გარდაცვალება—1515 წლით არის დათარიღებული. თვით ხელნაწერიც პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით მე-15—16 საუკუნის მიჯნაზე დაწერილი ჩანს.

ქრონიკის ცნობების მნიშვნელობა

ზედმიწევნილი ცნობები, რომლებსაც ქრონიკა გვაძლევს, უეჭველად დიდად მნიშვნელოვანად უნდა ჩაითვალოს. ამ ახალ წყაროს რამდენიმე შესწორება შეაქვს „წყვედიანით მოცული“ მე-15 საუკუნის ისტორიის საკმარისად დიდი მონაკვეთის დღემდე ცნობილ თარიღებში.

ეს გარემოება, რომ აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა „ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე წიგნში გენეალოგიურ-ქრონოლოგიური საკითხები ცალკე გამოყო, გვიადვილებს ახლად მოპოვებული ცნობების დაპირისპირებას დღემდე არსებულ ცნობებთან.

ახალი ცნობებით საესებით გამართლებული და უფრო დაზუსტებულია ყვარყვარეთაბაგის დაბადება-გარდაცვალების ის თარიღები, რომლებიც ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა¹. ყვარყვარე, როგორც ზემოთ დავინახეთ, დაბადებულია 1416 წლის აგვისტოს 25-ს, გარდაცვლილა—1498 წლის ივლისის 1-ს, 82 წლის ასაკისა; ჩვენი ქრონიკის ზედმიწევნილი ცნობით, 81 წლისა, 10 თვის და 5 დღის.

სამართლიანი გამოდგა ივ. ჯავახიშვილის დაეჭვება ყვარყვარეს მეუღლის დედის იმედის წლოვანების შესახებ არსებული ცნობების მიჯნით. ამ ცნობების მიხედვით ორმოცდათოთხმეტი წლის (54) დედისიმედი 1491 წელს გარდაცვლილად ითვლებოდა. ამ შემთხვევაში გამოდიოდა, რომ პირველი ვაჟი ქაიხოსრო—დედისიმედს უნდა შექმნოდა, როცა ეს უკანასკნელი (დედისიმედი) ათი წლისა იყო.

ამდენად, მკირეწლოვანი ქალის შეილოსნობა ივ. ჯავახიშვილმა საეჭვოდ ჩათვალა². ახლად მოპოვებული ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ დედისიმედის გარდაცვალების თარიღი ყოფილა არა 1491 წლის 18 დეკემბერი, არამედ 1489 წლის 18 დეკემბერი, პარასკევი დღე. 1489 წ. დედისიმედი 54 წლისა ყოფილა. მაშასადამე, პირველი შვილი ქაიხოსრო, რომლის წლოვანებაც ზედმიწევნით ირკვევა, დედისიმედს შექმნია, როცა იგი (დედისიმედი) ყოფილა 12 წლისა და არა 10-ის.

¹ ივ. ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი IV, თბ., 1948, გვ. 109—110.

² იქვე, გვ. 110.

თავისთავად ცხადია, რამდენად მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში ორი წლის განსხვავება, რომელსაც ახალი, ნამდვილი ცნობა გვაძლევს.

ყვარყვარეს პირმშო ძისა და ათაბაგობაში მისი მონაცვლის — ქაიხოსროს გარდაცვალების თარიღი ჯერ კიდევ თ. უორდანიას აქვს დადგენილი „ქრონიკების“ II წიგნში¹. ათაბაგთა ქრონიკის ცნობები ადასტურებს ამ თარიღს, მაგრამ ახალი აქ არაფერი შეაქვს.

სულ სხვა მდგომარეობა იყო მზექაბუჯის გარდაცვალების თარიღის გარკვევის მხრივ. ეს თარიღი სისწორით დღემდე არსად ყოფილა აღნიშნული.

„იკორთის ძლისპირის“ მეტად არეული ცნობით მზექაბუჯი თითქოს 1513 წ. უნდა გარდაცვლილიყოს². S: 252 ხელნაწერის კვინკლოსის მიხედვით „დიდი მზექაბუჯ“ 1516 წ. მომკვდარა³. ამ უკანასკნელ ცნობას ხუთი სხვა მნიშვნელოვანი წყარო უჭერს მხარს. ამათგან ე. წ. „პარიზის ქრონიკა“ მზექაბუჯის გარდაცვალების თარიღს — 1516 წ. — თვისა და რიცხვის აღნიშვნითაც ავსებს (იენისის: გ:).

ათაბაგთა სახლის ქრონიკის ახალ ნუსხაში მზექაბუჯის გარდაცვალების შესახებ ცნობა, ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელი, უკანასკნელ ადგილას არის მოქცეული. ამ ცნობიდან ჩვენ მხოლოდ სამი სტრიქონი შეგვგრჩენია:

„წელთა დასაბამითგანთა შკდითას ოცდასამსა,
იენისსა ხუთსა, დღესა სამშაბათსა, ჟამსა მზის
[ა]მოსვლისასა, ძმად მათი, ღის მოყვრე, მკნე,
უძ...“

აქ ქრონიკა წყდება. ასე რომ წყაროს მზექაბუჯის სახელიც კი არ შეიზონახავს. დაკარგულია ცნობის ის ნაწილიც, სადაც უთუოდ იქნებოდა აღნიშნული, თუ რამდენის წლისა გარდაიცვალა მზექაბუჯი. მაგრამ გარდაცვალების თარიღი სრულად არის დაცული:

„დასაბამითგანი“ 7023 წლის იენისის 5 უდრის (7023—5508) 1515 წელს, რომელშიაც იენისის 5 რიცხვი სწორედ სამშაბათ დღეს მოდის.

ქრონიკის ცნობებიდან დაგვრჩა ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეული და ხელნაწერის (1717 — II) მინაწერშიაც პირველ ადგილას მოთავსებული ცნობა ყვარყვარესა და დედისიმედის ვაჟის ბაადურის გარდაცვალების შესახებ.

ბაადურის გარდაცვალების თარიღი დღემდის არც ერთ წყაროში არ გვქონია სისწორით გადმოცემული.

თუმცა „ქართლის ცხოვრების“ პირველი ვაგრძელების შემდგენელი სწორად აღნიშნავს ბაადურის გარდაცვალების „დასაბამითგანს“ წელს:

„ათაბაგი ბაადურ გარდაიცვალა წლისა: კა: ოკტონბერსა: ი:

¹ „ქრონიკები“, II, გვ. 313, 315.

² იქვე, გვ. 331.

³ იქვე, გვ. 334.

დასაბამითგან ქვსა ექესიათას ცხრაას ოთხმოცდარსა“-ო — მაგრამ ამ ცნობას თავში ქართული ქრონიკონის რჯ უზის, რაც 1475 წელს უდრის და „დასაბამითგანთან“ შეთანხმებული არ არის. გარდა ამ წინააღმდეგობისა, ცნობას არ გააჩნია კვირის დღის აღნიშვნა, რაც აძნელებდა თარიღის საბოლოოდ დადგენას. ცნობათა ამ წინაუკმობის გამო ხსენებული თარიღი დღემდე 1474—1478 წწ. შუა ირყეოდა¹.

ათაბაგთა სახლის ახალი ქრონიკის მიხედვით 21 წლის ბაადურის დასაბამითგან 6982 წლის, ე. ი. (6982 — 5508 =) 1474 წლის ოქტომბრის 10-ს, ორშაბათ დღეს, განთიადისას გარდაცვლილა; ამას ადასტურებს 1474 წ. კალენდარი, რომლის მიხედვითაც ამ წელს 10 ოქტომბერი ორშაბათი დღეყოფილა.

ამგვარად, ძეგლი გვაძლევს ყვარყვარე ათაბაგის სახლის ხუთი თვალსაჩინო წევრის გარდაცვალების უტყუარ თარიღებს, ოთხი მათგანის წლოვანების აღნიშვნით.

იცნობდა თუ არა ვახუშტი ამ ქრონიკას?

არც ვახუშტის ისტორიულ თხრობაში, არც მის მიერ „პოგნილ“ ქრონიკონებში არ არის გამოყენებული არც ერთი იმ ცნობათაგანი, რომლებსაც H: 1717 ხელნაწერის მინაწერები გვაძლევს.

შევიდაროთ ვახუშტის ისტორიის სათანადო ცნობები ახალ ცნობებს:

ვახუშტის ისტორიით:	ათაბაგთა სახლის ქრონიკით:
ბაადური გარდაიცვალა 1475	1474
დედისიმედი „ 1491	1489
ყვარყვარე „ 1500	1498
ქაიხოსრო „ 1502	1500
მზექაბუჯი „ 1516	1515

როგორც ვხედავთ, ვახუშტის არც ერთი თარიღი არ ემთხვევა ახალ ქრონიკის თარიღებს.

აქედან ცხადია, რომ ვახუშტი ამ წყაროს არ იცნობდა.

ათაბაგთა ქრონიკა და ვახუშტის ისტორიული თხრობა

ახლად მოპოვებული მკვიდრი თარიღების შუქზე მესხეთის 1466—1475 წწ. ამბები, რომლებსაც ვახუშტი უძღვნის ერთ პატარა თავს: „თ. ბაადურ თ წელი მთავრა“ — თავიდან ბოლომდე საეჭვო ხდება.

ამჟამად დანამდვილებით ვიცით არა მარტო ბაადურის დაბადება-გარდაცვალების ზედმიწევნითი თარიღები, არამედ მისი მამის შვილობაც, მამის (ყვარყვარეს) ნამდვილი წლოვანება და გარდაცვალების თარიღი, ბაადურის უფროსი ძმების წლოვანება და მათი სიკვდილის თარიღებიც.

ვახუშტის მიხედვით ბაადურ 1466 წელს გაათაბეგებულია, მისი მამის ყვარყვარეს გარდაცვალების შედეგად:

¹ იხ. თ. ქორდანი. „ქრონიკები“, II, 297, 298, 1475 და 1478 წწ. ქვეშ.; ივ. ჯავახიშვილი... „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი მეოთხე, თბ., 1946, გვ. 111., ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, II, თბ., 1913 წ., გვ. 237 და 365.

„მოკუდა ყვარყვარე ქრისტეს [ითგან] 1466, ქრ. რნდ“
 „შემდგომად მისსა დაჯდა ძე ყვარყვარესი ათაბაგად ბა-
 ადურ“.

ვკითხულობთ ვახუშტის ისტორიის II ნაწილის ფურცლებზე¹.

ამას მოსდევს ხსენებული თავის თხრობა (გვ. 236—237), რომელიც თავდება:

„შემდგომად მოკუდა ვითარებასა ამასა შინა ბაადურ
 ათაბაგი, წლისა კა, ქს ჩუოე, ქრ. რაგ“.

„შემდგომად ბაადურისა დაჯდა ათაბაგად მანუჩარ, ძე
 ყვარყვარესივე და ძმა ბაადურისა“².

ბაადურის ათაბაგობის შესახებ თხრობის დაბოლოება: „მოკუდა ვითარე-
 ბასა ამას შინა ბაადურ ათაბაგი წლისა კა ქს ჩუოე ქრ. რაგ“ — მოწმობს,
 რომ 1466 წელს გაათაბაგებულ ბაადურად ვახუშტი გულისხმობს სწორედ იმ
 ბაადურს, რომელიც გარდაიცვალა 1474 წელს, 21 წლის ასაკში. აქ თარი-
 ლების განსხვავება მხოლოდ 1 წელს უდრის (1474 წლის ნაცვლად 1475)³.

ვახუშტის ისტორიის ამ ნაწილს, ყოველი სხვა საბუთის მიშველიების
 გარეშე, საეჭვოდ ხდის ბაადურის ათაბაგობის თარიღები, რომელსაც ვახუშ-
 ტი იძლევა: 1466 წელს გაათაბაგებული ბაადურ ცხრა წლის ათაბაგობის შემ-
 დგვად გარდაცვლილა 1475 წელს — 21 წლისა. მაშასადამე მესხეთის მართვა-
 გამგეობას ბაადური 12 წლის ასაკში შესდგომია და საკმარისად რთულ, შეიძ-
 ბა ითქვას, მძიმე პირობებში გასძლოლია საქართველოს ამ მნიშვნელოვანი
 ნაწილის საქმეებს მთელი 9 წლის განმავლობაში.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სინამდვილეში სულ სხვაგვარად იყო საქმე:
 1474 წელს გარდაცვლილმა ბაადურმა თავისი მამა, ყვარყვარე ათაბაგი, ამ
 დროს 58 წლის ასაკისა, ცოცხალი დატოვა, ვიცით, რომ ბაადურის მამა,
 ყვარყვარე მხოლოდ 1498 წ. გარდაიცვალა. მაგრამ, კიდევაც რომ ეცოცხლა ბა-
 ადურს მამის გარდაცვალების წლამდე (1498), იგი ათაბაგობას მაინც ვერ დაიმ-
 კვიდრებდა, ვინაიდან მას ჰყავდა უფროსი ძმები: „პირმშო ძმა“ ქაიხოსრო და
 მისი მომდევნო მზეჭაბუკი.

ჯერ კიდევ „ათონის კრებულის“ ალაპების ტექსტიდან არის ცნობილი,
 რომ ყვარყვარე-დედისიმედის „პირმშო ძე პატრონი ქაიხოსრო“
 ყოფილა და რომ „შემდგომად მისა (ყვარყვარეს შემდეგ) პირმშო ძე მისი
 ქაიხოსრო ეპატრონა ყოველსა საქელმწიფოსა მამისა მისისა“. ამავ ალაპების
 ტექსტის მიხედვით საგულვებელი ხდება, „რომ ყვარყვარე-დედისიმედის ცოცხ-
 ლად მყოფი შვილების ჩამოთვლაში, რომელსაც ეს ძეგლი იძლევა, უფროს-
 უმცროსობის თანამიმდევრობა არის დაცული ამგვარად: ქაიხოსრო, მზეჭაბუკ,
 ბაადურ, იანქო, ორავეჯანდა, მანუჩარ, მართალიხონ“⁴.

¹ ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, II, თბ., 1913, გვ. 235, 236, 237.

² იქვე, გვ. 237.

³ იქვე, გვ. 235 — 237.

⁴ იხ. „ათონის კრებული“, ალაპებითურთ, თბ., 1901, გვ. 265 — 268.

აღსანიშნავია, რომ აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, რა თქმა უნდა, სრულიად შეგნებულად, ნაწილობრივ გვერდი აუარა ვახუშტის თხრობას, ნაწილობრივ უარყო იგი და ათონის აღაპების ყოველად სანდო ჩვენებას დაეყრდნო¹.

ბააღურის ათაბაგობის 9 წლის ამბების გამორთვა ვახუშტის ისტორიული თხრობიდან წინა და მომდევნო თხრობის სარწმუნოებასაც არყევს და საექვოდ ხდის—შეუსაბამოდ ჩანს, მაგ., ბააღურის შემდეგ მისი ძმის—მანუჩარის „დაჯდომა“ ათაბაგად 1475 წ. და სხვ.

მაგრამ ამ საკითხებს აქ არ ვეხებით. ვახუშტის შრომის ხსენებული ადგილების გადასინჯვა საკუთარს, ზედმიწევნით ფაქიხსა და ფრთხილ კვლევებს მოითხოვს.

II. მეფეთ-მეფის გიორგის ასულის ქეთეთონ-ქრისტიანთა სულთა მოსახსენებელი (1506—1515)

მეფეთ-მეფის გიორგის ასულის ქეთეთონ-ქრისტიანთა სულთა მოსახსენებელი („ლოცვაჲ შესუწნებულთა მამათა და ძმათა ჩუწნათაჲს“) — მოთავსებულია A : 1737 ხელნაწერში.

ეს მრავალმხრივ საყურადღებო ხელნაწერი პატარა ზომისა არის (14×10); იგი 249 ფურცელს შეიცავს; დაწერილია წვრილი, საკმარისად ლამაზი, მკაფიო ნუსხურით. მის ტყავგადაკრულ ხის ყდას ყუა დაზიანებული აქვს; შინაარსით ხელნაწერი კრებულს წარმოადგენს; მისი თავნაკლული ტექსტის დიდი ნაწილი „უამნის“-ებურად განლაგებული ლოცვებისაგან შედგება (1 v — 137 v; 210 v — 233 v). დანარჩენ ნაწილში აღსანიშნავია:

1. წმ. გიორგის წამება, „საკითხავებითა“ და „შესხმითურთ“ (ეს უკანასკნელი თეოდოლა ხუცის ავტორობით) — 138 v — 165 v.

2. ბასილი კესარიელის „ღვთისმშობლის საკითხავი“ და „მიცვალებებისათვის ღვთისმშობლისა“ — 165 v — 210 r.

3. აპოკრიფული მასალა, დაწერილი სხვა, უფრო ძველი, კალიგრაფიული ხელით (იგი ჩვენ დაწვრილებით გვაქვს აწერილი და გადმოწერილიც A : 1737 ხელნაწერის აღწერილობაში) — 234 r — 249 v.

A : 1737 ხელნაწერის ტექსტის სხვადასხვა ადგილას ჩართულია პატრონი ქეთეთონის (ზოგან—ქეთონ) მრავალჯამიერი სუფევისათვის ვედრება:

მაგ., „ღმერთო მამათა ჩნთაო მშვიდობით დღეგრძელობით წარჰმართე და მრავალჯამთა ამოდ და სუფევით ამყოფე პატრონი ქეთთონ და ნუ უზამ მისთა მტერთა გულისასა. აქა, სააქაოს აღდგერძელე და მას საუკუნესა აცხოვნე და ამისსა უცებ(ა)დ მჩხრეკლსა, ამა მორჰმულისა და ღვთის მოყრისა და გლახაკთ-მოწყალისა პატრონისა გაზრდილსა ნაუასძესა ხებედეს შნს ღწ—ვკითხულობთ 137 r. v-ზე.

¹ ივ. ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი მეოთხე, თბ., 1948, გვ. 109 — 111 და 164.

როგორც ვხედავთ, ეს ანდერძი გადამწერის ვინაობასაც გვამცნობს. ეს არის „უცებად მიხრეკელი“ ნაუას ძე ზებედე, პატრონის ქეთეონოს გაზრდილი.

თვითონ ქეთეონის სრული ტიტულატურა შეტანილია 210-ზე მოთავსებულ ლოცვაში:

„ღმერთო... შეიწყალე ორსავე შინა ცხოვრებაჲსა დიდისა და წარჩინებულისა მეფეთ-მეფისა ასული [დიდებული?]¹ დედოფალი, ყოვლისა დაბადებულისა უპირატესი პატრონი ქეთაონ. ამინ, რომლისა ბრძანებითა დაიწერნეს წმიდანი ესე წიგნნი“.

ხსენებული ტექსტების მიხედვით ირკვევა, რომ:

I. ხელნაწერი ქეთეონის ბრძანებით იწერება.

II. ქეთეონი — მეფეთ-მეფის ასული არის.

III. ხელნაწერის გადამწერი-ნაუას ძე ზებედე — ქეთეონის გაზრდილია. მსგავსი ჩანარტები სხვა ადგილას ქეთეონთან ერთად მის ქმარსა და შვილებსაც იხსენიებს:

„წო ეფრემ! შეიწყალე პატრონი ქეთაონ და პატრონი ვახუშტი, აქასა ამას ყოფასა და მერმესა დაუსრულებელსა ნათელსა პირისა შენისასა ღირს ყავნ და ძენი და ასულნი მათნი მშჯღობით და ამოდ ამყოფე“ — ვკითხულობთ 132-ზე.

ამგვარად, მეფეთ-მეფის ასული ქეთეონ ქმარშვილიანი ქალია. მისი ქმრის სახელი არის ვახუშტი; ხოლო ძეთა და ასულთა სახელები ამ ტექსტში მოხსენებული არ არის.

ქეთეონ-ვახუშტისათვის და მათ ძეთა და ასულთათვის „ორსავე შინა ცხოვრებასა“: „აქასა ამას ყოფასა და მერმესა დაუსრულებელსა“ — შეწყალების ვედრება იმას გვეუბნება, რომ ქეთეონი, მისი მეუღლე ვახუშტი, ძენი და ასულნი მათნი ხელნაწერის წერის დროს ცოცხლები ყოფილან.

ქეთეონის ცოცხლად ყოფნას ხელნაწერის გადამწერის დროს ისიც ადასტურებს, რომ ტექსტის გარკვეულ ადგილებში ქეთეონი პირველი პირითაც გვესაუბრება. მაგ.:

„წმ. ბასილი! მეოხ, მცველ და მფარველ მეყავნ მოსავსა შენსა და მადიდებელსა პატრონსა ქეთაონს! ძეთა ჩემთა ყოველთავე“ 212 v. „დამიფარე ცოდვილი და უღირსი მონა შენი ქეთაონ...“ 213 v².

ხელნაწერის მთელ მასალაში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ქეთეონის სახელით დაწერილი: „ლოცვაჲ შესუშნებელთა მამათა და ძმათა ჩუშნთათჳს“, რომელსაც 210 v — 213 r უჭირავს.

ამ ლოცვის ტექსტში ჩართულია ქეთეონის მახლობელ მიცვალებულთათვის ლოცვა, მიცვალებულთა სახელების ჩამოთვლით. ამ „პირველ დამინე-

¹ აქ ერთი სიტყვა ამოშლილია და (თ. ჟორდანიას ხელით) ფანქრით მიწერილია: „დიდებული“.

² „პატრონი ქეთეონის“ სახელი და სავედრებელი ხელნაწერის ტექსტში სხვა მრავალ ადგილას არის ჩართული: 25 v, 53 v, 55 v, 67 r, 111 v, 135 v, 136 r-v, 137 rv, 165r, 219 rv, 225 v და სხვ.

შულთათვის¹ ქეთეონის ლოცვა სამი სხვადასხვა ვარიანტის სახით არის შეტანილი ტექსტში:

I ვარიანტი: „...უფალო¹ ...მოიკსენენ სახიერებით და წყალობით მონანი შენნი, პირველდაძინებულნი მართლმადიდებელნი: პაპი ჩემი პატრონი ყუარყუარე და ბებერა ჩემი პატრონი დედისიმედი და მამა ჩემი მეფეთ-მეფე პატრონი გ[იორგ]ი და ბიძა ჩემი პატრონი ქაიხოსრო და ბაადურ, მართალიხონ და გულბუდახ და ყოველნი დაძინებულნი მიცვალებულნი ჩემნი და შეუნდვენ ყოველნი ბრალნი მათნი, ნებსითნი და უნებლიეთნი და განუსუწნე სულეგსა მათსა ადგილსა ნათლისასა, სადა იგი არა არს მწუხარებად, სულთქუმა და საღმობად...“ 211 r.v.

II ვარიანტი: „წმიდაო ღმრთისმშობელო! მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩნისა შესუსნებულსა პატრონსა პა[პ]სა ჩემსა ყუარყუარეს და ბებერა ჩემსა პატრონსა დედისიმედსა და პატრონსა მამას ჩემსა მეფესა გ[იორგ]ის და პატრონსა ბიძას ჩემსა ქაიხოსროს, ბა[ა]დურს, მართალიხონს და პატრონს იანქოს და გულბუდახს და იგსენ სულნი მათნი ყოვლისაგან ქირისა და სატანჯველისა და დააწესენ სულნი მათნი საყოფელსა მართალთასა...“ 212 r.

III ვარიანტი: „წმიდანო მთავარანგელოზნო!... მეოხ ეყვენით წინაშე უფლისა შესუსნებულსა პატრონსა ყუარყუარეს და პატრონსა დედისიმედსა და მეფესა პატრონსა მამას ჩემსა გ[იორგ]ის და ბიძათა ჩემთა პატრონთა ქაიხოსროს და იანქოს და ბა[ა]დურს და მართალიხონს და გულბუდახს“. 212 r.

როგორც ვხედავთ, ქეთეონის ლოცვის ამ სამ ვარიანტში მოხსენებული არიან მასთან (ქეთეონთან) ახლო ნათესაობით დაკავშირებული მიცვალებულები:

1. პაპი [-„პაპი“] ქეთეონისა პატრონი ყუარყუარე.
2. დიდდა [„ბებერა“-ბებია] ამავე ქეთეონისა დედისიმედი.
3. მამა ქეთეონისა მეფეთ-მეფე პატრონი გ[იორგ]ი.
4. ბიძები ქეთეონისა: „პატრონი — ქაიხოსრო.
5. ბაადურ.
6. მართალიხონ.
7. იანქო.
8. [დეიდა?] ქეთეონისა გულბუდახ.

აქ დასახელებულ რვა მიცვალებულთაგან შვიდი ათაბაგთა სახლის, სახელდობრ — ყვარყვარესი (1416 — 1498) და დედისიმედის (1435 — 1489)-წევრია.

ყვარყვარე ათაბაგის სახლის წევრთა უსრულესი ნუსხა აქამდის გვეჩონდა ცნობილი „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერის“ ერთ-ერთ

¹ ლოცვების ტექსტი შემოკლებულია.

ალაპში (§ 164)¹, რომელიც დაწერილია ბაადურის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (1474 წ. ახლოს). იმ ხანებში ყვარყვარეს რიცხვზრავალ ოჯახს 21 წლის ბაადური გამოაკლდა; ყვარყვარეს სახლის დანარჩენი წევრები კი — თვით ყვარყვარე, დედისიმედი, მათი პირმშო ძე ქაიხოსრო, მისი ძმები: მზექაბუკი, იანქო, ორავაჟანდა, მანუჩარ, მართალიხონ და მათი დები(?) — რაოდენ და გულბუდახ, ცოცხალი იყვნენ.

ქეთეონის „სულთა მოსახსენებლის“ მიხედვით ხელნაწერი A: 1737-ს და მისი მოსახსენებლების დაწერის დროს ყვარყვარეს დიდი ოჯახიდან ცოცხალი ყოფილან: მზექაბუკი, ორავაჟანდა, მანუჩარ და დედოფალი რაოდენ (— არც ერთი ამ პირთაგანი ქეთეონის ხელნაწერში „დაძინებულად“ არ იხსენიება)².

როდის არის დაწერილი ქეთეონის ხელნაწერი, კერძოდ ხელნაწერში ჩართული „მოსახსენებელი“?

ქეთეონის მოსახსენებელში შეტანილია ქაიხოსრო ათაბაგის სახელი. ქაიხოსროს გარდაცვალების თარიღი ცნობილია: იგი 1500 წლის მაისის 6-ს გარდაიცვალა. მაშასადამე „მოსახსენებლები“ 1500 წელზე გვიან ყოფილა დაწერილი.

ქეთეონის მოსახსენებელში ვერ ვპოულობთ მზექაბუკის სახელს. მზექაბუკი 1515 წლის ივნისის 5-ს გარდაიცვალა. ცხადია — ქეთეონის მოსახსენებლები შედგენილია 1515 წლის ივნისის 5-ზე ადრე.

ქვემოთ ჩვენ შევძლებთ 1500 — 1515 შუა მოქცეული 14 წლის ფარგლების დავიწროებას.

ი ა ნ ქ ო ს გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ი ს თ ა რ ი ლ ი

ქეთეონის მოსახსენებელში მოხვედრილია მისი ბიძის, ყვარყვარეს ერთ-ერთი ვაჟის — იანქოს სახელი. ეს პირი „ათონის ალაპების“ ნუსხის გარდა ცნობილია აგრეთვე ორი ძველი ხელნაწერის მინაწერების ტექსტების წყალობით. ანათგან A: 85 ხელნაწერის დაზიანებულ მინაწერს თ. ჟორდანიას ასე კითხულობს:

„ქქს რ ა ვ [166+1312=1478 წ.] აქა ათაბა[გი ია]ნქო

... პა[ტრ]ონად დ[აჯ]და“³.

ასეთივე ცნობა შემოუნახავს „იკორთის ძლისპირსაც“ („აქა ათაბაგი იანქო ბატონად დაჯდა“). ამ ორი მინაწერის შესახებ თ. ჟორდანიას შენიშნავს: „ეს ცნობა სრულიად ახალია და უცხო, მაგრამ ჭეშმარიტი, რადგან ორი ძველი ხელნაწერები თანახმად ამოწმებს მასო“⁴.

¹ იხ. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით. თბ., 1901, გვ. 267—169.

² საჭიროა აღინიშნოს, რომ ქეთეონის „მოსახსენებლების“ სამი ვარიანტი მოხსენებულ ამითა გარდაცვალების თანაჴმდევრობას არ იცავს.

³ იხ. თ. ჟორდანიას. კრონიკები, II, გვ. 299.

⁴ იხ. იქვე.

თ. ჟორდანია, ამ ცნობის საფუძველზე, ფიქრობს, რომ იანქო 1478 წ. სამცხე-საათაბაგოს ხელისუფლად გამხდარა. მაგრამ ასეთი დასკვნა გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს. ფიქრობთ, რომ ამ წელს იანქოს (ბაადურის მომდევნო ძმას), ალბათ მის სრულწლოვანებასთან დაკავშირებით, მამამ — ყვარყვარე ათაბაგმა — გამოუყო საპატრონო და მისი საუფლისწულო მამულის ბატონად დასვა.

თავისთავად ცხადია, რომ 1478 წელს, ე. ი. ყვარყვარეს და მისი ორი უფროსი ვაჟის ზეობაში, იანქო ათაბაგად (=სამცხე-საათაბაგოს მფლობელად) ვერ დაჯდებოდა.

A : 85 ხელნაწერის კვინკლოსს იანქოს გარდაცვალების შესახებ ცნობაც აქვს შემონახული. აქ, რუგ ქრონიკის ვასწვრივ ვკითხულობთ:

„აქა იანქო მიიცვალა“.

ამის მიხედვით იანქო [193+1312=] 1505 წელს მომკვდარა.

იანქოს გარდაცვალების თარიღის გარკვევა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქეთეონის მოსახსენებლების II და III ვარიანტის ძირითადი ტექსტი დაწერილია 1505 წლის შემდეგ და 1515 წელზე (მზეჭაბუკის სიკვდილის წელი) ადრე.

სულთა მოსახსენებლების მერმინდელი მინაწერები

ათაბაგთა სახლის მიცვალებული წევრების ნუსხებს, რომლებზედაც საუბარი გვაქვს, ძირითად, ადრე დაწერილ ტექსტს გარდა, აქვს მერმინდელი მინაწერებიც, რომლებიც „მოსახსენებლის“ გაგრძელებას წარმოადგენენ. თავისთავად ცხადია, რომ ამ მერმინდელ მინაწერებში 1505 წელზე, ე. ი. იანქოს სიკვდილზე, გვიან გარდაცვლილთა სახელები უნდა იყოს აღნუსხული.

ეს მინაწერები სამივე ვარიანტის ტექსტის სტრიქონებს შუა და აშრებზე არის მოთავსებული.

ქეთეონ-ქრისტინეს ქმრის ვახუშტ-ყოფილი ვასილიოსის მოსახსენებელი

I ვარიანტის ტექსტში, 211 r-ზე, ყვარყვარე ათაბაგის მოსახსენებლის შემდეგ, სტრიქონს ზემოთ, მე-12 და მე-13 სტრიქონებს შუა იწყება და შემდეგ მარჯვენა აშიაზე გადადის ქეთეონ-ქრისტინეს ოჯახის წევრების მოსახსენებელი:

„და ვახუშტყოფილი ვასილიოს და ძე მათი ამუან, და მათი პატრონი ელენე, მათი დედა ეკატერინე“.

ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებიდან ვიცით, რომ ვახუშტი ქეთეონის ქმარი არის: ხოლო მოსახსენებლის ამ ჩანამატიდან ცხადია, რომ 1505 წლის შემდეგ გარდაცვლილან ქეთეონის ქმარი ვახუშტი, ვასილიოსის სახელით შემონახვნიებული (ანდერძებში იგი ყველგან ვახუშტით მოიხსენიება) და ძე მისი (აგრეთვე ქეთეონისა) ამუან.

მამა-შვილთან ერთად, აქვე იხსენიებიან: პატრონი ელენე, ვახუშტის და და „მათი“, ე. ი. ვახუშტისა და ელენეს, დედა ეკატერინე.

ვახუშტი-ყოფილი ვასილიოსის, მისი ძის ამუანისა და ვახუშტისავე დის ელენეს სახელები მოსახსენებელის II ვარიანტშიაც არის ჩამატებული. ამ შემთხვევაში მათი სახელები ყვარყვარეს მოსახსენებელზე წინ იწყება, მე-3 და მე-4 სტრიქონს შუა.

ვახუშტი-ყოფილი ვასილიოსის (მხოლოდ მისი) მოსახსენებელი მესამე-ჯერაც მეორდება; იგი მიწერილია მოსახსენებელთა მესამე ვარიანტის ტექსტის გარშემო, ზემო აშიაზე და მარჯვენა ნაპირზე (III ვარიანტს სხვა ჩანამატი არ გააჩნია).

როგორც ვხედავთ, ქეთეონის მახლობელ მიცვალებულთა ნუსხას, გარკვეული დროის განმავლობაში, ოთხი ადამიანის სახელი დამატებია. ეს პირები დახოცილან 1505 წელზე გვიან — წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია, რომ ქეთეონის ქმრისა და ვაჟის სახელი მოსახსენებლების ძირითად ტექსტში არ მოხვედრილიყო.

ისიც ნათელია, რომ ვახუშტი, ამუანი, ელენე და ეკატერინე დახოცილან 1515 წლამდე (შეჩაბუჯის სიკვდილამდე).

ქეთეონის დედის — თამარის მოსახსენებელი

მოსახსენებელის II ვარიანტში ქეთეონის ქმარ-შვილისა და მულ-დედამთილის სახელებს გარდა, სხვა ჩანამატიც გვაქვს. იგი მდებარეობს ძირითად ტექსტში მოთავსებულ ქეთეონის მამის მოსახსენებელთან; სახელდობრ იქ, სადაც ძირითად ტექსტში წერია: „და პატრონსა მამას ჩემსა მეჟესა გ[იორგ]ის“ — ზემოდან, მე-6 — 7 სტრიქონებს შუა, მარჯვენა აშიაზე გადატანით, ჩამატებულია:

„დედას ჩ[ემ]სა თამარს და ძესა მათსა
ვახტანგ-ყოფილსა ვარსიმეს“.

ამგვარად, ამ ჩანამატში იხსენიებიან: ქეთეონის დედა („დედას ჩემსა“), მოსახსენებლების სამივე ვარიანტის ძირითად ტექსტში ფიქსირებული ქეთეონის მამის გიორგი მეფის მეუღლე, სახელად თამარ და ძე მისი [და გიორგი მეფისა] ვახტანგ-ყოფილი ვარსიმე, რომლებიც მომკვდარან 1505 წლის შემდეგ, ესე იგი მოსახსენებლების ძირითადი ტექსტის სამივე ვარიანტის დაწერის შემდეგ (მაგრამ ქეთეონის სიცოცხლეში, ვინაიდან თვით ქეთეონს შეუტანიანებია მათი სახელები მოსახსენებელში: — „დედას ჩემსა თამარს“).

ყვარყვარეს ვაჟის იაკობის მოსახსენებელი

მოსახსენებლების II ვარიანტს ერთი ჩანამატი კიდევ აქვს. აქ ქაიხოსროს სახელის შემდეგ, ბააღურის მოსახსენებელის ზემოთ, მეშვიდე და მეჩვიდმეტე სტრიქონებს შუა, ჩამატებულია:

„ძმასა მ[ა]თსა იაკობს“

ამის მიხედვით იაკობი ყოფილა ქაიხოსროსა და ბააღურის ძმა, ყვარყვარეს ერთ-ერთი ვაჟთაგანი.

ამ იაკობის სახელი სხვა წყაროშიაც გვხვდება. მის მოსახსენებელს ვკითხულობთ XI საუკუნის სვინაქსარის (ე. წ. „კლარჯული სვინაქსარი“) მინაწერებში:

„სულსა სულკურთხეულისა, სახელგანთქმულისა, დიდისა ათაბაგისა პატრონისა იაკობისა შ“ნს ღ“¹.
 ბიძა ქეთეონისა, ყვარყვარე-დედისიმედის ვაჟი იაკობიც, როგორც ჩანს, 1505—1515 წწ.: მხეჭაბუჯის სიცოცხლეში გარდაცვლილა.

ქეთეონ-ყოფილი ქრისტინეს გარდაცვალების ცნობა

ყველაზე გვიანდელ ჩანაწერად უნდა ჩავთვალოთ თვით ქეთეონის მოახსენებელი. იგი დაწერილია I ვარიანტის უკანასკნელი სტრიქონის ქვეშ, 211 r-ზე. აქვე, ქვემოთ, მისი სიძის, სფირიდონის მოსახსენებელი წერია:

„პატრონის ქეთაონ ყოფილისა ქრისტინასა და მათისა სიძისა სფირიდონისა. ა[მი]ნ“.

ეს მინაწერი შესრულებულია ტექსტის ხელით; იგი ხელნაწერის გადამწერის, ქეთეონის გაზრდილის, ნაუას ძის ზებედეს დაწერილია, ძირითადი ტექსტის I ვარიანტის ვაგრძელების სახით, სხვა ჩანამატი მოსახსენებლების წიხ—იმიტომ კი არა, რომ აღრინდელია, არამედ იმიტომ, რომ, ჩანს, პატრონის ქეთეონის მოსახსენებელად გადამწერს ეს ადგილი უფრო თვალსაჩინოდ და საპატიოდ უცვნიან².

ჩვენ დავინახეთ, რომ მოსახსენებელის თითქმის ყველა ჩანაწერი ქეთეონის სახელით იწერებოდა, საფარველებელი პირადად მისი კარნახით (პირველი ბლით: „პაპი ჩემი“, „ზებერა ჩემი“, „მამა ჩემი“, „ბიძა ჩემი“, „დედა ჩემი“).

ამის გამო უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ თვითონ ქეთეონი მოსახსენებლების საძივე ვარიანტსა და მინაწერებში შეტანილ პირებზე გვიან გარდაცვლილა.

მართლაც, ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ ქეთეონი 1511 წელს ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა. ეს ცნობა დაცულია ქეთეონისავე ბრძანებით დადგენილი სხვა ხელნაწერის (A: 647—საბას ლავრის ტვიკონი) ანდერძში. აქ, 120 r-ზე, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

„... გათავდა წელითა ფრიად ცოდვილისა ჯაყელის შვილისა იაკობისითა, ციხესა შინა ოლთისასა, ბრძანებითა მეფეთ-მეფისა შვილისა პატრონისა ქეთაონ ყოფილისა ქრისტინასითა: მრავალმეა არიან წიგნი სუჟევისა³ მისისანი და ძეთა მისთა ელისბარ და იოთამისნი“.

მსგავსივე ანდერძი განმეორებულია ხელნაწერის 220 v-ზე, სადაც დაწერის დრო და ადგილიც არის აღნიშნული:

¹ ით A: 97 ხელნაწერი (გვ. 171 r).

² რისთვისაც ჩანს, რომ ზებედეს ქეთეონის სახელი მისი ქმარ-შვილის გვერდით, ცხადია; იმ ადგილს, სადაც ეს სახელები აღრქვე იყო ჩაწერილი, მოგვიანებით გარდაცვლილი ქეთეონის მოსახსენებელი ვეღარ გაიმართებოდა.

³ ტექსტში „სუჟესა“.

„დაიწერა წმიდად ესე და სულთა განმანათლებელნი [!] წიგნი ტუბიკონი ბრძანებითა მეფეთ-მეფისა გ[იორგ]ის ასულის პატრონის ქეთაონ ყოფილისა ქრისტიანისთა. მრავალმცა არიან წელნი სუფევისა მისისანი აქასა მას მსხემობასა მხეგრძელობით და მას საუკუნოსა სასუფეველსა მოგსენებითა და ძეთა მისთა ელისბარ და იოთამისნი, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

დაიწერა ქრონიკონსა ასოთხმოცდაცხრამეტსა, მონასტერსა ძელისა ჭეშმარიტისასა, ბანას“.

როგორც ვხედავთ, ანდერძი აღნიშნავს არა მარტო დაწერის თარიღს— [199+1312=] 1511 წელს, — როდესაც ქეთეონი და მისი ორი ვაჟი — ელისბარ და იოთამ — ცოცხლები ყოფილან, არამედ გვადლევს ცნობას ქეთეონის ადგილმყოფელობის შესახებ. ქრისტიანს სახელით შემონაზვნებულ ქეთეონს „მსხემობას“ უცხოვრია ოლთისს, ბანას, ძელი ჭეშმარიტის მონასტერში.

ქეთეონისა და ვახუშტის შეილთაგან აქამდის სულთა მოსახსენებელის I ვარიანტის ჩანამატში მამასთან (ვახუშტი) ერთად მიცვალეზულად მოხსენებულ ამუანს ვიცნობდით. ჯაყელიშვილის იაკობის 1511 წ. ანდერძიდან გავიგებთ, რომ ქეთეონს ჰყოლია კიდევ ორი ვაჟი: ელისბარ და იოთამი, რომელნიც 1511 წ. ცოცხალი ყოფილან.

ქეთეონ-ქრისტიანს და მის შვილებს სხვა წყაროებიც იხსენიებენ. აკადემ. ნ. მარის მიერ გამოქვეყნებული იერუსალიმის ქართული ჯვარის მონასტრის აღაპების § 17-ში ვკითხულობთ:

„მოვიდა ნაუასძე ზოსიმე კუმურდოელი. მოიტანა საქონელი მისიცა და პატრონისა მისისა ქეთაონყოფილისა ქრისტიანისა და გულქანისი. მას ჟამსა ფრანგთა გოლგოთა წაგუართულს და მანდაიქსნა: ოთხასი ფლური გამოიღო. დიდი საქმე ქნა. და ერთი კანდელი გოლგოთას და ერთი ჯუარს დაუკიდეთ სამუდამო. ვინ მოშალოს, სასუფეველისაგან [?]. პატრონსა ქრისტიანს შეუნდნეს ღმერთმან. მისთაჲ შეილთაჲ — იოთამს და გულქანს¹ შნს ღმერთმან. ზოსიმე კუმურდოელსაჲ და მისთა მიცვალეზულთა ყოველთაჲვე შეუნდნეს ღმერთმან“².

აქ მოხსენებული ნაუასძე ზოსიმე კუმურდოელი A:1737 ხელნაწერის ვადამწერის, „პატრონის ქეთეონის გაზრდილის“, ზებედე ნაუასძის ძმა უნდა იყოს. სხვაფრივ ძნელი ასახსნელი იქნებოდა ის ფაქტი, რომ ორივე ამ პირის — ზოსიმესა და ზებედეს — მამას იშვიათი სახელი ნაუა რქმევია და ორივე ამათგანი ახლო კავშირით („გაზრდილობით“ და პატრონ-ყმობით) უკავშირდება „პატრონს ქეთეონს“.

ზოსიმე კუმურდოელი ისტორიაში ცნობილი პიროვნება არის. თ. ჟორდანიას ქრონიკებში (II წიგნი) 1519 — 1529 წწ. თარიღის ქვეშ გამოქვეყნებულია კუმურდოელი მთავარ-ეპისკოპოსის ზოსიმეს ერთგულების წიგნი ქართ-

¹ როგორც ამ ტექსტიდან ვხედავთ, ქეთეონს ასულიც ჰყოლია, სახელად გულქან.

² ნ. მარის აღაპნი ჯვარის მონასტრისანი. ს. პეტერბურგი. 1914, § 17 a-b.

ლის კათალიკოსის ბასილისადმი, რომლისაგანაც ზოსიმეს კურთხევა მიუღია. ხსენებული საბუთი უთარიღოა. მისი დაახლოებითი თარიღის დასადგენად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბასილის კათალიკოსობის დასაწყისი წელი: 1517—ამ წელს იხსენიება იგი პირველად მცხეთის ერთ-ერთ სიგელში (№ 582)¹. მაშასადამე, ამ წელზე უფრო ადრე მის მიმართ საბუთი ვერ დაიწერებოდა. ეს საბუთი ვერ დაიწერებოდა აგრეთვე მზექაბუჯის ზეობაში (სიცოცხლეში). ცნობილია, რომ მზექაბუჯმა სამხრეთ საქართველოს (=მესხეთი) ეკლესია აღმოსავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს ჩამოაშორა². ამ განკერძოებას მზექაბუჯის სიკვდილის შემდეგ (1515) მისი ძმისწულის ყვარყვარეს (ქაიხოსროს ძის) ათაბაგობაში მოელო ბოლო, მის მიერ 1518 წ. გაცემული საბუთით³.

მაგრამ ზოსიმეს მიერ ქართლის კათალიკოსისაგან ხელდასხმის მიღებისა და ბასილი კათალიკოსისათვის ერთგულების პირობის წიგნის მოკემის ფაქტი არ გამორიცხავს ამავე ზოსიმეს უფრო ადრე, ჯერ კიდევ მზექაბუჯის სიცოცხლეში (1515 წელზე ადრე), კუმურდოელ ეპისკოპოსად დადგინების შესაძლებლობას, სახელდობრ, იმ ხანებში, როცა სამცხის პატრონის, მზექაბუჯის ნებით სამხრეთ-საქართველოს ეკლესია მცხეთის საკათალიკოსოსაგან ჩამოშორებული იყო. როდესაც მზექაბუჯის ძმისწულმა ყვარყვარემ ცნობილი აქტით სამხრეთ-საქართველოს ეკლესია კვლავ მცხეთის საკათალიკოსოს დაუქვემდებარა, ქართლის კათალიკოსის ხელდასხმა სამცხის განდგომილი ეკლესიის ყველა საქეთმპყრობელს უნდა მიეღო. ამის მიხედვით ზოსიმეს ხელდასხმაც 1515 წელზე მოგვიანებით შესრულებულ, სავალდებულო ოფიციალურ აქტად შეიძლება ვივარაუდოთ.

საფიქრებელია აგრეთვე, რომ ზოსიმე კუმურდოელის იერუსალიმს შორეული გამგზავრება და მეფეთ-მეფის ასულის, ქეთეონ-ქრისტინეს სულის „საცხოვნებლად“ გოლგოთის დახსნა ფრანგთაგან, ქეთეონის სიკვდილისთანავე კი არა, არამედ მომდევნო წლებში განხორციელებულიყოს.

ქეთეონის სიძე სფირილონი

A: 1737 ხელნაწერის მოსახსენებლების დანამატში ქეთეონის სახელთან ურთოდ იხსენიება მისი სიძე სფირილონი.

სამხრეთ საქართველოს ძეგლებში და ხელნაწერთა მინაწერებში პატრონი სფირილონი არაერთხელ იხსენიება. ამ სხვადასხვა დროის ძეგლებისა და მინაწერების დაპირისპირება ცხადად მოწმობს, რომ სახელი სფირილონი, ისე როგორც მრავალ სხვა „პატრონთა“ სახელები, მეორდება სამცხის ერთ-ერთი დიდი ფეოდალური სახლის მოდგმაში. ასე რომ საკითხავი ხდება: რომელ სფირილონს გულისხმობს ქეთეონის „სულთა მოსახსენებელი?“. ქეთეონ-ქრისტინესა და მისი სიძის სფირილონის გარდაცვალების ერთად აღნიშვნა ზემოთ

¹ იხ. თ. ქორდანია. კრონიკები, II, გვ. 334.

² იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. IV, თბ., 1948, გვ. 53—57.

³ თ. ქორდანია. ქრ. II, გვ. 335.

ჩვენ ამ ორი ადამიანის დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში სიკვდილის შედეგად ჩავთვალეთ. ჩვენ დავინახეთ, რომ ქეთეონი და მისი სიძე სფირიდონი ცოცხალი ყოფილან XV—XVI საუკუნის მიჯნაზე და მომკვდარან 1511—1515 წწ. შუა.

არსებობს ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია უფრო მეტად ზედმიწევნით მივუახლოვდეთ ამ ორი ადამიანის გარდაცვალების თარიღს, სფირიდონს იხსენიებს ზოსიმე ვალელის ხელით გადაწერილი, თავისი მხატვრული გაფორმებით შესანიშნავი, თარიღიანი ხელნაწერის ანდერძი:

„ღმერთო და მადლო ამა ოთხთავთაო! პატრონი სფირიდონ აცოცხლე და აღდგარძელე და ძე მათი, პატრონი იორამ ამოდ უმყოფილე... დაიწერაჲ ესე განმანათლებელი სულისა და ქორცისა ოთხთავი ქორანიკონსა ორას და ორსა“.

„ზოსიმეს ვალელსა და მისთა მიცვალებულთა შნს ღნ...“.

ამ ანდერძიდან ირკვევა, რომ პატრონი სფირიდონ ხელნაწერის დაწერის დროს, 202 ქრონიკონს, ე. ი. [202+1312=]1514 წელს ცოცხალი ყოფილა და მას ჰყოლია შვილი იორამი.

ამავე სფირიდონსა და მის ძეს—იორამს ვცნობილობთ ეგრეთ წოდებულ იკლარჯული სვინაქსარის“ (ხელნაწ. A:97) შემდეგს მოსახსენებელში:

„სულსა პატრნისა ბაენაშვილისა პტრნისა სფირიდონისა და თანამეცხედრისა მათისა პტრნისა მეფეთ მეფისა ასულისა ელენესი შნს ღნ ძესა მათსა, სახელოანისა, ღთის მოყრისა, მქნე, უძლეველისა პტრნისა იორამისა შნს ღნ...“ (104 v—105 r).

ეს მოსახსენებელი ახალ ცნობას გვაძლევს სფირიდონზე, რომელიც აქ თავის მეუღლესთან ერთად, მიცვალებულად უნდა იგულისხმებოდეს: სფირიდონის ცოლს ელენე რქმევია და იგი მეფეთ-მეფის ასული ყოფილა. თვით სფირიდონი გვარად „ბაენაშვილი“ ყოფილა [ბეენაშვილი?].

სფირიდონის ცოლის, ელენეს—მეფეთ-მეფის ასულობა ბუნებრივად გვაფიქრებინებს, რომ იგი (ელენე) მეფეთ-მეფის ასულის ქეთეონის დაჲ ყოფილა. ამგვარად, სფირიდონისა და ქრისტინეს სიძე-ცოლისდობა ადვილად ასახსნელი ხდება. ნათელია აგრეთვე, რომ ისინი ერთისა და იმავე თაობის ადამიანები არიან, ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში: 1511 წელს, ოლთის ციხეში, ბანას მონასტერში, ქეთეონის ბრძანებით იწერება ზემოთ მოხსენებული ტიბიკონი; სამიოდე წლის შემდეგ (1514), ზოსიმე ვალელის ხელით გადაწერილია ჩინებულიად მონატული ოთხთავი, სფირიდონის მომხსენებელი ანდერძით.

აქედან ცხადია, რომ ქეთეონისა და სფირიდონის სიკვდილი 1514 წელზე ადრე აღარ შეგვიძლია ვივარაუდოთ. ამ გარემოებას სულ ახლოს მივყავართ ქეთეონისა და სფირიდონის სიკვდილის თარიღთან და აი რატომ:

ჩვენ ვხედავთ, რომ ქეთეონს თავისი მახლობლების სიკვდილისთანავე შეაქვს მოსახსენებელში მათი სახელები (ქმარ-შვილისა და ქმრის ნათესავების).

ბიძის—იაკობის, დედისა და ძმის). ვიცით აგრეთვე, რომ 1515 წლის ივნისის 5-ს გარდაიცვალა ქეთეონის დედის ძმა, სამცხის ენერგიული საჭეთმპყრობელი — მზეჭაბუკი. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს ამბავი ქეთეონის სიცოცხლეში მომხდარიყო და მის დისწულს არ შეეფოს თავის მახლობელ ადამიანთა მოსახსენებელი მზეჭაბუკის სახელით.

უწყველია, ქეთეონი და სფირიდონიც მზეჭაბუკზე აღრე მომკვდარან; საფიქრებელია, 1514 წლის მიწურულში ან 1515 წლის ივნისის ხუთამდის.

ქეთეონის დედა—თამარი

ქეთეონის დედის—თამარის ვინაობის შესახებ ქეთეონის ხელნაწერი A: 1737 პირდაპირ ცნობებს არ გვაძლევს. სულთა მოსახსენებლის ჩანაბატში, რომელიც, ეტყობა, სრულიად გარკვეული მოსაზრებით არის მიწერილი ძირითადი ტექსტის იმ ადგილას, სადაც ქეთეონს ჩაუწერინებია: „და პატრონსა მამას ჩემსა მეფესა გიორგის“ — ქეთეონი მარტივად წერს: „დედას ჩემსა თამარს და ძესა მათსა-ვახტანგ ყოფილსა ვარსიშეს“.

მაგრამ, რაკი ქეთეონის სულთა მოსახსენებლის საშივე ძირითადი ვარიანტი გვამცნობს, რომ ყვარყვარე ათაბაგი ყოფილა შაშა ქეთეონისა, დედისიმედი ყოფილა მისი ბეზერა (ბებია, დიდედა), ყვარყვარე-დედისიმედის ძენი: ქაიხოსრო, ბაადური, მართალიხონ და სხვანი—ქეთეონის ბიძები ყოფილან და, ამავე დროს, ქეთეონი თავის მამად იხსენიებს არა ათაბაგის ერთ-ერთ ძეს, არამედ მეფეთ-მეფეს გიორგის, ცხადია, ქეთეონის დედა თამარი ყოფილა ყვარყვარე-დედისიმედის ასული და მათ ძეთა: ქაიხოსროს, მზეჭაბუკისა და სხვათა—დაჲ.

თამარის ათაბაგების სახლისშვილობას სრული სიცხადით გვამცნობს თამარისავე ბრძანებით 1504 წელს გადაწერილი Q: 920 ოთხთავის თავისებური სტილით დაწერილი ანდერძის შემდეგი ადგილი:

„... რომლისა ბრძანებითა აღიწერა წმიდაჲ ესე წიგნი: დიდისა, ღმრის მოყუარისა და მოწყალისა პატრონისა დედოფალთა-დედოფალისა თამარისნი მრავალმცა არიან წელნი სუფევისა მათისნი“¹.

ქვემოთ ანდერძში ამ თამარის, ამ დროს „მორკმითა და ამოდ ყოფნით“ არსებული ძმა—მზეჭაბუკი იხსენიება:

„ნებაჲ წადილთა ზედა აღსრულებითა დიდისა და ქრისტეს მოყუარისა პატრონისა ძმისა მათისა—მზეჭაბუკის მორკმითჲ და ამოდ ყოფნითა და აგრეთვე შუშნიერთა ძეთა და ძის წულთა მათთა ბედნიერებითა და დღეკეთილობითა, საუკუნო იყავნ საჯსენებელი და კურთხევაჲ მათი“².

ცოცხლებისათვის ლოცვა-კურთხევის აღვლენის შემდეგ გადამწერი თამარის მშობლებსა და ათაბაგთა სახლის სხვა მიცვალებულებსაც საუკუნო საჯსენებელს უსურვებს:

^{1, 2} იხ. Q: 920 ოთხთავი. გადაწერის ანდერძი, აქვე, „ტექსტებში“.

„აგრეთვე დიდებულთა მშობელთა მისთა: პატრონისა ყუარყუარესი და პატრონისა დედისიმედისა... ეგრეთვე... ძმათა მისთა [თამარის ძმათა] პატრონისა ქაიხოსროსი და პატრონისა ბაადურისა საუკუნო იყავნ საცხენებელი და ჯურთხევამ მათი“¹.

ამ ანდერძის მიხედვით ცხადია, რომ აქ მოხსენებული დედოფალთ-დედოფალი თამარი არის ქეთეონ-ქრისტინეს დედა, რომლის დედ-მამის შვილობა დღესავით ცხადი ხდება: იგი დიდი ყვარყვარეს (1416—1498) და დედისიმედის (1435—1489) ასულია².

1504 წელს იგი ცოცხალია³. და რაკი მისი ასულის, ქეთეონის გარდაცვალების თარიღად 1514—1515 წწ. ვვარაუდობთ, ამავე დროს ვიცით, რომ თამარმა ქეთეონი ცოცხალი დატოვა, უნდა ვიფიქროთ რომ თამარი 1504—1514 წწ. შუა მომკვდარა.

ყვარყვარეს სიძის, მეფეთ-მეფის გიორგის პრობლემა

ყვარყვარე-დედისიმედის სახლის მიცვალებულ წევრთა მოსახსენებელის სამივე ვარიანტის ძირითად ტექსტში მესამე ადგილი—ყვარყვარესა და დედისიმედის შემდეგ, ქეთეონის მამის, „მეფეთ მეფის, პატრონის გიორგის“ მოსახსენებელს უჭირავს. ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ გიორგი მეფის მოსახსენებელი ათაბაგთა სახლის მიცვალებულ წევრთა ნუსხაში მოხვედრილია ამ მეფის [გიორგის] ყვარყვარეს სიძეობისა და ქეთეონ-ქრისტინეს მამობის გამო. ვინ უნდა იყოს ეს გიორგი მეფე?

ამის ექვიმოუტანელ ახსნას „გერგეტის სამების სულთა მატთანში“ დავინახავთ, როცა ამ ძეგლის განხილვაზე გადავალთ.

აქ კი საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ქეთეონის ნუსხის სამივე ძირითადი ვარიანტის წერის დროს, რომელსაც ჩვენ ქაიხოსრო ათაბაგის გარდაცვალებისა (1500) და მისი ძმის იაკობის გარდაცვალების (1505—1514) შუა ვვარაუდობთ, ყვარყვარეს სიძე — გიორგი მეფე გარდაცვალებულად იხსენიება⁴.

საერთოდ, საკმარისი სიცხადით ჩანს, რომ ქეთეონის ნუსხებში შეტანილ არც ერთ პიროვნებას არ უცოცხლია 1515 წლის აქეთ (მზეჭაბუკის გარდაცვალების თარიღი).

¹ იხ. Q: 920 ოთხთავი. გადამწერის ანდერძი, აქვე, „ტექსტებში“

² და არა მეთექვსმეტე საუკუნის ყვარყვარესი და მისი მეუღლის ანისა თუ დარეჯანის. როგორც ამას ფიქრობს ილია აბულაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ 1941 წ. გამოქვეყნებული სტატიის პატივემზღვი რეცენზენტი. იხ. „ლიტერატურული ძიებანი“, I, თბ., 1943, გვ. 275—277, კ. კ. რეცენზია.

³ იხ. ხელნაწერი Q: 920 ოთხთავის გადამწერის ანდერძი (დართულ ტექსტებში).

⁴ მაშასადამე, ეს გიორგი მეფე ვერ ჩაითვლება გიორგი მეცხრედ, რომლის მეფობის წლები 1525—1534-ზე მოდის (იხ. „საქართველოს ისტორია“, I, 1948, გ-მა III, ჯენეალოგიური ტაბულა), როგორც ეს ზემოხსენებულ რეცენზიაში არის ნაგარაუდფვი (შდრ. „ლიტერატურული ძიებანი“. I. თბ., 1943, გვ. 275 — 277. კ. კ. რეცენზია).

III. გერმანიის სამეფოს „მატიანე მოსაქსენებელი სულთაჲ“

ძეგლის გარეგნული აღწერილობა

გერმანიის სამეფოს „მატიანე მოსაქსენებელი სულთაჲ“ სრულიად დამოუკიდებელ ხელნაწერს წარმოადგენს.

თავისი გარეგნული გაფორმებით იგი ხელნაწერი წიგნის ტიპს განეკუთვნება: მას აქვს ცალკე ფურცლები, ოდესღაც ერთ წიგნად აკინძული, წვრილი თოკითა და ტყავის თასმებით.

მას ჰქონია ხის ყდა (საფიქრებელია, ტყავადაკრული), რომლისაგანაც იღეს ერთი კიდეჩამომტვრეული შეუმოსავი სქელი ფიცარიღა დაჩრჩინილა.

ხელნაწერი ამჟამად ეტრატის არათანაბარი ზომის 20 ფურცლისაგან (40 გვერდი) შედგება. ფურცლების საშუალო ზომა: 24×18-ს უდრის. ეს 20 ფურცელი დაშლილი და ერთმანეთს მოცილებულია: ორ-ორ ფურცლად—1—8, 17—24, 29—30, 37—38 და თითო ფურცლად—9—16, 25—28, 31—36, 39—40 გვერდები. ფურცლების კიდევები, ეტყობა, თავიდანვე არათანაბარი ყოფილა; განსაკუთრებით გამოირჩევა მე-15 (29—30 გვ.), მე-17 (33—34 გვ.) და მე-20 (39—40 გვ.) ფურცლის უსწორმასწორობა.

ხელნაწერის აწინდელი მდგომარეობა (დაშლილ-დაფურცვლილობა) არ გამოირიცხავს ვარაუდს, რომ ზოგიერთი მისი ფურცელი შეიძლება დაკარგული იყოს.

პირველი ფურცლის პირველი გვერდი და უკანასკნელი ფურცლის მეორე (40) გვერდი თავდაპირველად მიკრული ყოფილა ყდის შიგნითა არეებზე.

იმ ხანებში, როდესაც თ. ჟორდანიამ გამოსაცემად ამზადებდა თავისი ქრონიკების II ტომს (1897), ხსენებული ორი გვერდი (1 და 40) დაუწერელი ყოფილა.

პირველი გვერდის მარჯვენა ნაპირზე, დასწვრივ, გვიანდელი მხედრული ხელით შესრულებული ერთი მინაწერი გვაქვს; იგი თითქმის არ იკითხება, რადგანაც ამ გვერდზე გამოსულია მეორე გვერდის მუქი მელნით ნაწერი წარწერების კვალი.

სულ სხვა მდგომარეობაშია ხელნაწერის უკანასკნელი (40) გვერდი. ეტყობა, აღრევე, ამ გვერდის ყდისაგან ჩამოცილებისთანავე, ვიღაც ცდილა მის გამოყენებას წარწერებისათვის. აქ მსხვილი ნუსხური ასოებით (მე-16—17 ს.?) მუქი მელნის მსუქანი ხაზებით წარწერილი სიტყვების ნაშთებს ვხედავთ:

გ -- რ -- ნ --- [ც] ო [ღვანი?] მისნი ----- ღმწ

ყდაზე წებოთი მინაკრავ ეტრატს არ მიუღია ეს აღრეული წარწერა. ამჟამად ამ მეორე მხარე გვერდის დიდი ნაწილი მინაწერებით არის დაფარული. აქ მოთავსებულია მომწვანო მუქი მელნით, „მთავრული“ ასოებით შესრულებული მინაწერები:

„თამარ: მე ფე: გარდაიცვალა:

ქკწნსა: ჯღგ: იანვარსა: იღ: პარას [კევი]სა“:

ამ მინაწერს უშუალოდ მისდევს მეორე, რომლის სტრიქონებიც თითქოს უფრო გადასულია. აქ იკითხება:

... ის ძე: მგოსანი: შოთა:

... [ი]ერს

ლემს და გარდაიცვალა:

ქო[რონიკონსა] ჳლთ: მაისსა:

ა: დღესა შაბათსა: შნ ღნ.

ქვემოთ, ორ სტრიქონზე აღნიშნულია ამ მინაწერების შესრულების თარიღი (სწორედ თარიღი აღარ იკითხება):

ოდეს ესე დაიწერა ქნი იყო . . .

შნ ღნ . . .

ხსენებული მინაწერების ნამდვილობა პირველ შეხედვისთანავე საექვო ჩანს. დამწერლობის მუქ მომწვანო მელანში და ვითომდა მთავრული ასოების მონახაზებში სიყალბე იგრძნობა. ტექსტში ყურადღებას იპყრობს სიტყვა „მგოსანი“ — მოშაირის (პოეტის) მნიშვნელობით ხმარებული — მგოსანი სულხან-საბას დროსაც კი (1658—1725) მომღერალისა ან მეგოდებელის (მოთქმით მოტირალის) მნიშვნელობით იხმარებოდა.

დამაეჭვებელია აგრეთვე სიტყვა „ქო[რონიკონი]: ძველ ძეგლებში იგი ქრონიკონის სახით გვხვდება.

თამარისა და შოთას გარდაცვალების თარიღების აღნიშვნა მატეანის ფურცლებზე მით უფრო მოულოდნელი და საექვოა, რომ ამ ძეგლის დანარჩენი 38 გვერდის მანძილზე XV ს. აღრინდელი ჩანაწერები არ გვაქვს.

ესეც რომ არ იყოს, მატეანის ფურცლებზე არსად არ აღინიშნება მოსახსენებლების ობიექტების დაბადება-გარდაცვალების თარიღები.

საოცარია ისიც, რომ თამარისა და შოთას გარდაცვალების თარიღები შეუძინეველი დარჩენია ისეთ ფხიზელ მკვლევარს, როგორც არის თ. ჟორდანი. ვფიქრობთ, რომ მინაწერების ამოკითხვაში დახელოვნებული ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლიდა ამ მინაწერებს; მიუხედავად იმისა — ნამდვილად ჩათვლიდა მათ იგი თუ ყალბად, მოუხსენებლად არ დატოვებდა აქ ფიქსირებულ თარიღებს, თუკი ასეთები მოიპოვებოდა გერგეტის მატეანის მე-40 გვერდზე 1897 წლის ახლო ხანებში, როდესაც ეს ძეგლი თ. ჟორდანიას ხელში იყო¹.

ისტორიკოსი მ. ჯანაშვილი ამ მინაწერების შესახებ ამბობს:

„მე-40 გვერდის მინაწერი თამარისა და რუსთაველის შესახებ საექ[ვ]ო აღმოჩნდა (ივერია, № 12 — 13. 1917 წ.) და ყალბიც (ივერია № 22, იმავე წლისა). ეს წიგნი ამავე ყოფაში იყო თვით მის „სიძველეთა სცავში“ გადმოცემის დროსაც. მისი კახეთიდან ჩამომტანმა მწერალმა დიმ. დეკანოზისშვილმა თავისავე ხელით მის შესახებ დამიწერა სიტყვები: „მე რომ გადმოგვცით წიგნი („მატიანე მოსახსენებელი სულთა“), იმაში ყოველივე წარწერა და მინა-

¹ იხ. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, 1897, გვ. 203 და სხვ.

წერები სწორეთ ისე იყო, როგორც ეხლაა, 1917 წ. მკათათვის 9-სა დღე-სა“¹.

მ. ჯანაშვილის მითითებისამებრ ჩვენ მოვიკითხეთ ბიბლიოთეკებში 1917 წლის გაზ. „ივერიის“ დასახელებული ნომრები. მაგრამ აღმოჩნდა, რომ 1917 წ. გამოდიოდა არა „ივერია“, არამედ „საქართველო“, რომლის ნომრებშიაც დამოწმებულია A:1085 ხელნაწერის მე-40 გვერდის მინაწერების სიყალბე.

გერგეტის მატეანის დამწერლობა

მატიანის ტექსტის უდიდესი და უძველესი ნაწილი ნუსხა-ხუცური და-მწერლობით არის შესრულებული. შესავალი ნაწილი და მეფეთა მოსახსენებელის უძველესი ფენა დაწერილია XV საუკუნის დასაწყისის პირველი ათეული წლების ჩინებული ხელით, უხუნარი ღია-ყავისფერი მეღნით, სათაურისა და დასაწყისის ასოების სინგურით გამოყოფით (3—4, 5, 10—11 გვ.). მსგავსივე ხელით, თუმცა ოდნავ ნაკლებ გამართულით და თითქოს უფრო მდარე მუქი ყავისფერი მეღნით არის დაწერილი ერისთავთა მოსახსენებლები (7 გვ.): (შანშე, ვახტანგ ერისთავები, შაბურის ძენი; ერისთავთ-ერისთავნი: ქუჭა, ვარამ, მეუღლით დაბადათურთ; ვახტანგ, მიქაე და დაე მისი ელენე). ადგილმდებარეობით ეს მოსახსენებლები უშუალოდ მისდევს მეფეთა მოსახსენებლების მეორე ფენას (გვ. 6) და მოთავსებულია მატეანის ძველი ტექსტის II და III ნაწილს შუა².

ამავე (ძველი) ხელის მსგავსი ხელით არის ჩაწერილი ერისთავთ-ერისთავის ნუგზარის, მისი მეუღლის დედისიმედის და მათ ძეთა — „ლომისაე და შაბურის“ მოსახსენებლები მე-18 გვერდზე.

ამას გარდა უძველესად ჩანს 1439 წელს ნუსხური ხელით დაწერილი საბუთი (13—14 გვ.).

XV—XVI სს. უნდა იყოს დაწერილი ქართლის კათალიკოსის საბუთი (გერგეტელთა მიმართ—36 გვ.).

მატიანეში, საერთოდ, უკანასკნელი ფურცლების გამოკლებით, წესად მიღებული ჩანს ნუსხური დამწერლობა. მაგრამ პირველი გვერდებიდანვე, ამ გვერდების ზემო და ქვემო აშიებზე, მხედრულ მინაწერებსაც ვხედავთ (მე-4—5 გვ. ზემო აშიაზე, მე-7 გვ. ქვემო აშიაზე). სამი სტრიქონის გამოკლებით, მხედრული ხელით არის დაწერილი მე-9 გვ. მოსახსენებლები.

მხედრული ხელით არის შესრულებული მატეანის ძირითადი ტექსტის წინ მდებარე, ოდესღაც ყდის I ფრთაზე მიკრული ფურცლის მეორე გვერდის მინაწერები: არაგვის ერისთავის გიორგის მეუღლის—ნინოს (თამაზ ორბელიანის ასულის) და მის ძეთა მოსახსენებელი და ამგროსი წილკნელის მინაწერები (10, 12 გვ.).

¹ იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი Q: 579. მოსე ჯანაშვილის მიერ შედგენილი A ფონდის № 1041 -- 1640 აღწერილობა, გვ. 34.

² ერისთავთა მოსახსენებლების შესახებ იხ. ქვემოთ.

15—16 გვერდის ტექსტები თითქმის მთლიანად ერთი და იმავე მხედრული ხელით არის დაწერილი (შავი მელნით).

არქაული მხედრულით არის ჩაწერილი მე-17 გვერდზე რატიშვილთა მოსახსენებელი. მსგავსივე არქაული მხედრულით, თუმცა სხვა ხელითა და მელნით, არის დაწერილი 18—19 გვ. აშიებზე მიწერილი მოსახსენებლები.

ცალკე აღსანიშნავია ბენა ჩოლაყაშვილის და მისი დედის მოსახსენებელი 26 გვერდზე. ამ ჩანაწერის პირველი 4 სტრიქონი დაწერილია გარკვეული ნუსხური ხელით, ასოების ჩაგდებით. აქვე, ქვემოთ, სამსტრიქონიან მინაწერში განმეორებულია იმავე ბენას მოსახსენებელი მეტად თავისებური მხედრული ხელით.

ყურადღებას იპყრობს პატრონის ბოცოს ორსტრიქონიანი კოლორიტული მხედრულით დაწერილი მოსახსენებელი (27 გვ.).

ორი სხვადასხვა ხელით (მხედრულით) არის ჩაწერილი 28 გვერდზე ქვენის ფნეველთა მოსახსენებლები.

31 გვერდიდან მოყოლებული მხედრული ხელი თანდათან უფრო და უფრო ქარბობს ნუსხურს. მატიანის უკანასკნელი (37—39) გვერდები კი მთლიანად მხედრული ხელით ნაწერი ტექსტებით არის დაფარული (ვახტანგ VI-ს ჩანაწერი 38 გვერდზე; ირაკლი II საბუთი 37 გვ.; ვახტანგ VI-ს სახლის წვერთა მოსახსენებელი 39 გვ.).

საერთოდ, გერგეტის სულთა მატიანის ფურცლებზე დამწერლობათა საკმარისად დიდ ნაირსახეობას ვხედავთ. თითოეული მათგანის მოკლე დახასიათებას მკითხველი ტექსტებთან დართულ სქოლიოებში ამოიკითხავს.

შემკულობა. გერგეტის სულთა მატიანის ტექსტის უძველესი, შესავალი ნაწილი საკმარისად საზეიმოდ იწყება: მას ამშვენებს სინგურითა და ყავისფერი მელნით შესრულებული მოხდენილი თავკაზმულობა (იხ. 3 გვ.), ერთადერთი სამკაული, რომელსაც ამ ხელნაწერში ვხედავთ.

გერგეტის სულთა მატიანის დაცულობის ადგილი

გერგეტის სულთა მატიანის ჩანაწერები მოწმობს, რომ XV საუკუნის პირველი ათეული წლებიდან მოყოლებული XVIII ს. მიწურულამდე იგი დაცული ყოფილა ხევში, გერგეტის სამების ტაძარში.

1897 წლის ახლო ხანებში მატიანე თ. ჟორდანიას ჰქონია ხელში. „ქრონიკების“ II ტომის 203 გვერდზე თ. ჟორდანიას ამბობს: „ჩვენგან პოვნილს ტყავზე 1439 წელს დაწერილს გერგეტის სამების „სულთა მატიანეში“ მოხსენებულნი არიან...“ და სხვა. არ არის ცხადი რა მნიშვნელობით უწოდებს ამ ძეგლს ისტორიკოსი მისგან „პოვნილს“: ადგილობრივ, ხევში, გერგეტის სამების ტაძარში ნახა მან ეს ძეგლი და იქვე გამოიყენა, მისთვის საინტერესო ცნობების ამოწერით, თუ თან წამოიღო? უკანასკნელი ვარაუდი უფრო ახლოს უნდა იყოს სიმართლესთან. 1897 წლის შემდეგ, როგორც ეს მ. ჯანაშვილის ხელნაწერი აღწერილობის მინაწერებიდან ჩანს, „გერგეტის სულთა მატიანე“ როგორღაც მოხვედრილა კახეთში, საიდანაც იგი დიმიტრი დე-

ქანოზიშვილს ჩამოუტანია და მ. ჯანაშვილისათვის გადაუცია¹. საქართველოს მუზეუმის ყოფილ საეკლესიო მუზეუმისეულ ფონდში იგი 1035 ნომრით არის აღნიშნული (A ფონდი).

გერგეტის მატეანის ადგილი მსგავს ძეგლთა შორის

გერგეტის სამების „მატიანე მოსახსენებელი სულთაჲ“ თავისი შინაარსით მთელ რიგ წერილობით ძეგლს ენათესავება. მსგავსი ძეგლებისათვის საერთო და დამახასიათებელია ცოცხალთა და მიცვალბულთა მოსახსენებელი სიები.

მიცვალბულთა აღრიცხვის ეს წესი ქრისტიანული რელიგიის აღმსარებელთა „სააქაო“, მიწიერი სიცოცხლის გარდა „საიქიო“, „დაუსრულებელი“ სიცოცხლის არსებობის წარმოდგენას უკავშირდება. ამავე ქრისტიანული წარმოდგენით „სულის ცხოვნებისათვის“ („საიქიოს“) ეკლესია-მონასტრებისა და მათი „კრებულის“ სასარგებლოდ სათანადო შესაწირავის გაღებით და ლოცვა-ვედრების წარმოთქმით შესაძლებელია მიცვალბულთა ცოდვილი სულის გამოხსნა ჯოჯოხეთის სატანჯველისაგან და მისთვის სასუფეველის (სამოთხის) საუკუნო ნეტარების დამკვიდრება.

აღსანიშნავია, რომ სულთა მოსახსენებელი არ იფარგლებოდა მარტო მკვდარი ადამიანების ნუსხით, არამედ ცოცხლებისთვის სიცოცხლის ხანგრძლივობის და მათი სიკვდილის შემდეგ წინასწარ „საიქიოს ცხოვნებისთვის“ სალოცვადაც წესდებოდა.

ამის თვალსაჩინო ნიმუშად გამოგვადგება თუნდაც ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერის ცნობილი აღაპები. აქ ყვარყვარე ათაბაგის 1474 წელს გარდაცვლილი ძის—ბაადურის „აღაპში“ ამ მიცვალბულთა სულის მოსახსენებელთან ერთად მისი ამ დროს ცოცხლად მყოფი მშობლებისა და ძმების (ქაიხოსრო, მზექაბუკი და სხვ.) მოსახსენებლებიც არის შეტანილი².

„მოსახსენებლების“ შემცველი ძეგლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ზოგი მათგანი ვიწრო ოჯახური წრით იფარგლება. ასეთია, მაგ., გიორგი მეფის ასულის ქეთეონ-ქრისტინეს ბრძანებით დაწერილი, ზემოთ განხილული A: 1737 ხელნაწერის „საოჯახო-სათავისო“ და ზოგჯერ, შეიძლება ითქვას—კუთხური—ნუსხები.

როგორც დავინახეთ, მიუხედავად ასეთი შეზღუდულობისა, ამ შემთხვევაში ამ ტიპის მოსახსენებლებიც, სხვა წყაროების მოშველიებით, მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს გარკვეული ეპოქის ისტორიულ პირთა წრის შედგენილობისა და მათი ცხოვრების ქრონოლოგიური ფარგლების დასადგენად.

გაცილებით მეტი სიფართოვით არიან აღნუსხული სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ადამიანები დიდი ეკლესია-მონასტრების ჩვენამდე მიღწეულ სულთა მოსახსენებლებში: მაგ., ათონის მთის ქართველთა მონასტრის 1074 წ.

¹ იხ. საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი Q: 579. მ. ჯანაშვილის ყ. საეკლესიო მუზეუმის ფონდის (A) 1041—1640 ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 34.

² იხ. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბ., 1901, გვ. 267—269. § 164.

ხელნაწერის „ალაპებში“ მოხსენებული არიან ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრივობის მოღვაწენი X—XI საუკუნიდან მოყოლებული XVI საუკუნემდე („ესე არიან ალაპნი მონასტრისა ჩუენისანი ვინაჲთგან აღშენებულ არს, ვიდრე აქამომდე“) ¹.

მასალების ფართო გაშლილობა და სიმდიდრე ახასიათებს აგრეთვე იერუსალიმის ერთ-ერთ ქართული მონასტრის „დიდი სვინაქსარის“ აშეებზე წარწერილ ალაპებს ².

სულთა მოსახსენებლების ამგვარსავე ტიპს უახლოვდება აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ აღწერილი სინის მთის ხელნაწერის — № 77 II = 54) საგალობლების ბოლოში, 195—205 ხ გვ. ღართული „მოსაქსენებელი და მატიანე პატიონისა წი“სა მონასტრისა ღის დამყარებლისა სინისაჲ, რომელ ესე აღმოკითხვის ყოლთა შაბათთა“ ³.

მსგავს ძეგლად უნდა ჩავთვალოთ აგრეთვე საქართველოს სახ. მუზეუმის A : 97 ეტრატის ხელნაწერის („კლარჯული სვინაქსარი“) მინაწერები (უმთავრესად XV—XVI სს.).

შედარებით უფრო ვიწროდ არის შემოფარგლული აკად. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული „მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში“ (პარიზი. 1939).

თავისი შინაარსითაც და გარეგნული გაფორმებითაც ვანიჩრევა დასახელებულ ძეგლთაგან „მატიანე სუანეთისა კრებისაჲ“, გამოქვეყნებული პ. ინგოროყვას მიერ ⁴. „მატიანე სუანეთისა კრებისაჲ“, როგორც ჩანს, დაკავშირებული ყოფილა გარკვეულ დროს მომხდარ აღგილობრივ საეკლესიო კრებასთან („სუანეთის კრებასთან“). ამის გამო იგი შეზღუდულია დროის ფარგლებშიაც. ამ მატიანეში რეგისტრირებული არიან სვანეთის ცალ-ცალკე ადმინისტრაციული ნაწილის, ხევისა თუ სოფლის მცხოვრებნი. ამგვარად, ეს შესანიშნავი დემოგრაფიული ძეგლი ასახავს სვანეთის მოსახლეობის („მორწმუნეთა“) შედგენილობას გარკვეულ მომენტში. იგი ფასდაუდებელი საბუთია სვანეთის ზოგადი ისტორიისათვისაც. ამასთანავე ეს არის არა მხოლოდ დემოგრაფიული ძეგლი, არამედ შინაგანი ისტორიისათვისაც მნიშვნელოვანი საბუთიც.

სვანეთის კრების მატიანე თავისი ტექნიკური გაფორმებითაც გამოირჩევა მის მონათესავე ძეგლებში: იგი დაწერილია ეტრატის ფურცელზე, რომლებიც ერთმანეთზე გადაკერებული არიან და თავის დროზე, ეტყობა, ერთ გრაგნილს წარმოადგენდნ ⁵.

¹ „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით“, თბ., 1901, გვ. 276 — 277.

² ალაპნი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა. გამოსცა ნ. მარმა. სპბ. 1914.

³ ივ. ჯავახიშვილი. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. თბ., 1947, გვ. 124, 241 — 251.

⁴ პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვეთი მეორე. ტექსტები. თბ., 1941, ნაწილი მეორე. „მატიანე სუანეთისა კრებისაჲ“ გვ. 115 — 160.

⁵ მცხეთის IX საუკუნის საბუთში საეკლესიო წიგნთა სიაში „მატიანენიც“ იხსენიებიან აქ დასახელებულია — I „მატიანენი საშინაონი და საალაპენი, ვერცხლითა მოქედლინი; ა:“ და

გერგეტის სამების „მატიანე მოსაქსენებელი სულთაჲ“, როგორც ეს მის ჯარეგულ აღწერილობაში აღვნიშნეთ, ხელნაწერი წიგნის სახით არის გაფორმებული. ამით იგი არსებითად განსხვავდება სვანეთის კრების მატიანის გრაფიკულიდან. თუმცა ამ გრაფიკულთან გერგეტის სულთა მატიანის მისი დამოუკიდებელი, სხვა ტექსტებისაგან გამოყოფით არსებულობა აახლოვებს.

გერგეტის „მატიანის“ ჩანაწერები და საბუთები თითქმის ოთხი საუკუნის მანძილზე შექმნილი მდიდარი მასალის კომპლექსს წარმოადგენს (ალექსანდრე დიდის დროიდან (1412—1442) მოყოლებული ერეკლე II-ის მეფობის უკანასკნელ ათეულ წლებამდე).

რამდენადაც ფართოდ არის გაზიდული გერგეტის მატიანის მასალა დროის ფარგლებში, იმდენადვე ფართოდ ასახავს იგი საქართველოს ზოგად პოლიტიკურ ვითარებასაც. მართალია, ძველი ძვირფას ცნობებს შეიცავს ხუჯის ისტორიისათვის, მაგრამ კუთხურ ფარგლებს დიდად შორდება და ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრივობის ზოგადი ისტორიის საყურადღებო მომენტებს აშუქებს.

განსაკუთრებული პნიშვნელობის საბუთები და ცნობები მოიპოვება „მატიანეში“ საქართველოს ისტორიის ყველაზე კრიტიკული და გადამწყვეტი პერიოდის—XV ს.—შესახებ. ხსენებული მასალა ნაწილობრივ ავსებს საქართველოს ამ პერიოდის პოლიტიკური და ეკონომიური ისტორიის ხარვეზებს, ნაწილობრივ კი სრულიად ახალ მასალას გვაძლევს ამავე პერიოდის ფეოდალური საქაროველოს შემადგენელი ნაწილების დაწესებულებათა ერთნაირობას, ამჟღავნებს ამავე პერიოდის ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრივობის შედარებითს ერთობლიობას.

მატიანეში მოხსენებულ ისტორიულ პიროვნებათა სიმრავლით გერგეტის სამების ძეგლს გამოქვეყნებულ მსგავს ძეგლთაგან მხოლოდ იერუსალიმის ქართული მონასტრის „ალაპები“ თუ გაუწყვეს კონკურენციას.

მსგავსი ძეგლების მასალისაგან განსხვავებით „გერგეტის მატიანე“ უფრო მრავალსახოვან ჩანაწერებს გვაძლევს: აქ რამდენიმე მნიშვნელოვანი საბუთიც არის შეტანილი.

გერგეტის სამების „მატიანე მოსაქსენებელი სულთაჲ“ მთლიანი სახით დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. თ. ჟორანიას „ქრონიკების“ II წიგნის სხვადასხვა ადგილას (ქრონოლოგიური წესის მიხედვით) შერჩევით არის დაბეჭდილი მოსახსენებლების გარკვეული ნაწილი და ერთი საბუთი¹.

საჭირო იყო ძეგლის მთლიანი სახით გადმოწერა და დასაბეჭდად დამზადება. არაერთგზის შემოწმების შემდეგ „მატიანის“ მთელი მასალა, უმნიშვნელო ნაწილის გარდა (რომელიც არ იკითხება), დასაბეჭდად დამზადებულია.

II „მატიანეში სათანაო. ვერცხლითა მოცუარულნი; ა:“—ეფიქრობთ, რომ აქ სულთა მოსახსენებელი „მატიანე“ უნდა იგულისხმებოდეს იხ. ნ. ბერძენიშვილი. „მცხეთის საბუთი XI საუკუნისა“, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, VI, 1931, გვ. 290.

¹ თ. ჟორანიას „ქრონიკები“, II. თბ., 1897, გვ. 2 (სქოლიო 3); 12 (სქოლიო 46) 25—26; 203, 206, 245—247, 293, 303, 321, 322, 517.

ამ რთული ძეგლის წთლიანად შესწავლა მიზნად არ დაგვისახავს — ეს მომავლის საქმეა. ჩვენი განზრახვა შემოვფარგლეთ იმ დაკვირვებებით და დასკვნებით, რომლებიც თავისთავად ჩნდებოდნენ ძეგლის აღწერისა და გადმოწერის პროცესში. ამის გამო გერგეტის მატიანის მასალის გარკვეული, საკმარისად დიდი, ნაწილი ჩვენი მიმოხილვის გარეშე დარჩა. კერძოდ, აქ სრულებით არაფერია ნათქვამი ერისთავთა მოსახსენებლებზე, რითაც ეს ძეგლი განსაკუთრებით მდიდარია. ეს მთლად შემთხვევით არ მომხდარა. სწორედ ამ მასალას დაუთმო უფრო ფართოდ ადგილი თავისი „ქრონიკების“ II წიგნში თ. ჟორდანიამ.

გერგეტის მატიანის მასალის წყალობით თ. ჟორდანიამ შეავსო ქსნის ერისთავების სია (ქრონიკები, II, გვ. 2, 12, 19, 25—26); აქედანვე შეიტანა „ქრონიკაში“ შაბურძე-ერისთავების მოსახსენებელი (ქრონიკები, II, გვ. 203); თ. ჟორდანიას დასკვნით „სულთა მატიანე“ არა თუ განგვიმარტავს—ვინ არის ეწვეი მიქაი შაბურძე, არამედ მთელ შტოსაც გვაძლევს XIV—XV საუკუნის ისტორიაში უცნობთ ერისთავთა შაბურის ძეთა“ (ქრ. გვ. 203).

თ. ჟორდანია ფართოდ იყენებს „მატიანის“ მასალას „არაგვის ერისთავთა გეაროვნობის შტოს“ (გენეალოგიური ტაბულის) შესადგენად (გვ. 531—532).

ქართული საბუთების ამ შესანიშნავ მცოდნეს—თ. ჟორდანიას—მატიანის მასალის განოყენებისას არა ერთი მოსწრებული დაკვირვება აქვს გამოთქმული. ამ დაკვირვებათა მიხედვით, სხვათა შორის, ცხადი ხდება, რომ გერგეტის სანების მატიაზე, რომელიც თვით თ. ჟორდანიაც XV ს. პირველათეულ წლებში დაწერილად მიაჩნია, გადმოწერილი უნდა იყოს (დაძველებული მატიანიდან) XIII—XIV სს. მცხოვრებ ერისთავთა მოსახსენებლები (იხ. თ. ჟ., ქრონიკები. გვ. 203, 53)¹. ამ გადმოწერილი ტექსტის ხელი, ჩვენი დაკვირვებით, იგვევა, რონლითაც „მატიანის“ შესავალი ნაწილი (გვ. 3, 4, 10, 11) და მეფეთა მოსახსენებლის ძველი ფენა (გვ. 4—5) არის დაწერილი.

გერგეტის სანების ტაძარი

გერგეტის ტაძრის „სულთა მატიანის“ ტექსტის შესახებ მსჯელობის დაწყებამდე საჭიროა სულ მოკლედ შევხვით იმ მცირე მასალას, რაც ამ ტაძრის შესახებ მოგვეპოვება.

ეს ძეგლი მდებარეობს ხევში, აწინდელი ს. ყაზბეგის პირდაპირ, თერგის მარცხენა ნაპირას.

გერგეტის სანების ტაძარი იხსენიება მცხეთის საეკლესიო მამულების თ. ჟორდანიას მიერ 1392 წლით დათარიღებულ სიგელში.

მცხეთის საეკლესიო მანულების ამ სიაში ვკითხულობთ.

„[მცხეთის ეკლესიებს ეკუთვნის=] არაგვის ჳევეს სოფელი გერგეტი. მონასტერი წმიდის სანებისა და ჟდაბნო მისის ეკლესიებით, წა ნინოს მოციმუ-

¹ თ. ჟორდანია. ქრონიკები, II, გვ. 7.

ლითა ჯუარითა, ცხოველ ვაზითა და თმანი — თვისითა სოფლებითა; არაგუზე ციხე გერგეტაული“¹.

ამავე საბუთის მეორე პირის მიხედვით სიგელის ეს ადგილი ასე იკითხება: „არაგვის თავს ჴევს—სოფელი გერგეტო, მონასტერი წინა სამებისა და უდაბნო, მისის ეკლესიებითა, ქალწულის მოცემული ნინო ქართველთა მნათის ჯუარი ცხოველი ვაზისა და თმანი, სოფელნი, აგარაკნი და ქუაბნი და დარანნი და სიმავრენი; არაგუზე—ციხე გერგეტაული“².

მცხეთის საბუთებიდან (№ 349 და № 59) ამოღებული ცნობის ეს ორი ვარიანტი შეთანხმებით მოწმობს, რომ სოფელი გერგეტი, თავისი სამების მონასტრით XIV ს. მიწურულში, და ალბათ გაცილებით უფრო ადრეც, მცხეთის მდიდარი საკათალიკოსოს მამულთა რიცხვში ითვლებოდა.

ცნობის ორივე ვარიანტის ტექსტში ყურადღებას იპყრობს, რომ მცხეთას ჰკუთვნებია არა მარტო ერთი ეკლესია, არამედ ეკლესიები, „არაგუზე ციხე გერგეტაული“, „სოფელნი, აგარაკნი და ქუაბნი და დარანნი (ჩასასაფრებელი ადგილები) და სიმავრენი“³.

მცხეთის ეს ოდესღაც ვრცელი სამფლობელო მეფერამეტე საუკუნის დასაწყისში თვალსაჩინოდ შემცირებული უნდა ყოფილიყო. ვახუშტი თავის გეოგრაფიულ ნაშრომში სოფელ გერგეტის აღწერას რამდენიმე სტრიქონს უძღვნის:

„ამის [სოფელ სტეფანწმიდის] დასავლით არს გერგეთი [!], არაგვს იქით კიდესა. ზეით ამისსა არს მყინვრის კალთასა ზედა მონასტერი სამებისა, გუნბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად, სადაც ესვენა ნინოს ჯვარი. შევნიერ ნაშენი, შევნიერს ადგილს“⁴.

ამ მოკლე აღწერილობაში ვახუშტი სამების ტაძარს კვლავ მონასტრად იხსენიებს.

ვახუშტისთან თანხმობით, ილია ჭავჭავაძეც თავის „მგზავრის წერილებში“, მოხვედის სიტყვით, გერგეტის ტაძარს იხსენიებს მონასტრად, „უწინდელთ განძთა საფარად“ და, აგრეთვე, „ერთა საბჭოდ“.

განსაკუთრებით საყურადღებო ცნობებს გვაძლევს სამების მონასტრის წარსული დიდების და ამ მონასტრის მცველ გერგეტელთა დიდი გავლენის შესახებ მთელი ზევის ცხოვრებაში—ალექსანდრე ყაზბეგი (მოჩუბარიძე).

თავის ეთნოგრაფიულ წერილებში ალ. ყაზბეგი აღნიშნავს „საყდრის გაცარცვას“ მეცხრამეტე საუკუნის 60—70 წწ. (ძვირფასი განძის გატანას) და მისი „ძველისაგან ძველი მხატვრობის შეღებვას“ (კირით შეღესვას).

¹ თ. ჟორდანიას ქრონიკები, II, გვ. 196.

² იქვე, იმავე გვერდზე, სქოლიოში.

³ თ. ჟორდანიას ქრ. II, გვ. 196.

⁴ ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 67, სტრ. 16—20.

⁵ ილ. ჭავჭავაძე. მხატვრული ნაწერები, თბ., 1937, გვ. 31.

⁶ ალ. მოჩუბარიძე. მოხევეები და მათი ცხოვრება, ვახ. „დროება“, № 156, 157, 159, 161, 164, 167, 169, 174, 177.

„აქ იყო ხოლმე თემის ყრილობა“—ამბობს ალ. ყაზბეგი,—„აქ გადასწყვეტდნენ ხოლმე თავიანთ საქმეებს, აქ გაასამართლებდნენ მომჩივნებს“. ალ. ყაზბეგის მოწმობით სამების ტაძარი XIX ს. 60—70 წლებშია ც სახელგანთქმული, დიდი სალოცავი ყოფილა, რომელიც ჩრდილოეთ-კავკასიის შორეული ადგილებიდანაც იზიდავდა მლოცველებსა და შემომწირველებს.

ყველაზე მეტად საყურადღებოა ალ. ყაზბეგის შემდეგი ცნობა:

„ამ წმ. სამების მონასტრისათვის გერგეტლებს... მთელს ხევში და თრუზოს [!] ხეობაშია ც კი კომლზიდ ყოველ წლივ თითო მათარა (ე. ი. ფუთნახევარ ანუ 12 კილოგრამ) ქერს აძლევენ“.

აწმყო დროში ხმარებული სიტყვა „აძლევენ“ მოწმობს, რომ XIX ს. 60—70 წლებშია ც კი გერგეტელებს შერჩენილი ჰქონიათ თავიანთი ოდინდელი პრივილეგიური მდგომარეობის და ეკონომიური ბატონობის ეს გარკვეული ნაწილი.

გერგეტის ტაძარი ალ. ყაზბეგს თამარ მეუის დროინდელ, ე. ი. XII—XIII ს.—ძველად მიაჩნია.

თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიკოსთა დასკვნით გერგეტის ტაძარი აგებულია XIII საუკუნის ბოლოს (ან XIV ს. დასაწყისში), საამისოდ სპეციალურად მომზადებულ ბაქანზე. ეს ტაძარი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ხევის ძეგლების არქიტექტურული წესები არ განსხვავდებიან საქართველოს ცენტრალური რაიონების არქიტექტურისათვის დამახასიათებელი წესებისაგან. ტაძარი მდიდრულად არის მოჩუქურთმებული. ამჟამად მას არ გააჩნია კედლის მხატვრობა, რომლიც ნაშთიც მხოლოდ ერთ ადგილას შეიმჩნევა¹.

გერგეტის მატიანის უძველესი ნაწილი

გერგეტის სამების „მატიანე, მოსაჯსენებელი სულთაჲ“-ს ტექსტის უძველესი ნაწილი იწყება მესამე გვერდზე, სინგურით ნახატი თავკაზმულობის ქვეშ, სინგურითავე დაწერილი სათაურით: „მატიანე მოსაჯსენებელი სულთაჲ“. სათაურს მისდევს ტექსტი, დაწერილი ჩინებული ნუსხური ხელით, აბზაცების დაცვით, სინგურით ნაწერი მთავრული ასოებით აბზაცების თავში.

ამ უძველეს ნაწილს უჭირავს მე-3—4—5, 10 გვ. მთლიანად და მეთერთმეტე გვერდის პირველი ორი სტრიქონი.

ერთი და იმავე ხელით დაწერილი ეს უძველესი ტექსტი სამი ნაწილისაგან შედგება:

I შესავალი, რომელშია ც მოკლედ გადმოცემულია პირველი ადამიანის „გაჩენის“, სამოთხიდან გაძევების და შემდეგში მისი მოღვმის მხსნელად იესო მაცხოვრის მოვლინების ბიბლიური ამბავი (3—4 გვ.).

II ნაწილი საქართველოს მეფეთა მოსახსენებლის ძველ ფენას უჭირავს.

¹ გერგეტის ტაძრის არქიტექტურის მოკლე დახასიათება გადმომცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელმა რ. ო. შველიძემ.

ეს მოსახსენებელი, რომელზედაც დაწერილებით ქვემოთ შეკრებებით, იწყება მირიან მეფის მოხსენებით („რომელმან პირველ ყოველთა მეფეთა იცნა ქრისტიანობა ღმერთი“) და თავდება დიდისა დავით აღმაშენებლის სულის მოსახსენებლით (4 — 5 გვ.).

III — დასკვნითი ნაწილი იწყება მოწოდებით: „ძმანო და მამანო! აღვიდეთ პირველსავე მიმართ სიტყუსა. ვთქვათ ყოველთა: „მეფე ჩვენი: სახელით: მრავალკამიერ ყავნ, უფალო ღმერთო, ამინ“!

აქ ცოცხალი მეფის მოხსენიების ზოგადი ფორმულა გვაქვს, რომელიც სათანადო (იმ დროს ცოცხალი) მეფის სახელით უნდა შევსებულიყო.

ასეთივე ზოგადი ხასიათი აქვს დასკვნით ნაწილში „საყდრისა ამის მოსაყვანთა“, შემომწირველთა და ერთგულად მოსამსახურეთა“ მოხსენიებას და მათთვის ლოცვა-კურთხევის აღვლენას.

ხოლო (საყდრისა ამის) ურჩთა, წინააღმდეგობთა, დაკლების, მიხვეჭის, შიტაცების და დამპრობის მდომელთ მატთანე შეჩვენებით იხსენიებს.

კრულვის ამ ფორმულით თავდება მატთანის ტექსტი.

საყურადღებოა, რომ მატთანეში იხსენიებიან „საყდრის ამის მოსაყვანი, მადიდებელი, მატთანესა შინა აღწერილინი და გარშემო დასაფლავებულნი“.

თავისთავად ცხადია, რომ გერგეტის ტაძარს XV საუკუნეზე ადრე ეყოლებოდა თავისი „მოსავნი“ და „მადიდებელი“, რომლებიც, ჩანს, საპატიოდ ყოფილან დასაფლავებული „საყდრის ამის... გარშემო“.

ეს პირები, რომელთაც ზოგადად იხსენიებს XV ს. დასაწყისის პირველ ათეულ წლებში შედგენილი მატთანის ტექსტი, როგორც ამ ტექსტიდან ირკვევა, „მატთანესა შინა აღწერილინი“ ყოფილან.

გვიჭირობთ, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს ძველი მატთანე (XV საუკუნეზე ადრინდელი), რომელშიაც ადრინდელ შემოქმედებთა სახელები იქნებოდა შეტანილი. ძველი მატთანის არსებობის ფაქტი აქ ისეთი გარკვეულობით არ არის გამოთქმული, როგორც სვანეთის კრების მატთანეში („ეს მატთანე ახლად გაგზახლებია. ძელი მატთანე... ახლოცა და დავიწყებას მიეცა დღეთა გრძელობით“). მაგრამ იგულისხმება კი.

ამ ძველი მატთანის არსებობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასტურდება ერისთავთა მოსახსენებლების იმ ძველი ფენით, რომელიც მატთანის მე-7 გვერდზე არის გადმოწერილი, მატთანის ტექსტის ხელით.

გერგეტის სამების მატთანის შესავალს, მთლიანად აღებულს, სტანდარტულობის ბეჭედი ახის: იგი ისეა დაწერილი, რომ ერთნაირი უფლებით შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ყოველი საყდრის შემომწირველთა და შემოვედრებულთა „სულების“ ასანუსხავად.

მაგრამ ამ ტექსტის გარკვეული ნაწილი საყურადღებო მასალას წარმოადგენს. ამ ნაწილში შემოწირულების სხვადასხვა სახეობა არის ჩამოთვლილი. აქ პირველ რიგში იხსენიებიან ისინი, „რომელთა საყდარსა ამას შემოწირეს ქრისტიანად, სოფლად, გლეხად, ვენავად, მიწად“.

ე. ი. ეგრეთწოდებული „უძრავი ქონების“ — ადგილ-მამულისა და მასთან დაკავშირებული „ცოცხალი ინვენტარის“ — გლეხების — შემომწირველნი. ამათ შემდეგ იხსენიებიან უფრო მომცრო, „მოდრავი“ შეწირულების გამღებნი:

„რომელთა საყდარსა ამას შემოწირეს წიგნად, ხატად, ქურჭლად, სანთლად, საკუმეველად, ოქროდ, ვეცხლად, მხეძელ, ზედაშედ“.

ამით თავდება შეწირულობის სახეობათა ჩამოთვლა მატთანში.

მეფეთა მოსახსენებელის ძველი ფენა

გერგეტის სულთა მატთანის მეფეთა მოსახსენებელის ძველი ფენა ამ ძეგლის უძველესი ნაწილის ორგანულ ნაწილს, მის გაგრძელებას წარმოადგენს. იგი დაწერილია მატთანის შესავალის ჩინებული ნუსხურით და იწყება მირიან მეფის მოსახსენებელით¹:

„რომელმან პირველ ყოველთა მეფეთა იცნა ჭეშმარიტი ღმერთი — ქრისტე-მეფე და დადვა საუძველი ქრისტიანობისა და განათლა ჭეშყანად საქართველოსა და ქადაგებითა წმიდისა ნინო მოციქულისადათ, სული დიდისა ღმთივ გვრგვონისა მეფეთ-მეფისა მირიანისი კურთხულ იყავნ უკუნისამდე“.

მირიანის მოსახსენებელს მისდევს „დედოფალთა დედოფლის ნანაძს (მირიანის მეუღლის)“ მოსახსენებელი.

მეორე რიგში იხსენიება—

„სული ყოველთა მეფეთა უწარჩინებულესისა და დიდისა ვახტანგ გორგასლისა და“, „დედოფალთა დედოფალთა ბაგენდუხტ და ელენესი“ — „და ძისა მათისა დაჩი მეფისა...“

მეოთხე მეფე, რომელსაც „მატიანე“ იხსენიებს არის ბაგრატ, რომლის გვერდით, იმავე სტრიქონზე, მოთავსებული არიან დავითი და ადარნასე:

„სული ბაგრატ, დავით და ადარნასესი კურთხეულ იყავნ უკუნისამდე“ — მეფეთა მოსახსენებელის ეს ნაწილი მთავრდება დავით აღმაშენებლის მოხსენიებით:

„სული დიდისა დავით აღმაშენებლისა კურთხეულ იყავნ უკუნისამდე“.

მეფეთა ამ ნუსხის შემდგენელს, როგორც ვხედავთ, ვერ დაუცავს ჯეროვანი სისრულე და თანამიმდევრობა. საფიქრებელია, რომ შემდგენელს ამ მხრივ თვითონვე უგრძნია თავისი სისუსტე და დავით აღმაშენებლის მომდევნო მეფეების ჩამოსათვლელად განგებ სუფთა ადგილი დაუტოვებია².

¹ შდრ. ექ. თაყაიშვილი ი. მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატთანე, პარიზი, 1939, გვ. 7.

² იხ. A : 1085 ხელნაწერის 5 გვ. — საფიქრებელია აგრეთვე, რომ ერთი და იმავე ხელით და მელნით დაწერილი მთელი ეს (ძველი) ნაწილი გერგეტის მატთანისა, მეფეთა მოსახსენებლების ძველი ფენითურთ. მთლიანად გადმოწერილი იყოს გერგეტის ტაძრის ძველი, ჩვენამდის არ მოღწეული, ნუსხიდან. ხოლო იმ ძველ ნუსხაში მეფეთა მოსახსენებელის გარკვეული ნაწილის გადასულობის გამო გადაწერს იგი დავით აღმაშენებელზე შეწყვეტოს.

ძნელი წარმოსადგენია, რომ მე 15 საუკუნის დასაწყისის ათეული წლების მწიგნობარს თამარ მეფის სახელი მაინც არ სცოდნოდა. და თუ მან კალამი დავით აღმაშენებელზე შეაჩერა, ეს ალბათ იმიტომ, რომ თამარის წინა და მის მომდევნო მეფეთა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვაში უსუსურობას გრძნობდა.

XIV — XV სს. მეფეთა მოსახსენებელი

მეფეთა მოსახსენებლების ახალი ფენა, მატიანის ფურცლებზე სხვა ხელით, უკეთ — სხვადასხვა ხელით აღნუსხული — მეთოხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეთა მეფეების სახელების შემცველი. გაცილებით უფრო საყურადღებოა.

აქ პირველ ადგილას, დავით აღმაშენებლის მოსახსენებელის ქვემოთ, დაუწერლად დატოვებულ სტრიქონებზე, ვკითხულობთ:

„სლი ბაგრატიის კხლ იყენნ უკე.
და მეულისა მთისა კხლ იყენ უკე.
და ძეთა მათთა გვისი და კოსტანტინესი
კხლ იყენ უკე“.

ეს ჩანაწერი თავისი გარეგნული სანახაობით განსაკუთრებული სიმკვეთრით განსხვავდება „მატიანის“ შესავლის დახვეწილი ხელით და ჩინებული მეღნიტე ჩანაწერი მეფეთა ნუსხის ძველი ფენის ტექსტისაგან.

ბაგრატიისა და მისი სახლობის მოსახსენებელი ჩაწერილია შავი მეღნიტე, ჭაუშართავი, მომსხო ნუსხურით (დასაწყისი ასო — სინგურით).

ბაგრატიისა და მისი შვილების — გიორგის და კონსტანტინეს სახელებს არაერთი ტიტულატურა არ ახლავს. მეფეების უტიტულოდ, მხოლოდ დასახელებით მოხსენიებას მეფეთა ნუსხის ძველ ფენაშიც ვხედავთ („სული ბაგრატი, დავით, აღარნასესი“). მაგრამ ბაგრატი მეფის მეუღლის უსახელოდ მოხსენებაში განსაკუთრებული ხალვათობა იგრძნობა. ეს ბაგრატი უეჭველად ბაგრატი V არის (1360—1393). ამას ბაგრატიის აქეთა მეფეების მოსახსენებლებიც მოწმობს.

საყურადღებოა, რომ სწორედ ამ ჩანაწერის ხელითა და მეღნიტე და პირველი ასოს სინგურით დაწერით მატიანის მე-17 გვერდზე არის შეტანილი თაყა ზევედგინის მოსახსენებელი:

„სლსა ზევედგინის ძისა ამლხორისა
თყსსა შნლნ“.

ეს ხელი მატიანეში სხვაგან არსად აღარ ჩანს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ბაგრატი [V]-ს, მისი მეუღლისა და ძეთა მოსახსენებლები ზევედგინის ძის, ამილახორის თაყას მოსახსენებლებთან ერთდროულად უნდა იყოს შეტანილი „მატიანეში“¹.

მომდევნო მეფე, რომლის მოსახსენებელსაც მატიანეში ვხედავთ, არის ალექსანდრე I, დიდი. მირიანისა, ვახტანგ გორგასალისა და დავით აღმაშენებლისა.

¹ თაყა ზევედგინის ძის, ამილახორის ეს მოსახსენებელი თ. გორდანიას, ეტყობა, გამოიჩინა ამილახორ-ზევედგინის ძეთა ვერგეტის მატიანისეულ ნუსხაში (ქრონიკები, II, გვ. 206).

ნებლის შემდეგ მხოლოდ ალექსანდრე მეფის მოსახსენებელი გამოირჩევა სამეფო ტიტულატურის სისრულით და, საერთოდ, მოხსენიების სათანადო პატივით. ალექსანდრე დიდის, მისი დედის, მეუღლისა და ძეთა თორმეტსტრიქონიანი მოსახსენებელი დაწერილია ბაგრატ V-ის და ყველა სხვა მეფეთა მოსახსენებლების ტექსტის ხელისაგან განსხვავებული ხელით, სწორი, მკაფიო ნუსხურით, შავი მელნით (აბზაცები სინგურით დაწერილი მთავრული ასოთი იწყება):

1. „სულსა მის ყოელისა აღმოსავლეთისა ვიდრე დასავლეთამდის ჯელმწიფედ ფლობით მპყრობელსა, მეფეთა შორის წარჩინებულსა“.
5. სა ალექსანდრეს შნს ღმერთმან. სულსა დედისა მათისა ნათიაცოფილსა ნინოსა შნს ღმერთმან. სულსა დედოფალთა დედოფლისა თამარისასა შნდოს ღმერთმან.
10. ძენი მათნი მშუშდობით დაიცუნეს ღმერთმან და ცოდვანი მათნი შნს ღმერთმან“.

როდის უნდა იყოს დაწერილი ალექსანდრე მეფისა და მისი სახლობის ეს ვრცელი მოსახსენებელი? — იგი ალექსანდრეს სულის შესანდობარს წარმოადგენს. ეჭვს გარეშეა, რომ მისი ჩაწერის დროს მეფე ცოცხალი აღარ ყოფილა. მაშასადამე, ჩანაწერი 1443 წლისაზე უადრესი არ შეიძლება იყოს — ცოცხლად მყოფ მეფისათვის ლოცვა-ვედრების ფორმულას აქ ვერ ვხედავთ.

საგულისხმებია აგრეთვე, რომ ალექსანდრე მეფის ძენი (მრავლობითად) მოხსენებული არიან ზოგადად და არა სახელდებით:

„ძენი მათნი მშუშდობით დაიცუნეს ღმერთმან“...

მოსახსენებლის დაწერის დროს ერთიც ამ ძეთაგანი მაინც რომ სამეფო ტახტის მპყრობელი ყოფილიყო, მისი სახელი გამოყოფით იქნებოდა შეტანილი მატიაწეში.

თუნდაც ეს გარემოება მნიშვნელოვნად არ ჩავთვალოთ, ის ფაქტი, რომ ალექსანდრე მეფის ძენი აქ ცოცხლებად იხსენიებიან, უეჭველად მოწმობს, მოსახსენებელი გიორგი VIII-ს გამეფების თარიღზე — 1446 — აღრინდელი უნდა იყოს (1443 — 1446).

ალექსანდრე მეფის სახლობის ეს მოსახსენებელი თ. ჟორდანიამ თავისი „ქრონიკების“ „1401 — 1415 წ.“ ამირეჯიბთა გვაროვნობით სიგელში შეიტანა. როგორც ცნობილია, ამ მოსახსენებლის ტექსტმა საშუალება მისცა ივანე ჯავახიშვილს საბოლოოდ დაედგინა ალექსანდრე დიდის დედის სახელი და მამის შვილობა¹.

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. მეოთხე, თბ., 1948, გვ. 24-25, თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, გვ. 208.

გიორგი მეფისა და მის თანამეცხედრეთა მოსახსენებელი

ერთსა და იმავე ხელით (ნუსხურით) და მელნით დაწერილ იმ თორმეტ სტრიქონს, რომელიც ალექსანდრე დიდისა და მისი სახლობის მოსახსენებელს შეიცავს, უშუალოდ მისდევს ალექსანდრეს ძის, გიორგი მეფის (1446—1476) ორსტრიქონიანი მოსახსენებელი, დაწერილი წინა, ალექსანდრე დიდის, მოსახსენებელის ტექსტის ხელისაგან განსხვავებული, ოდნავ უფრო წვრილი, ლამაზი ნუსხურით:

„სკლი დიდისა ღთივ გურგუნოსნისა

მეფეთა მეფის გრიგისი კსლ იყვნ“.

გიორგი მეფის ამ მოსახსენებელის ქვემოთ, უშუალოდ ამ ორსტრიქონიანი მოსახსენებელის მომდევნო სტრიქონზე, სხვა ხელით, ლამაზი, გამართული ნუსხურით, მომცრო ასოებით, ღია ყავისფერი მელნით ჩაწერილია დედოფალთა დედოფლის თამარის მოსახსენებელი:

„ათაბაგთა ასულსა, დედოფალთა დედ[ო]ფ[ა]ლსა თამარს სული კურთხეულ ბყან ამინ“.

ამ მინაწერის ქვემოთ, მომდევნო ორ სტრიქონზე, მეორე დედოფალთა დედოფლის მოსახსენებელს ეხედავთ. მისი სახელი არის ნესტარ დარეჯან. ამ ჩანაწერის ხელიც განსხვავებულია როგორც გიორგი მეფის, აგრეთვე დედოფალი თამარის მოსახსენებელის ხელისაგან. იგი დაწერილია წვრილი, ლამაზი ნუსხურით, შავ მელნით:

„სქული პატრონისა დედ[ო]ფალთა დედ[ო]ფლისა ნესტარდარეჯანისა კსლ იყან და ცოდვანი მისნი შნ ღნ“.

ვინ არის ეს ორი დედოფალი, რომელთა სახელები უშუალოდ მისდევს მეფეთ-მეფის გიორგის მოსახსენებელს?

დღეს საკმარისად სარწმუნო საბუთები გვაქვს იმისთვის, რომ „მატიანეში“ მოხსენებულ „ათაბაგთა ასულ დედოფალ თამარში“ ვიხილოთ ქეთევანქრისტინეს დედა (სხვაგანაც არაერთგზის მოხსენებული დედოფლად და გიორგი მეფის მეუღლედ), ყვარყვარე ათაბაგისა და დედისიმედის ასული, გარდაცვლილი 1511—1515 წწ. შუა.

მაგრამ ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ ერთხელ კიდევ დავუბრუნდებით.

„პატრონი დედოფალთა დედოფალი ნესტარდარეჯან“ კი არის იმავე მეფის—გიორგის თანამეცხედრე, რომელიც, როგორც ეს აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, გიორგის 1454—1456 წწ. შუა შეუერთავს¹.

გიორგი მეფეზე წყდება მეფეთა მოსახსენებლების ცოტათ თუ ბევრად სისტემატური შეტანა გერგეტის სამების მათიანეში. ეს გასაგებია. ჩვენ ვიცით, რომ გიორგი მერვის სახელს საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის საბოლოოდ დარღვევის ფაქტი უკავშირდება. XV საუკუნის 70-იანი წლებიდან

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველთა ერის ისტორია, წ. IV, 1948, გვ. 49.

სამეფოებად და სამთავროებად დაყოფილი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება განსაკუთრებით მერყევი და მღვდვარე ხდება. ამ დროიდანვე იწყება, სხვათა შორის, ის „ორიანობის“ მდგომარეობა, რომლის წყალობითაც მეფეთა თანამიმდევრული აღნუსხვაც კი გაძნელებული უნდა ყოფილიყო.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ხევის კავშირი ქართლის ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმდევრო პერიოდშიაც არ გაწყვეტილა. ამ გარემოების წყალობით „გერგეტის მატიანე“ XV საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს აფორიაქებული პოლიტიკური ვითარებისათვის დამახასიათებელი, ისტორიაში სრულიად უცნობი ეპიზოდების გაშუქების საშუალებას გვაძლევს.

ვახტანგ გიორგის ძე, ქართლის უცნობი მეფე (1484)

ჯერ კიდევ თ. ჟორდანიამ, რომლის ხელშიაც პირველად გაიარა გერგეტის მატიანემ ამ ნახევარი საუკუნის წინ (1896—97), მიაქცია ყურადღება 30-ე გვერდზე მოთავსებულ ცნობას:

„აქა ძე გ[იორგისა] მეფეთ მეფისაა ვახტანგ

მეფედ იქმნა, შეწვენითა წისა სამე-

ბისათა. ქრონიკონი იყო რ^აი^აზ:

დღეგრძელობით და კურთხეულ ამყოფე,

წმიდაო სამებაო, ამიერ და უკუნისამდე. ამინ.

სოფელი შემოგწირა ქუაბი. ვინცა გამოგწიროს... (აქ კრულვის ჩვეულებრივი ფორმულა არის დართული)“.

მატიანის ამ ცნობის შესახებ თ. ჟორდანიას შენიშნავს: „ეს წარწერა მეტად უცხო და ახალს ცნობებს იძლევა, ძნელ გასარკვევს და გამოსაცნობს. ქართლის ცხოვრებაში 1484 წელს ვახტანგი სრულიად არა სჩანს მეფედ და არც ის არის ცნობილი, ვითომ გიორგი მეფეს ყოლოდეს შვილი ვახტანგი. ყველა სიგელ-გუჯრებში ცნობილია მისი შვილი ალექსანდრე და სხვანი არა. ვახტანგ IV, ალექსანდრეს ძე, მოკვდა 1447 წ. და მის შემდეგ ქართლ-კახეთში ამ სახელწოდების მეფე არ იჯდა 1658 წლამდე-ო“.

თ. ჟორდანიას დაასკვნის: „ჩვენის აზრით ჩვენს საბუთში მოხსენებული ვახტანგ უნდა იყოს ის ვახტანგ, რომელიც მოხსენებულია „შედევში ქართლის ცხოვრებისა“ (ქ—ცხ. II, 259) და რომელიც უარყო ბროსსემ (Annal p. 260): აი რა სწერია ამ „შედევში“: „მიიცვალა ძე მეფისა ალექსანდრესი, მეფე გიორგი კახთა (1477 წ.) და დაჯდა მის წილ ძე მისი ვახტანგ“. სწორედ ეს ბროსსესაგან უარყოფილი ვახტანგ გამეფებულა ქართლში ანუ არაგვის ხეობაში მაინც 1484 წ., და თუ ეს ცნობა ჩვენს მატიანეში არ იპოვება, ეს ახალი და ცხადი საბუთია მატიანის ნაკლულეგანებათა.—ვახტანგის პაპა ყოფილა ალექსანდრე, რომელიც ქ. ცხბაში არ სჩანს და ჩვენ კი ზემო აღვნიშნეთ“¹.

ამ სტრიქონების დაწერიდან (1896—97) 55 წლის თავზე ვახტანგ გიორგის ძის პრობლემის საბოლოოდ გასარკვევად საკმაო მასალა გვაქვს.

¹ იხ. თ. ჟორდანიას. ქრონიკები, II, გვ. 303.

ჩვენ ვიცით, რომ მეფეთ-მეფის გიორგის ასული ქეთეონ-ქრისტიანე თავისი მახლობლების „სულთა მოსახსენებელში“ თავისი დედის, თამარის, ჯვერდით თავისი ძმის (ყვარყვარე ათაბაგის ასულის თამარისა და გიორგი მეფის ძის) სახელსაც იხსენიებს.

„დედა ჩემსა თამარს და ძესა მათსა ვახტანგ ყოფილსა ვარსიმიც [შეუნდვნეს ღმერთმან]“ — ვკითხულობთ აქ¹.

ამ მოსახსენებელის წყალობით ქართლის უცნობი მეფის ვახტანგის ვინაობა და დედმამიშვილობა საეცებით გარკვეულია. 1484 წელს ქართლის ტახტზე ასული ვახტანგი არის ძე გიორგი VIII (1442 — 1476) და ყვარყვარე ათაბაგის ასულის დედოფალის თამარისა, რომლის სახელი „გერგეტის მატიანეში“ გიორგის მეფის მოსახსენებელს მისდევს.

გიორგი მეფის ძის — ვახტანგის შემდეგ მატიანეში ქართლის მხოლოდ ერთი მეფის კოსტანტინეს (1479 — 1505) და მისი მეუღლის მოსახსენებელი გვაქვს:

„სული ღთვ გურგნოსნის მეფეთ-მეფისა
კოსტანტინესი კურთხეულ იყნეს უკუნისამდე.
სული დედოფალთა დედოფლისა თამარის
კურთხეულ იყნეს უკუნისამდე“ (გვ. 28).

მეფე-დედოფლის ეს მოსახსენებელი ჩაწერილია ერთი და იმავე მელნით და ერთი — საშუალო ზომის ნუსხა-ხუცური ხელით.

ამ მოსახსენებელის შესახებ თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტ. გვ. 293 შენიშნავს: „ეს თამარი, (ე. ი. კოსტანტინე მეფის მეუღლე — ქ. შ.) ყოფილა ათაბაგის ქალი (აღბუღას დაჲ? თუ ყვარყვარე III-ს ქალი?), როგორც ჩანს იმავე მატიანესაგან-ო“. და მიუთითებს მატიანის შემდეგ მოსახსენებელს: „ათაბაგთა ასულსა დედოფალთა-დედოფლისა თამარის სული კურთხეულ იყავნ“, — რომელიც, როგორც ზემოთ გავარკვიეთ, გიორგი მეფის მეუღლის მოსახსენებელია და არა კოსტანტინეს მეუღლისა.

თ. ჟორდანიას ეს მტკიცება სრულიად უსაფუძვლოა. მატიანის 38 გვერდის მანძილზე მოთავსებულ ყველა მოსახსენებელში, გამოუკლებლივ, ერთისა და იმავე სახლის წევრები ერთად არიან ჩაწერილი. წესად მიღებულია, რომ ქმრის მოსახსენებელს უშუალოდ მისდევს ცოლის მოსახსენებელი. განსაკუთრებით მკაცრად იცავენ ამ წესს მეფე-დედოფლის მოხსენიებისას. აქ მეფის სახელს პირდაპირ მისდევს დედოფლის სახელი; უფრო ხშირად მათი ცოლ-ქმრული ურთიერთობის აღუნიშნავად (გამონაკლისის სახით ალექსანდრე დიდის შემდეგ მატიანეში მისი დედის, ნათია-ყოფილის ნინოს მოსახსენებელს ვხედავთ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მუდამ აღინიშნება — „სულსა დედისა მათისა“ და სხვ.).

¹ იხ. მეფეთ-მეფის ქეთეონის მოსახსენებელი სულთა: A: 1737 ხელნაწერის 212-რ ის 7—8 სტრიქონის შუა, გიორგი მეფის სახელს ქვემოთ ჩამატებული: „დედასა ჩემსა თამარს და ძესა მათსა ვახტანგ-ყოფილსა ვარსიმეს“.

გარდა ამისა, გაუგებარია, რა ვარაუდით უნდა გვეძებნა მატეანის მე-6 გვერდზე ჩაწერილ მასალაში კოსტანტინე მეფის 28-ე გვერდზე ჩაწერილი მოსახსენებლის დამატება, კოსტანტინეს მეუღლის, თამარ დედოფლის მამიშვილეობის შესახებ ცნობის სახით!

ეს გაუგებრობა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ თ. ჟორდანიას არ ჰქონია ხელთ „ათაბაგთა ასულის დედოფალთა-დედოფლის გიორგი მეფის მეუღლის“ შესახებ მასალები, რომლებსაც ჩვენ ზემოთ გავეცანით.

ყვარყვარე ათაბაგის სახლის წევრთა და მახლობელთა მოსახსენებელი

მატეანის 24-ე გვერდი თითქმის მთლიანად ყვარყვარე ათაბაგის (1416—1498) სახლის წევრთა და მათთან მჭიდრო ნათესაეურ კავშირში მყოფი პირების ჩინებული ნუსხურით დაწერილი მოსახსენებლებით არის დაფარული: აქ (ქარაგმების გახსნით) ვკითხულობთ:

„სული ათაბაგთა [ათ]ბაკისა[!] ყუარყუარესი
კურთხეულ იყავნ უკე. ან ო. მისსა მეუღლესა დედისიმედსა
შნს ღნ. ან.

სული ბატონისა ქეიხუასროსი კურთხეულ იყავნ.

სულსა ვახუშტ ყოფილისა ვასილ-

ოსისა შნს ღნ.

და მათსა მეცხედრესა ქეთეონ ყოფილ-

სა ქრისტინეს შნს ღნ.

და ძესა მათსა ამოანს შნს ღნ.

და მათსა დასა, ბატრონსა ელენეს შნს ღნ.

სფირიდონს შნს ღნ.

მამასა მათსა მამისასა შნს ღნ.

და დედასა მათსა დედისიმედსა შნს ღნ.

მესტუმრესა აბესალამს შნს ღნ.

ერისთავს ღუნისასა შნს ღნ“.

თუმცა ჩანაწერები ყვარყვარე-დედისიმედის მოსახსენებელით იწყება, მაგრამ ყვარყვარეს სახლის „მკვიდრ“ წევრთაგან აქ მხოლოდ სამი პიროვნება იხსენიება (ყვარყვარე, დედისიმედი, ქაიხოსრო). 1515 წელს გარდაცვლილი მშეკაბუკის მოუხსენებლობა გვაფიქრებინებს, რომ ჩანაწერი 1515 წლის ივნისის 5-დე უნდა იყოს შესრულებული.

სამაგიეროდ ვახუშტ ყოფილი ვასილიოსის სახლის მიცვალებული წევრები საკმარისი სისრულით არის წარმოდგენილი. განსაკუთრებით საყურადღებოა ქეთეონის სიძის სფირიდონის (ბენეაშვილის) დედ-მამის სახელების („მამისა“ და „დედისიმედი“) მოხსენიება, რაც სხვა წყაროებში არ შეგვხვდრია.

მესხეთის დიდებულთა ამ მოსახსენებელში იმავე ხელითა და მელნით ერისთავის ღუნისას სახელიც არის ჩაწერილი. ხომ არ არის ეს ღუნია ერისთავი მოყვრობა-ნათესაობით დაკავშირებული სამცხის არისტოკრატისთან?

მატიანეში მოხვედრილ ცნობათა ჯგუფში გარკვევით იგონობა დიდ კავშირი სამცხის მმართველ წრესა და ხევ-არაგვის ერისთავთა შორის.

ჯერ კიდევ მატიანის მე-4 გვერდზე, მატიანის ტექსტის ძირითადი ნაწილის აწიებზე, ვკითხულობთ კალიგრაფიული ხელით დაწერილს ანჩელ მთავარეპისკოპოსისა და თორმეტ უდაბნოთა არქიმანდრიტის იოაკიმე ბარამისძის მოსახსენებელს. მატიანის სხვა გვერდებზედაც მრავლად ვხედავთ სამხრეთ საქართველოს XV—XVI სს. წარჩინებულ პირთა სახელებს. აღარაფერს ვიტყვით გიორგი მეფის მეუღლის, ყვარყვარეს ასულის თაზარის ვინაობისა და მისი ძის—ვახტანგის ქართლის ტახტზე დაჯდომის (1484) ფიქსირების შესახებ. საგულისხმეოა, რომ მატიანეში ყვარყვარეს მიერ ვერაგულად „გამაწყვერებულის“, „ტრაპიზონელი ბერძენის“ სიმონის მოსახსენებელიც კი მოხვედრილა (30 გვ.). ეს მოსახსენებელი, ეტყობა, „პატრონისა და სახელგანთქმულის დიდისა უუარყუარეს მესტუმრესა და ამირათ-ამირას“—ნოშრევანს შეუტანია, ვინაიდან აქვე, ქვემო სტრიქონებში, იმავე ხელით და მელნით ნოშრევანის სახელი და ზვიადი ტიტულატურა არის ჩაწერილი.

გერგეტის მატიანეში მოხსენებულ პირთა ერთი ჯგუფი ნ. მარის მიერ გადმოცემულს იერუსალიმის ჯვარის მონასტრისა და A: 97 ხელნაწერის (საქართვე. მუზ.) აღაპებშიაც გვხვდება. ზედმეტად არ უნდა ჩაითვალოს ასეთი „შეხვედრის“ შემჩნეულ შემთხვევათა აღნუსხვა:

გერგეტის მატიანე	იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპები	საქ. მუზ. A: 97 ხელნაწერის მინაწერები:
1. ამილახორი თაყა (17,16)	1. ამილახორის თაყას ქალი (№ 213)	2. „პატრონის ვახუშტის შვილი ამიან“. 119 v.
2. ამიან, ძე ვახუშტ ყოფილი ვასილიოსისა და ქეთონ ყოფილის ქრისტიანისი.	3. „სულსა ანძაველსა ზურაბს შინს ღნ“ (XIV)	4. „სულს... ზურსიძესა ქუმსს და მისსა მემცხედრესა ელგანდის და მათ ძეს ვარნეთს...“ (42 v).
3. ანძაველის ასული გულქან, შალიკასშვილის ქიამაროზის მეუღლე და ანძაველის შვილი პატრონი ზორაბ.	5. ნუგზარის შვილი შანშა ერისთავი (139 №)	6. შეიძლება ეს იყოს იგივე „პატრონი ფარეზუზ“, რომელიც სვინაქსრის მინაწერებში თავად ირიცხვად იხსენიება.
4. ელგანდი ყოფილი ეკატერინე, მეუღლე პატრონი ხორციისა.		
5. ერისთავი ნუგზარ (არა ერთავის) 8, 3; 8, 17; 18, 3; 32, 6.		
6. პატრონი ფარეზუზ (19,8)		

ალარ შეფუძნებით ყვარყვარე ათაბაგის სახლის წევრების მოსახსენებლების შეხვედრის სხვა შემთხვევების ძებნას ჯვარის მონასტრისა და „კლარჯული სვინაქსრის“ (A:97) ალაპებში. ეს შორს წაგვიყვანდა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენი ყურადღება მიიპყრო „გერგეტის მათიანის“ მე-8 გვერდის 12—15 სტრიქონებში ჩაწერილმა მოსახსენებელმა:

„სულსა უჯარმელის ძისა თაყიაღინისა შნს ღნ.

სულსა მათისა მეუღლისა ვახუშტის ასულსა

ნესტანჯარს...“

ძესა მათსა როინს შნს ღნ (8,12 — 15)“.

ეს სტრიქონები ჩაწერილია ერისთავ-შაბურის ძეთა მოსახსენებელის ნუსხაში; სახელდობრ, ერისთავ-შაბურის ძეთა რძლის, მეფის ასულის მარია მის მოსახსენებელის ქვემოთ.

ამგვარად, „გერგეტის მათიანის“ როინ არის ძე თაყიაღინ უჯარმელისა და ვახუშტის ასულის ნესტანჯარისა.

არ შეიძლება არ დაეუპიროსპიროთ მათიანის ეს მოსახსენებელი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის შემდეგ ალაპს:

„... მე... ყოველთა მონაზონთა უნარჩევსმან თმოგველ-უჯარმელთა ასულმან, მამქან ყოველმან მარინე ჭელვყავ და აღვაშენე ჯ[უარ]ი-პატიოსნისა გალავნისა ბურჯი სამამოსკენ და გამოვიღე სამოცი ფლური ჩნისა ცოდვილისა სულსა საცსრად. ჯრო პატიოსანო! შეიწყალე სული ფანასკერტელისა თაყასი და მისისა მეუღლისა მარინესი და მისისა ძმისა როინისა და მისთა დედა-მამათა. ამინ“.

ხომ არ არის ეს როინ იგივე როინ, ძე თაყიაღინ უჯარმელის ძისა და ვახუშტის ასულის ნესტანჯარისა?

ხომ არ არის თაყიაღინის მეუღლე ნესტანჯარ იმ ვახუშტის ასული, რომელსაც ჩვენ ქეთეონ-ქრისტინეს ქმრობით ვიცნობთ?

მსგავსი „კითხვები“ არაერთხელ წამოიჭრება გერგეტის მათიანის პიროვნებათა და სხვა მსგავსი წყაროების მოსახსენებლების პიროვნებათა დაპირისპირების დროს.

ამის მიხედვით ცხადია, რომ გერგეტის ძეგლი ამჟღავნებს საკმარისად მჭიდრო კავშირის ქსელის არსებობას ხევისა და საათაბაგო-სამხრეთ-საქართველოს ადამიანებს შორის. მარტო XV—XVI სს. მასალების საფუძველზე ძნელია გარკვევა საუკუნეთა რა სიღრმიდან მომდინარეობს ეს კავშირი. ჩვენთვის იგი მით არის საგულისხმიერო, რომ საქართველოს ამ ორი ერთმანეთს საკმარისად დაშორებული მხარის ადამიანთა სიახლოვე, შემონახული „დარღვეულ“ XV საუკუნეშიც, XV საუკუნემდელი საქართველოს მჭიდრო ისტორიული კავშირისა და ერთიანობის ერთ-ერთ ცოცხალ მოწმობას წარმოადგენს.

გიორგი შერვა, მისი მეუღლე—ათაბაგთა ასული თამარ, მათი ძე ვახტანგ

ამ სამი ისტორიული პიროვნებისა და მათი ურთიერთდაშოკიდებულების გარკვევისათვის, როგორც ზემოთ დავინახეთ, საკმარისად საფუძვლიანი

მასალა მოიპოვება. მაგრამ ჩნობი რამ მაინც ჩრდილის ქვეშ რჩება და მეტი სიცხადით წარმოჩენას მოითხოვს.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე წიგნში სრულის სიცხადით გარკვეულია, რომ გიორგი მეფის პირველი მეუღლე თაბაჩა 1460 წელზე ადრე გარდაცვლილა¹. ვიცით აგრეთვე, რომ გიორგი მეფეს თავის მეორე ცოლის—ნესტანდარეჯანისაგან—ჰყავდა შვილი ალექსანდრე², შემდეგში კახთა მეფე (1476—1511), ვიცით, რომ ალექსანდრე ყოფილა გიორგი მეფის „პირმშო ძე“, რასაც ჯავახიშვილებსადმი მიცემული 1463 წლის სიგელი მოწმობს („... ჩუენ, მეფეთა მეფემან გიორგი და ძემან ჩუენმან პირმშომან მეფემან ალექსანდრე...“)³. გიორგი მეფის მეორე თანამეცხედრეს, ნესტანდარეჯანს — თავისი გვირგვინოსანი მეუღლის სიკვდილის (1476 წ.) შემდეგაც კარგა ხანს უცოცხლია. იგი 1503 წელსაც ცოცხალი ყოფილა⁴.

ამ ცნობილი და შეურყეველი ფაქტების გვერდით ამჟამად მოგვეპოვება მთელი ჯგუფი მნიშვნელოვანი საბუთები, რომელთა მიხედვითაც გიორგი მეფის პოლიტიკური და ოჯახური ცხოვრების სხვა, დღემდე უცნობი — ფურცლები იშლება.

როდინდელია ეს ამბები? ამ ამბების დასაბამი იმ წყვილიდით მოცულ პერიოდში უნდა ვეძიოთ, რომელიც ყვარყვარე ათაბაგის მიერ გიორგი მეფის შეპყრობით იწყება.

გიორგი მეფის ბრძოლა ყვარყვარე ათაბაგთან, საქართველოს მეფის დატყვევებით დამთავრებული, XV საუკუნის ფარგლებში პოლიტიკური ერთიანობისათვის წარმოებულ განწირულ ბრძოლათა უკანასკნელი ეტაპი იყო. ფეოდალური დაქსაქსულობის და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გართულების პირობებში სახელმწიფოებრივი მთლიანობის იდეასასტიკი დამარცხება იცემა. ამ დამარცხებას წინ ხანგრძლივი შინაური ბრძოლები და ცენტრალური ხელისუფლების თანდათანობითი დასუსტება უძღოდა. გარეგნულად ბრძოლის ბედი, როგორც ვიცით, ყვარყვარეს ლალატმა გადასწყვიტა⁵.

ყვარყვარესა და გიორგი მეფის ბრძოლა, რომლის შესახებ ქრონიკები ლაკონურად გვამცნობენ: „გიორგი მეფე დაიჭირა ტყუშდ ყუარყუარემ“ — საბუთების მიხედვით ფართო მასშტაბისა და შესაბამის უღმობელობის უნდა ყოფილიყო. ეს ბრძოლა რომ სამცხისა და ქართლის ფარგლებში არ დატეულა, ნათლად ჩანს ზევდგინიძეთა საჩივრის წიგნიდან; იგი იმერეთის ტერიტორი-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, თბ., 1948, გვ. 48—49.

² იქვე.

³ ი. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტ. II, ტფ., 1909, გვ. 19, საბ. § 12.

⁴ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. IV, თბ., 1948, გვ. 132.

⁵ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, I, თბ., 1948, გვ. 294.

⁶ თ. ყორღანიძე. ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 284.

აზნაძე გადასულა¹. ათაბაგის ერთგული კაცები გიორგი მეფის შეპყრობის შემდეგ თბილისში შემოჭრილან და დაურბევიათ იგი. ცნობა ამ დარბევის შესახებ შემოუნახავს S: 1245 ხელნაწერის აშიაზე მიწერილ შეწირულების წიგნს. აქ ვკითხულობთ:

„... მას უამსა, ოდეს გიორგი მეფე ჯელთა დავიპყართ თრიალეთს და ტფილის ქალაქს ჩაუხედით, მაშინ ვიქმევე... ზარი ესე პატრონმან შალვამან და პატრონმან ვადამან და შემოვსწირე საყდარსა აღისა მთავარმოწამისა გიორგისასა-ო“.

ამ სასტიკი, გამანადგურებელი და დამამტირებელი მარცხის შემდეგ გიორგი მეფეს, როგორც ეს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს აქვს გარკვეული, ათ წელიწადს უცოცხლია². სად ცხოვრობდა გიორგი ამ ათეული წლის განმავლობაში? ივ. ჯავახიშვილმა პირველად ვარაუდის სახით სთქვა³, ხოლო შემდეგში საბოლოოდ და გადაჭრით დაასკვნა, რომ ყვარყვარე ათაბაგმა „გიორგი მეფე ტყვეობიდან გამოუშვა“ და რომ „განთავისუფლებულმა გიორგი მეფემ თავისი ხელისუფლების დასაბრუნებლად ქართლში ბრძოლა დაიწყო... მაგრამ წააგო... და კახეთში გადავიდა“⁴.

რამდენი ხანი დაჰყო გიორგიმ ათაბაგის ტყვეობაში, მანც არ არის გარკვეული. არც ის ვიცით როგორ და რა პირობით შეუთანხმდა ცბიერი ათაბაგი მისგან ამდენად დამცირებულ მეფეს.

ახლად მოპოვებული მასალები გიორგი მეფისა და ყვარყვარე-დედისიმედის ასულის თამარის შეუღლების სრულიად მოულოდნელი, უცნაური ფაქტის წინაშე გვაყენებენ. მაგრამ ეს, ერთი შეხედვით, რომანიული და რომანტიული ეპიზოდი ნამდვილად ყვარყვარე ათაბაგის ახალი, მოხერხებული „სვლის“ შედეგი უნდა ყოფილიყო. იმ ამბების შემდეგ, რაც ყვარყვარემ გიორგი მეფეს დააწია, ურთიერთდანდობის შესაძლებლობას მხოლოდ ასეთი დამოკვრება თუ იძლეოდა. გიორგი მეფის დამარცხების წყალობით შექმნილმა, ახალმა, ყვარყვარესათვის არახელსაყრელმა, პოლიტიკურმა სიტუაციამ აიძულა ათაბაგი ასეთი გამოსავალი მოეძებნა.

ქეთეონის „მოსახსენებლებისა“, ნაწილობრივ A: 97-სვინაქსარის მინაწერებისა და სხვ. წყაროების მიხედვით, გიორგი მეფეს თამარისაგან ვაჟი ვახტანგ (ვარსიმეს სახელით შემონაზენებული) და ორი ასული: ვახუშტის მეუღლე—ქეთეონი და სფირიდონის მეუღლე—ელენე ჰყოლია.

გიორგი მეფისა და თამარის შეუღლება 1466 წლის ახლო პერიოდშივე უნდა ვივარაუდოთ. მაგრამ გაურკვეველი რჩება—სად ცხოვრობდა ახლად დაქორწინებული მეფე 1466 წ. მარცხის მომდევნო პერიოდში? სად შეეძინა მას თამარისაგან ეს სამი შვილი, რომელთა შეძენაც 3-წლის ვადას მინც მოით-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 90—91.

² იქვე, გვ. 94—95.

³ იქვე, გვ. 95.

⁴ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1948, გვ. 294.

ზოგს? თან წაიყვანა გიორგიმ ეს მეორე წყება ცოლშვილი კახეთის ტახტზე დამკვიდრების შემდეგ, თუ საათაბაგოში დატოვა?

30—35 წლის შემდეგ ამ ამბების დასაწყისიდან (1466—67წწ.?) გიორგი მეფის მეუღლეს, „დედოფალთ-დედოფალს თამარს“ სამცხეში, ბანას, თავისი ძმის, მზეჭაბუკის სამფლობელოში ვხედავთ. ორივე მისი ასული სამცხეშივე არიან გათხოვილი. მეფის ასული ქეთეონის ორიენტაცია სავსებით დედულეთისკენ არის მიმართული: „მოსახსენებლების“ სამივე ვარიანტში მამის მხრივ ქეთეონი მხოლოდ მამას—გიორგი მეფეს—იხსენიებს, იმ დროს, როდესაც თავისი პაპის (დედის მხრით) სახლის მიცვალებულთ უკლებლივ აღნუსხავს. სამხრეთ საქართველოში (მესხეთში) გაუტარებია, როგორც ჩანს, თავისი ცხოვრების გარკვეული წლები გიორგი მეფისა და თამარის ვაჟს ვახტანგ-ვარსიმეს და მის ცოლ-შვილს, რომლებსაც მესხეთის რამდენიმე ძეგლი იხსენიებს¹.

გიორგი მეფის მეუღლეს, ათაბაგთა ასულს თამარს მოგვიანებით, მისი ცხოვრების ბოლო წლებში, ვეცნობით. იგი ჯერ კიდევ ცოცხალია 1504 წელს, როდესაც მისი ბრძანებით ბანას ეტრატის ოთხთავი იწერება. მაგრამ 1504 წლის შემდეგ მას, ეტყობა, დიდხანს აღარ უცოცხლია, ვინაიდან თავის ვაჟთან—1484 წელს ქართლის ტახტზე დასმულ ვახტანგთან, ერთად 1504—1514 წლებში გარდაცვლილად იხსენიება.

ყვარყვარე ათაბაგის ამ შვილიშვილის ქართლის ტახტზე დასმა 1484 წ. მეტად დამახასიათებელია მისი პაპის—ყვარყვარეს პოლიტიკისათვის. ექვს ჯარეშეა, რომ გიორგი მეფის ამ უიღბლო შვილს ქართლის ტახტი პაპის, ყვარყვარეს დახმარების გარეშე არ დაუპყრია.

მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ 1483 წელს („თვესა აგვისტოსა, იგ“-13) ყვარყვარე ქართლის მეფეს—კონსტანტინეს (დიმიტრის ძეს) შეება და დაამარცხა კიდევაც („ყუარყუარეს გაემარჯვა“)².

ვახტანგ გიორგის ძის ქართლის ტახტზე გამოჩენა 1484 წ. ათაბაგის 1483 წ. აგვისტოს გამარჯვების პირდაპირ შედეგს უნდა წარმოადგენდეს. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „არადეთის ბრძოლამ [1483] სრულის სიცხადით გამოარკვია კონსტანტინე მეფის სისუსტე და ამით, რასაკვირველია, მისმა მეტოქე-მოწინააღმდეგებმა მაშინვე ისარგებლეს“³. ერთ ამ მეტოქეთაგანად იმერეთში 1484 წ. გამეფებული, ქუთაისში კუროთხეული, ალექსანდრე ბაგრატიის ძე იყო ცნობილი. მაგრამ არადეთის ბრძოლაში გამარჯვებული ყვარყვარე, რა თქმა უნდა, ალექსანდრე ბაგრატის ძისთვის არ გარჯილა. მის პირდაპირ მიზანს, ჩანს, ქართლის ტახტზე საკუთარი შვილიშვილის, ვახტანგ გიორგის ძის—დასმა შეადგენდა. როგორც „გერგეტის მათიანე“ მოწმობს, ათაბაგს ამ მიზნისათვის მიუღწევია—ვახტანგი ქართლის ტახტზე დაუსვამს და მისთვის ზურგი არაგვის ხეობასა და დარიალშიაც გაუმავრებია.

¹ იხ. A: 1737 ხელნაწერი, 212 რ. S: 1246 ხელნაწერი, 35 რ., II სვ. იხ. გიორგი მეფის ასულის ქეთეონის „სულთა მოსახსენებელი“ (აქვე).

² თ. ყორღანიძე. ქრონიკები, II, გვ. 302, 1483 წ. ქვეშ.

³ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. IV, 1948, თბ., გვ. 143.

1485 წლის პოლიტიკურ ამბებს მდგომარეობა ძირითადად უნდა შეეცვალა. ამ წელს, როგორც ვიცით, სამხრეთ საქართველოს დიდი უზედურება დაატყდა თავს. იაყუფ ყენის გამანადგურებელმა შემოსევამ შემუსრა ძლიერი ათაბაგის ქედმაღლობა. ქაბუჯი ვახტანგ გიორგის ძე, ამ ამბების გამო ყვარყვარეს მხარის დაქერის გარეშე დარჩენილი, ეტყობა, ტახტზე ველადამაგებულა. 15—20-ოდე წლის შემდეგ ვახტანგი შემონახვებულად და გარდაცვლილად იხსენიება.

ბენა ჩოლაყაშვილი, გიორგი მეფის სახლთუხუცესი

გერგეტის მატიანის 26-ე გვერდზე ბენა ჩოლაყაშვილისა და მისი დედის მოსახსენებელიც არის შეტანილი.

პლატონ იოსელიანის ცნობით ბენას სახელი მოხსენებული ყოფილა იერუსალიმის წმ. თედორეს მონასტრის ეკლესიის შემდეგ წარწერაში:

„ღმერთო და წმიდაო თეოდორე! შეიწყალე ირუბაქის ძე ჩოლაყაშვილი ბე[ენ]ა. ესე საყდარი აღეშენა ჩემთა მშობელთა შესანდობელად“¹.

თუ წარწერის თარიღი პლატონ იოსელიანს სწორად აქვს გადმოცემული, იგი ტკკ ქრონიკონს, ესე იგი (323+1312=) 1635 წელს უნდა იყოს შესრულებული. ამ შენობებზე XV ს. მხედრულ-ნუსხური ხელით შესრულებული გერგეტის სამების მოსახსენებელის ბენა და იერუსალიმის ერთ-ერთი ქართული მონასტრის საყდრის აღმაშენებელი ბენა სხვადასხვა პიროვნებად უნდა ჩავვთვალო. მაგრამ ხსენებული ქრონიკონი სწორად არ უნდა იყოს გადმოცემული.

XV—XVI სს. მიჯნაზე მცხოვრები ბენას ვინაობას და მოღვაწეობას არკვევს იერუსალიმში დატულ ქართულ ხელნაწერთა მინაწერების მთელი რიგი. ამ მინაწერების გაცნობის საშუალება მოგვცა ელენე მეტრეველმა რომელმაც გამოსაცემად დაამზადა აკადემიკოს ნ. მარის ხსენებულ ხელნაწერთა აღწერილობანი.

ნ. მარის აღწერილობის — №-13-ის [II 135. B. 21] ანდერძ-მინაწერთა შორის ვკითხულობთ:

„ესე წიგნი, თარგმანი, მეფის სახილსა [!] უხუცესმ[ან], ბენა[ან], ჩოლაყ[ან] შვილმან შეეკაზმე, ბატონის მ[ე]ფის გ[იორგ]ის[ან] სადღეგრძელოდ და ცოდვათა შეს[ან]დობელად. საუკუნომცა არს ხსენებ[ან] მ[ათი]“. (მინაწერი 3.)

ეს მინაწერი გიორგი მეფეს ცოცხლად გულისხმობს („მეფის გიორგისა სადღეგრძელოდ“).

ამავე ხელნაწერის სხვა მინაწერში ვკითხულობთ:

„პატრონსა მეფეთ-მეფეს გ[იორგ]ის, ძესა მეფისა ალექსანდრესასა-ცოდვანი მისნი შეუნდნეს იესო ქრისტემან“...

„მისგან[] ჯუარის მამად მოვლინებულსა ჩოლაყას შვილსა, სახლის უხუცეს[ან] ბენასა და მშობელთა მისთა შეუნდნეს[ან] ლ^წ. აწ. (მინაწერი 6).“

ამ მინაწერის მიხედვით ცხადია, რომ ბენა ნამდვილად გიორგი VIII-ის [1447—1476] სახლთუხუცესი ყოფილა. სხვა გიორგი, ძე ალექსანდრე მეფისა, არც ქართლის და არც კახეთის ტახტზე არ მჯდარა.

¹ II. Иоселиани. Род кн. Чолокаевых. Т. 1866, № 3, გვ. 21

ბენა ჩოლაყაშვილის გიორგი მეფის „ზეობაში“ (სიცოცხლეში) სახლთ-უხუცესობა ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ათაბაგის ტყვეობიდან განთავისუფლებული გიორგი ალექსანდრეს ძე კახეთის ტახტზე დამკვიდრებულა¹.

ხსენებული მინაწერებიდან ირკვევა აგრეთვე, რომ გიორგი მეფეს იერუსალიმში ჯვარისმამად მიუვლენია საკუთარი სახლთუხუცესი ბენა ჩოლაყაშვილი. ბენა, თავისი მშფოთვარე დროისა და იერუსალიმში ქართველთა მდგომარეობის შესაბამისად, შესაფერისი კანდიდატი გამომდგარა. იგი განსაკუთრებული ენერგიის პაროვნებად ჩანს. ერთ-ერთ მინაწერში ვკითხულობთ:

„აქა მე და სომეხნი დავისარჩლენით იაკობ წმიდისა საყდარზედა...“

ბენას „ფრანგებთანაც“ ჰქონია შეტაკება:

„ნებითა ლთისათა აქა ფრანგთა გოლგოთა დაეაგდებინე და მათი ყუელა გარეთ გამოუყარე — კანდელი და რაცა მათი იყო, მე ცოდვილმა ბენე. ამინ“.

ამ მინაწერებით გიორგი მეფისაგან დადგინებული ჯვარისმამა XV საუკუნის მოღვაწეთა ტიპიურ წარმომადგენლად — ენერგიულ, ძლიერ, მთლიან პიროვნებად გვეხატება. მასთან „დასარჩლება“ ან პირისპირ შეტაკება სახიფათო საქმედ ჩანს. მან არ იცის მერყეობა-ყოყმანი. ფრანგებისაგან მიტაცებულ გოლგოთას ის კვლავ ქართველთა სავანედ ხდის და ამ საქმის სისრულეში მოყვანის დროს ფრანგების ნამდვილ დარბევასაც არ ერიდება („მათი ყუელა გარეთ გამოუყარე“). მისი გააფთრების მსხვერპლი, ამ შემთხვევაში, ფრანგების საეკლესიო ინვენტარიც გამხდარა („კანდელი და რაცა მათი იყო“), რასაც თვითონ „ცოდელი ბენა“ აღნიშნავს მინაწერში, ოდნავი სინანულით.

უფრო გვიანდელ მინაწერში (№ 14 [II. 136. B. 20]) ვკითხულობთ:

„ამა წიგნისა მეორე შემკაზმავსა, ჩოლოყას შვილსა ბენეჟსა შეუნდნეს ლნ. ქკს სზ შეიკაზმა და ამა კუირასა, დღესა სამშაბათსა, მეორესა ჟამსა ლამისასა, შევაბი აღდგომისა კარნი, ნებითა ლთისათა. შენდობა ყავთ... ძმანო“.

ეს მინაწერი მთელი სიცხადით ამელავენებს ბენას მოღვაწეობის ხასიათს.

ბენას მჩქეფარე ენერგია ყველაფერს სწვდება: იგი ართმევს მიმტაცებლებს ქართველთა მონასტრებს, ატარებს ქართული ხელნაწერების შეკაზმვარესტავაციას; ამ საქმიანობაში მისთვის დღე და ღამე გაერთიანებულია. „აღდგომის“ ეკლესიის განახლებული კარის შებმის პროცედურას ბენა ნაშუალამევის მეორე საათზე ამთავრებს და ეს მნიშვნელოვანი ამბავი ხელნაწერის ფურცლებზე შეაქვს, თარიღის ზედმიწევნით აღნიშვნით: „ქრონიკონს სზ“ — [202+1312=] 1514 წ.

ამის მიხედვით გიორგი მეფის სიცოცხლეში (1476 წლამდე) იერუსალიმში ჩასული ბენა ჩოლაყაშვილი 1514 წელსაც აქ მოღვაწეობს ქართველთა უფლებებისა და სახელის აღსადგენად და დასაცავად. ცხადია, ამ დაცემისა და დაქსაქსულობის პერიოდში მხოლოდ მსგავს ენერგიულ ადამიანებს შეეძლოთ

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, თბ., 1948, გვ. 95. იხ. აგრეთვე „საქართველოს ისტორია“ ნაწ. I, თბ., გვ. 294.

საქართველოს ძლიერების ძველი პრესტიჟის შენარჩუნება შორეულ პალესტინაში.

ვახტანგ VI-ს ჩანაწერი გერგეტის მატთანში

კონსტანტინე მეფის (გარდაიცვ. 1505 წ.) მოსახსენებლის ჩაწერის დროიდან თითქმის ორი საუკუნის მანძილზე (188 წლის განმავლობაში) გერგეტის მატთანეს თავის ფურცლებზე საქართველოს არც ერთი მეფის სახელი არ აღუბეჭდავს. მეჩვიდმეტე საუკუნის 90-იანი წლებიდან მეფეთა სახელები კვლავ ჩნდება „მატიანის“ უკანასკნელ გვერდებზე.

38-ე გვერდი დაფარულია ვახტანგ VI-ის, ამ დროს ბატონიშვილის, საკუთარი ხელით, მსხვილი, გაკრული მხედრულით დაწერილი სტრიქონებით:

„სე, ყოლად ძლიერო ღჳერთო, რომელმან

1) ბძანებითა შენით

ჰქმენ ქვეყნად მეფენი და მთავარი და აწ

ქართლის მთავრად ჰქმენ გიორგი, ბრძან-

ებითა შენითა; სძლეს სპარსთა და გარ-

[და]ვარდა. დაყო წელი ღარიბობაში ოთხი და

მოვიდა და დაიჭირა ქართლი. სთხოვა ს-

პარსთა და არ მოსცა და მე, ვახტან-

გ, გამაგზავნა ლექში; და მე, ბძა-

ნებითა [მისითა], შემოვიარე აქ და მივდიოდი, რათა შეგვეწიონ

სპარსთა ზედა [ძა]ლი ამა სამეზისა წმიდანი. და აწ, გვე-

დრები, რათა წარმომართო სავალნი ჩემი. შემინდე და

ორსავე შინა ცხოვრებისად ღირს მყავ².

ამ ჩანაწერის მიხედვით „ლექში“ (ლექეთში) მიმავალ ვახტანგს გერგეტის სამეზის ტიპარში სავანგებოდ სალოცავად შეუვლია, რათა „[ძა]ლი ამა სამეზისა წმიდანი“ შეწეოდა შეთქმულ ქართველობას „სპარსთა ზედა“, ხოლო პირადად ვახტანგს „წარმართოდა სავალნი“ მისნი.

ვახტანგის ჩანაწერის პირველად გამოქვეყნებელი თ. ყორღანია ამ ტექსტს 1698 წლის „ახლო წლებით“ (აქეთ) ათარიღებს³.

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვახტანგის ჩანაწერი 1693 წელზე გვიანდელი არ უნდა იყოს. ამ დოკუმენტის ზედმიწევნითი თარიღის გასარკვევად მისი ტექსტის ჩვენება და ვახუშტის ისტორიის მონაცემები გამოგვადგება.

ვახტანგი ამბობს, რომ ღვთის ბრძანებით ქართლის მთავრად დადგენილ გიორგის „სძლეს სპარსთა“ და იგი [გიორგი] „გაზღდავარდა. დაყო წელი ღარიბობაში ოთხი“.

¹ აქ გამოტოვებულია ღვთისადმი ვედრების ნაწილი.

² ვახტანგის ჩანაწერის სრული ტექსტი იხ. ქვემოთ, ტექსტებში.

³ „ქრონიკები“, II, გვ. 517.

სწორედ ასე გადმოგვეცემს ამ ამბებს ვახუშტის ისტორიაც: ვახტანგ V—შაჰნავაზის სიკვდილის შემდეგ (1675) სპარსეთის შაჰმა სულეიმანმა მოუწოდა გიორგი XI-ს „და მისცა ქართლი“, რომელსაც გიორგი 1676 — 1688 წწ. განაგებდა¹.

გიორგის ერთგულებაში თავიდანვე დაქვებულმა ყეენმა 1688 წ. გადაყენა ურჩი გიორგი, რომელიც ქართლ-კახეთის დიდ აჯანყებას ამზადებდა, და ქართლი ერეკლე I-ს მისცა.

ეს მოხდა 1688 წელს². ვახტანგის თქმით — გიორგი „გარდავარდა“ და „დაყო წელი ღარიბობაში ოთხი და მოვიდა და დაიჭირა ქართლი“.

უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგის „გადავარდნის“ პირველ — 1688 წელსაც ვახტანგი „ღარიბობაში“ გატარებულად უთვლის, ვინაიდან მისი თქმით გიორგიმ 4 წელი „დაყო ღარიბობაში“. ვახუშტის მიხედვით გიორგის დაბრუნება და ქართლში შემოსევა 1691 წელს მოხდა³.

ამბების შემდგომი განვითარების გადმოცემაში ვახტანგის ჩანაწერსა და ვახუშტის თხრობას შუა არავითარი წინააღმდეგობა არ არის.

1691 — 1693 წწ. შუა გიორგი ქართლ-კახეთის დიდ აჯანყებას ამზადებს, ამავდროს მას განზრახული აქვს საშამხლოსთან შეთანხმებით მოქმედება და ამ გზით ირანის ბატონობის შემუშვრა აღმოსავლეთ საქართველოსა და კავკასიაში.

შამხალთან მოლაპარაკებას გიორგი აჰმად ბეგ ალი აღის შვილის მეშვეობით აწარმოებს. ამ ამბებთან დაკავშირებით შამხალთან ურთიერთობის მეტი სიმტკიცისათვის გიორგისა და შამხალს ერთმანეთისათვის მძევლები უნდა გაეცვალათ.

სწორედ ამ მიზნით ვზავნის გიორგი ზავის ძმისწულს, ვახტანგს დაღისტანში (ვახტანგის თქმით „ლექში“):

„და მე, ვახტანგ, გამავზავნა ლექში. და მე ბძანებითა [მისითა] შემოვიარე აქ“ — ამბობს ვახტანგი.

ხევში ჩასული ვახტანგი მოლოდინშია: იგი დაღისტანში მაშინ უნდა გადავიდეს, როცა შამხალის მძევალი (შამხლის ძე) ქართლს მივა.

აი, რას ამბობს ამ ეპიზოდის შესახებ ვახუშტი: „კვალად ეზრახა გიორგი მეფე შამხალსა, რათა მწე ეყოს და მან [შამხალმა] აღუთქვა [მოკავშირეობა] აჰმად-ბეგ ალი აღის შვილის დესპანობითა. ამისთვის წარავლინა ძმისწული თვისი ვახტანგ მძევალად შამხლისათანა“⁴.

ვახტანგის ჩანაწერში მისი მძევლობის ამბავი შეტანილი არ არის — იმ დიძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში შამხალთან კავშირის გაბმის წვრილმანების საიდუმლოდ შენახვა გასაგებია.

¹ ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 85 — 86, 90 — 92.

² იქვე, გვ. 91.

³ იქვე გვ. 95.

⁴ იქვე, გვ. 96. ტექსტში დამარცვლა არ არის.

ვახუშტის თხრობის მომდევნო სტრიქონები სრული სიცხადით გადმოგეცემენ გიორგი მეფის შამხალთან „შეთანხმების“ დამახასიათებელ ფინალს.

იმ დროს, როცა სამძევლოდ გამზადებული ვახტანგი ხევში იჯდა და შამხალის ვაჟის ქართლში გადმოსვლის ცნობას ელოდებოდა, ჩვეულებრივი ამბავი მოხდა:

„მიუგზავნა ნიჭი დიდი ყეენმან შამხალსა“, წინადადებით—რუსეთს მიმავალი არჩილ მეფე „შეიპყარ და წარმომივლინეო“.

მოსყიდულმა შამხალმა დაარღვია გიორგი მეფისთვის მიცემული „ფიცი და პაემანი“ და დაატყვევა არჩილი.

მიიღო თუ არა ეს ცნობა ხევს მყოფმა ვახტანგმა, უკანვე გამობრუნდა: „რა შეიპყრეს არჩილ მეფე ჩერქეზს, ესე სცნა ვახტანგ, ხევსა მყოფმან, წარმოვიდა და მოვიდა გორს“. ამბობს ვახუშტი¹.

ეს ამბები 1692—1693 წწ. მოხდა. არჩილის ჩრდილო-კავკასიაში დატყვევების თარიღიც ცნობილია; იგი სწორედ 1693 წ. ემთხვევა².

მაშასადამე, ვახტანგის ჩანაწერი 1693 წელზე გვიანდელი ვერ იქნება.

„მატიანის“ 39-ე გვერდზე გვაქვს ვახტანგის, ამ დროს ქართლის მეფისა, და მთელი მისი სახლობისათვის ვედრების ტექსტი:

„ქ. წმინდავ ნინო მოციქულო! შეიწყალე მეფე ქართლისა ვახტანგს[!] და მეუღლესა რუსუდანსა და ძეთა მისთა: ბაქარს და ასულს თამარს და ანუკას და თუთას“.

როდის უნდა იყოს შეტანილი მატიანეში ეს მოსახსენებელი? ვახტანგის შვილებში მისი უმცროსი ვაჟის, გიორგის მოუხსენებლობა მოწმობს, რომ ეს ტექსტი გიორგის დაბადებამდის, ე. ი. 1712 წლის აგვისტოს 2-ზე ადრე არის დაწერილი³.

მაგრამ ვახტანგი აქ მეფედ იხსენიება, რაც 1711 წლის მიწურულზე ადრე მოსალოდნელი არ არის. საფიქრებელია, რომ ამ ტექსტის ჩაწერა და, მაშასადამე, ვახტანგისა და მისი სახლის წევრთა გერგეტის სამებისათვის „შემოვედრება“—ვახტანგის ირანს გამგზავრებას უკავშირდება და სწორედ 1712 წლის განმავლობაში, მაგრამ აგვისტოს 2-დის, არის შესრულებული.

18 წლის ვახტანგის (1693) ხევში ჩასვლით ამ კუთხესთან დაკავშირება ხანმოკლე არ ყოფილა; ეს კავშირი ვახტანგის რუსეთს გადახვეწის შემდეგაც გრძელდებოდა. ვახტანგისა და ბაქარის მიერ იესე და პაპა თექთურმანიძეთათვის მიცემული ორი სიგელი მოწმობს, რომ რუსეთს მყოფთ ვახტანგსა და ბაქარს აღმოსავლეთ საქართველოსთან ცოცხალი კავშირის შენარჩუნება მოხვედრების მეშვეობით განუხორციელებიათ⁴.

ერეკლე II-ის გუჯარი 1766 წ.

უკანასკნელი მეფე, რომლის სახელითაც მატიანის ერთ-ერთი საბუთი არის დაწერილი—ერეკლე მეორეა. ამ საბუთით „ცხებულის მეფეს თიემუ“

¹ ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 96 — 97; 325 — 326.

² არჩილიანი, ტ. II, თბ., 1937, გვ. X.

³ შტრ. ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 118 — 119.

⁴ ს. მაკალათია. ხევი, თბ., 1934, გვ. 94 — 95.

რაზის ძე, მეორე ირაკლი, მეფე საქართველოსი, დარეჯან დედოფალთან ერთად ამტკიცებს გუჯარს, რომლითაც „სოფელი ქვაბი ძველთაგან გერგეტის წმინდის სამების ეკლესიის შეწირული ყოფილა“.

ამ საბუთს ანტონ I კათალიკოსისა და გიორგი ბატონიშვილის ხელრთვა და ბეჭდებიც უხის.

ფეოდალური საქართველოს საიეფო გვარეულობის უკანასკნელი წარმომადგენელი, რომლის სახელიც გერგეტის მატიანეში შეუტანიათ, არის „ბატონის [ირაკლი II-ის] შვილი ვახტანგ, მპკრობელი სრულიად არაგვთა; რომელი ფრიადითა კეთილგანგებითა“ განაგებდა „ყოველთავე საეროთა და საეკლესიოთა“ — (1782 წელს).

ვახტანგ ბატონიშვილის მოსახსენებელი ამბროსი წილკნელის ჩინებულთ მხედრულთ არის ჩაწერილი (12 გვერდზე, იელისის 14-ს). ამავე 1782 წლის ფარგლებში ჩაწერილი ჩანს ამბროსისავე ხელით დაწერილი შესანდობარი „წილკნელ მიტროპოლიტის ამბროსისა, რომელმან ერთგულად იმწყემსა [სამწყსოსა თვისსა]“ (მე-10 გვერდის ქვემო აწიანზე).

გერგეტის მატიანეში ჩართული საბუთები

გერგეტის მატიანის ფურცლებზე რამდენიმე საყურადღებო საბუთი არის ჩაწერილი.

1. ამითგან ყველაზე ძველი, თარიღიანი, ნაწილობრივ გადასული, საბუთის ტექსტი თ. ჟორდანიამ თავისი „ქრონიკების“ II წიგნში გამოაქვეყნა, როგორც „ფიცი და განჩინება მთიულთა“¹.

მაგრამ ეს ძველი მთიულეთთან არ არის დაკავშირებული. იგი ხევის მცხოვრებთა ყრილობის დადგენილებას წარმოადგენს:

„შევიყარენით ჯევი ჯეობით — კობით და გუშლეთამდი“.

გვითხულობთ საბუთის დასაწყის სტრიქონებშივე. ხევის საზღვრები აქ ხედმ წყნით და სრული გარკვეულობით არის ნაჩვენები („კობით და გუშლეთამდი“); ხოლო გამოთქმა „ჯევი ჯეობით“ გვიჩვენებს, რომ ყრილობას დასწრებია მთელი ხევის (ცნობილი ადმინისტრაციული ერთეულის) ხეობა.

ხევის ეს დიდი ყრილობა დაკავშირებული ყოფილა გერგეტელთა შეწყალებასთან მეფის მიერ. შეწყალებას შედეგად მეფის ბრძანება მოჰყოლია. ამ ბრძანების არსებითი მხარე ძეგლში მოკლედ არის გადმოცემული:

„ესე მზევლები ამათ [გერგეტელებს] საყდარის შვილობისათჳს მივეცი თ, რომე მეფესა შეეწყალნეს და ებრძანა ჩნ თანა“.

აქედან ცხადია, რომ მეფის ბრძანებით მთელს „ჯევის ჯეობით — კობით და გუშლეთამდი“ დაუდგენია გერგეტელებისათვის მძევლების მიცემა.

როსთვის აძლევდა მთელი ხევი მძევლებს გერგეტელებს? საბუთი ამაზედაც მოკლე პასუხს იძლევა:

¹ თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, გვ. 245.

„ესე მძევლები ამათ საყდრისშვილობისათვის მიეცითო“.

ცხადია, რომ გერგეტელების საყდრისშვილობა მათ გარკვეულ უფლებებს ანიჭებდა და ეს უფლება, ჩანს, მიეღ ხევე ვრცელდებოდა.

ერთი მხრით, გერგეტელების ამ უფლების მტკიცედ დაცვისათვის და, მეორე მხრით, ხევის გერგეტელ საყდრისშვილთა მიმართ გარკვეული ზოვალეობის სიმტკიცით ასრულების უზრუნველსაყოფად „წვევი ჯეობით“ გერგეტელებს მძევლებს აძლევს.

მძევლების მოთხოვნისა და მიცემის ფაქტი კი იმის მიჩვენებელია, რომ საბუთის გაჩენის წინა პერიოდში გერგეტელ-საყდრისშვილთა და მთელი „წვევის ჯეობით“ ურთიერთ მიმართებაში ყველაფერი რიგზე არ ყოფილა; რომ ხევი არ ასრულებდა თავის ვალდებულებას გერგეტელ საყდრისშვილებისადმი, ეურჩებოდა მათ.

ამ ურჩობის ასალაგმავად „შეეწყალნეს“ მეფეს გერგეტელი საყდრისშვილები და მეფისაგან სათანადო სანქცია მიიღეს.

საბუთის უდიდესი ნაწილი ხევის სოფლებიდან მიცემული მძევლების სახელისა და გვარების ჩამოთვლას უჭირავს (13,4—14,7).

საბუთის დანარჩენი ნაწილი კი დათმობილი აქვს „მოწამეთა“ დასახელებას (14,7—14,11).

მძევლები შემდეგი წესით არიან ჩამოთვლილი: აქ პირველ რიგში გვაქვს სოფლის დასახელება და შემდეგ ამ სოფლიდან მიცემული მძევლების, ან მძევლის გვარისა და სახელის აღნიშვნა. მაგ., „ცდოთ — გიშელი და ბარჯანდელი; სტეთანწმიდით — ხეთაგი...; ქობით — შამბათაძს ძე ივანე“ და ასე ბოლომდის.

ზოგიერთი სოფლიდან თითო მძევალია დასახელებული, ზოგიდან კიდევ — ორი, ან სამი.

ასეთივე წესით არის ჩამოთვლილი საბუთის II ნაწილში მოწამენი: „სტეთანწმიდით — ანდირაშვილი...; ფანშტით — შაშარ...“

მძევლების რიცხვი 50-ზე მეტი ჩანს (ზოგიერთის სახელი და გვარი გადასულია, აღარ იკითხება), „მოწმედ“ სულ 8 კაცი არის დასახელებული.

როგორც აღვნიშნეთ, საბუთში არ არის ნათქვამი — რა ვალდებულება ეკისრება „წვევს ჯეობით“ გერგეტელ საყდრისშვილთა მიმართ. ეტყობა, ორივე მხარის (მთელი ხევისა და გერგეტელ საყდრისშვილთა) უფლება-ვალდებულებანი საბუთის დაწერის დროს იმდენად ცნობილი ყოფილა, რომ ამის საბუთში შეტანა ზედმეტად ჩაუთვლიათ. საკმარისად უცნობია მთელი ხევის ყრილობის მიერ მძევლების გაცემით, მოწმეების დასახელებითა და საამისო საბუთის დაწერით გერგეტელების საყდრისშვილობის გამტკიცება.

სანამ საყდრისშვილობის წინაშენლობას შევხებოდეთ, საჭიროა, აღვნიშნოთ, რომ საბუთის ტექსტში სხვა საყურადღებო ტერმინიც მოიპოვება: სახელდობრ — მოკიდება.

სოფლებისა და მძევლების ჩამოთვლაში ერთ ადგილას ვკითხულობთ:

„მნაველთა ცა მათ მ[ოი]კიდესა“ (13,10) და იქვე, ქვემოთ

„თრუსოველთა დცა ქურთიელ- [ყან]ობელთა მოიკიდეს“ (13, 23, 24).

ამ გამონათქვამებსაც გაურკვეველობა ახასიათებს. ამ შემთხვევაშიაც, ჩანს, ისეთ ურთიერთდამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე, რომელიც საბუთის დაწერის დროს თავისთავად ნაგულისხმევია ერთადერთი სიტყვის „მოიკიდეს“ მნიშვნელობაში.

საყურადღებოა, რომ ეს მოკიდება განსხვავებული ყოფილა იმ ურთიერთობისაგან, რომელიც საყდრის შვილებისა და „ხევის ხეობით“ დამოკიდებულებაშია ნაგულისხმევი.

მართლაც, როგორც ეს აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა გაარკვია, „მოკიდება“ ფეოდალური მფარველობა-დაქვემდებარების ერთ-ერთი, შედარებით თავისუფალი, სახეთაგანი ყოფილა; მოკიდებულს იგი გარკვეულ მოვალეობას აკისრებს და „მოკიდების“ ცალკე შემთხვევებში მეტ-ნაკლებ ვალდებულება-დამოკიდებულებას გულისხმობს¹.

ამის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ამ საბუთით „მოკიდებული“ — „მნაველ-ყანობელნი“ და „თრუსოველ-ჭურთიელნი“ გერგეტელი საყდრის შვილების მიმართ ხევის სოფლებთან შედარებით უფრო იოლს, მაგრამ მაინც გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობენ.

გერგეტელ საყდრის შვილთა ამ საბუთის ბოლოში თარიღიც უწერია: „დაიწერა ქრონიკონსა ასოცდა შჯდსა, ფებერვალსა ოცსა“ — ვკითხულობთ მათიანის მე-14 გვერდზე.

ამის მიხედვით ძველი დაწერილია (127+1312=) 1439 წელს — და აქ მოხსენებული მეფე, რომლის ბრძანებაც საფუძვლად დადებია საბუთის დაწერას, არის ალექსანდრე დიდი (1412—1443).

ამ ენერგიული ადამიანის ფართოდ გაშლილი საქმიანობა „შეშლილი“ და დარღვეული ფეოდალური წესების მოწესრიგების გზით ქართული სახელმწიფოებრივობის აღდგენისა და ქვეყნის პოლიტიკურად გაერთიანებისაკენ იყო მიმართული². ამ „აღმადგენელ“ საქმიანობას ასახავს XV ს. I ნახევარის არა ერთი საბუთი, რომელთა შორის გერგეტელ საყდრის შვილთა ძველსაც საპატიო ადგილი ეკუთვნის.

გერგეტელთა საყდრის შვილობა ძველი წარმოშობის ჩანს. ჯერ კიდევ ბაგრატ V-ს (1360 — 1393) გაუახლებია გერგეტელთა „ძუელი“ სასისხლო სიგელი, რომელშიაც ისინი საყდრიშვილებად და „წმიდისა სამების მოსამსახურეთ“ იწოდებიან³. აქედან, ცხადია, რომ გერგეტელთა საყდრიშვილობა ბაგრატ V-ზე აღრინდელი მოვლენა ყოფილა.

ბაგრატ V-ის სიგელი საყდრიშვილობას ეკლესიის სამსახურს უკავშირებს: „ეს[ე] მტკიცე [და] უქცეველი ბ[რძანე]ბა და სიგელი ამისად ნიშნად

¹ ნ. ბერძენიშვილი. „მოკიდებულისათვის“, „მემომხილველი“, I, თბ., 1949, გვ. 39—56.

² იხ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. IV, თბ., 1948, გვ. 29 — 33.

³ ს. მაკალათია. ხევი. 1934, გვ. 228.

გიბოძეთ თქვენ, გერგეტელთა, საყდრისშვილთა, წმიდისა სამებისა მოსამსახურეთა-ო“¹ — ვკითხულობთ აქ.

ბაგრატიის ამ სიგელიდან, რომელიც (დაზიანების გამო?) სისწორით არ უნდა იყოს გადმოწერილი, ირკვევა, რომ საყდრისშვილების სისხლი სამ სისხლად ღირებულა და რომ „ძველ სიგელშიაც“ მათთვის „დიდი სისხლი“ წერებულა².

გერგეტის მატრიანეში ჩართული საბუთის მახედვით ზემოთ დავასკვნით, რომ საყდრისშვილობა გერგეტლებს „გარკვეულ უფლებას ანიჭებდა“ და რომ „ეს უფლება, ეტყობა, მთელ ხევზე ვრცელდებოდა“ (იხ. ზემოთ).

ბაგრატი V-ის სიგელიც გერგეტელი საყდრისშვილების პრივილეგიური მდგომარეობის ამსახველია: მათთვის ძველ სიგელშიაც (XIV ს. მიწურულზე აღრინდელში) „დიდი სისხლი“ წერებულა.

საყდრისშვილობა ფეოდალური საქართველოს მხოლოდ ერთ კუთხეში არსებული დაწესებულება არ ყოფილა; იგი ფართოდ გავრცელებული ჩანს როგორც ცენტრში, აგრეთვე საქართველოს განაპირა ადგილებში.

თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომის მასალებში (XIV—XV სს.) ტერმინი საყდრისშვილი არაერთხელ გვხვდება.

ქართლის კათალიკოსის მიქელისათვის 1420 — 1428 წწ. შუა მიცემულს ერთგულების წიგნში ძაწყვერელი მთავარეპისკოპოსი გერასიმე, სხვათა შორის, ამბობს:

„აწ ესე წიგნი მე, მაწყრელ მთავარეპისკოპოსმან გერასიმე [გ]კადრე და მოგაქსენე და ვინც შემდგომად ჩემსა სხუანი მაწყურელნი იყვნენ და საყდარ-შვილნი [!], როგორც ამას წინათ მეფეთა მლოცავნი და თქვენნი მომქსენებელნი და ერთგულნი ყოფილან, ამავე წესითა მეფეთა მლოცავნი ვიყვნეთ და თქვენნი მომქსენებელნი“³ ვიყვნეთ...

და თუ ეს ასრე არ გავითაოთ ჩვენ და შემდგ-მად ჩვენსა სხუათა აწყურისა ეპისკოპოსთა და საყდრისშვილთა... წყუკასა ქუშე ვიყუნეთ“⁴...

საყდრისშვილნი ამ საბუთში მაწყურელ-მთავარეპისკოპოსის მიერ იხსენიებიან, როგორც გარკვეული უფლებით მოსილ ადამიანთა ჯგუფი, მაწყვერელის გვერდით თუ არა, მეტად ახლოს მდგომარე მანაც.

„ქრონიკების“ ამავე ტომში მოთავსებულ საბუთში — მანგლელ-თფილელის იოვანეს მიმართვაში ნექისძეთადმი, ვკითხულობთ: „... ჩნ... მანგლელ-თფილელმან იოვანე, თქვენ, ნექისძეთა საყდრისშვილთა... მოგეცით ქაშოგთანა (sic) მკუიდრი საყდრის მიწა სავენაჯე... ამად, რომ ორჯელ პატრონსა სულკურთხეულსა მეფესა კოსტანტინეს (+1413) ურდოს ხლებოდი და თფილელობა შეცვლილიყო და მომეჭირვა პატრონსა წინაშე და სულკურთხეულსა მეფესა კოსტანტინეს ახლად გაეჩინა“⁵...

¹ ს. შაკალათია. ხევი, გვ. 1934, გვ. 228.

² იქვე.

³ ტექსტში „მომქსენებელნი“.

⁴ ქრონიკები, II, გვ. 226 — 227.

⁵ იქვე, გვ. 239.

ამ შემთხვევაში საყდრისშვილები თბილელი მიტროპოლიტის დავალებით შეფესთან ურდოს გამგზავრებულნი, მისთვის მეფესთან მოციქულობენ და მოშლილი თბილელობის აღდგენას ახერხებენ¹.

ყველა ამ მონაცემის მიხედვით საყდრისშვილები ფეოდალურ იერარქიაში ჩართულ ერთ-ერთ გავლენიან, პრივილეგიურ ჯგუფად გვესახებიან. თავისი საქმიანობით ეს ჯგუფი ყოველ ცალკე შემთხვევაში გარკვეულ ეკლესიასთან, უკეთ რომ ვთქვათ, საეპისკოპოსო საყდართან არიან დაკავშირებული (მაწყვერელთან, თბილელ-მანგლელთან).

თუ თ. ჟორდანიას „ქრონიკებიდან“ მოტანილ ორ შემთხვევაში საყდრისშვილობის საეპისკოპოსო საყდართან კავშირი ნათელი და უდავოა, გერგეტელ საყდრისშვილთა შესახებ იგივე არ ითქმის. აქ საყდრისშვილების საეპისკოპოსო საყდართან კავშირი არ ჩანს. 1439 წ. საბუთში მეფეც და მთელი ხევის ყრილობა მათთან უშუალო ურთიერთობაში იმყოფებიან. „მატიანეში“ მოთავსებულ სხვა საბუთებშიაც გერგეტელი საყდრისშვილები დამოუკიდებლად იხსენიებიან. ქვემოთ დავინახავთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსიც უშუალოდ ელაპარაკება მათ ოფიციალურ მიმართებაში.

ამის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ გერგეტელთა „საყდრისშვილობას“, გარდა იმ ზოგადი თვისებებისა, რომლებიც მას სხვა საყდრისშვილებთან აახლოვებს, რაღაც სპეციფიკური ხასიათიც ჰქონია. ამის ახსნას ქვემოთ შევეცდებით.

ყოველივე იმის მიხედვით, რაც საერთოდ საყდრისშვილობის შესახებ იყო ნათქვამი და, კერძოდ, გერგეტელ საყდრისშვილობის შესახებ გავარკვეით, საყდრისშვილობა მცხეთისშვილობის მსგავს დაწესებულებას უნდა წარმოგვიდგენდეს.

მცხეთისშვილობის არსებობა საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ჯერ კიდევ XI საუკუნეში ყოფილა დამოწმებული ერთ-ერთი პალიმფსესტური ხელნაწერის ტექსტში.

„მცხეთისშვილობა“, როგორც ეს „ქართული სამართლის ისტორიის“ III წიგნში უნდა იყოს განმარტებული, საქართველოს კათალიკოსის გვერდით არსებული გავლენიანი საგულისხმიერო დაწესებულება იყო — ამბობს ივ. ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნის II ნაკვეთში² და აქვე დასძენს: „დარწმუნებული ვარ ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი საკითხის შესასწავლად ჯერ კიდევ არა ერთი საგულისხმო ცნობაა მოსალოდნელი“.

საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს მცხეთისშვილობის შესახებ ნ. ბერძენიშვილი. მისი თქმით: „საკათალიკოზო საქონებელთა მმართველო-

¹ თ. ჟ-ს მიერ „ქრონიკების“ II წიგნში (გვ. 250) 1441 წ. ქვეშ გამოქვეყნებულ საბუთში აღექვანდრე დიდი განსაკუთრებული სიცხადით განსაზღვრავს მცხეთისშვილობასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობათ: „კათალიკოსისა მსახურებით“ მათ თარხნობას და შეუვლობას და მცხეთისთვის პურის, ღვინისა და ზურგიელის „მიღებას“ და „მცხეთისშვილობის სისხლისა და საუბატის“ გაჩენის წესს.

² გვ. 10 — 11, ტფ., 1929.

ბა ფეოდალურ-კოლეგიურია. მცხეთის სამამულე-ორგანიზაციულ საქმეებს კათალიკოზი „ყოველთ მცხეთიშიღილთა“ თანადგომით და ერთნებაობით „აწესრიგებს“. მცხეთიშიღილებს ნ. ბერძენიშიღილი „საეკლესიო უმაღლეს ყმა აზნაურ მოხელეთა ჯგუფს“ უწოდებს¹.

საყდრისშიღილობაც, მსგავსად მცხეთისშიღილობისა, საეკლესიო უმაღლეს ყმა აზნაურ მოხელეთა ჯგუფს უნდა წარმოადგენდეს.

„ქრონიკების“ II ტომის საბუთებში ჩვენ წაგაწყდით ცნობას, რომელიც ამ საკითხს (საყდრისშიღილობა-მცხეთისშიღილობის) შუქს ჰდენს: აქ მცხეთისშიღილები საყდრისშიღილებად იწოდებიან: „ესე წიგნი მოგაჯსენეთ ჩუენ, პატრონმან მაქნუჩარ და პატრონმან ათაბაგმან [ივანე, თქუენ] ცათა მობაძაჟსა კათოლიკე მცხეთისა საყდრისშიღილთა“²...

ცხადია, აქ საყდრისშიღილობა მცხეთისშიღილობის თანაბარმნიშვნელობის ცნებად არის ნაგულისხმევი.

გერგეტელთა „საყდრისშიღილობის“ „მცხეთისშიღილობასთან“ ანალოგიამით უფრო დასაშვებად უნდა ჩაითვალოს, რომ „არაგვის ქვეს სოფელი გერგეტი, მონასტერი წმიდის სამებისა და უდაბნო, მისის ეკლესიებითა, წაწინოს მოცემულითა ჯუარითა, ცხოველვაზითა და თმანი [თემნი? ქ. შ.]—ხვისითა სოფლებითა, არაგუხეციხე გერგეტაული“... „სოფელნი, აგარაკნი და ქუაბნი და დარანნი და სიმაგრენი“..., როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, მცხეთის საეკლესიო მამულებში შედიოდა³.

ბუნებრივია, რომ მცხეთის საკათალიკოსოს ამ სამფლობელოზედაც იგივე ფეოდალური წესები ვრცელდებოდა, რომელიც ცენტრში იყო ჩამოყალიბებული. აქედან ცხადი ხდება აგრეთვე გერგეტელ საყდრისშიღილთა შედარებით „დამოუკიდებლობა“—ისინი არიან არა საეპისკოპოსო საყდრის, არამედ მცხეთის საკათალიკოსო საყდრისშიღილები, მცხეთაზე საკმარისად დამორბეულნი ტერიტორიალურად და მიმოსვლის სიძნელის გამო.

საყურადღებოა, რომ საქართველოს სხვა კუთხეებში უკვალოდ გამქრალმა „საყდრისშიღილობამ“ ხევში დიდხანს შემოინახა თავი. გერგეტელთა საყდრისშიღილობა იმდენად გამძლე გამოდგა, რომ ნაშთის სახით ჩვენ დრომდისაც მოაღწია. გერგეტელებს დღესაც ახსოვთ თავიანთი ადრინდელი პრივილეგიური მდგომარეობა. ისინი ხუმრობით ჩვენს დროშიაც თავს „ღვთისშიღილებად“ უწოდებენ და თავი მოაქვთ ამით⁴.

ბუნებრივია, რომ ამ სამოცდაათი წლის წინ გერგეტელების საყდრისშიღილობის კვალი გაცილებით უფრო თვალსაჩინო უნდა ყოფილიყო. როგორც ზემოთ ითქვა, ალ. ყაზბეგის (მოჩუბარიძე) მოწმობით მეცხრამეტე საუკუნის

¹ ნ. ბერძენიშიღილი. საქართველოს ისტორია მე-13—14 სს. გვ. 267. „თბ., სახ უნივერსიტეტის შრომები“, VI, I სერია, 1938.

² თ. ქ. „ქრონიკები“, II, გვ. 346, 1519 — 1529 წწ. თარიღით.

³ იქვე, გვ. 196.

⁴ გერგეტელები რომ დღესაც „ტრაბახობდინ“ ხოლმე: „ჩვენო ღვთის შვილები ვართ“ — ეს ცნობა პატივცემულმა ვანო შადურმა გადმომცა.

65 — 70-იან წლებში „გერგეტელებს, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ ეს [სამე-
ბის] საყდარი, მთელს ხევში და თრუზოს ხეობაშიაც კი კომლზედ ყოველ
წლივ თითო მათარა (ფუთნახევარ) ქერს აძლევდენ“¹.

ს. მაკალათიას მიერ შეკრებილი მასალებიც (1934 წლის გამოცემისათ-
ვის) ხევში წმ. სამების კულტისა და გერგეტელთა ოდინდელი გავლენის თვალ-
საჩინო კვალს ამჟღავნებენ.

მოხვეური ლოცვებისა თუ წყევლის ტექსტებში მრავალ ადგილას გამოს-
ქვივის „ხმელეთის პატრონის“, „ბერი წმ. სამების“ განსაკუთრებული პატი-
ვისცემა. ძველი ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი თითქმის ყოველი წესი
გერგეტელების წარსული ბატონობის კვლით არის აღნიშნული.

წმ. სამების და მის მსახურთა ბატონობის ერთ-ერთ ნაკვალევს უნდა
წარმოადგენდეს, მაგ., გერგეტზე კარგა მოშორებით მდებარე—სიონის ხატის
ტყევი აგებული წმ. სამების ნიში და თვით ეს ნაკრძალი ტყე, რომელიც „წმ.
სამების საბრძანისად“ ითვლება. ამ ტყეში 28 აგვისტოს გერგეტის სამების
ხატობასთან დაკავშირებული „ვარდობის დღეობა“ იმართება.

II. გერგეტის მატთანში ჩართული მეორე საბუთი უცნობი კათალიკოსის
მიერ გერგეტელ საყდრისშვილთათვის დადებულ „რჯულსა და მცნებას“ წარმო-
ადგენს. რამდენადაც ვიცით, ეს დოკუმენტი დღემდის გამოქვეყნებული არ უნ-
და იყოს.

საბუთი უთარილოა; დაწერილია 36 გვერდზე, უანგისფერი მელნით (XVI—
XVII ს. მიჯნაზე?), კარგი ნუსხური ხელით. ტექსტი რამდენიმე ადგილას გადა-
სულა; სრულიად არ იკითხება კათალიკოსის სახელი. პალეოგრაფიული ნიშ-
ნებით საბუთი XVI—XVII ს. მიჯნაზე დაწერილს გავს.

კათალიკოსის მიმართვა: „ჩნ, ქრისტეს ღთისა მიერ კურთხეულმან კზმან
ბატონმან]

...ნ ესე რჯული და მცნებად დაგიგდე

[თქვენ], გერგეტელთა საყდრისშვილთა“.

როგორც წინა საბუთის დახასიათებისას აღვნიშნეთ, კათალიკოსი ამ სა-
ბუთში უშუალოდ გერგეტელ საყდრისშვილებს მიმართავს და უდებს მათ რჯულ-
სა და მცნებას, რომელიც მათ მორწმუნეთა შორის მტკიცედ უნდა და-
ნერგონ.

ხსენებული რჯული და მცნება „სამას და ათურამეტთა მამათაგან“ არის
გაჩენილი და ქრისტიანული ეკლესიის წესების გარეგნულ მხარეს შეეხება.
40 დღის მარხვის, ქრისტესშობისა და ოთხშაბათ-პარასკევის მარხვის
დაცვას—და აგრეთვე კვირა-უქმის საქრისტიანო წესით გატარებას, საუფლო
დღესასწაულების უქმის გაუტეხლობას და შაბათი დღის საღამოს 9 თაშით-
გან (საათიდან) „ვიდრე ორშაბათისა გათენებამდის“ უქმობას.

ამ წესების დაცვას კათალიკოსი, ეტყობა, უაღრესად დიდ მნიშვნე-
ლობას მიაწერს. საყურადღებოა, რომ XV — XVI ს. მიჯნაზე, ქართული ფე-

¹ ა. მონაზარაძე, მოხვევები და იმათი ცხოვრება. გაზ. „დროება“, 1880, №№ 156,
157, 159, 161, 164, 167, 169, 174, 177.

ოდალური სახელმწიფოებრივობის კრიზისის ამ ყველაზე მკვეთრ ეტაპზე, ქართული ეკლესიის მესვეურთა ყურადღება განსაკუთრებული დაჟინებით მიმართება ხსენებული წესების დაცვისაკენ. არსებობს ამავე ხანებში (XV—XVI სს.) დაწერილი სხვა ძეგლებიც, სადაც განაპირა კუთხეებში ქრისტიანული წესების ამ გარეგნული მხარის მოშლა კიდევ უფრო მეტი სიცხადით მქალაქდება.

ერთ-ერთი ასეთი ძეგლთაგანი არის ე. თაყაიშვილის მიერ ხვანეთიდან ჩამოტანილი ეტრატის გრაგნილის ტექსტი, რომელსაც საკჯრაო ეწოდება. ამ გრაგნილის ვრცელ ტექსტში აღნიშნულია ხალხში სარწმუნოებრივი გრძნობის შესუსტება, მღვდლებისადმი უბატივეცემულობა, ზნეობრივი საფუძვლების შერყევა (გლახაკთა გაუქობხობა) და სხვ.

მთელ ტექსტში წითელ ზოლად არის გატარებული კვირა დღის უქმობის მოშლის განსაკუთრებული მნიშვნელობა მორწმუნეთა რელიგიური გრძნობის შესუსტების სხვა მაჩვენებელთა შორის: „დაიმარხეთ დღე, რომელსა ეწოდების კვრიაკე“ — მიმართავს ამ აპოკრიფულ ძეგლში მორწმუნეთ „თვით ქრისტე-ღმერთი“.

გერგეტის მათიანის საბუთის მსგავსად, აქაც უდიდესი მნიშვნელობა მიეწერება კვირა-დღის გაუტეხელობას „შაბათის ცხრა ჟამითგან ვიდრე ორშაბათ — მზის აღმოსვლამდე“¹. დამახასიათებელია, რომ სვანეთის ამ ხელნაწერის ტექსტის ვარიანტები სხვა ნუსხებშიაც მოიპოვება; მაგ., გიორგი მეფის ასულის ქეთეონის XV—XVI ს. მიჯნაზე დაწერილ კრებულში (A:1737).

ამ ტექსტის პოპულარობა მოწმობს, რომ დასახელებულ რელიგიურ დაშლას, კვირა-უქმისა და „მარხვის“ გატეხას და სხვ. თავი უჩენია არა მარტო ხევში, არამედ ცენტრიდან მოშორებით მდებარე სხვა ადგილებშიაც.

გერგეტის საბუთის მიხედვით კვირა-უქმის გატეხისათვის კათალიკოსს გარკვეული ჯარიმა დაუწესებია: „რომენმანცა კაცმან შაბათისა ცხრა ჟამითგან ვიდრე ორშაბათისა განთენებამდის ვინცა რაჟ ქნას ანუ თუ საუფლოთა დღესასწაულთა უქმი გატეხოს, რასაცა აგსა უზამს [ღმერთი], უბრალოდ ვიყუნეთო“ — ამბობს კათალიკოსი, რითაც ღვთის წინაშე პასუხისმგებლობას თვითონ კათალიკოსი არ კისრულობს.

მაშ ვინ არის პასუხისმგებელი ხევის თემის მორწმუნეთა ასეთი შეცოდებისათვის? პასუხისმგებელნი ყოფილან საყდრისშვილები: „თქნ საყდრისშვილ[ნი] შემცოდე იყ[ვნეთ] წმიდისა სამებისა და ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა და ოთხ[ი]ათასი თანგა ქრთამი დაიუროსო“. ამბობს კათალიკოსი.

საბუთის ტექსტიდან ნათლად არ ჩანს—სახელდობრ ვინ უნდა „დაიურვოს“ ეს ჯარიმა. საფიქრებელია, რომ ქრთამის „დაურევებისათვის“ ღონისძიების მიღება ამ აქტით მინდობილი აქვთ გერგეტელ საყდრისშვილებს; ხოლო ქრთამის გამღები საეკლესიო „რჯულისა და მცნების“ დამრღვეველი მორწმუნენი იქნებოდენ.

¹ იხ. „საკვირაო“ — მ დონდის № 1328. იხ. საქართვ. სახ. მუხ. „ხელნაწერთა აღწერილობა“, II, თბ., 1948, გვ. 268 — 269.

ქვემოთ ძეგლში ზოგადი, მაგრამ მეტად საყურადღებო დამოძღვრება არის შეტანილი:

„იყუენით საყდრისა შვილნი ერთსულობით: უფროსნი—უფროსად და უმცროსანი [უმცროსად]; მღვდელნი—მღვდელთა წესითა და ერისგანნი — ერისგანთა წესითა“ — (36₁₉₋₂₃).

როგორც ირკვევა, საყდრისშვილებში გარკვეული დაყოფა არსებულა მათ შორის ყოფილან ეკლესიის ისეთივე მსახურნი, როგორც ყველა სხვა საქრისტიანო ტაძარსა და ეკლესიაში არსებობდა—მაგ., „მღვდელნი“; დანარჩენი საყდრისშვილები კი „ერისგანნი“ ყოფილან.

საყურადღებოა, რომ კათალიკოსის ამ საბუთის დაწერის ხანს გერგეტელ საყდრისშვილებში ერთსულობა და უფროს-უმცროსობის წესები მერყევე მდგომარეობაში ყოფილა. განსაკუთრებით საგულისხმეოა, რომ ე. წ. სასულიერო და საერო წოდების წარმოადგენელთა ფუნქციების განცალკევება—დარღვეული ყოფილა.

ამას ცხადად გვიჩვენებს ძეგლის დამაგვირგვინებელი სტრიქონები:

„რომენმანცა ხუცესმა აბჯარი აილოს, ვინცა ნახოს, წა[ა]რთოა[ს]- და ჯურუმცა აზღვეინოს“.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ხევში ამ ხანებში ხუცეები ივიწყებდნენ თავიანთ მღვდლურ პატივს, აბჯარს იღებდნენ და, საერთოდ, იქცეოდნენ როგორც ერისკაცები.

კათალიკოსის ბრძანება მოუწოდებს ყველა საყდრისშვილს ამ მოვლენის აღსაკვეთად—ვინც აბჯარასხმული მღვდელი ნახოთ, იარალი აპყარეთ და ჯარიმაც გადაახდევინეთ („ჯურუმცა აზღვეინოს“).

ამ ძეგლში გერგეტელი საყდრისშვილების მოვალეობანი განსაკუთრებულად სიცხადით მელაგნდება: ისინი წარმოადგენენ გარკვეულ ორგანოს¹, რომლის მეშვეობითაც კათალიკოსი განაგებს და აწესრიგებს ხევის მცხოვრებთა რელიგიურ მხარეს.

III. მატიანეში ჩართული მესამე საბუთიც უთარილოა; იგი დაწერილია გაუმართავი ნუსხა-ხუცურით და ამდენადვე გაუმართავი მართლწერით: ასოების ჩაგდებით. წაკითხვას აძნელებს აგრეთვე მთელი სიტყვების გადასულობა ალაგ-ალაგ. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ძეგლი XVI—XVII ს. მიჯნაზე უნდა იყოს დაწერილი.

შინაარსით იგი სამების ტაძართან თავმოყრილი „კრებულის“ „ერთსულოვან“ განაჩენსა და დადგენილებას წარმოადგენს.

„...შევიყარენით ჩვენ კრებულნ ე[რ]თსულად. დაე[დევ]ი-

თ საჩივარი და კრებულობად, საყდარს წინაშე გ[ა]ე[ვ]ი[კ]ითხენით“¹,
ეკითხულობთ საბუთში.

„საყდრის წინაშე“ გამართული ამ კრებისა და „გაკითხვა“-გამოძიების და „საჩივარის“ საგანი „კრებულობის“ გამართვის ადგილს ეხება.

¹ „კოლეგირს“. შდრ. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორია მე-13—14 სს. გვ. 287. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, VI, პირველი სერია, თბ., 1938.

სადაო გამხდარა — სად უნდა იმართებოდეს კრება — სოფელს თუ საყდრის წინაშე?

რომ საკითხი ამგვარად ყოფილა დასმული, ამას მოწმობს დადგენილება: „სოფელს არა ვკრებულეთ“.

ეს დადგენილება მოწმობს აგრეთვე, რომ ამ დროს პრაქტიკაში სოფელს შეკრება ყოფილა შემოღებული.

კრების დადგენილების მომდევნო მუხლის მიხედვით — საყდართან შეკრების შემთხვევაში სავალდებულოდ არის ცნობილი საყდრის შეკარებებთან შეთანხმება:

„საყდარს [არ] შევიკრიბნეთ მეკარე[თ] ოთქმელი“ — ვკითხულობთ აქ¹. კრების მოწვევის შესახებ აქ საგანგებოდ დადგენილია აგრეთვე საყდრის [მსახურთა] და სოფლის „ურთიერთ და ორთავე რჩევით“ მოქმედება.

ქვემოთ განმარტებულია, თუ რა შემთხვევაში შეიძლებოდა კრების მოწვევა:

„სოფელს თუ იქნას ჭირი თუ რა...“

აქედან ცხადია, რომ კრებას ყოველ ცალკე შემთხვევაში საერთო, საზოგადო საკითხი უნდა ჰქონოდა საგნად („ჭირი“ აქ გასაჭირის, უბედურების მნიშვნელობით არის ხმარებული). მხოლოდ ასეთ საერთო საკითხთან დაკავშირებით შეიძლებოდა კრების გამართვა „საყდარს წინაშე“, ვინაიდან კრების ეს ადგილი „საღმრთოდ“ უნდა ყოფილიყო მიჩნეული („საღმრთო არის“).

საბუთის ამ ადგილას კვლავ იხსენიებიან „მეკარენი“ — სამწუხაროდ ეს ადგილი განსაკუთრებით ძნელი ამოსაკითხავი არის.

ივანე ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორიის“ II წიგნის II ნაკვეთში გარკვეულია — რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მეკარენი საყდრის მცველი მონასტრის შინაური მყუდროების დაცვისა და გარედან მოსულ ხალხთან ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში².

მეკარისა და მეკარეთა ნებართვის გარეშე საყდრის სიახლოეს შეკრების აკრძალვა, უეჭველია, პრაქტიკაში გაბატონებული უწყესობის აღსაკვეთად უნდა ყოფილიყო მიმართული.

საყურადღებოა, რომ გერგეტის სამების საყდარს ჰყოლია არა ერთი მეკარე, არამედ მეკარენი (II, 57). ამავე დროს გერგეტის სამების საყდარი ზეპირგადმოცემითაც და წერილობითი ძეგლების მიხედვითაც მონასტრად იხსენიება³. ეს გარემოება აქ წარსულში სამონასტრო ცხოვრების არსებობას გვაგულისხმებინებს. მაგრამ ამ საკითხს ახლა ვერ გამოვეყიდე.

¹ სწორ ფრჩხილებში ჩასმული არ — გამართლებულია როგორც იმით, რომ ამ ადგილას ტექსტში ორიოდე ასო გადასულია, აგრეთვე იმითაც, რომ კრება ვერ დაადგენდა მეკარეთა დაუკითხავად (უოქმელად) საყდართან კრების გამართვას. ეს საყდრის შინაური წესრიგის უხეში დარღვევა იქნებოდა, რის აღკვეთასაც ისახავს მიზნად „საყდრის წინაშე“ კრებულობა.

² ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, ტფ., 1929, გვ. 50.

³ იხ. „1392 წ. სია მცხეთის საეკლესიო მამულებისა“. თ. უ. „ქრონიკები“, II, გვ. 196, — აგრეთვე ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 67.

საბუთი თავდება წყევა-კრულის ფორმულით იმათ მიმართ, ვინც დაარღვევს კრების დადგენილებას და „ერთმანეთს უღალატებს.“

„რომენმანცა უღალატოს ერთმანერთსა

დიდი ანუ ცოტ[ა—აქ ტექსტი გადასულია], ერის

კაცმან და ანუ დიასახლისმან ანუ მნათემან

და ანუ [მ]ყნორს [კრ]ლ, წყეულ და შე[ჩუშნე]-

ბულმცა [არ]ს ამიერ და ჯუჟნისამდინ. ამინ“.

ხოლო „ამაჩიგან რომელნი [სიმარ]თლითა იც[უნ]ეს: დიასახ[ლ]ისი ანუ მამა[სახლისი] ანუ ხუცესი, შ“ნ ლ“ნ ა“ნ“.

ძეგლში დაპირისპირებული არიან „სოფელი“ და „საყდარი“, კრების დადგენილების საგანს სოფლისა და საყდრის ურთიერთობის მოწესრიგება და საქვეყნო მნაშენლობის საქმეების „საყდრის წინაშე“, „საღმრთო“ ადგილას გადაწყვეტა შეადგენს.

ამგვარად, საბუთი სოფლისა და საყდრის ურთიერთშორის უთანხმოების ამსახველია; ამივე დროს იგი საყდრის შერყეული ავტორიტეტის აღდგენის და განმტკიცების, საყდრის შებღალული გავლენის და მოქმედების სფეროს კვლავინდებურად დაცვისათვის მიმართულ აქტს წარმოადგენს.

IV. უკანასკნელი საბუთი, რომელიც მატიანეს შემოუნახავს — ნაცვალის ინდო ზაქაძის შეწირულობის წიგნი არის (15—16 გვ.). იგი ჩართულია ზაქაძეთა მოსახსენებელში; დაწერილია მსხვილი, საკმარისად გამართული მხედრულით:

„მე, ზაქაძემ ინდომან შევსწირე წმინდას. სამებას ფანშეტს კიელისეული დღენახევრის ყანა“.

უნდა ითქვას, რომ გერგეტის სამების მატიანის მოსახსენებლებში შეწირულობის სახე და რაოდენობა იშვიათად აღინიშნება. ამ მხრივ ზაქაძეთა მოსახსენებელი ერთ-ერთ გამონაკლისს წარმოადგენს.

განსაკუთრებით საგულისხმიეროა, რომ ნაცვალ ზაქაძეს სამების საყდრისათვის შეწირული ყანა მეფისგან ჰქონია ნაბოძარი („მეფეთა სიგლით ნაბოძარი“). ზაქაძის საბუთი ერთხელ კიდევ ადასტურებს ნიკ. ხიზანიშვილი-ურბნელის იმ აზრს, რომ წარსულში საქართველოს მთიანეთზედაც მიწათმფლობელობის იგივე ფეოდალური წესები ვრცელდებოდა, რაც ბარად იყო დამკვიდრებული, რომ „მამული სახელმწიფოსი იყო“ და რომ მამულის მფლობელობას აქაც „უკავშირდებოდა გარკვეული მოვალეობა — სამსახური — „სალაშქრო“ და „საბეგრო“¹.

ზაქაძის შეწირულობა იმ პირობით არის გაღებული, რომ:

„ფერისცვალეხასა დღესა ერთობილნი ს[ტ]ეფანწმიდ[...]

ელნი და გერგეტელნი ჩუენთუის და [ძეთა]

ჩუენთათუის ლოცვა-კურთხევასა და შე[ნ]დობასა ბრძანებდენ“.

ლოცვა-კურთხევის წარმომთქმელნი არიან არა სამების საყდრის უშუალო მსახურნი და, საერთოდ, სასულიერო წოდების ადამიანები, არამედ

¹ ნ. ხიზანიშვილი. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1940.

„ერთობილნი ს[ტეფანწმინდ]ელნი და გერგეტელნი“ (ტექსტში ხაზი არ არის გასმული).

აქ ლოცვა-კურთხევის წარმოთქმის უფლება აღარ არის შემოფარგლული მღვდლებისა და საყდრის სხვა მსახურთა წრით. ეს უფლება იმდენად გაფართოებული ჩანს, რომ ორი სოფლის ერთობილი კრებულისთვის მინიჭებული გამოდის.

ამავე ტექსტის მიხედვით ლოცვა-კურთხევის წარმოთქმა („ბრძანება“) მარტო გერგეტელთა საქმედ აღარ გვეხატება. გერგეტელთა გვერდით აქ რომელიღაც მეორე სოფლის მცხოვრებნი იხსენიებიან.

ამ სოფლის სახელი სანით იწყება, შემდეგ რამდენიმე ასო გადასულია: სიტყვა ბოლოვდება — ელნი-თ.

ვინც უნდა ვიგულისხმოთ „ს-ელნი-ს“ სახით — სტეფანწმიდელნი, რომლებიც ტერიტორიულად ყველაზე ახლოს იყვნენ სამების ტაძართან, თუ მოშორებით მცხოვრები სნოელნი ან სიონელნი, ერთი რამ ცხადია:

გარკვეული ხნის განმავლობაში გერგეტელებს საყდრისშვილობაში ჰყოლიათ მოზიარე, რომელიც ამ ძეგლში გერგეტელებზე ადრე იხსენიება. ეს მოზიარე შემდეგში გერგეტელ საყდრისშვილებს ჩამოუშორებიათ და კვლავ სამების ეკლესიის ერთადერთ მესვეურებად გამხდარან.

ამ დროებში თუ არის გამოთქმული ხალხური სიმღერის ის სტროფი, რომელიც პატივცემულმა ვანო შადურმა მოგვაწოდა:

„ესო, ბესო,
გერგეტლებმა სთქვესო:
წმინდა სამება ჩვენია,
ვერვინ წაგვართმევსო“¹.

ყაზბეგელ-სტეფანწმიდელების დროებითი საყდრისშვილობის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს აგრეთვე ამ სოფლის მკვიდრ მცხოვრებ ხეთაგურების და, საერთოდ, სტეფანწმიდელების მონაწილეობა გერგეტელ დეკანოზთა საახალწლო ცერემონიაში².

აქ სახელდახელოდ განხილულია გერგეტის სამების სულთა მატთანში ჩართული ოთხიოდე საბუთი, რიცხობრივი სიმცირის მიუხედავად მატთანის ეს მასალა ნაწილობრივ მაინც ხდის ფარდას XV-XVII სს. ხევის შინაგან ცხოვრებას. ეს ცხოვრება საბუთების მიხედვით გარკვეული მოძრაობისა და ცვალებადობის მდგომარეობაში წარმოგვიდგება.

მაგრამ რა ხასიათის არის ეს „მოძრაობა და ცვალებადობა“?

თუ მატთანის ჩანაწერების მთელი ჯგუფი, საბუთებთან თანხმობით, ამჟღავნებს ხევის ოდინდელი ფეოდალიზაციის ნიშნებს, შედარებით მკვიდრო კავშირს ცენტრთან (მეფე, კათალიკოსი), გვიანდელი საბუთების შუქზე ჩვენ თვალწინ სხვა, მეტად რთული პროცესების ნიშნები ჩნდება: გარკვევით მქლავნდება.

¹ ვ. შადურის დახმარებით შევასწორე აგრეთვე ხევის ზოგიერთი სოფლის სახელწოდება.

² ს. მაკალათია. ხევი, გვ. 186 — 188.

ფეოდალურ დაწესებულებათა თანდათანობითი დაშლის პროცესი (ხევის შიგნით). ასე რომ, აქ ვხედავთ არა მარტო პოლიტიკური მთლიანობის ფეოდალური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ რღვევას—ცენტრიდან ჩამოშორების სახით, არამედ ფეოდალური დაწესებულებების გადაგვარებას ამ ჩამოშორებულ უბანში; ვხედავთ, როგორი თანაბრიმდევრობით ქრება, მაგალითად, ძველი დგანვე დანერგილი განცალკევება სამოქალაქო და საეკლესიო სფეროსი (მღვდლების გაერისკაცება, სასულიერო წოდების კომპენტენციის მითვისება ერისკაცთა დიდი ჯგუფის—„ერთობილ გერგეტელთა“ მიერ და სხვ.).

მიუხედავად ფეოდალური დაწესებულებების ხსენებული გადაგვარებისა, ხევში განსაკუთრებული გამძლეობა გამოუჩინია და თავი შემოუნახავს საქართველოს სხვა კუთხეებში უკვალოდ გამქრალ საყდრისშვილობას...

მაგრამ ზოგადი ხასიათის საბოლოო დასკვნებისათვის არ არის საკმარისი ის ფაქტიური მასალა, რომელსაც მათიანე გვაძლევს; საჭიროა გაღრმავებული კვლევის ჩატარება ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალების მოშველიებით; განსაკუთრებით აუცილებელია მთელი ხევის და, კერძოდ, გერგეტის სამების ტაძრის ახლო მდებარე ძველ ნაგებობათა, ციხე-სიმაგრეების, „ქუაბების“, „ღარანთა“ და სხვა ნაშთების ძებნა და შესწავლა, წერილობითი ძეგლების (პირველ რიგში „1392 წ. მცხეთის საეკლესიო მამულების სიის“) მიშველიებით.

- 232 v. 1 წელთა დასაბამითგანთა ექუსიათას
 ცხრაას ოთხმოცდაორსა, ოკლონბერსა
 ათსა, მწუხრი კვრიაკისა რომელ ორშაბათად განთე-
 ნდებოდა, ძმად მათი მგნე, ახოვანი, ღთის მოყუარე.
 5 ბაადურ ამიერ სოფლით მიიცვალა და ღთისაჲ
 მივიდა, წლისა ოცდა ერთისა: წელ-
 თა დასაბამითგანთა ექუსიათას ცხრაას ო-
- 233 r. 1 თხმოც და ჩუდმეტსა, დეკენბერსა თურამეტ-
 სა, დღესა პარასკევსა, დედაჲ მათი ღთის მოყუარე,
 ობოლთა და გლახაკთა შემწყალე, მსგავსი
 წმიდათა დედათა, პატრონი დედისიზედი განვიდა
 5 წარმავალისა ამისგან და მივიდა საუკუნე-
 თა მათ წარუვალთა, წლისა ორმოც-
 დათოთხმეტისა: წელთა დასაბამითგანთა
 შუდიათას და ექუსსა, ივლისსა ერთსა,
 დღესა კვრიაკესა, მიმწუხრი, მამა მათი მგნე, ღთის
 10 მოყუარე, სახელ-განთქმული, საღთოფთა და საკაც-
 ობოთა ყოვლითა ზნითა შემკულ[ლი] პატრონი
 ყუარყუარე ამიერ სოფლითა გარდაიცვალად და
 წარვიდა სავანეთა მათ საუკუნეთა, წლისა
 ოთხმოც და ორისსა დღე აკლდა ორმოც-
 15 და თხუთმეტი, რომლისა საუკუნოჲ იყავნ ვსენებად მათი:
- 233 v. 1 წელთა დასაბამითგანთა შუდიათას და რვასა,
 მანისსა ექუსსა, დღესა ოთხშაბათსა, ჟამსა
 მეექუსესა დღისასა, პირმშოჲ ძმა მათი
 ღთის მოყუარე, მგნე, უძლეველი, მკედარი გან-
 5 თქმული, ახოვანი ბრძოლათა შინა, ყოვლით-
 ურთ და ყოვლადვე უმჯობესი ყოველთა კაცთა
 ამ ჟამისათა, სრული საღთოფთაცა შინა და სა-
 კაცობათა [!], პატრონმან [!] ქაიხოსრო განვლ-
 ოჲ მდენი ესე და წარმავალი საწუთოჲ
 10 და ღთისაჲ მივიდა, რომლისაცა ტრაქილ იყო და
 სუროდა, წლისა ორმოც და ცამეტისა,
 რომლისა საუკუნოჲმცა არს ვსენებად მათი: წელთა

დასაბამითგანთა შუღლიათას ოცდასამსა,
 [ი]ენისსა ხუთსა, დღესა სამშაბათსა, ჟამსა მზის
 15 [ა]მოსლვისასა, ძმად მათი, ღრთის მოყუარე, მკნე, უძა.

II. ზიორგი მფვის ასულის ამთეონის „სულთა მოსაკანეხავლი“

A: 1737

ჯ

- 210 v. 1 „ლოცვად შესუწნებულთა მამათა და ძმა-
 თა ჩუწნთა თჯხ. „მოვედით თაყუანის ვსცეთ“,
 გ გზის. „უფალო, შეისმინე ლოცვის ჩემის, ვე მე მონა
 შენი ვარ“. „დიდებად“, „აწ“. „დიდებულო დედოფალო, დედაო
 ქრისტეს, ღრთისა ჩუწნისო.“ სდ. „წო ღმერთო, მამაო ჩუწნო“.
 დასდებელი. „მოიქსენენ, უფალო, ვა სახიერ
 ხარ წყალობით“. სდ. „დიდებად“. „წმიდათა თანა განუ-
 სუწნე, ქრისტე, სულსა მონათა შენთასა, ს-
 ადა არა არს ქირი, მწუხარებად, არა
 20 ურვა, არცა სულთქუმა, არამედ სიხარულ-
 ი და ცხორებად იგი დაუსრულებელი“. აწ.“
 „შენ ხარ ზღუდე ჩნი და ნავთ საყუდელი
 და მეოხი, კეთილად შეწყნარებული ღრთისა
 მიმართ, რომელი ჰშევ შენ, ღრთის მშობელო უ-
 15 სძლოო, მორწმუნეთა ცხორებადო.“
 კსნი. მ. „ღმერთო, მილხინე“ — იბ. „უფალო, შეგც-
 ოდე“. იბ „მე ვთქუ, უფალო“. გ.
 „ლოცვა დაბეჭდვისა. უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩნო,
 დიდად სახელოვანო სიბრძნეო
- 211 r. 1 მამისაო, რომელი განსაცდელთა შინა მყოფთ-
 ა დიდად შემწედ გამოსჩნდი და განთლ-
 ენ ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუ-
 დილისათა მსხდომარენი შნ დბრისა მის თუალ-
 5 თშეუდგამისა, უფალო და მამისა მის მალლისა ძე-
 ო! საყდარო დაუსაბადმოო, დაუსრულებელო
 ნათელო დაუსრულებელისაგან და დაუსა-
 ბადმოსა ნათლისაგან აღმოსავალო, ს[ი]მართლ-
 ისაო მზეო, შეისმინე ჩნი, რომელსაცა დღესა
 10 გხადოდით შენ და მოიქსენენ სახიერები-
 თ და წყალობით მონანი შენნი პირველ დაძი-
 ნებულნი, მართლ მადიდებელნი: პაპი ჩემი
 პატრონი ყუარყუარე¹ და ბებერა ჩემი პატ-
 რონი დედისიმედი და მამად ჩემი მეფეთ მეფე პატ-

¹ ამ ადგილას, სტრიქონს ზემოთ (სტრიქონსა და სტრიქონს შუა), მარჯვენა აშიახე და
 შემო აშიახე გადატანით, ჩამატებულია:

„და ვახუშტ ყოფილი ვასილიოს და ძე მათი ამუან და და მათი პატრონი ელენე და
 მათი დედა ეკატერინე“.

- 15 რონი გ[იორგ]ი და ბიძა ჩემი პატრონი ქაიხოს-
რო და ბაადურ, მართალიხონ და გულბუ-
დახ და ყ[ოველ]ნი დაძინებულნი მიცვალებულნი ჩემნი.
და შეუნდვენ ყოველნი ბრალნი მათნი, ნებსითნი
და უნებლიეთნი და განუსუქნენ სულგზსაჲ მათსა¹
- 211 v. 1 ადგილსა ნათლისასა, სადა იგი არა არს მ-
წუხარებაჲ, სულთქუმა და საღმობაჲ, სადა იგი
ჰვარავს ნათელი პირისა შენისა, ყოველივე ც-
ოდვა მათი რ[ომელ]იცა უცოდავს — საქმით, გინა სიტ-
5 ყუით ანუ გონებით, ნებსით, გინა უნე-
ბლიათ, ვითარცა სახიერმან და კაცთ მოყუარემან
ღმერთმან შეუნდვენ და დააწესენ სულნი მათნი
საყოფელსა მართალთასა და ღირს ყვენ
იგინი მშჯდობასა და განსუქნებაჲსა, მეოხებით.
- 10 თა ყოვლად წმიდისა, უმეტეს კურთხეულისა დედოფლისაჲ
ჩრნისა ღთის მშობლისა და მარადის ქალწულისა
მარიამისითა, წმიდათა ზეცისა ძალთა, წმიდისა
და დიდებულისა წწყლისა წინა მორბედ-
ისა ნათლისმცემელისა იესითა და წი-
- 15 სა და ყდ ქებულისა მოციქულისა და მახარ-
ებელისა იე ღთის მეტყულისათა
და ყოველთა წმიდათათა რ გუშენის ყვე დიდებაჲ.
პატივი და თაყუანისცემა, თანა დაუსაბამ-
ოთ მამით და ყოვლად წმიდით, სახიერით და ცხო-
- 212 r. 1 ველს მყოფელით სულიოურთ აწ და
მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ. წმიდაო ღთის
მშობელო!
მეოხ ყვაჲ წინაზე ძისა შენისაჲ და ღთისა ჩრნისა
შესუქნებულსა პატრონსა პა[პ]სა² ჩემსა ყუა-
5 რყუარეს და ზებერაჩემსა პატრონსა
დედისიმედსა და პატრონსა მამას ჩემსა მეფ-
ესა გ[იორგ]ის³ და პატრონსა ბიძას ჩემსა ქა-
ინოსროს⁴, ბა[ა]დურს, მართალიხონს
და პატრონს იანქოს და გულბუდახს.

¹ ამის ქვემოთ დამატებით მიწერილია ორი სტრიქონი:

„პატრონის ქეთონ ყოფილისა ქრისტიანასა
და მათისა სიძისა სფირიდონისა. ამინ“.

² ამ სიტყვის ზემოთ (სტრიქონსა და სტრიქონს შუა), მარჯვენა აწიაზე და ზემო აწიაზე
გადატანით, ჩამატებულია:

„ვახუშტ ყოფილსა [ვასილიოს[ს] და ძესა მათსა ამოანს] დასაჲ მათსა ელენეს“.

³ აქ სტრიქონს ზემოთ, მარჯვენა აწიაზე გადატანით ჩამატებულია:

„ღედას ჩემსა თამარს და ძესა მათსა ვახტანგ ყოფილსა [ვარსიმეს]“.

⁴ აქ სიტყვა „ქაიხოსროს“ შეჲდგე, ზემოაღნიშნული წესით, ჩამატებულია;
„ძმასა მათსა იაკობს“.

- 10 და იქსნენ სულნი მათნი ყოელისაგან ჭირისა და
სატანჯველისა და დააწესენ სულნი მა-
თნი საყოფელსა მართალთასა და ღირს
ყვენ ივინი მშუდობ^ადასა კეთილთა მათ, მეოხ-
ებითა შენითა და სახიერისა მის ძისა შენი-
- 15 სა მიმართ კადნიერებით ვედრებად.
წმიდანო მთავარ ანგელოზნო, წმიდაო ი^ე ნათლის მ-
ცემელო, წმიდაო ი^ე მახარებელო, წმიდანო მოცი-
ქულნუ [!], წ^აწ^აყლნო, მოწამენო, მღღელთ-მო-
ძღუარნო და მამანო! მეოხ ეყვენით წინაშე
- 212 v. 1 უფლისა შესუშნებულსა პატრონსა ყუარყ-
უარეს და პატრონსა დედისიმედსა და მეფეს-
ა პატრონსა მამას ჩემსა გ[იორგ]ის და ბიძათა ჩემთ-
ა პატრონთა ქაიხოსროს და იანქოს
- 5 და ბა[ა]დურს და მართალიხონს და გულბუ-
დახს, რათა ღირს ყვენს ივინი უ^რ მკვდრყო-
ფად საყოფელსა მართალთასა, სავანესად
მას ზეცათასა, სადა იგი ჰფარავს ნათელ-
ი პირისა შენისა. რ^ა ჯერ მჩინებელარს წ-
- 10 ყალობისა და მისსა არს დიდებად უკუნითი უკუნისამდე, ამინ.
წმიდაო ბასილი! მეოხ, მცველ და მფარველ მე-
ყავნ მოსაგსა შენსა და მადიდებელსა პატ-
რონსა ქეთაონს, ძეთა ჩემთა ყოველთავე
და იქსნენ ყოველთა საბრჯეთა მტერისათა,
- 15 რათა შენ, ლ^ათისა მიერ, შემოქმედისა ყოველთასად
გადიდებდეთ, თანა მამით და ყოვლად წმიდით სახიერი-
თ და ცხოველსყოფელით სულით-
ურთ. აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ^ა.
- 213 r. „ამისსა უცებად მჩხრეკელსა ზებედ-
უს და მშობელთა მისთა შეუნდნეს
ღმერთმან. ამინ. და ვინცა შენდობით წარიკ-
ითხოთ, თქვენცა შეგინდნეს ღმერთმან. ამინ.

¹ 212 v-ს პირველ 11 სტრიქონს, პირველი სტრიქონის მესამე სიტყვიდან („პატრონ-
სა“) მოყოლებული, ზემო აწიხუ დაწყებით და მარჯვენა ნაპირზე (დასწვრივ) ჩამოტანით, მი-
წერილი აქვს:

„ვასილიოს და ძესა მუჰსაჲ ამოანს, დასა მათსა ელენეს“.

9.

Q: 920

III. ბანას ბადაწერილი 1504 წ. ოთხთავის ანდერძი

251 r. 1 „კურთხეულ არს ღმერთი.
სრულ იქმნა წმიდად
ესე ოთხთავი ქკნსა
მეათოთხმეტედ მოქცეულსა:
რკიზ. მარტა ს: ჯელი-
5 თა ცოდვილისა აკაკისითა: —

ოდ ყოფნითა. და ეგრეთ-
ვე შუშნიერთა ძე-
თა და ძის წულთა
30 მათთა ბედნიერო-
ბითა და დღეკეთილ-

251 v. თუცა ნაწერი უუნდობეს
აღდ შემოქმედისა არიან
ბრძანებანი. რომელნი ესე კაცთა
ცხოვრებისათჳს აღმოთქუნა,

ობითა საუკუნო იყავნ
საჯსენებელი და კურთხევად
მათი. ეგრეთვე დი-

10 მანვე, კაცთათჳსვე კაც ქმნ-
ულმან. ამთ იწურთიდი, უ-
ფროსდა საქმიოთ ჰყოფდი
და ჩემთჳს, მწარედ ცოდვილისა,
ლოცვაჲსა ჰყოფდი, მონაო

35 დებულთა მშობელთა მის-
თა: პატრონისა ყურყურ-
ესი და პატრონისა დედის-
იმედისა საუკუნო იყავნ ჯს-
ენებად მათი: ეგრეთვე
40 ქრისტეს მოყუარეთა ძმათა მისთა

15 ღთისაო, სარწმუნოო.
რომლისა ბრძანებითა აღიწე-
რა წმიდად ესე წიგნი, დიდისა
ღთის მოყრისა და მოწყალისა
პატრონისა დედოფალთა დედო-
ფალ-

45 პირველად პატრონი ბაადურ მი-
იცვალა.
პატრონისა ქაიხოსრო-
სი და პატრონისა ბაად-
ურისა საუკუნო იყავნ სა-
ჯსენებელი და კურთხევად მათი.

20 ისა თამარისნი მრავალ-
მცა არიან წელნი სუ-
ფევისა მათისნი. ნებად წა-
დილთა ზედა აღსრულებითა
დიდსა და ქრისტეს მოყრისა
პატრ-

50 პირველად პატრონი ბაადურ მი-
იცვალა.
ქკნსა: რკზ: ოკდბ ი დღ: ა.
პატრონი დედისიმედი ქკნსა.
როზ: დკბ. ით. დღ. ვ.
პატრონი ყრყრე ქკნსა
50 რკზ. ივლ. ა. დღ. ა.

25 ონისა ძმისა მათისა მზეკა-
ბუკის მორკმითა და ამ-

პატრონი ქაიხოსრო ქკნსა
რკზ: მაისს: ვ: დღ: დ.“¹.

¹ ქარაგმების გახსნით: „პირველად პატრონი ბაადურ მიიცვალა, ქრონიკონსა რკზ, ოკდომბრის დღისა ი; [ვამს]. პატრონი დედისიმედი—ქრონიკონსა როზ, დეკემბრის ით, დღის ვ[ვამს]. პატრონი ყუარყუარე — ქრონიკონსა რკზ, ივლისის ა, დღესა ა. პატრონი ქაიხოსრო ქრონიკონსა რკპ; მაისს ვ; დღის დ. (მღრ. „ათაბაგთა ქრონიკის ცნობები“, რომლებიც აქ დამახინჯებით არის გადმოცემული).

A: 1085

III. გერგეტის სამების მატიანე მოსაქსენებელი სულთაჲ

- 3 გვ. 1 *მატიანე მოსაქსენებელი სულთაჲ:*
 ვინაძთგან ინება სიბრძნემან ლთ[ისა]მან [არა-] ¹
 რადასაგან არსებად მოყვანებაჲ კაცობრივ-
 ისა ბუნებისაჲ და მიწად კაცად პირმეტყუელად
 5 დაჰბადა და სული შისი ცხოველი შთაჰბერა
 და ბრწყინვალე იგი ნათლისა სამოსელი შე-
 ჰმოსა და ყოველთა მთავრად სამოთხეს დაა-
 დგინა, ედემი განსასულნებლად დაუმკდრა
 და ყო იგი მღდელ. მეფე და წყყლ. ზოლო მტერმან
 10 ესე ვითარისა პატივისათჳს შური აღილო, ღმერთყო-
 ფაჲ აოცნა და მცნებაჲ ლთისაჲ შეურაცხყო და სამო-
 თხით განიდევნა და ტყავისა სამოსელი შეემოსა
 და ყოველთა ნათესავთა მისთა ხრწნილებაჲ და საკუდი-
 ლი დაგვ-²

მკვდრა*:

- 4 გვ. 1 ზოლო მეფემან ქუქალად მოწყალეებით მოიხილა და თანა-
 არსი ძე მისი ზეცით ქ[უქ]ყანად გარდამოავლინა,
 ქალწულისა მარიამისაგან განჯორციელ[ელ]და ³, ვნებანი
 თავს ისხნა და სიკუდილი ნეფსით დაითმინა,
 5 ჯოჯოხეთი წარმოტყუენა, ეშმაკი შეკრა, ადამ და
 ყოველნი ნათესავნი მისნი აღმოიყვანნა ⁴ და პირველსავე
 პატივსა და სამოთხისა მკვდრობასა ღირს
 ყუნა და გვწოდს ყოველთა განსულნებად საშუ-
 ბელსა სამოთხისასა, რომლისა ღირსმცა ვა-
 10 რთ მადლითა და კაცთ-მოყუარებითა უფლის ჩნისა
 იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ. კირიელეისონ,
 კირიელეისონ, კირიელეისონ. უფალო, შეგ-
 ვწყალენ, უფალო, გვაკურთხენ!

მეფეთა მოსახსენებელი (ძველი ფენა)

რომელმან პირველ ყოველთა მეფეთა იცნა ქეშმარიტი
 ღმერთი, ქრისტე მეფე და დადვა საფუძველი ქრის-

* „მატიანის“ ტექსტი დაწერილია ჩინებული ნუსხურით. მას თავკახშულობის ზოლი ამ-
 კობს; ყურადღებას იპყრობს წერისა და ორთოგრაფიის გამართულობა. დასაწყისი ასოები სინ-
 ზურით, დიდი მთავრული ასოებით არის დაწერილი.

¹ ამ პირველ სტრიქონში მერმინდელი მეღნით და ზელით უხეშად „აღდგენილია“ ასოები.

² ამ სტრიქონშია ც შევმელანშემოვლებულია სიტყვების „და სკ“ დილი დაგვკვდრა-ს*
 ასოები: ასკდილ აგვ.

³ ამ სიტყვაში ასო ლ დამახინჯებულია გადასულ ხაზებზე მერმინდელი შემოვლებით.

⁴ ამ სიტყვაში ვ დამახინჯებულია მოგვიანებით შემოვლებული ხაზით, რის გამო მას
 ვ-ს გამოხატულება მიუღია.

- ტიანოზისა და განანათლა ქუშყანა საქართველ-
 15 ოხსაჲ ქადგებითა წმიდისა ნინო მოციქულისაჲთა¹
 5 გვ. 1 სული დიდისა ღმთიე² გვრგვინოსნისა მეფეთ მეფე-
 ისა მირიანისი კურთხეულ იყავნ უკუნისამდე.
 სული დედოფალთა დედოფლისა³ ნანაჲსი
 კურთხეულ იყავნ უკუნისამდე.
 სული ყოველთა მეფეთა უწარჩინებულესისა დიდი-
 5 სა ვახტანგ გორგასლისაჲ კურთხეულ იყავნ უკუნისამდე.
 სული დედოფალთა დედოფალთაჲ ბალენდუხტ და
 ელენესი კურთხეულ იყავნ უკუნისამდე.
 სული ძისა მათისა დაჲი მეფისაჲ კურთხეულ იყავნ უკუნისამდე.
 სული ბაგრატ, დავით და აღარნასესი კურთხეულ იყავნ უკუნისამდე.
 10 სული დიდისა დავით აღმაშენებელისაჲ⁴ კურთხეულ
 იყავნ უკუნისამდე⁵.

მეფეთა მოსახსენებელი (ახალი ფენა)

- სული ბაგრატისი კურთხეულ იყავნ უკუნისამდე.
 და მეუღლისა მათისა კურთხეულ იყავნ უკუნისამდე.
 და ძეთა მათთა: გიორგისი და კოსტანტინესი
 15 კურთხეულ იყავნ უკუნისამდე⁶.
 6, გვ. 1 სულსა მის ყოვლისა აღმოსავლ-
 ეთისა ვიდრე დასავლეთამდის

¹ „მატიანის“ ამ გვერდზე, ქვემო აშიაზე, ლამაზი, მომკრო ნუსხურით, მკრთალი შავი შელნით მიწერილია:

„ანელ მთავარეპისკოპოსსა და ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტსა ბარამის ძესა უღირსსა იოაკიმს შეუნდვენ ღმერთმან ცოდვანი. და მისსა ძმასა სეფედავლეს შნს ღნ. ან: —: —: —“

² თ. ყორდანიას წაკითხვით: ღ[ვთიე]

³ დედოფალთ-დედოფლისა.

⁴ დავით აღმაშენებელისა (შდრ. ზ. ყორდანის. ქრონიკები, II, გვ. 246—247).

⁵ მეფეთა ნუსხა ამ სტრიქონს ქვემოთ ჩაწერილია სულ სხვა ხელით (სხვადასხვა ხელით). საერთოდ დავით აღმაშენებელით მთავრდება მეფეთა მოსახსენებელის ძველი ფენა, „მატიანის“ ტექსტის ხელით დაწერილი (ხელნაწერის მე-5 გვ.).

⁶ ეს ოთხი სტრიქონი დაწერილია ერთისა და იმავე, საკმარისად გაუმართავი, ნუსხურით, მსხვილი ასოებით, მეტად შავი მელნით, დავით აღმაშენებელის მოსახსენებელის ქვემოთ. იმავე ხელით, რომლითაც დაწერილია ბაგრატის, მისი მეუღლისა და ძეთა (გიორგის და კოსტანტინეს) მოსახსენებლები, მატიანეში, მე-17 გვერდზე შეტანილია დაჲა ზე დ გ ი ნ ი ძ ი ს ა მ ი ლ ა ხ ო რ ი ს მოსახსენებელი (იხ. ქვემოთ).

ამ (5) გვერდის ქვემო აშიაზე, მე-15—16 ს. ნუსხურით, ღია ყავისფერი მელნით, მიწერილია:

F „სულსა შოთასასა და გულდამისსა შნ ღრამნ, ან. ო. სულსა ნიკოლოზისსა და მშობელთა მისთასა შნ ღნ. ან. ო.“

კელმწიფედ ფლობით მპყრო-
ბელსა, მეფეთა შორის წარჩინებულ-

5 სა ალექსანდრეს შნს ღთმან.
სულსა დედისა მათისა ნათიაცო-
ფილსა ნინოსა შ[ეუ]ნ[დნე]ს ლმერთმან ¹.

10 სულსა დედოფალთა დედოფლისა
თამარისასა შნდოს ლმერთმან.
ძენი მათნი მშუღლობით დაიცუნ-
ეს ლმერთმან და ცოდვანი მათნი შნს ლმერთმან ².

6 გვ. [ს]ული დიდისა ღთ ივ გუირგვინოსნისა [!]
მეფსთა მეფისა გი[ორ]გისი კურთხეულ იყავნ ³.
ათაბაგთა ასულსა დედოფალთა დედოფალსა თამარს სულ⁴
კურთხეულ იყავნ. ამინ ⁴.

[ს]ული პატრონისა დედოფალთა დედოფლისა ნესტარდარეჯ-
ნისა კურთხეულ იყავნ და ცოდვანი მისნი შეუნდვენ
ღმერთმან ⁵.

¹ ალექსანდრე მეფისა და მისი დედის — ნათიაცოფილი ნინოს მოსახსენებელის შემდეგ დაუწერებლად არის დატოვებული ერთი სტრიქონის დამტევი ადგილი.

² ალექსანდრე მეფის, მისი დედის — ნათიაცოფილი ნინოს, ცოლის თამარისა და მეფის ძეთა მოსახსენებელი დაწერილია ერთისა და იმავე შავი მელნით, ერთი ხელით — მსხვილი ნუსხურით, რომელიც შესამჩნევად განსხვავდება „მატიანის“ ტექსტის და მეფეთა მოსახსენებელის ძველი ფენის ტექსტის ხელისა და მელნისაგან.

ალექსანდრე მეფის მეუღლის, დედოფალი თამარის მოსახსენებელის ბოლო სტრიქონზე, მკრთალი მელნით, ნუსხურით, მიწერილია:

„ს ა ლ ა მ ა ს ა და მისსა მეუღლესა რ ა ი ნ დ ო ს შნდნეს ღნ“.

³ გიორგი მეფის მოსახსენებელი სხვა, ოდნავ უფრო წვრილი, ლამაზი ნუსხურით არის დაწერილი.

⁴ თამარ დედოფლის მოსახსენებელი დაწერილია განსხვავებული მელნით (მკრთალი ყავის ფერით) და ხელით, უფრო წვრილი ნუსხურით. სიტყვები: „კურთხეულ იყავნ. ამინ“ მარჯვენა ნაპირზე არის ატანილი, ასწვრივ.

⁵ დედოფალთ დედოფლის ნესტარდარეჯნის მოსახსენებელის ხელი და მელანიც სხვა არის: მელანი — ოდნავ უფრო მკრთალი შავი ფერისაა, დაწერილია შედარებით წვრილი, გამართული ნუსხური ხელით. საყურადღებოა, რომ „ათაბაგთა ასულის, დედოფალთა დედოფლის“ თამარის მოსახსენებელი უშუალოდ მისდევს „მეფსთა მეფის გიორგის“ მოსახსენებელს, ხოლო „პატრონის დედოფალთა დედოფლის ნესტარდარეჯნის“ მოსახსენებელი თამარის მოსახსენებელის ქვემოთ არის ჩაწერილი. მაგრამ აქ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თამარის მოსახსენებელის სამი უკანასკნელი სიტყვა: „კურთხეულ იყავნ. ამინ“ — ეტრატის ამ გვერდის მარჯვენა ნაპირზე არის ატანილი (ასწვრივ). თუ ვივარაუდებთ, რომ „ათაბაგთა ასულის თამარის“ მოსახსენებელი „ნესტარჯანის“ მოსახსენებელზე ადრე იყო ჩაწერილი, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ადგილას ო რ ი ს ტ რ ი ქ ო ნ ი თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო და თამარის მოსახსენებელის უკანასკნელ სიტყვებს სრულად გაუტირალად დაიტევედა. რაკი ეს არ მოხდა და თამარის მოსახსენებელის ჩამწერმა უკანასკნელ სიტყვები ქვედა სტრიქონზე კი არ დასწერა, არამედ ნაპირზე აიტანა, უნდა დავასკვნათ, რომ როცა თამარის მოსახსენებელი იწერებოდა, ქვედა სტრიქონები უკვე დაწერილი ყოფილა. მაშასადამე, ნესტარდარეჯნის მოსახსენებელი უფრო ადრე ყოფილა ძეგლში ჩაწერილი. ამ მოსახსენებელსა და გიორგი მეფეთ-მეფის მოსახსენებელს შუა დარჩენილი ყოფილა ერთი სტრიქონის ადგილი. ათაბაგთა ასულის, დედოფალთა-დედოფლის თამარის მოსახსენებელი, ნუსხაში ნესტანის მოსახსენებელზე გვიან შეტანილი (საფიქრებელია, ამ პიროვნების უფრო გვიან გარდაცვალების გამო), დაუწერიათ თავისუფლად დარჩენილ სტრიქონზე, მეფეთ-მეფის გიორგის მოსახსენებელისა და დედოფალ ნესტარდარეჯანის მოსახსენებელს შუა.

- 28 გვ. 1 „სული ღთვ გურგნოსნის მეფეთ მეფისა კოსტანტნესი კურთხეულ იყნეს უკუნისამდე. „სული დედოფალთა დედოფლისა თამარის კურთხეულ იყნეს უკუნისამდე*.
- 30 გვ. 1 „აქა ძე გ[იორგისა] მეფეთ მეფისაჲ ვახტანგ მეფედ იქმნა, შეწვენითა¹ წი²სა სამე- ბისდათა. ქრონიკონი იყო: რ³ჲი³ბ: — დღეგრძელობით² და კურთხე[უ]ლ³ ამყოფე,
- 5 წმიდაო სამებაო, ამიერ⁴ და უკუნისამდე, ამინ:“ სოფელი შემოგწირა ქუაბი. ვინცა გ- ამოგწიროს, ანუ მეფემან ანუ სხუამან მებატონემან, რისხაესმცა წმიდაჲ სამებაჲ, ერ- თარსებჲ. კრულშცა არს სული მისი. ნე-
- 10 სტორ და ოროგინეს თანამცა დაის[ა]ჯებჲს⁵. დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს. ამინ.

„მატიანის“ დაბოლოება

10 გვ. 1 ძმანო და მამანო! აღვიდეთ პირველისავე მიმართ სიტყუსა. ვთქოთ ყოველთა: „მეფე ჩვენი: სახელით. მრავალ ქაძიერ ყაენ უფალო ღმერთო, ამინ.

* კოსტანტინე მეფისა და დედოფალის თამარის მოსახსენებელი დაწერილია ოდნავ მკრთალი სივრცით, საშუალო ზომის ნუსხურით.

^{1, 2} სიტყვებში: „შეწვენითა“, „დღეგრძელობით“, „ამყოფე“, „სამებაო“, „ქუაბი“, „გამოგწიროს“, „რისხაესმცა“, „დამამტკიცებელნი“ — უვიცი ადამიანის ხელით შესწორებული („აღდგენილი“) არის ზოგიერთი გადასული ასო.

³ თ. ჟორდანიას წაკითხვით — კ უ რ თ ხ ე ვ ი თ. მაგრამ ტექსტში გვაქვს კ³ხლ—კ უ რ თ- ხ ე [უ] ლ.— აღსანიშნავია, რომ ნუსხური ღლ-ს პირველი ხაზი მეტად მოკლე არის.

⁴ თ. ჟორდანიას წაკითხვით „ამინ“ — მაგრამ არ არის საფუძვრები გამოთქმა: „ამინ- და უკუნისამდე ამინ“. ჩვენ აქ ვკითხულობთ „ამ⁴რ“-ა მიერ, ამ ღრთიდან, აწესიდან (მდრ. ქრონ. II, გვ. 303).

⁵ თ. ჟორდანიას წაკითხვით „დაისჯებჲს“ — მაგრამ ამ წაკითხვით ჯ ზომზე მეტად გა- ნიერი გამოდის. გარდა ამისა კრულის ფორმულაში თითქმის ყველგან გვხვდება „დაისაჯე- ბის“.

ამ (30-ე) გვერდის ქვემო სტრიქონებზე იკითხება ოქროსფერი მელნით დაწერილი:

1. „ტრაპიზონელსა ბერძენსა მ[აწ]ყუფერ[ელს]

..... შნს ღნ

2. „პატრონისა და სახელგანთქმულისა, დიდისა პატრო- ნისა ყუარყუარეს მესტუმრესა და ამირათ ამირასა ნოშრევან ყოფილსა ნეოფიტეს შნ ღნ ამინ. და მის[ს]ა მეუღლესა[გუულქან ყოფილსა] გაიანეს შნს ღნ“.

ამავე გვერდის ზემო აშიზზე, მკრთალი მელნით, მეტად მსხვილი, კუთხოვანი ასოებით (ნუსხ.), მიწერილია:

„ღმერთო და წმიდაო სამებაო! შეიწყალე სული ბატონის ხორცისა ცოლის ელგანდო- ყოფილის გეატერინესი. ამინ“.

ხაყდარი ესე მყუდროებით და უშფოთველად
დაიცვას ღმერთმან. ამინ.

საყდრისა ამის მოსავთა, მადიდებელთა, მატთანესა შინა
აღწერილთა და გარეშემო დასაფლავებულთა ყოველთა
შ"ნ ღ"ნ.

რომელთა საყდარსა ამას შემოწირეს ქუწყანად, სოფლად,
გლეხად, ვენაჟად, მიწად, ყოველთა შ"ნ ღმერთმან.

რომელთა საყდარსა ამას შემოწირეს წიგნად, ხატად, ქურ-
10 კლად, სანთლად, საკუმეველად, ოქროდ, ვეცხლად, მხ-
მედ, ზედაშედ, ყოველთა შ"ნ ღ"ნ ან.

რომელნი საყდრისა ამის ერთგულად მოსამსახურენი იყვნენ
სიტყვთ და საქმით — ყოველთა შ"ნ ღ"ნ.

რომელნი საყდრისა ჩუშნისა დაკლებისა, მიხუტვისა,

- 15 მოტაცებისა და დამცრობისა მდომელნი, ურჩ¹
- 11 გვ. 1 ნი, წინააღმდეგომნი და მაცილობელნი — იყუნენ
- 2 კრულ, წყეულ და შეჩუწნებულ, უკუნისამდე ამინ².

ერისთავთა მოსახსენებელი *

- 7 გვ. 1 სული შანშესი და ძმისა მათისა ვახტა-
ნგისი კხ"ლ იყავნ უკუნისამდე.

სული ყოველთა ერისთავთა შაბურის ძე-
თა კურთხეულ იყავნ უკუნისამდე.

- 5 სული ერისთავთა ერისთვისა
ჭუჭისა³ კურთხეულ იყავნ უკუნისამდე⁴.

სული ერისთავთა ერისთვის ვარამისი
კურთხეულ იყავნ უკუნისამდე.

სული მათისა მეუღლისა დაბდაჟსა კურთხეულ
10 იყავნ უკუნისამდე.

ხული ერისთავთა ერისთვისა ვახ-
ტანგისი კურთხეული იყავნ უკუნისამდე.

¹ მე-10 გვერდის ქვემო აშიახე, მე-18 ს. წვრილი, ლამაზი მხედრულით, მკრთალი მელნით მიწერილია:

„ყოვლად სამღუდლოისა წილქნელ მიტროპოლიტისა
ამბროსისა შეუნდუნეს ღმერთმან, რომელჟან ერთგულ-
ად იმწყემსა [სამწყსოსა თვისსა. 178[2]“.

² მე-11 გვერდის სხვა ჩანაწერები იხ. ცალკე, ქვემოთ

ლით დაწერილი, მეფეთა მოსახსენებელს მისდევს.
³ ამ გვერდზე მოთავსებული მასალა „მატიანის“ [ძირითადი ტექსტის ხელ-
წერისა დაწერილი, მეფეთა მოსახსენებელს მისდევს.

⁴ თ. ჟორდანიას წაკითხვით: „ჭუჭაჟსა“. (თ. ჟ. ქრონიკები. II, გვ. 203).

⁵ ამ სტრიქონის ქვემოთ ერთი სტრიქონი, დაუწერელად დატოვებული, მოგვიანებით შეე-
სებულა მკრთალი მელნით, მე-16-17 ს. მხედრულით:

„სულსა დედისა თუხარელისა თაგბრ, სჲ შეუნდუნეს ქვაბმან ბეთ-
ლემისამან. ამინ“.

სული ერისთავთა ერისთვისა მიქაძსა
კურთხეულ იყავნ უკუნისამდე. სული დისა მათისა ელენე-
15 სი კურთხეულ იყავნ უკუნისამდე¹.

8 გვ. 1 „სულსა“ [ჩ]ა. ახისა შვილისა იოვანესა შ^რ ლ^ნ [წმიდა-
მან] სამე [ბამან]²,
სულსა [ვმნ] უკსა [მლდელისასა?]
სული ერისთავთა ერისთვის ნუგზარისი კურთხეულ იყ^ვ
უკუნისამდე.

სული მათის მეუღლისა დედისიმედისა
კ^ზლ იყავ უკუნისამდე.

5 სული ძეთა მათთაი ლომის და შაბურისი კ^ზლ იყავა³.
სული ერისთავთა ერისთვისა [ვა]მიყის
[შ]ვილისა [ო]მარ [ლ]ნ
სულსა მათისა მეუღლისა ა რ მ
. [შა?]ბუ[რ]ას

10⁴
მისსა მეუღლესა მეფისა ასულის მარიამს შ^რ ლ^ნ ა^რნ⁵
სულსა უჯარმელის ძისა თაყიადინისსა შ^რს ლმერთმან, ამინ.
სულსა მათისა მეუღლისა ვახუშტის ასულისა
[ნ]ესტანჯარს ცოდვანი მათნი შ^რს ლმერთმან. ა^რნ. ო^რ.

15 ძესა მათსა როინს შ^რს ლ^ნ ა^რნ, ო.
ჯურავალის ძისა ასულსა ესნათობს შ^რს ლ^ნ. ა^რნ⁶.
სლ^ნსა ერისთავთა ერისთვისა ნუგზარისსა შ^რ ლ^ნ.

¹ ამ გვერდზე (7) მოთავსებულ ერისთავთა მოსახსენებელის გარშემო: ზემო, მარჯვენა და ქვემო აშიებზე, გვაქვს მთელი რიგი მეტად ძნელად ამოსაკითხავი მინაწერი:

1. ზემო აშიაზე „[ბასილსა] შ[ეუნდოს ლ^ნ] | და მის[სა] მეუღლეს- თამარს შეუნდნეს ლმერთმან“.

2. მარჯვენაზე: „სულსა ს... რაბელისა სახ | ლისასა შეუნდ | ნენს | წმიდამუნ სამებ[ამან].“ (ამ მხარეზე სხვა მინაწერები ძნელად იკითხება: „მამის იმედსა და მისა“ და სხვ.) ქვემო აშიაზე, მხედრული ასოებით [მე-15-16 ს. ხელით]:

„სულია საწყალობელისა ამაონისა | სა შეუნდევენი [!]: [ლა] გა მადელსა | წმიდის სამე- ბისა ვინაცა | [შალვასა]“.

² ეს პირველი ორი სტრიქონი დაწერილია მეტად მკრთალი ჟანგისფერი მელნით; გადასული ასოები ძნელად იკითხება. განსაკუთრებით მეორე სიტყვა, რომლის პირველი და მესამე ასო დამახინჯებულია უცნობა ყალბისმქნელის ხელით. შესაძლებელია აქ „ვ ა ხ ა ხ ი ს შ ი ე ი ლ ი ს ა“ ეწეროს, მაგრამ პირველი ასო უფრო ჩ-ს წააგავს.

³ ეს სამი სტრიქონი დაწერილია ერთი და იმავე ნუსხურით [მე-15—16 ს.], ყავისფერი მელნით.

 თაყაიშვილი ექვთიმე 197, 222, 228, 252.
 თაყიადინ, უჯარმელის ძე 268 (8,₁₂) 236, მეუღლე მისი [ნესტანჯარ, ასული ვახუშტისა (8,₁₃) 236, ძე მათი როინ (8,₁₅) 236
 თაყიადინ ყოფილი თეოდოლე, თმოგველ-უჯარმელი 236
 თეიმურაზ [მეორე], ცხებული მეფე [მამა ირაკლი II-სა] 244, 245, 286 (37,₁)
 თეოდოლა ხუცესი 205
 თექთურმანიძე იესე 244
 თექთურმანიძე პაპა 244
 თინათინ 274 (17,₃)
 თოთია 272 (13,₁₂)
 თოთიაური ლალია 269 (8,₂₀)
 თრუსოველნი 272 (13,₂₂)
 თუალას შვილი სორაზან 283 (31,₁₁₋₁₂), მეუღლე მისი გულდაბი (31,₁₂₋₁₃)
 თუთა, ქართლის მეფის ვახტანგ [VII]-ის ასული 288 (39,₈) 244
 თურმისის [თურმანიძის?] შვილი სანდუხტ, მეუღლე იოანე რატის შვილისა 284 (33,₃₋₆)
 თუხარლის ძე შერმანდინ 280 (25, შენ. 7), მეუღლე მისი იამინდო (25, შენ. 3)

0

იაკობ, ათაბაგების—ყვარყვარესი და დედისიშემდის ძე 210, 211, 216
 იანჭო, ათაბაგების—ყვარყვარესი და დედისიშემდის ვაჟი 204, 207, 208, 209
 იგოლისი, პატრონი 276 (20,9)
 იოვანე მანგლელ-ტფილელი 248
 ინგოროყვა პავლე 222
 იოაკიმე, ანჩელ მთავარ ეპისკოპოზი, თორმეტ უდაბნოთა არქიმანდრიტი 235, 264 (4, ქვ. აშიაზე)
 იოთამ, ქეთეონისა და ვახუშტის ძე 211, 212
 იორამ, ძე სფირიდონ ბეენაშვილისა და ელენესი 214
 იოსელიანი პლატონ 240
 ირაკლი მეორე, მეფე 220, 245, 286 (37,1-3)
 ირინე, სანდუხტ ყოფილი 280 (26,2)
 ირუბაქის ძე იხ. ჩოლაყასშვილი ბეენა 240

3

კავკასის ძე ზაქ[არი]ა 277 (20,15)
 კათალიკოზი ბატონი[?] 285 (36,4)
 კახაბერი 280 (25,2), მეფულე[?] მისი ოსნაოზ და მარბ (25,3)
 „ ძე მისი ლიპარიტ (25,6)
 კეკელიძე კორნელი 197
 კლიმი 278 (23,9-10), მამა მისი ნიკოლოზ (23,10), დედა-თეკლა (23,11),
 „ ძმა მათი[?] მაქსიმე (23,12)
 კოსტანტინე [მეფე], ძე ბაგრატ მეფისა, ძმა გიორგისა 264 (5,14)
 კოსტანტინე [მეფე] 248
 კოსტანტინე დემეტრეს ძე [მეფე ქართლისა] 239
 კონსტანტინე ბაგრატის ძე 229
 კოსტანტინე მეფეთ-მეფე [ქართლისა 1479—1505] 233, 234, 266 (28,1-2)
 „ [მეფულე მისი] დედოფალი (თამარ 28,3)

ლ

ლაზარე [სალთხუცის შვილი?] 287 (39,2)
 ლეკი [=ლეკი, ლეკები, ლეკეთი] 287 (38,16)
 ლაშქარა და შვილი მისი რომნე 280 (24,20)
 ლომის ძე, წინამძღუარი შიო 280 (25,15)
 ლაშქარაული 272 (14,5-6)
 ლომსთა დედაბერი ბურსი[?] 276 (19,10)

მ

მაკალათია სერგი 244, 247, 248, 251
 მაკარაშვილი გერასიმე 282 (29,5)

მკარე, მიქელყოფილი, სვიანბერი მოძღვარი 283 (31,¹⁴⁻¹⁵)
 მამისა, მამა სფირიდონისა (ქეთაონ-ქრისტინეს სიძის, 280 (24,¹⁶))
 მამქან ყოფილი მარინე, თმოგველ-უჯარმელთა ასული 236
 მანუჩარ, პატრონი 250
 მანუჩარ, ძე ყვარყვარე ათაბაგისა, ძმა ბაადურისა 204, 205, 208
 მართალიხონ, ძე ყვარყვარე ათაბაგის და დედისიმედისა 204, 207, 208, 215
 მარი ნიკოლოზ, აკად. 212, 235, 240
 მარიამ, მეფის [გიორგის?] ასული, მეუღლე [ერისთავისა] 268 (8,¹¹)
 მარის 285 (34,⁹)
 მასკელავისა, გამდელი [ქვენიფნეველთა?] 284 (33,¹⁰⁻¹¹)
 მასურბეგ, დაი ბატონის შალვასი და მისი მეუღლის ულუმპიასი 269 (11,⁵)
 მაქსიმე, ძმა [კლიმისა?] 279 (23,¹²)
 მაჩაბელი გიორგი 270 (28,¹⁸), მეუღლე მისი მირანდუხ (28,¹⁹)
 მაჩაბელი ივანე 270 (28,²⁰), მეუღლე მისი თინათინ (28,²¹)
 მახარებელ და მეუღლე მისი ეთერ 270 (28,¹⁷)
 მახარებელი დადე 283 (32,¹)
 მეტრეველი ელენე 197, 240
 მზეკაბუჯ, ძე ყვარყვარესი და დედისიმედისა 198, 199, 200, 202, 203, 204,
 208, 209, 211, 213, 215, 234
 მთიულნი 245
 მი[დე]ლაური, ყარაბულა 273 (15,¹), მეუღლე მისი შუენიერი (15,²)
 მირასანი იოსებ 270 (28,⁶)
 მირიანი, მეფეთ-მეფე 227, 228, 229 264, (5,¹⁻²)
 მიტროფანე ნინოწმინდელი, ძმა არაგვის ერისთვის ბაინდურისა 285 (35,¹¹)
 მიქაელ, ქართლისა კათალიკოსი 248
 მიქელიშვილი გიორგი 285 (35,¹⁴), ქალი [მისი]ანუკა (35,¹⁵)
 მიქოსძე ლომია 273 (16,³)
 მოხევეები 244
 მოჩხუბარიძე, იხ. ყაზბეგი ალექსანდრე
 მრუტლის შვილი, მღვდელი ბეჟან 284 (32,¹⁹) მეუღლე მისი ყაჩაელთ ასული
 ულუპია (32,²⁰⁻²¹)
 მურთუას ძე ანტონა 276 (20,⁸)
 [მლ]რიბ, შვილი რუსასი 277 (20,¹⁴)

6

ნადირაული, აფია 272 (13,¹²)
 ნათიყოფილი ნინო, დედა ალექსანდრე მეფისა [II] 230, 265 (6,⁶⁻⁷)
 ნანა, დედოფალთა დედოფალი 228, 264 (5,³),
 ნ[ა]რდი, დაჲ ჯრმელიქისი 276 (20,⁴)
 ნეოფიტე, ნოშრევან ყოფილი, ყვარყვარე [ათაბაგის] მესტუმრე და ამირათ
 ამირან 266 (30, შენ. 2) 235

- [ნ]ესტანჯარ, ვახუშტის ასული, მეუღლე უჯარმელის ძის თაყაიდინისა 236, 268 (8,13)
 ნესტანდარეჯან, დედოფალთ-დედოფალი, პატრონი [გიორგი მეფეთ მეფის VIII-ის II მეუღლე] 231, 237, 265 (6,5-7)
 ნეჭისძენი, საყდრისშვილნი 248
 ნინო მოციქული 228, 288 (439,6); || ქართლის მომქცეველი 269 (9,9-10) ||
 ქართველთა მნათი 225, 244, 256.
 ნონა ჯაფახიშვილი შენრა (?) 281 (27,11)

ო

- ოთა, დეკანოზი მაკარაშვილის გერასიმესი [?!] 282 (29,6)
 ონიასშვილი გონგლია 272 (13,14)
 ორაგენდა, ძე ყვარყვარე ათაბაგის 204, 208
 [ორბელიანი] თამას, სარდალი 219 (2,5-6) არაგვის ერისთავის გიორგის სი-
 მამრი.

პ

- [პა]ტას ძე საღირ 281 (26,10), მეუღლე მისი მარინ (26,11)
 პაველ [კას]||[ნი]|| (29,8) მისი მეუღლე ყოფილი ნინო 282 (29,9)
 " " " შვილი მათი ფარადა (29,9)
 პაპა და მეუღლე მისი შრინდო 281 (27,13)
 პაპრუაშვილი შიბლია 273 (16,2-3)
 პარდარის ძე 272 (13,8)

ჟ

- ჟამთა აღმწერელი 200
 ჟორდანიო თევდორე 203, 208, 209, 212, 213, 218, 220, 223, 224, 229, 230,
 232, 233, 234, 237, 239, 242, 248, 249, 250, 254
 ჟურული გიორგი, წინამძღუარი, მეფეთა წინა მოსაქმე 280 (25,16)

რ

- რაოდენ დედოფალი, ყვარყვარე ათაბაგისა და დედისიმედის [ასული? რძა-
 ლი?] 208
 რატისშვილი 275 (17,18)
 რატისშვილი იოანე 284 (33,2), მეუღლე მისი სანდუხტ, თურმეძისა შვილი
 (33,4-5)
 რატიშვილნი 220
 რიფსიმე, რუამიდურ ყოფილი 282 (27,17)
 როდამ, მეუღლე ზურაბისა 281 (27,16)
 როინ, ძე უჯარმელის ძის თაყაიდინისა და ვახუშტის ასულის [ნ]ესტანჯარისა
 268 (8,13-14).

როსებ 276 (20,₁)
 როზნია, მესტუმრეთა უხუცესი 277 (21,₂)
 რუადამ, ბატონი 276 (19,₁₇)
 რუამიდურ ყოფილი რიფსიმე, დაჲ ზურაბის მეუღლის როდამისა 282 (27,₁₇)
 რუსა 277 (20,₁₃)
 რუსთაველი შოთა „მგოსანი“ 218
 რუსუდან, ვახტანგ [VI] ქართლის მეფის მეუღლე 288 (39,₇)

ბ

საბა 281 (27,₄), მეუღლე მისი ლაილა (27,₅)
 საგინ[ა]შვილის ასული დულარდუხტ 284 (34,₁₋₂)
 საერაჲს შვილი 272 (14,₆₋₇)
 სალამა 265 (6, აშიაზე)
 სალთხუცესი ქი...? 287 (39,₂), მისნი [შვილნი?]: ლაზარე (39,₂) და
 ვალენტი (39,₂)
 სანდუხტ ყოფილი ირინე 280 (26,₂)
 ს[ა]რო 272 (14,₂)
 სასნაშვილი 272 (13,₁₄)
 საღირ, პატას ძე 281 (26,₁₀), მეუღლე მისი მარეხ (26,₁₁)
 საყდრისშვილნი 272 (14,₁₂), 285 (36,₃₋₁₆; 19-20)
 სეგრდს შვილი გრიგოლ 277 (21,₁₀)
 სენაოზ, სევედაოზყოფილი 274 (17,₅)
 სეფედავლე ძმა იოკიმესი, აწჩელ მთავარეპისკოპოსისა 264 (4 მინაწ.)
 სილიფისტრო, სავლე ყოფილი 280 (26, შენ. 2)
 სიმერნელის შვილი პიპი 277 (21,₄)
 [სიმონ] მაწყვერელი, ტრაპიზონელი ბერძენი 235, 266 (შენ. 5,₁)
 ს[იტ]ას შვილი, ბერი 277 (21,₉)
 სოლემანის ძე აჩაჲ 272 (13,₉)
 სვანბერი, მოძღვარი—მიქელ ყოფილი მაკარე 283 (31,₁₄₋₁₅)
 სპარსნი 287 (38,₁₁) 242
 სულეიმან, შაჰი ირანისა 243
 სფირიდონ, ბენაშვილი, ქეთევონ-ქრისტინეს სიძე, მეფეთ-მეფის ასულის ელენეს ქმარი 211, 213, 214, 215, 234, 280 (24,₁₅), „მამა მათი მამისა“ (24,₁₆), „დედა მათი დედისიმედი“ (24,₁₇)
 სხუქრასძე ზოსიმე 282 (29,₄)

გ

ტბელას ძე, იწე 283 (31,₆); მეუღლე მისი გულარმში (31,₆)
 ტოზი, მამა როსებისა 276 (20,₁₋₂)

უ

ულუმპია, მეუღლე ბატონის შალვისი 269 (11,₃₋₄)
 უჯარმელის ძე თაყიადინ 268 (8,₁₂), მეუღლე მისი ვახუშტის ასული ნესტან-ჯარ (8,₁₃₋₁₄)

უჯარმელის ძის თაყაიღინის და ვახუშტის ასულის [ნ]ესტანჯარის ძე როინ (8,₁₅)

ზ

ფანასკერტელი თაყა, მეუღლე მისი მარინე 236
 ფარადა, პავლე [კას]ის და ნანოს შვილი 282 (29,₉)
 ფარეზუზ, პატრონი 276 (19,₆) 235
 ფაშიდი 285 (35,₄)
 ფისაძე, ბარნაბე 259 (9,₇)
 ფრიდონ 282 (29,₁₈), მეუღლე მისი დედისიმედი (29,₉)
 ფურცელას ძე ნორადინ 283 (31,₉₋₁₀), მეუღლე მისი სიღუბტი (31,₁₀)
 ფეგლიშვილი 272 (13,₁₈)
 ფხუშნელას ძე ინანა 280 (25,₆), მეუღლე მისი გულზურაბ (25,₇)

ძ

ქადაგის ძე ვიგრი 277 (21,₇), მეუღლე მისი ლალითარსაინ (21,₈)
 ქადორაძე (13,₆)
 ქავთარას ძე ახალციხელი 280 (25,₁)
 ქაიშაროზ, შალიკასშვილი 277 (21,₁₂)
 ქაიხოსრო ათაბაგი, ძე ყუარყუარესი 198, 199, 200, 201, 202, 203, 204,
 207, 208, 210, 215, 216, 221, ქეიხუასრო 279 (24,₈)
 ქეთონყოფილი ქრისტინე, მეფე-მეფის გიორგის ასული, მეცხედრე ვახუშტ-
 ყოფილი ვასილიოსისა 205, 206, 208, 211, 212, 213, 214, 215, 221, 231,
 233, 234, 238, 252, 279 (24,₁₁₋₁₂).
 ქერჩის ძე იმ[ა]რინდო 280 (26,₁)
 ქვენიფნელი მიქსლ [ერისთავი] 284 (32,₁₆), მეუღლე მისი თინათინ (32,₁₆₋₁₇)
 შვილები მათნი: გიორგი (32,₁₇), პაპა (32,₁₈)
 ქვენიფნეველნი 220, იხ. ქუენიფნეველნი
 ქიშვარ 272 (14,₅)
 ქრისტინე, ქეთონყოფილი, მეცხედრე ვახუშტიყოფილის ვასილიოსის. იხ.
 ქეთონ
 ქვენიფნეველი, ბატონი 283 (31,₄)
 ქვენიფნეველი თომა 270 (28, შენ. 3), მეუღლე მისი [ეს]მინდარმიტან (28,
 შენ. 3)
 ქსნის ერისთავნი 224
 [ქუენიფნეველი] ახალციხელი 270 (28,₁₂₋₁₃)
 ქუენიფნეველი მანუჩარ 270 (28)
 ქუენიფნეველი სიოაშ 270 (28,₁₀) მეუღლე მისი სინერახათუნ (28)
 ქუენიფნეველი ფარეზუზ 270 (28,₉)

ლ

ლალნიაშვილი 272 (13,19)
 ლუღუშაური მოძღუარი, გიორგი 278 (23,2-3), მეუღლე მისი ანნა (23,5)
 ლუღუშაური, შალვა 272 (14,3)
 ლუღუშაური ჯერასიმე, მოძღუარი 276 (20,10) მეუღლე მისი რუსუდან (20,11)

ქ

ყაზბეგი ალექსანდრე (მოჩუბარიძე) 225, 226, 250, 251
 ყალარდოშვილი 272 (13,22)
 ყანობელი 272 (13,24)
 ყარაბულაშვილი დარჩია 272 (14,9)
 ყარასშვილი დავით 274 (17,4)
 ყაჩაღთ ასული ულუპია, მეუღლე მრუჭლისშვილის მღვდლის ბეჟანისა 284
 (32,20-21)
 ყვარყვარე ათაბაგი იხ. ყუარყუარე
 ყუარყუარე ათაბაგი, ათაბაკთა ათაბაკი 197, 198, 199, 200, 201, 202, 203,
 204, 207, 208, 209, 215, 216, 221, 231, 233, 234, 235, 236, 237,
 238, 239, 240, 279 (24,5)
 ყვარყვარე ათაბაგი, ქაიხოსროს ძე, დიდი ყვარყვარეს შვილიშვილი 213

შ

შაბურიძე—ერისთავთა-ერისთავი მიქაი 224
 შაბურის ძენი—ყოველნი ერისთავნი შაბურის ძენი 224 (იხ. „ერისთავთა-
 მოსახსენებელი“, 267 და სხვ.)
 შადური ვანო 250, 256
 შალვა, ბა[ტ]ონი 269 (11,1)
 შალვა, პატრონი 238
 შალიკას შვილი ქაიხაროზ 277 (21,12), მეუღლე მისი ანძავლის ასული გულქან
 (21,11)
 შალიმანისშვილი, ივანე 272 (13,17)
 შამბათაძე ივანე 272 (13,9), 246
 შანშე [ერისთავი] 267 (7,1)
 შაშარ 272 (14,9) 246
 შიდადელის ძე, ბედისმწერლიშვილი ნათანაელ 269 (9,4-5)
 შიო [ერისთავი?] 276 (19,18)
 შმერლინგი რ.ო. 226
 შოთა 264 (5, ქვ. აშიაზე)
 შოთა „მგოსანი“ [„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი] 217, 218
 შრინდო, პაპას მეუღლე 281 (27,13)

ჩ

[ჩ]აიხისა შვილი იოვანე 268 (8,₁)

ჩიკუტის ძე გიორგი 280 (25,₁₀)

ჩოლაყასშვილი II ირუბაქის ძე ბენა, გიორგი მეფის [VIII] სახლთუხუცესი, იერუსალიმის ქართული მონასტრის ჯვარის მამა [და დედა მისი ვულზურბი] 220, 240, 241, 281 (26,₃₋₄₋₅₋₆)

ჩომახაშვილი საბა 282 (29,₆₋₇), მეუღლე მისი ელენე (29,₇)

ჩომეხდს შვილი ოტია, ვარძიელი 279 (23,₁₉), მეუღლე მისი ნააელ (23,₂₀)

ჩრდილელი შალვა 278 (22,₄)

ც

[ცდოს] მოურავი 285 (35,₆) მეუღლე მისი ემინახანუმ (35,₈)

ცისკარაშვილი 272 (14,₁)

ცოფა[ურა] 272 (13,₁₅)

ცოციკის ძე 272 (14,₁₁)

ც[ქ]იტი 277 (21,₁₉)

წ

წამლის შვილი პაპნად 272 (13,₁₈)

წილენელ მიტროპოლიტი ანბროსი (10 გვ. ქვ. აშია), იხ. ანბროსი

[წ]მედა მეუღლე მისი მზექალი 281 (27,₁₅)

ჭ

ჭავჭავაძე ილია 225

ჭარმაული, ლომი 277 (21,₆)

ჭუქია 279 (23,₂₁), მეუღლე მისი მარიამ (23,₂₂)

ხ

ხარაგაული, საერად 272 (13,₁₇₋₁₈)

ხარსილად 271 (13,₄)

ხარსილად 272 (13,₁₆)

ხეთაგი 271 (13,₅) 246

ხეთაგურები 256

ხიზანიშვილი—ურბნელი, ნიკ. 255.

[ხურციძე] II ხორცი, ბატონი, მეუღლე მისი ელგანდი ყოფილი ეკატერინე 235, 266 (შენ. 6)

ხურციძე ვარენოზ 235

ხოჯლისენ 282 (29,₁₇)

" " დედა მისი იათამზე (29,₁₇)

ჯ

ჯადელას ძე ზალია 273 (16,₃₋₄)

ჯურ[ვალის]ძის ასული ესნათობ 268 (8,₁₆)

ჭურთიელნი 272 (13_{,23})

ჭურთაშვილი ჩიტურა 272 (13_{,20-21})

ჯ

ჯავახიშვილი ივანე 199, 201, 203, 205, 213, 222, 230, 231, 237, 238, 239,
241, 247, 249, 254

ჯავახიშვილები [XV ს.] 237

ჯანაშვილი, მოსე 218, 219, 220, 221

ჯანაშია სიმონ 237, 238

ჯარმელიქ, მიქია ბურდულის მეუღლე 273 (15_{,4-5})

ჯაუნარიშვილი 272 (13_{,15-16})

ჯაყელისშვილი იაკობ (ვაღამწ.) 211, 212

ჯერასიმე ლუღუშაური, მოძღვარი 276 (20_{,10})

ჯ[ა]რმელიქ 276 (20_{,3})

ბ. გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ადო 272, 14_{,1}

ათონის მთა (საბერძნეთში) 221

[ანჩაქ (ანჩელ მთავარეპისკოპოზი, თორმეტ უდაბნოთა არქიმანდრიტი) 235,
264 (შენ. 1)]

არაგვი 225

„არაგვის ხევი“ 250 || „სრულიად არაგენი“ 245 || არაგვის ხეობა 232, 239

[არადეთი] (არადეთის ბრძოლა) 239

ართხზოდ 272 (14_{,4})

ბანა, მონასტერი ძელისა ჭეშმარიტისა 212, 239

ახალციხე [ხევისა] 272 (14_{,3})

გამბოტენი (13_{,13})

გარბანი (13_{,13})

გერგეთი || გერგეტი (გერგეტის სამება, „ციხე გერგეტაული“, „გერგეტო“) 217, 219, 220, 223, 224. 225, 226, 250, 251, 252, 284 (33_{,1-3}); 271 (13);
285 (36_{,17}, 37_{,4-5})

გოლგოთა (ქართველთა მონასტერი იერუსალიმში) 212

გორი 244

გორის ციხე, ხევში 272 (13_{,16-17})

გუშლეთი 245, 271 (13_{,2-3,4})

დარიალი 239

თბილისი 238, იხ. ტფილისი

თერგი. 224

თრიალეთი 238

[თრუსო] || თრუზო [თრუსოველნი] 226, 247, 251, 272 (13_{,23})

იერუსალიმი || [ი]ერუსალემი 213, 218, 240, 241,

იერუსალიმის ჯვარის მონასტერი 212, 235

- იმერეთი 197, 237, 239
 კავკასია 243. იხ. ჩრდილო კავკასია
 კახეთი 220, 239, 241
 კობი 271 (13,₃)
 [ლექეთი] „ლეტი“ 242, 243, 287 (38,₁₅)
 მესხეთი 203, 213
 მთრები (სოფ.) 272 14,₆
 [მნავი?—მნაველნი] 246, 247, 272 (13,₂₀)
 მცხეთა 213, 224, 225, 250
 [ოლთისი] „ციხე ოლთისა“ 211
 პარიზი 228
 პეტერბურგი 212
 რუსეთი 244
 საშება, გერგეტის სამების ტაძარი იხ. გერგეტი
 სამცხე 213, 234, 235, 237, 239
 [სამცხე-] საათაბაგო 239
 საქართველო 223, 232, 242 || ქუყყანა საქართუშლოდსა 264 (4)
 საღმრთოდ 272 (14,₂)
 საშამხლო 243
 სვანეთი || სტანეთი 222, 223, 252
 სიონი 272 (13,₁₄)
 სნო 251, 272 (14,₁₁)
 სტეფანწმინდა 225, 246, 271 (13,₅); 272 (14,₇)
 [ტრაპიზონი] (ტრაპიზონელი ბერძენი, მაწყუერელი) 266, (30, შენ. 1)
 ტფილის ქალაქი 238
 ტყარშეტი 272 (13,₁₅), 273 (14,₁₀)
 ფანშეტი 246, 255, 272 (13,₁₀; 14,₈), 273 (15,₁₂)
 ქართლი 269 (9,₉), 287 (38,₁₀; 13), 233, 237, 239, 242, 243 (ქართლ-კახეთი)
 ქედური 272 (13,₁₆)
 ქვაბი, სოფელი 245, 286 (37,₁) || ქობი 246, 272 (13,₉); ქუაბი, 232, 266
 (30,₆)
 ქუთაისი 239
 ყაზბეგი || სტეფანწმინდა 224
 ყანანაზი 272 (14,₅)
 [ყანობი] ([ყან]ობელი) 247, 272 (13,₂₂)
 „ჩერქეზი“ [ჩერქეზეთი] 244
 ჩრდილო-კავკასია 244
 ცლო 246, 271 (13,₆) [„ცლოსა მოურავი“] 285 (35,₆)
 ხევი 220, 223, 226, 232, 244, 245, 249, 250, 251, 252, 257
 ხეე-არავი 235
 ვევი 271—272 (13; 14,₉)
 ვურთისი 272 (14,₁₀) ვურთიელნი 247, 272 (13,₂₃)

ძეგლი ერისთავთა

(ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატრიანე)

ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო

შოთა მესხიაშვილი

წინასიტყვაობა

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანეს, როგორც მნიშვნელოვან წყაროს, ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

აკად. ს. ჯანაშიას სიტყვით, „ამ შესანიშნავი ძეგლის, როგორც საოციალური ისტორიის დოკუმენტის, მნიშვნელობა სცილდება საქართველოს ფარგლებს“.

ძეგლის განსაკუთრებული მნიშვნელობა მის ხელმეორედ გამოცემას აუცილებელს ხდიდა. ჯერ კიდევ 1916 წ. აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „სასურველია, თუ დედანი არ აღმოჩნდება, ამ თხზულების მეღვინეთხუცესი-შვილის მიერ გადაწერილი პირი მაინც მოიძებნოს და ეს „ძეგლი“ ხელმეორედ შესაფერისად გამოიცეს“.

აკად. ს. ჯანაშიამ, „ძეგლი ერისთავთა“ მაშინ ცნობილი ხელნაწერების მიხედვით, მისი ტექსტის კრიტიკული გამოცემისათვის სათანადო მუშაობაც ჩაატარა, მაგრამ სახელოვანი მეცნიერის უდროოდ გარდაცვალების გამო „ძეგლი ერისთავთა“ გამოცემის საქმე განუხორციელებელი დარჩა.

1949 წ. ლენინგრადს ჩემი სამეცნიერო მივლინების დროს, აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მ. ბროსეს ყოფილ არქივში, „ძეგლი ერისთავთა“ დედანი აღმოჩნდა; დედნის მოპოვებამ გააადვილა და კიდევ უფრო აუცილებელი გახდა წინამდებარე გამოცემის განხორციელება.

სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია უღრმესი მადლობა გადავუხადო აკად. ნ. ბერძენიშვილს არაერთი საგულისხმო შენიშვნისათვის, დოც. ივ. იმნაიშვილს აღწერის კრიტიკული ნაწილისა და ტექსტის გამართვაში დახმარების აღმოჩენისათვის და შოთა ხანთაძეს „ძეგლის“ ფოტოპირისა და ჩემი განაწერის ლენინგრადში დაცულ დედანთან ხელახლა, გულდასმით შედარებისათვის.

I. „ძეგლი ერისთავთას“ დედანი და მისი დაწარის დრო

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატინის, „ძეგლი ერისთავთას“ დედანი დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში. იგი მოთავსებულია სხვადასხვა შინაარსის მასალების კრებულში, რომელიც მ. ბროსეს ცალკე აუკინძავს და რომელზედაც წაუწერია: „Voyages de M. Dimitri de Gori, 1848—1850“¹. ამ კრებულში მოთავსებულია არა მარტო დ. მეღვინეთხუციშვილის „გორში მოგზაურობა“, არამედ მისივე „მოგზაურობა და მიმოხილვა იმერეთისა“, „მოგზაურობანი ტბილისის ლუბერნიასა შინა“, „მეფობა და ცხოვრება ირაკლი მეორისა“, „ინდიკტიონი ღირსსახოვარ შემთხვეულებათა“, „მოგონება ანუ ლაშქრობა პირისპირ იმამი შამილისა 1845 წელსა“. ამით გარდა აქვეა სხვა ავტორების ხელნაწერი შრომებიც: დ. ბაქრაძის „ქართული ისტორიის წყაროები“, დ. ციციშვილის „შემოკლებითი მოთხრობა საქართველოს თავადთა და აზნაურთა თუ რომელი ვითარ და რომელთა მეფეთაგან აღყუანებულ არიან ესე ვითართა ღირსებათა ზედა, ოდეს და ვინ სადით მოსრულან“...

ამ სხვადასხვა ხასიათის მასალათა კრებულში, ქსნის ერისთავთა რამდენიმე სიგლის პირის შემდეგ, 136 ფურცლიდან ჩაკერებულია ათი ეტრატის ფურცელი—„ძეგლი ერისთავთა“. ეტრატს შემოკრულ სუფთა ქალაღზე მ. ბროსეს ხელით მიწერილია: «De l'origine des éristavs du Ksan. Envoyé par M. Dimitri Meghwinet -Khuszesof, fevrier 1849“.

თუ როგორ მოხვდა „ძეგლი ერისთავთა“ მ. ბროსეს არქივში, ეს კარგად ჩანს როგორც ზემომოტანილი მინაწერიდან, ასევე თვით დ. მეღვინეთხუციშვილის მცირე ცნობიდანაც. 1848 წ. 28 დეკემბერს დ. მეღვინეთხუციშვილი მ. ბროსეს, სხვათაშორის, სწერდა: „რაპორტით წარმოვადგინე ყველა: ეკლესიების აღწერა, ქართველთა თავადაზნაურთ შთამომავლობა და ეტრატზედ ნაწერი ერისთავთა ევარი. ამასთან კიდევაც დამპირდენ ერისთავანი—ბევრს გიშოვნითო, მაგრამ თქვენ უმორჩილესად გთხოვთ შემეწიენთ“².

როგორც ვხედავთ, 1848 წ. 28 დეკემბრისათვის „ძეგლი ერისთავთას“ დედანი დ. მეღვინეთხუციშვილს უკვე გაგზავნილი ჰქონია. მ. ბროსეს იგი 1849 წ. თებერვალში მიუღია. ძეგლის შესახებ სხვა ცნობა, თუ რა პირობებში, როგორ და სად მიაკვლია მეღვინეთხუციშვილმა მას, მ. ბროსესადმი გაგზავნილ წერილებში სამწუხაროდ არ მოიპოვება.

¹ ИВАН, Н: 47.

² ИВАН, Н: 47, ფ. 511. შოთა ხანთაძე. დიმიტრი მეღვინეთხუციშვილის წერილები მარი ბროსესადმი, „საისტორიო მოამბე“, 6, 1952, გვ. 9.

ძეგლს დასაწყისი აკლია და ამის გამო პირველ ფურცელზევე XVII—XVIII სს. მხედრულით მიწერილია: „ქ. თუმცა თავი აკლია, მაგრამ აქედამ იწყობა“.

დასაწყისი: ...„ეზისათჳს საფლავი მისცეს ხოლო ერისთავობაჲ არავისი ინებეს“...

დასასრული: „ხოლო მეფემან მრავალი მადლი წარმოთქუა და უბოდა ორი [......] პირუტყუსაჲ და ვეცხლი, ოქროჲ“...

ასე რომ, ჩვენი ტექსტის დასაწყისი და დასასრული სავსებით იგივეა, როგორც მარიამ ერისთავის მიერ გადაწერილი პირისა და თ. ჟორდანიას მიერ დაბეჭდილი ტექსტისა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ამ ძეგლის XIX ს. გადამწერლებს—შალვა და მარიამ ერისთავებს¹—სწორედ ეს ხელნაწერი, დედანი ჰქონიათ ხელთ. ეგვივე დაედვა საფუძვლად მ. ბროსეს ფრანგულ თარგმანსაც.

ამრიგად, მ. ბროსეს არქივში „ერისთავთა ძეგლის“ დედნის აღმოჩენით ირკვევა, რომ ა) მ. ბროსეს ხელთ ჰქონია არა დ. მელვინეთხუციშვილის მიერ გადაწერილი პირი, როგორც თ. ჟორდანია და ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდნენ, არამედ თვით დედანი XIV ს. ნუსხახუცურით ნაწერი. იგი მას დ. მელვინეთხუციშვილმა გაუგზავნა 1848 წ. ბ) დ. მელვინეთხუციშვილის მიერ მ. ბროსესადმი გაგზავნილი ძეგლის დედნიდან მომდინარეობს შალვა და მარიამ ერისთავების მიერ გადაწერილი პირი, ე. ი. მათ იგივე ტექსტი ჰქონდათ ხელთ 1828 წლისათვის, რომელიც შემდეგ მ. ბროსეს გადაეგზავნა. გ) XIX ს. დამდეგს „ერისთავთა ძეგლის“ მხოლოდ ერთი ნუსხა იყო ცნობილი, რომელიც, სავსებით სამართლიანად, დედნად არის მიჩნეული და ამჟამად ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში არის დაცული.

„ძეგლი ერისთავთას“ გამომცემელნი, კერძოდ აკად. მ. ბროსე და თ. ჟორდანია, მისი დაწერის დროის საკითხს სპეციალურად არ შეხებიათ.

მ. ბროსემ ზოგადად მიუთითა ძეგლის სიძველეზე და დაინტერესებული მკითხველის ყურადღება გიორგი ბრწყინვალის ხანისაკენ მიაპყრო. იგი წერდა: ძეგლი წარმოადგენს „მეტად ძველს, მაგრამ უთარილოს... იგი ეხება ძველს, საქართველოს დაშლილობის წინადროინდელ ისტორიას; მაგრამ მე მას არ ვურთავ არც გარჩევას და არც შენიშვნას, მართლაც ბევრის თქმა იქნებოდა საქირო იმისათვის რომ შეეფასათ და აღვადგინოთ ამ ტექსტის ყველა შემუსაბამობა... ამასთანავე აღსანიშნავია, რომ აქ მოხსენებული პიროვნებების უმეტესობა სრულიად უცნობია... მკითხველს, რომელიც მოისურვებდა გააღრმავოს ცოდნა ამ საკითხში, ვურჩევ პირველ ყოვლისა გაეცნოს ანალებს—დავით VI-ისა და გიორგი ბრწყინვალის მეფობას“². როგორც ჩანს, მ. ბროსე „ძეგლი ერისთავთას“ ამ ეპოქის აღმწერ, ამ ხანის ძეგლად მიიჩნევდა.

¹ XIX ს. გადამწერთა შესახებ საგანგებოდ იხილე ქვემოთ.

² M. Brosset. Additions..., გვ. 372, შენ. 1.

მით უფრო ძნელი იყო „ძეგლი ერისთავთას“ დაწერის დროის შესახებ ემსჯელა. ისეთ პირს, რომელსაც ხელთ ჰქონდა 1830 წ. გადაწერილი, თავ-ბოლო-ნაკლული ხელნაწერი. ძეგლის ქართულად გამომცემელს, თ. ჟორდანიას შესაძლებლობა არ ჰქონდა ემსჯელა თხზულების ხელის ან კიდევ ენის შესახებ, რომ მათ დამყარებოდა ძეგლის დათარიღებისათვის. ამგვარ შემთხვევაში ერთადერთი გზა შინაარსის მიხედვით დათარიღება იყო. თ. ჟორდანიაც ამგვარად მოიქცა; იგი წერდა: „ძეგლი ერისთავთას“ წარმოგვიდგენს შესანიშნავს საისტორიო მატრიანეს, როგორც თვით ამ წერილის შინაარსიდან სჩანს, თანამედროვესაგან აღწერილს, რომელსაც შუქი შემოაქვს XIII—XIV საუკუნეთა ბნელს ამბებში“¹. ასე რომ, „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი XIV ს. ამბავთა თანამედროვე უნდა ყოფილიყო.

არც აკად. ივ. ჯავახიშვილი შეხებია სპეციალურად „ერისთავთა ძეგლის“ დაწერის დროს. ივ. ჯავახიშვილიც ძეგლის ავტორს, თხზულების შინაარსის მიხედვით, XIV ს. დასასრულისა და XV ს. დამდეგის ამბების კარგ მცოდნედ, მაშასადამე, მის ახლო დროს მცხოვრებ პირად მიიჩნევდა: „რაც უფრო მატრიანე მოთხრობის უკანასკნელ ნაწილს უახლოვდება, თვით აღწერილობაც უფრო და უფრო ვრცელი და ცხოველი ხდება. აქ მოთხრობილის სიმართლის დამტკიცებაც სხვადასხვა საბუთით შეიძლება“².

ამრიგად, ხელნაწერის გამომცემელთა და შემსწავლელთა მიერ „ძეგლი ერისთავთას“ შედგენის დროდ XIV—XV სს. იყო მიჩნეული. XIX ს. გადაწერილი, თავ-ბოლონაკლული პირი უფრო კატეგორიული მსჯელობისა და დასკვნის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ახლა კი, როცა თვით ამ ძეგლის დედანი გვაქვს ხელთ, რა თქმა უნდა, უფრო მეტი შესაძლებლობა გვაქვს მისი დაწერის დროის შესახებ ვიმსჯელოთ.

ჯერ ერთი, დედნის ხელი XIV ს. დასასრულისა და XV ს. დამდეგის შემდეგდროინდელ ხანაზე არ მიგვითითებს. მაგრამ, თვით ტექსტი უფრო უკეთ დათარიღების შესაძლებლობასაც იძლევა.

ხელნაწერის მე-9 ფურცლის recto გვერდი (ჩვენი გამოც. გვ. 17) თავდება წინადადებით: ...„და სხუაჲ ყოველი აღაოჯრეს“. ხოლო ამავე ფურცლის verso გვერდი (იხ. სურ. 1) მთლიანად უჭირავს ახალგაზრდა წვეროსანი მამაკაცის ფერებით შესრულებულ პორტრეტს. წვეროსანი მამაკაცი დახატულია საერისთავო წამოსასხამით, კაბით, სარტყლით და ქუდით. მას მარცხენა ხელით ეკლესიის მოდელი უჭირავს, რომელზედაც შემდეგ (ეს კარგად ირჩევა ნახატის მიხედვით) ხელნაწერებზე მოვარჯიშე უცნობ პირს, სამწუხაროდ, მიუხატავს მამაკაცის უშნო პირისახე.

პორტრეტის მარცხენა კიდებზე გაკეთებულია 12 სტრიქონიანი ასომთავრული მინაწერი. მისი პირველი შვიდი სტრიქონი შესრულებულია სინგურით, დანარჩენი ხუთი კი—შავი მელნით. მინაწერის მეორე სტრიქონი წაბლალულია, მაგრამ ვარჩევა მაინც შესაძლებელია.

¹ თ. ჟორდანიას კრონიკები, II, გვ. 1, შენ. 1.

² ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 266.



1. ჰ: დიდნო: მ
2. წმთა: მთვრ
3. ნო: გნი: და: თე:
4. თქნ: აღუსრ
5. ულეთ: ყნი: ს
6. წდელი: კთლი
7. ე: ევსა: ვირ
8. შლსა: და: მც
9. ეელ: და მფრ
10. ვლ: ექმენ: ძ
11. ით: და: მეულ
12. ლითრთ: დაა.¹

1. ჰ: დიდნო: მ
 2. წმთა: მთვრ
 3. ნო: გნი: და: თე:
 4. თქნ: აღუსრ
 5. ულეთ: ყნი: ს
 6. წდელი: კთლი
 7. ე: ევსა: ვირ
 8. შლსა: და: მც
 9. ეელ: და მფრ
 10. ვლ: ექმენ: ძ
 11. ით: და: მეულ
 12. ლითრთ: დაა.¹

ქარაგმების გახსნით: „ჰ დიდნო მოწამეთა მთავარნო გიორგი და თედორე, თქუნ აღუსრულეთ ყოველი საწადელი კეთილი ერისთავთ-ერისთავსა ვირშელსა და მცველ და მფარველ ექმენ ძით და მეუღლითურთ დაა“ (sic).

ცნობა „ერისთავთა ძეგლში“ პორტრეტის შესახებ და მისი მინაწერის ფრანგული თარგმანი მოცემული აქვს მ. ბროსეს. თარგმანში ვკითხულობთ: „Illustres guerriers, Giorgi et Théodoré, accomplissez tout ce que l'èristhaw Wirchel peut désirer de biens; soyez protecteurs et defenseurs, de lui, de ses fils et de son epouse, etc“²... როგორც ვხედავთ, მ. ბროსეს არცთუ სწორად ამოუკითხავს მინაწერი და ასევე არააუტად უთარგმნია იგი.

¹ აქ ეტრატზე ცალკე მოხაზული, მინაწერისათვის განკუთვნილი, ადგილი აღარ რჩება, მინაწერის გაგრძელება რომ ყოფილიყო, მოსალოდნელი არ არის. მინაწერის ასლი ჩვენი თხოვნით გადმოიღო არქ. ირ. ციციშვილმა.

² Brosset. Additions. გვ. 383, შენ. 2.

მ. ბროსეს ცნობა და მინაწერის წაკითხვისას მის მიერ დაშვებული შეცდომები გაიმეორა თ. ჟორდანიამ, რაკი მის განკარგულებაში მყოფ ხელნაწერში არავითარი ცნობა არ იყო დაცული არც პორტრეტისა და არც მინაწერის შესახებ. თ. ჟორდანიას შენიშნავდა: „აქ დახატული ყოფილა კაცი (ერისთავი ვირშელი), რომელსაც უპყრია ხელში გეგმა ტაძრისა და ქვეშ ასომთავრული წარწერა: „ბრწყინვალენო მხედარნო, გიორგი და თეოდორე, აღუსრულეთ ერისთავსა ვირშელს ყოველნი კეთილნი განზრახვანი; შემწე და მფარველ ექმენით მას, ძუთა მისთა, თანაშეცხედრესა მისსა და... (addit... p. 383)“¹.

XIX ს. გადანაწერები კი რაიმე შენიშვნას არ იძლევიან არც პორტრეტისა და არც მინაწერის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მარიამ ერისთავს, რომელმაც „ძეგლი ერისთავთა“ 1828 წ. გადაწერა, უცდია მელნით დაეხატა საომარტანსაცმელიანი მამაკაცი, ნახატზე კიდევ თავისივე ხელით მიუწერია — „შალვა ერისთავის ძე ვირშელი“². იქნებ ეს იყოს ვირშელის პორტრეტის თავისებურად გადმოღების ცდა. თუმცა „ძეგლი ერისთავთას“ დედანში დახატული ვირშელი შალვას-ძე კი არ იყო, არამედ იოვანეს-ძე.

როგორც დავინახეთ, ჩვენს ტექსტში მოთხრობას წყვეტს ერისთავთ-ერისთავის პორტრეტი, რომელსაც ხელნაწერის მთელი გვერდი აქვს დათმობილი. მოთხრობა ისევ გრძელდება მე-10 ფურცლის recto გვერდზე სიტყვებით: „მაშინ დააქცივეს ეკლესია ესე აღშენებული ერისთავისა იოვანესაგან“, რაც მე-9 ფურცლის recto გვერდის უკანასკნელი სტრიქონის პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენს.

ზემომოტანილი აღწერიდან კარგად ჩანს, რომ სურათიც იმ დროს არის დახატული, როცა თვით ტექსტი იწერებოდა. პორტრეტის, მის მინაწერისა და ტექსტის ერთდროს დახატვასა და შედგენაზე ექვის შეტანა შეუძლებელია. შეიძლება დაეუშვათ, რომ სურათისათვის განკუთვნილი ადგილი დაეტოვებინათ და მერმე გამოეხატათ მასზე ერისთავი, მაგრამ საწინააღმდეგოს დაშვება, რომ ჯერ სურათი დაეხატათ და შემდეგ კი ტექსტის დაწერისათვის ეცადათ წლების განმავლობაში, საესებით წარმოუდგენელია. შეიძლება მეტიც ითქვას—ძეგლის ტექსტის, პორტრეტისა და მისი მინაწერის მთლიანობა, ჩვენი აზრით, იმაზე მიგვითითებს, რომ ყველაფერი ეს ერთსა და იმავე პირს ეკუთვნის...

ყოველივე ამას კი ტექსტის დათარიღებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მინაწერიდან უდავოდ ჩანს, რომ პორტრეტი ვირშელ ერისთავთ-ერისთავისაა, მაგრამ რომელი ვირშელისა უნდა იყოს იგი? „ერისთავთა ძეგლისა“ და სხვა მასალებითაც, ქსნის ერისთავებში სამი ვირშელია ცნობილი³. ძნელი გასარკვევი არ არის, რომ აქ არც ვირშელ I და არც ვირშელ II არ ივარაუდება. ჯერ ერთი, პორტრეტი ტექსტში იქ არის მოთავსებული, სადაც უკანასკნელ, ე. ი. მესამე, ვირშელზეა საუბარი. ამას გარდა, აქ გამოხატულ

¹ თ. ჟორდანიას ქრონიკები, II, გვ. 16—17, შენ. 65.

² საქ. მუხუუმის ხელნაწ. განხ. II: 249, ფ. 4 verso.

³ იხ. M. Brosset. Additions..., გვ. 385; თ. ჟორდანიას ქრონიკები, II, გვ. 26—30.

ერისთავთ-ერისთავს მარცხენა წელით ეკლესიის მოდელი უჭირავს, ე. ი. იგი რომელიღაც ეკლესიის მაშენებლად გამოყვანილი.

პირველი ორი ვირშელის ამგვარი საამშენებლო მოღვაწეობის შესახებ „ერისთავთა ძეგლს“ არავითარი ცნობა არ დაუტყავს. ვირშელ პირველზე ძეგლში საერთოდ მცირე ცნობაა დატული. იქ ორაოდე სიტყვით ნათქვამია: „მაშინ დაჯდა მეფედ ადარნასე და მოკუდა ერისთავი ვირშელი“ (ჩვენი გამოც. 4ჟ). ვირშელ მეორეზე, მართალია, ჩვენს ავტორს უფრო სრული ცნობები მოეპოვება, მაგრამ იგი არსად არ ლაპარაკობს მის საამშენებლო მოღვაწეობაზე (იხ. აქვე, გვ. 7—10).

ვირშელ III-ის შესახებ კი ძეგლში ვკითხულობთ: „ამას ჟამსა ინება წმიდამან გიორგი ქაშოეთისმან მოსლვად მკვდრობად სახლსა ვირშელისასა. ამას ზედა ფრიად განიხარა ერისთავმან და შეამკო ჯუარა და კუბოჲ მისი და მოჰქედა ვეცხლითა და ოქროთა და იწყო შენებად ეკლესიისა სახელსა ზედა მოწამისასა, საზღვარსა ვარნისასა, აღგვილსა შეუენიერსა ყოვლით კერძო“ (აქვე, 19¹³⁻¹⁸). როგორც ვხედავთ, ვირშელ III-ს წმ. გიორგის სახელზე ეკლესია აუშენებია, სწორედ იმ გიორგის სახელზე, რომელსაც თხოვდა ერისთავი ყოველი კეთილის აღსრულებასა და მფარველობას. ამრიგად, ვირშელი ეკლესიის მოდელით ხელში არის ვირშელ III, XIV ს. მეორე ნახევრისა და XV ს. დამდეგის მოღვაწე.

რაც მთავარია, ასომთავრული მინაწერის მიხედვით სურათზე გამოსახული პირი ვირშელი ცოცხალია—მებრძოლი ერისთავთ-ერისთავი თხოვს წმ. გიორგის და თედორეს აღუსრულონ ყოველი კეთილი საწადელი, მცველნი და მფარველნი ექმნენ ძესა და მეუღლესა მისსა. ცხადია, ვირშელ I-სა და ვირშელ II-ს, დიდი ხნის გარდაცვალებულებს, მინაწერის შემდგენელი ასეთ თხოვნას ვერ დაუწერდა.

ამრიგად, „ერისთავთა ძეგლში“ ვირშელ III-ის პორტრეტია მოთავსებული, ერისთავი ცოცხალია, როცა მისი სურათი დაიხატა და რაკი სურათი და თვით ტექსტი ერთსა და იმავე დროს, იქნებ ერთი და იმავე პირის მიერაც, დაიწერა, ცხადია, ვირშელ III ცოცხალი იყო მაშინაც, როცა „ძეგლი ერისთავთა“ ითხზებოდა.

მაშასადამე, მისი ავტორი ვირშელ III-ის თანამედროვეა, თხზულება ერისთავთ-ერისთავის მოღვაწეობის შესახებ იქნებ ერისთავისავე ბრძანებით იწერებოდა.

სწორედ ამით აიხსნება, რომ „რაც უფრო მემატინე თხრობის უკანასკნელ ნაწილს უახლოვდება, თვით აღწერილობაც,—ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი შენიშვნით,—უფრო ვრცელი და ცხოველი ხდება“.

ვირშელ III-ის მოღვაწეობის დროის განსაზღვრა კიდევ უფრო დააზუსტებდა „ძეგლი ერისთავთას“ შედგენის თარიღს, მაგრამ ამის უნაკლოდ დადგენის შესაძლებლობას ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალები არ იძლევა.

ჩვენი ძეგლის ერთი ასომთავრული მინაწერის მიხედვით ვირშელ III 1376 წ. დაბადებულა. იქ, სადაც ნათქვამია: „შეისმინა ღმერთმან ვედრებისა მათისად და მიეცა მათ ყრმად წული“, კიდევ, ამ სტრიქონის გასწვრივ, მი-

წერილია: „ქკნ ჰდ“ (=1376) (იხ. აქვე, გვ. 12₁₄₋₁₅ და შენ. 14). ცხადია, ეს ოვანე ერისთავის შვილის ვირშელ III დაბადების თარიღს წარმოადგენს. ვირშელ III, ძველის სიტყვით „წუთლა ჩჩელი“, ერთ-ერთ ლაშქრობაში „წინამძღვარ ექმნა ლაშქართა“ (აქვე, გვ. 13₁₈₋₁₉), ხოლო ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ იგი ერისთავად დაჯდა (იხ. 14₁). „ძველი ერისთავთაში“ ამის შემდეგ ვირშელ III ყოველთვის იხსენიება ვიდრე თემურ-ლენგის ქსნის საერისთავოში შესვლის დრომდე, ე. ი. 1400 წლამდე—ახალგაზრდა 24—25 წლის ერისთავი ენერგიულად ებრძვის თემურის ლაშქარს. „ძველი ერისთავთას“ ამ ცნობას ადასტურებს ლარგვისის მონასტრის პარაკლიტონის მინაწერიც: „მეფობასა შინა მეფეთ-მეფისა გიორგი ბაგრატის ძისასა და ერისთავობასა შინა ერისთავთ-ერისთავისა ქჟენიფნეველისა ვირშელისასა, ოდეს იგი დიდთა ომთაგან გამარჯვებული აღინჯით მოვიდეს, მოქცევასა იდ, ქორნიკონსა 35 (=1400 წ.) მისისა იჴ მოვიდა თემურ-ბე(გ) სულტანი სამარყანელი... და წარტყუნეს და დააქცივნეს საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი... და მოაოჯრეს ყოველი ქუეყანა დასავლეთამდის“¹.

ამ ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ ვირშელ III თემურ-ლენგის ქსნის საერისთავოში ლაშქრობის მომსწრეა, მაგრამ თუ რამდენ ხანს გაგრძელდა ამის შემდეგ კიდევ მისი ერისთავობა, ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალებით, უცნობია; არაპირდაპირი წყაროებით კი ირკვევა, რომ იგი XV ს. 20-იან წლებისათვის ცოცხალი არ უნდა ყოფილიყო.

ვირშელ III-ის შემდეგ მისი შვილი ქჟენიფნეველი ერისთავობდა; მისი ვაერისთავების წელი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ვიცით, რომ 1446 წლისათვის ქჟენიფნეველი უკვე ცოცხალი აღარ იყო და მის მაგიერ ერისთავობდა მისი შვილი შალვა; XV ს. ზატიკზე ტექსტის ხელით მიწერილია: „დაიწერნეს წმიდანი ესე ზატიკნი მეფობასა ვახტანგისასა და ბრძანებითა ერისთავისა შალვაჲსითა. ქქს რკიდ“ (1446 წ.)². შალვა ერისთავად იყო 1470 წელსაც. ამ წელს მან ლარგვისის მონასტერს სიგელი უბოძა³. თუ ვივარაუდებთ, რომ ქჟენიფნეველიც დაახლოებით იმდენს ხანს იყო ერისთავად, რამდენსაც მისი ძე შალვა, ქჟენიფნეველის ერისთავობა XV ს. 20-იან წლებიდან 1446 წლამდე მოვიდოდა. ასე რომ, ვირშელ III XV ს. 20-იან წლებისათვის ცოცხალი არ უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, „ძველი ერისთავთა“, რაკი ის ვირშელ III-ის სიცოცხლეში იწერებოდა, XV ს. 20-იან წლების შემდეგ არ შეიძლება შედგენილი ყოფილიყო; კიდევ მეტი, მისი ავტორი ერისთავის გარდაცვალებას არც მოსწრებია, მაშასადამე იგი XV ს. 20-იან წლებზე უფრო ადრეა დაწერილი. ამის შემდგომი დაზუსტების შესაძლებლობას ავტორის ვინაობის გარკვევა მოგვცემს, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

¹ თ. ქორდანია. ქრონიკები, II, გვ. 204. შტრ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1949 წ., გვ. 307.

² თ. ქორდანია. ქრონიკები, II, 22—23.

³ იხ. საქ. სიძველენი, III, 558.

ხელნაწერის დათარიღების შესახებ ზემოთქმულიდან კიდევ ერთი დასკვნის გაკეთებაც შეიძლება. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენი უნდა აკლდეს „ერისთავთა ძეგლის“ დასაწყისს, მაგრამ მის დასასრულს რომ ბევრი არ აკლია, ეს კარგად ირკვევა: ძეგლის ავტორი ვირშელ III-ის უფროსი თანამედროვეა, იგი თხზულებას ერისთავის სიცოცხლეში წერს, იგი მის გარდაცვალებას არ მოსწრება; ასე რომ, ავტორი არათუ გასცილდა ვირშელ III-ის მოღვაწეობის ხანას, არამედ მისი მოღვაწეობის ბოლო წლებსაც ვერ მოესწრო. მაშასადამე, „ძეგლი ერისთავთა“ დაზიანებამდეც დაახლოებით იქვე წყდება, სადაც იგი ამჟამად წყდება. ყოველივე ამის გამო, ამ ძეგლის მნიშვნელოვანი გაგრძელების აღმოჩენა მოსალოდნელი არ არის.

ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა XIV ს. დასასრულსა და XV ს. პირველ წლებში წარმოშობილიყო ისეთი ძეგლი, რომელიც ქსნის ხეობაში სათავადოს წარმოშობის ისტორიულ საფუძვლებს უძებნიდა და მას კანონიერ მოვლენად მიიჩნევდა?

XIV საუკუნე ქსნის საერისთავოს ჩამოყალიბებისა და გაფორმების საუკუნეა. ქსნის ერისთავებმა ამ დროისათვის უკვე გაიჩინეს რეზიდენცია—„დარბაზოვანი“ და „თავადი ციხე“ ქვენიფნევეს; საგვარეულო მონასტერი ლარგვისს ე. ი. ყველაფერი ის, რაც ფეოდალურ საქართველოში დიდებული თავადის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. ეს პროცესი ვირშელ III-ის მოღვაწეობის დროისათვის დასრულებული ჩანს¹. ამ დროისათვის ერისთავებს მხოლოდ თავიანთი გვარის წარსულისა და სიდიდის მაუწყებელი ძეგლი-დააკლდათ. ამგვარი ძეგლიც მალე შეიქმნა, რომელიც იდეოლოგიურ გამართლებას აძლევდა ყველაფერ იმას, რაც საქართველოს, კერძოდ ქსნის საერისთავოს, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში უკვე ფაქტად იყო ქცეული.

ასე რომ, „ძეგლი ერისთავთა“ წარმოშობა XIV საუკუნის დასასრულისათვის იყო არათუ მოულოდნელი და შეუსაბამო მოვლენა, არამედ, პირიქით, სავსებით კანონზომიერი და ეპოქის შესაფერისი.

II. ავტორის ვინაობის საკითხისათვის

ჯერ კიდევ მ. ბროსემ, შემდეგ თ. ჟორდანიამ და ივ. ჯავახიშვილმა მიუთითეს, რომ „ძეგლი ერისთავთა“ „ლარგვისის მონასტრის რომელიღაც ბერის ან მღვდლის დაწერილი“ უნდა იყოს². მართლაც, ძეგლის ავტორი რომ ლარგვისის მონასტრის მოღვაწეა, ამის დამადასტურებელი ძეგლში არა ერთი ადგილია. ასე მაგ., „ძეგლი ერისთავთაში“ ნათქვამია: „ხოლო შალვა მოიყვანა ცოლად ოვსთა მეფისა ასული სახელით შირდი, რომელმან განადიდა პატივი მონასტრისა ამის“ (იხ. აქვე, გვ. 65-7); „და შემოწირა ეკლესიასა ამას სუნაქსარი ესე კეთილი“ (9²³⁻²⁴); „ადიდნა ქსანი და მოჰმართა მონასტერსა ამას და წარიხუნა ზღუდენი... მასვე კვრისა

¹ დაახლოებით ამგვარსავე აზრს გამოთქვამს დ. გრიტიშვილიც თავის ხელნაწერ ნაშრომში—„ქსნის საერისთავო მე-13—17 საუკუნეებში“ (იხ. გვ. 33—35).

² ივ. ჯავახიშვილი. ძეგლი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 264.

შინა იწყო შენებად ზემოდა ამის ეკლესიისა“ (13₁₁₋₁₄); „მაშინ დააქცივეს ეკლესია და ესე აღშენებული ერისთავისა იოვანესაგან“ (19₁).

ძეგლის ავტორი რომ ქსნის საერისთავოში მოღვაწეობს და რომ ის სასულიერო პირია, ამას, ზემომოტანილ საბუთებს გარდა, ავტორის მსოფლმხედველობაც ადასტურებს. ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი განცხადებით „ძეგლი ერისთავთას“ ავტორის „აზროვნება ვიწროა და ცალმხრივი: მისი თვალთა ხედვის ასპარეზი ქსნისა და არაგვის ხეობათა ამბებს ვერ გადასცილებია... საქართველოს დანარჩენი და უმეტესი ნაწილი მისთვის თითქო არ არსებობდა და სახელმწიფო-სამოქალაქო ცხოვრების ამბებისათვის ყური მოყრუებული ჰქონია... სამხედრო მოქმედების გარდა მემატინის გულისყური მხოლოდ საეკლესიო შენობების აგებისა და შემკობისა, მღვდელმსახურთა პატივისცემისა და დასაჩუქრების ამბებისაჲც ეყო მოპყრობილი. მას გულმოდგინედ აღნუსხული აქვს, თუ რომელმა ლარგველმა რა ხატი შეამოსინა და მოაქედინა, ან ტაძარი ააშენებინა და მოახატვინა“¹. ამ მოსაზრების სისწორის დამადასტურებელი მაგალითი ძეგლში არა ერთია.

მაგრამ, რაკი ავტორის შესახებ თვით ტექსტში სხვა რაიმე ნიშანდობლივი მითითება არ არის, მისი ვინაობის შესახებ მხოლოდ სავარაუდო მოსაზრებები შეიძლება გამოითქვას.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი ვირშელ III-ის თანამედროვეა, რომ იგი ქსნის ერისთავთა საგვარეულო მონასტერში მოღვაწეობს.

ლარგვისის მონასტერში XIV ს. მეორე ნახევრის ცნობილ მოღვაწეთაგან ვინ შეიძლება იყოს „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი? ამ დროისათვის ლარგვისის მონასტრის მოღვაწეთაგან ცნობილი არიან ავგაროზ ბანდაისძე, გიორგი თაბაური და გრიგოლ ავგაროზისძე ბანდაისძე; მათ შორის თავისი მწიგნობრობით განსაკუთრებით ცნობილი იყო ავგაროზ ბანდაისძე². მან სწორედ ლარგვისის მონასტერში გადაწერა „პარაკლიტონი“. ერთ-ერთ მინაწერში იგი გვამცნობს: „სახელითა ღმრთისაჲთა და მოხმობითა ყოველთა წმიდათაჲთა და თანა შეწვენითა წმიდისა თედორე ლარგვისისაჲთა, ღირს ვიქმენ მე არა ღირსი მწერალი ავგაროზ ბანდაისძე აღწერად წმიდისა ამის წიგნისა სულთა განმანათლებელისა“³. მაგრამ, ავგაროზ ბანდაისძე იყო თავისი დროის არა მარტო კარგი კალიგრაფი, ცნობილი გადამწერი, არამედ კარგი მწიგნობარიცა და მხატვარიც.

იმავე „პარაკლიტონის“ სხვა მინაწერში იგი აღნიშნავდა: „წყალობითა ღმრთისაჲთა მომეცა (და არა „მოცა“, როგორც თ. ჟორდანიას წაუკით-

¹ ივ. ჯავახიშვილი. იქვე, გვ. 265.

² ჩვენ მიერ „ძეგლი ერისთავთას“ შესახებ წაკითხული წინასწარი მოხსენების (1949 წ.

⁴ თქტომბერს) ირგვლივ გამოთქმულ შენიშვნაში აკად. ნ. ბერძენიშვილმა ჩვენი ყურადღება გაამახვილა ავგაროზ ბანდაისძეზე, რომელიც შეიძლება ამ ძეგლის ავტორად გვევარაუდნა.

³ საქ. მუზეუმის ხელნაწ. განყ. A: 575, გვ. 310; შდრ. თ. ჟორდანიას. Описание рукописей Тифлисского церковного музея, т. II, გვ. 93; თ. ჟორდანიას მოტანილი მინაწერი არასწორად წაუკითხავს და დაუბეჭდავს.

ხავს), თვნიერ მოძღურისა, ჯელოვნებად ესევეთარი. პირველად ჯელი სწავად ზუცობისაჲ, ჯელი მეორე მწიგნობრობისაჲ, ჯელი მესამე წერად ზუცურისაჲ... ჯელი მეექუსე მხატვარობისაჲ¹...

ყურადღების ღირსია, რომ ავგაროზ ბანდაისძე თავის უპირველეს ხელობად მოძღვრობასა და მწიგნობრობას მიიჩნევს. მწიგნობრობა, ამ შემთხვევაში, წიგნის გადაწერის ცოდნას კი არ ნიშნავს (ამ ხელობის ცოდნა მას ხომ ცალკე აქვს მოხსენებული — „წერად ზუცურისაჲ“), არამედ თვით ორიგინალური თხზულების შექმნას; ავგაროზ ბანდაისძემ კარგად იცოდა აგრეთვე მხატვრობაც. ესეც მისი ცალკე ხელობა იყო. ასე რომ, ავგაროზ ბანდაისძეს არა მარტო თხზულების შექმნა შეეძლო, არამედ საჭიროების შემთხვევაში მისი მოხატვაც. იგი იქნებ არა მარტო „ძეგლი ერისთავთას“ ტექსტის ავტორია, არამედ ვირშელ III-ის პორტრეტისაც.

ნიშანდობლივია შემდეგი გარემოებაც. „ერისთავთა ძეგლში“ თითქმის არსად, გარდა ერთი შემთხვევისა, მოხსენებული არ არის ლარგვისის მონასტრის რომელიმე მოღვაწე. მხოლოდ ერთგან ავტორი საგანგებოდ ჩერდება ბანდაისძე იოვანეზე. ტექსტში ნათქვამია: „და წარჰყვა თანა (იერუსალიმს მიმავალ პიპას, შ. მ.) ბანდას ძე დეკანოზი იოვანე“ (721-22). ძეგლის ავტორს იოვანე ბანდაისძეზე (იგივე ბანდაისძე) სხვა უფრო დეტალური ცნობებიც მოეპოვება: „და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღურად და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა და ყოველსა ერსა ცხრა ზმის-წვევისასა, რომელ მოძღურობად ნუვის ჯელეწიფების თვნიერ ამისსა“ (725-26).

ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს და იმის მაჩვენებელია, თუ როგორ კარგად იცნობდა ძეგლის ავტორი იოვანე ბანდაისძის მოღვაწეობას; იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს, თუ როგორ დაემკვადრა იოვანე ბანდაისძეს მოძღვართ-მოძღვრობა; შემთხვევითი არ არის ისიც, რომ იოვანე ბანდაისძის შთამომავლობას, ამ შემთხვევაში, ავგაროზ ბანდაისძეს, უპირველეს ხელობად აგრეთვე მოძღვრობა ჰქონია.

ხემათქმული ერთხელ კიდევ გვაფიქრებინებს, რომ „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი, რომელიც ასე საგანგებოდ ჩერდება ბანდაისძეზე, იქნებ იყო იმ საგვარეულოდან, რომელსაც დეკანოზი და მოძღვართ-მოძღვარი იოვანე ბანდაისძე ეკუთვნოდა.

ავგაროზ ბანდაისძის მოღვაწეობის წლების განსაზღვრა კიდევ უფრო სარწმუნოდ ხდის ჩვენს ვარაუდს. ავგაროზი რომ ვირშელ III-ის თანამედროვე იყო, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

ლარგვისის მონასტრის XIV ს. ოთხთავს ტექსტის ხელით მიწერილი აქვს: „ერისთავთ-ერისთავსა ვირშელსა გაუმარჯოს და ცოდვანი შეუწინეს ღმერთმან. სულსა დედისა მათისა მნათობისასა შეუწინოს ღმერთმან“². ამგვარადვე მეორდება ტექსტისავე ხელით ხელნაწერის 78 v და 117 v გვერდებზე გაკეთებულ მინაწერებშიც. ამ ოთხთავის ერთი, დასაწყისი, ნაწილი ს. ჯანაშიას

¹ A: 575; გვ. 311; თ. ყორღანია. იქვე, გვ. 94.

² საქ. მუხ. ხელნაწ. განყოფილება, H: 2125, ფ. 41 v: შდრ. საქ. მუხუუმის ხელნაწერთა აღწერილობა, V, გვ. 79.

ძახელობის საქ. სახელმწ. მუზეუმის საისტორიო ფონდში ცალკე, № 2122-ითაა აღრიცხული¹.

ორი სხვადასხვა ნომრით აღრიცხული, მაგრამ ფაქტიურად ერთი ხელნაწერი გადაწერილია გიორგი თაბაურის მიერ: „ამისსა მწერალსა თაბაურსა გიორგის შეუნდეს ღწ“². გიორგი თაბაურის მიერ გადაწერილი ოთხთავი მოხატულია: ვაკეთებული აქვს კამარანი და დახატულია ოთხივე მახარობელი. აღსანიშნავია, რომ ორი მახარობლის—მათესი და ლუკასი—სურათი № 2122 ხელნაწერის 1 ფ. v და 2 ფ. I გვერდებზეა, ორი დანარჩენი კი—მარკოზისა და იოვანესი—№ 2125 ხელნაწერის 42 ფ. v და 117 ფ. v გვერდებზეა.

მათი მხატვარი ავგაროზ ბანდაისძე იყო: „ესე ოთხნი მახარობელნი და ზემოდთ კამარანი დაიხატნეს ველითა ავგაროზ ბანდაისძისაჲთა, შენდობა ყავთ“³. როგორც ვხედავთ, გიორგი თაბაურის მიერ ვირშელ III-ის სიციოცხლეში გადაწერილი ოთხთავი ავგაროზ ბანდაისძეს მოუხატავს.

გიორგი თაბაური და ავგაროზ ბანდაისძე რომ ერთსა და იმავე დროს ლარგვისის მონასტერში მოღვაწეობდნენ, ამას, ზემოაქმულს გარდა, ავგაროზის მიერ 1365 წ. გადაწერილ „პარაკლიტონში“ მისივე ხელით ვაკეთებული მინაწერიც გვიდასტურებს: „ობლობასა შინა ჩემსა, თაბაურმა გიორგი დაწერა ოთხი დღისა საგალობელი, სულისა მისისა სალოცავად“⁴.

ამრიგად, ზემომოტანილი საბუთებიდან უდავოდ ირკვევა, რომ როგორც გიორგი თაბაური, ასევე მისი დროის მოღვაწე ავგაროზ ბანდაისძეც ვირშელ ერისთავ-ერისთავის თანამედროვენი არიან; ოღონდ, ავგაროზ ბანდაისძე ვირშელ III-ის უფროსი თანამედროვეა.

ვირშელ III, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1376 წ. დაბადებულა, ავგაროზ ბანდაისძე კი 1348 წ. უკვე ყრმა იყო; 1365 წ., ე. ი. 17 წლის შემდეგ, კი იგი თავის თავს „მიმცოცნებულს“ უწოდებს: „ველყავ და ვიწყემ წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატისა სიძვირესა და შფოთსა და უცალობასა შინა, წელსა მას, რომელსა იყო დიდი სიკუდილობად, ქრონიკონი იყო ლე (=1348), ...უწყის ღმერთმან, ოდეს ვიწყემ წერად ყრმა ვიყავ და აქა მიმცოცნებულმან სრულ-ყავ ქრონიკონსა შიგ (=1365)“⁵.

აღსანიშნავია შემდეგიც, „პარაკლიტონის“ გადაწერის დამთავრების დროისათვის, ე. ი. 1365 წ., ავგაროზ ბანდაისძეს, როგორც მისივე მინაწერიდან ჩანს, მხოლოდ ორი შვილი—გრიგოლი და გიორგი ჰყოლია: „სულსა ავგაროზისა შეუნდოს ღმერთმან, სულსა მისისა თათუაჲსასა შეუნდოს ღმერთმან. სულთა შვილთა მათთა გრიგოლ და გიორგისა შეუნდოს

¹ საქ. მუზ. ხელნაწ. განყოფილება, H: 2122; შდრ. აღწერილობა, V, გვ. 75; ამ ხელნაწერზე ყურადღება მიმაქცევინეს თ. ხაჭოშიაშ და ლ. შეფარიშვილმა.

² საქ. მუზ. ხელნაწ. განყოფილება, H: 2125, 76 რ; შდრ. აღწერილობა, V, გვ. 79.

³ საქ. მუზ. ხელნაწ. განყოფილება H: 2122, ფ. 1 v; შდრ. აღწერილობა, V, გვ. 75.

⁴ საქ. მუზ. ხელნაწ. განყოფილება, A: 575, გვ. 373; შდრ. თ. ქორდანიძე, Опис., II,

⁵ A: 575, გვ. 310; შდრ. თ. ქორდანიძე, იქვე, გვ. 93-94.

ღმერთმან... სულსა რაათაცა ვინ შემეწია ამისსა დაწერასა შეუნდოს ღჳერთმან“¹.

ხოლო ავგაროზის უფროსი შვილის, გრიგოლის მიერ 1400 წლის ახლო დროს გაკეთებული ერთი მინაწერიდან ვგებულობთ, რომ მას არა ერთი, არამედ ხუთი ძმა ჰყავდა: „მას ჟამსა შინა (თემურის მომსრველი ლაშქრობის დროს, 1400 წ., შ. მ.) დამიცვა ღმერთმან ხელთაგან მათთა და შემდგომად მცირედისა ჟამისაჲ, დავრჩი ობოლი ხუთთა ძმთაგან და ვსტიროდი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ ბანდასძე ავგაროზის შვილი“². როგორც ჩანს, ავგაროზ ბანდაისძეს ოთხი ვაჟიშვილი 1365 წლის შემდეგ შესძენია, ე. ი. იგი იმ დროისათვის არცთუ ისე „მიმცოცონებული“ ყოფილა, როგორც თვით წერდა. ასეთს პირს კი თავისუფლად შეეძლო მოსწრებოდა არათუ XIV საუკუნის დასასრულის, არამედ XV ს. პირველი წლების ამბებსაც.

გრიგოლ ბანდაისძის, ავგაროზის შვილის, ზემომოტანილი მინაწერიდან შეიძლება ვგეფიქრა, რომ 1400 წლის „შემდგომად მცირედისა ჟამისა“ მისი მამა ავგაროზი უკვე ცოცხალი არ უნდა იყოს. გრიგოლ ბანდაისძე მამისა და ძმების ქონების ერთადერთ მემკვიდრედ ჩანს: 1400 წლის „შემდგომად მცირედისა ჟამისა... და წვისაგან მოკრებული აღვაშენე ხუთი სახელი. ამისსა შემდგომად იხილა ღმერთმან სიმრავლე ცოდვათა ჩემითა და მიმიხუნა ექუსნი შვილნი სამნი ვაჟნი და სამნი ქალნი დედით მათითურთ. მაშინ უღირსმან შევიმოსე სახე მონაზონებისაჲ“³. ეს გარემოებაც, რომ ძეგლის ავტორი 1400 წლისათვის, თუ მის „შემდგომად მცირედისა ჟამისა“ უკვე ცოცხალი აღარ იყო, ერთხელ კიდევ ადასტურებს ზემოთქმულს — „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი ვირშელ III-ის მოღვაწეობის ბოლო წლებს არ მოსწრებია და რომ ტექსტის თხრობაც დაახლოებით იქ წყდებოდა, სადაც იგი ამჟამად არის შეწყვეტილი.

თუმცა ხელის მსგავსების მიხედვით მსჯელობა ძნელია, მაგრამ ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ისიც, რომ „ძეგლი ერისთავთას“ დაწერილობა ძლიერ მოგვაგონებს ავგაროზ ბანდაისძის მიერ XIV ს. მეორე ნახევარში გადაწერილი „პარაკლიტონის“ დაწერილობას, ხელს (შდრ. საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების A: 575).

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზეც: „ძეგლი ერისთავთას“ მსგავსი, ჩვენთვის ცნობილი საგვარეულო მატრიანეზა, ჩვეულებრივ, დასურათებული არ არის. „ძეგლი ერისთავთას“ კი, როგორც აღვნიშნეთ, ვირშელ III-ის ფერებით შესრულებული სურათი ახლავს. რა თქმა უნდა, სურათიც ლარგვისის მონასტრის მოღვაწეს, ერისთავის თანამედროვე მხატვარს უნდა ეკუთვნოდეს. ასეთად კი ამ დროისათვის ისევ ავგაროზ ბან-

¹ A:575, გვ. 311. ეს მინაწერი რატომღაც არ გადმოუღია თ. ჟორდანიას.

² თ. ჟორდანიას კრონიკები, II, გვ. 204; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტ., III, 1949, გვ. 307. თ. ჟორდანიას და ივ. ჯავახიშვილი შეცდომით კითხულობენ — „შინდასძესა“.

³ თ. ჟორდანიას კრონიკები, II, გვ. 204.

დაისძე ჩანს, რომელსაც, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, ჰქონდა „ველი მხატვარობისაჲ“. ავეგაროზს რომ, მართლაც, ამგვარი ხელობაც ჰქონდა, ჩვენ დაგვარწმუნა მის მიერ მოხატულმა „ოთხთაჲმა“ და ზემომოტანილმა მინაწერმაც — „ესე ოთხნი მახარობელნი და ზემოჲთ კამარანი დაიხატნეს ველითა ავეგაროზ ბანდაჲსისაჲთა“¹.

როგორც ირკვევა, ავეგაროზ ბანდაისძე ლარგვისის მონასტრის XIV ს. მეორე ნახევრის მოღვაწეთა შორის ერთადერთია, რომელსაც, გადაწერასა და მწიგნობრობასთან ერთად, მხატვრობაც შეეძლო. მის მიერაა დასურათებული ლარგვისის სხვა გადაწერთა მიერ შესრულებული ხელნაწერი. მით უფრო მოხატავდა იგი საკუთარს. ყოველივე ამით აიხსნება ალბათ ის, რომ საგვარეულო მატინის ერთი გვერდი — თუმცა ამგვარი ძეგლების დასურათების ტრადიცია არ იყო — ერისთავთ-ერისთავის ფერებით შესრულებულ სურათს დაეთმო. ასე რომ, დაუფქვებლად შეიძლება ვთქვათ — ვი რ შელ III-ის პორტრეტი ავეგაროზ ბანდაისძეს ეკუთვნის.

ამრიგად, „ძეგლი ერისთავთა“ დაწერილია ქსნის ერისთავთ-ერისთავის ვი რ შელ III-ის სიცოცხლეში, 1348 — 1400 წლებს შორის, ამ დროის ცნობილი ლარგველი მოღვაწის, მწიგნობრისა და მხატვრის ავეგაროზ ბანდაისძის მიერ.

„ძეგლი ერისთავთა“ ადრე, ალბათ, ცალკე წიგნად შედგენილი, რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე თავ-ბოლონაკლული და წაბლალული, სვინაქსართან ერთად აუკინძავთ და ისევ ლარგვისის საგვარეულო მონასტერში შეუნახავთ². ამ სახით უნახავთ იგი შალვა და მარიამ ერისთავებს 1828 წ., ხოლო 1848 წ. ამ კრებულიდან ამოხეული „ძეგლი ერისთავთა“ დიმიტრი მეღვინეთხუციშვილს მ. ბროსესათვის მიუწოდებია, რაც ერთხელ კიდევ მიგვითითებს იმაზე, რომ ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, ბროსეს არქივში, დაცულია „ძეგლი ერისთავთას“ დედანი და არა მისი რომელიმე ნუსხა.

III. „ძეგლი ერისთავთას“ ხელნაწერები და გამომცემები

„ძეგლი ერისთავთას“ დედნის სრული ტექსტი დღემდე ნხოლოდ ორი ხელნაწერის სახითაა ცნობილი; ორივე XIX ს. 30-იან წლებს ეკუთვნის. ერთი მათგანი თ. ჟორდანიამ დაბეჭდა „ქრონიკების“ მეორე ტომში; მაგრამ ხელნაწერის ის პირის-პირი, რომელსაც თ. ჟორდანიას თავის გამოცემაში დაემყარა, ჩვენთვის უცნობია; ასევე უცნობია შალვა რევაზის-ძე ერისთავის მიერ 1828 წ. 25 თებერვალს დედნიდან გადმოღებული პი-

¹ საქ. მუზ. ხელნაწ. განყოფ. №: 2122 1 v. შდრ. აღწერილობა, V, გვ. 75.

² თ. ჟორდანიას ერთ-ერთი ხელნაწერის (A: 572) შესახებ შენიშნავდა: „Из настоящей рукописи исчезли летописи Ксанского ущелья, с VI-го по XV в“ (Опис., II, 92). მაგრამ ამ ხელნაწერის მარტო ზომის გარეჯლისწინებაც კი უარყოფს თ. ჟორდანიას მოსაზრების სისწორეს. „ძეგლი ერისთავთა“, რომლის ზომა 26 x 20 სმ უდრის, ასე პატარა ზომის (21 x 16) ხელნაწერთან ერთად ვერ იქნებოდა აკინძული.

რიც, რომლის პირის-პირსაც წარმოადგენს თ. ყორღანის მიერ დაბეჭდილი ტექსტი.

ამათ გარდა, არსებობს „ძეგლი ერისთავთას“ დედნის XIX ს. სხვა გადანაწერიც. იგი ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების H ფონდში № 2496-ის ქვეშ ინახება.

ხელნაწერი, რომელსაც ჩვენ ქვემოთ პირობით ყოველთვის H-ით აღვნიშნავთ, ამგვარად არის დასათაურებული: „ქსნის ერისთავიანთ ისტორია ანუ ნამდვილი [ამბავი]“. გადამწერი იქვე შენიშნავს: „თავი ამისი დაკარგულ არს სიძველით და იწყების მხოლოდ ისტორია ესე ამა ლექსიდან“ (1r). ხელნაწერი დიდი ფორმანტის რვა, ორივე გვერდზე ნაწერი ფურცლისაგან შედგება.

დასაწყისი: „დასავლეთისათვის (sic) საფლავი მისცეს“ და სხვ. ხელნაწერი წყდება იქ, სადაც საერთოდ წყდება „ძეგლი ერისთავთას“ ჩვენ მიერ აღწერილი დედანი და სხვა ცნობილი გადანაწერიც.

ხელნაწერის მე-4 ფურც. verso მხარეზე მელნით დახატულია საომარი ტანსაცმელით შეკმურვილი მამაკაცი, რომელსაც ტექსტისავე ხელის მიწერილი აქვს: „შალვა ერისთავის ძე ვირშელი“. დასასრულს კი იმავე ხელით მიწერილია: „ესე ჩვენი ძეგლად წოდებული, ეტრატსა ზედა აღწერილი და ისტორია დაფუძნება ჩვენისა გვაროვნობისასა, ვაჟვეთ მცირედით რაჟმე აღწერა რილი ძეგლად და გადმოწერეთ რაჟცა შეიძლებოდა. სიძველით წაბღალული იყო და აქამდისინლა აღმოიკითხებოდა, რომელიც არს ზემოთ წარწერილი და ვინც ამის შემდეგ ჰპოვოთ, გთხოვთ შეასრულოთ ვინცა ჰპოვოთ. წელსა ჩუკჳ, მარტის ე. კნენა მარიამ ერისთავისა და გიორგიმან, ძემან დავითისამან, ქსნის ერისთავისამან“ (ფ. 8 v).

ამრიგად, ხელნაწერი გადაწერილია „სიძველით წაბღალულ“ „ეტრატსა ზედა აღწერილი“ ძეგლიდან 1828 წ. მარტის 5-ს, ე. ი. 8—9 დღის შემდეგ, რაც ამავე ეტრატთან იგივე ტექსტი გადმოიწერა შალვა რევაზის ძე ერისთავმა.

როგორც დართული ხელმოწერიდან ჩანს, გადანაწერი შესრულებულია დავით როსტომის-ძე ერისთავის მეუღლის, მარიამ ქობულაშვილის მიერ. აქვე ხელი მოუწერია მის ძესაც, ჩვენს სასიქადულო დრამატურგს, გიორგი დავითის-ძე ერისთავს.

ეს ხელნაწერი, ისე როგორც შალვა ერისთავისა, გადმოღებულია ჩვენ მიერ ქვემოთ გამოქვეყნებული დედნიდან. მიუხედავად ამისა, იგი მრავალი სხვადასხვა სახის შეკდომის შემცველია და ყველაფერი ეს ჩვენ მიერ ტექსტის სქოლიოში დეტალურად არის აღნუსხული.

„ძეგლი ერისთავთას“ სხვა, შედარებით სრული, გადანაწერი ცნობილი არ არის, მაგრამ მისი ერთი ნაწილი შესულია „ქართლის ცხოვრების“ XVIII ს. ზოგ ნუსხაში—ბარათაშვილისეულში (საქ. მუზეუმის S:25), დადიანისეულში (საქ. მუზეუმის S:354) და ფალავანდიშვილისეულში (საქ. მუზეუმის H:988), „ქართლის ცხოვრების“ სამივე ხსენებულ ნუსხაში იგი ერთსა და იმავე ადგილას და ერთი და იმავე მოცემულობით არის შეტანილი.

„ქართლის ცხოვრების“ ამ ნუსხათაგან შედარებით ადრინდელს, რომელზედაც სხვა დანარჩენი დამოკიდებულია, ბარათაშვილისეული წარმოადგენს. ამ უკანასკნელის დამატებას იმგვარადვე იმეორებს ჯერ დადიანისეული, ხოლო შემდეგ ფალავანდიშვილისეული.

სხენებულ ნუსხებში ნაწყვეტი „ერისთავთა ძეგლიდან“ სწორედ იქ არის შეტანილი, სადაც უამთაადმწერელი გიორგი ბრწყინვალის შესახებ წყვეტს მოთხრობას და სადაც საქართველოს ისტორიის ერთგვარი ცარიელი ფურცელი რჩება (იხ. S:25, გვ. 577; S:354, გვ. 498; H:988, გვ. 461).

„ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში ჩართული ნაწყვეტი ყველგან ერთნაირად იწყება ფრაზით: „ქქსა უმ 1236 დაჯდა მეფე ადარნასე და განაგებდა სამეფოსა ქართლისასა“ (შდრ. აქვე, გვ. 4₂₁ და შემდგომი). ამგვარადვე, ერთნაირია დასასრულიც: „ისტუმრა შინა დაეით ძე მეფისა“ (იხ. S:25, გვ.581; S:354, გვ. 502; H:988, გვ. 463; შდრ. აქვე, გვ. 9₂₃).

„ქართლის ცხოვრების“ XVIII ს. ნუსხებში ჩართულ ნაწყვეტში ყოველთვის არ არის დაცული „ძეგლი ერისთავთას“ ტექსტის თხრობის თანმიმდევრობა, ზოგან კიდევ იგი შემოკლებულია, ან კიდევ შევსებულია ცალკეული წინადადებების, ფრაზისა თუ თარიღების დამატებით და სხვ. ასე რომ, „ქართლის ცხოვრების“ დასახელებულ ნუსხებში შეტანილი ნაწყვეტი თავისებურ რედაქციას უფრო წარმოადგენს, ვიდრე „ძეგლი ერისთავთას“ ერთი ნაწილის გადანაწერს. მიუხედავად ამისა, ჩვენი გამოცემისათვის „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული ნუსხები გათვალისწინებული იყო და ის კითხვა-სხვაობანიც, რომელთაც მასში ჩართული ნაწყვეტი გვაძლევდა, სათანადო ადგილზე მითითებულიცაა.

* * *

„ერისთავთა ძეგლი“, როგორც საყურადღებო წყარო, ორჯერ გამოიცა — პირველად 1851 წელს, ფრანგულად თარგმნილი აკად. მ. ბროსეს მიერ¹; მეორედ კი თვით ქართული ტექსტი თ. ჟორდანიას მიერ².

ფრანგული თარგმანი, როგორც გამომცემელი შენიშნავდა, დედანზე ყოფილა დამყარებული: „წინამდებარე ნაწყვეტი მთლიანად და ტექსტუალურად ნათარგმნია მანუსკრიპტის ერთი ფრაგმენტიდან, რომელიც წარმოადგენს ხუცური დამწერლობით შედგენილ პერგამენტზე ნაწერ 10 ფურცელს, მეტად ძველს, მაგრამ უთარილოს, რომელიც, როგორც ჩანს, შეიცავდა ლარგვისის მონასტრის ისტორიას. ეს ძვირფასი ფრაგმენტი... მე მომცა ბ. დიმიტრი მელვინეთხუცესის „შეილმა“ — წერდა მ. ბროსე³.

როგორც ვხედავთ, მ. ბროსეს ხელთ ჰქონია ეტრატის ათ ფურცელზე ნუსხახუცურით ნაწერი ძეგლი და არა მელვინეთხუციშვილის მიერ გადაწერი-

¹ იხ. M. Brosset, Additions et éclaircissements a l'H de la G. სპბ, 1851. Addition XXI, გვ. 372—384.

² თ. ჟორდანიას, ქრონიკები და სხვა მასალა., II, ტფალისი, 1897 წ., გვ. 1—19.

³ M. Brosset, op. cit., გვ. 372, შენ. 1.

ლი პირი, როგორც ამას რატომღაც ფიქრობდა თ. ჟორდანიას. იგი მ. ბროსეს გამოცემის წყაროს შესახებ წერდა: „თვით ის ტყავის სვინაქსარის ხელნაწერი, რომელშიაც ჩართული ყოფილა ეს მატიანე, ჩვენ ვერ ვიპოვეთ ჯერჯერობით, მაგრამ ის წიგნი ხელში ჰქონდა დ. მეღვინეთხუციესოვს, რომელსაც გადმოუწერია ხსენებული ისტორია აკადემიკოსანის (!) ბროსესთვის; უკანასკნელს ფრანგულად გადაუთარგმნია და დაუბეჭდავს... ხოლო ქართული ტექსტი ამ მატიანისა არ არის გამოცემული ბროსეს შრომებში“¹.

ამგვარადვე შენიშნავდა ივ. ჯავახიშვილიც „ერისთავთა ძეგლის“ ფრანგული გამოცემის შესახებ: „ეს თხზულება ეტრატის ხელნაწერ სვინაქსარში ყოფილა ჩართული და შექვევლია თავდაპირველად ლარგვისის მონასტერს ჰკუთვნებია. დ. მეღვინეთხუციშვილის მიერ გადაწერილი პირი მ. ბროსესა ჰქონდა და იქიტიგან მან ფრანგულად გადასთარგმნა და თავის Additions-ში დაბეჭდა... ქართული დედანი ბროსეს არ გამოუცია“².

მას შემდეგ, რაც მ. ბროსეს არქივში აღმოჩნდა, 1848 წ. მისთვის გაგზავნილი, „ძეგლი ერისთავთას“ დედანი, ცხადია, ლაპარაკი ზედმეტია იმის შესახებ, რომ მ. ბროსეს მიერ შესრულებულ ფრანგულ თარგმანს საფუძვლად ეს დედანი დაედო და არა დ. მეღვინეთხუციშვილის მიერ გადაწერილი პირი.

ქართული ტექსტის პირველი გამოცემა, როგორც აღვნიშნეთ, თ. ჟორდანიას ეკუთვნის. იგი თავის გამოცემის წყაროს შესახებ წერდა: „ეს ფრიად საყურადღებო ისტორიული წერილი, ძეგლად წოდებული, ჩართული ყოფილა ერთს ტყავის დახიანებულს სვინაქსარში; თავი ჰკლებია და შიგადაშიგ რამდენიმე სტრიქონები წაბლალულა სიძველით. ამ ტყავის ხელნაწერიდამ 1828 წელს ეს წერილი გადმოუწერია უმეტ-ნაკლოდ თ. რევაზის ძეს შალვა ერისთავს. ამ რვეულიდამ 1830 წ. უმეტ-ნაკლოდ გადმოღებული პირი ვიპოვეთ. ნიკოლოზ ერისთავის სახლში, სოფ. ქვეშში. უკანასკნელმა მიბოძა მისგანვე სწორედ გადაღებული პირი ამ მატიანისა“³.

თუ საიდან მომდინარეობს ჟორდანიას განკარგულებაში მყოფი ხელნაწერი, კარგად ირკვევა შემდეგი მინაწერიდანაც: „ეს ისტორია წოდებული ძეგლად მიჩვენა მე მუხრან ბატონის ასულმა ჩემმა დედიდაშვილმა და სძალმა, თორნიკე ერისთავის მეუღლემ, რომელიც იყო დაწერილი ეტრატზედ და მრავალგვარ სიძველისაგან ძლივსა ჩანდა, რომლისთვისცა მივიღე მცირე შრომა და გადმოვწერე კარალეთს ჩუკწ (=1828) თებერვლის კე(25)-სა დღესა. თავი შალვა ერისთავის რევაზის ძე ქსნის ერისთავი.“

ამ გადმოწერილიდამ უმეტ-ნაკლოდ გადმოიწერა ჩუკწ (=1830)-სა წელსა, მაისის იღ (14)-სა, სოფელსა ქუშუსა“⁴.

¹ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 1, შენ. 1.

² ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 264.

³ თ. ჟორდანიას. op. cit., გვ. 1, შენ. 1.

⁴ იქვე, გვ. 19.

როგორც მოტანილი ამონაწერებიდან ჩანს, თ. ჟორდანიას მიერ გამოცემული ტექსტი დამყარებულია შალვა რევაზის-ძე ერისთავის მიერ 1828 წ. 25 თებერვალს გადმოღებული პირიდან 1830 წ. გადაწერილ პირის-პირზე (რომელიც მას გადაუწერა ნიკოლოზ ერისთავმა), ე. ი. დედნიდან მომდინარე, XIX ს. დამდეგს შესრულებულ მესამე გადანაწერზე.

მიუხედავად იმისა, რომ მ. ბროსეს დედანი ჰქონდა, ხოლო თ. ჟორდანიას კი მესამე გადანაწერი, იგი თავისი გამოცემის შესახებ აღნიშნავდა: „შედარებიდამ ცხადდება, რომ ჩვენი ხელნაწერი უფრო სრულია და სწორედ აღმოკითხული, ვიდრე ბროსისგან ფრანგულად გამოცემული“¹.

ჩვენ არაფერს ვამბობთ მ. ბროსეს მიერ შესრულებული თარგმანის სიზუსტის შესახებ, მაგრამ თ. ჟორდანიას მიერ გაკეთებული შენიშვნა, ფრანგული თარგმანის არასრულობის შესახებ, უმართებულოდ მიგვაჩნია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თ. ჟორდანია თავის გამოცემის სქოლიოებში ხშირად სავესებით უსაფუძვლოდ უსაყვედურებს მ. ბროსეს ამა თუ იმ თარიღის გამოტოვებას (იხ. ქრონიკ. II, გვ. 15, შენ. 59), ან კიდევ, ტექსტის არასწორად წაკითხვას (იქვე, გვ. 10, შენ. 39; გვ. 11, შენ. 40) და სხვ., მაშინ როცა მ. ბროსეს მიერ სისრულით გადმოღებული მინაწერები თ. ჟორდანიას თავის გამოცემაში რომ გაეთვალისწინებია, იგი უფრო დასრულებულ სახე მიიღებდა.

თ. ჟორდანიას გამოცემის ეს თუ სხვა სახის ხარვეზი ჩვენ მიერ თავის ადგილას საგანგებოდ არის აღნიშნული და აქ ამაზე სიტყვას არ ვავარძლებთ.

IV. ხელნაწერის აღწერა

1. ხელნაწერის აწინდელი მდგომარეობა

„ძეგლი ერისთავთა“-ს ხელნაწერი შეიცავს თითქმის ერთი და იმავე ზომის (26×20 სმ) ეტრატის 10 ფურცელს. პირველი და მეოთხე ფურცელი ერთი მთლიანია და გაკეცილია შუაში, რომელშიც ჩადებულია აგრეთვე მთლიანი და გადაკეცილი მეორე და მესამე ფურცლები. ასევეა სხვა დანარჩენი ფურცლებიც.

ყოველი ფურცლის ზედა აშიაზე დასმულია მთავრული ბ, ქვედა აშიაზე კი ა. ხელნაწერის ფურცლებს გაკეთებული აქვს, ალბათ მ. ბროსეს მიერ, პაგინაცია ფანქრით 1, 1თ, 2, 2თ და ა. შ.

როგორც ზემოთ გვქონდა საუბარი, ხელნაწერს დასაწყისი აკლია, ასევე აკლია ბოლოც.

პირველი ფურცლის r მხარეზე 26 სტრიქონია, ასევე 26 სტრიქონია ამავე ფურცლის v მხარეზეც. იგი დაზიანებული არ არის. მიუხედავად ლაქებისა, რომელიც ეტრატის ზოგ ადგილს ფარავს, ტექსტი კარგად იკითხება.

¹ იქვე, გვ. 1, შენ. 1.

კიდევ უფრო სუფთადაა შენახული მეორე ფურცლის r და v მხარე-ორივე გვერდზე 27—27 სტრიქონია. ეტრატის თავიდანვე აქა-იქ დაზიანებული (გახვრეტილი) ყოფილა და ამიტომაც ზოგი სიტყვა შუახევა გაყოფილი (მაგ., „ცხრა ზმის“ $2r_{11}$; „კლიტ ეთ“ $2r_{23}$; „ქუენიფ ნეველი“ $2v_{14}$; „დამ თა“ $2v_{24}$ და სხვ.).

ხელნაწერის მესამე ფურცლის r და v მხარეზე 27—27 სტრიქონია, ფურცელი სუფთად არის შენახული და ტექსტი დაუბრკოლებლად იკითხება. ეტრატის ეს ფურცელიც თავიდან ორ ადგილას დაზიანებული ყოფილა და ამიტომ აქაც, ისე როგორც მეორე ფურცელზე, ზოგი სიტყვა მე-2, 3, 4 და მე-12 სტრიქონებში გაყოფითაა დაწერილი (მაგ., „შეჭედ რნა“ $3r_8$; „მე ფისსა“ $3r_4$; სპარ სთა“ $3r_{12}$ და სხვ.).

მესამე ფურცლის v მხარის მეოთხე სტრიქონში, სადაც მეფის მიერ შალვა ერისთავისადმი ბოძებული სოფლებისა და ხევების ჩამოთვლა უნდა გაგრძელებულიყო, 19—20 ასოს ალაგი ამოფხვკილია, ისე რომ ამ საინტერესო ადგილის აღდგენა შეუძლებელი ხდება.

მეოთხე ფურცლის r გვერდზე თავიდან 29 სტრიქონი ყოფილა. უკანასკნელი სტრიქონი „ძეგლი ერისთავთას“ ალბათ სუნაქსართან ერთად აკინძვის დროს წაუჟკრიათ და ამჟამად მხოლოდ 28 სტრიქონი და 29-ე სტრიქონის მხოლოდ ორი უკანასკნელი სიტყვის ასოების ზედა თავებია შერჩენილი. უკანასკნელი სიტყვის აღდგენა ხერხდება, მაგრამ ვერ ხერხდება სტრიქონის აღდგენა მთლიანად, რაკი დანარჩენი ასოების კვალიც კი არ ჩანს.

ამავე ფურცლის v გვერდზე 28 სტრიქონია; თითქმის ყველა სტრიქონი კარგად იკითხება გარდა მე-14, 15 და 16-ისა. ამ სტრიქონებში ზოგი ასო ამჟამად სრულიად გადასულია და აღდგენა მხოლოდ აზრის მიხედვით ხდება შესაძლებელი.

მეხუთე ფურცლის r და v გვერდებზე 26—26 სტრიქონია. ფურცელს ზემო აშია მოხევია და ამის გამო r გვერდის პირველი სტრიქონი დაზიანებულია, მოხეული ისევე მიუკერებიან; მაგრამ რაკი დაზიანებული სტრიქონის წაკითხვა ძნელდებოდა, უცნობ პირს მისი პირველი სამი სიტყვა მხედრულით თავისუფალ ადგილზე მიუწერია და ამგვარად დაზიანებული ადგილი აღუდგენია ეტრატის ზედა აშიის მიხედვით; მიკერებით არ დაზიანებულა v გვერდის პირველი სტრიქონი. ამას გარდა, ეტრატის ეს ფურცელი ორ ადგილას (მე-9—11 და 24—25-ე სტრიქონებს შორის) ადრევე გახეული ყოფილა და გაუჟკრიათ კიდევ; ამჟამად ნაკერი კარგად ჩანს, მაგრამ ძაფები არაა.

კარგად არის შენახული ძეგლის მეექვსე ფურცელი. მის ორსავე გვერდზე 28—28 სტრიქონია. ასევე კარგად არის შენახული მეშვიდე ფურცელიც, რომლის r და v გვერდებზე 29—29 სტრიქონია. ამ ფურცლის ზემო აშიაზე მხედრულით მიწერილია: „თუმცა ფურცელი (sic) აკლია, მაგრამ ამ ამბისაა“... ეს მინაწერი გვაფიქრებინებს თითქოს აქ ჩვენს ძეგლს მთელი ფურცელი აკლდეს, მაგრამ ამას არ ამართლებს თხრობის თანმიმდევრობა—მეექვსე ფურცლის v გვერდზე მოთხრობილი უშუალოდ გრძელდება

მეშვიდე ფურცლის r გვერდზე. აუხსნელი რჩება, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს შემდეგდროინდელი მინაწერი.

კარგად არის შენახული მე რვე ფურცლის r მხარე, რომელშიც 28 სტრიქონია, მაგრამ იგივე არ ითქმის ამავე ფურცლის v გვერდზე (აქაც 28 სტრიქონია), რომელიც აქა-იქ ლაქებით არის დაფარული; ამას გარდა, ეტრატის ეს ფურცელი ერთ დროს შუაზე ყოფილა გაკეცილი და ამის გამო მე-13—14 სტრიქონების ზოგი სიტყვა დაზიანებულია.

მეცხრე ფურცლის r მხარეზე თავიდან 30 სტრიქონი ყოფილა, ამაჟამად კი ოცდაცხრამ, ფურცელი წაჭრილია და პირველი სტრიქონი დაზიანებულია ისე, რომ ზოგი ასოს მხოლოდ ბოლოა შერჩენილი და აღდგენა შეუძლებელი ხდება. აღსანიშნავია, რომ ტექსტის დაზიანება ვერ შეუნიშნავთ „ძეგლი ერისთავთა“ XIX ს. გადამწერებს და ვერც თ. ჟორდანიას, თუმცა საამისო მითითება (გარდა იმისა, რომ თხრობა წყდება) არსებობდა თვით ძეგლში შემდეგდროინდელი მინაწერის სახით და ამაზე მითითებდა მ. ბროსეც (იხ. Addit., 382, შენ. 2).

ამავე გვერდს ჩამოჭრილი აქვს აგრეთვე მარცხენა აშიაც, რის გამოც სტრიქონთა უკანასკნელი ასოები დაზიანებულია, განსაკუთრებით მე-17 სტრიქონს ქვემოთ.

მეცხრე-ფურცლის v მხარე, როგორც ზემოთ საგანგებოდ აღვნიშნეთ, მთლიანად უჭირავს ვირშელ მესამის ფერებით შესრულებულ პორტრეტს (პორტრეტისა და მინაწერის შესახებ იხ. ზემოთ, თ. I).

მეათე ფურცლის r გვერდზე 28 სტრიქონია და არც ერთი დაზიანებული არ არის. სამაგიეროდ, ყველაზე უფრო დაზიანებულია ამავე ფურცლის v (ხელნაწერის უკანასკნელი) გვერდი. აქაც 28 სტრიქონია, რომელთაგან სრულებით არ იკითხება მე-15 სტრიქონი. მე-14, 15, 16 სტრიქონები ადრეც გადასული ყოფილა და მისი ზოგი ადგილი ამაჟამად შემდეგ განახლებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. მიუხედავად ამისა, ზოგი სიტყვის გარჩევა მე-14 და 15 სტრიქონებშიც კი შეუძლებელი ხდება. დაზიანებულია აგრეთვე უკანასკნელი სტრიქონიც.

აღსანიშნავია, რომ ხელნაწერი სავსებით ასეთსავე მდგომარეობაში ყოფილა 1828 წელსაც, როცა იგი გადაწერეს შალვა რევაზის ძე ერისთავმა და მარიამ ერისთავისამ; ასეთსავე მდგომარეობაში გადაეგზავნა იგი მ. ბროსეს 1848 წ.

2. „ძეგლი ერისთავთა“ დამწერლობა

„ძეგლი ერისთავთა“ დაწერილია XIII—XIV საუკუნეების საშუალო, ლამაზი და მარჯვნივ დახრილი კუთხოვანი ნუსხურით (იხ. სურ. 2). ჩვენი ხელნაწერი დამწერლობის მიხედვით მიეკუთვნება იმ ლამაზ შრიფტს, რომელიც, ლ. მუსხელიშვილის სიტყვით, XII საუკუნიდან ჩამოყალიბდა და რომელსაც „შეიძლება კლასიკური ხანის ნუსხახუცური ვუწოდოთ“¹.

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, 1939, გვ. 24.

ძეგლის ავტორის ხელი და მელანი (შავი) პირველიდან უკანასკნელ გვერდამდე ერთია. ტექსტის როგორც მთავრული, ასევე სხვა ასოები მხოლოდ შავი მელნით არის დაწერილი; არსად, გარდა ერთი შემთხვევისა, ავტორს სინგური არ უხმარია. ერთგან კი სიტყვა „ქართლისამან“ (19₁₂), რომელიც სტრიქონს ზემოთაა დაწერილი, სინგურითაა შესრულებული. ამას გარდა, სინგური ნახმარია, როგორც აღენიშნეთ, ვირშელ III-ის პორტრეტის მინაწერშიც.

ძეგლში ხშირად გვხვდება მთავრული ასოები როგორც სტრიქონთა დასაწყისში, ასევე ტექსტის შიგნითაც. მთავრული ასოებით, თითქმის ყოველთვის, იწყება ახალი წინადადებები; ასე რომ, მთავრული ასოებით ძეგლის ავტორს თითქო ჩვენებური აბზაცების გამოყოფა სურს. მაგრამ ეს პრინციპი ყოველთვის არ არის გატარებული. ზოგ შემთხვევაში მთავრული ასოებით იწყება საკუთარი სახელებიც — როსტომ, ბიბილაძე, წითლოსანი. (19-10) და სხვ.; უმეტეს შემთხვევაში კი საკუთარი სახელები ჩვეულებრივი ნუსხახუცურით არის დაწერილი. რიცხვების აღსანიშნავად ძეგლში ყოველთვის მთავრული ასოებია გამოყენებული.

ზოგი მთავრული ასო, როცა იგი სტრიქონის დასაწყისშია, ე. ი. მარჯვენა აშიაზე ხვდება, მოხატულიცაა (იხ. მაგ. გვ. 2₁₂₋₁₃, 14₁₋₃), მაგრამ იშვიათად. შეწიალებული ასოები მხოლოდ ერთგან გვხვდება და ისიც მთავრულში — ჩასმულია დ-ონში (14₁₋₃).

ა. სასვენ ნიშნებად ძეგლში იხმარება: სამი წერტილი (:·), ორი წერტილი და პატარა ხაზი (:·-), ორი წერტილი (:) და იშვიათ შემთხვევაში — წერტილი.

სამი წერტილი იხმარება, როცა აზრი, წინადადება ან აბზაცი სრულდება. ამიტომაც მთავრული ასოების წინ თითქმის ყოველთვის სამი წერტილია დასმული მაგრამ სამი წერტილი ზოგჯერ საკუთარი სახელების ჩამოთვლის წინაცაა დაწერილი. სამი წერტილის მსგავს როლს ასრულებს ტექსტში ორი წერტილი და პატარა ხაზი, რომელიც შედარებით იშვიათად იხმარება.

თუ კი სამი წერტილის, ორი წერტილისა და პატარა ხაზის დასმა ასე თუ ისე წესს ემორჩილება, შედარებით უსისტემოდაა ხმარებული ორი წერტილი და მით უფრო წერტილი.

ორ წერტილს ზოგჯერ ჩვენი წერტილის, წერტილ-მძიმის და მძიმის მოვალეობა აქვს დაკისრებული; ზოგჯერ კიდევ მათი ხმარება არავითარ წესს არ ემორჩილება. ორ-ორ წერტილებს შორის, თითქმის ყოველთვის, მოქცეულია საკუთარი სახელები მათი ჩამოთვლის დროს: ვირშელი: ხარება: იოანე: (იხ., მაგ., 13₁₇); ქუჩენი ფნეცს: ქარჩოხს: ქოლოთს: და ისრაოლს: (5₉₋₁₀).

ორ წერტილშია მოქცეული წრიცხვითი სახელები — სამეოცდაათითა: (1₁₀): სამე: წელ (13₁₄), — რიცხვის აღმნიშვნელი მთავრული ასოები და ზოგჯერ წინადადების სხვა ნაწილებიც.

იშვიათ შემთხვევაში ზემოხსენებულ დანიშნულებას ასრულებს წერტილიც. სხვა სასვენ ნიშანი ძეგლში ჩვენ არ შეგვხვედრია.

ბ. კორექტურული ნიშნები. როცა სიტყვა დაწერილია სტრიქონს ზემოთ ან ქვემოთ და როცა ავტორს უნდა გვიჩვენოს ასეთი სიტყვის ადგილი წინადადებაში, გამოყენებულია სათანადო ნიშნები. ამგვარ კორექტურულ ნიშანს წარმოადგენს უმთავრესად სამი წერტილი, ზოგჯერ ორი წერტილი და წერტილებიც.

11 გვ. მე-18 სტრიქონს ზემოთ დაწერილ სიტყვა „უმცროხი“-ს ჩატანის ნიშნად, სათანადო სიტყვებს შუა, ქვემოთ დასმულია სამი წერტილი; ასევე, სამი წერტილია გამოყენებული სიტყვების ადგილის საჩვენებლად სხვაგანაც (იხ. 4₉, 4₂₅, 16₁₅, 19₁₂). იგივე ნიშანი, ერთ შემთხვევაში, გამოყენებულია გამორჩენილი და შემდეგ სიტყვის ზემოთ დაწერილი ასოს ადგილის საჩვენებლადაც (იხ., მაგ., 11₂₃), მაგრამ სხვა შემთხვევაში ასობის ადგილის მაჩვენებელი ნიშნები არ არის (იხ. 4₄, 12_{10;11}).

ერთგან სიტყვის ადგილის აღმნიშვნელად ორი წერტილია გამოყენებული და ზევით ასატანი სიტყვაც ორ-ორ წერტილს შორის არის მოქცეული (იხ. 10₅₋₆); ერთგან კიდევ ასატანი სიტყვა ირგვლივ წერტილებით არის შემოვლებული, მისი ადგილბს საჩვენებლად კი სამი წერტილია გამოყენებული. ძეგლში ერთგან იხმარება დეფიზის ნიშანიც—პატარა დაკლაკნილი ხაზი, ჩვეულებრივ ქარაგმის ნიშნად გამოყენებული: „სამზის“ (2₃).

გ. ქარაგმა ტექსტში ყველგან ერთგვარია—პატარა დაკლაკნილი ხაზი ('). იგი იხმარება როგორც ყოველ ხმოვანთა, ასევე თანხმოვანთა დასაქარაგმებლად და აგრეთვე სიტყვის ბოლოში „ა“-ნის დასაქარაგმებლადაც. სიტყვის დაქარაგმება ჩვენს ძეგლში ხშირია. თითქმის ყოველი მესამე დაქარაგმებულია (იხ. ქვემოთ დაქარაგმებულ სიტყვათა სია).

V. ტექსტის კრიტიკა

1. შეცდომები

შეცდომები და სხვადასხვა სახის ხარვეზები ძეგლში არცთუ იშვიათად გვხვდება. ქვემოთ მოგვაქვს სრული სია შეცდომით დაწერილი სიტყვებისა და სხვა სახის ხარვეზებისა, რაც ჩვენ მიერ სათანადოდ იქნა გასწორებული.

ძეგლში წერია: „მკვდ ყოფაჲ“ (2₁₇) და არა „მკვდრ ყოფაჲ“; „დამლული“ (7₆) და არა „დამალული“; „ალშენა“ (7₁₀) და არა „ალაშენა“; „ჯოცად მთადა“ (9₁₉₋₂₀) და არა „ჯოცად მთადა“; „მუსხეს“ (14₂₃) და არა „მოუსხეს“; „მოწივა ხარება“ (17₂₁) და არა „მოეწივა ხარება“; „დემურ“ (17₂₄) და არა „თემურ“; „ქართველნი“ (8₁₆) და არა „ქართველნი“; „შიე-ღწყულიცენს“ (11₁₃₋₁₄) და არა „შიეწყულიცენს“; „მუნე“ (11₂₈) და არა „მუნევე“; „პოე“ (13₁) და არა „პოეს“; „შიეიბნე“ (13₆) და არა „შიეიბნეს“; „ძრციდე“ (13₈) და არა „ძრციდეს“; „წაახეს“ (13₁₆) და არა „წაახეს“; „შიქმნა“ (15₂₂) და არა „შიექმნა“; „უკმოღა“ (15₂₀) და არა „უკუმოღა“¹.

¹ მოტანილი მაგალითები მითითებულია ხელნაწერი დედნის გვერდების მიხედვით.

ზემომოტანილი სიტყვების—„დამლულ“, „ალშენა“, „შიქმნა“ „უკოდგა“— ასე დაწერა შეიძლებოდა ქარაგმის გამოტოვების შედეგად მიგვეჩნია, რომ ამ და მსგავს სიტყვებს ჩვენი ძეგლი ასე აქარაგმებდეს.

გვხვდება არასწორად დაქარაგმების შემთხვევებიც: მაგ., წერია: „ლარგზსამნ“ (2₁₆)—„ლარგზსამან“, უნდა იყოს — „ლარგზსმნ“—ლარგზსისამან; „ლქრმნ“ (7₂), უნდა იყოს—„ლშქრმნ“, როგორც სხვა ყველა შემთხვევაში აქვს თვით ძეგლის ავტორს; „მონატრს“ (7₂₈), მაშინ როცა სხვაგან გვხვდება ამ სიტყვის სწორი დაქარაგმება—„მონასტრსა“; „მთვ ან გზისა“ (13₂₃), მაშინ როცა უნდა იყოს „მთვრ ან გზისა“.

ძეგლში გვხვდება შეკვეცილი, მაგრამ დაუქარაგმებელი სიტყვებიც: „შენბასა“ (1₆), უნდა იყოს — „შენბასა“; „ლრგზსა“ (1₅), უნდა იყოს — „ლრგზსა“; „ფდი“ (1₈), უნდა იყოს — „ფდი“; „შეჭგეს“ (3₂₄) უნდა იყოს — „შეჭგეს“; „სფლვი“ (3₉), უნდა იყოს „საფლვი“; „ქალქი“ (4₁₁), უნდა იყოს — „ქალქი“; „ერისთეთ“ (4₁₈), უნდა იყოს — „ერისთეთ“; „ცხრზმის“ (5₈), უნდა იყოს — „ცხრზმის“; „მიჰმრთა“ (5₂₁), უნდა იყოს — „მიჰმრთა“; „დეკნოზი“ (7₂₃), უნდა იყოს — „დეკნოზი“, როგორც ეს არის იქვე, მე-25 სტრიქონში, „სგრავი“ (15₁₂) უნდა იყოს — „სგრავი“.

არის შემთხვევები, როცა დაქარაგმებული ისეთი სიტყვები, რომელთაც ამგვარი ნიშანი არ სჭირიათ. მაგალითად: „ყვეს“ (1₁₈), „უმჯობესსა“ (2₂₄), „მეფენი“ (4₂₀), „გაზრდილი“ (4₂₆), „სპაჲ“ (6₁), „ქლტიენი“ (7₁₈), „მოიწყლა“ (11₁₇), „მოკლეს“ (11₁₇), „მკლესიათა“ (12₇), „შეა“ (12₂₂), „ლხთიმერით“ (19₁₉), „ქოსს“ (17₆), „წინაშე მიისსა“ (15₆).

ზოგი სიტყვაც ზედმეტადაა დაქარაგმებული. ასე მაგალითად: „გნებვს“ (2₁₇)—აქ პირველი ქარაგმა ზედმეტია: „მმასახლისნი“ (10₂₁)—ამ შემთხვევაში კი მეორე ქარაგმაა ზედმეტი.

როგორც ვხედავთ, ტექსტში არ გვხვდება ისეთი შეცდომები, რომელნიც გადანაწერისათვის იყოს დამახასიათებელი. ზემოჩამოთვლილი შეცდომები, რომელნიც ცალკეულ ასოთა გამოტოვებაში გამოიხატება და არა სიტყვათა დამახინჯებულად გადაწერაში, ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს „ძეგლი ერისთავთას“ დედანთან და არა მის რომელიმე გადანაწერთან, ხუსხასთან.

2. ორთოგრაფიული სხვაობანი

ძეგლში გვხვდება ორთოგრაფიული უთანმიმდევრობაც. ტექსტში ზოგან გვხვდება „ძლუენი“ (14₂₃, 15₃). სხვაგან კიდევ „ზლუენი“ (14₂₉, 15₂₀₋₂₁, 21, 25), რომლის მაგიერ ჩვენ ყველგან დავწერეთ „ძლუენი“; წერია „გოლიეთი“ (2₁₅, 15₁₃), მის გვერდით კიდევ „გოლიათი“ (15₁₀); ამ შემთხვევაშიაც ყველგან „გოლიათი“ დავწერეთ.

სხვა ორთოგრაფიული სხვაობანი— „ნაკაფუანს“ (1₂) და „ნაკა-
ჯოგნისაჲ“ (17₂₉), „ბექუშე“ (6₅) და „ბესუშე“ (14₂₁, 16_{14,26}, 17_{7,27}),
„სამეოცდაათი“ (1₁₀) და „სამოცდათორმეტი“ (10₁₇)—შეუსწორებ-
ლად იქნა დატოვებული.

გავასწორეთ ავტორის ორთოგრაფიული შეცდომა—სიტყვა „დაესუჴს“
(9₁₃) მოვაშორეთ ზედმეტი უ-ნი და „დაესჴს“ დავწერეთ.

აქვე შევნიშნავთ, რომ ძეგლში უ ყველგან ოთხბილიანია, მაგრამ ორ
შემთხვევაში, როცა ავტორს არქაული დაშწერლობის დაცვა სურს, ეს ბგე-
რა ოჯ კომპლექსით გამოიხატება; „ონ“ = „ოჯფალმან“ (17₁₈, 19₉).

3. ფონეტიკური თავისებურებანი¹

ჩვენს ძეგლში ასო ც სისტემატურად იხმარება უმარცვლო უ-ნის შემდეგ,
ე-ნის ნაცვლად. თუმცა ორჯერ გვხვდება მისი სწორი ხმარებაც; სახელობით-
ში—„წერლუშ“ (13₂₁) და „ტყუშ“ (17₂₆). ამ ორი შემთხვევის გარდა, ყველ-
გან ც ე-ნით შეეცვალეთ.

ქვემოთ მოგვაქვს სრულად დაწერილი, დაუქარაგმებელი იმ სიტყვების
სია, სადაც ე ეწერა და ჩვენ მიერ ე-ნით იქნა შეცვლილი: „თქშს“ (1_{12,13,19},
2₁₄ და სხვ.), „გუშრქუას“ (1_{14,15}), „მართუშთა“ (1₂₃), „თუშ“ (2₂),
„თუშსა“ (13₁₉), „შუშლად“ (2₂, 15₃₋₄), „ქუშმოსა“ (2₁₁), „ქუშმო-
თა“ (9₉), „ქუშმო“ (5₈, 13₆, 14₂₁), „ქუშმოთა“ (11₁₁, 20₂₁), „მარჯუშ-
ნით“ (2₂₃), „ქუშნიფნეჴს“ (3₉, 5₉, 9₂₆), „ქუშნიფნეჴელნი“ (3₉₋₁₀,
4₁₄), „ლარგუშლი“ (4₁₃), „დაწუშს“ (5₈, 15₇), „მოწუშს“ (16₂₃), „ლუშ-
დისა“ (5₁₁), „გუშლეთი“ (5₁₆, 17₂₁), „არახუშთი“ (6₂), „შუშნიერი“
(6₁₆, 7₁₆, 8₂, 10₁₀, 14₁, 19₁₈), „ძღუშნი“ (7₂₁, 23, 14₂₃, 24, 15₃), „გუშ-
რდსა“ (8₁₉), „დაუსუშნებდეს“ (8₂₂), „შეიხუშწნეს“ (11₂), „ტყუშ-
ნიდის“ (11₁₈₋₁₉), „ნატყუშნიეთა“ (13₂₂), „დატყუშნონ“ (14₁₉, 17₂₄),
„ტყუშნეაჲ“ (19₂₁), „გმრჯშბაჲ“ (10₁₉), „გმრჯშბლნი“ (13₂₂,
17₁₂), „სუშშნ“ (13₆), „შიშუშლი“ (13₈), „მოჴჴშთა“ (13₁₀), „შემო-
ხუშწილ“ (13₂₆), „ტყუშობითა“ (14₁₂), „ტყუშნი“ (15₂₇, 20₁₁), „გა-
მოსუშნებითა“ (14₁₃), „ალუთქუშს“ (14₂₄, 15₁), „ჩუშნებითა“ (15₃),
„მარჯუშლ“ (15₉), „დაქუშითდეს“ (17₉₋₁₀), „გამოშუშბასაჲ“
(17₂₄₋₂₆), „მრცხუშნის“ (20₁₄).

არის შემთხვევები, როცა „ვ“-ინის ნაცვლად დასმულია უმარცვლო უ-ნი,
ასე მაგ., ჩვენს ძეგლში სისტემატურად წერია: „იყუნეს“ (1₄, 6₂ და სხვ.),

¹ ძეგლის ფონეტიკური თუ სხვა სახის თავისებურებანი ჩვენ მიერ განხილულია მხოლოდ
იმდენად, რამდენადაც იგი ტექსტის დადგენის საკითხებთან არის დაკავშირებული.

„იყუნენ“ (4₈ და სხვ.), „იყუნიან“ (3₁₂), თუმცა ამათ მაგიერ მოსალოდნელი იყო „იყენეს“, „იყენენ“ და „იყენიან“. აღსანიშნავია, რომ ამათ გვერდით ორჯერ გვხვდება „იყვის“ (3₁₂) და ერთჯერ კიდევ „ვიყვენით“ (20₈), მაგრამ მიუხედავად ამისა, რაკი ჩვენი ძეგლი არც ერთხელ არ წერს „იყვენს“-ს, ძეგლის მართლწერა ამ შემთხვევაში უცვლელად დავტოვეთ. აქვე შევნიშნავთ, რომ ამგვარ აღრეებს ადგილი აქვს უძველეს ძეგლებში, მაგალითად, ადიშის ოთხთავში.

ჩვენს ძეგლში ადგილი აქვს საწინააღმდეგო მოვლენასაც. თუმცა ზოგან მოსალოდნელი იყო ვ-ინის მაგიერ უ-ნი, ყოველთვის ვ-ინი იწერება. ასე მაგალითად, „წინამძღვარ“ დაქარაგმების შემთხვევაშიაც ყოველთვის ვ-ინით არის დაწერილი: „წინამძღვრ“ (2₂₁, 3₁₂, 10₁, 13₁₈) = „წინამძღვარ“, მაშინ როდესაც იქვე გვხვდება „წარუძღუა“ (2₈ და სხვ.); მიუხედავად ამისა, ძეგლის მართლწერა ამ შემთხვევაშიაც უცვლელად დავტოვეთ. ისეთ სიტყვებში კი, რომელიც ისეა დაქარაგმებული, რომ არ ჩანს ვ-ინი არის გამოტოვებული თუ უ-ნი — „მოძღრთ მოძღრდ“ (7₂₅₋₂₈), „მოძღრი“ (7₂₈) — ჩვენ ყველგან უ-ნი აღვადგინეთ და „მოძღუართ-მოძღუარად“, „მოძღუარი“ დაეწერეთ.

არის შემთხვევები, როცა ვ-ინი იკარგება ო-ნის შემდეგ ხმოვნის წინ. მაგ., „პოებოდა“ (2₁₈), „პოეს“ (13₁), „პოონ“ (14₁₇) და სხვ. ამგვარ და მსგავს მაგალითებში ძეგლის მართლწერა უცვლელად არის დატოვებული.

დამახასიათებელია, რომ ძეგლში ჰ იხმარება ისეთ სიტყვებში, როგორიცაა „ჰომი“ (5₁₀ და სხვ.), მაშინ როცა იქვე „ასაკი“ (14₂) იწერება და არა „ჰასაკი“.

ძეგლში პრევერბები ზოგჯერ შექვეცილია, მაგ., „წამოგზანა“ (4₁₀), „წაულო“ (2₁₂), „აილო“ (19₂₃), „გამაგრდეს“ (2₁₀), მაშინ როცა „წარ“, „აღ“ და „გან“ სხვა შემთხვევებში შეუკვეცელად იხმარება. ორივე შემთხვევაში ძეგლის მართლწერა უცვლელადაა დატოვებული.

ტექსტში ხშირად გვხვდება ი-ნის უმართებლოდ დასუსტება „აჲ“-დ, და ყოველთვის ა-ნის შემდეგ. მოგვყავს სრული სია ამგვარი მაგალითებისა: „გარდაცვალნეს“ (4₂₀), „დაძყარა“ (4₂₅, 6₁₁₋₁₂), „დაძყარნეს“ (7₁₉), „დაძმუქარნეს“ (8₁₀), „გაძარის“ (9₁₂), „შთაძთრივეს“ (11₁), „დაძვიწყიან“ (14₁₄), „დაძმალნეს“ (15₁₉), „დაძღვა“ (15₂₈), „დაძტევდა“ (17₉), „დაძცვა“ (19₂₅). ეს შემთხვევები ჩვენ მიერ შესწორებულია და ა-ს მაგიერ ყველგან ი არის დასმული.

4. მორფოლოგიური თავისებურებანი

მორფოლოგიურ თავისებურებათაგან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს აღვნიშნავთ, რომელთაც ტექსტის შესწორება გამოიწვიეს. ორიოდჯერ გვხვდება შემთხვევა, როცა ობიექტს არ გააჩნია მრავლობითობის ნიშანი: „დაწუეს და დაარღვეს ციხენი და სოფელნი“ (15₁₇); ან კიდევ:

„დაფარა ლაშქარმან მათმან ყოველნი მინდორნი“ (16₂₀). რაკი მსგავსი დარღვევები ძეგლში არ გვხვდება, ეს ადგილები ჩვენ შევასწორეთ და დავწერეთ: „დაწუნეს და დაარღვენეს ციხენი და სოფელნი“; „დაფარა, ნა ლაშქარმან მათმან ყოველნი მინდორნი“.

ტექსტში გვხვდება პირის ნიშნების გადასმის ორი მაგალითიც: „დაპრს-ჩომოდეს“ (9₂₁₋₂₂), „დარსჩომოდეს“ (19₂); უნდა იყოს „დაპრჩომოდეს“, როგორც ჩვენ გავასწორეთ ორივე შემთხვევაში.

VI. ჩვენი გამოცემისათვის

1. დედანში უბანილი ცვლილებანი

თუმცა ჩვენი ხელნაწერი დედანს წარმოადგენს, მისი ამგვარადვე დაბეჭდვა მაინც შეუძლებლად მივიჩინეთ და საჭირო შესწორება შევიტანეთ.

ჩვენ მიერ გასწორებულ იქნა ძეგლის აშკარა შეცდომები და ხარვეზები; ტექსტი დაყოფილ იქნა აბზაცებად; უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი აბზაცები, ხშირ შემთხვევაში, ავტორის მიერ ასომთავრულით და სამი წერტილით გამოყოფილ სტრიქონებს ემთხვევა. სასვენი ნიშნები, რაკი იგი დედანში უსისტემოდ იხმარებოდა, ჩვენი შევიტანეთ. ოღონდ ასოებით აღნიშნულ ციფრებს დავუტოვეთ დედნისეული ორ-ორი წერტილი, რათა ნაბეჭდშიაც ეს ასოები გამოყოფილი იყოს.

შევიტანეთ დეფიზებიც. ჩვენ მიერ დეფიზით შეერთებულია შემდეგი სიტყვები, რომელიც დედანში ცალ-ცალკე წერია: „დღითი-დღე“ (1₅), „დიდ-დიდებისა“ (3₁₁), „დიდ-დიდი“ (10₉), „ერისთავთ-ერისთავი“ (4₁₅ და სხვ.), „ხადელ-ცხავეტელნი“ (5₇), „მოძღუართ-მოძღუარი“ (7₂₄₋₂₅ და სხვ.), „ცხავეატელ-გარეთნი“ (9₆), „ღმრთის-მოყუარე“ (12₁₂), „კოშკელ-იოსებურთა“ (14₂₁ და სხვა მისთანანი), „დიდ-ტომი“ (16₆), „დედა-წული“ (16₁₅), ეს უკანასკნელი ზოგან ერთადაც არის დაწერილი (იხ. 16₂₆), „ბურდიას-შვილი“ (16₁₈), „აზნაურის-შვილები“ (17₃).

დეფიზი დავსვით რთულ ზმნებშიც. მაგ., „გულისგმა-ყვეს“ (1₁₈), „სახელ-ესდევით“ (1₂₀₋₂₁), „სახელ-სდეა“ (4₁₄₋₁₅), „ბრძოლა-უყვეს“ (2₈ და სხვ. მისთანანი), „მუცლად-იღო“ (12₂₂), „გარე-აგტა“ (20₁₂), „გელ-ეწიფების“ (7₂₇₋₂₈), „პატივ-სცა“ (10₁₃ და სხვ. მისთანანი) და „ნათელ-სცა“ (19₁₂). ეს სამი უკანასკნელი რთული ზმნა დედანში ერთად იყო დაწერილი. დეფიზითვე გამოვყავით ნაწილაკებიც: „რომელი-ესე“ (8₇).

თანადებულები „თჳს“, „გან“ დედანში ზოგჯერ ცალკე ზის; მაგ., „შენ თჳს“ (3₄), „მკვდრობისა თჳს“ (4₃) და სხვა, ზოგჯერ ბრუნვის ნიშანიცაა ცალკე გამოყოფილი: „ქაშოეთის მან“ (19₁₃)—ჩვენ ყველგან ერთად დავწერეთ.

გაყოფილია დედანში ავრეივე „არა ვისი“ (1₁), „ესე ვითარი“ (1₂, 5₁₁), „ეგე ვითარი“ (2₉), „არა ოდეს“ (2₉), „არა მცირედი“ (4₂₁ და სხვ.), „ესე ოდენ“ (5₁₁ და სხვ.); „ურთი ერთსა“ (8₁₁), ყველა ესენი და სხვა ც მისთანანი, ჩვენ ყველგან ერთად დავწერთ.

ასევე შერწყმით, ერთად დავწერთ დედანში ცალ-ცალკე დაწერილი შემდეგი სიტყვები: „სამეოც და ათითა“ (2₅ და სხვ. მსგავსი), „წინა მძღვარ“ (2₂₁ და სხვ.), „საყდრის შვილი“ (3₆), „ციხის თავი“ (3₆), „ცხრაზმის გველთა“ (3₇), რომელიც ზოგან ერთადაც წერია (2₁₄ და სხვ.), „ერის თავობისა“ (3₁₆) „კლიტეთ მაპრობელმან“ (3₂₄), „თანა მოლაშქრე“ (4₁₈), „აბაზას ძეთა“ (6₃), „ლოჯს თავი“ (8₁₃), „ტანის სამოსი“ (9₁₆), „ულონო ქნილინი“ (9₁₇₋₁₈), „წინა ძლომითა“ (11₂₆), „გრემის გვი“ (13₃), „თლისის გვი“ (13₂₀), „წინა აღდგომითა“ (14₄), „აბჯარ სრულნი“ (15₁₀), „ლიხთ იმერით“ (16₁₃) და „მღდელთ მთავარი“ (19₁₂).

ჩვენ არ ვადმოგვიცია დედანისეული ასომთავრულები. შემდეგდროინდელი მინაწერების, სტრიქონის ზევით თუ ქვევით დაწერილი სიტყვების და ასოების შესახებ სათანადო შენიშვნები ვაკეთებულია ტექსტის სქოლიოებში.

გადმოცემულია დედნის ფურცლები, გვერდები და სტრიქონები. ფურცლების აღმნიშვნელი ნომრები; მათი r და v მხარეების ჩვენებით, მოქცეულია მრგვალ ფრჩხილებში—(1r)—და მიწერილია მარცხენა აშიაზე. იქვე, ფრჩხილებს გარეთ კიდევ, ჩვენ მიერ დასმულია გვერდის აღმნიშვნელი ნომრებიც—2(1v).

დედნის გვერდები გამოყოფილია ორი შვეული ხაზით, სტრიქონები კი თითო შვეული ხაზით. მარცხენა აშიაზე ჩვენ მიერ დასმულია ავრეთვე დედნის სტრიქონების სათვალავი ციფრები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სხვადასხვა დაბრკოლებათა გამო, ჩვენ მიერ ზემომოტანილ მაგალითებში, ლექსიკონებსა და სახელთა საძიებელში ყოველთვის დედნის გვერდები და სტრიქონებია მითითებული.

2. დაქარაბმებული სიტყვების ბასნა

დედანში დაქარაბმებული სიტყვა გამოცემაში ყველა გახსნილია. მათ გახსნას ეჭვი თითქმის არსად არ გამოუწვევია.

ჩვენს ძეგლში მოკლე სიტყვებზე, რომელიც ერთგანაა შეკვეცილი, ქარაგმის ნიშანიც ერთჯერაა დასმული (მაგ., „წისა“ 3₂₅ = „წმიდისა“). ხოლო, თუ სიტყვა გრძელია და ორჯერაა შეკვეცილი, ქარაგმის ნიშანიც ორჯერ დასმის (მაგ., „მმასხლისმ“ 2₁₆ = „მამასახლისმან“), მაგრამ რომელიმე სიტყვაზე სამჯერ დასმული ქარაგმის ნიშანი ჩვენ არ შეგვხვედრია. ამას გარდა, ორგან შეკვეცილ სიტყვებზედაც ყოველთვის როდია ორი ნიშანი (მაგ., „ისლიმისინი“ 7₂₄).

ძეგლში ხშირად დაქარაგმებულია არა მარტო ცალკეული ხმოვნები, თუ თანხმოვნები, არამედ სიტყვის დიდი ნაწილიც (მაგ., „ვეზნ“ 16₅ = „ერისთავმან“, „ე“ 11₂₈ = „ერისთავი“ და სხვ.).

როგორც აქ მოტანილი მაგალითიდანაც ჩანს, ჩვენს ძეგლში ყოველი სიტყვა ერთგვარად არ არის დაქარაგმებული. მსგავსი მაგალითი სხვაც არის: „ქი“ (14₁₇) და „ქში“ (7₂₅) = „ქამი“; „ქფი“ (11₂₈) და „ქუნიფნველი“ (10₃) = „ქუნიფნველი“; „მშნ“ (1₁₁) და „მშინ“ (5₂₃) = „მაშინ“. „თნრ“ (7₂₈) და „თზნრ“ (7₂) = „თზნიერ“ და სხვ. ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვაგვარი დაქარაგმება აღნუსხულია ქვემოთმოტანილ სიაში.

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვაში „იშლიმისანი“ (7₁₈₋₁₉) კარგად გაირჩევა „ლ“-ს შემდეგ „ი“-ნი, ჩვენ იგი გავხსენით, როგორც „იერუსალმისანი“ და არა როგორც „იშრუსალიმისანი“.

„ღის“, „ღჲ“ ყველგან გავხსენით, როგორც „ღმრთის“, „ღმრთისაჲ“ და არა როგორც „ღუთისა“, „ღუთისაჲ“, რადგან ჩვენს ძეგლში არქაულად იწერება ისეთი სახელი, როგორიცაა ოზნ (17₁₇, 19₉) = „ოკფალმან“, თუმცა ეს უკანასკნელი ტექსტში ამგვარად არ დაგვიტოვებია და „ოზნ“ „უფალმან“-ად გავხსენით.

„რა“ ჩვენ მიერ ყველგან გახსნილია, როგორც „რაფთა“ და არა როგორც „რაფთა“.

ძეგლის ავტორი იშვიათად აქარაგმებს გეოგრაფიულ თუ სატომო სახელებს და დაქარაგმების შემთხვევაშიც მათი გახსნა სიძნელეს არ ქმნიდა. ჩვენ აქ მხოლოდ ერთი, დაქარაგმებული, სატომო სახელის — „მლისველელთა“ (14₂₁) — შესახებ შევჩერდებით.

თ. უორდანიას ეს სიტყვა ამგვარადვე, ქარაგმის გაუხსნელად, დაუტოვებია; H ხელნაწერის გადამწერს „მლისველელთა“-დ წაუჭიბხავს, მ. ბროსეს კი „Mghtis-wel“-ად.

ეს სატომო სახელი ჩვენს ძეგლში თლევლებთან ერთად არის მოხსენებული: „და ესმა ქუემო დვალთა კოშკელ-იოსებურთა, თლეველ-მლისველელთა, ზოუბერელ-როკაელთა“ (14₂₀₋₂₂). როგორც დ. გვრიტიშვილმა გადმოგვცა, თლის ხეობაში, პატარა ლიახვის სათავესთან, არის ხეობა (ძველად, ალბათ, სოფელი), რომელსაც ამჟამადაც მულისი ეწოდება. ცხადია, ჩვენს ძეგლში ამ ხეობების — თლესა და მულისის — მცხოვრებთა შესახება საუბარი და ამიტომაც ბუნებრივად მივიჩნიეთ „მლისველელთა“ გაგვხსნა, როგორც „მულისველელთა“.

ტექსტში სრულად დაწერილი და ამავე დროს დაქარაგმებული სიტყვების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი და ამიტომაც ისინი ქვემოთმოტანილ სიაში არ შეგვიტანია.

3. დაპარაბმებული სიტყვების სია¹

- ად 1₂ და სხვ. = არამედ.
 ადგლნი 8₁ = ადგილნი.
 აზნაურთგნ 3₁₅ = აზნაურთაგან,
 აკეს 7₂₅ = აკურთხეს.
 აღფი 20₁ = ალაფი.
 ამთ 1₂₀ და სხვ. = ამათ.
 ამპყრობლ 12₄ = ამპყრობელ.
 ამს 2₁₈ და სხვა = ამას.
 ამბვი 7₁₈ = ამბავი.
 ამნ 4₁₄, ამნვე 7₁₃ = ამან, ამანვე.
 ამრითგნ 2₁₅ = ამიერთგან.
 ასლი 12₂₄ = ასული.
 აღმაშენებლისგნ 2₂₀ = აღმაშენებელი-
 საგან
 აღმოსვლით 7₁₅ = აღმოსავლით.
 აღსრლბა 8₃ = აღსრულებად.
 აღმზბლი 19₁, აღმზბლსა 13₂₉ = აღ-
 შენებელი, აღშენებულსა.
 ახოვანებსა 12₃ = ახოვანებასა.
 ბრლი 10₂₂ = ბრალი.
 ბრტი 14₂₅, ბრტდ 13₁₀, ბრტის 12₅
 ბრტთა 19₁₁ = ბოროტი, ბორო-
 ტად, ბოროტის, ბოროტთა.
 ბრძოლდ 19₇, ბრძოლისსა 11₂₄ = ბრძო-
 ლად, ბრძოლისასა.
 განასრლა 4₁₁ = განასრულა
 გარეგნსა 8₈ = გარეგანსა
 გი 6₁₂ და სხვ. = გიორგი.
 გლობდ 14₇ = გალობად.
 გლს ჯმა 1₁₈, გლის წყრომი 16₁₃ =
 გულის ჯმა, გულის წყრომი.
 გლშარ 12₂₅ = გულშარ.
 გლხეთა 12₁₇ = გალხაკთა.
 გმგრდეს 2₁₀ = გამაგრდეს.
 გმოვიდეს 8₂₀ = გამოვიდეს.
 გმოთხრა 13₁₃ = გამოთხარა.
 გმოიცადა 11₂₃ = გამოიცადა.
 გმომრჩევი 14₆ = გამომრჩევი.
 გმოუტდეს 11₁₃ = გამოუტდეს.
 გმრჯშბ 10₁₉, გმრჯშბლი 13₄ გ-
 მრჯშბლნი 13₂₂ = გამარჯულებად,
 განმარჯუებული, განმარჯუებულ-
 ნი.
 გნადიდა 4₁₄ და სხვ. = განადიდა.
 გნათვისუფლნა 15₂₈ = განათავისუფ-
 ლნა.
 გნაჩინა 10₁₁ = განაჩინა.
 გნგრძელდა 5₁₀ = განგრძელდა.
 გნერა 11₁₄ = განერა.
 გნეყენა 12₁₉ = განეყენა.
 გნევაძოთ 1₂₄ = განევაძოთ.
 გნევიშოროთ 2₁₄, გნეშორა 4₂₇ = გან-
 ვიშოროთ, განეშორა.
 გნზრხვდ 17₁₈ = განზრახვად.
 გნთიად 6₂₇, გნთენდა 2₁₂ = განთიად,
 განთენდა.
 გნთქმულ 11₂₅ = განთქმულ.
 გნილშქრა 13₂ = განილაშქრა.
 გნიხრა 8₄ = განიხარა.
 გნიხრეს 12₁₆ = განიხარეს.
 გნმადიდბლ 12₇ = განმადიდებელ.
 გნმზრახი 10₇ = განმზრახი.
 გნსაგებელი 3₂₃ და სხვ. = განსაგე-
 ბელი.
 გნყარა 8₁₆ = განყარა.
 გნყინებულ 6₂₁ = განყინებულ.
 გნცად 10₉ = გუანცად.
 გრდაველს 5₁₅ = გარდაველს.
 გრეთნი 9₆ = გარეთნი.
 გრმისწველნი 13₅ = გრემის წველნი.
 გრუისსა 2₂ = გრუისსა.
 გულეთისსა 5₁₆₋₁₇ = გუელეთისასა,
 დაუსწნებდეს 8₂₂ = დაუსუნებდეს.
 დაუცდბლი 14₇ = დაუცადებელი.
 დაღონებლთა 12₅ = დაღონებულთა.
 დბლთა 2₁₈ და სხვ., დიდბლთა 3₁₅ =
 დიდებულთა.
 დდგა 5₁₇ = დადგა.
 დედაწლთა 17₁₃ = დედაწულთა.
 დეკნოზი 7₂₅ = დეკანოზი.
 დვლნი 1₁₂ და სხვ., დვლთა 1₁₉,
 დვლთ 5₂₈, დვლეთისსა 1₁₈ =
 დვალნი, დვალთა, დვალთად, დვა-
 ლეთისასა.
 დთ 4₁₃ და სხვ., დთს 5₁₆ და სხვ.,
 დთისმნ 6₁₂ = დავით, დავითს,
 დავითისმან.
 დმტრი 4₂₀ = დიმიტრი.
 დრბზოვანი 10₉ = დარბაზოვანი.
 დჯლა 4₁₃ = დაჯლა.

¹ აქაც მოტანილი მაგალითები მითითებულია ხელნაწერის დედნის გვერდების მიხედვით.

ე 11₂₈, ევი 15₂₀, ევსა 13₂, ევისა 13₉, ევმნ 16₅, ევისსა 10₁₉, ევობისა 14₈, ერსთემნ 13₁₃, ერისთვ 4₇, ერისთვლ 4₁₂, ერისთვნი 4₂₀, ერისთვი 4₂₂, ერისთვისა 7₂₀, ერისთვობა 1₁, ერისთვთ-ერისთვლ 4₁₅ = ერისთავი, ერისთავი, ერისთავსა, ერისთავისა, ერისთავიან, ერისთავისა, ერისთავობისა, ერისთავიან, ერისთავ, ერისთავად, ერისთავნი, ერისთავი, ერისთავისა, ერისთავობა, ერისთავთ-ერისთავად.

ესე ვრსა 1₂, ეგე ვრი 1₁₇, ესე ვრთა 5₁₂ = ესევითარსა, ეგევითარი, ესევითარიათ.

ეკლესიისამნ 3₂₄ = ეკლესიისამან. ერთგლოთა 5₃ = ერთგულთა. ერმნ 3₄, ერისგ 22₂, ერისგთა 3₁₆ = ერმან, ერისგან, ერისგათა.

ვა 2₆ და სხვ. = ვითარცა. ვლ 1₁₄ და სხვ. = ვითარმედ. ვლრბისა 12₁₅ = ვედრებისა. ვისსაცა 3₂₂ = ვისისაცა. ვნგთგნ 14₁₀ = ვინგთგან. ვრ 4₂ = ვითაო. ვრითა 1₁₈ = ვითარითა. ვრსკლენი 19₁₅ = ვარსკულენი. ვრშლი 7₁₇, ვირშლსა 7₂₆ = ვირშელი, ვირშელსა.

ვხტნგ 4₂₄ = ვახტანგ. ზა 5₁₂ = ზედა. ზლდ 12₁₁, ზლმნ 16₂₁ = ზლუა, ზლუამან.

თა 7₂₂ და სხვ. = თანა. თვდი 10₂₃ = თვადი. თვი 3₂, თვისა 7₁₀ = თავი, თავსა. თესი 7₁₃ = თედორესი. თმრ 16₇ = თამარ.

თზნრ 7₂, თნრ 7₂₈ და სხვ. = თზნიერ. თს 1₁, 3₄ და სხვ. = თუს. თსი 4₉ და სხვ., თსსა 4₂₆, თისითა 6₂₆ და სხვ., თისისა 12₂₂ = თუსი, თუსსა, თუსითა, თუსისა.

თრქნი 11₂₆ = თურქნი. თრუსელნი 15₂ = თრუსოელნი. თქს 1₁₃ და სხვ. = თქუეს.

თქნი 4₁, თქმნ 3₂₇ = თქუენი, თქუენმან.

იე 7₂₂ და სხვ. = იოვანე. იშლიმისნი 7₂₄ = იერუსალიმისანი. ისროლისსა 1₂₆ = ისროლისასა.

კდ 6₁₈ და სხვ. = კუალად. კდცა 9₈ = კუალადცა. კთლი 9₂₄, კთლითა 7₁₈, კთლითა 1₁₁ = კეთილი, კეთილითა.

კთლქნი 16₁₅ = კათალიკოზი. კლდისსა 5₂₄ = კლდისასა. კნდელი 7₁₄ = კანდელი, კრები 15₁₆ = კარები.

კცი 2₁₅ და სხვ., კცი 6₂₂, კცსა 1 კცთა = კაცი, კაცი, კაცსა, კაცთა.

ლოწობნისსა 6₁₄ = ლოწობნისასა. ლრგლი 4₁₄, ლრგლისა 4₁₉, ლრგს 3₅ და სხვ., ლარგუს[ს]ამნ 2₁₆ = ლარგუელი, ლარგუელისა, ლარგუს[ს], ლარგუსისამან.

ლშქარი 2₈ და სხვ., ლქრმნ 7₂, ლშქრითა 6₂₆, ლშქრობ 3₁₂ = ლაშქარი, ლაშქარმან, ლაშქრითა, ლაშქრობა.

ლცვა 14₇ = ლოცვა. მბრძლთა 11₂₆ = მბრძოლთა. მდის 11₂ = მარადის.

მეტყლსა 13₁₀ = მეტყუელსა. მზრხვლბ 11₂₃ = მზრახველობა. მთ 1₁₃ და სხვ., მთი 4₁₉ და სხვ., მთადთა 4₂₄ = მათ, მათი, მათათადთა.

მთთა 1₇ = მათთა. მთგნ 6₁₇, მთგნი 5₂₄ = მათგან, მათგანი.

მთვქრანგლზისა 13₂₃ = მთავარ-ანგელოზისა.

მთვრნი 11₂₈, მთვრთა 12₉, მთვრობ 4₁ = მთავარნი, მთავართა, მთავრობა.

მთნი 1₁₀ = მათნი.

მთ 13₁₉ = მთად. მთისსა 6₂₁ = მთისასა.

მთსა 1₂₂ და სხვ., მთდა 2₄ და სხვ. = მათსა, მათდა.

მკდრი 11₄ = მკუდარი. მკლეს 7₆ = მოკლეს.

მკრფლნი 10₂₆=მკრფელნი.
 მ^რმასახლისმ^რნი 2₁₆, მ^რმასახლისნი 10₂₁=
 მამასახლისმან, მამასახლისნი.
 მ^რმიდამ^რნი 12₂₀=მამიდამან.
 მ^რმნი 8₂₈, მ^რმის 4₂₅, მ^რმისა 4₂₆, მ^რმთა
 4₂₃=მამანი, მამის, მამისა, მამათა.
 მ^რნი 3₅ და სხვ.=მან.
 მ^რნობთა 12₂₈=მნათობთა.
 მ^რნიაკუ 12₂₃=მანიაკი.
 მოიყ^რენნა 6₁₆=მოიყენნა.
 მოკ^რდა 4₁₂=მოკულა.
 მონასტ^რრსა 13₁₂, მონატ^რრს 7₂₈=მო-
 ნასტერსა, მონასტერს.
 მორჩ^რლ 4₁₈=მორჩილ.
 მოსლ^რე 5₁₄=მოსლევად.
 მოყ^რრე 12₆=მოყუარე.
 მოძლ^რი 7₂₈, მოძლ^რთ მოძლ^რობდ
 7₂₇, მოძლ^რთ მოძლ^რდ 7₂₅₋₂₆=
 მოძლუარი, მოძლუართ-მოძლუ-
 რობად, მოძლუართ-მოძლუარად.
 მოწოდებ^რ 3₁₈=მოწოდებად.
 მოხუც^რლთა 14₅=მოხუცებულთა.
 მოჰ^რლთა 13₁₀=მოჰკუთთა.
 მპყრობელ^რნი 3₂₄=მპყრობელმან.
 მრ^რბელი 16₂₇=მარბეველი.
 მრ^რვლი 7₆, მრ^რვლისა 5₁, მრ^რვლითა 4₂₇,
 მრ^რვლგზის 11₂₄=მრავალი. მრავა-
 ლსა, მრავალითა, მრავალგზის.
 მრ^რცხნ 13₁₁=მარცხენად.
 მრ^რჯნი 3₂₅, მრ^რჯნი 13₁₀, მრ^რჯ^რსნით
 2₂₃=მარჯუენი, მარჯუენად, მარ-
 ჯუენით.
 მრ^ს 1₁₄ და სხვ., მრ^სე 6₁₁=მას, მასე.
 მსგ^რვისი 9₉, მსგ^რვსად 6₂₂=მსგავსი,
 მსგავსად.
 მს^რხურ 14₁₇, მს^რხრბ 4₁, მს^რხურბსა
 12₁₃. მს^რხურად 10₁₆, მს^რხურებ^რ
 3₃=მსახურ, მსახურებად, მსა-
 ხურებასა, მსახურად, მსახურე-
 ბად.
 მტ^რთა 12₅=მტერთა.
 მუტ^რლ 12₂₂=მუტლად.
 მ^რთ მეფისა 12₂₅, მ^რფესა 4₃, მ^რფისა
 8₃, მ^რფედ 4₁₃, მ^რფმნი 3₂₁ და
 სხვ., მეფეთ^რგნი 2₂₆, მეფობ^რ
 6₁₂, მეფობ^რნი 3₂₇=მეფეთ-მეფისა,
 მეფესა, მეფისა, მეფედ, მეფემან,
 მეფეთაგან, მეფობად, მეფობამან.
 მ^რქლისი 13₂₄=მიქელისი.

მლ^რლნი 10₁₀, მლ^რლთა 10₈=მლდელ-
 ნი, მლდელთა.
 მ^რღისველელთა 14₂₁=მუღისველელთა.
 მ^რღრნდ^რლთა 14₂₆=მარღრნდელთა.
 მ^რმ^რნი 1₁₁ და სხვ., მ^რმ^რნი 5₂₃ და სხვ.=
 მაშინ.
 მ^რცხვრის 7₁₃=მაცხვორისა.
 მძლ^რერობით 1₃=მძლავრობით.
 მ^რწმესა 15₂₇, მ^რწმისსა 19₁₈=მოწამესა,
 მოწამისსა.
 მწ^რხრე 6₁₈=მწუხარე.
 მზლ^რლთა 11₁₁, მზლ^რობ^რლთა 3₁₉=
 მახლობელთა.
 მწ^რცნი 15₈=მწვეცი.
 მიჰ^რრთა 5₁₄ და სხვ.=მიჰმართა.
 ნათეს^რვი 10₁₆, ნათეს^რვისა 2₂₅. ნ^რთეს-
 ვთ^რგნი 16₆=ნათესავი, ნათესავსა,
 ნათესავთაგან.
 ნაშენებით^რრთ 2₁₃=ნაშენებითურთ.
 ნახ^რრი 11₉=ნახევარი.
 ნ^რთლსა 19₁₂=ნათელ სცა.
 ნ^რჭისი 14₈=ნიკოლოზისი.
 ნ^რჭოვრისა 17₂₈=ნაჭოვრისა.
 ნ^რნხთგნი 16₈=ნანახთაგან.
 ო^რნი 17₁₇, 19₉=უფალმან.
 პ^რლთა 10₁₃, პ^რლსე 14₇=პირველთა,
 პირველსავე.
 პ^რტივი 2₂₆ და სხვ., პ^რტივისა 4₈, პ^რ-
 ვითა 4₂₃ და სხვ., პ^რტივისცა 10₁₃,
 პ^რტივისმცემელ 12₆=პატივი, პა-
 ტივისა, პატივითა, პატივ-სცა, პა-
 ტივის-მცემელ.
 პ^რტივოს^რნი, 12₁₂, პ^რტივ^რსნი 16₆=პატი-
 ვოსანი,
 პ^რტრისა 13₆, პ^რტრონისა 1₁=პატ-
 რონისა.
 პყრობ^რდ 9₁₉=პყრობად.
 უ^რნი 14₁₇, უ^რნი 7₂₅, უ^რნი 2₁ და სხვ. უ^რნის
 12₁₇, უ^რნისა 3₁₅=უამი, უამი, უამ-
 სა, უამის, უამისა.
 უ^რმ^რლნი 11₃, უ^რმ^რლსა 10₁₈, უ^რმ^რლთა
 10₂₅=უამურელნი, უამურსა, უამუ-
 რელთა.
 რ^რ 2₁₈ და სხვ.,=რამეთუ.
 რ^რა 3₄ და სხვ.,=რამათა.
 რ^რამცა 1₁₃=რამათამცა.
 რ^რდენთანე 12₃₃=რავდენთანე.

რთა 19_{14} = რომელთა.
 რი^რ 2_{20} = რომელი.
 რისა თსცა 11_{22} = რომლისათვისცა,
 რლ 1_{14} და სხვ., რისა 12_{28} , რლსა
 7_{20} , რლისაცა 13_{27} , რლმცა
 1_2 = რომელ, რომლისა, რომელსა,
 რომლისაცა, რომელმანმცა.
 რმლთამე 14_{11} = რომელთამე.
 რნი 2_{19} და სხვ., რნი 6_6 = რომელნი,
 რომელმან.
 რჯ 3_4 და სხვ., რჯცა 2_{15} , რჯსათს
 9_2 .3 = რაჲ, რაჲცა, რაჲსათს.
 რქს 12_{18} = რაჲმს.
 საგორვეი 9_{7-8} , სგორვისა 6_{20} = საგო-
 რაჲი, საგორავისა.
 სათხველისა 8_4 = სათხოვლისა.
 სამართლი 12_3 , სამართლ^რ 3_{23} = სამარ-
 თალი, სამართლად.
 სეტყე 15_{11} = სეტყუჲა;
 სესე 13_{19} = საესე.
 სზღვრსა 19_{18} = საზღვარსა.
 სთნოებითა 14_6 = სათნოებითა.
 სთხვედეს 11_3 = სთხოვდეს.
 სიეწრე 17_8 = სიეიწრე.
 სიმგრესა 19_{28} = სიმბარესა.
 სიმრველე 5_{25} , სიმრვლითა 6_{18} = სიმ-
 რაჲლე, სიმრავლითა.
 სიმლღესა 10_{20} = სიმალღესა.
 სიყლბელ 16_{10} = სიყალბელ.
 სიხრლით 4_{10} , სიხრლითა 12_{16} = სიხა-
 რულით, სიხარულითა.
 სკორებ^რ 11_{23} = საკუთრებ^რაჲ.
 სკცობოჲთა 12_9 = საკაცობოჲთა.
 სკხელისა 2_{23} = საკუთხეველისა,
 სმ^რთენლსა 7_{26} = სამთაენელსა.
 სმნი 7_{17} , სმ^რთა 8_{17} = სამნი, სამთა.
 სმოსელთ^რ 14_{14} = სამოსელთაჲთა.
 სმრდისოდ 14_{15} = სამარადისოდ.
 სმრეკლონი 7_{16} და სხვ. = სამრეკლონი.
 სმრყანს 17_{25} = სამარყანს.
 სმხრის 15_6 = სამხრის.
 სმსხური 6_7 = სამსახური.
 სნტრელ 16_3 = სანატრელ.
 სპ^რ 17_{12} = სპაჲ.
 სპ^რსთა 7_{19} = სპარსთა.
 სრლი 12_{12} , სრლმ^ნ 12_{20} = სრული,
 სრულმან.
 სრწყო 12_{10} = სარწყო.
 სსტიკი 15^4 = სასტიკი.
 სსწლნი 19_{14} = სასწაულნი.

სუმ^რ 13_6 = სუმან.
 სფლვი 2_{19} და სხვ., სფლვსა 3_{22} =
 საფლავი, საფლავსა.
 სფლსა 11_{10} , სფლთნი 11_{12} = სოფელ-
 სა, სოფელთანი.
 სქ^ბლ 12_8 = საქებელ.
 სქმითა 1_{19} , სქმედ 3_1 = საქმითა, საქ-
 მედ.
 სქრთვლ^რ 16_{23} = საქართველოჲ.
 სრთოჲთა 12_9 = საღმ^რთოჲთა.
 სყდრი 13_{23} . სყდრის 3_6 = საყდარი,
 საყდრის.
 სყურსა 15_7 = საყურსა.
 სყრლ 12_8 = საყურელ.
 სწვლ 1_{19} = სწავლად.
 სხელი 3_{10} , სხლით 6_6 , სხელოვან
 11_{25} = სახელი, სახელით, სახელო-
 ვან.
 სხლი 9_{28} = სახლი.
 სხ^რ 3_{10} და სხვ., სხთა 20_8 , სხ^რ
 15_{14} = სხუაჲ, სხუთაჲ, სხუანი.
 სჯდომი 3_9 = საჯდომი.
 ტ^რსა 13_{25} = ტაძარსა.
 ტბლისგ^ნ 10_1 = ტაბლისაგან.

უკე 3_1 = უკუნისამდე.
 უკთუ 2_{17} და სხვ. = უკუეთუ.
 უღენლ 12_{11} = უღეველ.
 უნზვთ^ნ 16_8 = უნახავთაგან.
 უპტივოსნებ^რ 3_{22} = უპატივოსნებ^რაჲ.
 ურცხვ^ნლ 12_9 = ურცხვენლ.
 უძლ^ველი 14_6 = უძლეველი.
 უძლ^რთა 9_{26} = უძლურთა.
 ფ^დ 4_{14} და სხვ. = ფრიალ.
 ფ^დი 1_6 = ფრიალი.
 ფ^რკი 13_{10} = ფერკი.
 ქალ^ქი 4_{14} = ქალაქი.
 ქ^ბლი 10_7 = ქებული.
 ქელის 12_9 = ქველის.
 ქე^რ 9_9 = ქვაჲ.
 ქ^მმო 13_{16} = ქუმეო.
 ქ^ნფნვს 7_{11} და სხვ. = ქუენიფნვს.
 ქ^ნფნვლისაჲ, 3_{26} , ქ^ნფვი 11_{28} = ქუე-
 ნიფნველისაჲ, ქუენიფნველი.
 ქ^რთვლთა 8_4 , ქ^რთველითა 16_2 = ქარ-
 თველთა, ქართველითა.
 ქ^რთლისმან 19_{12} = ქართველისმან.
 ქ^სსა 7_{24} = ქრისტესსა.
 ქუ^შიფ^ნკ^ლი 10_3 = ქუენიფნველი.

ქყნა 11₁₅, ქყნად 1₁₅ და სხვ., ქყნნი 3₈ და სხვ., ქყნსა 1₁₃ და სხვ., ქყნსნი 7₄=ქუეყანა, ქუეყანად, ქუეყანანი, ქუეყანასა, ქუეყანისანი.

ქშე 10₁₇=ქუეშე.
ქშოეთის მწ 19₁₃=ქაშოეთისმან.

ლა 2₂₁ და სხვ., ლთი 2₂₄, ლთივ 2₁₉, ლთის 12₁₂, ლთისა 12₈, ლწ3₃, ლა 10₇, ლათა 12₁₀=ღმერთსა, ღმერთი, ღმრთივ, ღმრთის, ღმრთისა, ღმერთმან, ღმრთისად, ღმრთისადათა.

ღმესა 17₂₂=ღამესა.
ღმის თვეთა 12₁₇=ღამის თვეთა.
ღოღს თვეს 8₁₃=ღოღსთავს.

ყა 1₂₃ და სხვ., ყთა 2₁₄ და სხვ., ყი 2₈ და სხვ., ყით 2₁₃, ყით-რთ 4₁₂ და სხვ., ყისა 2₂₂, ყლთა 2₁₈, ყლი 3₃, ყწ 3₄ და სხვ., ყნი 1₄ და სხვ., ყნივე 19₃=ყოველსა, ყოველთა, ყოველი, ყოვლით, ყოვლითურთ, ყოვლისა, ყოველთა, ყოველი, ყოველმან, ყოველნი, ყოველნივე.

შა 4₆=შინა.
შდ 1₂₂ და სხვ.=შემდგომად.
შეცვლოს 2₂₆=შეცვალოს.
შიწყლა 14₂₅=შიწყალა.
შემშებლ 12₇=შემამკობელ.
შემსგვსებლ 12₄=შემსგავსებულად.
შემძებლ 15₆=შემძლებელ.
შენებლ 1₂₀, შენებლ 19₁₇=შენებად.
შესაძრლი 11₂₃=შესაძენელი.
შეწირლნი 3₂₁=შეწირულნი.
შეწყლბისდ 8₉=შეწყალებისად.
შეჭკავს 3₁₇ და სხვ.=შეჭკავს.
შვედვლნი 5₂₂=შავდვალნი.
შირვანლნი 5₅, შირვენელითა 16₂=

შირვანელნი, შირვანელითა.
შლვა 4₂₂ და სხვ., შლვას 5₂, შლვ-ვას 5₆=შალვა, შალვას შალვას.
შმმრთბლ 11₁₉=შემმართებელი.
შწ 2₂₃ და სხვ., შწნი 2₂₅, შწდა 3₃, შწთს 3₄, შწისა 2₂₅, შწსა 2₂₄ და სხვ., შენ, შენი, შენდა, შენთჳს, შენისა, შენსა.
შწს 1₇=შორის.

შუღლ 2₁=შუეღლად.

ჩეიდეს 13₂₀=ჩაეიდეს.
ჩმწ 3₂, ჩმწა 3₁, ჩმწისა 2₂₅, ჩმწნი 14₁₀, ჩმწა 2₂₄=ჩემი, ჩემდა, ჩემისა, ჩემმან, ჩემსა.
ჩწ 1₁₃, ჩწგნ 2₁₄, ჩწდა 14₁₇, ჩწით 1₂₅, ჩწთანი 9₂, ჩწნი 8₂₈, ჩწსა 1₁₃ და სხვ.=ჩუენ, ჩუენგან, ჩუენდა, ჩუენით, ჩუენთანი, ჩუენნი, ჩუენსა.

ციხის თვესა 3₆=ციხისთავისა.
ცოლლ 6₆ და სხვ.=ცოლად.
ცხვტლი 10₂₄, ცხვტელ 9₆, ცხვტლნი 5₇ და სხვ.=ცხაუატელი, ცხაუატელ, ცხაუატელნი.
ცხრზმლნი 10₂₆, ცხრზმლთდ 11₄=ცხრაზმელნი, ცხრაზმელთად.
ცხრზმის კვეი 5₈ და სხვ., ცხრზმის კვეისა 7₂₇=ცხრაზმისკვეი, ცხრაზმისკვეისასა.

ძლი 17₁=ძალი.
ძლლ 5₁₇=ძლიერად.
ძემწ 2₁₇ და სხვ.=ძემან.
ძმდ 11₁₈, ძმწნი 1₂₆, ძმწნ 4₂₅=ძმად, ძმანი, ძმამან.
ძრციდეს 13₈=ძარციდეს.

წა 15₂₇, წწნი 8₁, წთა 6₁₀, წთნი 8₁ წწისა 3₂₅=წმიდა, წმიდანი, წმიდათა, წმიდათანი, წმიდისა.
წამოგზვნა 4₁₀=წამოგზავნა.
წარჩინებლ 10₈=წარჩინებულ.
წე 3₁₉ და სხვ.=წინაშე.
წინამძღვრ 2₂₁ და სხვ.=წინამძღვარ.
წრგზვნა 7₂₀=წარგზავნა.
წრვიდა 6₁ და სხვ., წრმოვიდა 13₄, წრმოვიდეს 7₃=წარვიდა, წარმოვიდა, წარმოვიდეს.
წყლობით 19₁₁₋₁₂=წყალობით.
წყროთა 8₁₈=წყაროთა.

ხ 1₁ და სხვ.=ხოლო.
ხლვდ 17₁₃=ხილვად.
ხოსმსითა 11₂₇=ხოსიამსითა.
ხრ 15₆=ხარ.
ხრება 17₁₄=ხარება.

ხ^რტი 6₉, ხ^რტნი 6₁₆, ხ^რტთა 8₂₁=ხატი,
ხატნი, ხატთა.

წიფების 7₂₆=წელი, წელის, წელ-
თა, წელეწიფების.
წ^გ 15₁₅=გმაგ.

წ^ვნი 1₅, წ^ვლნი 2₁, წ^ვლთა 2₁₄, წე-
ველთ^გ 3₁₉, წვისანი 8₂₅, წვეის-
მნ 3₁₄, წვეელთგ^ნ 3₂₆₋₂₇=წვენი,
წვეელნი, წვეელთა, წვეელთაგ^ა, წე-
ვისანი, წვეისამან: წვეელთაგან.
წ^ლი 13₁₀, წ^ლის 12₄, წ^ლთა 9₂₁, წ^ლე-

ჯ^რი 19₁₆=ჯუარი.
ჯ^რთა ყელი 5₁₅=ჯუართა ყელი.
ჰნებ^რეს 4₂ და სხვ.=ჰნებაეს.
ჰ^რქა 2₁₆ და სხვ.=ჰრქუა.

ტიქსტუმი ნახმარი რიცხვნიშენი

ვ ^რ 20 ₂₅ =6	კ ^ვ 4 ₂₀ =26
ც ^რ 20 ₂₆ =8	კ ^რ ივ 20 ₂₇ =36
ი ^რ 7 ₂₇ =10	ლ 20 ₂₆ =30
ი ^ვ 20 ₂₇ =16	მი ^რ ე 7 ₆ , 9 ₂₅ =55
ი ^ზ 10 ₁₄ =17	და 11 ₂₉ =61
ი ^ც 10 ₂₃ =18	ს ^რ 20 ₁₆ =200
კ ^ლ 4 ₂₀ =24	ფ 20 ₂₆ =500

4. თ. ჟორდანის მიერ გამოცემული ტექსტის შესახებ

თ. ჟორდანის მიერ „ქრონიკების“ მეორე ტომში დაბეჭდილ ტექსტს მრავალი ნაკლი ახლავს და ეს გასაგებიცაა—იგი დამუშარებულია XIX ს. დამდეგს გადაწერილ პირის პირზე. ზოგი სიტყვა გადამწერის მიერ არასწორად არის წაკითხული; ზოგიც სავსებით გამოტოვებულია; უკრიტიკოა ტექსტის გადამწერისა და გამომცემლის დამოკიდებულება ძველის ენისადმი, რომელსაც საერთოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება და კერძოდ დაუთარიღებელი ძველისათვის.

მრავალ წერილმან შეცდომასთან ერთად, რომელიც აღნუსხულია ჩვენი გამოცემის სქოლიოებში, თ. ჟორდანის მიერ გამოცემულ ტექსტში იშვიათი როდია შინაარსობრივი შეცდომებიც. მაგ., თ. ჟორდანის გამოცემაში ვკითხულობთ: „მართეთა სხმა დაბოლოთა (?) დაბამდის განვაძოთ ორ-თავი გველი“ (ქრონიკები, II, გვ. 2). ეს უაზრო წინადადება დედანში შემდეგნაირად იკითხება: „მართეთა სხმამდის და ბოლოთა დაბამდის განვაძოთ ორთავი გველი“ (1₂₃₋₂₄); „მაშინ შალვა... მივიდა და დასხდა უმჯობესის ლაშქრით მზირად ღამე“ (ქრონიკები, გვ. 7). დედანში კი წერია: „მაშინ შალვა... მივიდა, დასხნა უმჯობესი ლაშქარი მზირად ღამე“ (6₂₆₋₂₇); ან კიდევ: „მიუგზავნა ალაფისაგან... ლუდის ქუაბი დიდ-დიდი“ (ქრონიკები, გვ. 18). დედანში კი ვკითხულობთ: „მიუგზავნა ალაფისაგან... კივ (36) ქუაბი დიდ-დიდი“ (20₂₅₋₂₇). მსგავსი მაგალითი არა ერთია და მათ შესახებ ჩვენ მიერ მითითებულია სათანადო ადგილზე.

ამას გარდა, თ. ჟორდანიას გამოცემაში არ არის ზოგი მინაწერიც, რომელიც ტექსტის ხარვეზების გასაგებად თუ ზოგი ადგილის წაკითხვისას მნიშვნელობა ენიჭება.

5. ჩვენს გამოცემაში. ხმარებული ნიშნები

()—მრგვალ ფრჩხილებში ჩვენ მიერ ჩასმულია ასო ან სიტყვა, რომელიც უნდა წერებულყო, მაგრამ ამჟამად არ ჩანს.

[]—კუთხოვან ფრჩხილებში კი ჩასმულია ის სიტყვები და ასოები, რომელიც ან შეცდომით, ან კიდევ დაზიანების გამო აკლია ტექსტს და ჩვენ მიერ აღდგენილია.

+ —უმატებს;

< —აკლია;

Ж—თ. ჟორდანიას მიერ „ქრონიკების“ მეორე ტომში (გვ.1—19) დაბეჭდილი ტექსტი.

Н—„ქსნის ერისთვიანთ ისტორია ანუ ნამდვილი [ამბავი]“, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების H ფონდის № 2496 ხელნაწერი.

Д—დადიანიისეული „ქართლის ცხოვრება“, საქ. მუზეუმის ხელნაწ. განყოფილების S:354

С—ბარათაშვილისეული „ქართლის ცხოვრება“, საქ. მუზეუმის ხელნაწ. განყოფილების S:25.

Ф—ფალავადიშვილისეული „ქართლის ცხოვრება“, საქ. მუზეუმის ხელნაწ. განყოფილების H:988.

В—„ძეგლი ერისთავთა“ მ. ბროსეს მიერ დაბეჭდილი ფრანგული თარგმანი—Additions et éclaircissements a l'Hde la G., 1851, გვ. 372—384.

|—დედნის სტრიქონის დასასრული.

||—დედნის გვერდების დასასრული.

[დასაფლავებისათვის¹ საფლავი მისცეს ხოლო ერისთავობა² არავის(ი) (ი)ნებეს³, არამედ ეძიებდეს კაცსა ესევეთარსა, რომელმანმცა პატივით იპყრნა და არა მძლავრობით და იგიმცა⁴ დაამკვდრეს შუა ქუეყანასა მათსა. და მოსწრაფე იყუნეს⁵ ყოველნი⁶ | შენებასა ლარგვისსა დღითი-დღე⁷ ყოველნი ჯეგნი.

5 ამით ე(ამთა)იქმნა ფრიადი შფოთი ქუეყანასა ოსეთისასა და იქმნა ფრიადი სისხლთა დათხევად⁸ მეფეთა შორის მათთა. მაშინ მძლე ექმნეს შვილნი⁹ უხუცესისა¹⁰ ძმისანი და გარდამოიყვანნეს¹¹ მათსა ზაგისასა¹² შვილნი უმრწემისისანი¹³ — როსტომ, ბიბილა¹⁴, წითლოსანი¹⁵ და ძენი მათნი სამეოცდაათითა|მონითა კეთილითა და მოიყვანნეს¹⁶ ქუეყანასა დვალეთისასა.

10 მაშინ| შეკრბეს ყოველნი დვალნი და თქუეს: არა გვნდა¹⁷ მეფე მჯდომარე ქუეყანასა ჩუენსა, რადთამცა შემჰამდა¹⁸ ჩუენ. ხოლო მათ (თ)ქუეს ფიციითა| მტკიცითა, ვითარმედ: არა გუერქუას¹⁹ მეფე, არამედ ქუეყანასა²⁰ მას რომელ|მომცეთ სახელი მისი გუერქუას²¹ ჩუენ. მაშინ მისცეს ქუეყანად²² ბობალეთად²³ და უწოდნეს ბიბილურნი. და იწყეს შენებად ციხისა და სახლები-

15 სა დიდ-დიდებისა, რომელ ეგვეთარი|არა იყო ქუეყანასა დვალეთისასა. მაშინ გულისგმა-ყვეს|დვალთა, შეკრბეს და თქუეს²⁴: ვხედავთ²⁵, ვითართა საქმითა|იწყეს შენებად ოვსთა²⁶ ამით მეფეთა, დადათუ სახელ-|ესღევით²⁷ ბიბილურად²⁸, არამედ სახელი ესე ვერ დაჰფარავს²⁹ გუარ-ნათესაობასა³⁰ მათსა³¹; და შემდგომად მცირედისა| ეუფლენ³² ყოველსა ქუეყანასა ჩუენსა; და მართუეთა³³ სხმამდის და|ბოლოდთა³⁴ დაბმამდის³⁵ განვიძოთ ორთავი გუელი³⁶ |მუცლით ჩუენით.

25 ალიყვანნეს³⁷ და მოასხნეს³⁸ კეცსა|ისროლისასა, ნაკაფუანს³⁹ როსტომ და ყოველნი ძმანი და მო|ნანი, მისნი. მას ყამსა ცხრაზმისკვევლნი⁴⁰ ბრძო-
2(1v) ლილ⁴¹ იყუნეს⁴² |ციხესა გრუისისა⁴³ ხუთ თუე⁴⁴. მაშინ როსტომ მივიდა შუელად⁴⁵ |მათდა და მას დღე⁴⁶ სამ გზის მთამდის ჰომითა⁴⁷ გამოესხნეს| დიდად მოუძღურებულნი და დაკოდილნი ცხრაზმისკვევლნი. ⁴⁸ | მაშინ მივიდა.

¹ აღდგენილია ჯ-ს მიხედვით. დასაფლავებისათვის მ. ² ერისთავობა ჯ. ³ პირველ სტრიქონს ზემოთ მხედრული, გვიანდელი ხელით მიწერილია: „ქ. თუ(მცა) თავი აკლია მაგრამ აქედამ იწყობა“. ⁴ იგიცა მ. ⁵ იყუნეს ჯ. ⁶ ყოველნივე ჯ. ⁷ <ჯ. ⁸ დათხევა ჯმ. ⁹ შვილნი ჯმ. ¹⁰ უხუცესის ჯ. ¹¹ გარდამოიყვანეს მ. ¹² ზაგისასა ჯმ. ¹³ დედანშია. უმრწამისისანი. ¹⁴ ბიბილა ჯმ. ¹⁵ წითლოსანი ჯ. ¹⁶ მოიყვანეს ჯ, მოიყვანეს მ. ¹⁷ გვინდა ჯმ. ¹⁸ შემჰამდა ჯმ. ¹⁹ გვერქუას ჯმ ²⁰. ქუეყანისა ჯმ. ²¹ გუერქუას ჯ, გვერქუას მ. ²² ქუეყანა ჯმ. ²³ ბიბალ-მთა ჯ, ბიბილურთა მ. ²⁴. სთქუეს ჯ. ²⁵ ხედავთა ჯ. ხედავთ მ. ²⁶ ოვსთა მ. ²⁷ ზღევით ჯ. ²⁸ ბუბილურთ მ. ²⁹ დაფარავს ჯ. ³⁰ გვარნათესაობასა ჯმ. ³¹ ამათსა მ. ³² ეუფლენ მ. ³³ მართუეთა ჯმ. ³⁴ სხმა დაბოლთა ჯ, დაბოლოთ მ. ³⁵ დაბამდის ჯ, ყმამამდის მ. ³⁶ გველი ჯმ. ³⁷ აღაყვანეს ჯ, ალიყვანეს მ. ³⁸ დამასხეს მ. ³⁹ ნაკაფოვანს ჯ, ნაკაფოვანსა მ. ⁴⁰ ცხრა-ძმის კვევლნი ჯმ. ⁴¹ ბრძოლვილ ჯ. ⁴² იყუნეს ჯმ. ⁴³ გრუეისასა ჯმ. ⁴⁴ თვე ჯმ. ⁴⁵ შვილად ჯმ. ⁴⁶ დღესა ჯ, დღეს მ. ⁴⁷ ომითა ჯ. <მ. ⁴⁸ ცხრა-ძმის კვევლნი ჯმ.

5 როსტომ ძმითა¹ და სამეოცდაათითა მონი²თა და წარუძღლა³ წინა, ვითარცა
ლომი ზახლითა და ვითარცა⁴ვეფხი⁵ სიმენითა⁶ და ვითარცა ჯიქი სიფიც-
ხითა. და მივიდა იგი⁷და ყოველი ლაშქარი ციხესა მას და ბრძოლა-უყვეს
10 ბრძოლითა სას ჭიკითა, რომელ არაოდეს ეხილვა ეგევითარი. და მას⁸დღე⁹
აიღეს¹⁰ ციხე ზემოდ¹¹ და გამაგრდეს გრუელნი ორსა მას¹²ციხესა ქუემოსა და
ყვეს¹³ ზავი. და მას ღამესა შევიდა¹⁴როსტომ და წაუღო ორივე ციხე. და ვი-
თარცა განთენდა¹⁵, დააქცივნეს ციხენი იგი ყოვლით¹⁶ ზღუდით და ნაშენე-
ბითურთ¹⁷ მისით.

მაშინ თქუეს ყოველთა ცხრაზმისწვევლთა¹⁸: არა განვიშოროთ ჩუენგან¹⁹ამიე-
15 რითგან²⁰ კაცი ესე გოლიათი²¹, არამედ უყოთ²² ყოველი²³, რადცა უნდეს²⁴მას.
მაშინ ჰრქუა²⁵ მამასახლისმან ლარგვის²⁶ის²⁷ამან, ხუციანდაბის²⁸ძემან: უკუეთუ
გნებავს მკვდ²⁹[რ] ყოფად³⁰ ქუეყანასა ამას, ითხო³¹ვე საფლავი მონასტერსა
ამას, რამეთუ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა საფლავი აქა არს და სო-
ფელნი ესე, რომელნი ღმრთიე³²გვრგვონისა ისტუნინან³³ აღმაშენებელისაგან
20 შემოწირ³⁴ულ არიან, იყო წინამძღვარ მათდა, თუ ღმერთსა უნდეს.

მაშინ ჰრქუა³⁵ როსტომ. მე მოვითხოვო ყოვლისა ამის ერისაგან,³⁶გარ-
ნა შენ შემიქმენ მარჯუენით კერძო საკურთხეველისა ადგილ³⁷სა უმჯობესსა³⁸
და იყოს ღმერთი შუა ჩემსა და შენსა და შუა³⁹ნათესავისა შენისა და ჩემისა,
5 მაშინ მიეგზავნა მოციქული, ვითარმედ დადი | კეთილი იქნა მოსლვაჲ³⁰ ჩუენი თქუენთს, რამეთუ უკუეთუმცა აქა არა ყოფილ ვიყვენით³¹, მოვიდოდა ვირშელი და ყოველი ლაშქარი მისი და ცუდ იქმნებოდა სიმაგრე თქუენა, ვითარცა-იგი ცუდ ქნილ არს უჯობესი სხუთათა³² სიმაგრე წინაშე მათსა, | დააქცევდეს ციხეთა თქუენთა, დასწვიდეს³³ სოფელსა თქუენსა, წა-გიღებ[დ]ეს³⁴ ყოველსა³⁵ მონაგებსა თქუენსა, დაგვოცდეს მამათა ყოველთა და³⁶ ცოლთა და | შვილთა თქუენთა ტყუედ წარიყვანებდეს, არამედ მოსლ-10 ვითა ჩუენითა | ესე გარე-აგქდა³⁷, აწ დავივიწყოთ სისხლი კაცთა, რომელნი მოჰკლესენით და მომეციოთ რამე პირუტყვ³⁸, რამათა იხილონ ლაშქართა მათთა, | რაჟეთუ მრცხუნის³⁹ მათგან⁴⁰ დაუქცევა (sic) ცახეები და აქუს ყოვე-ლი⁴¹ პირ

1 ქუიშა ჯი. 2 ზღვისა ჯი. 3 კუბო ჯი. 4 ვერცხლით ნ. 5 ოქროთი ნ. 6 ვარნის ნ. 7 ლისთ-იმერეთით ჯ. 8 ერისთავისა ნ. 9 ტყუენა ჯ, ტყუენა ნ. 10 ოხრება ჯი. 11 ვირშელ ჯი. 12 ჩაბოკიდა ნ. 13 ალილა ჯ. 14 რვა ჯი. 15 სოფელი ჯ. 16 მოსწვა ჯი. 17 დვალთა ნ. 18 < ჯ. 19 ყარს ჯ, ყარს ნ. 20 დაწუეს ჯი. 21 სიტყუითა ჯი. 22 აიღეს ჯი 23 არა-გვით ჯი. 24 ზედავანით (sic) ნ. 25 დარეილამდისინ ჯ, დარეილამდენ ნ. 26 დაკლებოდა ჯი. 27 საჩინო ჯ, საჩენო ნ. 28 მოეკლა ჯ. 29 ვერასა ნ. 30 მოაღვა ჯი. 31 ყოფილიყვენით ნ. 32 სხუთათა ჯი. 33 დასწვედეს ჯ 34 წარგიღებდეს ჯი. 35 < ნ. 36 < ნ. 37 აგბდათ ჯი. 38 პი-რუტყვი ჯი. 39 მრცხუნის ჯ, მრცხუნის ნ. 40 აქ ნ ხელნაწერში მიწერილია; „აქ აკლია სტრი-ქონი“. 41 აქა ც ხელნაწერში მიწერილია: „ქვალად წაბლალულ არს“. ამასვე აღნიშნავს ჯ-ც: „აქა ერთი სტრაქონი აღარა ჩანს, წაბლალულ არის“. მართლაც, ერთი სტრაქონი ისეა გა-დასული, რომ რაიმეს ამოკითხვა შეუძლებელია.

- 15 | ვის უტკივნებია 1 მათთვის ა 2... ხოლო [ჩუენ] არარაჲ 3 გუაქუს, | გარნა კაც-
ნი 4 ესე, რომელ მოჰკლენით, 4 და დაკოდელი 5 ფრიაღ 6.
- მაშინ დვალთა | მოსცენს 7 კაცი, მას ჰომსა 8 შიგან 9 შეპყრობილნი,
და ზროხანი ოთხნი 10. |
- აიყარნეს 11 ორნივე ერისთავნი და ჩაიარეს მალრან-დვალეთი. მივიდა 12
ვირ|შელი და დდგა როკას, რამეთუ ვერ ეძლო სლვად ლაშქარსა 13 სიმ-
20 დი|იმისაგან აღდვისა და ქუემოთა მთიულთა მიჰმართეს 14 კარად მეფისა. |
ხოლო აღვილსა მას ლაშქართა ვირშელისათა შეიპყრეს კაცი: ივ: და მათ |
ასწავლეს დაფლული მრავალი განძი, რომელი ლაშქართა მეფისათა | ვერა-
ეპოენა. და მეორესა დღესა მივიდა ვირშელი წინაშე მეფისა, | ხოლო მე-
25 ფემან განიხარა და მიუგზაენა აღდვისაგან 15 :ვ: 16 საკიდი ჭურჭელი | ვერ-
ცხლისა 17 და ოქროსაჲ; :ცს: საკიდრ ლარი, :ს: ზროხაჲ 18, :ლ: 19 ცხენი
:ფ: 20 | ცხუარი, :კივ 21 ქუაბი დიდ-დიდი.
- ხოლო მეფემან მრავალი მადლი წარმოთქუა 22 და უბოძა ორი... 23, პი-
რუტყუსაჲ 24 და 25 ვეცხლი, ოქროჲ 26 სხუაჲ 27...

¹ ტკინება ჯ, უტკივნება ნ. 2 ეს სიტყვა არ იკითხება. 3 არღარა ჯნ. 4 მოვლენით ჯ. 5-
დაკოდელ ჯ. 6 „ფდ“-ი ნ. 7 მოსცეს ჯ. 8 ომსა ჯნ. 9 შინა ჯ. 10 ოთხასნი ჯ. 11 აიყარნეს ჯ. 12-
ამოვიდა ნ. 13 ლაშქარსა ჯ. 14 მიმართეს ჯ. 15 ვირშელმან ნ. 16 ივ (16) ჯ, თექვსმეტი ნ. 17
ვერცხლისა ჯნ. 18 ზროხა ჯნ. 19 გეგსი (sic). ჯ. 20 ფა- (501) ჯ. 21 <ჯ, მის მაგიერ—ლუდის-
(sic), ლე(36) ნ. 22 წარმოთქო ჯ. 23 აღარ იკითხება; „აქა წაბღალულ არს“ შენიშნავს ნჯ. 24
პირუტყვისა ჯ. 25 <ჯ. 26 (ოქრო) და ვერცხლი ურიცხვი ჯ. 27 აქ თავდება ფურცელი და წყდება
ტიქსტის თხრობაც.

ა

- აბჯარი 7₃, 9₁₅—საომარი საქურველის ზოგადი სახელია; უმთავრესად კი ომის დროს ტანის დასაფარავი რკინის (ჯაჭვის) სამოსელს ეწოდება.
- აზნაური 2₁₅₋₁₉, 3₁₅, 20, 4₈, 16—მაღალი წოდების პირი, ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებული კლასის წევრი. აზნაური ჩართველი 8₁₆, აზნაურის შვილი 17₃.
- აიხუნეს 5₁₀ და სხვ.—აიღეს, დაიპყრეს.
- ალაფი 7₂ და სხვ.—ნადავლი, ომითა და რბევით მოპოვებული.
- ამოიწუადეს 17₁₁—იშიშვლეს, ამოიღეს.
- ახოვანება 12₃—გმირობა, ძლიერება; „ტანდილ ძლიერება“ (საბა). ზოგჯერ ზნეკეთილობა.

ბ

- ბარძიმი 6₈—ეკლესიაში სამსახურებელი მაღალფეხიანი ღრმა სასმისი.
- ბეგარი 14₂₈—გამოსაღები დაპყრობილისა დამპყრობილსათვის, ყმისა ბატონისათვის, ყმის მუშაობა ბატონისათვის.
- ბეგრის მკრეფელი 10₂₅—ბეგრის, სავალდებულო გამოსაღების ამკრეფი.
- ბეჭედი 4₈—„თითის სამკაული“ (საბა), სიმბოლო ხელისუფლებისა, ამ შემთხვევაში ერისთავობისა.
- ბირება 3₁₆—შეგონება, წაქეზება; „ბირებითა ერისაჯთა“—ერის წაქეზებით.
- ბორცადმეტყუელი 13₁₀—სიბოროტის, ავის მთქმელი.

გ

- გალობა 14₇—სასულიერო სიმღერა, ჰიმნი.
- გარე-აგჭდა 20₁₂—აგშორდა, აგცილდა, აგცდა.
- გარეგანი 8₈—„ჰომსა ამას გარეგანსა უმჯობეს არა“—უცხო ომი, გარეშე ომი (?)
- გამომრჩევი 14₈—მრჩეველი, გზის მაჩვენებელი.
- გამოსუენება 14₁₈—„დვალთა ესეოდენი მოაწია რომელთამც... კლვითა... და კულად სხუათა... გამოსუენებითა“—
 მოსვენება, დაწყნარება, დასვენება, საპატიოდ მიღება.
- განაჩინა 10₁₁—განაწესა, დაადგინა, განსაზღვრა.

* სიტყვები, რომლებიც ჩვეულებრივი მნიშვნელობით არის ნახმარი, ზოგ ტერმინს გარდა, ლექსიკონში არ შეგვიტანია.

განერა 11¹¹—თავი დააღწია, გადარჩა, ხიფათს აცლა.

განმზრახი 10⁸, 11²¹—მრჩეველი.

გამოჯდომა 11¹²—მოულოდნელი გამოჩენა, გამოსვლა.

განსაგებელი 3²³, — „განსაგებელი ეკლესიისაჲ“ 4¹—საურავი, საზრუნავი, სამართავი, საგამგეო.

განუენება 12¹—„რაჟამს სძესა განეყენა, სწავლად წმიდათა წერილთა მისცეს იგი“—გაცლა, გაშორება, მოშორება; აქ—ძუძუსაგან (რძისაგან) მოშორება.

განყინებული 6²¹—„წარმოვიდეს გზასა მთისასა, რომელი იყო განყინებულ“—გაყინული.

გლახაკი 12¹⁷—ღარიბი, შათხოვარი, „დავრდომილი, რომელი სიმდიდრისაგან დაცემულ იყოს“ (საბა).

გლეხი 10¹⁵—„შემოწირა ცხრაჲ ვენაჲ და გლეხნი მსახურად ეკლესიისა“—მდაბიო, ყმა.

გუარ-ნათესაობა 1²¹—ჩამომავლობა, წარმოშობილობა, მონათესაობა.

გულისწყრომა 16¹³—გაჯაგრება, განრისხება, რისხვა.

გულისცმის-ყოფაჲ 1¹⁸—გაგება, მიხვედრა, შეტყობა, გულისხმობა.

დ

დაკოდლი 2⁴—დაჭრილი.

დარბაზოვანი 7¹¹, 10⁹—„და შენა... ტფილურითა წესითა დარბაზოვანი ქუენითნეც“ 7¹⁰⁻¹¹—სასახლე, განსაზღვრული ტიპის ხუროთმოძღვრული ნაგებობა.

დაღონებული 12⁴⁻⁵, 11¹¹—„შეჰმატა... კეთილის ყოფასა დაღონებულთასა“ 12¹³—დაუძლურებული, დასუსტებული, ღონემიხილი.

დედა-წული 16¹⁵, 20, 17¹⁴—„სახლის ჯალაბობა“ (საბა), სახლობა.

დიდება 5¹—„მრავლის დიდების მინიჭებითა ევედრებოდა შალვას“—პატივი, წარჩინება.

დიდებაული 2¹⁸, 3¹⁵, 19-20, 4¹⁵, 6⁵—მაღალი ხელისუფალი, დიდი მოხელე, წარჩინებული, დიდგვარიანი. „დიდებაული ქართველნი“ 11²⁸.

დროშა 9⁴—„მწყობრთ ნიშანი ფერად ფერადი“ (საბა); საერისთაო დროშა 4⁹,

ეგვივითარი 1¹⁷ და სხვ.—ეგვითი, მაგნიირი.

ერი 2²², 3¹⁴, 16, 23, 12¹⁶—ხალხი, თემი.

ერისთავი 4⁷, 7¹⁰, 20 11⁵, 8, 28, 12², 13³, 9, 25, 14⁸, 15⁴, 17, 20, 17⁸, 12, 20, 24¹⁹, 19¹⁸, 20, 20², 3, 19; ერისთავთ-ერისთავი 4¹⁶, 18-19—დიდი მოხელე, სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქის მმართველი.

ერისთავობაჲ 1¹, 3⁸—ერისთავის თანამდებობა.

ერთკერძი 7¹⁵—„ადიდდა ქსანი და წარილო ზერთ კერძი ზღუდე აღმოსავლით კერძო“—ერთი მხარე.

ესევითარი 1¹ და სხვ.—ასეთი, ამგვარა.

ვ

ვენაჲ 10¹⁵—„შემოწირა ცხრაჲ ვენაჲ და გლეხნი“.

ვითარ 4¹—როგორ.

ვითარშედ 1¹⁴ და სხვ.—თუ, რომ.

ვითარცა 2⁶ და სხვ.—როგორც.

ზ

ზროხა 20²⁶—საქონლის (ფურის თუ ხარის) ზოგადი სახელი.

ზღუდე 7¹⁸ და სხვ.—კედელი, გალავანი.

თ

თავადი 10²³, 13⁸—„მომკედარ იყო... ის(18) თავადი ჯევისბერი“
10²³—უპირველესი, უფროსი, თავი.

თავადი ციხე 17²⁷—„დარჩეს ერისთავსა ზემოთ თავადი ციხე
ქუენი ფნეცს“—უმთავრესი, უპირველესი ციხე, თავი ციხე.

თავი 15¹³—„თავნი ქუეყანისა მათისანი“—მეთაური უფროსი, წინამძ-
ლოლი.

თავის-თავ 8¹⁶—„განყარნა ყოტელნი თავის-თავ“—თავთავისთვის,
ცალ-ცალკე.

თანამზრახველობა 11²³—ლაპარაკი, საუბარი, მსჯელობა, რჩევა.

თეთროსანი 6¹⁴—„შეამკო ხატი თეთროსანი წმიდათა ნაწილე-
ბითა“—თეთრით, ვერცხლით შემკობილი, ვერცხლისაგან ნაქედი.

თორი 4⁸—„ციხენი თორნოსანი... მიუბოძა მეფე მან“—რკინის ტან-
საცმელი, ამ შემთხვევაში ცხენის საომარი სამოსელი რკინისა. „ციხენი
თორნოსანი“—აქ ერისთავის განმასხვავებელი ერთი ნიშანთაგანი.

თჯნიერ 7² და სხვ.—გარდა, გამოკლებით, უიშისოდ.

ი

იერლაცი 8³—„მოიღო იერლაცი შეწყალე ბისა“—მეფეთაგან ბოძე-
ბული შეწყალების, წყალობის, ბრძანების წიგნი, სიგელი.

იკადრა 3²⁴—შებედა, გაბედა.

ინქრეოდა 6²²—„წარმოვიდეს გზასა... რომელი იყო განყინებულ-
მაშინ უმეტეს ევნო, რამეთუ ინქრეოდა ცხენები“
6²⁰⁻²²—იქცეოდა.

იხარი 9¹², 15¹⁰, 12, 17⁴, 8—საომარ იარაღთა ერთი სახის ზოგადი სახელი.

ისტუმრა 9²³—„ისტუმრა შინა და ვით“—სტუმრად აწვია, მოიწვია.

კათალიკოზი 16¹⁵—უმალესი სასულიერო ხელისუფალი, საქართველოს.ეკ-
ლესიის მეთაური, პატრიარქი.

კანდელი 6⁸, 7¹⁴—„შექმნა ორი კანდელი და დაუკიდა წინა“
—ზეთის სანთელი.

კლიტემპრობელი 3²⁴—„იკადრა... კლიტემპრობელ მან ეკ-
ლესიის სამან“—კანდელაკი, ეკლესიის ერთ-ერთი ხელისუფალი, მნა-
თე (Ключарь).

კჯრა 5¹⁰, 13¹³—„ერთსა კჯრისა და არღვა ციხე ოცდახუ-
თი“—„ერთი შვიდეული“ (საბა).

კულად 6¹⁹ და სხვ., კულადცა 9⁸—კიდევ.

კუმბო 19¹⁸—„შე ა მ კ ო ჯ უ ა რ ი და კ უ ბ ო ჯ მ ის ი“—ჯვარის (ხატის) ჩასადები ყუთი.

ლ

ლარი 20²⁶—ქსოვილი, ძვირფასი ქსოვილი.

ლაშქარი 2⁸, 7², და სხვ.—ჯარი

ლაშქრობაჲ 3¹²—ომი, რბევა, დალაშქერა.

მამასახლისი, ლარგვისისა 2¹⁸, ცხავატელთა 10²¹—გვარის (სახლის) უფროსი; ადმინისტრაციული ერთეულის გამგებელი.

მამული 3⁷, 9³—მემკვიდრეობით მიღებული უძრავი საკუთრება.

მანიაკი 12²³—„მანიაკი იგი ყოველთა მანდილოსანთაჲ“—უძვირფასესი ნივთი, თვალი, საზოგადოდ კი „საყვლო მოთვალულ-მომარგალიტული“ (საბა).

მარბეველი 16²⁷—„და მოვიდა მარბეველი ლაშქარი“—დამრბევი, ამკლები, ამაფორიექბელი, მძარცველი.

მართუე 1²⁸—ბარტყი, „ზოგად ყოველთა ფრინველთა შვილთ მართუ ეწოდება“ (საბა).

მარჯუენით კერძო 2²³, 3²⁵—მარჯვენა მხარეს, მარჯვნივ.

მზირი 6²⁷, 7⁴—„დასხა... ლაშქარი მზირად ღამე“—მოთვალთვალე, მეთვალყურე.

მთავარი 12⁸—„მოკლეს მეფე გიორგი და ყოველნი მთავარნი და დიდებულნი ქართველნი“ 11²⁷⁻²⁸—უფროსი, თავკაცი, დიდი მოხელე.

მთავრობაჲ—„მთავრობაჲ შუდთა მათ ჯევეთაჲ“ 4¹, „მთავრობაჲ... ყოველთა დიდებულთა და აზნაურთაჲ“ 4¹⁵—უფროსობა. მეთაურობა, თავკაცობა, დიდი მოხელეობა.

მთხრებლი 5²¹—„მიაწყუდივნი... მთხრებლსა კლდისასა“—მღვიმე, გამოქვაბული.

მკვარ-ყოუაჲ 2¹⁷—ცხოვრება, დასახლება, დამკვიდრება.

მოახლე 17¹⁰—„ჩამოეგებნეს წინა ვირშელი და მოახლენი მისნი“—მხლებელი, მასთან მყოფი, ახლო მყოფი.

მობეგრე 14¹⁷—„შეექმნეთ... მობეგრედ ჩუენდა“—ბეგრის გადამხდელი. იხ. ბეგარი.

მონა 1²⁶—„მოვიდა როსტომ... სამეოცდაათითა მონითა“ 2⁵⁻⁶, „ვანამაგრნა ციხენი და შეჰვედრა ერთგულთა მონათა“ 5²⁻³—მორჩილი, ხელქვეითი მსახური.

მონაგები 20¹⁰—„წაგიდებდეს ყოველსა მონაგებსა თქუენსა“—შეძენილი ქონება, ქონება საზოგადოდ.

მონებაჲ 15¹—„ალუთქვეს ერთგულებით მონებაჲ“—მორჩილება.

მოუძღურებული 2⁴—„მოუძღურებულნი და დაკოდილნი ცხრა-ზმისჯეველნი“—შეუძღვებელი, დასნეულებული.

- მოსწრაფე 14—„მოსწრაფე იყუნეს“—მეცადინე, დიდი სურვილის მქონე მოძღვარი 7²⁸—მასწავლებელი, სულიერი მამა; მოძღვართ-მოძღვარი. 7²⁵⁻²⁶—მოძღვართ უფროსი; ზოგჯერ უფროსი წინამძღვარი.
- მოწოდებაჲ 18—მომზობა, დაძახება.
- მსახურებაჲ 41—სამსახური.
- მსახური 14¹⁷—„შეეკმნნეთ მსახურ... ჩუენდა“—არათავისუფალი, დამორჩილებული, სამსახურის გამწევი. საზოგადოდ კი არათავისუფალი წოდების პირი, რომელიც პირად სამსახურს უწევდა მეფეს ან სხვა დიდებულს.
- მუცლადლება 12¹²—„ყრმის ჩასახვა“ (საბა).
- მუჟღათა დაუყრიდა 8²¹—მუხლს მოუყრიდა, უღრეკდა, უჩოქებდა.
- მღვდელთმთავარი 19¹² „ნათელ-სცა... მღვდელთმთავარმან ქართლისამან“—საეკლესიო იერარქიის უმაღლესი ხარისხის პირი.
- მშუღდოსანი 16²⁸—„მიავება წინა მშვილდოსანნი“—მშვილდ-ისრიტ შეიარაღებული მოლაშქრე, „მშვილდ მქონებელი და მცოდნე მოისარი“ (საბა).
- მძლავრობით 13—ძალით.
- მჭელი 16²⁴—„დაჰყარეს მძორი მკვდრისად ვითარცა მჭელი თივისად“—ნამგლის ერთი მოსმით მოჭრილი მუჭა პურის თავთავი.

ნ

- ნათელ-სცა 19¹²—მონათლა.
- ნათესავი 2²⁵—„მოიყვანა მეუღლე... ნათესავთაგან დიდ-ტომთა“ 16⁶—მოღვა, ჩამომავლობა.
- ნატყუნავი 13²²—ნადავლი, რბევით მოპოვებული.

პ

- პატივი 2²⁵—„პატივი და ქელი შენი... არა შეეცვალოს ნათესავსა შენსა“—თანამდებობა, წარჩინება, ღირსება.
- პატივოსანი 12¹², 16⁶—პატივცემული, დაფასებული, საპატიო.
- პატივი (პატიეი) 14¹²—სასჯელი.
- პატრონი 10¹, 13⁶—მესაკუთრე, მფლობელი, ბატონი, სიუზერენი.

ჟ

- ჟამი 15 და სხვ.—დრო.

რ

- რამეთუ 2¹⁸ და სხვ.—რადგან, ვინაიდან.
- რაჲთა 3¹ და სხვ.—რათა.
- რაჲამცა 1¹³—რათა, რომ.
- რაჲამს 12⁸—როდესაც.

ს.

ხავორავი 6¹⁸, 20, 8²³, 15¹¹⁻¹² — „საგორავეისა სიმრავლესა ჩამოჰყრიდეს“ 8²³⁻²⁴ — უძველესი საომარი იარაღი, „ლოდი დასაგორებელი“ (საბა).

ხაზეთი 10¹⁴ — „და შეენა საზეთე“ — ზეთსახდელი ნაგებობა.

საკაცობო 12⁹ — „ურცხვენელ საკაცობოთა მოქმედებითა“ — სამამაცო, სავაქაცო.

ხაკიდი 20²⁵, 26 — „მიუგზავნა ალაფისაგან 3 (6) საკიდი ქურჭელი... 0(8) საკიდი ლარი“ — ტვირთის საზომი ერთეული, საპალნე-ტვირთი სახედართ ასაკიდებელი.

საკუთრება 11²⁸ — „საკუთრება და თანმზრახველობა მისი ვითარცადიდი შესაძენელი“ — სიახლოვე, დაახლოვება, საკუთრად მიჩნევა.

სალარო 17²² — საგანძური, ხაზინა, „ლართ საუნჯე“ (საბა).

სამთავნელი 7²⁶ — სამთავისის ეპისკოპოსი.

ხარტყელი 4⁸⁻⁹ — წელსარტყამი, შემოსახვევი, აქ ერისთავის ხელისუფლების სიმბოლო.

ხარწყო 12¹⁰⁻¹¹ — „იყო სახლი მისი სარწყო აღმომდინარედ კეთილთა“ — წყლის ერთგვარი ქურჭელი.

საყდრისშვილნი 3⁶, 16⁶ — „და თანა ჰყვა კათალიკოზი ელიაზ ყოვლის საყდრისშვილითურთ“ — საეკლესიო აზნაურთა პრივილეგირებული ფენა, მაღალი საეკლესიო ხელისუფალის მსახური აზნაურნი; ტაძრის, საყდრის მოხელე ხელისუფალნი.

საყური — „დასცეს საყურსა“ 15⁷, „შეიქმნა ჯმად საყურისაჲ“ 15²⁸

საყური 4⁸ — ყურის სამკაული, საერისთავო ხელისუფლების სიმბოლოთაგანი.

საჭურველი 4⁹ — საომარი იარაღი, „აბჯარი აღსაკაზმავი“ (საბა), აქ საერისთავო საჭურველი.

სახლი 9²⁶ — „იზრდებოდა... მიე (55) სახლი... დავრდომილთაჲ“ — ოჯახი, სახლეთლობა.

სიპი 9⁹ — „ქვა პირგლუსუნი“ (საბა).

სოფელი 3⁷⁻⁸ — „მისცეს... ციხისთავისა ნაქონებნი სოფელნი და ქუეყანანი“ — დასახლებული პუნქტი.

სპა 5¹³ და სხვ. — ჯარი, ლაშქარი.

სუნაქსარი 9²⁴ — კრებული, რომელშიც მოთავსებულია წმინდანთა შემოკლებული ცხოვრებანი.

სუე 13⁶ — ბედი.

სძე 12¹⁰ — „მიეცა მათ ყრმაჲ წული... და რაჟამს სძესა განეყენა... სწავლად მისცეს იგი“ 12¹⁶⁻¹⁸ — „სძე ეწოდების ცხოველთა ძუძუთა ნადინებთა; ხოლო რძე მსგავსა მისსა, ლელუსა; და რძიანასა და მისთანათა... ნაწვეთსა“ (საბა).

ტაბაკი 6⁸ — ღვთის სამსახურებელი თევზი.

ტაბლა 10¹—მაგიდა, სუფრა.

ტრაპეზი 3²⁵—მაგიდა საზოგადოდ, ამ შემთხვევაში კი საკურთხეველში მდგარი მაგიდა, რომელზედაც ღვთის მსახურება სრულდება.

ტფილური წესი 7¹¹—„აღაშენა... ტფილურითა წესითა დარბაზოვანი ქუენი ფნევს“—თბილისში სასახლეთა შენებისათვის დადგენილი ხუროთმოძღვრული წესი.

ტყუენვა 11¹⁸⁻¹⁹—რბევა, აფორიაქება, დალაშქრა.

უ

უკუეთუ 2¹⁷ და სხვ.—უკეთუ, თუკი.

უმრწემესი 1⁹—უმცროსი.

უპატივოსნებაჲ 3²²—ვისისაცა საფლავსა შეჰგავს უპატიოსნებაჲ; მისი არს ეკლესიაჲ—იხ. პატივოსანი.

ურდო 5³—მონღოლთა ყაენის ბანაკი.

ურცხუნელი 12⁹—შეურცხვენელი.

უღონო 12³—უძლური, ღარიბი.

უძლური 9²⁸—სნეული, შეუძლო.

უჯორცოჲ 11²²—ანგელოზი.

ფ

ფარი 9⁹ და სხვ.—ბრძოლის დროს „დასაფარებელი საქურველი“ (საბა)

ქ

ქარაფი 8¹¹—კლდის წვერი, „დიდი კლდე“ (საბა).

ქველი 6²⁵—მხნე, უხვი, ზნეკეთილი.

ქოსი 17⁶—სპილენძის დოლი, „სპილენძ-ქური“ (საბა).

ქუეყანა 3⁸ და სხვ.—„ციხისთავისა ნაქონებნი... ქუეყანანი“—ადგილი.

ღ

ღუედი — „ციხოსანთა ესოდენ შესქირდა და იწყეს ჭამად ღუედისა“ 5¹¹—ტყავი, თასმა.

ყ

ყანი 16¹—ყაენი.

ყოვლით კერძო 19¹⁸—ყოველნაირად, ყოველშორივ.

ყრმა 4²⁷—ბავშვი, ვაჟიშვილი.

ყრმაჲ წული 12¹⁶, 19¹⁰—ვაჟიშვილი, ყმაწვილი.

შ

შარჰა—„ქკვდრ არიან... ზემოდათ შარჰასა მინდორისასა“ 4¹⁵⁻¹⁶—უნდა იყოს არასწორად (ასოების გადასმით) დაწერილი შაჰრა, რაც სპარსულ „შაჰრაჰ“-იდან მომდინარეობს და რაც შარას, მთავარ გზას ნიშნავს.

შაჰრა, ხსენებული მნიშვნელობით, გვხვდება X ს. ქართულ ხელნაწერში: ნუ-
ცა ხუალ გზასა ვრცელსა შინა, შაჰრასა (საქ. მუზეუმის
H: 622, 38v)*

შეიშურვეს — „და აქებდეს... რომელი-ესე შეიშურვეს მოი-
ულთა“ 87—შეშურდათ, შეხარბდათ.

შემმართებელი 1119—გამბედავი, თამამი.

შეჰგავს 322 და სხვ.—შეჰფერის, შეშვენის.

შუბი 49 და სხვ.—საომარი, საძგერებელი იარაღი.

შუბოსანნი—„იყო შალვა ერისთავისა ნათესავი სამოცდათორ-
მეტი შუბოსანი“ 1017—ლაშქრის შუბებით შეიარაღებული ნაწილი.

შფოთი 16—არეულობა, აღელვება; ჩხუბი.

ჩ

ჩჩ.ჯლი 1318—თოთო, „ყრმა მცირე“ (საბა).

ც

ციხისთავი 36, 6—თანამდებობის პირი, ციხის უფროსი, განმგებელი.

ციხოანი 511—აქ ციხეში გამაგრებული, მეციხოვნე.

წ

წარჩინებული 108—დამსახურებული, წარმატებული, მიღებული, ცნობილი,
დიდი ხელისუფალი.

წარჯღომა 71—„წარჯდეს მზირთა“—წასვლა, გადასვლა, გასვლა.

წინამძღვარი 221, 312—ხელმძღვანელი, წინამძღოლი.

წუთლა 1318—ჯერ კიდევ.

წურილი ერი 1022—ერის მდაბიო, მაგრამ თავისუფალი, ნაწილი; წვრილ შწარ-
მოებელთა ფენა.

ჭ

ჭაბუკი 148—„ხოლო იყო ჭაბუკი ასაკითა“—ახალგაზრდა.

ჭურჭელი 2028—ნიეთი, იარაღი, ყოველგვარი ჭურჭელი.

ხ

ხიზანი—„თანა ჰყვა კათალიკოზი ელიაზ ყოვლით საყდრის-
შვილითურთ და ხიზნითა დიდითა და ჯოგითა“ 1618-19;
„მაშინ... უკუაყენა ხიზანი და დედაწულნი ქნოლოს“ 1628-29;
„ხიზანი მათი შეეყენა ლელესა“ 1926—აყრილი, სხვაგან თავშე-
ფარებული მდაბიო.

ხუასდაგი 117—„დვალთა წაასხეს ხუასდაგი ჟამურით“—მსხვი-
ლი ოთხფეხი საქონელი.

ჯ

1. ჯევი 18—„მოსწრაფე იყუნეს... ყოველნი ჯევინი“—მცირე საგამ-
გეო ერთეული.

* ხემომოტანილი ამონაწერი მოგვაწოდა პროფ. ილ. აბულაძემ.

2. ჯევი 17^o — „მოვიდა ლაშქარი ვითარ დაიტევდა სივიწრე ჯევისაჲ“ — ჩვეულებრივი მნიშვნელობით.
 ჯევისბერი 10²³⁻²⁴ — ხევის უხუცესი, თავი, უფროსი.
 ჯელი 2²³ — „პატივი და ჯელი შენი, რომელიც მეფეთაგან მოცემულ არს“ — თანამდებობა.
 ჯელის ამჟყრობელ 12⁴ — დამხმარე, შემწე.
 ჯელმწიფება 7²⁸ — უფლება — „ნუვის ჯელეწიფების“ — ნურვის ექნება უფლება.
 ჯმელი 7²¹, 8³ — „წარგზავნა პიპაჲ გზასა ჯმელთასა“ — 7²⁰⁻²¹ — ხმელეთი, ხმელეთის გზა.
 ჯრმალი 9¹³ და სხვ. — ხმალი.

ჯ

ჯაქვ 9¹² — „ისარმან... ჯაქვანი კაცი გაიარის“ — რკინის (ჯაქვის) პერანგი.

საკუთარ სახელთა საძიებელი

1. პირთა სახელები

- აბაზასძე ნაეროზ 6¹².
 აბაზასძენი 6³
 ადარნასე, მეფე 4²¹⁻²².
 ამასჯან, მნაველთა თავი 13¹³⁻¹⁴.
 ანდრია „ვინმე, ბოროტად მეტყუელი“ 13¹⁰.
 ბანდასძე იოვანე, დეკანოზი 7²², 2⁸.
 ბალათარ, თავი მნაველთა 15¹³.
 ბიბილა, როსტომის ძმა 1⁸⁻¹⁰.
 ბრუტას შვილნი 14²⁷.
 ბიორგი, ძე დავით მეფისა, მეფე 6¹², 16, 7¹³, 8⁴, 11²⁷
 12²⁵ გიორგი მეფე 16¹, 13, 19¹⁹.
 გიორგი ძე ვირშელ მეორისა 10⁴, 19
 გიორგი [წმ.] 15²⁷, წმ. გიორგი ქაშოეთისა 19¹³.
 გუანცა, მეუღლე ვირშელ II-ისა 10².
 გუგაკ, ხუციანდაბისძე, ლარგვისის მამასახლისი 3².
 გულშარ, მეუღლე იოვანე ერისთავისა, დავით მეფის ასული 12²⁵.
 დავით ბაგრატიონიანი, მეფე 4¹³⁻¹⁴.
 დავით ადარნასე მეფის ძმა, „მამის ძმა ვახტანგისი“
 4²⁵, 27, 5⁴, 15, 10, 20, 6¹¹, 12.
 დავით, გიორგი მეფის ძე 8¹⁵, 21, 9²³, 12²⁵.
 დიმიტრი, ძე ლარგველისა 4²⁰.
 მლიაზ, ქართლის კათალიკოზი 16¹³.

მახტანგ, ძე ადარნასე მეფისა 21, 26, 5 12, 26, 6 11.

ვირშელი ბურდიას-შვილი 16 18.

ვირშელი I, ერისთავი 4 23.

ვირშელი II, ძე ლარგველისა, ერისთავი 7 17, 26, 8 6, 17, 24
9 17, 10 5.

ვირშელი III, ძე იოვანესი, ერისთავი 13 18, 14 1, 15 7;
15, 25, 16 5, 14, 25, 17 10, 19, 23, 19 1, 7, 21, 20 7, 22 24.

თამარ, მეუღლე ვირშელ III-ისა 15 7.

თედორე [წმ.] 7 15.

თემურ ყაენი 16 3, 9-10, 17, 17 25.

იოვანე დეკანოზი, იხ. ბანდასძე იოვანე.

იოვანე, ძე ვირშელ II-ისა, ერისთავი 10 3, 11 26 12 1, 25
13 13, 26, 19 1.

ისტვნიანე მეფე 2 20, 3 13, 4 10, 13.

ლარგუელი I, ძე როსტომისი 4 13, ლარგუელი ქუენიფ-
ნეველი 4 14. ლარგული ერისთავთ-ერისთავი 4 19.

ლარგუელი II, ძე შალვასი, ერისთავი 7 9, 16.

მიქელი [წმ.] 13 24.

ნაეროზ, იხ. აბაზასძე ნაეროზ.

ნიკოლოზ [წმ.] 14 8.

ნისრელი 7 21, 22-23.

პიპა, ძე შალვა ერისთავისა 7 20, 22, 24, 8 1

როსტომ 1 9, 20, 2 2, 5, 12, 22, 3 4, 10, 4 4, 10, 19. როსტომ
ქუენიფნეველი 3 26.

სუნღუ, მნაველთა თავი 15 13.

სურამელი, ერისთავი არაგვის მთიულთა 20 2.

შარგჯან, მნაველთა თავი 15 13.

ქუენიფნეველი, I, ძე ვირშელ II-ისა 10 3, 5-6, 18, 11 5-6, 28

ქუენიფნეველი, II, ძე ვირშელ III-ისა 19 13.

შალვა, ძე ვირშელ I-ისა, ერისთავი 4 22, 26, 5 6, 13, 17,
21, 23, 6 2, 5, 13, 23. 7 5, 9, 20 10 15.

შირღი, შალვა ერისთავის მეუღლე, ოკსთა მეფის ასუ-
ლი 6 6.

წითლოსანი, როსტომის ძმა 1 10.

წითლოსანი, ვირშელ II-ის ძმა 10 5.

ხარეზა, ქნოლოელი 17 15, 20, 22, 24, 19 2, 8, 11.

ხოსია ბაედარის ძე 11 27.

ხუციანდაბის-ძე გუვაკ. ლარგუასის მამისახლისი 2 15-17.

2. გეოგრაფიული და ტომობრივი სახელები

- აბაზასძეთა მამული 6 3
 ალასტანი 5 20
 ალინჯა 16 1, 3, 4
 არაგვი 4 18, 5 15, 10, 11 18
 არაგუეთი 6 2
 აჩაბეთი 6 1, 19 21
 აწერისკევი 6 4-5, 13 16-17

 ბაზალეთი 5 13
 ბეხუშე 6 5, მთაბეხუშისა, 14 21, 16 14-20
 ბეხუშის ციხე 17 8, 28

 ბიბილურნი 1 10, 21, 13 20-21
 ბობოლეთა 1 16

 ბავაზი 6 4
 ვაგასძენი 6 2
 გორი 8 5, 11,
 გრემისკევი 13 5, 6-7
 გრუელნი 2 10
 გრუისის ციხე 2 2
 გუელეთის ციხე, 5 16-17, 21
 ღარიალი 5 16, 16 23, 20 1
 დარიალის ციხე 5 13
 დვალეთი 1 11, 18
 დვალეთის ჯეგნი, 5 21, 26-27
 დვალი 11 4
 დვალნი 1 12, 19, 5 7, 26, 11 1, 7
 13 1, 17 15, 17, 24, 19 5, 19, 24, 20 5
 დილუამი 6 4

 ირემა 13 2

 ჰარანი 19 18
 ზაჯის მთა 1 9
 ზედაზენი 20 1
 ზღუბერელნი 14 22

 თათარნი შირვანელნი 5 5
 თლე 13 20.
 თლეველნი 14 22
 თლისისკევი 13 20

 თრუსელნი 15 2
 თრუსუ 5 27, 6 2, 15 2
 თურქნი 11 26

 იერუსალჴში 7 18-19, 21
 იკორთა 13 28
 იმერელნი 16 2
 ინდუსტანელნი 16 11
 იოსებურნი 14 21-22
 ისროლი 5 10
 ისროლის ციხე 7 28
 ისროლის ჯეგი 1 26, 7 10-11

 კაბაშურნი 14 27-28
 კახეთი 5 5
 კობი 15 20
 კოშკელნი 14 21

 ლარგუნი 2 16, 3 5, 4 11
 ლეკეთი 16 22
 ლიხვი 4 16
 ლიხთ-იმერი 16 13, 19 19
 ლომისა 8 13, 20, 21, 9 21, 22, 15 20
 ლომისას მთა 8 9, 12, 9 5
 ლოწობნის ციხე, 6 13

 მალარო 6 17
 მალრანდვალნი 14 26, 20 18
 მესხნი 16 2
 მთიულნი ქუემონი 5 7-8, 20 21
 მთიულნი არაგუსანი 8 7, 12-13, 8 30-20
 13 4-5, 20 1
 მლეთე 6 2
 მნა 15 3, 8
 მნაველნი 15 4
 მოჯევენი 15 18, 20
 მუხრანი 5 5-8
 მულსველელნი 14 22

 ნაკაფუანი 1 26, 17 29
 ნაჰროელნი 16 11

მესეთი 1 ⁶	ლომთავი 8 ¹⁴
ოვსნი 1 ²⁰ , 6 ⁶ , 8 ⁵	ლუღა 6 ² , 13 ¹
შამურელნი 10 ⁵ , 11 ³	შანჩაეთი 6 ³ , 13 ²⁴
შამური 10 ¹⁸ , 11 ⁸	ყარა 19 ²⁵
როკა 20 ²⁰	შავდვალნი 5 ²²
როკაელნი 14 ²²⁻²³	შამი 17 ²⁶
სამარყანი 17 ²⁶	შირვანელნი 5 ⁴
საქართველო 16 ²³	ჩილანელნი 16 ¹⁰
სიყალბელნი 16 ¹⁰	ცხავატელნი 5 ⁶ , 9 ⁶ , 10 ^{18, 23} , 15 ²¹⁻²²
სოსხო 11 ⁸⁻⁹ , 19 ²²	ცხრაზმა 3 ⁶ , 8
სოსხოს მთა 14 ²⁶	ცხრაზმელნი 10 ²⁶ , 11 ¹
სოსხოელნი 14 ²⁸	ცხრაზმისწვევნი 2 ^{1, 4, 13} , 3 ^{7, 14, 18-19} , 23-26, 4 ⁷ , 10 ⁵
სპარსეთი 5 ¹² , 6 ¹³ , 16 ¹³	ცხრაზმისწვევი 5 ⁷ , 7 ²
სპარსნი 6 ¹ , 7 ¹⁰	წაელნი 14 ²⁸
უკანუბანი 17 ²⁹	წერლუე 13 ²⁶
ქართველნი 16 ¹⁻²	წუბენი 13 ³
ქარჩობი 5 ⁹	წუბენის-ჯხეველნი 14 ¹¹
ქაშანელნი 16 ¹⁰	წუხლეთი 13 ³
ქაშოეთი 19 ¹²	ხოჯაელნი 14 ²⁷
ქელეურნი 14 ²⁷	ხოჯის კლდე 20 ³
ქნოლო 16 ²⁶ , 17 ¹⁶ , 19 ²	ჯაღა 5 ¹⁷ , 15 ²⁵
ქნოლოელნი 11 ⁵	ჯადელნი 5 ⁶ , 9 ⁶ , 15 ²¹
ქნოლოს ციხე 11 ²⁷ , 6	ჯანდო 6 ²
ქოლოთი 5 ⁹	ჯავახეთი 5 ¹⁰
ქოლოთის ციხე, 17 ²⁸	ჯუართა ყელი 5 ¹⁴⁻¹⁵
ქსანი 7 ¹⁵ , 13 ¹¹	
ქუემო დვალნი 13 ¹⁶ , 14 ²¹	
ქუენიფნევი 3 ⁹ , 5 ⁹ , 7 ¹⁷ , 9 ²⁵ , 10 ¹¹ , 17 ²⁷	
ქუენიფნეველნი 3 ¹⁰	
ქუთათისი 16 ²²	

მოჭამედ თაჭერის ცხობები
საქართველოს შესასებ

ტექსტი, თარგმანი
და შენიშვნები

გ. ფუთურიძისა

მოჭამედ თაჭერის ცნობები საქართველოს შესახებ

სეფიანთა ეპოქის ირანელ ისტორიკოსთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოჭამედ თაჭერე ვაჰიდს, რომელსაც შედგენილი აქვს შაჰ-აბას II მეფობის ისტორია¹. ეს ნაწარმოები საინტერესოა საქართველოს ისტორიის კვლევითვისაც, რადგანაც ავტორი მასში საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს საქართველოს ამბების აღწერას, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ირანის იმ ეპოქის ისტორიისათვის.

მირზა მოჭამედ თაჭერის ბიოგრაფიიდან ვიცით მხოლოდ, რომ ის მუშაობდა მუნშის (მდივნის) თანამდებობაზე დიდ გეზირ ხალიფა სულთანთან. შემდეგ ის დანიშნული ყოფილა შაჰ-აბას II (1642—1667 წწ.) კარის ისტორიკოსად. შაჰ-სოლეიმანის (1667—1694 წწ.) დროს უკვე ღრმად მოხუცებული (ფ. გორგიჯანიძის სიტყვით—90 წლისა) მოჭამედ თაჭერი ეთიმაღოვლედ (პირველ ვეზირად) გამხდარა. გარდაცვლილა ის XVII საუკუნის ბოლო წლებში.

მოჭამედ თაჭერის პიროვნების დახასიათებისათვის და მისი ბიოგრაფიის შესავსებად ჩვენ საინტერესო ცნობებს ვპოულობთ XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიაში“. ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მსახურობდა ირანში, შეიძლება პირადად იცნობდა მოჭამედ თაჭერს. ამას გვაფიქრებინებს მოჭამედ თაჭერის ზნეობრივი ხასიათის ის ცოცხალი აღწერა, რომელსაც ჩვენ ფ. გორგიჯანიძის „ისტორიაში“ ვხვდებით. ფ. გორგიჯანიძე ამბობს: „და ვითაც შ[ე]ი[ხ] ალი-ხან ეჭთიმადოვლე მიცვალებულიყო და მირზა თაჭ[ე]რ, ძველი ვაყანვისი² ეჭტიმადოვლეთ შექმნილიყო, ამის ცდაში იყო, რომ შ[ე]ი[ხ] ალი-ხანის ნაქმარი საქმე[ე]ები ავად გააქმინჯოს, გემწიფეს. საბოლოს არა შინჯევდა, ამისთვის რომე თავად იყო ოთხმოცდა(ა)თის წლისა და მერმე ასეთი მექრთამე იყო, რომ სხვა მისებრივ არც ძველით და არც ახალი მისებრივ მექრთამე არ გაგონილიყო“³. ქართველ ისტორიკოსს ისიც აქვს აღნიშნული, თუ რა გავლენას ახდენდა ქვეყნის საქმეებზე დიდი

¹ მოჭამედ თაჭერის ეს ნაშრომი ცნობილია რამდენიმე სახელწოდებით: „თარიხე თაჭერე ვაჰიდ“ („თაჭერე ვაჰიდის ისტორია“), „თარიხე შაჰე აბბასე სანი“ („შაჰ-აბას მეორის ისტორია“), „აბბას-ნამე“ (აბასის წიგნი“). იხ. C. A. Storey. Persian literature. Sect. II, fasc. 2, გვ. 315.

² قانع نويس ისტორიკოსი, მემატრაჩე.

³ ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია.—საისტორიო მოამბე, წიგნ. II, 1925 წ., გვ. 289.

ვეზირის ასეთი უზნეობა¹ და როგორც ცდილობდა ესარგებლნა ამით საქართველოდან ჩასული ან ირანშივე მცხოვრები ზოგიერთი ქართველი².

მოჰამედ თაჰერის მიერ შედგენილი ისტორია შეიცავს შაჰ-აბას II მეფობის ამბებს 1663 წლამდე. შაჰის კარზე მაღალი თანამდებობის მქონე მოჰამედ თაჰერი კარგად იცნობდა მაშინდელ პოლიტიკურ ამბებს. მას, რასაკვირველია, ხელი მიუწვდებოდა სახელმწიფო საბუთებზედაც. ზოგი ასეთი საბუთის შემდგენელი თვით შირზა თაჰერი იყო, ამის შესახებ ის რამდენიმე ადგილას ლაპარაკობს თავის ისტორიაში. როგორც კარის ისტორიკოსი, მოჰამედ თაჰერი დიდ ადგილს უთმობს თავის ნაშრომში შაჰის ნადირობის, ლხინის და სხვა ასეთი გართობის აღწერას, მაგრამ აქვს მოცემული სეფიანთა ირანის ისტორიის მკვლევარისათვის საყურადღებო ცნობებიც ფეოდალური ურთიერთობიდან, რაც მის ისტორიას მნიშვნელოვან ნაწარმოებად ხდის. საკმაოდ ბევრი ცნობა აქვს მოტანილი ჩვენს ავტორს საქართველოს შესახებაც (როსტომ მეფის, თეიმურაზ I-ის, ვახტანგ V შესახებ, იმერეთისა და სამეგრელოს ამბები). ეს ამბები აღწერილი აქვს ფარსადან გორგიჯანიძესაც, ზოგჯერ თითქმის ზუსტად ისე, როგორც მოჰამედ თაჰერს აქვს. სპარსული ენის კარგი მცოდნე ქართველი ისტორიკოსი, რომელიც უხვად სარგებლობდა თავის „ისტორიისათვის“ ისკანდერ მუნშის ცნობილი საისტორიო ნაშრომით „თარიხე ალემ-არაჰე აბბასი“-თ, რასაკვირველია, იცნობდა შირზა თაჰერის „ისტორია“-საც და შესაძლებელია კიდევ სარგებლობდა მით, მაგრამ გამორიცხული არ არის ისიც, რომ ორივე ისტორიკოსს ერთი და იგივე წყარო ჰქონდა და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოგვითხრობს ორივე ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის შესახებ.

უიხილბაშური ირანის კარის ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერი, ცხადია, ვერ გამოიჩინდა სწორ დამოკიდებულებას და მართებულ შეხედულებას ირანსა და საქართველოს შორის არსებულ ურთიერთობაზე. მისთვის საქართველო (ქართლ-კახეთი) ირანის შაჰის მიერ დაპყრობილი ქვეყანაა და საქართველოს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის ის მცდარ გზაზე დამდგარი ურჩი „ქვეშევრდომების“ მიერ ატეხილ შფოთად და აჯანყებად თვლის. მაგრამ ავტორის სურვილისაგან დამოუკიდებლად, მისი ნაწარმოებიდან მაინც კარგად ჩანს, რომ ქართველი ხალხი არასოდეს არ შერიგებია ირანელების ბატონობას და გამუდმებულ და სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა მათ წინააღმდეგ; კარგად ჩანს აგრეთვე ის, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ირანის

¹ „და რა კარის მებატონეთ ვაზირი ასრე მექრთამედ ნახეს — განაგრძობს ფ. გორგიჯანიძე, მათაც ქრთამის აღება დაიწყეს და კემწიფე ლხინის მოყვარული იყო და ვაზირს მექრთამეობისათვის პატივი ახადეს და მისი ნათქვამს აღარაგინ დაუჯერებდინან და აირივნეს კარიცა და ნაპირის აღავიცა“. იქვე.

² „რა ქართველთ ეს იცნეს, რომე ქრთამით საქმე გარიგდების, ვინც ერთი ტყვე მოჰგვარის, რაც უნდოდის, გაირიგის და კემწიფისასა არას ნაღვლობდის. ერთს წელიწადში თვითან და თავისი შვილნი და მეყვისნი და ნათესავნი ასრე მორკმულნი და საქონლიანი შექნა, რომ სხვათ ეპტიმადოვლეთ ოცს წელიწადში ვერ ეშოვნათ. მღთის შიში არ აქონდა და არც განკითხვა სწაქმდა და რა გიქნდ გლაზა კაცი ენაზა, კელში მხერას დაუწყებდა და თუ მისთვის არა მოეტანა რა, ტუქსვასა და გინებასა დაუწყებდა“. იქვე.

მთავრობა საქართველოში თავისი პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებას და როგორც ცდილობდა ამისათვის საქართველოს მაღალი ფეოდალური წრეების მოსყიდვას.

გარდა საისტორიო ნაშრომისა, მირზა მოპამედ თავერე ვაჟედს შედგენილი აქვს „დივან“-იც, ლექსების კრებული¹. ის თავის დროის საოკეთესო სტილისტადაც ითვლებოდა. თავისი „ისტორია“ მას დაწერილი აქვს მაღალფარდოვანი და ფერადოვანი, ხშირად არა ზუსტი და მკითხველისათვის ძნელად გასაგები ენით.

მირზა მოპამედ თავერის საისტორიო ნაშრომის ხელნაწერებს საკმაო რიცხვით მოუღწევია ჩვენამდე². არის მისი ხელნაწერი აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაშიც, სამწუხაროდ დაუმთავრებელი³. წინამდებარე ნაშრომში მოცემული ტექსტი გადმოღებულია ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერიდან⁴ და ზოგიერთი მისი მცდარი წაკითხვა გასწორებული გვაქვს საქ. მუზეუმის ხელნაწერის მიხედვით.

მოპამედ თავერის საისტორიო ნაშრომი გამოცემული არ ყოფილა. აკად. დორნმა დაბეჭდა სამი მცირე ნაწყვეტი რუსების მიერ ყოი-სუზე აშენებული ციხის დანგრევისა და რუსთა ხელმწიფის ელჩების შაჰის კარზე მოსვლის შესახებ⁵ გერმანული თარგმანითურთ. მასვე აქვს მოცემული ამ ნაშრომიდან საქართველოს შესახებ ადგილების ვრცელი შინაარსი გერმანულ ენაზე თავის შრომაში „Geschichte d. Georgier“⁶. გარდა ამისა, სსრკ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ წიგნში: „Материалы по истории туркмен и Туркмении“ (ტ. II, გვ. 113—115) მოცემულია რუსული თარგმანი მირზა თავერის ისტორიიდან ამოღებული მცირე ნაწყვეტისა ყალმუხებისა და ოზბეგების შორის მომხდარი ბრძოლის შესახებ.

¹ واحد „ვაჟედ“ — „ერთადერთი“, მირზა თავერის ლიტერატურული ფსევდონიმა.

² იხ. Storey, Pers. Liter., sect. II, fasc 2, გვ. 315—316.

³ სპარსული ხელნაწერების კოლექცია, ს № 118.

⁴ აკად. დორნის კატალოგი № 303-ს მეორე ნაწილი. აკად. დორნს შესაძლებლად შეიძინა, რომ ეს ხელნაწერი ავტოგრაფი იყოს. მაგრამ ამ ხელნაწერში ისეთი შეცდომებია დაშვებული კერძოდ ქართული სიტყვების და საკუთარი სახელების დაწერილობაში, რომ ის არ შეიძლება იყოს ავტორის ხელით გადაწერილი.

⁵ Auszüge aus Muhammedantischen Schriftstellern... გვ. 39—44.

⁶ B. Dorn. Beiträge zur Geschichte d. kaukasischen Länder u. Völker aus morgenländischen Quellen. III. Erster Beitrag zur Geschichte d. Georgier.—Memoires de l'Academie imper. de sciences... VI-série, t. sixième, გვ. 428 — 443. იგივე შინაარსი მოცემული აქვს ფრანგულ ენაზე აკად. ბროსეს: Histoire de la Géorgie, II partie. Histoire moderne. Addition V, გვ. 499—509. ბროსე შეცდომით საქართველოს შესახებ ცნობების ამ ნაწილს ისკანდერ მუნშის ისტორიიდან ამოკრებილად თვლის.

საქართველოს ვალის (მეფის) როსტომ-ხანისა და თეიმურაზის ჩხუბი და
ადამ-სულტანის წახვლა იმ მხარეში (საქართველოში)

რადგანაც ცის სფეროს მოძრაობა და ცვალებადი ბედის ჯადოქრობა [წვადასხვა] ამბის მომხდენია, იმის შემდეგ, როცა [შაჰის] უწმინდესი ფიქრა და აზრი გათავისუფლდა „მეფობის საფარველის“-იმამ ყული-ხანისათვის ძასპინდლობის გაწვევისა და მისი გამოკითხვისაგან და ყაჭალში ნადირობისა-განაც უსაზღვრო სიამოვნება მიიღო და დაბრუნდა,—ამ დროის ახლოს ცის მსგავს სასახლეში (შაჰის კარზედ) მოვიდა მეფობისა და სიდიადის საფარველის, ქართლის მკვიდრი მეფის როსტომ-ხანის მოხსენება, რომ კახეთის მეფე (ვალი) თეიმურაზი, რომელიც საპოაზეში დამკვიდრებულმა ხაყანმა¹ იმ გულის წარმტაცი სამეფოს (ე. ი. კახეთის) ხელმწიფედ აღამალა, მუდამ ჩემულობდა, სამოთხეში განსვენებული ხელმწიფის უსაზღვრო წყალობათა გამო, დამოუკიდებლობასა და თვითმპყრობელობას, —ახლა [ამ თეიმურაზმა], იმ ძლიერი სურვილისაგან ცთუნებულმა, რომელიც [ადამიანის] არსებაში გონიერების ძალას არბევს, თავის თავში „ცუდი ზრახვების გამოსაცხობად შავი ნალევის ცეცხლი დაანთო“ და სურვილის თვალი მიაპყრო ქართლის ქვეყანას, რომლის მმართველობა მაღალ სასახლეს (შაჰს) ხსენებულ [როსტომი] სათვის ჰქონდა ბოძებული. თეიმურაზი ობროდი [და] უბედური [ადამიანების] ერთი ჯგუფით სანადიროდ წასულა ყარაიაზში, რომელიც ხსენებული „მეფობის საფარველის“ სამკვიდრო მამულს წარმოადგენს და ქართლის ველაიეთში შედის, არ დაკმაყოფილებულა ამ ცუდი საქციელით და შეთანხმებულა ზაალ ერისთავთან—ყარა-ყალხანთან² და ნოდარ და იოთამ ამილახვრებთან, რომელნიც ქართლის უწარჩინებულესი თავადები არიან, რათა როგორმე ეცადონ მოსპონ „მეფობის საფარველი“ (როსტომ მეფე). ხსენებულმა ერისთავმა და ამილახვარმა კაცი მიუგზავნეს „მეფობის საფარველს“ მის მოსაკლავად. მცველებმა ეს გაიგეს და ის კაცი გაიქცა. რადგანაც დროთა სივრცეში ყველაფერი [ან] სიმართლეა, ან სიცრუეა,—თეიმურაზის სახელზე გამოვიდა შემწყალებელი რაყამი და გამოიგზავნა თაყი-ბეგ ბაზარგანლუს ხელით, რომ მან [თეიმურაზმა] თავი აარიდოს ხსენებულ საქმეებს. [რაყამში ნაბრძანები იყო], რომ თუ შეცდომისა და დავიწყების გამო, რაც ადამიანის ბუნების აუცილებელ თვისებას შეადგენს, [თეიმურაზი] ამ საქმის (ე. ი. ურჩობის) მიზეზი შეიქნება, [შაჰინ ის] „ნდობის სახეს სინანულს ცივი წყლით განბანს ურჩობის მტერისაგან“. ამიერიდან ამგვარი ბოროტმოქმედება არ უნდა ჩაიდინოს, რადგანაც, უკეთუ უწმინდეს ყურებს [შაჰისას] ესმათ ერთხელ კიდევ ამბავი ასე-

¹ შაჰ-აბას I (1587—1629)

² თურქ. სიტყვა *قراقاقلان* (სპარსულში გადაკეთებული *قراقاقلان*-ად) ნიშნავს „შავ ფარს“, „შავფარიანს“. ასე უწოდებენ ირანელი (აგრეთვე თურქი) ისტორიკოსები არავეის საერისთაოს. ასევეა მოხსენებული ეს მხარე ბერძნულად „*Καραχαλκία*“ თეიმურაზ I მიერ ჩუსეთის მეფისადმი ვაგზავნილ წერილში. იხ. *Иезеииска грузинских царей с российскими государями*, გვ. 10₃₅

თი უხამსი მოქმედების შესახებ, მას (თეიმურაზს) თავს დაატყდება ხელმწიფის რისხვა. იმ ცუდი ბოლოს მქონემ უსაზღვრო უმეცრებისა და უფიცობის გამო, გარეგნულად მორჩილება გამოხატა თაყი-ბეგის წინაშე და პირობა დასდო, რომ თუ ამიერიდან მონობისა და მსახურების კანონის საწინააღმდეგო საქმეს ჩავიდენ, ხელმწიფის რასხვა და სასჯელი მხედვს წილადო. ხოლო იღუმალ კი უფრო გააღვივა შფოთის ცეცხლი და ზაალ ერისთავთან, ნოდართან და ქართლის კათალიკოზთან ერთად, რომელიც იმ ურწმუნოთა სრულუფლებიანი პირი და წინამძღვარია, გადასწყვიტა, რომ როსტომ-ხანი¹ მოეკლათ. მათ ამ საქმეში მოკავშირედ გაიჩინეს ძელიქი ყორხბასი, სომხითის ძელიქ ათაბეგის შვილი.

რადგანაც ხსენებული მელიქი სახალიფო სასახლის (ე. ი. შაჰის) ერთგულთა რიცხვს ეკუთვნის, ამიტომ მან შეატყობინა როსტომ-ხანს იმ ურწმუნოთა ბოროტების შესახებ. როსტომ-ხანმა ამის შესახებ მოხსენება დაწერა და ხსენებული ძელიქის საშუალებით უძლულეს კარზედ გაგზავნა. ან ამბავმა ხელმწიფე მეტად განარისხა და გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი, რომ „მმართველობის საფარველი“ ადამ-სულტანი, სუფის მმართველი, რომელიც როსტომის დისშვილია და ცნობილია როგორც გამოცდილი კაცი, აზერბაიჯანის, შირვანის, ყარაბაღისა და ერევნის ბეგლარბეგებთან ერთად და იუზბაშების, ყორჩების, ლულამების და მეთოფეების რაზმის თანხლებით, რომელთა სამყოფელი ადგილი აზერბაიჯანი და შირვანია, გაემართოს იმ ურწმუნოთა ასაკლებად, დასახოცად და დასარბევად, რომელთაც თავის ჯღმერთობას და უწმინდურობას კიდევ ურჩობა დაუმატესო. ის „მმართველობის საფარველი“ ბედნიერ საათში [შაჰის] ფეხთა კოცნის პატივით იქნა ამალღებულნი და საქართველოსაკენ გაემართა. ვიდრე ის საქართველოში ჩავიდოდა, როსტომ-ხანმა ბრძანა კათალიკოსის ელაში თვალის გუგუების მათი ბუდიდან ამოგდება (დათხრევიება) და თბილისის ციხის სატუსალოში მისი დატყვევება², ხოლო რაზმით თავადებისა და აზნაურებისა, რომელნიც შემკულნი იყვნენ გულწრფელი ერთგულებით, ნოდარის ციხის დასაპყრობად გაემართა³.

[ამ ციხის] სიმტკიცე და სიმაგრე, [მისი მისასვლელი] გზების სიძნელე და ტყეების სიხშირე იქაურ ხალხში ანდაზად არის გადაქცეული. მოკლე ხანში, მისი უდიდებულესობის „ღვთის ჩრდილის“ (შაჰის) ბედნიერი იღბლის ძალით, ის ფუძემდგარი ციხე შავ მიწასთან გაასწორეს და იმ დაკარგულის ცოლ-შვილი დაიქირეს. ის ბოროტგანპირახველი, უსაზღვრო სინანულში ჩა-

¹ როსტომ მეფე.

² ქართული წყაროების მიხედვით, თვალეზი დასთხარეს შეთქმულების სხვა მონაწილეს გიჩაშვილს და არა კათალიკოსს (ფ. გორგიჯანიძე. ისტორია, გვ. 250; ეგნატაშვილი ბერ ი. სალი ქართლის ცხოვრება, გვ. 180). აკად. დორნს, სიტყვების چشمخانه და არასწორად გაგების გამო, მცდარად აქვს გადმოცეული ეს ადგილი ის ამბობს, როსტომ-ხანმა კათალიკოსი თავისი საცხოვრებელი ადგილიდან ჩემშენხანედან გამოიყვანა და თბილისის ციხეში გამოჰკეტაო (იბ. B. Dorn, დასახ. შომა, გვ. 429), ხოლო აკად. ბროსეს ეს „ჩემშენხანე“ რატომღაც შეუცვლია „ჩემშემ-ქუბ“-ად და შენიშვნაში ამბობს ეს სპარსული სიტყვა, ჩემის აზრით, ქართული „ოუსთავი“-ს („colline du ruisseau“) თავგანი უნდა იყოსო (چشمه „ჩემშემ“ ნიშნავს წყაროს, چشم-ქუბ—მთას. ვ. ფ.) (იბ. Histoire de la Géorgie, დასახელ. ნაშრ., გვ. 500).

³ ატენის ციხე (ეგნატაშვილი ბერი, დასახ. შომა, გვ. 179).

ვარდნილი (ნოდარი), გაიქცა და ახალციხეს მივიდა. ამ ცხადი გამარჯვებისა და ძლიერი ციხის აღების შემდეგ, ადამ-სულტანი ძღვეამოსილი ლაშქრით კახეთში შევიდა. რადგანაც ამ ღვთის მიერ რჩეულის მიწნები და სურვილები ყოველთვის უბრძოლველად და ლაშქრის შეუწყუხებლად სრულდება ხოლმე, ძღვეამოსილი ჯარის წამოსვლით შემფოთებულმა თეიმურაზმა ხელი აიღო სამეფო მოწყობილობაზე და გაქცევა არჩია. ხოლო ის სამეფო დაპყრობილი იქნა ისე, რომ მტრის დამანარცხებელი ლახვარი სარწმუნოებისათვის მებრძოლებისა არ ამოძრავებულა, და მთლიანად გადავიდა „სამარადისო სახელმწიფოს“ (ირანის) მფლობელობაში. ზაალ ერისთავი და იოთამ ამილახვარი სინანულით მოვიდნენ ამ სოლომონისსადარი ხელმწიფის კარზე, ხოლო სხვა თავადებმა, აზნაურებმა და ქართლისა და კახეთის მცხოვრებლებმა, რომელნიც ბოროტმოქმედებისა და მზაკვრობის გზას ადგნენ [აქამდე], თავის ნამოქმედართ სინანულში ჩავარდნილებმა, თავის შეცოდებათა და დანაშაულთა პატიება ითხოვეს როსტომ-ხანის შუამდგომლობით.

მათი იმედი წარმატებით აღსრულდა და [შაჰმა] ბრძანა, რომ „გამარჯვების საფარველი“ ლაშქარი უკან დაბრუნებულიყო და ის ხალხი, რომელიც პატიებას ითხოვს, არ შეევიწროებინათ...

გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა ნ ი

...ამ წელს იასე ერისთავი-ქართველი მოჰკლა ყაზვინში ბადადა (ბაატა) — ქართველმა, ამილახვარის შვილმა.

ზაალ ერისთავის-ყარაყალხანის და იოთამ ამილახვარის მოხვლა „ქვეყნის საფარველის“ (შაჰის) კარზე

ზაალმა, ერისთავმა ყარაყალხანის ოლქისა, რომელიც არც ერთი მბრძანებელის მიერ არ ყოფილა დაპყრობილი არასოდეს და რომლის ზალალი ციხეების დამორჩილება ვერც ქვეყნის დამპყრობლის, სამოთხეში დამკვიდრებულის (შაჰ-აბას I-ის) იყლიმთა დამპყრობელ ხმალს, [იმ ხმალს,] რომელსაც ციხეების დაპყრობის საქმეში იუსუფის საჩვენებელი თითის თვისებები ჰქონდა, ვერ მოუხერხებია, [ამ ზაალმა] უბრძოლველად „ღრჩობის კისერი მორჩილების ქამანდის ყულუში გაჰყო“, ღვთის განგების ხელმძღვანელობით მორჩილების გზას დაადგა და იოთამ ამილახვართან ერთად, რომელიც აგრეთვე ურჩობაში ზაალ ერისთავთან თანაბრობის საფეხურზე იდგა, „გულწრფელობის სახე ცასავით მაღალ ზღურბლიან სასახლეში (შაჰის კარზედ) მიიტანა“, მიუხედავად იმისა, რომ მათ და საქართველოს ვალის როსტომ-ხანს შორის მოხდა ზოგიერთი საქმე, რომელიც წინათ იყო აღწერილი. მივიდნენ რა ხსენებულ ვალისთან, სთხოვეს მას შუამდგომლობა, რათა [ეპატიებინათ] დანაშაულებანი და შეცოდებანი და [ნებართვა მიეცათ] ეამბორონ ცასავით მაღალ ზღრუბლს. ხსენებულმა „მეფობის საფარველმა“ (როსტომ მეფემ) მათი ნატვრა [შაჰს] მოახსენა. აუსრულდათ [ეს ნატვრა და] გამოვიდა უზენაესი რაყამები, რომ მტკიცე და დამშვიდებული გულით გამოემგზავრონ [შაჰის კარზედ]. როცა სამეფო ქალაქი ისპაანი იყო დიდების დროშებისა და ბედნიერების და

იღბლის აღქმების სადგომი¹, ხსენებული (ზაალი) და იოთამი მოვიდნენ მშვიდობისა და უსაფრთხოების ამ ცენტრში, რომელიც ერისკაცთა თავშესაფარი და სახიზარი არის, და განდიდებული იქნენ ფეხთა კოცნის და სამოთხის მსგავს მეჯლისში სხდომის პატივით. [თავისი] მიზნების [ისეთი] შესრულებით, რომელიც მათ წადილს აღემატებოდა, მათ დიდების თავი პლანეტა სატურნამდე აიტანეს და განდიდებული იქნენ ნაირ-ნაირი საჩუქრების [მიღლებით] და მოფერებით და უსაზღვრო სიამოვნებით დაკმაყოფილებულგმა წასვლის ნებართვა მიიღეს და თავის სამშობლოში დაბრუნდნენ.

...იმავე დღეებში საქართველოს ვალის როსტომ-ხანისა და ჯემალ-ხან ყარაყლარისაგან მოვიდა მოხსენება, რომლითაც იტყობინებოდნენ, რომ კახეთის ვალიმ თეიმურაზ-ხანმა, რომელიც ქვეყნის დამყარებლის, სამოთხეში დამკვიდრებულის (შაჰ-აბას I-ის) დროიდან დაწყებული დღემდე ბოროტმოქმედების და მზაკვრობის დროშას აფრიალებდა და მორჩილების გზას არ მიხედვდა ისე, როგორც საჭირო იყო,—ამ დღეებში „აჯანყების მტვერი ააყენა“ და ქართლის დასარბევად წავიდაო. პირისპირ შეხვედრის, ბრძოლის, ქიდილისა და ომის განკრძობის შემდეგ, წინააღმდეგობის ძალამ რომ გამარჯვება ვერ მოუტანა, ის უბედურების ველზე მოხეტიალედ შექმნილა, დავუდ-მირზა², რომელიც განთქმული იყო თავის სიმამაცით და გამბედაობით და რომელზედაც ამყარებდნენ იმედს თეიმურაზ-ხანი და ურწმუნონი, როცა ის (დავუდ-მირზა) წასული იყო ყაზახის მხარეს ჯარის შესაგროვებლად, გზაში შეეჩება ჯემალ-ხანს და ყარაყლარის დაზიებს. ორივე მხარემ „სიმამაცის ხელი ხმლია“ და შუბის, ნაჯახისა და მშვილდის გამოყენებას მიჰყო“. ბრძოლის შემდეგ ისინი (ქართველები) ისლამის ლაშქრის მიერ დამარცხებული ხდებიან და დავუდ-მირზა, საქართველოს რამდენიმე გამოჩენილ პირთან ერთად, ლაზიების „ელვარე მახვილის სასმისით სიკვდილის“³ მწარე ღვინით ითვრებიან“ (მოკლული იქნენ). ამ ცხადი გამარჯვების გამო მთელი საქართველო და კახეთი მისი უდიდებულესობის (შაჰის) მფლობელობაში გადავიდა, თითოეულ მხარაში დაინიშნენ მმართველები და მცველები ხსენებული ოლქის საზღვრების დასაცავად და მოსაწესრიგებლად, ხოლო იმ ურჩების თავები მალე მოჰყვა მოხსენებებს და წარედგინა [შაჰის] მწყალობელ თვალს.

ამ სასიხარულო ამბის მოსვლით, რომელიც სურვილის შესრულება იყო, სიხარულისა და ლხენის ყვავილებმა გაშლა იწყეს და ამ დიდებული საშეფოს (ირანის) მკვიდრთა გულების ბუღბუღები გაფურჩქვნის და დატკობის ქალებში მგალობლად გადაიქცნენ.

[როცა შაჰი ყანდაჰარზე გალაშქრებისათვის ემზადებოდა], იმავე დღეებში [შაჰის] კეთილშობილ მზერას წარედგინა საქართველოს ურწმუნოთა და თეიმურაზის. შეილის თავები, დროშებთან, ქარანებთან და მათ სხვა იარაღთან ერთად.

¹ ე. ი. როცა შაჰის კოი ისპაანში იმყოფებოდა.

² დავითი, თეიმურაზ I შვილი.

³ სიტყვა-სიტყვით: არარსებობის.

ცანდაპარის ციხის გარემოცვის დროს, ერანის ჯარის სარდლებს შაჰმა დაუნიშნა სიბას მისატანად ცალ-ცალკე უბნები].

... და სიბა, რომელიც მისი უდიდებულესობაზე, ღვთის ჩრდილზე „იყო მიწერილი, დაევალა ისა-ბეგს, წინანდელი სპასალარის როსტემ-ხანის ძმას, რომლის შესახებ ზემოთ მოთხრობილი იყო, რომ როსტემ-ხანის მოკვლის შემდეგ ალამუთის ციხეში იყო დატუსაღებული და შემდეგ შეწყალების გამო „მისი ცოდვების წიგნში პატიების რაყამი ჩაიწერა“ და ის [შაჰის] დაახლოვებულ პირთა რიგებში იქნა ჩარიცხული. [მას ებრძანა], რომ ყველა ყორჩებით, ღულამებით, მეთოფეებით და შაჰის სამეურნეო დაწესებულებათა მსახურებით და ბაზიერებით შეუდგეს ხსენებულ საქმეს.

აღწერა ურწმუნო რუსების ციხის დანგრევისა, რომელიც ყოი-სუს ნაპირზე აუშენებინათ

რადგანაც რუსთა ქვეყნების მეფეს (ვალის), ქვეყნის დამპყრობელი, განსვენებული [შაჰ-აბასის] დროიდან დაწყებული უკანასკნელ ხანამდე, რომელი დროც მოწყალე-ღვთის ჩრდილში მყოფ სახელმწიფოს (ირანის) გაფურჩქინილი გაზაფხულის დროს წარმოადგენს, მუდამ ჰქონდა გაცხოველებული და მტკიცე კავშირი ამ (ე. ი. ირანის) სამეფო გვართან და [მათი] ელჩები მოდიან ხელმწიფის კარზე, ამიტომ ამ დიდებული სამეფო გვარის მბრძანებლებიც, აგრეთვე, ყოველთვის პატივისცემით და ყურადღებით ეპყრობოდნენ მათ და ასრულებდნენ მათ სურვილებს და [აკმაყოფილებდნენ მათ] საჭიროებას. [შაჰის] ბედნიერი გამეფების პირველ ხანებში რუსთა ქვეყნების ხელმწიფემ ააგო ციხე თარქის ოლქში, რომელიც არის საზღვარი რუსის მხარესა და [ღვთის მიერ] დაცულ სახელმწიფოს (ირანის) შორის. ზრდილობისა და თავაზიანობის გამო აღნიშნული გარემოება უყურადღებოდ იქნა დატოვებული, [მაგრამ] იმ ხანებში, როცა, როგორც წინათ იყო მოხსენებული, საქართველოს წინანდელი ვალის თეიმურაზის, რომელიც [ირანის] ძლევა მოსილი, დამპყრობელი ჯარის შემოტევით შეშინებული იყო, კუთვნილი ქვეყანა როსტომ-ხანს ეწყალობა, მან (თეიმურაზმა), რადგანაც [რუსების] თანამორწმუნე იყო, მიმართა რუსის ხელმწიფეს და თავისი უფროსი შვილიშვილი გაგზავნა მასთან და დახმარება და შეველა ითხოვა. მან მზაკვრულად ურჩია [რუსთა ხელმწიფეს], რომ მიზანშეწონილი იქნება, თუ ყოი-სუს ციხის სანახებში რამდენიმე სხვა ციხეც იქნება აშენებული, რომლებითაც ჩაიკეტება ჩერქეზიდან [ღვთის მიერ] დაცულ ქვეყანაში (ირანში) მოსასვლელი გზა და თუ რუსების მხარიდან დახმარება წამოვა საქართველოს ოლქში, -- ეს (ე. ი. დახმარების გამოგზავნა) ადვილად მოხერხდებაო. და რუსთა ქვეყნების ვალიც მოტყუვდა მისი ვერაგობით და რამდენიმე ციხე ხსენებულ სანახებში ააშენა და დანიშნა რაზმი მათ მცველად. ქეშდარიტება ამის შესახებ შირვანის ბეგლარბეგმა ხოსროვ-ხანმა [შაჰის] საპოფელ ადგილს მოახსენა. გამოვიდა უმაღ-

ლესი ბრძანებები ჩოხურ-სა'ღის¹, ყარაბაღის, არღებილის, ასთარას და აზერ-ბაიჯანის სხვა მაჰალეების მმართველების სახელზე, რომ შეგროვდნენ და მივიდნენ ხოსროვ-ხანთან, ელოდონ და საჭირო დროს სახელმწიფოს ინტერესების მიხედვით დაიწყოს მან (ხოსროვ-ხანმა) მოქმედება. ხსენებული ამირები, თანახმად უმაღლესი ბრძანებისა, დანიშნულ დროს შეიკრიბნენ. ხოსროვ-ხანი, შაჰის მუდმივი იღბლის ძალით და ლეთის შეწვევით, ხსენებულ ამირებთან ერთად და დარუბანდის, ბაბ ალ-აბეაბის მმართველის, დაღესტნის შამხალის სურხაი-ხანის, აბას ყული-ხან უსმის, წახურელების და სხვების თანხლებით გაემართა და რუსებთან, ნოღაელებთან და სხვებთან, ვინც რუსის ვალის მხრით ციხეებს იცავდა, ბრძოლა და ქიდილი დაიწყო. დედამიწის პირი ქარცივით სწრაფი ცხენების ფლოქეთა ცემისაგან და ქოსისა და ქარანას გრიალისაგან მეორედ მოსვლის ასპარეზს დაემსგავსა და ბრძოლის ველზე ამდგარმა მტვერმა, როგორც ჩაგრულის კენესამ, თავი ხომლამდე აზიდა. ბოლოს გამარჯვებისა და ძლევის სიომ შირვანისა და ერევნის ბედნიერი ლაშქრის დროშების ქოჩორს დაჰბერა და წყველი ურწყუნონი გაიფანტნენ და გაიქცნენ. ძლევამოსილმა ლაშქარმა ყველა ის ციხე დაანგრია და მიწასთან გაასწორა და უკან დაბრუნდა. ასეთი დიდი გამარჯვება ადვილად მოიპოვეს დღითი-დღე მზარდი სახელმწიფოს მოღვაწეებმა.

მეფობის საფარველის აბდულ-აზიზ-ხანის ელჩების მოსვლა თხოვნით შაჰფულად-სარაახ გამოშვების შესახებ

...ურგენჯის ვალის აბუ-ლ-ლაზი-ხანის ელჩი აგრეთვე, დადიანის და ბა-ში-აჩუკის და საფრანგეთის დიდებული ხელმწიფის ელჩებთან ერთად და რუსეთის ელჩი, რომელიც ჩაფრად იყო მოსული „ქეყენის საფარველის“ (შაჰის) კარზედ, და აბუ-ლ-რაჰიმ-ბეგი, ბასრას მმართველის ჰოსეინ-ფაშას ნათესავი, რომელმაც არაზები და ფეშქაში წარმოადგინა,—ამ წელს გაბედნიერებული იქნენ „მონობის მიწის კოცნით“ და დიდებული საჩუქრები და ხალათები ეწყალობათ.

სანადირო ბაღში ნადირობა და ბაჰრამის ძალის [მქონე] ხელმწიფის [მიერ გასროლილი] ისრის გავლა ორ კანჯარში

...ცაში მოხეტიალე ფრინველებზე ნადირობით დატკობის შემდეგ, დიდებულმა ხელმწიფემ ირმებსა და ღორებზე ნადირობის სურვილით სადავეები სანადირო ბალისაკენ მიაბრუნა და დაახლოვებულ პირებთან, მირმაჰზანთან,² და საქართველოს სხვა დიდებულებთან ერთად, რომელნიც უავგუსტოვს უზანგს ახლდნენ, ბაღში შევიდა. ირმის, შვლის და ღორის ხროვა გარსემორტყმული იქნა და ჯერ სანადირო ლომებით დაიწყო ძლიერ ირმებზე ნადირობა და დიდად გააოცა ქართველი დიდებულები, რომელთაც ასეთი ნადი-

¹ ერევნის მხარის.

² მირ მაჰზანი (შერმაზანი?) ქართველ დიდებულად ჰყავს მოხსენებული ავტორს ამავე

გვერდზე.

25. მასალები, ნაკვ. 30

რობა ოცნებაშიაც არ ენახათ. ამის შემდეგ მშვილდისაარს მიმართეს და საქართველოს დიდებულებსაც უბრძანეს შვილდოსნობა...

სამეფო ქალაქ ისპანის ხალხის ჩივილი და მირ-დივანის ოლურლუ-ბეგის ამბავი

წინათ აღწერილი იყო, რომ ქვეშევრდომთა მოწყალე და მართლმსაჯულების შეგნება ხელმწიფე გამწყრალი იყო ერთხელ უკვე ნახსენები საქმეების გამო მირ-ყასემ ბეგზე, რომელიც როსტომ-ხანის¹ ნაცვლად იყო სამეფო ქალაქ ისპანში ტარულად, და ის გადააყენა ამ საქმიდან. დადგენილ იქნა, რომ როსტომ-ხანმა დანიშნოს სხვა [ისეთი], რომელიც შეძლებს ამ საქმის (ტარულობის) შესრულებას. საქართველოს ვალიმ ფარსადან-ბეგ ქართველი² დანიშნა და [შაჰს] მოახსენა, რომ თუ უკეთესობილესი ბრძანება იქნება, ის შესრულდება ამ საქმეს. მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, რომ, რადგანაც სამღვთო კანონის დამცველი ჩვენი უაფგუსტოესობის აზრით არასგზით არ დაიშვება, რომ ისლამის ხალხზე მმართველად და ხელისუფლად იდგეს სხვა სარწმუნოების [პირი], ამიტომ თუ [ფარსადან-ბეგი] ისლამის პატივით შეიმოსება, მაშინ იქნება [მხოლოდ] როსტომ-ხანის თხოვნა მიღებული და შესრულებული. ფარსადან-ბეგიც შორჩილებით და დიდის მონდომებით გახდა მუსლიმანი, თაჯით იქნა შემკული და, [შაჰის] ფეხთა კოცნის პატივით განდიდებული, ხსენებულ საქმეს შეუდგა.

ყოველ ქალაქში, დიღსა და პატარაში, არიან მავნე ადამიანები, რომელნიც ადამიანთა მოღვაძის მტრებს—ეშმაკებს წარმოადგენენ და რომელნიც გამოსარჩენის და ქრთამის მიცემის გზითა გავლენას ახდენენ მმართველის ხასიათზე. ამრიგად, მონახეს რა გზა [ფარსადან-ბეგთან], ის საქმის წარმოებაში გამოუტყდელი წააქეზეს მასზე, რომ სააუგო (უკანონო) მოთხოვნები წარედგინა ხალხისათვის. ამის გამო ხსენებული სამეფო ქალაქის მცხოვრებლები უკუუდგნენ მას და ყოყმანში იყვნენ—დაეფარათ [ეს გარემოება] თუ ეჩივლათ. იმ ხანებში დივანის მმართველობა და მომჩივანთათვის სამართლის მიცემა ოლურლუ-ბეგს ჰქონდა მინდობილი. ხსენებულმა [ოლურლუ-ბეგმა], როცა გაიგო ეს ამბავი, თუმცა შეეძლო რჩევა-დარიგებით გამოესწორებინა ის საქმე, უგულვებელპყო სახელმწიფოს ინტერესები და ეცადა გაეღვივებინა შფოთი. მან დაავალა ერთ ჯგუფს არ დაეტოვებინა დოქნებში არავინ და ყველა გამოეყვანა იძულებით და დაეყენებინა [იმ] ვზახე, [რომელზედაც უნდა გამოეცალა] „ჩვეყნის საფარველს, ღვთის ჩრდილს“. და იმ დღეს, როცა მისმა უდიდებულესობამ, „ღვთის ჩრდილმა“, თავისი მისვლით ისე გაანათა ღვთის მიერ დაცული ქვეყნის დიდი საღოს მირზა მოჰამედ მეჰდის ბინა, რომ შური გამოიწვია ბრწყინვალე მზის ამოსვლაში, ქალაქის და მაზრის ხალხი, ამქრები და ხელოსნები, მთლიანად დიდებული ხელმწიფის ვზახე იყვნენ გამოსულნი და მათი ყვირილი და კვნესა-ტირილი პლანეტა სატურნს წვდებოდა. მისმა

¹ შემდეგში ქართლის მეფე როსტომი.

² ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე.

უდიდებულესობამ, თავისი სამართლიანობის და მოწყალების გამო, ბრძანა, რომ ძეორე დღეს სახელმწიფოს დიდებულები დამსხდარიყვნენ სასახლეში და გამოერკვიათ ისპანის ხალხის სიტყვის სიმართლე თუ სიცრუე და მოეხსენებინათ [ქისტვის]. მეორე დღეს ეთემად უდ-დოჟლე, სადრი ირანისა, დივანბეგი და ძლევაშოსილი სახელმწიფოს სხვა დიდებულები შეიკრიბნენ სასახლას ქეშიქხანაში და ისპანელებს, რომელნიც უზარმაზარ ბრბოდ შეკრებილიყვნენ სასახლის გარეთ, იწვევდნენ შიგნით, რათა თითოეულის სიტყვის სიმართლე გამოეძიათ და მოეხსენებინათ. რამდენიმე კაცი იმ ხალხიდან დივანში შევიდა და ზოგი რამ მოახსენა (დიდებულთ), სხვებმა კი, ბეგლარ-ბეგის მიერ წაქეზებულმა, [რომელმაც მათ უთხრა რომ] თუ სასახლიდან გავიდოდნენ, დაისჯებოდნენ, მოსვლაზე უარი თქვეს და ყვირილსა და ჩივილს მოუმატეს. ქეშმარიტება [ამის შესახებ] მოხსენდა დიდებულ ხელმწიფეს. თავის სულგრძელობის გამო და, აგრეთვე, რადგანაც ფრთხილობდა, ვაი თუ იმ ხალხში უსამართლობით დაჩაგრული ვინმე იყოსო, მათ დაადგინეს, რომ [იმ ხალხმა] შეადგინოს არზა თავის მოთხოვნილებათა შესახებ და „ნათელ მზერას“ (შაჰს) წარმოუდგინოს, რათა სამართლიანად იქნეს განსჯილი [პათი საქმე]. და რადგანაც დივან-ბეგის სიტყვებისაგან წარმოიშვა იმ ხალხის შიში, მომჩივანთა ერთი ჯგუფი მუჯთეჰიდ მოუღანა მოჭამედ მოჭაინ ქაშისთან წავიდა და ის გახადა თავის შეცდომებისა და დანაშაულის პატიებისათვის შუამდგომელად. იმ სწავლა-დარიგებისა და მართლმსაჯულების მკოდნემ მის უდიდებულესობას, ყოვლად მოწყალე ღვთის ჩრდილს სთხოვა მათი დანაშაულის პატიება და მოახსენა, რომ რადგანაც ქვეშევრდომთათვის ძნელია კეთილად განწყობილი იყვნენ ხელისუფალთან, რომელიც მათ ამხილეს ბოროტებაში, და რადგანაც შესაძლებელია, რომ მან (მმართველმა) მოინდომოს შურისძიება და სამაგიეროს გადახდა, ამიტომ თუ ის საქმე (სამსახური) სხვას ეწყალობება, ეს იმ ხალხის კეთილდღეობისა და [შაჰისათვის] ლოცვა-კურთხევის გაძლიერებისათვის საფუძელად გახდებოდა. მუჯთეჰიდის თხოვნის საფუძველზე გამოვიდა მაღალი ფირმანი ისპანის ტარულობიდან ფარსადანის გადაყენების შესახებ, ხოლო როსტომ-ხანის სახელზე გამოცემულ იქნა უკეთილშობილესა რაყაში, რომ სხვა დანიშნოს [მის] ნაცვლად და წარმოადგინოს, და რადგანაც შაჰის განათლებული გულისათვის ნათელი გახდა დივან-ბეგულურღუ-ბეგის წამხდრობა და წაქეზება [ხალხისა], მან, როგორც ამბობს (ლექი): „ცუდად მხედველი თვალი თუ ვერ იხედება — უკეთესია“, ბრძანა, რათა „მისი ცუდად მხედველი თვალის გუგა მხედველობის სამოსისაგან გაეშინებინათ“ (დაებრმავებინათ ის). კეთილმორწმუნე, ნათელი ცოდნის მქონე ეშიკ-ალასი-ბაში დივანისა მეჰდი-ყული-ხანი ბრძანების შესრულებას შეუდგა. დივანის სამსახური დაევალა მოყარაბ ალ-ხაყანს საფი ყული-ბეგს, როსტომ-ხანის შვილს, რომლის მამა სამოთხეში დამკვიდრებული ხაყანის (შაჰ-აბას I-ის) დროს ამ სამსახურს ასრულებდა. ხსენებული სამეფო ქალაქის ტარულობა, თანახმად როსტომ-ხანის თხოვნისა, გადადა (პაატა)-ბეგს ეწყალობა. დე, მუდამ დახურული ჰქონდეთ [მტრებს] ბოროტად მაქყერალი თვალები და გულიც დაქრილი ჰქონდეთ ბედის ტრიალის ნესტარისაგან!

„დადიანის“ (სამეგრელოს) ვალის და როსტომ-ხანის გარდაცვალება
და ის ამბები, რომელიც მათი გარდაცვალების შემდეგ მოხდა

„დადიანის“ ვალი ლევან-ხანი („ლევანდ-ხანი“), საქართველოს ერთი უდიდესი ხელმწიფეთაგანი, რომლის ქალიშვილი¹ როსტომ-ხანის ცოლი იყო და რომელიც დიდი ხელმწიფის (შაჰის) მონათა და ერთგულთა რიგებში იდგა, გარდაიცვალა. რადგანაც ბაში-აჩუკი (იმერეთი) ქართლსა და „დადიანის“ შორის მდებარეობს და ლაშქრის გადასვლა ქართლიდან „დადიანში“ ბაში-აჩუკზე გავლის გარეშე შეუძლებელია, — იმ დრომდე, სანამ „დადიანის“ ვალი გაძლიერდებოდა და დამოუკიდებლობის მოპოვებას მოინდომებდა, ის იმერეთს ექვემდებარებოდა. ლევან-ხანს არ დარჩენია შვილი, რომლის გახელმწიფებაზე [შეიძლებოდა] შეთანხმებულიყო იმ ქვეყნის მოსახლეობა. როსტომ-ხანიც ავადმყოფობისაგან ისე იყო დაუძღვრებული, რომ მოძრაობისა და ცხენზე ჯდომისა ძალა აღარ ჰქონდა. ლევან-ხანის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის ვალი დაეპატრონა ხსენებულ მხარეს და მის მმართველად ერთი თავისი ახლობელი ხანი დანიშნა. იქაური მმართველი აფხაზისა, მესხი და გურიელი მას შეუთანხმდნენ და მორჩილება გამოუცხადეს. (ლექსი):

„ვიდრე ერთი არ მოკვდება უბედურებით, მეორე ვერ დაჯდება (ტახტზე) მხიარული და მორკმული“.

ამ გზით მისი დამოუკიდებლობა განმტკიცდა და მისი ძლიერების სამოსელმა სიახლე მოიპოვა. დადიანის სამეფოს მემკვიდრეებმა წინააღმდეგობის ძალა ვერ მოიკრიბეს და დაიფანტნენ. ერთმა მემკვიდრეთაგანმა თავი შეაფარა ახალციხის მმართველს, რომელიც ოსმალეთის ხონთქრის მიერ არის დანიშნული. ახალციხის მმართველმა მის საშველად და დასახმარებლად ურუმთა ერთი რაზმი დანიშნა და სამეგრელოში („დადიანში“) გამოგზავნა. დადიანის ხალხიდანაც მრავალრიცხოვანი ჯარი და ურიცხვი ბრბო შეიკრიბა ხსენებულ [პირთან] და სამეფოს დასაპყრობად წავიდნენ. ალექსანდრე-ხანიც მთელი ჯარით დაიძრა. მოწინააღმდეგეთა შორის ხოცვისა და ბრძოლის ცეცხლი გაჩაღდა და ორივე მხრიდან ბევრის არსებობა მოსპო სიკვდილის ცივი ქარის დაბერვამ. ბოლოს გამარჯვების სიომ ალექსანდრე-ხანის დროშების ქოჩორს დაჰქოროლა, ახალციხის ხალხი გაიქცა. და იმ დროს, როცა ალექსანდრე-ხანი თავის ხალხით დადიანის [ქვეყანაში] შედიოდა, როსტომ-ხანმა, რადგანაც თვით აღარ შესწევდა ძალა მოძრაობისა და ცხენზე ჯდომისა, ბახუტა-ბეგი², მუხრანის ბატონი, დანიშნა სარდლად და ზაალ ყარაყალ-ხანის ერისთავთან და სხვა თავადებთან და აზნაურებთან ერთად იმერეთში („ბაში-აჩუკში“) გაგზავნა, რადგანაც ავადმყოფობის სიმძიმისა და წუხილის სიძლიერის გამო, როსტომ-ხანს აღარ შეეძლო მართვა და გამკვება საქმეებისა, ბახუტა-ბეგსა და ერისთავს შორის ქიშპობის გამო უთანხმოება გაჩენილიყო.

¹ ქვემოთ ავტორი ასწორებს შეცდომას და ლევანის დად იხსენიებს როსტომ მეფისა მეუღლეს.

² შემდეგში მეფე ვახტანგ V.

„ბაში-აჩუჯე“ გალაშქრება გადაიდო. ერთმანეთზე გაბრაზებულნი, ისინი დაბრუნდნენ და თითოეული მათგანი თავის ქვეყანაში ატარებდა დღეებს. ამასობაში როსტომ-ხანის დღენი დაილია და ის არყოფნის ქალაქს გაემგზავრა (გარდაიცვალა). კემმარიტება ამ საქმეთა შესახებ ბახუტა-ბეგმა შაჰის კარს მოასენა. ბახუტა-ბეგს უმაღლესი წყალობა მოეფინა, [შაჰმა] ის საქართველოს ძრულუფლებიან ვალიდ [დანიშნა] და შაჰნავაზის საპატიო სახელი მიანიჭა. განსვენებული როსტომ-ხანის სამეფო მოწყობილობა, რომლიც [სლრიცხვა] სიმრავლის გამო მონაგარიშეთა ძალას აღემატებოდა, შემოქმედის კურთხევით და წყალობით უზომოდ მრავალი იყო, და ხსენებულის თაჯი, ჯილა, ხმალი მოოჭვილი, ცხენი და იარაღი მას უწყალობა. უამრავი საქონელი ებოძა აგრეთვე დედოფალს, დადიანის [ქვეყნის] ვალის დას, რომელიც როსტომ-ხანის მეუღლე იყო. გამოვიდა უავგუსტოესი რაყამი, რომლითაც [შაჰი მოუწოდებდა] მას გაეხადა სამგლოვიარო ტანსაცმელი და ცოლად გაჰყოლოდა ხსენებულ „მეფობის საფარველს“ (შაჰნავაზ მეფეს).

დადგენილ იქნა, რომ სეფი-ყული სულტან უსთაჯულუ, ყარა-ჰასანის შვილიშვილი, წასულყო საქართველოში და მოესპო ის დავა, რომელიც ხსენებული „მეფობის საფარველს“ და ერისთავს (ზაალის) შორის მომხდარიყო, და თუ ერისთავი, იმ ეჭვიანობის გამო, რომელიც მან გამოიჩინა, უარს იტყვის „მეფობის საფარველთან“ მისვლაზე, მაშინ ის „ქვეყნის საფარველის“ (შაჰის) წინაშე მოიყვანოს.

რადგანაც მისი უდიდებულესობის ფიქრი კახეთის დასახლებისაკენ იყო მიმართული და მოხდა ამბავი, რომელმაც „დააბრკოლა სურვილის შემსრულებელი“¹, და ყულარადასიც სემნანში და იმ მხარეებში იმყოფებოდა, გამოვიდა უკეთილშობილესი რაყამი, რომ ის (ყულარადასი) წავიდეს აზერბაიჯანსა და ყარაბაღში, გაჩერდეს ადგილას, რომელსაც შესაფერისად დაინახავს და მცოდნე ხუროთმოძღვრით და გამოცდილი ხალხით გადავიდეს კახეთში და სამი ადგილი, რომელთაც ექნებათ დასახლებისათვის საჭირო ნიშნები, გააშენონ და ააგონ სამი მაგარი ციხე, სასწრაფოდ მოათავონ ხსენებული ციხეების შენება და გადაიყვანონ იმ მხარეში 15 ათასი ოჯახი აზერბაიჯანის და ყარაბაღის ელებიდან, რომელნიც დაასახლებენ კიდევ საქართველოს და „მეფობის საფარველის“ შაჰნავაზ-ხანის დამხმარე და მშველელიც იქნებიან. ხსენებული მაღალადგილოვანი (ყულარადასი), თანახმად ბრძანებისა, გაემგზავრა ყახეინის და თარემის გზით.

თემურაზის შვილიშვილის გარდაცვალება

კახეთის ვალი თემურაზი, როგორც წინათ იყო მოხსენებული, მისი შვილის მოკვლის შემდეგ და, როცა მას იმედი გაუტრუვედა თავის [ძეოვრე] შვილზე, მისი არასაქებარი საქციელისა და ჯიუტობის გამო, წავიდა „ბაში-აჩუჯის“ ვალისთან, თავისი სიძესთან, ორი ბავშვით, რომელნიც მის შვილს დარჩა, და ხსენებულ ქვეყანაში ატარებდა [თავის დღეებს]. და რადგანაც მას იმედი გადაუწყდა „ზღურბლზე, რომელიც მართალთა სასოების ცენტრია“ (ე. ი. შაჰის მიერ შეწყალაბაზე), როგორც ნათქვამია:

¹ უნდა იგულისხმებოდეს როსტომ მეფის გარდაცვალება.

„როცა კაცს წუთისოფელი დაუბნელდება,
იმას იზამს, რაც მას არ გამოადგება“,

ერთი თავის შვილიშვილთაგანი, რომელსაც შეეძლო შეეცდინა რუსის ხელმწიფე, რადგანაც ერთმორწმუნე იყო, გაგზავნა იქ (რუსეთში) და თვითონაც რამდენიმე ხნის შემდეგ გაემგზავრა ხსენებულ ქვეყანაში. მეორე მისმა შვილიშვილმა, რომელიც ბაში-აჩუქში იმყოფებოდა და როსტომ-ხანის გარდაცვალების დროს სრულწლოვანებას იყო მიღწეული, ალექსანდრე-ხანის დახმარების [იმედით] განიზრახა ჩხუბი და არეულობა მოეხდინა. მან უგუნურობის გამო არ იცოდა, რომ ამ ღვთის მიერ მონიჭებულ სახელმწიფოსთან ბრძოლა და შუღლი იგივე იქნებოდა, რაც საკუთარ ფეხზე ხელეჩოს შემოკვრა და თავისი „არსებობის“ „ხურმის ხის“ ძირიან-ფესვიანად ამოგდებაა. დამიუხედავად იმისა, რომ [ირანის] სახელმწიფოს საქმეები [ასე იყო] მოწესრიგებული და მოგვარებული და მეორედ მოსვლასავით [საშინელი] ლაშქარიც მზად იყო მუდამ, [ის მაინც ფიქრობდა, რომ] იქნებ ამ ბედნიერი ხელმწიფის იღბლის ელვარე მახვილის ჩვეულება ისე შეიცვალოს, რომ მტერთან შეტაკების დროს არ დაუშვას, რომ ღაზიების „კრიალა ხსლის ელვა ქარქაშის ღრუბლიდან“ ამოვიდეს და მტრის დამამარცხებელი და მოწინააღმდეგის დამპყრობელი ალმები ბაჰრამისავით მგზნებარე დევ-გმირებისა — შეირყენო. მოულოდნელად, ამ ფუქი განზრახვის საუბედუროდ, მას სწორედ იმ დღეებში ეწვია ყვავილ-ბატონების შეუბრალებელი ლაშქარი. მთელი ტანით დაწყულულებული¹, ის დაღუპვისა და მოსპობის სადგომში გადასახლდა. „თეიმურაზის შვილიშვილი მოკვდა“².

„ფარშავანგის სახლის“ აშენება

... [შაჰმა] ბრძანა, რომ ფარშავანგით ფერადი ზალი გაეშენებინათ და პატარძალსავით მორთული შენობა აეგოთ შაჰის ხილთან, რომელიც მდინარე ზენდერულდზეა აღმართული, და გარშემო შემოეფლოთ მაღალი ბოძები, რომლის თავებზე დაემაგრებინათ მავთულის ბადე, რათა ფარშავანგებს, ხოხებებს და [სხვა] ფრინველებს იმ ცასავით ფართო გალიაში თავისუფლად გაეშალათ ფრთა და, მავნებელი ცხოველებისაგან დაცულთ, შეძლებოდათ გამრავლება და მოშენება. საქართველოს ვალის სახელზე გამოვიდა უკეთილშობილესი რაყამი, რომ გადმოგზავნოს ფარშავანგები იმ მშვენიერი სადგომისათვის, ხოლო ზედამხედველობა იმ ადგილის ისე მოწყობაზე, როგორც აღწერილი იყო, დაევალოს ერთგულს, თავდადებულს და გამოცდილ ალავერდი-ხანს, რომელიც მოსაჭები, ყულარადასი, ამირ-შექარ-ბაში, [ირანის] ძღვევამოსილი ლაშქრის სარდალი და ქუჭტილუს ბეგლარ-ბეგი იყო...

¹ ტექსტში: „მთელ ტანზე მტირალა თვალებით“.

² უკანასკნელი სამი სიტყვა სპარსულ ტექსტში წარმოადგენს ქრონოგრამას, რომელიც იძლევა 1070 წელს ჰიჯრით, 1659—1660 წ. წ. ა.

**[ზაალ] ერისთავის, შამადავლეს და სხვა ქართველების მოხვლა
„ქვეყნის საფარველის“ (შაჰის) კარზე**

როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, დადგენილ იქნა, რომ თუ შეუძლებელი გახდება შაჰნავაზისა და ზაალ-ბეგ ერისთავის შერიგება, ის (ერისთავი) დიდებულ სასახლეში მოიყვანონ. ზაალ-ბეგი, ხსენებულ ბრძანების გამო და იმის სურვილით, რომ [შაჰის] ფეხთა კოცნის სამსახურის [გამოჩენის] ბედნიერებისათვის მიეღწია, კახეთის ზოგიერთი აზნაურისა და დიდებულის და თავისი ნათესაობისა და ხელქვეითების თანხლებით „ქვეყნის საფარველის“ კარზე მოვიდა და ფეხთა კოცნის პატივით იქნა განდიდებული. მას წყალობის თვალთ შეხედეს და დადგენილ იქნა, რომ მას და მასთან მოსულთ ყოველდღე მიეცეს ხარჯი ხელმწიფის ხაზინიდან. ბინად მათ დაუნიშნეს „ბაღე ბადაშესთან“-ის სასახლე, რომელიც შაჰის საკუთარ სადგომთა რიცხვს ეკუთვნოდა და უავეგუსტოესი სასახლის ახლოს მდებარეობდა; ყოველდღიურად მათ ეძლეოდათ ხაზინიდან 5 თუმნის საქონელი. მათ ანადირებდნენ, ალხენდნენ და ძვირფასი საჩუქრებით და დიდებული ხალათების ბოძებით განადიდებდნენ.

შამადავლე, დადიანის [ქვეყნის] ვალის ძმისწული, რომელიც თავის ბიძის სიცოცხლეში როსტომ-ხანთან იყო მისული და ქართლში იმყოფებოდა, ამ ხანებში აგრეთვე მოვიდა მაღალ სასახლეში, „მიწის-კოცნით“ იქნა პატივდებული და კრებულსა და მეჯლისში და ცხენოსნობაში „ყმობის წესებს ასრულებდა“. ხარჯი მას ხაზინიდან ეძლეოდა წესის მიხედვით. აგრეთვე ამავე წელს დიდების ტახტის საფეხურთან მოვიდა გოლ-მოჰამედ-ბეგი, სურხაა-ხან შამხალის შვილი, და [ისიც] მისი უდიდებულესობის ღვთის ჩრდილის „წყალობათა და კეთილგანწყობილების სუფრის სტუმარი“ იყო. და როცა ძლევა-მოსილი დრომეტი სამოთხისებურ მახანდერანისაკენ მიემართებოდნენ, ხსენებული [გოლ-მოჰამედ-ბეგი] და შამადავლე ხელმწიფური ხალათებით და საჩუქრებით დაჯილდოვებული და განდიდებული იქნენ და [სამშობლოში] წასვლის ნებართვა მიიღეს. დადგენილ იქნა, რომ ერისთავი და მისი მხლებელი გამარჯვების უზანგთან“ (შაჰთან) ყოფილიყვნენ.

ზაალ ერისთავის და სხვა ქართველების მიერ ისლამის მიღება

ქეშმარიტი სარწმუნოების მიმღებთ ყოველ გზაზე ღვთის დახმარება ახლავთ და ნეტართ ყოველ მგზავრობაში საუკუნო ხსნა ხედებათ წილად. ამიტომ ამ მგზავრობის დროს ზაალი „უვიცობის ძილიდან“ გამოფხიზლდა, მოამზადა ცოდვების მიტევებისათვის [საქირო] „საგაქრო თანხა“, და ისლამის მიღების სურვილით ითხოვა, რომ მისთვის ესწავლებინათ რჯულის აღსარების თქმა. ის ისლამის დიდებით იქნა განდიდებული. დანარჩენი ქართველებიც ამ დიდი ნეტარებით იქნენ გაბედნიერებული.

ფერესთე-ქელეში ნადირობა და სატახტო ქალაქში წასვლა და დაბრუნება

რადგანაც გამგზავრების ნამდვილი მიზანი და აზრი მშვილდოსნობით და ნადირობით [გართობა] და ლამაზი ადგილების, ყვავილნარების და მდელოების ნახვით დატკობა არის, [შაჰი და მისი ამალა] რამდენიმე დღით [ერთ ადგილს] გაჩერების შემდეგ გაემართნენ ფერესთე-ქელეში, რომლის ნაგებობანი დიდებულია და ველები მარადეამ აპრილისა და გაზაფხულის სადგომია...

[ნადირობის დროს შაჰი] ზოგჯერ უბრძანებდა ამირებს, ერისთავს და ქართველებს მშვილდოსნობა და ხმლის ხმარება ეჩვენებინათ. „ბედნიერების უზანგის“ (შაჰის) ზოგიერთი მხლებელი და ქართველები, რომელთაც ლომებით ნადირობის შესახებ გაეგონათ, მაგრამ არასოდეს არ ენახათ ეს უცხო რამ საქმე, „გაოცების ქაში იძირებოდნენ“ და მათი გაკვირება სულ უფრო მეტად იზრდებოდა.

დალისტნელ განდგომილთა დამარცხება და ჰაჯი მანუჩარ-ხანის გამარჯვება

დაწვრილებით გადმოცემული ეს ამბავი ასეთია. როცა ძლევისა და გამარჯვების დროები სამეფო ქალაქ ისპაანში დადგა, შირვანის ბეგლარ-ბეგმა ჰაჯი მანუჩარ-ხანმა მოახსენა [შაჰს], რომ ყაითაყის მმართველი აბას-ყული-ხან უსში და ულული, წინანდელი მმართველის უსში როსტემის შვილი, იმ ხალხის (დალისტნელებს) ზოგიერთ უგუნურ ადამიანთან ერთად, შეკრებილან, შეთანხმებულან და ჩაუდენიათ ზოგი ისეთი საქციელი, რომელიც მათგან მოსათმენი არ არის.

...ძლევაშოსილი ჯარის სარდლის ალავერდი-ხანის სახელზე, რომელიც კახეთის საქმეების მოწესრიგების და იქ ციხეების აშენების მიზნით ყარაბაღში იმყოფებოდა ამ დროს, გამოვიდა უაგუსტოესი ბრძანება, რომ იმ ძლევაშოსილი ჯარიდან, რომელიც მასთან იყო, 15 ათასი კაცი ამირებთან, იუზბაშებთან, მეთოფეებთან და სხვ. ერთად ჰაჯი მანუჩარ-ხანთან გაგზავნოს. ჰაჯი მანუჩარ-ხანის სახელზედაც გამოცემულ იქნა უმაღლესი ბრძანება, რომ გამარჯვებაშოსილი ჯარით და შირვანის, დალისტნის, წახურის და თაბარსარანის ამირათა [ლაშქრითურთ] „ის ცოუნებისა და ურობის უდაბნოში მოხეტილენი“ (აჯანყებული დალისტნელები) უკუაქციოს და მოსპოს. აგრეთვე გაიგზავნა რაყამები დალისტნის შამხალ სურხაი-ხანის და სხვა ამირების სახელზე, რომელნიც მოხსენებულნი იყვნენ [უკვე], რომ დაემორჩილონ ჰაჯი მანუჩარ-ხანის ბრძანებებს და, ჩაიგდებენ რა ხელში იმ დღედაბნელებულებს, [შაჰის] მაღალ სასახლეში გამოგზავნონ ისინი...

...შამხალმა ...მაღალ სასახლეში გამოგზავნა მოხსენება, რომელშიც უკიდურეს მორჩილებას და თავმდაბლობას [გამოხატავდა] და იმუდარებოდა, რომ რადგანაც დალისტნის ხალხი გარეგნობით ჰგავს ადამიანებს, სულით კი ცხოველების ერთ გვარს ეკუთვნიან და ეშინიათ, ვაი თუ დალისტანში ციხეები

ააშენოთ, ისე, როგორც კახეთში, და ისინი რაიათობის ბორკილებში მრავ-
ციოთ, ამიტომ ჩემს ბრძანებას და აკრძალვას არ ემორჩილებიან...

ჯერგით ნადირობა მიანგელეში¹

[მიანგელეში შაჰის ნადირობის დროს] ერისთავი და ქართველები, რო-
მელნიც თავის თავს სრულყოფილ ცხენოსნებად და მეომრებად თვლიდნენ,
ვაოცებული იყვნენ შაჰის ხელისა და მკლავის [ძალით], როცა იხილეს მისი
უდიდებულესობის ყოვლად მოწყალე [ღვთის] ჩრდილის მიერ ცხენის ქენება
და ნადირთ ხოცვა, და, „როგორც ზღვაში ჩავარდნილი წვეთი, გაკვირვების
მორევში ჩაიძირნენ“. სასახლის მონათაგან სეფი ყულა-ბეგ დივან-ბეგომ, ჰასან
ალი-ბეგ მირახორბაშიმ, ყანდაჰარის ბეგლარბეგის ზულფიყარ-ხანის ძმამ, გორ-
ჯასბი-ბეგ იასაულ სოჰბათმა, როსთემ-ბეგ მოჰრდარმა, ჰოსეინ-ხანის შვილმა
აბას-ყული-ბეგმა, დაღისტინის შამხალ ილდარ-ხანის შვილმა ალყას-მირზამ
და დაშთისტანის მმართველმა ზამან-სულტანმა, ხოლო ქართველებიდან — ერის-
თავმა და ელიზბარ-ბეგმა მშვილდისრით სროლის ნებართვა მიიღეს და თი-
თოეულმა მათგანმა შეძლებისდა გვარად გამოაჩინა თავისი ნიჭი და უნარი.

საქართველოს ამბები და ელებზე თავდასხმა

წინათ აღწერილი იყო, რომ მისმა უდიდებულესობამ, ყოვლად მოწყალე
[ღვთის] ჩრდილმა, რომელიც საქართველოს დასახლებაზე ფიქრობდა, ბრძა-
ნა, რომ ალავერდი-ხანი ამ საქმის დასამთავრებლად აზერბაიჯანში წასული-
ყო. ხსენებული [ალავერდი-ხანის] სახელზე გამოცემული იქნა უკეთილშობი-
ლესი რაყაში, რომ მან წაიყვანოს კახეთში ოდენობით 15 ათასი ოჯახი ჯევან-
შირის, ბეიათის, არბათანის და აზერბაიჯანის სხვა ელებიდან, მათი სახლ-
კართ. ცხენ-აქლეგებით და წვრილფეხა საქონლით, ააშენოს საქართველოში
სამ ადგილას, სადაც საჭიროდ დაინახავს, სამი მტკიცე და მაგარი ციხე და
ჩააყენოს შიგ მცველები. მან აგრეთვე უნდა წაიყვანოს საქართველოში ელების
კარგი (ვულმოდინე) მოხელეები და მისი ადგილები, იმათ გამოკლებით, რომ-
ლებიც ერისთავისა და იქაური თავადებისა და აზნაურებისთვისაა ნაწყალო-
ბევი, ელებს გაუნაწილოს, რათა ისინი ხენა-თესვას, შენებას და დასახლებას
შეუდგნენ. გამოცემული იქნა ბრძანებები ზუროთმოძღვრის, კალატოხის და
სხვა მშენებელი მუშების იქ წასვლის შესახებ. ციხეების ხარჯისთვის სახელმწი-
ფო ხაზინიდან ვაცემული იქნა ფულის თანხა და მაღალადგილოვანმა ყულარ-
ალასიმაც, თანხმად უმაღლესი ბრძანებისა, ერთგული მოხელეები დანიშნა,
15 ათასი ოჯახი ელებისა დადგენილი წესის მიხედვით საქართველოში გაგ-
ზავენა და იქ სამი ციხე ააშენა და მოათავა და [ამის შესახებ შაჰს] მოახსენა.
ხსენებულ სამ ციხეს შაჰბადი, ისლამბადი და ნოსრათბადი ეწოდა. სა-
ქართველოს [მიწა-წყლის] ოთხი მეექვსედის მმართველობა ყარაბაღის ბეგ-

¹ ნახევარკუნძული და დასახლებული პუნქტია კასპიის ზღვის სამხრეთ ნაპირზე, მაზან-
დერანში.

ლარბეგს მურთაზა ყული-ხანს, ხოლო ორი მეექვსედისა—ნახევანის მმართველს ალი ყული-ხან ქენგერლუს გადაეცა და ხსენებული ელებიც ოთხი მეექვსედის და ორი მეექვსედის ანგარიშით მათ შორის იქნა განაწილებული. მათ [დაევალათ], რომ ბრძანების საფუძველზე იმოქმედონ. ელების ხალხი, გადაწყვეტილების თანახმად, იმ ოლქში დასახლდა და მშვიდად და მოსვენებულად იმყოფებოდა. [მაგრამ] რადგანაც განსხვავება სარწმუნოებათა შორის და ურჯულოთა პირისპირ შეხვედრა ისლამთან უსათუოდ მთავრდება წინააღმდეგობითა და უთანხმოებით და რადგანაც ელებს იმის მისწრაფება ჰქონდათ, რომ ქართველებზე ებატონათ,—ამ ორ ხალხს შორის დავა და ჩხუბი გაჩნდა. თუშებმა, რომელთაც მაღალი მთები, ხშირი ტყეები და უგზოობა ფარავდა, ბოროტმოქმედება და მზაკვრობა იწყეს. ალი ყული-ხანიც არ იჩინდა ელების მიმართ ისეთს მზრუნველობას, როგორც საჭირო იყო. ზაალ ერისთავსაც იმის განზრახვა ჰქონდა, რომ კახეთის „ოლქის“ დამოუკიდებელი მმართველი გამხდარიყო. მისი სურვილი არ განხორციელდა და დაფარული ბრახის გამო ის იმ ხალხს (თუშებს) აქეზებდა და იმის შემდეგ, როცა მან [შაჰის] მაღალ სასახლიდან წასვლის ნებართვა მიიღო, როგორც წინათ იყო აღწერილი, საქართველოში ჩავიდა და შფოთის გაძლიერების მიზეზად, არეულობის წყაროდ და ურჩობას არსად გადაიქცა. ზაალ ერისთავის შვილი და ბიძინა, კახეთის ერთი თავადთაგანი, რომლის შვილის სახლში იმყოფებოდა (რძლად) ზაალ ერისთავის ქალიშვილი, ალავერდის ეპისკოპოსთან და ზოგიერთ ქართველთან ერთად თუშებს შეუთანხმდნენ და „დაფარული მდგომარეობა აშკარა გახადეს“ (გამოსვლა მოახდინეს). ერთ შუალამისას ისინი მთელ ხროვად ბეიათის და არბათანის ხალხს თავს დაესხნენ, მრავალი მათგანი მოჰკლეს, ხოლო სხვები გაფანტეს და გააბნიეს. ალი ყული-ხან ქენგერლუმ, რომელიც ციხეში დადგა, ქენგერლუს ლაზიების ერთი რაზმი მათ წინააღმდეგ გაგზავნა. ორივე მხარეზე ბევრი დაიჭრა და მოიკლა და მათ შორის მტრობა და წინააღმდეგობა უფრო გაძლიერდა. ალი ყული-ხანმა და მურთაზა ყული-ხანმა სინამდვილე „ქვეყნის საფარველის“ სასახლეს მოახსენეს. რადგანაც ერისთავის შვილის მონაწილეობა [შეთქმულებაში] და ერისთავის მიერ იმ ხალხის წაქეზება არც უარყოფილი და არც დამტკიცებული იყო, ნამდვილი მდგომარეობა გამოურკვეველი რჩებოდა და მეტად საკვირველი და უცნაური ჩანდა ის, რომ ერისთავი, რომელსაც იმდენი საჩუქარი და წყალობა ჰქონდა მიღებული მისი უდიდებულესობისაგან, უმადურებას გამოიჩინდა „უამთა ხელმწიფისადმი“ და ასეთი ბოროტმოქმედების ჩამდენი გახდებოდა.

ამ ხანებში ერისთავისაგან ზედიზედ მოდიოდა არზები „ქვეყნის საფარველის“ კარზე, [რომლებშიაც ის ამტკიცებდა], რომ მისი დაკავშირება ამ საქმესთან კტენარი სიცრუე და ცილისწამებაა. ანგარი ხალხი მიაწერს მას ამ საზიზღარ საქმეს, მან კი სრულებით არაფერი იცის ამ წამოწყების შესახებო, და რომ თუშებმა ალი ყული-ხან ქენგერლუს ცუდი ქცევის გამო ჩაიდინეს ბოროტებაო. დიდსულოვანმა [შაჰმა] „შურისძიების მახვილი ქარქაშში დასტოვა [ჯერჯერობით] და ამ [საქმის] გამოძიებას და გამორკვევას ელოდა. იმ მხარეების ამირებისა და მმართველების სახელზე გამოცემული იქნა ბრძანებებო.

და რადგანაც მაღალი სასახლის მოხელებმა საექვოდ მიიჩნიეს ალი ყული-ხანის ქცევა, ხსენებული პირის კუთვნილი ოლქების მმართველობა აგრეთვე მურთაზა ყული-ხანს გადაეცა და დადგენილი იქნა, რომ საჯამთროდ აზერბაიჯანში დადგეს.

ბაში-აჩუკის მეფის (ვალის) ალექსანდრე-ხანის გარდაცვალება, თეიმურაზ-ხანის ხელში ჩაგდება და ზოგიერთი ამბავი, რომელიც მისი (ალექსანდრეს) გარდაცვალების გამო მოხდა

როგორც ბაში-აჩუკის ვალის ალექსანდრე-ხანის გარემოებათა შესახებ აღწერილი იქნა, ხსენებულ მეფეს, მის მიერ ხელისუფლების მოპოვების შემდეგ, „გადამხდელმა მოსთხოვა ცხოვრების აუცილებლად გადასახდელი ვალის გადახდა“ და ის გამოეთხოვა წუთისოფელს უფრო ადრე, ვიდრე მოასწრებდა თავისი გამარჯვების ნაყოფით დატკობას. ამ დროს თეიმურაზ-ხანი, რომელიც წასული იყო რუსეთის მეფესთან დახმარების სათხოვნელად, დაბრუნდა, ბაში-აჩუკში მივიდა და ამ ქვეყნის ერთს ციხეში დაბინავდა. ცოტა ხნის შემდეგ თეიმურაზ-ხანის ქალმა, რომელიც ცოლად ჰყავდა ალექსანდრე-ხანს და დიდი ნებისყოფის მქონე იყო, გამეფება განიზრახა. ის შეეთქვა ერთ ჯგუფს, რომ ხსენებული [შვილი ალექსანდრე-ხანისა]¹ მოესპო და გიორგი, რომელიც სამეფოს ერთი მემკვიდრეთაგანი იყო, მის ადგილას დაენიშნა. რაღაც საბაბით ეს თავის ბინაზე მოიყვანა და „მისი ქვეყნის მხედველი თვალის გუგები მხედველობის ღირსებას მოკლებული ვახდა“ (დააბრმავა), გიორგი მის ადგილას დასვა და დაქორწინდა მასზე. ბაში-აჩუკის ხალხს ის ამ ამბის გამო სრულიად შესძაგდა, იქაურ თავადებთან და აზნაურებიდან ზოგი დადიანის [ქვეყნის] ვალისთან წავიდა, ზოგმაც „მეფობის სათარველს“² მიმართა დახმარებისათვის. ბაში-აჩუკის ორივე [მიმდგომი] მხარის ვალიები გაწყობილი ჯარებით გაემართნენ ორი მხრიდან ბაში-აჩუკისაკენ და ბრძოლა დაჰიდილი იწყეს. ბოლოს, რათა მოსპობილიყო შფოთისა და ნგრევის ბოროტება, ბაში-აჩუკის „ოლქის“ მხარეები ერთმანეთ შორის გაიყვეს. „დადიანის“ ვალი, ხელში ჩაიგდო რა თეიმურაზის ქალი, უკან ბრუნდება, შაჰ-ნავაზ-ხანსაც თეიმურაზ-ხანი ციხიდან გამოჰყავს და ქართლში მიდის.

**ნადირობა განდომანში და ჯერვით ნადირობა
ჰაუზემაჰში**

რადგანაც სამეფო ქალაქ ისპაანში დგომა გაგრძელდა და განდომანში ნადირობა კი მისი უდიდებულესობის „ღეთის ჩრდილის“ ბედნიერ მოსვლას ითხოვდა, დიდებულმა აზრმა და მაღალმა ბუნებამ (ე. ი. შაჰმა) ადგილიდან დაძვრა გადაწყვიტა. [ხელმწიფემ] ბრძანა, რომ ყალანდარ სულთან თოფანგ-ჩი აღასიმ და თოფჩიბაშიმ ჰაუზემაჰის მონადირენი ჯერვად შემოართყან რაიონს, რათა, როცა ძლევა მოსილი დროები განდომანისაკენ დაიძვრება, გზა-

¹ იმერეთის მეფე ბაგრატო.

² ვახტანგ V (შაჰნავაზი).

ში გართობით და იქ ჯერგათი ნადირობითაც დამტკბარიყვნენ. როცა გამაზრდებულნი მოსილი დროშები შევიდნენ ბალე-მოლქში, რომელიც სამეფო ქალაქისპაანის მშენებელი გასართობი ადგილია და გზაზე მდებარეობს, ხსენებულ ადგილს შემოვიდნენ და [შაპის] ფეხთა კოცნით იქენ განდიდებული ზაალ ერისთავის ძმა რევაზი და მისი ძმისწული ისა (იესე), რომელთა ხელითაც შაპანავაზ-ხანს გამოეგზავნა „ქვეყნის საფარველის“ კარზე მოხსენება ბაში-აჩუკის და თეიმურაზ-ხანის ამბის შესახებ. რადგანაც მისი უდიდებულესობა „ღვთის ჩრდილი“ კეთილშობილების სამადნო და დიდსულოვნების მალაროა, თეიმურაზ-ხანის საქმენი და მოქმედებანი თითქოს არ მომხდარიყო ისე ჩასთვალა და შაპის პირადი ლულამების იუზბაში მოჰამედ-ბეგი, შვილი მელიქ ათაბაგისა, მეჰმანდრად დანიშნა. მოჰამედ-ბეგს ვაატანეს აგრეთვე თანა ფულისა, მისი [გზის] ხარჯებისათვის, რათა ქვეშევრდომნი არ შეევიწროებინათ ამ ხარჯების გამო.

... როცა ჯერგას [შემოვლება] დასრულდა, [შაპი] ბედნიერებითა და იღბლით რამდენიმე ამირასთან და დაახლოვებულ პირთან ერთად სანადიროდ გაემართა. დადგენილ იქნა, რომ რევაზი და იესე აგრეთვე ახლდნენ „ბედნიერ უზანგს“ [შაპს]. იმ დღეს [შაპმა] თვით გამოიჩინა ისეთი მშვილდოსნობა, რომ შექების ძახილმა მთა ააგრიალა. [შაპმა] ბრძანა, რომ რევაზმაც აჩვენოს მშვილდოსნობა და როცა ხსენებულმა ბედის დახმარებით აუცდენლად ესროლა ისარი, მას საჩუქრად მიეცა [შაპის] საკუთარი მოოქრვილი თოფი, რომელიც მისმა უდიდებულესობამ „ღვთის ჩრდილმა“ იმ ნადირობისათვის ვააკეთებინა. იმ ზემის დასრულების შემდეგ განდომანს გაემართნენ.

**თეიმურაზ-ხანის მოხვლა გიგ-ბეგ ამილახვართან ერთად
„ქვეყნის საფარველის“ (შაპის) კარზე**

მცოდნე ბრძენთა და მეცნიერთათვის დაფარული არ არის, რომ სამართლიანი ხელმწიფენი ზეციერი ღვთის ჩრდილნი და იმ შეუდარებელი ღრსების (ღვთის) მოწყალების გამომჩენნი არიან. და რადგანაც იმ ბრწყინვალე არსებაში (ღმერთში) სრულად არის წარმოდგენილი ორივე თვისება: ძლევამოსილება და მოწყალება, — ამიტომ დიდი ხელმწიფენიც ამ ორი თვისების სრულყოფის ძიების გზით დიდებითა და სახელით შემკული არიან. კახეთის ვალიმ თეიმურაზ-ხანმა, რომელიც ქვეყნის დამპყრობელი და აწ სამოთხეში დაპყვიდრებული ხელმწიფის¹ დროს, როგორც „სალამოს საუბრების“ წიგნთა ტექსტები ამაზე მეტყველებენ, იმ ხელმწიფისაგან [მიღებულ] დარტყმებს, რომლის ბრძანებას ყველა ასრულებს, იქამდე მიეყვანა, რომ „სიმტკიცის ფეხი ადგილიდან მოცდენოდა“, ხოლო [ეხლანდელი შაპის] სამარადისო [მეფობის] დროს, როგორც აღწერილი იყო, (შაპის) უცვლელი იღბლის ძალით თავისი შვილი დავითი მახვილისაგან დალუპვოდა, — [ამ თეიმურაზმა] დასტოვა შეზ-

¹ შაპ-აბას I.

ვეული სამშობლო, მეფობა და ოჯახი, ერთხანს მოსკოვში რუსის ხელმწიფესთან იმყოფებოდა, შემდეგ თავისი სიძის ალექსანდრე-ხანისაგან დახმარების მიღების იმედით ბაში-აჩუკის ოლქში მივიდა და [ბოლოს] ხალიფობის სავანე სასახლის მონების (ირანელების) ხელში მოხვდა. [მან] ძლევა მოსილი ლაშქრის მძვინვარების სიმწარე იგემა და უკიდურეს მდგომარეობამდე იყო მისული. მოწყალეობის თვისების გამოჩენის შესაბამისად, [შაჰმა მასზე] უსაზღვრო წყალობის თვალის მიპყრობა ინება და როცა ხსენებულის დაჭერის შესახებ მოახსენეს მას, მოჰამედ-ბეგი, მელიქ ათაბეგის შვილი, მის მეჰმანდრად დანიშნა და დიდი თანხა უბოძა ხსენებული [თეიმურაზის] და იმ ქართველებისათვის, რომელნიც ჭირსა და ლხინში მუდამ მას ახლდნენ, რათა ცასავით მაღალ სასახლეში წამოსვლის დროს მათი ხარჯების გამო ქვეშევრდომნი არ შეევიწროებინათ. შაჰნავაზ-ხანმა, თანახმად ბრძანებისა, გივ-ბეგ ამილახვარი, თავადებთან და აზნაურებთან ერთად, ხსენებულს გააყოლა და ისინი მაღალ კარზე გაგზავნა. მისი უდიდებულესობის დულამმა მოჰამედ-ბეგმა ისინი სრული პატივით და მოწიწებით სამეფო ქალაქ ისპაანს ჩაიყვანა. გზაში ამირებმა, მმართველებმა და სახელმწიფო მოხელეებმა საერთოდ და განსაკუთრებით „გამარჯვების საფარველი“ ლაშქრის სარდალმა ყულარალასი ალავერდი-ხანმა, რომელიც მაშინ არღებილს იდგა, მსპინძლობა გაუწიეს, ლხინი გაუმართეს და პატივი სცეს. სამეფო ქალაქ ისპაანს ჩასვლის დროს, ნეჯეფ ყული-ბეგი ხელმწიფის ხაზინის იშვიკალასი, რომელიც რეის მმართველის იშვიკალასი მეჰდი ყული-ხან შამლუს ძმა იყო, ვეზირებთან და ისპაანის ზოგიერთ სახელმწიფო მოხელესთან და დიდებულთან ერთად, აგრეთვე კარისკაცებთან ერთად, მისი უდიდებულესობის ბრძანების თანახმად, ზემით მიეგება ხსენებულ [თეიმურაზს] და ქალაქში შეიყვანა ის. თეიმურაზ-ხანს და ამილახვარს ებოძათ დიდებული ტანისამოსი და გზიდანვე მაღალ სასახლეში იქნენ მიღებული [და შემდეგ] წავიდნენ იმ ბინაზე, რომელიც შათვის იყო დანიშნული და მორთულ-მოწყობილი. იმავე ღამით „ღვთის ჩრდილის“ წყალობის და შეწყნარების მზემ, რომელიც ბრწყინვალე მზესავით ქვეყნიერების მფარველ-აღმზრდელია, მოულოდნელად შეანათა თეიმურაზ-ხანის არეს და თავის ბრწყინვალე და სიხარულის მომგვრელი მოსვლით მისი ბინა [ისეთი] გახადა, რომ მზის დიდებულ სავანეს შური აღუძრა. მეორე დღის სამხრამდე სიამოვნებასა, მოლხენასა და და მხიარულებაში იყვნენ. ხარჯი ხსენებულ [თეიმურაზ-ხანს] და მის ხელქვეითებს და მხლებელთ სანოვაგისა, სასმელისა და სხვა საჭიროებისათვის, რაც ყოველდღიურად მნიშვნელოვან თანხას შეადგენდა, ხელმწიფის სარქიოდან (ხაზინიდან) დაუნიშნეს. მას განუწყვეტლივ იწვევდნენ სამოთხესავით მოკაზმულ მეჯლისში და უზომო საჩუქრებით და უსაზღვრო წყალობის მინიჭებით აბედნიერებდნენ. ამ წყალობით მოსილი თეიმურაზ-ხანი ყოველწუთს იმკობოდა ახალი სიცოცხლის სამკაულით და ფარვანასავით მისი უდიდებულესობის „ღვთის ჩრდილის“ სანთლის გარშემო ტრიალებდა. (ლექსი);

„ახალ სიცოცხლეს იძენდა ყოველწუთს იმ მჭერმეტყველური სიტყვისაგან.

მისი თაყვანისმცემელი გახდა, რადგანაც მისგან იხილა დასუსტება ქრისტისი“.

...და იმ უცხო რამ სამოთხესავით მოკაზმული ლხინის მოწყობის შემდეგ, რომელიც ამასწინათ აღიწერა, მისი უდიდებულესობა „ღვთის ჩრდილი“ ხან ამირებთან და დაახლოვებულ პირებთან, თეიმურაზ-ხანთან და ქართველებთან იმ სამოთხისებურ სავარდენში ყვავილებს კრეფდა და საღამოდან გათენებამდე ილხენდა და მხიარულებდა, ხან კიდევ სამეფოს მანათობელ უმანკო ქალწულებთან ერთად იმ ლხინსა და გართობას სინათლეს უბოძებდა.

... [შაჰმა] ბრძანა ოქროთი შემკული კარავი დაედგათ იმ მარად გაზაფხულის მქონე ყვავილნარში (ისპაანის ახლოს მდებარე ნასრაბადში) და ლხინი მოეწყოთ და იმ ცის მსგავს კარავში თეიმურაზ-ხანთან, თავადებთან და აზნაურებთან საუბრობდა. თითოეულს ძვირფასი ხალათი უბოძეს და ხსენებულ [თეიმურაზისადმი] მეტი პატივისა და მოწიწების [გამოჩენის] მიზნით დაადგინეს, რომ ეთეჟად უდ-დოულემ, ყორჩი-ბაშიმ, თოფენგჩი-ალასიმ, იშიკ-ალასი-ბაშიმ და დივან-ბეგიმ ის [თავის] ბინაზე მიიწვიონ. რამდენიმე დღის შემდეგ შაჰის ქარხნების ნაზირს აგრეთვე ცალკე დაევალა ამ ბრძანების შესრულება. თანახმად მაღალი ბრძანებისა, თითოეულმა ხსენებულ დიდ ამირათაგანმა და ყულარაღასიმ თეიმურაზ-ხანი და მისი მხლებელნი თავის ბინაზე მიიწვია და დიდებულად გაუმასპინძლდა. რადგანაც თეიმურაზ-ხანს იმედი მიეცა, რომ მისი უდიდებულესობის „ღვთის ჩრდილის“ წყალობის შუქით მის (თეიმურაზის) სამკვიდრო მამულში—საქართველოშიც აინთებოდა მეფობის ლამპარი, ზან იმ ხანებში, როცა შაჰთან იყო, უმდაბლესად ითხოვა, რომ რუსეთის ვალის სახელზე გამოცემულიყო ჟაგვუსტოესი წერილი მისი (თეიმურაზის) შვილიშვილის ერეკლე-მირზას, რომელიც რუსთა ქვეყანაში იმყოფებოდა, გამოწვევის შესახებ, და თუ ერეკლე-მირზა ბედისა და იღბლის შემწეობით მოვიდოდა შაჰის კარზე, მაშინ მისთვის ებოძებინათ მეფობა სამკვიდრო მამულში. ხსენებულის ოხოვნა მიღებული იქნა იმ პირობით, რომ ერეკლე-მირზა მოვიდოდა უმალეს კარზე. იმავე დღეს ერეკლე-მირზა, მიეღო რა რუსთა ხელმწიფისაგან წასვლის ნებართვა, უბედური და ავისმქმნელი ყაჩაღების თუშების მიერ შეცდენილი, დაღისტინის გზით საქართველოში იყო წამოსული.

ამიტომ თეიმურაზ-ხანის თხოვნის თანახმად, ერეკლე-მირზას სახელზე გამოვიდა გამხნეების რაყამი, რომ ის მოსულიყო ქვეყნის საფარველის კარზე. მას უბოძეს დიდებული ხალათები და არაბული ცხენი მოოჰკვილი ლაგამუნაგირით. დადგენილი იქნა, რომ აბას ყული-ბეგი, მისი უდიდებულესობის ლულამი, წაიღებს უკეთილშობილეს რაყამს, დიდებულ ხალათებს და სხვ. ხსენებულ [ერეკლე-მირზა]სთვის, დაარწმუნებს ხელმწიფის წყალობაში და უმალეს კარზე მოიყვანს მას. აბას-ყული, ბრძანების შესაბამისად, საქართველოში წავიდა და ერეკლე-მირზას მისი უდიდებულესობის „ღვთის ჩრდილის“ წყალობის იმედი მისცა. ერეკლე-მირზამ, როგორც ამბობს [ლექსი]:

„თუ ეინმეს ბედის ფარდაგი შავად იხილეს,

ზამზამისა¹ და ქოუსარის² წყლითაც აღარ

შეიძლება მისი გათეთრება“,

„მოიძია რა ნებართვა დაღუპვის ბედის გემში [ჩაჯდომისა]“, წამოსვლას თავი აარიდა და ამიტომ კახეთის „ოლქი“, როგორც შემდეგში აღიწერება, შაჰნავაზ-ხანის შვილს არჩილ-ხანს ებოძა.

ხარის წლის ამბები. ზაალ ერისთავის მოკვლა და მისი ძმის გარემოების აღწერა

მემატიანის კალმის მიერ აღწერილი იყო, რომ გამოვიდა უკეთილშობილესი რაყამი საქართველოს საქმეების გამოკვლევის შესახებ და რომ ზაალ ერისთავის დასასჯელად მისი დანაშაულებრივი მოქმედებისათვის [შაჰი] ელოდა გამოძიებას და გამოკვლევას, თუმცა მხარეთა ამირებმა და მმართველებმა მოახსენეს, რომ ერისთავია შფოთის ამტეხიო. ალავერდი-ხანმა, მუსაჰიბმა და ძღვევაშოსილი ლაშქრის სარდალმა და ყულარაღასიმ, რომელსაც გაგზავნილი ჰყავდა სანდო პირები საქართველოში ამის გამოსაკვლევად, აგრეთვე მოახსენა [შაჰს], რომ ის (ზაალი) იყო იმ შფოთისა და ბოროტების წამქეზებელი. იმ დაწყევლილის ბოროტმოქმედება, მზაკრობა და უმადურობა ცხადი გახდა შაჰისათვის. „მეფობის საფარველის“ შაჰნავაზ-ხანის სახელზე გამოვიდა უკეთილშობილესი რაყამი მისი (ზაალის) მოსაზრებისა და განადგურების შესახებ. შაჰნავაზ-ხანმა თავისი დისწული ოთარი, რომელიც ერისთავის ძმისწული იყო, რამდენიმე კაცით, ერისთავის ძმისშვილებისა და ნათესავებიდან, ამ საქმის შესასრულებლად დანიშნა. ეს ხალხი, იმ საბაბით, რომ ვითომ შაჰნავაზი მათ მტრობდა იმის გამო, რომ ისინი [ზაალის] ძმისწულები არიან, ყარაყალხანში³ გაემართა. ერისთავმა ისინი სიხარულით მიიღო და თავისი შვილი ზურაბი და სიძე შალვა კახეთში გაგზავნა, რათა იქაური ხალხი შეეგროვებინათ და მასთან მოეყვანათ. ოთარ-ბეგმა დრო იხელთა და ის ბოროტი ჯოჯოხეთის უფსკრულში გაგზავნა. ასე ადვილად შესრულდა შაჰის მუდმივი იღბლის წყალობით ეს დიდი საქმე, რომელიც ძნელი ჩანდა ყარაყალხანში [მისასვლელი] გზების სიძნელის გამო. ოთარ-ბეგი ერისთავობის ხარისხით და დიდებული ხალათებით, ხოლო დანარჩენი მისი ამხანაგები ხალათებით და საჩუქრებით იქნენ დაჯილდოებულნი. იმედია, რომ [ხელმწიფის] წყალობის არდამფასებელნი ყოველთვის საკადრის საზღაურს მიიღებენ თავისი უმართებულო მოქმედებისათვის და დასჯისა და შურისძიების მახვილი ბოროტ სიკოცხლეთა დამწველ მეხად გადაიქცევა.

¹ زمزم ზამზამ—ქ. მექას ტაძრის ახლო მდებარე ჰის სახელია.

² کوش ქოუსარ—სამოთხის წყაროა სახელია.

³ არაგვის საერისთავოში.

**ნასრაბადის მღვლოს წასვლა და ლხინისა და ზეიმის
მოწყობა ოქროთი შემკულ ცის მხგავს კარავში**

რადგანაც ყოველი არსებისათვის სასურველი რამ არის საქმის აჩქარება და ყოველი ადამიანისათვის სანუკვარია სიამით ცხოვრება, ამიტომ, რადგანაც ისპაანში დგომა გაგრძელდა, შენობებისა და კედლების მუდამ ცქერას ველზე გავლა და ცასავით დიდ კარავში [დგომა] ამჯობინა [შაჰმა და] ბრძანა, რომ ოქროთი შემკული კარავი დაედგათ ნასრაბადის მღვლოზე, რათა იმ წარმტაც ადგილას მზიარული ლხინი მოეწყოთ. იმ სამოთხის ბალივით მოკაზმული საკრებულოს მომზადების შემდეგ, ამირებთან, დაახლოვებულ პირებთან, თეიმურაზ-ხანთან, ამილახვარსა და სხვა ქართველებთან ერთად ძლევა-მოსილებით და გამარჯვებით თანხლებული გაემართა [შაჰის ბანაკი] ზაიენდერუდის ნაპირისაკენ და იმ ამწვანებულ სამოთხისებურ სადგომში წმინდა ღვინის თასები დაატრიალეს...

**ძლევაგამოსილი დროშების წასვლა სანადიროდ
განდომანში**

სამეფო ქალაქ ისპაანში დაბრუნების შემდეგ, რადგანაც მოღწეული იყო განდომანში ნადირობის დრო, მისი უდიდებულესობა, ყოვლადმოწყალე [ღვთის] ჩრდილი, განდომანის საზღვრებში სანადიროდ გაემართა და ფუდეს და ჰოუზემაჰის გზით დანიშნულების ადგილისაკენ წავიდა. თეიმურაზ-ხანმა რამდენიმე მანძილი [შაჰთან] ხლებით გაიარა, შემდეგ კი, ჯანმრთელობის სისუსტისა და მოხუცებულობის გამო ითხოვა ძლევაგამოსილ ლაშქარს ტახტ-რევანით და ქეჯავეთი გამოეყვებო¹. დიდებული დროშების განდომანის მღვლოში ჩასვლის შემდეგ, [შაჰის] სამსახურის ბედნიერებას ეწია. იქ, წყაროს ნაპირზე ტკბილი ღვინის თასმა იწყო ჩამოვლა და ჩირალდნები გახურდა... განდომანიდან გამოსვლის შემდეგ... ნადირობით წამოვიდნენ გერივ როხისა და ბაბა შეიხალის გზით სამეფო ქალაქ ისპაანში. [შაჰის კარზე] ყოფნის მთელი დღეების სიგრძეზე, რაც დაახლოვებით ორ თვეს გაგრძელდა, თეიმურაზ-ხანს და ქართველებს მრავალნაირი პატივით განადიდებდნენ და აამაღლებდნენ. რადგანაც (შაჰი) დამშვიდებული იყო დალისტნის ამბების შესახებ, გამოვიდა უკეთილშობილესი რაყამი, რომ ალავერდი-ხან ყულარადასი წამოსულიყო მაღალ სასახლეში. სამეფო ქალაქ ისპაანში მოსვლის შემდეგ, ხსენებული (ალავერდი-ხანი) სასწრაფოთ მოვიდა და (შაჰის) ფეხთა კოცნით ოქნა ამაღლებული.

**ამილახვრის გამოშვება (შაჰის კარიდან)
და სხვა ამბები**

ხელმწიფის ამაღლის ხალიფობისა და ბედნიერების სადგომს (ისპაანში) მოსვლის შემდეგ, გივბეგ ამილახვარს საჩუქრები და ხალათები უბოძეს და გაუშვეს [სამშობლოში].

¹ სიტყვა-სიტყვით: „მსახურების ბედნიერებას ვეწვიო“.

**ზაალის შვილების დაჭერა და ცუდისმქმნელი
გიორგის¹ მოკვლა**

ზაალის მოკვლის და იმ ადგილის (არაგვის საერისთაოს) მმართველობის ხსენებულის ძმისშვილის ოთარ-ბეგისათვის გადაცემის შემდეგ, იმ დაწყებულის შვილებმა, გიორგისთან ერთად, ახალციხის მხარეს გაქცევა დააპირეს. შაჰნავაზ-ხანის მსახურებმა და კაცებმა იმ გზადაკარგულების გაქცევა შეიტყვეს, დაედევნენ, ზაალის შვილები ხელში ჩაიგდეს და გიორგი კი მოჰკლეს. შაჰნავაზ-ხანმა ხსენებული საქმის შესახებ [შაჰს] მოახსენა და ზაალის შვილები² „ქვეყნის საფარველის“ კარზე გაგზავნა. გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი, რომ ისინი ქერმანში წაიყვანონ და იქ შეინახონ. იმ ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ მისმა (ზაალის) უფროსმა შვილმა ხელმწიფის ქირი წაიღო (გარდაიცვალა).

ბაში-აჩუკის „ოლქის“ დაპყრობა

ზემოთ აღწერილი იყო, რომ ქართლის ვალიმ შაჰნავაზ-ხანმა და ვამეყხანმა, დადიანის ვალიმ, ერთად დაიპყრეს ბაში-აჩუკი და უბრძოლველად და უჩხუბრად დაბრუნდნენ უკან. ამ დროს, როგორც ნათქვამია: „ალ-მალიქ აკიმ“ („მეფე უნაყოფა“), ხოლო ეს ნიშნავს: „ორი ხელმწიფე ერთს ქვეყანაში ვერ მოთავსდება“, — დადიანის ვალის იმის სურვილი გაუჩნდა, რომ ბაში-აჩუკის ქვეყანას მარტო ის, სხვა მონაწილის გარეშე, დაუფლებოდა. მას, ზაალ ერისთავის მიერ წაქეზებულს, ისიც კი უნდოდა, რომ ქართლში გაბატონებულიყო და ეს გულწარმტაცი ქვეყანა თავისი სამფლობელოსათვის მიემატებინა. დადიანის და ქართლის თავადები და აზნაურები, თავისი უწესო ქცევის გამო დაუდევრობისა და სიამაყის ღვინით მთვრალნი, იმის მოლოდინში იყვნენ, რომ შესაფერისი საბაბით მისთვის ბატონობა წაერთმიათ.

ბაში-აჩუკის ზოგმა დიდებულმა და წარჩინებულმა შაჰნავაზ-ხანს მიმართა თხოვნით, რომ მისმა უდიდებულესობამ, ყოვლადმოწყალე [ღვთის] ჩრდილმა (შაჰმა) კეთილგანწყობილებისა და წყალობის ჩრდილი მოგვეფინოს და ხალიფობის საეანე სასახლის [ერთი ვინმე] მონათაგანი მეფედ დაგვინიშნოსო. უცბად მოხდა დადიანის ვალის შექრა ქართლის სანახებში, როგორც ამბობს (ლექსი):

„როცა კაცს ბედი დაუბნელდება,

ყველაფერს იმას იზამს, რაც მას არ გამოადგება“.

შაჰნავაზ-ხანიც ამირებისა და ვალების თანხლებით და საქართველოს ზღვასავით მქუხარე ჯარით დადიანის ვალის წინააღმდეგ გაემართა. ბაში-აჩუკის ხალხმა ისარგებლა შემთხვევით და შაჰნავაზ-ხანს შეუერთდა. „დადიანის“ ვალი შეწყუბებული და გაწბილებული „დადიანისაკენ“ გაბრუნდა და შაჰნავაზ-ხანმა ღვთისწყალობით მთელი ის ქვეყანა უბრძოლველად დაიპყრო. მან ჭეშმარიტი [ცნობა] იმ ცხადი გამარჯვების შესახებ და აგრეთვე იმ ერთ-

¹ გიორგი ჩხვიძე, ზაალ ერისთავის ცოლისძმა (ფ. გ. ო. გ. ი. ჯ. ა. ნ. ი. ძ. ე. ს. კ. ა. ბ. ა. ა. ს. გ. 62 ცალკე ამონაბეჭდისა).

² დედანშია „შვილი“.

გული ხალხის თხოვნა ცისმსგავს ტახტს (შაჰს) ერთი იქაური სანდო პირის მეშვეობით გაუგზავნა და მოახსენა, რომ, რადგანაც თავადებმა, აზნაურებმა და სამეფოს დიდებულებმა ითხოვეს, რომ მას თავისი შვილი არჩილ-ხანი იქაურ მმართველად დაენიშნა, ამიტომ მან იმ ქვეყნის (იმერეთის) საქმეების გამგებლობა მას (არჩილს) დაავალა და როგორც ცის სფეროს მსგავსი სასახლის დადგენილება იქნება, ისე მოვიქცევით.

„დადიანის“ წინანდელი ვალის ძმისწული შამადავლე, რომელიც ამას წინათ ქვეყნის საფარველის კარზე მოვიდა და უსაზღვრო წყალობითა და საჩუქრებით იქნა დაჯილდოვებული, დაბრუნებულიყო, შაჰნავაზ-ხანთან იმყოფებოდა და განზრახვა ჰქონდა დაებრუნებია თავისი სამკვიდრო მამული. ის ახლდა შაჰნავაზ-ხანს ბაში-აჩუქში ლაშქრობის დროს და დადიანის დიდებულებიც, რომელთაც პირი იბრუნეს ვამეყ-ხანისაგან, მივიდნენ „მეფობის საფარველთან“ (შაჰნავაზთან) და შამადავლე ითხოვეს ხელმწიფედ და მმართველად. შაჰნავაზ-ხანიც დაუყოვნებლივ შეუსვენებლად დაედევნა ვამეყ-ხანს და დადიანის [ქვეყანაში] შევიდა. ვამეყ-ხანმა გაქცევა ირჩია და „უბედურების ქვეყანაში მოხეტიალედ გადაიქცა“. შაჰნავაზ-ხანმა შამადავლე დასვა იმ ქვეყნის მეფედ და ძლევაშოსილი მეომრების ერთი რაზმი ვამეყ-ხანის დასადევნებლად დანიშნა. გამარჯვებით მოსილმა ლაზიებმა ვამეყ-ხანი „დადიანის“ ერთ ადგილას ხელში ჩაიგდეს და მოჰკლეს, ხოლო მისიანები და მისი ქონება დაარბიეს და აიკლეს. შაჰნავაზ-ხანი იმ ცხადი გამარჯვების შემდეგ თავის სამფლობელოში დაბრუნდა და არჩილ-ხანი და გიგ-ბეგ ამილახვარი ქართლის ზოგიერთ თავადთან და აზნაურთან ერთად ბაში-აჩუქში დანიშნა, რომ, რა ბრძანებაც იქნებოდა გამოცემული, იმის მიხედვით ემოქმედა.

ძლევაშოსილი დროშების წასვლა სამოთხისებურ მაზანდერანისაკენ

...ამავე დღეებში ქვეყნის საფარველის კარზე მოვიდა ერევნის ბეგლარბეგის ნაჯაფ ყული-ხანის მოხსენება, რომ რადგანაც ბაში-აჩუქის, და დადიანის „ოლქი“ ზავითა და ხელშეკრულებით¹ მალალი ხელწიფის, ოსმალეთის ხონთქრის ქვეყნებს მიეკუთვნა, ხოლო ამ დღეებში, როგორც ზემოთ მოხსენებული იყო, შაჰნავაზ-ხანმა ხსენებული „ოლქი“ დაიპყრო და დანიშნა იქ მმართველი, [ამიტომ] არზრუმისა და ახალციხის მმართველებმა, აგრეთვე დიდებული ხელმწიფისაგან დამოკიდებული იმ საზღვრების სხვა მმართველებმა ეს ამბავი ხელშეკრულებისა და პირობის დარღვევად ჩათვალეს და დიდად შეშფოთებულებმა, იმის ფიქრით, რომ [ირანელების] ძლევაშოსილი ლაშქარი მათი კუთვნილი ქვეყნების დასაპყრობადაც იქნება გამოგზავნილი, თავისი [რაია]. ელები და საქონელი, რომელიც ჩოხურ სა'დის მიწებსა და ადგილებზე ესახლათ მუღმივად, შორეულ ადგილებში წაიყვანესო. იმავე ხანებში საქართველოს ვალიმ შაჰნავაზ-ხანმა ქვეყნის საფარველის კარზე გამოგზავნა მო-

¹ იგვლისხმება 1639 წ. ირან-ოსმალეთის სახავო ხელშეკრულება.

ხსენება ბაში-აჩუკისა და ლადიანის „ოლქის“ დაპყრობის შესახებ, როგორც აღწერილი იყო, და არზა ბაში-აჩუკის თავადების, აზნაურების, ეპისკოპოზების და სხვა მცხოვრებლებისა, რომ ისინი თანახმანი არიან მისი შვილის არჩილის გაბატონებაზე. რადგანაც მისი უდიდებულესობის ყოვლადმოწყალე [ღვთის] ჩრდილის კეთილშობილი ბუნებისათვის ხელშეკრულებისა და პირობის დარღვევა უცხოა, ამიტომ მან ბრძანა, რომ შაჰნავაზ-ხანმა ხელი აიღოს ხსენებულ „ოლქზე“ და არჩილ-ხანი იმ ხალხთან ერთად, რომელიც იქ ჰყავს დატოვებული, უკან გამოიწვიოს, და რადგანაც ის ქვეყანა ოსმალეთის დიდებული ხელმწიფის ხელქვეითი [არის] და ზავი და კეთილსათნობა ამ ორ მხარეს (ე. ი. ირანსა და ოსმალეთს) შორის მტკიცეა, ამიტომ გაუშვას ისინი და როგორც უნდათ, ისე მოიქცენონ. შაჰნავაზ-ხანი ბრძანების შესაბამისად მოიქცა, ხალიფობის ტახტს (შაჰს) მოახსენა და დიდებული საჩუქრებით და ხალათებით იქნა დაჯილდოვებული. მისი სამსახურის მოწონების [ნიშნად] კახეთის „ოლქი“ მის მემკვიდრეს არჩილ-ხანს ეწყალობა და დადგენილი იქნა, რომ ის (არჩილი) გივ-ბეგ ამილახვარისა და ელიზბარ-ბეგის თანხლებით სამოთხისებურ მაზანდერანში წამოვიდეს და ხელმწიფეს ეახლოს. გამოვიდა რაყამი შაჰის პირადი ყორჩის ამირ ჰამზა-ბეგ თალეშისადმი, რომლითაც მას უბრძანა მათი მეჰმანდრობა და მაღალ კარზე ჩამოყვანა.

თეიმურაზის გარდაცვალება

როცა ძლევამოსილი დროშები სამოთხისებურ მაზანდერანისაკენ მიემართებოდა, [შაჰმა] ბრძანა, რომ თეიმურაზ-ხანი, რომელსაც ჯანმრთელობის ჭისუსტისა და უღონობის გამო ცხენზე ჯდომა არ შეეძლო, ტახტრევანით გამოჰყვოდა. მაღალ ურდოს და ჯუზულის გზით ნელ-ნელა წამოსულიყო ასთარაბადში, რომ, როცა [შაჰის] ბედნიერი ამაღლა იმ სამოთხის ბალისმსგავს მხარეს ჩავიდოდა, ხსენებული [თეიმურაზის] შესახებ ის შეესრულებინათ, რაც ნაბრძანები იქნებოდა. თეიმურაზ-ხანი ასთარაბადს გაემართა, [შაჰის] ბედნიერი ამაღლის მოსვლამდე იმ უმწიკვლო ადგილს იმყოფებოდა და ხსენებულ ქვეყანაშივე „სიცოცხლის ნალდი ფული სულთა მოლარეს ჩააბარა“ (გარდაიცვალა). მემკვიდრეობად დარჩენილი მისი ქონება და მოწყობილობა, რომელიც მთლიანად მისი უდიდებულესობის ღვთის ჩრდილისა (შაჰისა) და სხვების ნაბოძებისაგან შედგებოდა, საღვთო კანონის თანახმად ეწყალობა მის იმ მემკვიდრეებს, რომელნიც ისლამის დიდებით იყვნენ დაჯილდოვებულნი.

არჩილ-ხანის და საქართველოს ამირების მოსვლა სამოთხისებურ მაზანდერანში

დიდებული დროშების ბედნიერად და იღბლიანად ხელმწიფობის სადგომსა და ხალიფობის სამყოფელ სამეფო ქალაქ აშრაფში ჩასვლის შემდეგ, შაჰნავაზ-ხანის შვილი არჩილ-ხანი და გივ-ბეგ ამილახვარი, ელიზბარ-ბეგი და სხვა თავადები და აზნაურები, ამირ ჰამზა-ბეგ თალიშის მეჰმანდრობით მშვენიერ ქალაქ აშრაფს მივიდნენ და [შაჰის] ფეხთა კოცნის პატივით იქნენ გან-

დიდებული. და იმ დროის განმავლობაში, როცა ის სამოთხის ბაღის მსგავსად აღილი ხელმწიფის სამყოფელი იყო, [შაჰი] უფრო ხშირად ფერესთექელეში, ბერუჯქელეში და სხვა იქაურ სანადირო ადგილებში გართობით და ნადირობით ილხენდა და მსიარულობდა.

არჩილ-ხანისა და ამილახვრის გამუსლიმანება

რადგანაც ამ დიდებული სამეფოს მარად მანათობელი ლამპარი მუდამ უჩვენებს უმეცრების უდაბნოში გზადაკარგულთ ქემმარიტ გზას რჯულისა და რწმენის სასმელი წყლის საწყურებელისაკენ, [ამიტომ] ამ დროს არჩილ-ხანმა და გიე-ბეგმა, საქართველოს ამილახვარმა, იმ ქემმარიტი გზის მანათობელის ხელმძღვანელობით ეზიარნენ რა ისლამს, თორმეტი იშამის ქემმარიტი სარწმუნოების შარაგზაზე ფეხი შედგეს და რწმენის სიწმინდით და ქემმარიტი სარწმუნოების გვირგვინით დაგვირგვინებული და სწორი ცოდნის სამოსით შემოსილი შეიქნენ და ამ ზღურბლის (შაჰის კარის), რომელიც გაჭირვებულთა მისწრაფების ქვეყანაა, მსახურებით ნეტარება შეიძინეს.

...რადგანაც კარგა ხანი იყო, რაც იოსებ [მშვენიერის] სახიან ლამაზმან ისპაანს არ ამკობდა შაჰან-შაჰის იქ ყოფნა, ამიტომ შაჰმა გადასწყვიტა დაბრუნებულყო და „მიაღერებოდა იმ [ლამაზმანს (ე. ი. ისპაანს)], რომელიც მის მოლოდინში იყო და თვალი შაჰის ძლევაშისილი ამაღის გზისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. ის ბედნიერ საათს ქალაქ თეირანიდან დაიძრა, ყველგან ნადირობით და ლხინით წამოვიდა და როცა სადგურ ხარში შევიდა, არჩილ-ხანს ბევრი წყალობა და დიდებული ხალათები უბოძა, შაჰნაზარ-ხანი უწოდა და ამილახვართან და მათ მხლებლებთან ერთად [სამშობლოში] წასვლის ნებართვა მისცა და რეზა-ბეგ ჩაღათაის, მაღალი ჰარამის იშვიკალასიბაშის, მოჰამედ ყული-ხანის შვილის, მეჰმანდრობით გაისტუმრა. იმავე სადგურზე [შაჰს ეახლა და] უავგუსტოეს ფეხთა კოცნით იქნა განდიდებული ყარაბაღის ბეგლარ-ბეგი მურთაზა ყული-ხანი, რომელიც უკეთილშობილესი რაყამით იყო გამოწვეული ქვეყნის საფარველის კარზე. მურთაზა ყული-ხანს საადლუს წასვლის ნებართვა მიეცა და ის სემნანის ოლქში წავიდა. თაჯაბადში ჩასვლის შემდეგ გამოვიდა მაღალი ფირმანი, რომ თეიმურაზის მხლებელი ქართველები, რომლებიც ასთარაბადში იმყოფებოდნენ, წასულიყვნენ მურთაზა ყული-ხან საადლუსთან, რომელმაც უნდა გააყოლოს მათ კაცი და ხორასანში გაგზავნოს ისინი. დადგენილი იქნა, რომ რამდენიც არ იქნებიან ისინი, [ყველამ] იმსახუროს იქაურ ბეგლარბეგებთან. [ამის შემდეგ შაჰი] ბედნიერად და მხიარულად სამეფო ქალაქ ისპაანს შევიდა.

از تاریخ طاهر و حید

مناقشه رستم خان والی کرجستان و طهمورث و رقتن آدم سلطان بانحدود

თ¹35r.
ლ 148r

چون حرکات کردون و نیرنگی سپهر بوقلمون منتج حوادث می باشد بعد از آنکه خاطر اقدس و ضمیر مقدس از میربانی و تفقد سلطنت پناه امام قلیخان فراغت یافت و از شکار قهال استیفا حظ بیمتها کرده معاودت نمودند مقارن این حال عرایض سلطنت و شوکت پناه رستم خان والی کرجستان کارتیل متعلق و متوالی بدرکاه فلک اشتباه رسید که طهمورث والی کرجستان کاخ که نواب خاقان رضوان مکان علین آشیان او را برتبه سلطنت آن ملک دلکشا سرافراز ساخته بود و همواره به نیروی الطاف بی پایان آن خسرو خلد مکان لاف استبداد و استقلال می زد در اینوقت بنا بر وسوس نفس اماره که در کشور وجود راهزنی قوت عاقله مینماید به پختن خیالات فاسد آتش سودا افروخته و چشم خواهش بمحال کارتیل که حکومت آن از دربار اعلی و درکاه معلی بمشارالیه مفوض گردیده دوخته است و با جمعی از خودریان بی عاقبت بشکار فریازی که ملک موروثی سلطنت پناه مزبور و داخل ولایت کارتیل است آمده و باین حرکت ناشایست اکتفا نکرده با زال ارسطاو قراقلخان و نوذر و یوتم امیلاخور² که تاوادان عمده کرجستان کارتیل اند زبان یکی نموده اند که در ترضیع سلطنت پناه مزبور بقدر امکان کوشش نمایند و ارسطاو و امیلاخور مزبور شخصی را بقصد ترضیع سلطنت پناه مومی الیه فرستاده بودند و کشیکچیان ازینمعنی مطلع گردیده آنشخص فرار مینمایند چون هر چیزی دربرخ صدق و کذب می باشد رقم مرحمت شیم¹ باسم طهمورث مشتمل بر تقاعد از امور مزبور شرف صدور یافته مصحوب تقی بیگ بازرگانلو ارسال یافت که اگر بمقتضی سهو و نسیان که لازم سرشت انسانست مصدر این امر شده باشد چهره اعتقادرا² بزلال انابت و استغفار از کرد عصیان شسته من حد مرتکب این قسم فعلی نشود که اگر بعرض مقدس رسد که یار دیگر ارتکاب این قسم ناشایستگی نموده مورد سخط و غضب شاهانه خواهد شد و آن

თ 35 v

ლ 148v

თ 36r

¹თ = თბილისის ხელნაწერი, ლ = ლენინგრადის ხელნაწერი

² ამ სიტყვის შემდეგ ლენინგრ. ხელნ-ში გადახაზულ-წაშლილია შემდეგი სიტყვები:

مزبور شخصی را بقصد ترضیع سلطنت پناه

وخيم العاقبه از غایت جهل و نادانی بظاهر لوازم اطاعت و انقیاد تقی بیک بتقدیم
 رسانیده تعهد نمود که اگر من بعد امری خلاف قانون بندگی ازو بظهور رسد
 مورد غضب و سیاست شاهانه بوده باشد و در باطن همان بشغل فتنه انگیزی
 اشتغال نموده با زال و نوذر و کتله کوز کارتیل که مختار و پیشوای کفره مزبور
 می باشد قرار داد که رستم خانرا بقتل رسانند و ملک قورخمس ولد ملک
 اتابیک ملک الکاء سمخوط را در این امر با خود همداستان نموده بودند چون
 ملک مزبور از یکجهت آنستان خلافت مکانست رستم خان را از کیفیت غدر
 کفره مزبوره اخبار نموده بود رستم خان عریضه درین باب نوشته مصحوب ملک
 مزبور بدرگاه خلافت پناه فرستاده ازینمعنی آتش غضب پادشاهی باشتعال آمده
 فرمان همایون نفاذ یافت که امارت پناه آدم سلطان حاکم صوفی که همشیره
 زاده سلطنت پناه رستم خان و بشیوه کاردانی موصوفست بافتاق بیکریکیان
 آذربایجان و شیروان و قراباغ و ایروان و جمعی از یوزباشیان و قورچیان و
 ملازمان و تفنگچیان که منازل ایشان در آذربایجان و شیروان میباشد بقلع و قمع
 و قتل و اسرو نهب و غارت کفره طاغیه مزبوره که نافرمانی فرمانروای ظاهررا
 علاوه ناسپاسی و خداناشناسی نموده اند روانه کرجستان کردند و امارت پناه
 مزبور بساعت مسعود بشرف پای بوس سرافرازی یافته روانه کرجستان کردید و قبل
 از آنکه وارد کرجستان شود رستم خان مردم دیده کج بین کتله کوزرا از وطن
 مالوف چشمخانه جلا فرموده در محبس قلعه تفلیس مقید نموده بود و با جمعی
 از تاوادان و ازناوران که بزبور اخلاص و یکجتهی آراسته بودند بقصد تسخیر
 قلعه نوذر که در مانات و رصانت و دشواری طریق و تراکم اشجار ضرب المثل
 مردم آن دیار است متوجه کردید و در اندک فرصتی به نیروی اقبال بیزوال
